

ზეპი მოლაპილ

ერთობენ ული

ცეკვა

ზაურ მოლაშვილი

ერთტომეცლი





ზაურ
მოლაშეია

ერთტომეცნი

პოეზია



გამომცემლობა „ანდესალი“
თბილისი 2012

ცნობილი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის **ზაურ მოლაშხიას** პირველი ლექსი — „ქარო, ქარო გეხვენები” — (რითაც იხსნება წინამდებარე ერთტომეული) დაიბეჭდა 1962 წელს, მაშინ ჭაბუკი პოეტი თექვსმეტი წლისა იყო.

იქიდან მოყოლებული დღემდე ზაურ მოლაშხიამ რთული და საინტერესო ცხოვრებისა და შემოქმედების გზა გამოიარა. ბევრჯერ ყოფილა უსამართლობის მსუსხავი პირქარის პირისპირ, არ გატეხილა, სულიერი წონასწორობა არ დაუკარგავს; როცა საჭირო გახდა, უყოფმანოდ დათმო პირადი კეთილდღეობა, მაგრამ, როგორც პიროვნებას და შემოქმედს არ დაუთმია თავისი ეროვნულ-ზნეობრივი მრწამსი თუ პოზიცია.

„ზაურ მოლაშხიას პოეტურ ხელწერაში ავტორის ნიჭიერებასთან ერთად გრაფოლოგი მისი ხასიათის იმ თვისებასაც ამოიკითხავს, რომლის გამოც პოეტის მიერ განვლილი ცხოვრებისეული და შემოქმედებითი გზა ვერანაირად ვერ იქნებოდა უკალბარდო, უკონფლიქტო და ღრმა ტკივილებისაგან თავისუფალი” (ლევან ბრეგაძე).

მრავალფეროვანია ზაურ მოლაშხიას პოეტური შემოქმედება, როგორც თემატიკით, მეტაფორულ-ტროპული აზროვნებით, ისე მეტრულ-რიტმული თუ ვერსიფიკაციული ძიებებითაც.

P.S. განზრახული იყო ზაურ მოლაშხიას ნაწარმოებთა სამტომეულის გამოცემა, რომელშიც შედარებით სრულად აისახებოდა პოეტის ნახევარსაუკუნოვანი შემოქმედებითი მოღვაწეობა, მაგრამ, გასაგები მიზეზების გამო, ჯერჯერობით მხოლოდ ერთტომეულს ვთავაზობთ ჭეშმარიტი პოეზიის ერთგულ მკითხველს.

რედაქტორები: — არჩილ გელოვანი, ჯემალ შონია.

© ზ. მოლაშხია, 2012

გამომცემლობა „ენივერსალი”, 2012

თბილისი, 0179, ქავერაშვილის გამზ. 19, თე: 222 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-478-0

„აცელავს დილა ღამეულ ჩრდილებს“

ძვირფასო მკითხველო! წიგნი, რომელიც ახლა ხელთ გიჭირავს, ცნობილი და საყვარელი პოეტის ზაურ მოლაშხიას ნახევარ-საუკუნოვანი შემოქმედების ერთგვარი ანგარიშია, რომელსაც იგი ჩვენ სიყვარულითა და მოწინებით გვაბარებს.

მე მქონდა ბედნიერება, როგორც ერთ-ერთ რედაქტორს, ჯერ კიდევ ანაბეჭდებში წამეკითხა ეს წიგნი და წინ კიდევ ახალი აღმოჩენებით მოგვრილი სიამოვნებანი მელოდება, როდესაც უკვე სტამბიდან გამოსულს, სტამბის სურნელში გახვეულს ავიღებ ხელში. დიახ, ზაურ მოლაშხიას ლექსები ისეთია, — რამდენჯერაც მიუბრუნდები, ყოველთვის აღმოაჩენ რაღაც ახალს, შეიცნობ მანამდე შეუცნობელს, უფრო და უფრო სწვდები მის იდუმალ პოეტურ სამყაროს.

ეს ერთტომეული, ერთი მხრივ, ზაურ მოლაშხიას ცხოვრების წიგნია — მისი გრძნობებით, მისი სიხარულითა და ტკივილით, მისი სიყვარულით, იმედით თუ განბილებით გამოთქმული; მეორე მხრივ, ამ ლექსებში ყოველი ჩვენგანი დაინახავს საკუთარ თავს, რადგან პოეტი ჩვენს სათქმელსაც ამბობს, ჩვენს სალხენსა და სატკივარზეც ლაპარაკობს; ლაპარაკობს ისე წრფელად, ისეთი უშუალობით, თითქოს ეს ყველაფერი ჩვენი გონიერიდან ამოკრიფა პოეტმა.

— „რა უცნაურად ჰგვანან ერთმანეთს ჩემი ყოფნა და ჩემი ლექსები“ — ეს სიტყვები ზაურ მოლაშხიას ცხოვრებისეულმა სინამდვილეშ სრულიად ბუნებრივად, ძალდაუტანებლად ათქმევინა, ჩვენ კი ამ სტრიქონებში სხვა, უფრო რთული და ძნელად მისაწნევი სინამდვილე უნდა დავინახოთ, კერძოდ ის, რომ მთელი ამ ორმოცდაათი წლის ქარტეხილიან გზაზე პოეტს ერთხელაც არ წამოსცდენია ყალბი სიტყვა, არასოდეს დაუყენებია საკუთარი თავი ხელოვნურ, რაღაც სახელისა და დიდების მოხვეჭისათვის გამიზნულ პოზაში; სათქმელს იგი გვეუბნება გულწრფელად, საოცარი სიალალით, დიდი სიყვარულითა და ოსტატობით, რაც მთავარია, სტრიქონებში ჩაქსოვილი საკუთარი გრძნობები და აზრები ისეთი განზოგადებული სახით დაგვიბრუნა პოეტმა, თითქოს ეს ყველაფერი მასთან ერთად ჩვენც გვეთქვას; ჩვენ აუცილებლად დავინახავთ ჩვენივე თავს ამ ლექსების ლირიკულ გმირში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენ, მის მკითხველებსაც, შემოქმედად გვაქცევს ნიჭიერი შემოქმედის კალამი.

მანამდე კი ამ საოცარ გარემოს პოეტი, რა თქმა უნდა, გვიქმნიდა საკუთარ თავთან მარტოდ დარჩენილი, ქართულ სიტყვას მარტოდ შეჭიდებული, გვიქმნიდა სულიდან სინათლის და გულიდან სისხლის გამონურვით, ამ წახევარი საუკუნის ყოველი დღისა

და ლამის ფუტკარივით გარჯაში გასწორებით. ასეთმა თავდაუზოგავმა შრომამ განაპირობა მისი შემოქმედების ყოვლისმომცველობა, მრავალმხრივობა, მრავალთემიანობა; ძნელად თუ მოიპოვება ჩვენი ყოფიერების რაიმე ისეთი საკითხი, რომელსაც პოეტი არ შეხმიანებოდეს.

ჩემი სიტყვების სიმართლეში მკითხველს ეს წიგნი დაარწმუნებს.

* * *

ამ წერილს ზაურ მოლაშხიას ერთტომეულის მიმოხილვის პრეტენზია არა აქვს; საამისოდ მეტი დრო და სივრცეა საჭირო. ამჟამად გვინდა ზოგადად აღვნიშნოთ იმ პირველ შთაბეჭდილებათა შესახებ, რაც აუცილებლად დარჩება მკითხველს.

მანამდე მინდა თვით ავტორის შესახებ ორიოდე სიტყვით მოგითხოოთ.

ზაურ მოლაშხია კოლხეთში დაბადებული და თბილისში დაღვინებული შემოქმედია, უაღრესად პატიოსანი და კეთილშობილი, გულმართალი და ქვეყნისა და ადამიანების სიყვარულით თხემით ტერფამდე დამუხტული პირვნებაა. მისი ეს ერთტომეულიც სიყვარულის წიგნია, რომელსაც იგი უშურველად გასცემს და ამასვე მოითხოვს ჩვენგანაც. გარდა ამისა, პოეტი პირველი ლექსებიდანვე გამოირჩევა დიდი პასუხისმგებლობით მკითხველის მიმართ; ამიტომაც არა აქვს მას სასხვათაშორისოდ თქმული, კალამს დაუფიქრებლად მოსხლეტილი სტრიქონები. „ლექსის კითხვით თუ თქვენ იგრძნობთ დაღლას, თუ ვერ ნახავთ სიტყვას ალერსიანს, თუ ვერ იგრძნობთ ლექსში რალაც ახალს, ისე ლექსი, აბა, რა ლექსია!“ — ეს სტრიქონები შემოქმედებითი მოღვაწეობის გარიურაუზევეა დაწერილი და ისინი დღემდე აწერია ზაურ მოლაშხიას „რიურაუებით შეკერილ დროშას.“

პოეტის მთელი შემოქმედება მაღალი მორალისა და ზნეობის მქადაგებელია, ანუ იმ პრინციპებისა, რითაც თვით შემოქმედი ცხოვრობს. „თუ ქართველი ვარ, ქართველურად უნდა ვიმღერო,“ — გვეუბნება იგი და გვიხსნის, რომ ასეთი სიმღერა თუ ცხოვრება ნიშნავს თავდადებას, გამუდმებულ ფიქრსა და ზრუნვას სამშობლოზე: „სამშობლოა მარად ტკბილი ურუოლა, სულის კანკალი.“ ეს აზრი სხვა ლექსში ასეა განვითარებული: „სამშობლო, რწმენა და პოეზია — აი, ეს არის უპირველესი“.

ზაურ მოლაშხია უაღრესად თავმდაბალი ადამიანია, მას არ სწევია არც გულზე მჯიდის ცემა და არც ადგილების გადანაცვლება ვინმეს მზერის არეში მოსახვედრად. თავისი ცხოვრების გზაზე იგი საკმაოდ ორიგინალურად ასე გვეუბნება: „მე ყოველ

დილით და სალამოთი მიმოვდივარ ტროტუარზე — შენობათა გასწვრივ! თან ვცდილობ, ვინძეს არ შევეჩეხო... მეგობრებივით მომყვებიან გზაზე ფიქრები და სტრიქონებიც ჟივუივებენ, როგორც გვრიტები...” ამ სიტყვებმა პოეტის კიდევ სხვა ლექსი გამახსენა, სადაც იგი ამბობს: „თბილისში დადის სასწორით ხელში — თვალებაკრული ქალი”; გამახსენა იმიტომ რომ ტროტუარზე მიმავალი ის ადამიანი, რომელიც ცდილობს, რომ სხვებს სიარულში ხელი არ შეუშალოს და რომლის გონებაშიც გვრიტებივით ჟივუივებენ სტრიქონები, სულაც არ არის მარტო: მას ის „თვალებაკრული ქალიც” — მისი უდიდებულესობა თემიდა გვერდით ახლავს, მის-თვის ჩაჭიდია ხელი და დაატარებს.

ცხოვრების გზაზე პოეტს თავისი ოჯახიც განუყრელად ახლავს. ეს ბუნებრივია და ამაზე შეიძლებოდა ყურადღება არ გაგვემახვილებინა, რომ არა ერთი მშვენიერი ლექსი, ისიც, შეიძლება ითქვას, „ქუჩის თემაზე” დაწერილი: ზამთრის სუსხიან დღეს პოეტს, რომელსაც ბავშვები სკოლიდან მოჰყავს, გზად ნაცნობი ხვდება და კარგ, უზრუნველ, მანქანიან, ფულიან ცხოვრებაზე ესაუბრება. პოეტი კი უყურებს თავის სიცივისგან მობუზულ შვილებს და ხედავს, რომ „იცინოდნენ, იცინოდნენ მათი პატარა, ძირმორცვეული ფეხსაცმელები”. აი, ასეთი შთამბეჭდავი პოეტური სახე მოუძებნა ზაურ მოლაშხიამ საპასუხოდ ნაცნობის ნათქვამსა და ამავე დროს თავისი მდგომარეობაც დაგვიხატა, ოღონდ მდგომარეობა ეკონომიკურად შეჭირვებული, მაგრამ პატიოსანი, სულიერად ამაღლებული და ამაყი ადამიანისა.

სწორედ ასეთი სულიერი სიმაღლეა ის მთავარი განძი, რომელიც თაობიდან თაობას უნდა გადაეცეს. მშობელმაც ხომ ასეთი ანდერძი დაუტოვა პოეტს: „არ მაჭამოო, შვილო, სირცხვილი!“ — მე ეს სიტყვები დამიტოვა მამამ განძივით...” მამის ანდერძის უზადოდ შემსრულებელი ახლა უკვე თავის შვილებს ასე არიგებს: „სიტყვა ბასრი ააელვე და აგემე მტყუანს; ცხენი მზისკენ გაგალვე, ეპეი, ბაბა სკუა! შენი ხალხი გელოდება — მტერი გაუთელე; უსინათლო გელოდება — ბნელი გაუთენე; გულდაჭრილი გელოდება — წყლული გაუმრთელე...”

თაობებს შორის კავშირს ზაურ მოლაშხია თავისი სტრიქონებით აპამს. ეს არის არა მარტო გენეტიკური, არამედ სულიერი კავშირი, რომელიც თვით პოეზიის ხასიათსაც განაპირობებს: „მე ვიტყვი, ჩემი სიტყვა გადარჩა... თუკი შერჩება სტრიქონს მარადჟამს მამისეული კერიის სითბო...”

ზაურ მოლაშხია ნუგეშის პოეტია, „ვის ნატერფლებზეც წყლულები არ აღმოცენდება”; იგი გვერდით გიდგას, გამნენევებს, სიკეთისაკენ მოგიხმობს, შეცოთმილი მოძმის უფლის გზაზე მობრუნებას ცდილობს: „ხამს კაცი კაცად დარჩეს ბოლომდე, სხვის

გულისცემას თვისად ითვლიდეს... რა ადვილია შენთვის ცხოვ-რობდე, — სულ ეჩოსავით შენკენ ითლიდე”. ყოველთვის ექნება ზუსტი მისამართი პოეტის შეძახილს: „თავიდანვე ამოთხარე! თავიდანვე ამოგლიჯე! თავიდანვე ამოძირკვე ის სარეველა — შენს სულში რომ მიიპარება”. ზოგიერთების გასაგონად იგი პირ-დაპირ და დაუფარავად ამბობს: „ოქვენთვის მძიმეა, ბატონო ჩემო, მამულიშვილის უნმინდესი წამოსასხამი”.

* * *

ქართველი ადამიანის ცხოვრებასა და მოქმედებას ერთი მიზანი უნდა ჰქონდეს: „მამული უნდა იდგეს ბეთლემად”; მისი სიტყვებით, შეიძლება ყველაფერი შეიცვალოს: სიტყვაც, ფიციც, გზებიც, სივრცეც, მაგრამ „არ შეიცვლება ენა სხვა ენით, მიწა სხვა მიწით”.

ზაურ მოლაშხია სიმართლისა და სამართლიანობის მომღერალია, ყველამ კარგად ვიცით მისი მოქალაქეობრივი პოზიცია; იგი იდგა და დგას იქ, სადაც ქართველი ხალხია, ბასრი კალმით ამხელს და ებრძების ორგულთ, მოლალატეთ და სულმდაბალთ, ანუ ხებს .. მოყვარეთა მცირობა”, იმ ვაი ქართველთა სულნასულობა, რომლებსაც არ ანუხებთ, რომ „დამსგავსებია საქართველო ვრცელ სასაკლაოს” და სავარძლებისკენ „მიჭინჭველობენ, მიქვეშებენ”.

ამ ერთტომეულში ლექსები ქრონოლოგიურად არის დალაგებული და მე, ერთ-ერთი მკითხველი, ავი წინათგრძნობით ვადევნებ თვალს, თუ როგორ „უახლოვდება” პოეტი 90—იან წლებს, თუ როგორ უნდა ემნაროს დამოუკიდებლობის მოპოვებით მოგვრილი ბედნიერება. მართლაც, ამ პერიოდის ლექსები სავსეა ტკივილით, აღმფორებით, პროტესტით, შეურიგებლობით... პოეტის კალამი ხმალივითაა ალესილი და არ ინდიბის ქვეყნის დამაქცევართ.

ისიც უნდა აღვნიშნოთ რომ უსამართლობასთან ბრძოლა ზაურ მოლაშხიას მანამდეც უხდებოდა, საბჭოთა იმპერიის პირობებში; ერთ-ერთ ლექსში კიდევაც აღნიშნავს, თუ როგორ ჰქონდა მის-ჯილი შინაპატიმრობა და აკრძალული ჰქონდა დედაქალაქიდან გასვლა. მე, მაგალითად, პოეტის დამოკიდებულება კომუნისტური სინამდვილისადმი აშკარად დავინახე გარეგნულად თითქოს უწყინარ, მაგრამ შინაგანად დიდი სულიერი ამბოხით დანაღმულ ამ სტრიქონებში: „ჩემს შვილს აშინებს წითელი ფერი, წითელი საბნის წითელი ფერი, სისხლი — წითელი, წითელი — სივრცე, თითქოს დაჭრილი მზე ინურება ზეცის თავანზე...” 1975 წელს დაწერილ ამ ლექსში, ვფიქრობ, არაფერ შუაშია შეიღლის შიში წითელი ფერის მიმართ: „წითელ საბანში” წითელი დროშა უნდა დავინა-

ხოთ, „წითელ სივრცეში” — საბჭოთა კავშირი, ახლა უკვე ისტორიის სანაცვეზე გადასროლილი...

ამავე ლექსის გაგრძელებად უნდა მივიჩნიოთ სხვა დროს დაწერილი სტრიქონები: „მე სხვა ფერი მინდოდა, ო, ეს ფერი — არა! მე სხვა მოძმე მინდოდა, ო, ეს მტერი — არა!”

პოეტი სამართლიანად ბრაზდებოდა, როცა ამგვარ „მოძმეს” ასეთ ვითარებაში ხედავდა: „ძეგლთან ხარხარებს ვიღაც ტურისტი, თვალიქედნური, არყით შფოთური... მოდი, გაბრაზდი და გაგულისძი: — გაულამაზე სახე ლოთური”.

სულ რამდენიმე სიტყვითაა გადმოცემული იმდროინდელი სინამდვილის მთელი მანკიერებანი: ურნშუნოება, სიყალბე, სიცრუე, დამონებულ-დაბეჩავებული ხალხი: „აი, სიზმარი უსიზმროთა! აი, ნილები! სიცრუის ძაფით მოქსოვილი წყება ალმების... ულვოთ ტრიბუნებს ხელებს უქნევთ და ესალმებით! აპა, დიდება უგუნურთა — ნამს ნარმავალი!..” მოდით, ამასაც დაწერის თარიღი დავუსვათ: 1977 წელი.

სამიოდე წლის შემდეგ, კერძოდ, 1980 წელს, თანამოაზრებთან ერთად, ზაურ მოლაშხია ავრცელებს ანტიიმპერიულ პროელა-მაციებს, რომლებშიც „საქართველოს ანექსია — გასაბჭოების დღე — ოცდახუთი თებერვალი გლოვის დღედ” იყო გამოცხადებული. იმავე წლის ზაფხულში ჯგუფთან ერთად აკავებენ. რამდენიმე თვის შემდეგ ლიდერებს ხუთ-ხუთი წელი მიუსაჯეს. დანარჩენებს, მათთან ერთად ზ. მოლაშხიას, შეუფარდეს ადმინისტრაციული სასჯელი, — მოხსნეს სამსახურიდან, შეუზღუდეს ბეჭდვა, აუკრძალეს ქალაქიდან გასვლა და სხვა.

1989 წლის აპრილში, „კომენდანტის საათის” პირობებში, მონაწილეობს არალეგალური უურნალის „ფენიქსის” გამოცემაში, რომელშიც ზ. მოლაშხიას ანტიიმპერიული ნაწილის მიერთავა, აუყენებული...

* * *

ზაურ მოლაშხია მაძიებელი პოეტია. ის მიღწეულით არას-დროს ქმაყოფილდება. თვით ვერსიფიკაციის სფეროშიც ცდილობს და აღნევს კიდეც გარკვეულ ნარმატებას.

გამოჩენილი კრიტიკოსი და ლიტერატურისმცოდნე ლევან ბრეგაძე, ზაურ მოლაშხიას ერთ-ერთ წიგნზე („ვარსკვლავთა ტალანი,” 1988წ.) დიდი ხნის წინ დაწერილ რეცენზიაში — „პოეტის ხელწერა” (გაზეთი „სიტყვა ქართული,” №5, 17 აპრილი, 1993 წ.) — აღნიშნავდა:

„თანამედროვე პოეტები იშვიათად მიმართავენ ექსპერიმენტებს ლექსტონიკის სფეროში — უფრო ტრადიციულ სალექსო

ფორმებს ენდობიან. ზაურ მოლაშხია აქაც ეძიებს, ამ არემარეშიც, სადაც დღესდღეობით რაიმე მნიშვნელოვანი სიახლეები თითქოს ნაკლებ მოსალოდნელია.

წიგნში შესული ლექსების ერთი დიდი ნაწილი ორიგინალური აღნავობისაა: სტროფი ხუთ ტაეპიანია, გარითმულია პირველი, მეორე, მეოთხე და მესამე, მეხუთე სტრიქონები. მთავარი კი ის გახლავთ, რომ მეოთხე სტრიქონი სხვებთან შედარებით მარცვლებნაკლულია, „კოჭლია”, იგი ძირითადად საზომის მარცვალ-თრაოდენობის მხოლოდ ნახევარს შეიცავს (ტაეპის ნაკლულ ნაწილს ავტორი წერტილებით ავსებს).

ეს ბოლოსწინა „ჩავარდნილი” სტრიქონი საინტერესო რიტ-მულ სურათს ქმნის. ვნახოთ ნიმუშად ერთი სტროფი ლექსიდან „სიზმარი”:

„გაბედნიერდა ადამის მოდგმა,
არსით წუხილი, ვაება, მოთქმა...
ზვირთებმა ხმელთა ლოხი წარეცხეს.
..... ნათელი მოდგა
და ჰგავდა ველი უფლის სარეცელს.”

ბოლო სტრიქონი, რომელიც მარცვლებნაკლულ ტაეპს მოსდევს, დასკვნასავით აღიქმება და ამის გამო, ჩემი აზრით, უზდება მედიტაციურ, პოეტური რიტორიკის მანერით შესრულებულ ლექსს...

კიდევ ერთ ამონანერს მოვიყვან ბატონ ლევან ბრეგაძის და-სახელებული რეცენზიიდან:

„ და კიდევ ერთი სანუკვარი გულისწადილი აქვს ამ წიგნის ავტორს:

„ ისევ იძახის ხმა იდუმალი,
განა ურწმენოდ, განა გოროზად!
— მოვიდეს სოფლის დიდი სტუმარი
და თვით კრწანისიც ადიდგოროსა!”

რა ბევრის დამტევია პოეტური ფრაზა! რა საინტერესოდ არის აქ გადმიოცემული ღრმა სათქმელი!.. დიდ დამარცხებათა დიდ გამარჯვებად მოქცევის მოთხოვნა რა შთამბეჭდავად არის გამოთქმული ლაკონურ ფორმულაში — „და თვით კრწანისიც ადიდგოროსა”!

ამ ლექსების ავტორისთვის არც მოვლენებისადმი ირონიული დამოკიდებულება გახლავთ უცხო. ეს ირონია ზოგჯერ ოდნავ იგრძნობა, მსუბუქად დაჰთვართვატებს საგნებს თავზე, როგორც,

მაგალითად, ამ სტრიქონებში: „ჩვენთვის ყოველდღე სიურპრიზია — მზე და ჰაერი, სივრცე, ფერები... რომ არ გვემხობა თავზე ცარგვალი, ესეც მადლია ბედნიერების!” ზოგჯერ კი ირონიული დამოკიდებულება მკვეთრად არის გამოხატული... აი, თუნდაც, ამ ლექსში, ასეთი სათაური რომ აქვს: „დილის გამამხნევებელი ვარ-ჯიშის რემინისცენცია”:

„თავისუფლად ისუნთქე, თავისუფლად იმოძრავე, თავისუფლად ილაპარაკე, თავისუფლად... თავისუფლად... თავისუფლად... ამისთვის, მარტო ამისთვის, რამდენი სისხლი დაღვრილა და მაინც ვერ სუნთქავს თავისუფლად კა-ცო-ბრი-ობა!”

* * *

ზაურ მოლაშხია მოვლენათა უბრალოდ აღმნუსხველი კი არა, პირველ რიგში ლირიკოსია. „ლექსი არასდროს მიწერია გრძნობის გარეშე”, — წერს იგი ერთ-ერთ ლექსში, თანაც მისი გრძნობები, განცდები ყოველთვის გონების სინათლითაა მადლომ-სილი. იგი დაგვატარებს ტკივილებსა და სიხარულს შორის, უნუგე-შობასა და ნუგეშს შორის: „ხან დავყურებ მამის საფლავს, ხან მზითა და ყვავილებით ვსუნთქავ...” თანაც ეს არის მოგზაურობა ადამიანის ღრმა სულიერ შრეებში, ადამიანის გონების მანამდე შე-უღწევად ლაბირინთებში; ეს არის შეხვედრები ორიგინალურ მხატ-ვრულ სახეებთან, რასაც პოეტი შესაბური ტროპული აზროვნების წყალობით ახერხებს. აი, მაგალითად, ზაურ მოლაშხიას ლექსებში „ტყეებს ზეცა ქოლგასავით უჭირავთ ხელში”, „მზე დილები ხელში აპყავს გასაშვებად”, „დაქოხილა დაფიფებული ბარდი”, „აცელავს დილა ლამეულ ჩრდილებს”, კერა უეცრად გაფოთლილი ასკილია, ცა — იდუმალი — ლაჟვარდს გვიქნებს და გვესალმება... რომელი ერთი ჩამოვთვალოთ, ეს მხოლოდ ზღვაში წვეთია ამ ერთტომეულ-ში გაბნეული ტროპული სახეებიდან.

ზაურ მოლაშხია რნმენის და იმედის პოეტია. იგი ყოველთვის ახალი სამყაროსკენ მიგვატარებს და სულის ხსნის შანსს გვაძლევს: ჩვენც მასთან ერთად მივიღტვით შეყვარებული ვარსკვლავისკენ, რათა მან „აათრთოლოს აუთრთოლარი და ყინულივით მკაცრი გულები”; მას უნდა დავემგზავროთ განწმენდისა და განახლების „ზეცის ქალაქში”: „უარი გემებს, ნუ მიცდიან მატარებლები... მივემგზავრები ჩემი მინის და მზის ემბლემით... მომიტევეთ ეს აღმაფრენა, მსურს ამოვიდე წუთისოფლის მრუმე ხაროდან...”

პოეტს სჯერა, რომ „მზე ჩამოკიდებს ნანატრ სინათლეს ყველას სარკმელზე, ვითარცა ალამს”. წერილის დასაწყისშივე ვახსენე მისი „რიურაჟებით შეკერილი დროშა”; ეს ალამი და

დროშა ერთი და იგივეა, ეს ზნეობის, რწმენის, თანადგომისა და თანალმობის სიმბოლოა, რომლისკენაც პოეტი ყველას უხმობს: „მინდა დღეებით და ფიქრებით დაწნულ გვირგვინებს მე ვადგამ მწვერვალს, სამერმისოდ მაღლა აზიდულს, და ვხედავ შორით... ჩემი დროშისკენ ეს სამყარო მოღის და მოღის!..”

ყოველი ლექსის დაბადება ჩვილის გაჩენას ჰგავს იმ მხრივ, რომ ლექსიც ტკივილის, დიდი სულიერი ძვრების თანხლებით იპა-დება. ზაურ მოლაშხიასათვის ყოველი ლექსი ის ზღაპრული ფასკუნჯია, რომელიც საკუთარი გულ-ღვიძლით უნდა დააპუროს: „მიმაფრენს ლექსი — ჩემი ფასკუნჯი — და ის ტკივილის განცდას მანიჭებს...” ეს ტკივილი გაუნელებელია, იგი ლექსის გაჩენიდან ბოლომდე ჭრილობად ატყვია პოეტს: „მატყვია ლექსი — ცხელი ჭრილობა — და ეს საწუთო უკან მომკივის.”

ასეთ წვასა და ტკივილში არის გასული ეს ნახევარი საუკუნე. წლები კეთილ მონაგართან ერთად ტკივილსაც ამრავლებენ. თუ ახალგაზრდობაში პოეტს „ფერთა თამაში“ აღაღებდა, უკვე სიჭარმაგის ხანაში იტყვის: „წყენით ვუმზერ წუთისოფელს, მატყუარა ფერთა თამაშს...“ გახუნებულა ბევრი ოცნება, განბილებულა ბევრი იმედი, უამს წარუტაცია წრფელი სიყვარული, რაც ზაურ მოლაშხიას ათქმევინებს: „... და ამ ზამთარში დიდოვლობით დალენილ ბალებს გაზაფხულითაც ველარ ვალვიძებ.“ ეს „უყვავილ-წნულო გაზაფხულებია“, „გზაც მწვერვალიდან დასჯილსავით გადმოგდებულა,“ მაგრამ ამ ტკივილებსაც ჩვენდა სანუგეშოდ წარმართავს პოეტი, სტრიქონებში აწრიალებული სული გვამშვიდებს, გვამშვიდებს და გვეუბნება: „მე ახლაც კლდეზე ვკიდივარ ჩეერად“. ტანჯვისგან შველა კი ისევ უფლის სიყვარულში, რწმენა-სა და ლოცვაში უნდა ვეძიოთ, ჩვენც უნდა ვიწვოდეთ დათიური ცეცხლით ბიბლიური მაყვლის მსგავსად: „მზე მაყვლოვანში ანთია, ციური ცეცხლი ციმციმებს... ის არის, რაც გვინატრია, ის მოგვხსნის ტანჯვის სიმძიმეს“.

ზაურ მოლაშხიას ლექსებში საკმაოდ ვნახავთ ასეთ შესიტყვებებს: „უსივრცობის სივრცე“, „სავსე სიცარიელე“, „გონიერის სივრცე“, „დაუსაზღვრელის ნათელი“, „დასაზღვრული უსაზღვროება“... პოეტის გონება ახალი სივრცეებისკენაა მიმართული; ეს სივრცე ჩვენშიც არსებობს და ჩვენ გარეთაც. პოეტს სურს, რომ ეს სივრცე ცარიელი არ იყოს, არც დასაზღვრული, მას უნდა, რომ გაარღვიოს ყოველივე დასაზღვრული, გასწიოს და გაგვიფართოოს სამყარო და თვალსაწიერი. ეს მუდამ ახლის მაძიებელი შემოქმედის ბუნებაა, ახლის ძიებაში კი ზაურ მოლაშხია კვლავაც დაუმცხრალი და ჭაბუკურად შემართულია.

ზაურ მოლაშხიას ერთ-ერთ ლექსში არის ასეთი სტრიქონები: „როს განვერიდე სიზმარს სრულებით, — გარეთ საამოდ ირ-

ნეოდა მწვანე ხეხილი და ქარს მოჰქონდა დაფნის სურნელი”. დრომ ამ სიტყვებში ის შესწორება შეიტანა, რომ მის მშვენიერ შე-მოქმედებას უკვე დაფნის გვირგვინი მოაქვს ზაურ მოლაშნიასათ-ვის, რომელიც უახლეს ქართულ პოეზიაში ღირსეულ ადგილს იკა-ვებს და რისი დასტურიც მისი ეს ერთტომეულიც არის.

„**დილის მნათივით იზრდება სული**”, — გვიმუდავნებს პოე-ტი ამ წიგნის ბოლოს და ჩვენ ვგრძნობთ, რომ ეს „ბოლო” ახალი გზების, ახალი სივრცეების, ახალი შემოქმედებითი გამარჯვებების დასაწყისია. მჯერა, რომ ზაურ მოლაშნიას დილები „კვლავაც აცე-ლავენ ლამეულ ჩრდილებს”, რომ ის მნათი „გზადაგზა კვლავაც ააფეთქებს დანაღმულ ჩეროებს”; ეს კი იმას ნიშნავს, რომ ზაურ მოლაშნია კვლავაც მრავალჯერ გაგვახარებს თავისი დიდებული შემოქმედებით.

ლმერთმა დალოცოს მისი ნიჭი და კალამი, ჩვენ კი დიდანს გვყავდეს იმედად და ნუვეშად ჩვენი საამაყო მეგობარი, ღვთისნიე-რი, სიკეთითა და სიყვარულით სავსე ღირსეული მამულიშვილი!

ჯემალ შონია

პოეტი, ფილოლოგი



„ათხუთმეტილაშ ოცდათამაშუ კარსა
ენოფების ჭაბუკი... შემდგომად სრუჯი
ჩაწირ, ვიღრე არმეოცილათამაშუ,
შემდგომად ... ჭაბომარი...“

სულხან-საბა ორბელიანი
ლექსიკონი ქართული, ორ ტომად, ტ-1
გამომცემლობა „მერანი“, 1991 წ. გვ.361

განყოფილებათი

1. ხანა სიზაპუპისა
2. ხანა სრულკაცობისა
3. ხანა სიზარმაგისა

ხანა

სიჭამუკისა



ქარო, ქარო, გეხვევები

ფეხშიშველად დარბის ქარი,
შემოივლის ფრენით ხევებს...
მერე მოვა, როგორც მთვრალი,
მაკოცებს და მომხვევს ხელებს.

სიხარულით ველზე ვწვები,
გულში ვიკრავ მთას და ბორცვებს...
— ქარო, ქარო, გეხვეწები,
ჩემს მაგივრად მას აკოცე!
1962 წ.

გაურ მოლაპშია

მე იმიტომ კი არა ვნერ ლექსებს...

მე იმიტომ
კი არა ვნერ ლექსებს,
რომ სახელად მეც პოეტი მერქვას, —
ჩემი გული
გამოუთქმელს ეძებს
და... ყურს ვუგდებ მშობელ მიწის ფეთქვას.

მიწდა ის ვთქვა —
რაც ვერ თქმულა ჯერაც
და ეს გული ავამღერო ისე,
რომ სიმღერა
აღანთებდეს ყველას
და ღამეშიც აქსოვებდეს მზისფერს...

ლექსის კითხვით
თუ თქვენ იგრძნობთ დაღლას,
თუ ვერ ნახავთ სიტყვას ალერსიანს,
თუ ვერ იგრძნობთ
ლექსში რაღაც ახალს,
ისე ლექსი, აბა, რა ლექსია!

ჩემს მიწდვრებზე
ველი ახალ ვერძებს
და ვნერ ლექსებს... თამაშია ფერთა...
ჩემი გული
მარადიულს ეძებს
და... ყურს ვუგდებ მშობელ მიწის ფეთქვას.
1962 წ.

სიმღერების სათავე

ლელვის წუთი, განცდა, აზრი ახალი,
შრომა, ბრძოლა, შეტევა და მიღწევა...
მიწა თბილი — მოხნული და სახნავი,
გატაცება, თრთოლა, თავდავიწყება...
ცის გახსნა და სივრცეებში გაფრენა,
ლეგენდა და ჯერ უთქმელი ზღაპარი;
უნახავის ნახვა, განცდის გამხელა,
სიცოცხლე და სიხარული სხვაგვარი...
ლექსი თქმული და ჯერ კიდევ ართქმული,
სიყვარულის დაკარგვა და ძიება;
ზღვაში თევზის მხარული თუ დგაფუნი,
მტერთან ბრძოლა, ძლევა, არდაძინება...
სამშობლოზე ფიქრს ვერ ვუჭერ სადავეს
და ოცნება ჰორიზონტებს მიარღვევს...
სამშობლოა სიმღერების სათავე,
სამშობლოა სიმსნევე და სილალე!
არა მარტო სიცილი —
მინდვრები და ვაზები;
არა მარტო ჭიდილი
ფიქრების და აზრების;
არა მარტო ოცნება,
არა მარტო ხალისი,
არა მარტო ლოცვებად
აფრენილი აისი...
სამშობლოა მარად ტკბილი
ურულა, სულის კანკალი,
სიცოცხლის და უკვდავების
სიმღერა და აკვანი.

1962 წ.

გული ითხოვს ღიმილს...

ეს რამდენი დღეა
და რამდენი ღამე,
ეს რამდენი თვეა, —
უხმოდ ვითვლი წამებს.
გულში ცეცხლი ღვივის,
ვლოცავ მზეს და მთვარეს;
გული ითხოვს ღიმილს
და იმ გოგოს ალერსს...

ჩანს გარემო ღვთის ხელით ნაირფერში ჩასმული
და წკრიალა წუთები — მზის სხივებზე ასხმული...
მელანდება მინდვრები, მესიზმრება ბორცვები,
აღმა-დაღმა დავთრინავ ფიქრებით და ოცნებით...
ჰე, მამულო, ძვირფასო, გული ამღერებულო,
ხმალო, ხმალო, პირბასრო, მტერზე ალერებულო,
ხმაზვიადო ენგურო, რბენით გახელებულო!
მტერს ნარკენო თბილისო, დავითივით დიადო,
ყოველლამე, ძილის წინ, საბა ზლაპრებს გიამბობს...
გოგონები — ცანგალა, დაფრინავენ თავშლებით,
„აგანგალა-განგალას“ ყიუინებენ ბავშვები...
ბერიკაცი — იმხელა — ეზოს უვლის ღილინით...
მომენატრა სიმღერა, ვით იმ გოგოს ღიმილი;
მომენატრა ხმაური, ხმამქუხარე „ვარადა“,
ხეებს ფრენით ჩავუვლი, დავალ მთა და ბარადა...

ეს რამდენი დღეა
და რამდენი ღამე,
ეს რამდენი თვეა, —
უხმოდ ვითვლი წამებს...
გულში ცეცხლი ღვივის,
ვლოცავ მზეს და ძთვარეს;
გული ითხოვს ღიმილს
და იმ გოგოს ალერსს...

1962 წ.

ქარის ღელვა

ვხედავ: იცინის მელანქოლია,
მღერის მოწყენა და... იდილია...
ხოლო ამ ქარის ღელვა, მგონია,
ბედთან ბრძოლაა და ჭიდილია!

ეს, რომ იცოდეთ, ძლიერ მიტაცებს,
ამიტომ მიყვარს ქართან სერობა;
მისი სითბო და მისი სიმკაცრე,
თავანწყვეტა და მოუსვენრობა!
1962 წ.

მოდის ზამთარი...

მოდის ზამთარი, მოაქვს სიცივე,
მოდის ჭახჭახა ყინვის ფეხებით...
ნეტავ, ძვირფასო, ახლა მიხსნიდე
შენი ხელების თბილი შეხებით.

ნუ შემატოვებ დარდსა და დუმილს,
მთლად ნუ დამბუგავ, დამწვარს ისედაც...
მოდი, მიშველე, გამითბე გული,
შენთან ზამთარიც გამაისდება!
1962 წ.



გაურ მოლაშხია

ამიტომ ზრდის დედის ძუძუ ყველას

I

დაბაჩუნებს სიო ფოთლის ბაჩუჩებით
და მიწაზე კოცნის მწვანე ზენარს...
სივრცე ფეთქავს გაზაფხულის ლაყუჩებით,
ვარდისფერად მოქსოვილა ზეცა!

შარა-შარა თვალმერცხალა ყვავილები
გამომზევად გვიღიმიან ვაჟებს...
ისე მანთებს უხილავი არილები —
სირბილითაც ავალ, ა, იმ მთაზე!

გულში გრძნობა უცნაური გაჩენილა,
ეს რა განცდა მამლელვარებს ასე?
ოცნებები ვარსკვლავებად აფრენილან
საქართველოს შარადიულ ცაზე...

ჯიში მოგვდგამს ჭყონდიდელთა წმინდა გენის, —
მათი სისხლი ჩვენს სხეულშიც ღელავს...
ვერ წართვან ჩვენს მშობლიურ მიწას მტვერიც, —
ამიტომ ზრდის დედის ძუძუ ყველას!

თავაწყვეტით გაქროლება მენატრება, —
სიჭაბუკე მათამამებს ასე...
სიყვარული განფენილა მზენანთებად
ჩემი ქვეყნის ლაუვარდოვან ცაზე...

II

მლერიან და იცინიან
ხმაწკრიალა ასულები;
თვალთა ელვა - ციმციმია,
ღვინით სავსე დგას სურები.

ლხინია და რა ლხინია,
წელმოხრილი მლერის ყანწი...

ირგვლივ „ვაშას“ ძახილია,
„ცერულს“ ცეკვავს ბერიკაცი...

III

ღამე შუქში ჩამხრჩვალია...
რა კაფია, მაირია!
ცეკვა, კისკის-ტკარჩალია...
ლამის სუფრა აირია...

...

— იმ გოგომ რა დააშავა?
— თეთრი ბიჭი გააშავა...

...

ახლა ვაჟყაცს დალონება როდი შვენის,
ის ხომ ქვეყნის მარილია მარად...
ამიტომაც ქალიშვილი ოდიშელი
ენდობა და... ჭირსაც ჩათვლის არად!

როს ვამაყობთ, ხომ ვამაყობთ მართებულად,
მრავალ ხმაზე სად მღერიან ასე?
ოცნებები ვარსკვლავებად ანთებულან
ჩემი ქვეყნის მარადიულ ცაზე!

მოდგმა ხარობს ჭყონდიდელთა წმინდა გენის, —
მათი სისხლი ჩვენს სხეულშიც დელავს...
ვერ წაართვან ჩვენს მშობლიურ მიწას მტვერიც, —
ამიტომ ზრდის დედის ძუძუ ყველას!

1962 წ.



რა ადრე გავხდი მამით ობოლი

არ მიფიქრია
არასდროს, მამავ,
თუ დავრჩებოდი ქვეყნად უშენოდ...
დღეს ცრემლიანი
თვალები დამაქვს
და... ეს არ მინდა დედას ვუჩვენო!

ძნელი ყოფილა
სიკვდილი მამის,
ძნელი ყოფილა... და აღარც ვმალავ, —
მსურს შევაჩვენო
ის წუთი, წამი,
როცა სიკვდილმა წაგართვა ძალა.

მამავ, ძვირფასო!
სადა ხარ ახლა...
რა ადრე გავხდი მამით ობოლი!
დღეს ყველგან შენი
ღიმილი მახლავს,
ვიხსენებ ზღაპრებს — შენგან მოგონილს...

არ მიფიქრია
არასდროს, მამავ,
თუ დავრჩებოდი ქვეყნად უშენოდ...
დღეს ცრემლიანი
თვალებით დავალ
და... ეს არ მინდა დედას ვუჩვენო!

1962 წ.



პოი, დედაო!

პოი, დედანო! — ეს ვინ კვნესის სულის ტკივილით,
 პოი, დედანო! — ბარათაშვილს აღმოხდა ერთ დროს...
 და თითქოს დღესაც
 შორით მესმის თქვენი კივილი: —
 „ჩვენს საქართველოს უშველე, ღმერთო!“

მას ვენაცვალე, ვინც არწია შოთას აკვანი,
 ვინც ხორცი დათმო
 და ამაღლდა სულით ზეცადო...
 პოი, დედანო!
 თქვენ გეკუთვნით ჩვენი თაყვანი...
 ვერ მოგვსპობს მტერი, რაგინდ ეცადოს!

პოი, დედანო! ახლა მამულს ვინ დაგვაშორებს,
 ყორნის ბრჭყალებით მზის გული ვერ გაიკანრება...
 პოი, დედანო!
 თქვენზე ფიქრი ცივად მაურუოლებს
 და გულს უღმერთო სევდა აწვება!

თქვენ ამხნევებდით
 ქართულ ლაშქარს, პოი, დედანო!
 თქვენი სახელი,
 ჰაუ, რამდენს მთხოვს და მავალებს...
 დღეს ჩემი ნედლი სტრიქონები ფრენას ბედავენ,
 რომ დაგიკოცნონ წმინდა სამარე!

1963 წ.



შავლებო

„ჩვენი აზრით, შალვა-შავლეგოს თქმულების
საფუძველი ნამდვილი ისტორიული ფაქტია,
იგი დამოწმებულია ჩვენი უძველესი
საისტორიო ძეგლის „ქართლის ცხოვრების“
მიერ“.

გიორგი ლეონიძე

ბედო მუხთალო, შავბედო,
ძმობა სიცოცხლის ღერძია...
შავლეგო ბიჭო, შავლეგო,
ურჯულოები გებრძვიან.
ჰეი, ვაჟყაცო, გასძელი,
„ვაი, დედასა მტრისასა“...
მიდი, უშველე, მხარგრძელო,
და სისხლს ნუ დაღვრი ძმისასა.
ვინც ლოცულობდა მამულზე
და მხნედ იტანდა ქარ-წვიმებს;
მას შურიანად რად უმზერ,
ავკაცო, რატომ განირე!
მიდი, მხარგრძელო, უშველე! —
გეძახის მთა და ხეობა,
შენი კაცობა უჩვენე,
უჩვენე შენი მხნეობა...
„ვაი, დედასა მტრისასა!“
გლალატობს, ბიჭო, მხარგრძელი...
შავლეგო, დუშმანს დაჲკარი!
ბიჭო შავლეგო, გასძელი!
შენ გიმღერებენ სულ მთანი,
ლალატით გულდაისრულო;
არ გაახარო სულთანი,
კვლავ ბრძოლა უნდა ისურვო!
ძმაც ხომ მოგიკლეს, ვაჟყაცო,
მწარე დღე უდგათ ქართველებს...
მტრის ხმალი მაღლა კაშკამობს...
გარნისის მთები გათელეს...
ბედო მუხთალო, შავბედო,
წყევლაა შენი არჩივი...

დაიჭრა პიჭი შავლეგო,
— ბიჭო შავლეგო, რას ჩივი?
კარგის წილ ავის მომკელი
იწვა და... გული სტკიოდა...
„ორასი თურქის მომკვლელი,
უომრობასა სჩიოდა.“

1963 წ.

უკვდავებაც მის დიდებას მღერის

რა თბილია წინაპართა სული,
რა მტკიცეა წინაპართა ძვლები...
ვინ შებორკავს მილიონთა სურვილს, —
ჰე, უტიერ ლურჯა ცხენებს გზები...
პოეტივით ვინ ამღეროს გული,
უკვდავებაც მის დიდებას მღერის...
ცა სხივებით არის გახაზული,
ბურუსშია შორეული მერი...
ხმა ციური ისევ გვაურიალებს,
„მე და ლამეს“ მოდუდუნებს მტკვარი...
მის საფლავზე ფოთლებს ამრიალებს
ცხვანტი ქარი, ხმანკრიალა ქარი.
მიჰერიან და ბობოქრობენ წლები,
სიმღერის ხმა ცის ნაპრალებს ავსებს...
გალაკტიონს აუმღერდა ძვლებიც,
სიმღერებით მოაბიჯებს გზაზე!
რაც არ უნდა აწვალებდეს დარდი,
ულექსობით ის ხომ ვერსად შეძლებს...
ძმებო! იგი ჩვენთან ერთად დადის,
დებო! იგი ჩვენთვის წერდა ლექსებს...
ცა სხივებით არის გახაზული,
პოეტს ცისთვის გაუწვდია ხელი...
მასზე მღერის მთაზე გაზაფხული,
უკვდავებაც მის დიდებას მღერის.

1963 წ.

გაურ მოლაშხია

სიკეთისადმი

।

მალე მოვა ზამთარი,
მიწა გადათეთრდება,
მე, ლექსებით დამთვრალი,
ვიწყებ თქვენთან ხეტიალს...
ჩემს მშობლიურ მხარეში
რა ლამაზად თენდება,
შეყვარებულ თვალებში
დილა ვერ ჩამეტია!

იღვრებიან მიწაზე
განთიადის ჩქერები, —
ღვთაებრივი სინაზე,
ცეცხლოვანი განცდები...
ნაირგვარი ფოთლების
თამაშობენ ფერები
და ხეები — ლოთები,
მზის შუქს სვამენ თასებით.

მოდით, ახლოს მოჯარდით,
ჩემი მიწის ხეებო,
გამრჯვე კაცის ოჯახი
დამილოცეთ ყანწებით;
თქვენ გამკრთალი ზამთარი
რას დაგაკლებთ, ხეებო,
მშობელ მიწით დამთვრალი
ვაჟუაცები ბრძანდებით!

॥

ყოველ წუთში, ყოველ წამში
დგახართ ზეზე უკლებლივ,
გსურთ გაფრენა თითქოს ცაში,
მაგრამ ვერ თმობთ ამ მიწას;
დგახართ მასში ჩაფესვილი,
მასზე ფიქრებს უნდებით...
თუ ამ მიწის ვარ მეც შვილი, —
მისთვის უნდა დავიწვა!

III

მალე მოვა ზამთარი,
მიწა გადათეთრდება,
მე, ლექსებით დამთვრალი,
ვიწყებ თქვენთან ხეტიალს...
ჩემს მშობლიურ მხარეში
რა ლამაზად თენდება,
შეყვარებულ თვალებში
დილა ვერ ჩამეტია!

1963 წ.

მინაო ჩამო!

მინაო ჩემო!
ვკოცნი შენს მკერდს და მძლავრ ხერხემალს,
შენი სითბო და იდუმალი ღელვა მიტაცებს;
მე ყველგან შენი დაუკალი შუქი მეზვევა,
მინაო ჩემო!
უთბილესო ყველა მინაზე!
შენს მკერდ-სხეულზე საქართველომ ბევრჯერ იწვალა,
შენი სიმტკიცით ცოფდებოდა ყველა — ველური...
თურმე ეგონათ, — ერეკლესთან გარდაიცვალა
ერის სული თუ
შემართება მძლექართველური!
მაგრამ სად თქმულა: — ერს რომ ძალა გამოეცალოს...
დე, დამეტი
კვლავ აკაფოს ხმალმა გმირების...
„ოდოს“ და „ლილეს“ შეენივთოს „შავო მერცხალო“
და... მტერდუშმანი
ისევ დარჩეს განაკვირები!
მინაო ჩემო!
ვერ გასტეხენ შენს მძლავრ ხერხემალს,
შენი სითბო და იდუმალი ღელვა მიტაცებს;
გულს ყველგან შენი სიყვარულის შუქი ეხვევა,
მინაო ჩემო!
უდიდესო ყველა მინაზე!

1963 წ.

გაურ მოლაპშია

მასერვას...

ხეცერის 7-წლიანი სკოლის ქართული ენისა და
ლიტერატურის მასწავლებელს
ტიხონ ქორთუას

|

თითქოს ვეხები ცათა კაბადონს,
 ისე ხმაურობს ჩემი ოცნება...
ახლა გულია გრძნობის საბადო
 და ყველა წყლული ერთად ხორცდება.
არის განცდების ლურჯი საუფლო
 და სულს იმედი აჰკვირტებია;
მივდივარ გზაზე, ლექსებს ვსაუბრობ
 და, როგორც შეშლილს, მაკვირდებიან...
ქართა რიალში დგანანა მუხები,
 რწმენის ნათელი ფიქრებს ავარდებს,
მაგრამ სტრიქონი — კვიცი უხედნი,
 ვინ იცის, როგორ გაინავარდებს.
ქართან გაფრენას ლამობს ფურცელი,
 თუმცა რას შველის მარტო ღელვანი...
ჯერ ბევრი დამრჩა ამოუსნელი
 ლოგარითმი თუ განტოლებანი.

||

კვლავ ვაკოცებ ვარდებს
და ტაბიძის ტომს...
არ დავეცე სადმე,
ვით უღონო რტო.
განცდით ვივლი გზაზე
და ვემთხვევი გზებს,
მე მივმართავ ასე
მინასა და მზეს: —
„თუ დავეცი, ვაიმე,
ვერ ვიცოცხლებ თავს;
თუ არ დამრჩა რაიმე, —
შევასკდები მთას.

გულო, მაშინ ინაღვლე,
ლექსებს თუ ვერ რთავ...
მთაო, შენი სიმაღლე
მე მჭირდება, მთავ!“

III

აპა, თეთრი მერცხალი მწვერვალებზე ავარდა
და განცდების ზეცაზე ლექსმა გაინავარდა...

დაფრინავენ ქორები, როგორც დამის ჩრდილები,
ცის უბეში ბარტყობენ ასაფრენი დილები...

დგანან შუქთა ჭავლებში ჭადრები და ვერხვები...
მახსენდება: — ხეცერა, სკოლა, ეზო, მერხები;

მამაჩემის მზერა და შუქი გამოცინების;
მოხუცები თეთრწვერა, სიბრძნით დალოცვილები...

მასწავლებლებს ვიხსენებ: — ზოგს მწყრალს, ზოგსაც მღიმარეს,
ჩვენი სკოლის მახლობლად სულ პატარა მდინარეს;

მახსოვს მისი სიმკაცრე... წალებული ხიდები...
სოფლის დილა... საღამო, მოშრიალე ბინდები...

შვიდი წელი... შვიდ წელში მოღვარღვალე წვიმები...
უნებურად ფაჯურებში ჩამსხვრეული მინები...

მაგრამ... მაინც სკოლაში იყო სითბო, ღიმილი
და... ეზოში სიცოცხლის იდგა უივილ-ხივილი...

გარდასული ბავშვური თავაწყვეტა, ანცობა, —
დღეს მაწითლებს, ვითარცა გაკვეთილის არცოდნა!

IV

არის განცდების ლურჯი საუფლო
და სულს იმედი აპკვირტებია...
მივდივარ გზაზე, ლექსებს ვსაუბრობ
და, როგორც შეშლილს, მაკვირდებიან.
ქართა რიალში დგანან მუხები,
რწმენის ნათელი ფიქრებს ავარდებს,
მაგრამ სტრიქონი — კვიცი უხედნი,
ვინ იცის, როგორ გაინავარდებს!

1963 წ.

გაურ მოლაშხია

მეგობრისადმი...

ახლა ქალალდზე ფეთქავს სტრიქონი,
არის წუთების წვა და რიალი...
ვზივარ ეზოში და შენ გიგონებ,
ფიქრებით მთები გადავიარე.

შორით ღრუბელი მოიზანტება,
გულს კურნავს სიტყვა — ბრძენი ექიმი...
ელვით ივსება ჰორიზონტები...
წუხან ხეები გადაზნექილი...

როს სანუგემოს არაფერს ველი,
ვიღაცა მესვრის სიტყვებს ელვიანს:
„თავი მოიკლა... არ არის ძნელი,
ცხოვრება შექმნა... უფრო ძნელია.“

მაბრუებს ხეთა ყრუ ტაშისცემა
და ჩემში ლექსის აელვარება...
გრძნობა კი, როგორც უკვდავი რწმენა,
გულს მოასკდება ნიალვარებად...

იზრდება ფიქრი ლექსთა იებად
და უფრო სხვაგვარს ველი ზაფხულებს...
ალბათ არასდროს მეპატიება,
რომ ვერ მოვედი, ვერ გინაზულე...

ქარში აურუოლებთ ჭადრებს და ბუჩქნარს...
უშენოდ ქალაქს ვეღარ ვცნობილობ.
მოდი,
ხმაურით ავავსოთ ქუჩა,
მეგობარო და ჩემო ძმობილო!

1963 წ.

თერილი არჩილ ფირცხალავასაღო

კაცს ცხოვრებაში საფიქრალი რამე ექნება,
ზოგს ლექსებით და ზოგს ოცნებით უყვარს თარეში...
მე არ მჩვევია ყალბი სიტყვა, ყალბი შექება,
ლექსი არასდროს მიწერია გრძნობის გარეშე.

ჰოდა... ამ წუთშიც მძაფრი გრძნობა აღარ მასვენებს,
ისევ მაღლელებს, ისევ მანთებს... ალბათ მენდობა!
შენ ერთხელ კიდევ, ერთხელ კიდევ „მიმკა“ ახსენე
და მეც გაგიმხელ ჩემს სატკივარს ძმას და მეგობარს.

განცდების ფსკერზე გული გდია უღვთოდ დაჭრილი,
მაგრამ მშფოთვარე, მძლავრი სული აღარ ისვენებს,
როგორც ფირალი, ფიქრთა ტყეში მარტოდ გაჭრილა...
(ჰოი, უფალო! მომემველე, მოდი, მიხსენი!)

ო, გულმა ბევრი, ბევრი ლელვა გადაიტანა,
ბევრჯერ ყოფილა ნატკივარი სხვათა სიცივით...
ჩემშიც ხმიანებს სიყვარული, როგორც გიტარა,
და მესმის, მესმის შორეული მისი სიცილი.

შენ ხომ გაგიჟებს „მიმკას“ ხმა და „მიმკას“ თვალები
და ტრფიალისკენ მიგაქროლებს შენი მერანი;
შენ ძალგიძს მასზე რომ იმღერო მხრებით, მკლავებით,
მე ნება არ მაქვს, რომ ნანაზე მერქვას მღერალი.

და... დავალ ასე! სულით დამაქვს ჩემი სხეული,
ის თბილისშია, მე სოფელში დარდით დავტოპავ...
თუკი მოვკვდები, მისმა ეშმა დამასნეულოს,
მე აკრძალულმა სიყვარულმა დამიმარტოვა!

კაცს ცხოვრებაში საფიქრალი რამე ექნება,
ზოგს სიმღერით და ზოგს ოცნებით უყვარს თარეში...
მიყვარს სიცოცხლე, გაქროლება, წვა და შეგნება,
არ მწამს სიცოცხლე ტრფიალის და ლექსის გარეშე!

1963 წ.

გაური მოლაპშვილი

პრეცინავს ის ფერი...

ქარი მწვერვალებს ფოთლებს მიაშლის,
ვცდილობ ხელებით ქარის დაჭერას
და...

ირგვლივ ფერთა ორომტრიალში
ბრწყინავს ის ფერი... გულის დამჭრელად!

არის იმედის გამოცოცხლება
და ქარი მკოცნის ლამაზ ტუჩებით...
ასეთ სიყვარულს,
ამდენ ოცნებას
არ ვიცი, როგორ გადავურჩები!

ასე ვსაუბრობ მაღალ ვერხვებთან
და ეს განცდები — მზეს მისეული —
კვლავ მაგონებენ
შენთან შეხვედრას
და... გრძნობით მეწვის მთელი სხეული!

ქარი მწვერვალებს ფოთლებს მიაშლის,
ვცდილობ ხელებით ქარის დაჭერას
და...
ირგვლივ ფერთა ორომტრიალში
ბრწყინავს ის ფერი... გულის დამჭრელად!
1963 წ.



მომალი! თვალები მამხელენ...

ვიცი და... ეს უფრო მახელებს...
მამშვიდებს ტაბიძე... გრანელი...
ძნელია,
ძნელია გამხელა,
როდესაც ელი და... არ ელი...

დავდივარ, დავდივარ მთვრალივით,
გულს მიკლავს ნაღველი წყეული...
— გაგივლის!
გაგივლის!
გაგივლის! —
მაწყნარებს ხმა — მიმორნეული.

მე შენი ტირილი მახელებს,
მე შენი სიცილიც მახელებს...
მომკალი!
არ ძალმიძს გამხელა!
მომკალი!
თვალები მამხელენ!

ვერ ვიძლი ხეტიალს მთვრალივით,
ხან ესეც შველისო დარდიანს...
„ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის“,
დავდივარ! დავდივარ! დავდივარ!

1963 წ.



თითქოს დახვეშიც...

თითქოს ღამეშიც შენს გულს მზე უმზერს, —
 იწვი, ენთები, ბორგავ ისევე...
 და გახურებულ ფიქრთა სხეულზე
 იხრუკები და ვეღარ ისვენებ...
 ზოგჯერ სისწრაფე წამთა გაოცებს,
 ხან კი ავდარიც რწმენით ადარე...
 ზოგჯერ დარდების სასაფლაოზე
 გულს სასოების სხივზე ატარებ.
 და... ასე ცვლიან წუთებს წუთები,
 ღამეს ღამე და... შფოთავ ისევე...
 შინ ხარ თუ გარეთ, ფიქრებს უნდები
 და წვიმაშიაც ვერ გრძნობ სისველეს.
 — ასე იცისო ახალგაზრდობამ, —
 ერთხელ გითხრეს და მერე ვერ ცხრები...
 — ძნელი არისო ბედზე დანდობა, —
 დაჭიკვიკებენ მზეზე მერცხლები.
 და შენც შენი გზა გინდა მონახო,
 ზეცის ტატნობზე ადნობს მზე ღრუბლებს...
 თუ სიყვარულის ყმა ან მონა ხარ, —
 ამაზე ვერვინ გისაყვედურებს...
 თითქოს ღამეშიც შენს გულს მზე უმზერს,
 მას იგონებ და, ბორგავ ისევე...
 და ალმოდებულ ფიქრის სხეულზე
 იხრუკები და... ვეღარ ისვენებ.

1963 წ.



დარღი

ტიტე მოსიას

|

ჩემ ირგვლივ ახლა ფიქრების ტყეა,
ძლივს ვუმკლავდები გრძნობათა ღვარებს...
„ჩააწყვეტ რიგში ცამეტი ტყვია“,
ცამეტჯერ უნდა ვესროლო დამეს.

გაჰყვება ქარებს მრავალი წელი,
„მოახლოვდება გზა ოცდაექვსი“...
ვიცი, მექნება სავალი ძნელი
და ამატირებს საოცრად ლექსი!

დე, სივრცე ელვით გადაისეროს
და გულმა იწყოს გზათა არჩევა...
გაივლის წლები ალბათ ისე რომ
ჩემი სახელი აღარ დარჩება!..

ყველა წამება ასე იწყება: —
მე მიუწვდომელს განა მივწვდები?
როგორც ხმელ ფოთოლს, დამივიწყებენ
და, იმ გოგოსაც დავავიწყდები...

||

მწუხარე ლექსით ვიგონებ გრანელს,
წუხს დამსხვრეული პოეტის ქნარი...
მე ახლა შინ ვარ და, ძმაო, გარეთ
შეძრნუნებული მიმორბის ქარი...

პოეტთა მეფის იელვებს ლანდი,
ლურჯა ცხენების
ჭიხვინი მესმის;
სადაც ლექსკაცის ხატება დადის,
იქ ვერ იხარებს უძლური ლექსი...

გაურ მოლაშხია

III

თითქოს მივყვები იდუმალ მაღლობს
და... დიდი ღამით გამკაცრდა სული...
მინდოდა ყოფნა ყველასთან ახლოს
და არ ჰქონოდა გზას დასასრული.

მინდოდა მუდამ ლექსი მეწერა
და ვქცეულიყავ მთად და სერებად;
არ ყოფილიყო დარდი — მეწყერი —
და თვით სიკვდილის ქვეყნად ხსენება...

მაგრამ... ვინ იცნობს კაცს — ჯერ უვნებელს
და... ეს სამყაროც მოძრაობს ისევ...
დღეს ამ დარდისთვის გამამტყუნებენ,
არ მომაკლებენ შხამიან ისრებს....

ზოგჯერ ვიქცევი, ძმაო, ბალლივით,
ხან ჩემში დიდი ნალველი იწვის...
უსაფუძვლოა იქნებ ბალლამი
ან იქნებ სულაც არა მაქვს ნიჭი....

ო, რა მძიმეა ყოველი ესე!
დარდის ცეცხლშია გული, სხეული...
თუმცა... ჯიუტად ახალ გზას ვეძებ,
მსურს ვიყო რწმენას გადახვეული...

ჩემ ირგვლივ კვლავაც ფიქრების ტყეა,
ძლივს ვუმკლავდები გრძნობათა ღვარებს...
„ჩააწყვეთ რიგში ცამეტი ტყვია,“
ცამეტჯერ უნდა ვესროლო ღამეს!

1963 წ.



შემლილი ქალი

- ეს ვინ არის, საწყალი, კაბაშემოძარცული,
რომ მოდის და გვიცინის... რა მწუხარე სახე აქვს...
- ავადაა, — ჩურჩულებს ცრემლიანი ასული...
- ის კვლავ მოდის და ხშირად ცას მუდარით ახედავს.

- ეს ვინ არის, ვინ არის? — კითხულობენ ფოთლები...
- ხალხი დადის — ქცეული კითხვებად თუ ფიქრებად...
- აპატიეთ საწყალ ქალს საოცარი ბოდვები...
- მეგობარო, ეს ქალი მუდამ ასე იქნება?

და... სიტყვები ცახცახით სადღაც გაიფანტება...
პასუხს არვინ იძლევა... მოდიან და მიდიან...
სივრცე კვნესის...
ხეები დგანან ნისლის ბაფთებით...
ნუთუ ქვეყნად სიცოცხლე მხოლოდ ბენგის ხიდია?

- ეს ვინ არის, საწყალი, ნუთუ უპატრონოა? —
კითხულობენ გლეხები —
ფეხადგმული მუხები...
- თან ჩურჩულით ამბობენ: — „ჰე, ძმობილო, დრო მოვა“...
და კვლავ მიაბიჯებენ დაკორძილი მუხლებით.

- ეს ვინ არის, ვინ არის? კაბაშემოძარცული,
რომ დადის და გვიცინის... რა მწუხარე სახე აქვს...
- შეშლილია... დედაა! — კვნესის თეთრი ასული...
- ის კი მიწას აკოცებს და მუდარით დახედავს...

1963 წ.



ისევ ძიება, ისევ გაცდები

... ისევ ძიება, ისევ განცდები,
არა ბოლმა და უდარდელობა...
ო, მეგობარო, სულით დაცემა
საშინელია, როგორც მკვლელობა!
თუმც გული ფეთქავს ბედთან კირთებით, —
იგი არავის ემათხოვრება...
ზოგი აქედან მიდის დიდებით,
ზოგიც არავის ემახსოვრება.
როგორც მუსიკის უვერტიურა,
ისე ვიზყებით, ნელა ვიზრდებით...
მზე ჩვენს სანიერს უმზერს ღვთიურად
და ჩვენ გვამართლებს ჩვენი მიზნები...
არა შიში და უკანდახევა,
ახალგაზრდობას ეს არ სჩვევია;
ლექსი გულს ძმობას უკარნახებს და
ძმობას მრავალი გადურჩენია.
ქარი ხმაურობს მოხეტიალე
და დრო მიიღობის გაუტანელი...
მთაწმინდაზე დგას გალაკტიონი,
სივრცეს გაჰყურებს ტანჯვით გრანელი...
გემი მრავალჯერ ზღვას გადაცურავს,
ცა მფრინავებით გადისერება...
ვინც კაცი იყო — მოკვდა კაცურად,
მუდამ იქნება მისი ხსენება...
ისევ ტკივილი, ისევ განცდები,
არა ბოლმა და უდარდელობა...
ო, მეგობარო, სულით დაცემა
საშინელია, როგორც მკვლელობა!

1963 წ.



თუ ქართველი ვარ — ქართველურად უცდა ვიმღერო

I

ნედლი ლერწმები
ან მუხები რად ენთებიან,
როცა ვახსენებ
წინაპართა სახელს უდიდესს...
გულში მარადი
სიყვარული ამთერგებია,
დე, ეს სიმღერაც
ხმამქუხარე ძახილს უდრიდეს!

მე დიდ სიყვარულს
ვუმღერი და გავერითმები, —
უცებ ციური
ცვარი ციდან გადმომეცვარა...
ჰაუ, რამდენი
ავიტანეთ, რამდენს ვითმენდით,
რომ საქართველო
მტრის ხელიდან გამოგვეცალა...
ჰაუ, რამდენი
ავიტანეთ, რამდენს ვითმენდით!

II

მამულო ჩემო! თუ წარსული გქონდა მწარე შენ, —
მაინც არ იყავ უსასოო, რწმენის გარეშე!

ქარტეხილებში იწრთობოდა შენი სხეული,
ბევრჯერ იხილე მტერი ძრწოლით უკუქცეული.

ბევრჯერ გაფანტე მძლავრი ფრთებით შავი ღრუბლები
და აწ ვის ძალუძს, — მზე წაგვართვას თავისუფლების?

თუგინდ დუშმანმა ხმალი ყელზე გადამიღეროს, —
თუ ქართველი ვარ — ქართველურად უნდა ვიმღერო!

გაურ მოლაპშია

მომხდურებს მუდამ ვაოცებდით გარაინდებით,
რწმენით ვიბრძოდით და ტკივილებს მარად ვითმენდით.

მამულო ჩემო! კი გქონია ყოფნა მწარე შენ, —
მაგრამ არ იყავ ჯაბანი და რწმენის გარეშე!

თუ ეცემოდი, — არ იყავი მაინც ძლეული,
თუ მარცხდებოდი, — არ იყავი სირცხვილეული...

ბევრჯერ გაჰთანტე მძლავრი ფრთებით შავი ღრუბლები
და დღეს ვის ძალუძს — მზე წაგვართვას
თავისუფლების?

თუგინდ დუშმანმა ხმალი ყელზე გადამიღეროს, —
თუ ქართველი ვარ — ქართველურად უნდა ვიმღერო!
1963 წ.

მი და ქარები

აწყვეტილი თუ მძაფრი ქარები
დათარებობენ ელვის რაშებით;
ზოგჯერ მეწყრული გამოქანებით
ქარებს ვიჭერ და, ვეთამაშები...

ერთხელ ვესროლე ქარებს ქამანდი
და... ავამღერე ყველა ლექსებად...
მხრებზე დამაწვა ზეცის თავანი
და დედამიწა ხელზე მესვენა.

მერე... ქარებთან, რაღაც განგებით,
ვიწექ გულალმა სივრცის ველობზე
და ჰარმონიულ, მშვიდი ჰანგებით
ერთად ვმღეროდით საქართველოზე.
1963 წ.

შენ არ მომკვდარხარ...

(მამის წლისთავზე)

იმ დღეს პირველად იგრძნო სულმა ტკივილი,
მამა!

სახლშიც პირველად გავიგონე კივილი,
მამა!

მეგონა მაშინ რომ გვტოვებდი ცოტა ხნით,
მამა!

დაცარიელდა შენი ოდის ოთახი,
მამა!

გაზაფხულს ისევ შეუკერავს ფარჩები,
მამა!

ნუთუ მიწაში სამუდამოდ დარჩები,
მამა!

მზეა... შენს საფლავს მსურს ფოთლები ვუჩრდილო,
მამა!

შენ არ მომკვდარხარ... კვდება კაცი უშვილო,
მამა!

1963 წ.

რომელზე უდეა იფიქროს კაცება...

ვინ გამოიცნო ხვალის იარა
ან ვის უგრძნია განცდის დინება?

ვის უმღერია ხალისიანად,

ვის სურდა ბნელში გაციმციმება?

ვის შეუმოკლეს ფრთები საფრენი,

ტყვია ვის მოხვდა კარგის მაგიერ?

ან ვის ჩაუქრეს ბნელში სანთელი

და ვის უმღერეს „მრავალუამიერ?“

ვის დაუცხრილეს შუბლი ტყვიებით,

ვინ არ კარგავდა წმინდა იმედებს?

ვინ იყო სავსე შურისძიებით

გაურ მოლაშხია

და... წინამურთან ვინ გაიმეტეს?
ვის აღელვებდა შოთას ვეფხვი და
გალაკტიონის ლურჯა ცხენები?
ვის დაჰყოლია სკოლის მერხიდან
უყისმათობა, სუფთა ცრემლები?
ვის უგზავნიდნენ ჩუმად ბარათებს,
ვინ შეიძულებს, როგორც მზაკვარი?
ვის შეიყვარეს, ვის უღალატეს,
ვის უწინამძღვრეს ბნელში ლამპარი?
ვის ერგო ბედად მამელუკობა
ან სიყვარული ვის ერგო ბედად?
ბევრის ხელ-ფეხი არ შეუბორკავთ,
შებორკილებს კი რად ჰეგავდნენ ნეტავ?
ვის უცინია, ზღვები ვინ მოვლო
ან ვინ ემსხვერპლა გრძნობებს თუ განცდას?
ო, დმერთო ჩემო!
შენ უწყი მხოლოდ, —
რომელზე უნდა იფიქროს კაცმა!

1964 წ.

გალადა პოეტის გულზე

ნიკო ლორთქიფანიძის მინიატურა
„გულის“ მიერ შთაგონებული

არ სჩვევია ლიქნობა და კვნესა,
მოთმინებით სიყვარული შეძლო;
მძაფრი გრძნობა გადმოღვარა ლექსად
და იდუმალ ფერთა ფერებს ეძმო.

ლურჯი კალთა შეურხია ლაჟვარდს,
მოიხილა ვარსკვლავეთის მხარე...
გრძნობდა კვირტის ფაჩუნსა თუ გაშლას,
არ უკრთოდა თავაწყვეტილ ქარებს!

გული იყო ის — პოეტის გული,
სიკეთეზე რომ მდერნდა მარად;
ვერ იტანდა დაშინებულ დუმილს,
უქარვებდა ხალხს წუხილს თუ ვარამ!

მაგრამ... ერთხელ ავად გახდა იგი —
ვინც პოეტი და მისანი იყო;
ვერ გაექცა ქვესკნელისფერ სიკვდილს,
თუმც სიმივით აჟღერებდა სტრიკონს...

აირია წევიმა, ნისლი, ბური...
 ცრემლი ნასკდა მოელვარე მზესაც...
 — კაცი გაჭრეს, ვერ იპოვეს გული,
 ის ქცეულა მარადიულ ლეგესად!

1964 6.

ზეალება სვეტიცხოველთან

დიდოსტატ კონსტანტინე გამსახურდიას

იელვა და ჩაქრა... დუმილი გამეფდა...
იელვა, საღამო განათდა საოცრად...
ცალხელა აჩრდილი მიიჭრა სარკმელთან,
შეეხო მარჯვენით და განჯლით აკოკა!

ქარს მოაქეც ბალიდან შრიალი სუროთა,
ეზოში შემკრთალი დარბიან ლანდები...
გაისმის ვედრება:
— კვლავ მოდი, სულო, და
ნუ დაგვიანდები! ნუ დაგვიანდები!

გაურ მოლაშხია

ვდგავარ და ლადარი გარშემო მედება,
ვუყურებ, განვიცდი, ვუყურებ და მჯერა: —
ოსტატმა სიყვარულს და შემოქმედებას
შესწირა ყოველი: — გული და მარჯვენა!

საკმევლის სურნელით ვარ გარემოსილი,
ბანგივით მაბრუებს ბურუსი ზმანების;
კვლავ იდუმალია ცა ანგელოსივით,
უხმებოდ რეკავენ ციური ზარები:

— მეფეო, ისმინე უსიტყვო ვედრება...
— მეფეო, შორენა დაუთმე ხელოვანს...
— ნუ ალემართები უთვალავ მკერდებად...
— დაუთმე! — იძახის მთები და ხეობა...

ისევ მიმორბიან შემკრთალი ლანდები
და გადაცმულები მთვარისფერ ფარჩებით...
— ო, სულო! — ჩურჩულებს ოსტატის ბაგენი...
— გვნახავენ, გეთაყვა, მეტს ვეღარ დავრჩები...

სალამო გუმბათებს იისფრად ადნება,
დგას სვეტიცხოველი — ღვთიური ანთებით...
— ერთმანეთს ვშორდებით, სად არის განგება?
— რაც ხდება, ძვირფასო, ნებაა განგების!

1964 წ. მცხეთა



დაცაშაული

I

ვინ ამიზომავს ან ვინ აწონის
ჩემს დანაშაულს — ასე რომ მტანჯავს...
დარდი ჰეგავს ორუბელს — გულში ჩაწოლილს,
თუმც გრძნობა ისევ უცვლელი დამრჩა.
ო, დიდი რამ მაქვს დანაშაული —
ან, უკეთ რომ ვთქვა, ანი მექნება,
თუ ლექსს სიცოცხლე მარადფამული
ვერ მივანიჭე, როგორც შეგნება...
სულს უფრო მეტი უნდა მოვთხოვო,
გულს შევაყვარო უნდა ხმაური...
კარგო, უშენოდ ქვეყნად რომ ვცხოვრობ,
განა არ არის დანაშაული?

II

ყველას აწვალებს დარდი უმზეო,
ყველას თავისი სადარდელი აქვს;
ვიღაცა შენს გზას იმედით უმზერს,
სადღაც გნატრობენ... სადღაც გელიან...
გთხოვ, გაამართლო შენ ეს ლოდინი,
ჩემო სიმღერავ — გულში ჩაღვრილო,
სიტყვა თამამი, არდაკოდილი,
მიუშვი ნებით და უაღვიროდ...
დაე, იქროლის მარდად ქარივით,
ზოგჯერ სიმძლავრეს ნიშნავს ქარი და...
რათა ვიშოვო ჭარბად მარილი —
აღზევანს წავალ ნიშა ხარითა.
თუ გზები ნისლით დაითალხება,
თუ დაიღუპნენ ჩემისთანები, —
ავი სიზმარი მაშინ ახდება
და ატირდება დედის თვალები;
თუ დამიტანენ მტვრევით ტინები,
თუ გამიმეტებს ძალა ბუნების, —
„თქვენ მაპატიეთ, ჰო, მაპატიეთ,
დანაშაული არ დაბრუნების.“

1964 წ.

გაური მოლაპშეია

ყველგან სიმღერად გადავიშლები...

ყველგან სიმღერად გადავიშლები,
შუქი ვიქწები — მინდვრებს დაღვრილი...
ახმიანდება, ვით კლავიშები,
ეს ჩემი სული — ცისკენ ახრილი.
ჩაისუნთქავენ ქარებს ვერხვები,
აცეკვდებიან შვებით ლანდები...
ო, გთხოვ, ღიმილით კვლავ ნუ შემხვდები,
თორემ უგონოდ შემიყვარდები!

1964 წ.

საღამო, ეარი და ტრამალი...

საღამო, ქარი და ტრამალი...
შორს — ელვის პრიალა ცელები...
ღრუბლებმა მთვარე რომ დამალეს,
ატირდნენ მსუბუქი ცრემლებით...

ქარია თავნება, აშარი,
რაშივით ვერ ითვლის ნახტომებს;
ტყემ ქოლგა ფოთლების გაშალა,
ფოთლები სიმშვიდეს ნატრობენ...

ნეტავ ვის აუხდა ნანატრი,
ღამეებს წვალებით ვინ ათევსა...
დამწამონ კვლავ შენი ღალატი,
ოლონდ შენ გჯეროდეს სიმართლე!

დამწამონ სუყველა სიავე
და სივრცე ნისლებმა მონისლონ...
მაინც შენ გიმღერებ სიამით,
მითხარი: — ისევ თუ მომისმენ?

დაფრენენ ფიქრების გუნდები
და ელვის პრიალა ცელები...
ღრუბლები, მსუბუქი ღრუბლები, —
ტირიან ქალწულის ცრემლებით.

1964 წ.

აამდერე როიალი...

აამდერე, აამდერე როიალი,
სიცოცხლეზე, სიყვარულზე... გევედრები!..
ამაშორე ზმანებანი მორიალე
და, მაჟრუოლე სანეტარო შეხვედრებით.
რომ დავდივარ, — შენ გიმლერი, განა ვკივი,
საიმედოდ წრფელი გრძნობა მომიალე;
სანამ გული დაიმსხვრევა ლარნაკივით,
მანამ ისევ აამდერე როიალი.
შუალამით მომინდება გადარევა,
გადარევა —
შენთან ერთად სიარულით...
ჩემი გული აღმაფრენას გადარებდა
და უშენოდ
არც ყოფილა მხიარული!
მოხვედი და... შავნალვლობა ამარიდე,
ამარიდე ზმანებანი მორიალე...
ცის თუ განცდის
ლაჟვარდოვან კამარიდან
გევედრები: — აამდერე როიალი.
სიძლერაში წრფელი გული არა კვდება,
არა ქრება — რაც ტრფიალით დანამულა...
გადვიქცევით ლეგენდებად, არაკებად,
მეცხრე ცაზე ავმდერდებით სალამურად!
სადღაც დიდი სიხარული გველოდება
და... მწყურია შთაგონების მეტი ალი...
ჩვენი სუნთქვა და სიცოცხლე მეორდება

გაურ მოღაშხია

და... კვლავ მინდა
შენთან ერთად ხეტიალი.
თუ სიმღერამ დავიწყებას ამარიდა: —
შენც მამღერე... სიყვარული მომიალე...
ცის თუ განცდის
ლაჟვარდოვან კამარიდან
გევედრები: — აამღერე როიალი!

1964 წ.

ლოდინი

ბრწყინავს ცარგვალი ოქროს ჭალივით,
ბავშვის გულივით ფეთქავს ბუნება.
მლოცველებივით დგანან ჭადრები,
თითქოს
ლმერთს სთხოვენ შენს დაბრუნებას.

იწნავს ნიავი ნისლის ნაწნავებს,
მთა ემზადება დასაძინებლად;
ხეს უგრძნობლობას ვერვინ დასწამებს, —
შვერის ცრემლები მასაც მძივებად...

უშენოდ გზებიც მოწყინილია,
მოდი,
ავანთოთ გრძნობა ულევი...
ამ სიყვარულის მოწმედ ივლიან
ქარები,
როგორც მოგზაურები....

ბრწყინავს ცარგვალი ოქროს ჭალივით,
ისევ გულივით ფეთქავს ბუნება...
ხელაპყრობილნი დგანან ჭადრები,
თითქოს
ლმერთს სთხოვენ შენს დაბრუნებას.

1964 წ.

ხერილი სვანეთში

მე მოვდივარ, გამოალე კარი,
აამღერე ჭუნირი ან დაირა...
უკან მომსდევს და ღულუნებს ქარი: —
„შაი ოდი, შამორირა, შაირა!“

მოვკვდე, მოძმის გამარჯვება თუ მშურს,
მინდა ყველა სიხარულით მღეროდეს...
მე ვეწვევი შხელდასა და უშებულს
და უშენოდ არ წამოვალ, გჯეროდეს!

გადმოგაფრენ წვიმაში თუ თოვლში —
ჭაბუკური წვით და აღფრთოვანებით...
ბაბუ მეტყვის: — ეს რა ჰქენი, ბოში...
ნამდვილ მარეს * მიწოდებენ სვანები.

მოგეხვევა თმანათელი დედა,
შეიყვარე მისი ტკბილი მეგრული...
გადმოგვხედავს დაუდლელი მზე და
ჩვენს სიყვარულს გააზღაპრებს ენგური.

შენ მიმღერე: — „სი სოული, ბატა!“
და ზუგდიდშიც გახურდება დაირა;
ქარი მოვა, ამღერდება კართან: —
„შაი ოდი, შამორირა, შაირა!“

1964 წ.



* მარე — (სვან.) კაცი.

პოეზიას

ეს — გრძნობა ჩემი! ეს — სისხლი ჩემი!
მღელვარე გულის ცეცხლთან კირთება...
მე მუდამ შენი ერთგული ვრჩები,
რომ სულს რითმები ესხას კვირტებად.
გენიოსების შენ ხარ მფარველი
თუ შენ გიცავენ გენიოსები?
შენში სიმხნევეს ჭვრეტდა ქართველი,
თავს გევლებოდა წრფელი ოცნებით...
ხან მარადიულს ჰეგავხარ გოლგოთას,
ხან მაცოცხლებელ წყაროს ედრები...
შენს სამსხვერპლოზე გული მოჰქონდათ...
შენ გაამხნევე ომში მხედრები...
გაუჯანსაღე სული მეომარს,
შიში არგუნე თაღლითს, მუხანათს...
სიცოცხლე შენით გაიმეორა,
ვინც შენი გზნებით დაიმქუხარა!
ვარსკვლავთა წყება გარს მომესია
და ლაშვარდები დნება ველებზე...
— სამშობლო, რწმენა და პოეზია: —
აი, ეს არის უპირველესი!
დღეს ჩემი გული, როგორც ზვარაკი,
მომაქვს და... არვის ვემუხთალები...
შენი ერთგული ვრჩები მარადის
და... ერთგულებას გემუდარები!

1964 წ.



სიმაღლე

არის ლოდინი ჩემი და შენი,
არის ტკივილი ჩემი და სხვისი...
ზოგს მართლაც
წმინდა სიცოცხლე შვენის,
ზოგიც არ არის სიცოცხლის ღირსი;

მაგრამ ის ერთ დროს ეძლევა ყველას, —
ძლიერს თუ უძლურს, დაბალს თუ მაღალს...
თავისებურად სუყველა ღელავს,
ყველას თავისი იღბალი ახლავს;

ყველას უდელავს გული თუ მკერდი,
ოცნებობს ღამით, ოცნებობს დღისით...
მაგრამ ასეთი ყოფილა ხვედრი: —
ყველა ვერ ხდება სიმაღლის ღირსი,

სიმაღლის — რასაც ტკივილიც ახლავს
და გამარჯვების უქრობი რწმენა...
თუ აგამაღლა მიწამ და ხალხმა,
მაშინ მისწვდები სანუკვარ მწვერვალს...

თუ დაეცემი — არ გძლიოს შიშმა,
სიკვდილს აჯობე სიცოცხლის მსგავსად...
ზოგჯერ დაცემა — ადგომას ნიშნავს
და უკვდავების მწვერვალზე ასვლას.

1964 წ.



გაურ მოლაპშია

უპირველესად გნამდეს — სამშობლო

შეუძლებელთა გინდა შეძლება,
რომ ცასაც მისწვდე დაფნის ტოტებით...
ქვეყნად სიკვდილი ერთხელ გეძლევა
და სიცოცხლეშიც ნუდარ მოკვდები!
გული — ლექსის და გრძნობის აკვანი —
იმედის სხივზე უნდა არნიო...
ყველგან აანთე ძმობის ლამპარი,
თუ გსურს სიმღერამ გაიარნივოს!
სულით დაცემა ღმერთმა გაშოროს,
განა წყლულები კვნესით ხორცდება?
უპირველესად გნამდეს — სამშობლო
და შენ სიკვდილიც გესიცოცხლება!

1964 წ.

ჩემო მინავ, ჩემო ხორცო

მე უშენოდ სად ვიხარო,
ჩემო მინავ, ჩემო ხორცო, —
მინდა ხელში აგიყვანო
და ბავშვივით გადაგურცნო.

შენი ფეთქვა მარად მესმის: —
შოთას სისხლო, ცოტნეს სულო...
მოვკვდე, ოღონდ სამარეშიც
შენი წყარო მომესხუროს.

გზა შენი მზით გამინათე
(დაიძინონ ვულკანებმა...),
მე სიკვდილსაც აქ ვინატრებ,
სხვაგან არ მსურს უკვდავებაც.
1964 წ.

მე ქველი გზებით არ ვიცლი

სული ხმაურობს ქარივით
და იღვენთება ლექსად,
არ დამაკლდესო მარილი —
ყვირის და, არ სურს კვნესა!

ცაზე ღრუბლები ღელავენ;
აქ შრიალია ხეთა...
— ჩემი ცხოვრების მენავევ,
საით მიგყავარ წეტა?

მე ძველი გზებით არ ვიცლი,
ეს გიხაროდეს შენცა...
სატრფოს ჩახვეულ ქალივით
მინაბულია ზეცა!

1964 წ.



ჭოლას მონოლოგები

სატუსალოების მთავარმა სამმართველომ
განკარგულება მოახდინა პეტერბურგიდან ყირიმის ერთ-
ერთ ქალაქის სატუსალოში გავეგზავნე „საექიმოდ“.
ჭ. ლომთათიძე

1. მატარებელში

ჩქარა, ჩქარა! ეს ცხოვრება ძნელია,
გამაქროლე ქარაშოტის დარად;
ეს ბორბლები ნეტავ რისთვის მღერიან:
— „არა, არა, არა!“
შორს ოცნება აელვარდა მზესავით,
— სახიერო, ეს წვალება კმარა!
— მეგობარო, დასასრული ეს არის?
— „არა, არა, არა!“
მიქრის, მიქრის... უკან რჩება ველები,
თავაწყვეტით ასე ვივლი მარად...
— დამანახეთ სიყვარულის ცრემლები...
— „არა, არა, არა!“
ქარი წივის და ეხლება მავთულებს,
ბედისწერამ ქროლა დამავალა...
— ეს ცხოვრება სუყველაფერს ართულებს?
— „არა, არა, არა!“
მთვარე ებრძვის ჩაბაცებულ ვაგონებს...
— ეს ვინ კვნესის?
— ჰეი, ვინ ხარ! წყნარად!
— ვიღაც კვდება, ნუთუ არ გვყავს გამგონე?
— „არა, არა, არა!“
ვაგლახ, ბედო, განყვეტილო სიმებო,
ალბათ სახლში უკვე მთვლიან მკვდარად;
ყიამეთში ჩაკარგულო სხივებო,
ეს სიბნელე კმარა!
ხალხის სისხლით მორწყულია მიწები,
ხალხის ძვლებით მოხრეშილა შარა...
— ნუთუ მუდამ მოვითმინოთ, ბიჭებო?

— „არა, არა, არა!“
ჩქარა, ჩქარა! აქ ცხოვრება ძნელია;
გამაქროლე ქარტეხილის დარად...
ეს ბორბლები ასე რატომ მღერიან:
— „არა, არა, არა!“

2. საკანში

ცხოვრებამ დამცა და დამტორა,
დრომ ყველა იმედი დამარხა...
საკანში მე სულით მარტო ვარ,
ღამეა...
ეარია...
სადა ხარ!
შავბედმა მრავალი ატირა,
წაგვართვეს უფლება სიცილის...
მიშველე, პოეტს და პატიმარს,
მაკმარე ტანჯვა და სიცივე!
გამლილა ციური მინდორი,
ფიქრი ზღვის ტალღებზე ვარწიე...
ამქვეყნად სიმართლე ვინდომე
და უსამართლობით გამწირეს!
მე ქარის რაშებით მოვქროდი
და ახლაც ის ქარი მომკივის...
ენაზე დამადეს ბოქლომი,
ფეხებზე — ნაჭედი ბორკილი!
ღამე უმთვაროა...
გული მან გვატყინა, —
რამეთუ მთავრობამ
საკმაოდ გვატირა!
არა ჩანს საშველი...
გზა სისხლით მოცვარეს...
სამშობლო მაჩვენეთ! —
სანამ ვარ ცოცხალი!
გული ხომ დაგვიჭრეს,
კარიც ვინ დაკეტა...

გაურ მოლაპშია

ძვირფასი! ხვალ ბიჭებს
მოელის დახვრეტა!
ვზივართ და განსაცდელს ვუხვდებით
გულმტკიცედ და არა კანკალით!
— სანამ გვაქვს მკლავი და მუხლები,
ბიჭებო! დავლენოთ საკანი!
მეძახის ციური მინდორი,
ფიქრი ზღვის ტალღებზე ვარწიე...
ამქვეყნად სიმართლე ვინდომე
და უსამართლობით გამწირეს!

3. ქვეყანა ბნელი საპყრობილეა

„მომწყინდა. მძიმე, მწვავე და ლრმა სევდა
მანევს გულზე. ვზივარ ამ სანახევროდ ბნელსა და
მოლუშულ საკანში და განვაგრძობ წერას.“
ჭ. ლომთათიძე

გადიჭიხვინეს თითქოს თავზე ურა ცხენებმა, —
ვარ გათელილი და ეს გული მარტო ილევა...
მიპყრობს და მდალავს საშინელი ციებ-ცხელება, —
მთელი ქვეყანა ახლა ბნელი საპყრობილეა!
სადღაც ჩამაგდეს
და კარები გამომიკეტეს,
ყინვა და თოში...
მე კი ორგვლივ ცეცხლი მედება...
ბოროტებისგან
დაძლეულა ყველა სიკეთე,
მაინც რატომლაც
გათენება მეიმედება!
ციხის კედლები მომწყვდეული, სულით მარტო ვარ,
შმორი მაწუხებს,
გულს მიხუთავს, არ მეძინება...
გაჭირვებისას მიმუხთლეს და ყველამ დამტოვა,
მათ სიმუხთლეზე
ზოგჯერ მწარედ ჩამეცინება...

სადღაც კვლავ დუმან მოლოდინით ძველი ამქრები...
ბრბო კვლავ ცახცახებს — უძლურია და თან ძლიერი...
მე ეს ცხოვრება
მემუქრება — უშნო აქლემი
და სისხლისფერად მეხატება დასალიერი...
ჩემი სიმღერა
არ მოკვდება, არ დაჟანგდება,
ჩემი წილხვედრი უკვდავება ჩავისალამე;
ისევ მანახეთ
საქართველოს ცალაშვარდება,
მერე კი თუნდაც გამითხარეთ შავი სამარე...
გადიჭივინეს
თითქოს თავზე ურა ცხენებმა, —
ვარ გათელილი და ეს გული მარტო ილევა...
მიპყრობს და მდალავს საშინელი ციებ-ცხელება, —
მთელი ქვეყანა ახლა ბნელი საპყრობილეა!

4. ვედრება

„მე ავად ვარ... თავი მტკიცა, თავი მიხურს და
მიბრუის, სული მიწუხს, მიშფოთავს და
სიკვდილი არ მსურს.“

ჭ. ლომთათიძე

ო, ჩემო გულო, დაუმცხრალი ძალა მიბოძე,
თორემ იმედი იწენება და თან იმღვრევა;
ო, ჩემო გულო,
ჩემო გრძნობავ, ჩემო სიცოცხლევ,
გემუდარები, მათქმევინე ყველა სიმღერა.
ცის სიანკარეს, სილაშვარდეს ჩემი სალამი!
ქვეყნად სიცოცხლე
და ლიმილი იყოს დღეგრძელი...
დღეს ნუ დამიმსხვრევ სიყვარულის წმინდა
სალამურს,
რამეთუ, გულო,
ყველაფერი შენით შევძელი.
როცა ხმაურობ, —

გაურ მოლაპშია

იწვი, შფოთავ, ცეცხლებრ ენთები, —
ვერას მაკლებენ აწყვეტილი ვწების ქარები...
ო, ჩემო გულო,
შენ ხანდახან რატომ ჩერდები?
გთხოვ, ნუ დამტოვებ, ნუ გამწირავ, გემუდარები!
ჯერ კვლავ ადრეა, გამიგონე, ისევ ადრეა,
არ მოგვიხდია ჩვენი ვალი ქვეყნის წინაშე...
ხომ გესმის,
ზოგჯერ შეუბორეავ გრიგალს მადრიან
და არ ჩამაქრო
ახალგაზრდულ ცეცხლის ბრწყინვაში...
ო, ჩემო გულო, დაუმცხრალი ძალა მიბოძე,
თორემ იმედი იწენება და თან იმღვრევა...
ო, ჩემო გულო,
ჩემო გრძნობავ, ჩემო სიცოცხლევ,
გემუდარები, მათქმევინე ყველა სიმღერა...
1964 - 1965 წ.წ.

სურათი

ქარი მძლავრობს, ქარი შფოთავს
და მწვერვალებს ედება,
მისი ძალა ხმაურშია,
არასოდეს ბერდება;
დაჰქრის, ღელავს, არ ჩერდება,
ხან აქ არის, ხან — იქა...
ტყე გუგუნებს: — ყაჩალია,
მომეშველეთ, არიქა!
ფრთები ისე გაუშლია, —
შეშურდება არწივსაც;
წუთითაც არ დაისვენა
სანამ აღარ გაწვიმდა.
მერე... წვიმით გაილუმპნენ
ველ-მინდვრები... ქუჩები...
და ნაცემი ბავშვებივთ
ასლუკუნდნენ ბუჩქები!

1965 წ.

აგალამ მთვარე არ ამოვა...

ამაღამ მთვარე არ ამოვა —
ჩვენი შეხვედრის მაუწყებელი...
ახლა ლოდინი ამაოა,
როგორც რომანი დაუწერელი...
ქარი ქრის, ქარი — უკარება,
გალავანივით მაკრავს დუმილი...
მჯერა ოცნების უკვდავება
და მღერის სისხლი ნაკადულივით.
ახლა ლოდინი ამაოა,
როგორც რომანი დაუწერელი...
ამაღამ მთვარე არ ამოვა —
ჩვენი შეხვედრის მაუწყებელი.

1965 წ.

ფიქრი

ზის... ელის... ფიქრობს...
სივრცეს გასცერის გარინდულ თვალით...
სიჩუმე ირგვლივ...
მან ახლა იგრძნო —
ყველაზე მხნე და თავისუფალი
ფიქრია, ფიქრი!
მას ვერ იხილავს მსტოვართა თვალი,
ვერ შებოჭავენ ხელები რკინის;
მას შეუძლია გაარჩიოს მტყუან-მართალი
ისე, რომ ვერვინ
ვერ მიუხვდეს შვებას თუ ტკივილს...
ო, ფიქრო, ფიქრო, იქროლე მარად,
შენ მაახლოებ — უსაშველოდ შორეულ გულთან...
რაგინდ ეცადოს — ვერ გაიგებს ვერვინ აშკარად,
თუ რა მაღონებს, რა მაშფოთებს,
რა ცეცხლით ვსუნთქავ!

1965 წ.

გაურ მოლაპშია

მეჩონევურის სიკვდილი

ოთახში ქალი მოთქვამდა მწარედ:
— „მამავ, უშენოდ ჩონგური დარდობს“...
იგი ტირის და ვერვინ აწყნარებს
და მუქი ფერი ედება ტატნობს...

შენთან რა უნდა არყოფნის ნისლებს
(სისველე რატომ იგრძნეს თვალებმა?),
ჰე, მეჩონგურევ, აენთე ისევ,
ვინ თქვა სიმღერის გარდაცვალება!

ჰე, მეჩონგურევ, სიმები თრთიან,
კვლავ ჯადოსნური შეახე ხელი...
ეს რა ხმა მოაქვს მარტოსულ ნიავს,
ეს შენი სული დაქრის და მღერის:

„ლექსო, ამოგთქომ, ოხერო,
თორო იქნება ვკვდებოდე
და შენ კი ჩემად სახსოვრად
სააქაოსა რჩებოდე.“

და... ისევ მოაქვს ჰანგები სიოს,
და... უცახცახებს ჰორიზონტს მხრები...
უკვდავ სიმღერას რამ უნდა სძლიოს,
რამ შეაჩეროს უკვდავი ხმები?

შენთან რა უნდა არყოფნის ნისლებს
(სისველე რატომ იგრძნეს თვალებმა?),
ჰე, მეჩონგურევ, აენთე ისევ,
ვინ თქვა სიმღერის გარდაცვალება!
1965 წ.

საქართველოს ზორები...

„მაქვს მკერდს მიდებული
ქნარი, როგორც მინდა.“
გალაკტიონი

საქართველოს ზვრები მარად ქებულია —
უხილავის მზერით განათებულია!

ოცნებაა მალი, ძალა — მამულია,
სიყვარულის ნამით გადანამულია...

ლექსი საოცარი განა იოლია,
ჩემი სალოცავი გალაკტიონია!

რა ჰანგები ისმის, — მართლაც ღვთიურია,
სიმღერები მისი მარადიულია!

ასე ვმღერი მარად, ფიქრო გასამხელო,
შენდა გასახარად, შენდა სასახელოდ...

გზაა არნახული, ზემოთ ჩიტებია
და გულს გაზაფხული შემოსჭიდებია...

აელვარდა ლექსად ჩერო დიდებული,
გულზე გრძნობის ცეცხლად შემოკიდებული...

საქართველოს ზვრები მარად ქებულია: —
უხილავის მზერით განათებულია!

1965 წ.



გაურ მოლაშხია

ნანა, ო, ნანა!

ხეს მთვარის შუქი მიეფინება,
მიეძინება ტოტზე ბავშვივით...
სივრცე გაშლილი ჩემში შემოდის
და მსურს მშველოდეს შენი აჩრდილი.

სიზმრების ველი... უსიტყვოდ ვმღერი...
ისევ შენ გელი, ისევ შენ გნატრობ...
ხან დავალ მარტო უანდამატო,
ხან ჩემში ვადნობ მთვარისფერ ტატნობს...

ქარი მიაფრენს სადლაც იალქნებს,
სივრცეს მიაფენს ყვავილთა გუნდებს;
გულს ისევ უნთებს სხივს მოციმციმეს —
რომ ნათელ იმედს კვლავ დავუპრუნდე...

ნანა, ო, ნანა! ცრემლმა მონამა —
დილა და ლამე, გზები და ყანა...
ეზვევა კალამს ფერი ურიცხვი,
სიყვარულისთვის ვისჯები, ნანა!

ასე მელოდა მე უშენობა...
ჩემშიც შემოვა დროის სუსხები!
ვიცი, სისრულით ასე თვითრჯული
ბოლოს სიჩუმით მოვინუსხები!

1965 წ.



მიმასხავლე, ქარო!

გზაზე მივალ, ვხმაურობ და ვჩქარობ,
ქარია და რიალია შტოთა.

- გევედრები, ქარო,
- მიმასწავლე, ქარო,
სად მარხია ღვთაებრივი შოთა.

დილაა და შუადლემდე მინდა
ის ვიპოვო, რაც მეკუთვნის წილად...

- ბედის ქარო,
- გზას ნუ დამიბინდავ,
როცა სულში იმედის მზე ბრწყინავს.

ლამის ფიქრი აბრიალდეს ალად,
განა გული დარდით დანესტილა...

- ჰეი, ქარო, რა ხვამიადს მალავს
პალესტინა, ჰოი, პალესტინა!

ეს სურვილი სანამ უნდა ვფარო,
მსურს მუხლებზე დავიჩოქო მის წინ...

- გევედრები, ქარო,
- ნუ მიმალავ, ქარო,
საიდუმლოს ამ ცისა და მინის.

ამ მინდვრებზე უნდა დავიღვარო,
როგორც შუქი ოცნების და გზნების.

- ყური უგდე, ქარო,
- ვიღაც ყვირის, ქარო:
„დამიბრუნეთ რუსთაველის ძვლები!“

ჩემი სული მის საძებრად ივლის
და ნუ გიკვირს, ყოველთვის თუ ვჩქარობ;
გული სტკივა რუსთავსა და თბილისს,
საქართველოს გული სტკივა, ქარო!

გაურ მოღაშხია

ჩვენი ხმაა ასე ქუხს და მძლავრობს,
მას ვერ ჩაკლავს სიმუხთალე დროთა.
— გევედრები, ქარო,
— მიმასწავლე, ქარო,
სად მარხია ღვთაებრივი შოთა.

1965 წ.

ფაზისის მზე და შუა გელათის

შორეულ ხმათა ხმაურია,
ველზე ნუკრივით დგას გაზაფხული...
აქ ბევრს სიმღერით ჩაუვლია,
ცოტა ყოფილა შუბლდადაფნული...

ხან სიყვარული გაგვახელებს,
ხან ფიქრით ვირბენთ მთიდან ველამდი...
მერე აგვანთებს, გაგვამხნევებს
სული ფაზისის, შუქი გელათის...

ხან გულს ახარებს ნაკადული,
ხან მოგვინდება დგომა წვიმაში,
ხან — შემართება ვახტანგური,
ხან მისი მზერა — ხმალთა ბრწყინვაში...

აქ მრავალ გრიგალს ჩაუვლია
ზათქით, ლრიალით, მწარე ყიჟინით...
ვიაროთ, სანამ ხმაურია,
სანამ სიცოცხლე ისევ გვიცინის.

ხან სიყვარული აგვაღელვებს,
ხან — ვარდთა კრთომა ფერად-ფერადი...
მერე ნამდვილად აგვამღერებს
ფაზისის მზე და შუქი გელათის.
1966 წ.

მაიცც რაღაცის მაქვს მოკრძალება

ქარი აბდავლდა მოზვერივით
 და დღემ შეიგრძნო ფერთა ცვალება.
 შენკენ სივრცე მაქვს მოზომილი,
 მაინც რაღაცის მაქვს მოკრძალება.
 შენკენ ყველა გზა გახსნილია,
 ფრენენ ფიქრები, როგორც პეპლები...
 როცა აუგად გახსენებენ,
 უსიტყვოდ ვიწვი და ვიფერფლები.
 ხან მზე ანათებს, ხან ნისლია,
 დღეს სხვა მწვერვალი იგრძნეს თვალებმა...
 შენკენ ყველა გზა გახსნილია,
 მაინც რაღაცის მაქვს მოკრძალება.

1966 წ.

ცაო მაღალი !

ახლა ძიების წუთებია,
 ქაბუკის გული რაღამ დაღალოს...
 შარას მივყვები უთენია,
 ჩემს ხვედრს დავეძებ, ცაო მაღალო!
 ახლა ტკივილი ფარულია...
 ხან ჭრილობისთვის ვითხოვთ მაღამოს;
 ხან თუ სანატრელს არ უვლიან,
 რა ვქნათ, წუხილი ვიღამ დამალოს?
 ისევ ბევრი რამ უთქმელია, —
 მინდა ეს გრძნობა ლექსად დავლვარო...
 მე გზას მივყვები უთენია,
 ჩემს ხვედრს დავეძებ, ცაო მაღალო!

1966 წ.

გაურ მოლაპშია

* * *

ღელვით მიჰყვება
ტალღები ტალღებს,
გადაბანდოლა წვიმით ხედები...
მე მხოლოდ ჩემი
ტალღა მამალღებს
და ამ ღელვაშიც წინ ვიხედები!

1966 წ.

თითქოს ისევ გავავი ვარ და...

სივრცე მზისფრად გაშლილა და
ალვის ხენი აშხვართული დგანან...
თითქოს ისევ ბავშვი ვარ და
ქარი მიმღერს: — „სისა, ტურა, ნანა.“

ვხარობ, როცა დარია და
„ნანაგე“ ან „გოლუაფირო“ მესმის...
ახლა მინდა დარიალთან
არწივით ავაფრინო ღექსი.

შორით ჩანან მწვერვალები,
მჯერა, წინსვლას დაბრკოლებაც ახლავს...
ვინმე მოვა მღელვარებით
და პლანეტას აღმოაჩენს ახალს.

ზოგის შუბლი დაიდაფნა,
ზოგს კი დაფნა უზრუნველად სურდა...
ხან დავყურებ მამის საფლავს,
ხან მზითა და ყვავილებით ვსუნთქავ.

თებერვალი გზაშია და
მეოცეჯერ გავუწოდე ხელი...
მაინც თითქოს ბავშვი ვარ და
„აბა, რერა, რაშორერას“ ვმღერი.

1966 წ.

კვიპაროსი

ეს სულია თუ ზვირთი წყაროსი
თუ შორეული ხმაური ისმის...
რატომ დაღვრემილა
მწვანე კვიპაროსი,
რად ახსენდება დაღვრილი სისხლი?

ო, როგორ უნდა ახლა იყვიროს,
უხმო ძახილი გულს ვერ შორდება...
ტირის და ველარ გამოიტირა
და მისი სევდა კვლავ მეორდება.

შორს ჩარსავივით ნისლი გაშლილა,
ოცნებობს ხე და დარდით ერთობა...
ზოგჯერ გამალლებს ღმერთთან კავშირი,
ხან ღმერთიც ჩადის მთლად უღმერთობას.

ანგელოზები ჩუმად მღერიან,
ჭაბუკიც რამდენ ღელვას ელოდა...
თურმე ყველაზე უფრო ძნელია
მუდამ დუმილი და უთქმელობა!

ეს კვნესაა თუ თრთოლა წყაროსი
თუ აქ სუნთქავენ ძველი გმირები...
განმარტოებულა
მწვანე კვიპაროსი
და ელანდება მკვდარი ირემი.

1966 წ.



გაურ მოლაშხია

ზღვამ თაშალა...

გამძაფრებით ირეცხება ნაპირები,
იმუქრება აქაფული ზღვა...
ზღვამ წაიღო ის თრთოლა და დაპირება,
ზღვამ წაშალა სიყვარულის გზა!

ხსოვნა მაინც არ გაქრა და არ მომცილდა, —
კვლავ ვიგონებ ნაძვის ხეთა მწკრივს...
გაავდარდა წუთისოფლის ტაროსი და
ახლა ისევ ხელალებით წვიმს!

მორდვეულა მდინარეთა ნაპირები,
შემზარავად ზარზეიმობს ზღვა...
ზღვამ ჩაახშო სიყვარულის საყვირები,
ზღვამ წაშალა სიყვარულის გზა!
1966 წ.

ერთფეროვანი ჩამოდის თოვლი

ერთფეროვანი ჩამოდის თოვლი,
სითეთრე მოსავს ველებს, გორებსაც...
აგერ, ამ ყმანვილს — წესიერს ყოვლად —
აწუხებს ქვეყნად ერთფეროვნება!

გაიკვალება ამ თოვლშიც გზები,
ოლონდ დამშვიდდი... ნუ უსმენ ყველას...
„ნუ გეშინია, ზღაპარს ჰყვებიან,
ზღაპარს, რომელიც არავის სჯერა.“
1966 წ.

დღე მზეპუდობის

„მზეპუდობა — ასე ეწოდება პერიოდს, როცა მზე
ტროპიკებში ზენიტზე, ანუ როცა მზეს ცაზე
უმაღლესი მდებარეობა აქვს.“

საბავშვო ენციკლოპედია, ტ. I.

ფრიალებს ფიქრთა ფარული აფრა,
ზღვის ღელვა ურუოლად ედება გემებს;
ნაპირებს ზვირთი ასკდება მძაფრად
და ირგვლივ არხევს იდუმალ ბგერებს.
ვდგავარ.

არ ვუსმენ მშფოთვარე ტალღებს,
მე ახლა ცისკენ გამირბის მზერა;
დღეს მზე ანათებს ყველაზე მაღლა,
ყველას, ყველაფერს ციაგით ფერავს, —
გაჰყურებს ძველ გზებს, მიდამოს, ხედებს,
ეამაყება სიმაღლე თვისი...
— მზეო, მიშველე!
— მზეო, მომხედე!

გეძახის ჩემი სული თუ სისხლი...
ხან ტროპიკული ციკლონის დარად
რაღაც მარბევს და აღმასვლას მიშლის;
ხან თან მომყვება მძლავრ ნიაღვარად
სიმაღლისაკენ ლტოლვა და... შიში...

ზოგჯერ ვეცემი...
ძალას ვიკრებ და
მე ვეკითხები ძმასა თუ დობილს:
— როდის მოვა და როდის იქნება
ჩემი სიმღერის დღე მზეპუდობის?
მნათისკენ სწრაფვა არ დავიშალე,
ახლა ვის ჰყოფნის სიმაღლე თვისი?
— მზეო, მომხედე!
— მზეო, მიშველე!
გეძახის ჩემი სული და სისხლი!

1966 წ.

გაურ მოღვაწეია

„ლომო, შე ლომის მოკლულო“

(ვარიანტი I)

„ლომო, შე ლომის მოკლულო,
ბუსნი - ჭალაის პირსაო...“

...

ვინ გაგიმეტა სათოფრად
პატრონი ბევრი ცხვრისაო“...
ხალხური

ვინ დაგწყევლა, ლომო, ან ვინ დაგლოცა,
ოდეს გზას რომ დაადექი მობურვილს...
სიცოცხლეში ხმაურობდი საოცრად,
გაჩუმებაც გყვარებია ლომური.

ვინ დაგთოფა, ლომო, ვიღამ გესროლა,
სიკვდილის წინ ვის უხმობდი თვალებით?
ზოგი მკვდარიც გულით საალერსოა
და ღირსია ქვეყნად გაუკვდავების.

ბინდისფერად დაბურულა ტყე-ველი...
ალბათ სატრფო მდელვარებით გელოდა,
არ ეგონა არვინ შენი მძლეველი,
ლომი იყავ — ლომთა სამფლობელოდან!

ახლა დუმხარ, ბუსნის პირას მოკლულო,
შენც იქეცი კორტოხად ან კორდებად...
ლომის მოკლულს ნუ იტირებ, ჩონგურო,
ვაი, იმას, ვინც ლაჩრისგან მოკვდება!

ვინ დაგწყევლა, ლომო, ან ვინ დაგლოცა,
ოდეს გზას რომ დაადექი მობურვილს...
სიცოცხლეში ხმაურობდი საოცრად,
გაჩუმებაც გყვარებია ლომური.

1966 წ.

სიცხვე

თმენით იტანენ ივლისის სიცხეს
 ეს ქალაქები,
 მთები,
 სოფლები...
 სივრცე ჰგავს მზეში ანთებულ ციხეს
 და ამ ციხეში ჩვენ ვიმყოფებით.

დგას ნალვლიანი მუხა თუ ცაცხვი
 და მთა ისინჯავს დახეთქილ წარპებს...
 შუადღის ხვატი
 მდუმარე, მკაცრი
 ჭალიკონივით ველ-მინდვრებს არბევს.

ნეტავ, მერეხი უცებ მოისმას,
 ამ უეცრობით შეკრთება ვინმე?!
 როგორც წყალობას სამყაროისას,
 ვდგავართ და ველით სანატრელ წვიმებს...

თმენით იტანენ ივლისის სიცხეს
 ეს ქალაქები,
 გზები,
 სოფლები...
 სივრცე ჰგავს ახლა დაგმანულ ციხეს
 და ამ ციხეში ჩვენ ვიმყოფებით.

1966 წ.



იგი დაეშვა ზევიდან უცებ

იგი დაეშვა ზევიდან უცებ
და დაენარცხა მიწაზე შუბლით,
და შემოაკლდა თბილისის ქუჩებს
ერთი ჯადოქრის თვალების შუქი.

წუთით ჩანავლდა მგზნებარე ცეცხლი,
დავანდა სევდა სანაპიროთა...
იცრემლებოდა ქართული ზეცა,
ქართული მიწა მწარედ ტიროდა.

სადღაც აკივლდა პოეტის მერი,
ლრუბლებში კრთოდა მთაწმინდის მთვარე...
წავიდა თვითონ...
და იმის მერე
არ სძინებიათ თბილისის ქარებს.

„ქარი ჰქერის, ქარი“... იმღერე, სულო,
თუ გინდა იგრძნო გენიის სითბო;
ჯერ შენ არ იცი,
ჭაბუკის სულო,
თუ როგორ ქმნიდა ის ყოველ ტრიქონს.

მგონია, თითქოს გულში დამკოდეს,
ისე ვარ,
თითქოს ვუცდი წამებას...
დავკარგეთ, ვაი, როგორ დავკარგეთ...
„დავდივარ, ვწუხვარ და მენანება.“
1966 წ.



ორი გზა

||

ქარია, ქარი,
მომლელვარე, ცხვანტალა ქარი,
იგი მასწავლის წინსვლას, შეტევას...
დილა არის თუ სითეთრე მთვარის,
ფოთოლთა ჯარი
მისი ფრთებით მიიხვეტება.

მივყვები ამ ქარს, როგორც უბირი,
და მოჩანს კორდი დევის მკერდივით...
ანაზდეულად
აიზღარბა ცაზე ღრუბელი
და ირგვლივ შიში
აშრიალდა, როგორც მერდინი.

წინ გაიშალა ორი გზა უცებ
და აკვანივით ორივ ირწევა.
ერთზე წერია: —
„გელის ხიფათი, ბრძოლა, მიღწევა“...
მეორეზე კი: —
„ეს გზა არის უძლურთა ხვედრი“...
და, წამსვე ელვა
ცას გაეკრა — ბასრი და მკვეთრი!

||

დაეშვა თქეში...
ავიფარე თვალებზე ხელი,
ქარმა ბავშვივით გამიგდო წინა...
ასეთ განცდაში
გაიფანტა სიზმრის ღრუბელი,
გამოლვიძებულს
მზე ფანჯრიდან შემომებრნყინა.

გაურ მოლაპშია

III

და იმის შემდეგ
ასე დავალ, ოცნების ღმერთო,
ვიბრძვი, ვხმაურობ, არ მესვენება...
დღესაც არ ვიცი,
იმ გზებიდან რომელი მერგო
და...
ტკივილს აღწევს ეს გახსენება!

მე ამის პასუხს ახლა ვინ მეტყვის?
(თუმც იმედები სადღაც ბრწყინავენ...)
და, შევსთხოვ ფაზისს, მცხეთას თუ ხერთვისს,
დღეს უპასუხოდ ნუ გამწირავენ...

მე არჩეულ გზას მივყვები ისევ
და ვეძებ დღემდე უხილავ ფერებს...
თითქოს
ხანდახან ბურანში ვისმენ: —
„პასუხს მიიღებ არყოფნის მერე!“

1966 წ.

სიშორე

ერთად გაშლილა ფრთები არწივთა
თუ ცას ფარავენ ღრუბლის ფთილები?
ისე შორსაა ახლა მთანმინდა,
ვით გაბნეული ცაში მთიები...
მეც კლდეს მოვფხაჭნი უმცირეს ნაწილს,
რამეთუ მეტის არა მაქვს ძალა...
დღეა თუ ღამე, მათოვს თუ მაწვიმს,
მოვდივარ,
მოსვლას ნუ ამიკრძალავ.
თავიდან ვიყავ შენი ნაწილი,
შენთვის ვუვლიდი გრძნობათა იებს...
შენკენ მომავალს ნულარ გამწირავ, —

ეს სითამამეც შენ მაპატიე!
აღმართს მიყვება ფიქრი კეთილი,
დაღვრემილია მზე მიწურვილი...
სადღაც სუყველას გვიცდის წერტილი —
მარადისობის ცივი დუმილი...
მოუთმენლობის ცეცხლით ვინთები
და ეს სიფიცხე თავს არ მანებებს;
გზები კი, დროის ლაპირინთებით,
დღედაღამ სადღაც მიმაქანებენ!

1966 წ.

მკვლელს პი ლომი უცოდეს

(ვარიანტი II)

„ლომო, შე ლომის მოკლულო,
ბუსნი — ჭალაის პირსაო...
...
ვინ გაგიმეტა სათოფრად
პატრონი ბევრი ცხვრისაო.“
ხალხური

ახლა ვწევარ ჭალის პირას,
ყველა გადამეჩვია...
სად დაფრინავს ჩემი ცირა —
ჩემი გრძნობის მზეწვია...
აქ არც ცხელა და არც ცივა,
რა ყისმათი მენია!

მესროლეს და დამადუმეს,
ზეცა გამიგიშერეს...
დედის ცრემლთა ნაკადულო,
ვაი, ვერც შენ მიშველე!

სე დამყურებს გაფოთლილი...
დაე, ყველამ უწყოდეს: —
ვარ შორიდან დათოფილი,
მკვლელს კი ლომი უწოდეს!

გაურ მოყვაბებია

რა ხანია სისხლით დაცლილს
დრო მებურვის ცრიატა...
საფლავშიაც მუხთალ კაცის
ჯავრი ჩამექვიატა.

1966 წ.

ფრთამოყინული ჩიტის ოცნება

იდუმალ ფრთებით მიფრინავს დრო და
შორით მოისმის ზრიალი ზვავთა...
ახლახან თბილი ქარები ქროდა
და უცებ ჯერი დაუდგა ზამთარს.

ცახცახებს გზაზე უმწეო ჩიტი,
მძიმე ალსასრულს მოელის ყოვლით...
როგორც ჩარსავი, ეშვება ბინდი
და მოფარფატე ფიფქები თოვლის...

ჩიტს ენატრება არწივის ფრთები,
(ო, გული იტევს სურვილებს რამდენს!)
დაუღლელი და ძლიერი ფრთები
ჩიტუნას მყისვე აიყვანს ცამდე...

თოვს და...
თოვაში ოცნებობს ჩიტი,
(მეც ახლა ფიქრში დავეძებ რითმას.)
ვერ უძლებს იგი სურვილთა ჭიდილს,
ის ჩიტია და, რაღა ქნას ჩიტმა!

ფიფქები ჰეგვანან ხან ციურ ჩიტილს,
ხან ცით დაშვებულ ქათქათა თოკებს...
ფრთამოყინული ოცნებობს ჩიტი,
სურს, ფიქრში მაინც არწივად მოკვდეს!
1966 წ.

თანამდებობა

მორჩა... მიყუჩდა ქართა რიალი,
 ცრემლთა ციალებს ღელე...
 ხან სიბნელეში ლანდი იალებს,
 თითქოს ცას უნვდის ხელებს;
 ხან, ვით ერეკლე გულსევდანი,
 კრწანისის ომის მერე, —

მთვარე დამდგარა მწუხარედ ცაში,
 მიწას დაჰყურებს მწყრალად...
 ნანგრევთ უმკაცრეს მდუმარებაში
 საუკუნენი წვანან...

ხან ეს ფიქრები ცას ედებიან,
 ხან ახლომახლო ჰქრიან...
 ვის შეხვდებიან... რას ედრებიან...
 ამ განცდას რაღა ჰქვია?

ლანდი ხორციელს რისთვის ემალვის,
 რად იკარგება მთებში?..
 გარდასულ დროთა მრისხანებანი
 ჩაკირულია ქვებში...

მთვარე დამდგარა მწუხარედ ცაში,
 მიწას დაჰყურებს მწყრალად...
 ნანგრევთ უმკაცრეს მდუმარებაში
 საუკუნენი წვანან!

1966 წ.



გაურ მოლაშხია

რუსის ციხეში

პროფ. შ. მესხიას

დავდივარ ჩუმად, როგორც მისანი, და ვაკვირდები
ხავსიან ლოდებს, როგორც ტკივილი აუტანელი,
არის სიჩუმე მიწის და ქვათა...

მზე იწურება ურთის სხეულზე, მზე ტოვებს ციხის
მდუმარე კედლებს, თითქოს ლოდები იშმუშნებიან
და უხარიათ ლოდებს სიბნელე: —
ლამით წარსულს კვლავ უბრუნდებიან
და ზმანებაში ისევ ხედავენ: როგორ დარბიან ახლოს
ლანდები; თუ როგორ მოვა პოეტის სული — თვისთა
მოძმეთა მოსახილველად.

მერე...

ლოდები იწყებენ ხმაურს, ერთად ხვნეშიან დალლილ
კაცივით და ყველაფერში ბაძავენ კაცებს.
დღისით კი, დღისით, დუმან ისინი,
დუმან ისინი
და ამ დუმილში გულის სატკივარს ფრთხილად მალავენ...

1966 წ.



თქვას: — რა ძალა აშენებდა...

სად მღეროდა შენი სული,
 შენი სული სით აფრინდა,
 როს აშენდა დიდებული
 ის — ხეოპსის პირამიდა.
 ელვარებენ მზის სვეტები,
 ეს სიწითლე არის რისა?
 წასულთ მტვერში ვიხედები, —
 ჰა, რამდენი გაისრისა!
 ვერ მისწვდება რასაც ხელი,
 იმას უამი აცამტვერებს...
 უდიდესი სასახლენი
 დაანგრიეს, გადათქერეს...
 დღეს, მრისხანე ფარაონებს
 იმ ძეგლთათვის ვინც ადიდებს,
 თქვას: — რა ძალა აშენებდა
 იმ საოცარ პირამიდებს!

1966 წ.

მაგრამ... სულ სხვაა ჩემთვის რუსთველი

(ექსპრომტი)

მოდი, ავჩეხოთ ასაჩეავი,
 მივუსადაგოთ, ძმაო, ტოლს ტოლი...
 ბევრს გააოცებს, ალბათ, ჩეხოვი,
 და, უფრო მეტად — ბრძენი ტოლსტოი...
 ბევრია სიტყვა უკვდავმსუნთქველი,
 აუღერებული ვაშად, მთა-ველად...
 მაგრამ... სულ სხვაა ჩემთვის რუსთველი,
 მაინც სხვა არის ვაუა-ფშაველა!

1966 წ.

როცა იმაღით შენ გელოდები

მწვერვალზე ასვლა მრავალჯერ ვცადე,
ხან ავჩქარდი და ხან დავიცადე;
ხან სხვისი დარდიც მე განვიცადე...
ახლა ვდგავარ და შენ გელოდები.

მიჰქრის და მიჰქრის ძვირფასი წუთი;
ზოგჯერ მშვიდი ვარ, ზოგჯერ ჯიუტი,
ხან კი ბავშვივით ნაზი, სათუთი,
როცა სანუკვარს გიახლოვდები...

ხან გზას ედება კრიალა ნამი,
ხან ნისლი დამაქვს, ვით მოსასხამი...
მე აღვასრულე ჩემი ნათქვამი —
ახლა ვდგავარ და შენ გელოდები.

შრიალებს ქარი, ვით დალის ზილფი,
შენს მოლოდინში გულმკერდი მითრთის;
ხმიანებს ფიქრი, როგორც ზღვის ზვირთი
და, ეცემიან თვალწინ ფოთლები.

შენ გევედრები უსიტყვოდ, უხმოდ,
გული არ დაჭრა უტყვიოდ, უხმლოდ,
საჩემო გზაზე სხვას არ მოუხმო,
როცა იმედით შენ გელოდები.

1966 წ.



როცა მდუმარედ გადიხარ გარეთ

როცა მდუმარედ გადიხარ გარეთ,
როგორც დიდი ხნის უნახავ ძმობილს,
გადაგეხვევა ქალაქის ქარი
და შენს მოწყენას ხეებიც გრძნობენ.
ჭადრებთან უხმოდ ჩერდები წუთით,
თვალს გააყოლებ გაფრენილ ჩიტებს...
და... მოგწყურდება ქაფქაფა ლუდი,
ცარიელი გაქვს როდესაც ჯიბე...
გადაგეყრება ნაცნობი ქალი,
შემოგაგებებს ღიმილს ვარდებად...
მერე... გახედავ მშობლიურ ქალაქს
და... რომ დადიხარ — გაგეხარდება!

1966 წ.

ხე მიართგულებს ჩახი სიმართლე

შენზე ოცნებას მიველუნე და
ბედს ხან ვამართლებ, ხანაც ვემდური...
ზოგჯერ სიმართლე არის უმწეო,
როგორც ვაჟუაცი — ხელფეხშეკრული.
ახლა ვედრებას ჰეგვანან ტაძრები
და ექოსავით ვრცელდება ფიქრიც...
გავა დრო.
გული დაიხანძრება.
მზე ფრთებს ჩაკეცავს მწვერვალთა იქით.
მერე...
სიმშვიდის წლებიც იმატებს,
კაცი კი არა, ენგურიც ცხრება...
მე მიერთგულებს ჩემი სიმართლე,
ვით უერთგულა ბედუინს ცხენმა!

1967 წ.

გაუგრეთ მოლაპშია

განსაზღვრულობა

ერთ დროს სიჩუმე ჩამოირნევა,
ხელს ჩაგჭიდებს და არსად გაგიშვებს,
სუყველა მარცხს და ყველა მიღწევას
დანამცეცებით გიანგარიშებს...
სხვის განძს არასდროს დაგინარჩუნებს,
არ მოგატყუებს, არც რამეს გირჩევს...
ბოლოს კი, როგორც მკაცრი მსაჯული,
მოგცემს განსაზღვრულ დროსა და სივრცეს.
1967 წ.

მოვდივარ...

მოვდივარ. ჟამთა ბარდებს მოვამტვრევ,
დროის ლანდივით მომყვება ბინდი...
შენს სითბო-ლიმილს მონატრებული —
უხემსოსავით ეს გული მიმდის...
ინანილებენ სივრცეს ჩიტები,
ძილფხიზლობს ყველა მთა და კორდები...
მინდა ვიცხოვრო გულდამშვიდებით,
მაგრამ... ტკივილად კვლავ მაგონდები!
იწვის, ტკაცუნებს, როგორც კოპიტი,
ჩემი ოცნების ლამაზი სახლი...
რომ დამეკარგე, ვის ვიპოვნიდი,
ვის დავარქებულები შენს ძვირფას სახელს?
კვლავ მარტოობის ჩამოკრა ზარმა,
შემომაფრქვია ფიქრი ქერივით...
ახლა უშენოდ ტიალი გზა ვარ, —
მონგოლის ცხენით გადათქერილი!

1967 წ.

მე შენ გიხსენებ...

ქრიალებს ქარი ქარვისფერ ველზე
ასე მგონია — ის მე დამეძებს...
როგორც ანკესზე სხმარტალა თევზი,
ისე ვკიდივარ დრო-ჟამს მკლავებზე.
თვითონ არ ვიცი, რად ვარ ასეთი,
ვჩერარობ, თითქოსდა ვიღაც მიმელის...
ქარს ისე მოაქვს ნისლის ნაფლეთი,
ვით მონადირეს — მკვდარი ფრინველი.
ძველი ჭრილობა ისევ იხსნება,
ისევ მინთებენ დღეები ღადარს...
ამ სიჩერებიც მე შენ გიხსენებ,
როგორც ბავშვობის საყვარელ ზღაპარს.

1967 წ.

პოეტის სევდა

„განჯას ვეწვიე, როგორც ხიზანი,
როგორც ნიზამი, გაეხდი განჯელი.“

ს. ჩიქოვანი

ჩემო ოცნებავ — სევდად ქცეულო,
მე დამელრუბლა დილის ტაროსი...
იქნებ ჟამისგან ფრთებდამსხვრეული
ზღვას ჩავეხვიო, ვით იკაროსი.
არ დაივიწყო, რომ მქონდა ფრთები,
ჩემი სხეულის აღმა საფრენი,
და თუ უკან ვერ დაგიბრუნდები,
ზოგჯერ მახსენე... სხვა არაფერი!
აჸა, აღსასრულს ვუახლოვდები,
მიუსაფრობა ძნელ არს რამეთუ...
ასე მგონია, მაღლე მოვკვდები
და, გთხოვ,
მკვდარს ნულარ მეტყვი საყვედურს.

1967 წ.

გაურ მოღაშხია

ნაპირთან

ახლა სიჩუმე, როგორც კოცონი,
ანთია ირგვლივ და მიჭერს ყელზე...
ვდგავარ ნაპირთან, როგორც მლოცველი,
ვდგავარ და... ვუცდი ოქროვან თევზებს.

მოისწრაფვიან ჩემკენ ზვირთები,
ეს მოლოდინი განცდას მიჟამავს...
როცა გგონია — მე ჩავთიქრდები,
მაშინ ვხმიანობ, როგორც ნიჟარა...

ელავს სიჩუმე, როგორც კოცონი,
და ბანარივით მეხვევა ყელზე...
ვდგავარ ნაპირთან, როგორც მლოცველი,
ვდგავარ და... ვუცდი ოქროვან თევზებს.

1967 წ.

მაღლობზე

აქედან ბევრი კენწერო მოჩანს,
თითქოს სამყარო ჩემ წინ ტრიალებს;
ფიქრი კი, როგორც ძვირფასი დროშა,
ხელში მიპყრია და ვაფრიალებ.
აქედან ვხედავ, ყველაფერს ვხედავ: —
ტყე აკრავს მინდვრებს მწვანე ზოლებად...
ასე მგონია, სიმაღლე ხეთა
აქედან უკეთ გაიზომება.
ვდგავარ მაღლობზე და ვიღიმები,
ჩემთვის ვლილინებ: — „ერთი წავა და...“
თოვლი მოვა თუ მოვლენ წვიმები,
აღმა ავყვები ახალ წავარნას...
მზე დგას მწვერვალზე — ყოფის იმედი,
ჩამოუშვია წვრილი თოკები
და ქარში უღერენ, როგორც სიმები,

ზეთისხილების მწვანე ტოტები...
 აქა-იქ ღრუბლის ჩანან ფთილები,
 როგორც მწყემსების თეთრი ქუდები...
 მინდა ვიცოდე დანამდვილებით,
 თუ რას მოიტანს ხვალის წუთები...
 აქედან ბევრი კენწერო მოჩანს,
 თითქოს სამყარო ჩემ წინ ტრიალებს;
 ფიქრი კი, როგორც მამულის დროშა,
 ხელში მიპყრია და ვაფრიალებ.

1967 წ.

მეგობარ ქალიშვილს

მატარებლების შორით ყვირილი
 სივრცეს ედება, როგორც ვედრება...
 დგახარ მთრთოლარე, როგორც გვირილა,
 და შენში შიში სახიერდება.

თვალებით ინოვ ღამის სიშავეს
 და განცდა გითრევს, როგორც მორევი...
 მატარებელი არის ნიშანი —
 ხან შეხვედრების, ხან განშორების.
 ქრება, ინთება სემაფორები...
 ღამე დგას, როგორც ეჭვის კედლები;
 ამ ბნელ სანიერს, როგორც ჭორები,
 ედება ექო მატარებლების...
 მოჩანს ვარსკვლავი — გრძნობის ემბლემა...
 სიტყვა სათქმელი გითრთის ბაგეზე...
 აპანდე, ღამის მატარებლები
 გადაიშხვართნენ ლიანდაგებზე.
 გული — განმცდელი, ღელვას უმატებს,
 დგახარ, კანკალებ კვლავ ფოთოლივით...
 ღმერთო მაღალო! შენ გაუმართლე
 სუყველას ნატვრა და მოლოდინი.

1967 წ.

ბაზრ მოლაპშია

ყველას სიჩუმეს ვიგებ და, მასმის...

ყველას სიჩუმეს ვიგებ და, მესმის
თუ რაზე თრთიან ნედლი ფესვები...
თითქოს მინაა ვეება თევზი
და მაღლა მიაქვს მზეს ანკესებით.
ზევით მიიწევს ქვეყნად ყოველი...
ეს ჩემი ფიქრიც სადღაც იალებს...
ხან სული დამაქვს, როგორც ყვავილი,
ხან არ მინდა და... მაინც ვტრიალებ...
დილის მზეს მოაქვს სხივთა კონები,
ჩანან ფერები: — სისვი და მრეში...
მგონია, ტყეებს ცა ეკონება
ან ქოლგასავით უჭირავთ ხელში.
ყველას სიჩუმეს ვიგებ და, მესმის
თუ რატომ კრთიან ნედლი ფესვები...
თითქოს მინაა ვეება თევზი
და მაღლა მიაქვს მზეს ანკესებით.

1967 წ.

მე ეს მდინარე ქალი გამია

„მდინარეები — ქალიშვილის თეთრი მკლავები,
ქალიშვილები — უკარება მდინარეები!“
გ. მაჭავარიანი

მე ეს მდინარე ქალი მგონია,
ქალი მგონია, — იმგვარად ღელავს...
როცა იწყება მზის სიმფონია —
მე ვიძირები ტალღებში ნელა...
ზვირთები — ქალის ცხელი მკლავები —
მეხვევიან და გულმკერდს მიწვავენ...
ძვირფასო! ვდუმვარ... არ გედავები...
ის, — უხილავი, — უკვე ვინამე!

1967 წ.

რამდენიც უძღა თოვოს და თოვოს!

ხელუკარება ვარსკვლავები სადღაც ციალებს
და ლამეული სიწყნარეა მხოლოდ და მხოლოდ.
თბილად ისვენებს
დაქანცული ძეხორციელი,
რამდენიც უნდა თოვოს და თოვოს!

როგორც ფუთქური —
ამოსულა ტოტებზე თოვლი...
ჩემო კეთილო,
ყველგან მოჩანს შენი ხელები;
არ დაამძიმო
გათენება წუხილის ქროლვით
და სახედგელი — ბინდისფერებით...

თვალთუხილავი ვარსკვლავები სადღაც ციალებს
და ლამეული სიმშვიდეა მხოლოდ და მხოლოდ.
თბილად ისვენებს
დაქანცული ძეხორციელი,
რამდენიც უნდა თოვოს და თოვოს!

1967 წ.



გაურ მოღაშხია

მაღლით დაგვყურებს ყოვლისმფარველი

ცა იმზირება მშვიდი თვალებით,
სიჩუმე ყოვლით...
სივრცეა წყნარი და საყვარელი
და... ბრნყინავს თოვლი.
ძილი სწვევია ვერცხლისფერ ქალაქს,
ისვენებს ვერცხვიც...
ამ სიჩუმეში იღვიძებს ქარი
და ყინულებზე უსხლტება ფეხი.
ცა — ისფერი სულია მიწის,
ბრკიალებს ბროლი...
ქარი შველას მთხოვს და ხელებს მიწვდის
და... ბრნყინავს თოვლი...
მალე დიადი მოვლენ მუზები,
მთანო, ზეგანო...
თითქოს სამყარო მოჰვავს მუზეუმს —
უკიდეგანოს...
მაღლით დაგვყურებს ყოვლისმფარველი
და შემძლე ყოვლის...
სივრცეა მშვიდი და საყვარელი
და... ბრნყინავს თოვლი...

1967 წ.

ზამთარი, სოფელი

ტყეს ფიფქებით ავსებია უბე,
კლდიდან წყნარად მოწანნკარებს წყარო;
ჩანს (ქუდივით) გადახრილი ბუდე,
სადღაც ქარი გაბმულა და წვალობს...
ხევში ღელე ასკინკილობს კენტად,
ტყიდან შეშას ეზიდება გლეხი;
ბავშვი მეერდზე ეხუტება დედას,
არ ისვენებს ალესილი ხერხი...

შემოგარენს თეთრი ფერი მოსავს,
 დაქოხილა დაფიფქული ბარდი;
 გზაზე რაღაც ნაფლეთივით მოჩანს
 და ჟამიშამ უშურველად ბარდნის.

1968 წ.

შრიალებს თოვლი — ცის პატარძალი

შრიალებს თოვლი — ცის პატარძალი,
 წუხელ ქარებთან ერთად მღეროდა,
 ხან ტყეს მოედო, როგორც ხანძარი,
 ხან სახურავებს გადასცეკეროდა...
 თოვლი — ქათქათა ცის პატარძალი.

ზოგნი მზიან თოვლს თუ იწუნებენ,
 სამაგიეროდ, მრავალს უხარის...
 ალვები, როგორც უფლისწულები,
 დგანან ამაყად. შორს კი ბუხარი
 ცას აფერადებს კვამლის ქულებით...

ყველას გვაგონებს თოვლი რაღაცას,
 ხან დავიწყებულს უცებ გვახსენებს,
 ხან — ბორჯმა* როდის შეგვაბარბაცა,
 რა გავიგეთ და რა ვერ ავხსენით.

...

ყველას გვაგონებს თოვლი რაღაცას.

1968 წ.

* ბორჯმი — (მეგრ.) დრო.

გაურ მოღვაწეია

სხივი

„ვიყო ხარივით ამტანი, ვიყო ხარივით მომთმენი,
ჩემი პატარა ქვეყნისთვის მეც შევძლო ხარისოდენი.“
გ. ნიშნიანიძე

ციმციმა სხივი მიჭირავს ხელში —
გზანაჩქარევი...
თვალსაწიერი ნებივრობს მზეში
ცხვანტი ქარებით...
მომეფონება გულზე ხალისად
სხივის კანთი,
ვერშეჩვეული შავფერს ღამისას,
ვით განთიადი...
მან უშორესი სივრცის მიღმიდან
აქ მოაღწია...
რა გასაოცრად მათბობს, მიღიმის
სხივი ჰანია.
მსურს ამ სხივივით რომ გავიარო
შორი მანძილი;
ფერს ვერ მიცვლიდეს დრო და იარა,
დაღლა ან ძილი...
მინდა ამოვთქვა, — რაიც არ მითქვამს
დღემდე მოთმენით...
ნეტავ, სინათლე ჰქონდეს ჩემს სიტყვას
სხივისოდენი!

1968 წ.



ჩანა მცველვალთა თეთრი შუბლები

ჩანან მწვერვალთა თეთრი შუბლები,
მდინარის ზვირთებს გავეზვირთები...
შენთვის ჰყვავიან, ვით ალუბლები,
შეუბორკავი ჩემი ფიქრები
და, შენ გელიან...

ისევ აქ ვდგავარ, აქ ვიმოსები
ცისკრის ფარჩებით, ფერთა წვიმებით...
მოფრინდნენ თეთრი ანგელოსები
და თეთრი ფრთები, როგორც სხივები,
გადამაფარეს...

რა არის იქით? რა ხდება გაღმა?
არავინ იცის დანამდვილებით...
მე ისევ შეწიე ვფიქრობ და, ახლა
ცაზე ლრუბელთა დგანან ჩრდილები,
როგორც მოწყენა...

შორით მოისმის ხმები ქარიშხლის,
ზეცას სერავენ უფლის ეტლები...
მოდი და, ერთხელ კიდევ დამისხი,
დამანგრევინე ეჭვის კედლები, —
წინ აღმართული...

ჩანან მწვერვალთა თეთრი შუბლები,
უხილავ ზვირთსაც გავეზვირთები...
შენთვის ჰყვავიან, ვით ალუბლები,
შეუბორკავი ჩემი ფიქრები
და, შენ გელიან...

1968 წ.

გაურ მოლაპშია

ზამთარი

საღამო იყო. ყინავდა გარეთ
და სითბო სურდათ უმწეო ჩიტებს...
შემცივნებული და მკაცრი მთვარე
მთათა წიაღში ითბობდა თითებს.
დათოვლილიყო ბუჩქები წყავის,
გადაჰყენოდა სითეთრე ხმელეთს...
ველებს უნდოდათ შემოსვა მწვანით,
ო, ბევრი რამე უნდოდათ ველებს...
ყინვას ვხვდებოდი ისე, ვით მომხდურს,
სახეზე მედო სიცოცხლის ფერი...
ბუნება ჭარმაგს მოჰკვდა მოხუცს
და უხდებოდა ფიფქების წვერი...
საღამო იყო. ყინავდა გარეთ
და სითბო სურდათ უმწეო ჩიტებს...
შემცივნებული და მკაცრი მთვარე
მთათა წიაღში ითბობდა თითებს.

1968 წ.

სი

ხე დგას ნაპირთან ტოტებგაშლილი,
რაღაცას ითხოვს და ივედრება,
თან ბადესავით გადისვრის წყალში
მთრთოლვარე ჩრდილს და, შიგ იხედება...
ნაცრისფერ ფსკერზე დაცოცავს ჩრდილი,
დამფრთხალ ცხენივით გარბის მდინარე
და თევზებს, როგორც საკუთარ შვილებს,
ზვირთთა უბეში აუჩინარებს.
ხე კი... უმწეოდ ტოტებგაშლილი,
რაღაცას ითხოვს და ივედრება;
თან ბადესავით გადისვრის წყალში
მთრთოლარე ჩრდილს და, შიგ იხედება...
1968 წ.

მალე მოვითვლით, კარგო, ოცდაორს

მალე მოვითვლით, კარგო, ოცდაორს,
(დრო რას გვაძლევდა ან რას გვართმევდა?)
რა კარგი იყო მაშინ, როცა დრო
ჩვენს სიახლოვეს რომ ამართლებდა.
დღეს ღიმილივით გშვენის ფრთხილობა...
(კვლავ იმოსება ველი მწვანითა.)
ო, ის ბავშვური გულახდილობა,
ის სითამამე საით წავიდა?
გადავაბიჯებთ მალე ოცდაორს...
გული სხვა წელთა განცდით დათვრება...
რა კარგი იყო მაშინ, როცა დრო
ჩვენს სიახლოვეს რომ ამართლებდა.

1968 წ.

ჩემი კუნძული

ცა მოჩანს — უფლის ელვარე სარკე,
ბაღები — მშვიდი და დახუნძლული...
მე მივიჩქარი სინათლისაკენ
და შორს ახალი მიცდის კუნძული.
იქ დავსახლდები, სადაც ყველაფერს
შეუყვარდება ჩემი სახელი;
მერე სიკვდილიც ვეღარ შემარყევს...
მე უსათუოდ იქ დავსახლდები!
ჯერ ჩემს წავარნას ვეღარ მივაგენ,
თრთიან ბაღები გადახუნძლული...
ხან ღამეს მივსდევ, ხან კი — სინათლეს
და... მელოდება ჩემი კუნძული.

1968 წ.

გაურ მოლაშხია

მზე მანვათება თავის ქალაში...

მზე მეწვეთება თავის ქალაში,
ძველ ჰანგზე მღერის ჩემი ფაზისი...
დღეს, ღმერთმა ნუ ქნას, მშობელ ქალაქში
ყველაზე კარგი, უძვირფასესი
მხოლოდ მე ვიყო.

განა უსხვისოდ
გალამაზდება სული პოეტის?
გაჭირვების და მკაცრი სუსხის დროს,
თითქმის ყოველგან, თითქმის ყოველთვის
მე ყველა მშველის...

ჩემი ხელები
გრძნობენ მოყვასთა მოახლოებას
და მომღერალი ცისარტყელები
ცაზე ჰყვავიან ლამაზ რტოებად...

მზე მეწვეთება თავის ქალაში,
მიმოიმღერის ძარღვში ფაზისი
და, ვიცი, ბევრი დადის ქალაქში
ჩემზე კარგი და უძვირფასესი.

1968 წ.



ახალგაზრდა ილიას მონოლოგი

„სამშობლო მთებო! თქვენი შვილი განებებთ თავსა,
მაგრამ თქვენ ხსოვნას ვერ მივცემ მე დავიწყებასა.“
ი. ჭავჭავაძე

მივდიგარ! მხოლოდ დროებით გტოვებ,
რათა აგენტო შემდეგ ჩირალდნად.
რაა პოეტი — გზას თუ ვერ პოვებს,
თუ უსახელოდ გაუჩინარდა!

ვიცი, ხვალ უნდა ავწიო მხრებით
შენი სევდის და ტანჯვის ლოდები...
და თუ მომელის დემეტრეს ხვედრი, —
ჰა, ჩემი თავი!.. ნუ დაღონდები!..

რომ არად მიჩანს მშობლისთვის მსხვერპლი,
დრო დაამტკიცებს ამას ყველაფერს...
ოღონდ შენ, ჟამთა ქროლვით და სეტყვით,
არ დაეცე და არ გავერანდე.

ვინც შენს მომავალს ებრძვის და ნასკვავს, —
მასვე უქადის დასჯას ბუნება...
მე უნდა ვსდიო ახლა სხვა ვარსკვლავს, —
ერის წყლულების განსაკურნებლად.

ვიცი, რომ უნდა ავწიო მხრებით
შენი სევდის თუ ტანჯვის ლოდები...
და თუ მომელის დემეტრეს ხვედრი, —
ჰა, ჩემი თავი!... ნუ დაღონდები!

1968 წ.

უღრანში

როგორც აბრეშუმი,
შრიალებს წკვარამი,
ტყეში გაისმის მწუხარე „ჩელა“...
ვიღაცა მღერის და
არა ჩანს არავინ,
სიბრელე თვალთა სინათლეს ცელავს.

დაღლილი გულები
თრთიან და ფეთქავენ,
შიშის ობობა თავის ქსელს ხლართავს...
მოდიან, მოდიან,
ვერ ჭვრეტენ ერთმანეთს
და ენატრებათ მოხილვა გზათა.

ხელების ფათურით
რაღაცას არჩევენ,
ფშვინავს მაღნარი და ლამის ჩრდილი.
არავის სწადია
უღრანში დარჩენა
და ყველა ეძებს გზასა თუ ბილიკს...

როგორც აბრეშუმი,
შრიალებს წკვარამი,
ტყეში გაისმის მწუხარე „ჩელა“...
ვიღაცა მღერის და
არა ჩანს არავინ,
სიბრელე თვალთა სინათლეს ცელავს.
1968 წ.

ციკლიდან: „სიზმრების სამყაროში“

მე მივეახლე უფსკრულს სურვილით,
მდუმარედ ვიდექ უფსკრულის თავზე...
ვგრძნობდი: — გზა იყო გადაჭრილი თუ მიწურვილი
და ვერასოდეს ვიხილავდი ამ სილამაზეს: —
მთრთოლარე სხივებს,
მზიან ყანებს, ზღვის მიმოქცევას,
მონადირეთა გაკვალულ ქაშანს...
ვერ ვჭვრეტი წყაროს —
ამოხეთქილს რნბენად და ვაშად,
მხოლოდ ჭაბუკურს ვსდევდი ოცნებას...
და, ცხვანტალა ქარებს
შევყურებდი ცერად;
ინთებოდა არე
საკვირველი ცქერად...
და, მიმძიმდა წუთითაც
დატოვება ყოვლის...
სევდად, ცრემლად, წუხილად
მეყრებოდა თოვლი...
ვიყავ ულონო და გაქცევის ვერშემძლებელი,
მეგობრებს ჩემსას მე ამაოდ ვუხმობდი შველად;
კაცი თუ ქალი, ყრმა თუ ბებერი,
სადღაც, მენამულ შორეთისკენ ილტვოდა ყველა...
ვკვდებოდი ჩუმად, მარტოობით გულდაკოდილი,
საჩინოქმნილი გაქრნენ სახენი;
ვკვდებოდი ჩუმად და ამაო იყო ლოდინი,
თვისკენ მიხმობდნენ ორმოები, როგორც სახლები...
ნუ გაოცდებით, მე დამარხვა ვიხილე ჩემი,
ვნახე, თუ როგორ მაყრიდნენ თხას...
და... ირწეოდა დედამიწა — სამყაროს გემი
და... მოლიზლავე ქონდრისკაცებს ვუსმენდი დიდხანს...
როს დავუბრუნდი ნამდვილ საგნებს — თვალგახელილი,
როს განვერიდე სიზმარს სრულებით: —
გარეთ საამოდ ირწეოდა მწვანე ხეხილი
და ქარს მოჰქონდა დაფნის სურნელი.

1968 წ.

გაურ მოლაპშია

საუკუნეთა ხეიანი ცვია

გარდასულ ჟამთა ნალვლიან ზღაპარს
გულს მოუთხრობდა უსიტყვოდ რაღაც
და თან ღამეთა აჩეჩილ ფაფარს
გათენებამდე არხევდა რაღაც...

გაუმხელელი და ჩუმი სევდა
მოურნავდა და ფეთქავდა ჩემში...
საწუთოს კარავს დროის დრო ხევდა,
თან ქოთქოთებდა... მე ფიქრებს შევრჩი...

დღეს ლანდის ლანდი დამყურებს ზევით,
წუხან ფესვები მოჩეხილ ხეთა...
თვალდაბრმობილმაც მონახა გზები,
თვალგახელილი ვერაფერს ვხედავ!

ცაზე, მთვარეზე, მიწაზე: — ფერფლი!
სხვა არაფერი... წარსული ხვნეშის...
ვარსკვლავის სული, ვით ფრთები პეპლის,
ფრთხილად და შიშით მიჭირავს ხელში...

ეს სინათლე თუ საგნების ბრწყინვა
ჰგავს მოჩვენებას ან ლამაზ ბურანს...
საუკუნეთა ხმიანი წვიმა
მარადუამულად ბრუნავს და ბრუნავს!
1968 წ.



საფლავის მინის ვედრება

არ მიმატოვო მიწა საფლავის,
არ მიმატოვო... სხვაგან უკეთესს
ვეღარ მოძებნი;
მშობლიურ ყანის შენც ხარ თავთავი
და... შენც გელიან შენი მოძმენი!

არ მიმატოვო... სად ეჩქარები...
სხვაგან რა გინდა... ჩემსავით თბილად
სხვა არ დაგხვდება...
წახვალ და... სევდის მრუმე ქარებით
წინაპართ ძვლები აცახცახდება.

გთხოვ არ დამტოვო უშენოდ ლია,
გთხოვ არ დამტოვო... მოთმენით გიცდი
დღიდან გაჩერის...
ლია საფლავი ვის გაუგია...
ლია ჭრილობად მე აქ დავრჩები!

არ მიმატოვო საფლავის მიწა,
არ მიმატოვო... ჩემზე უთბილესს
ვერსად მოძებნი...
აქ ღირსეულად მრავალი მიწვა
და... შენც გელიან შენი მოძმენი!

1968 წ. ახალქალაქი



გაურ მოლაშხია

შემოდგომის მზე მოჰკოდეათ ურმით...

სიცარიელით ფეთქავდა ხრამი,
ახლოვდებოდა მეურმის ლანდი...
შემოდგომის მზე მოჰკონდათ ხარებს,
როგორც სამყაროს ელვარე დარდი.

შემოდგომის მზე მოჰკონდათ ურმით
და ფეხშიშველი ბავმვი ტიროდა;
შემოდგომის მზე მოჰკონდათ ურმით,
ისე, ვით ქვიშა სანაპიროდან.

ბორბლის ჭრიალი მოედო მინდვრებს
და ცაში ღმერთსაც ჩაესმა თურმე.
და გზათა გასწვრივ ხეები იდგნენ...
შემოდგომის მზე მოჰკონდათ ურმით.

არც მორიდება, არც მცირე ხათრი,
მისი წარსული არვის ახსოვდა...
მზეს მოენატრა ზაფხულის ხვატი,
თავის მცხუნვარე ახალგაზრდობა.

აგონდებოდა სწორიც და მრუდეც,
ვით მოალწია ამგვარ ჰელომდე!
დაობლებული ბავშვები დუმდხენ
და ახალი მზის ნათელს ელოდნენ.
1968 წ. ახალგალაქი



გონს ვაფხიზლებდი...

გონს ვაფხიზლებდი აწყვეტილ ქარქვეშ,
 თითქოს სამყარო ჩემზე ბრუნავდა...
 ხშირად ვსინჯავდი ჩახმალულ ქარქაშს,
 რომ ვყოფილიყავ მზად და გულადად,
 ფხიზლად ვხვდებოდი ქარვის განთიადს,
 მშვიდად ველოდი მხსნელს თუ მესიას...
 ახლა, შემხედე, როგორ დავდივარ,
 ეს რანაირი ბედი მეწია!

1968 წ.

გვირაბის იძით...

სარკმლიდან სივრცეს გახედა ხალხმა,
 მზე აცხუნებდა — ბნელის მგმირავი...
 როგორც ვეშაპის ვეება ხახა,
 უცებ გამოჩნდა თვალწინ გვირაბი...
 მე მოვისწრაფვი იმედით შენკენ,
 რა გახდა ეს გზა — გაუთაველი!
 თუმც სინათლიდან სიპნელის ბჭემდე
 ყოფილა რაღაც ერთი მტკაველი...
 მატარებელი გვირაბში მიჰქირის
 და ვგრძნობ, სიჩქარეს როგორ უმატებს...
 რატომღაც მჯერა, — გვირაბის იქით
 ერთმანეთს იმედს რომ გავუმართლებთ!

1968 წ.



ცად დაცურავენ თეთრი ღრუბლები

ცად დაცურავენ თეთრი ღრუბლები,
როგორც ნავები;
სივრცე სავსეა აბლაბუდებით
და მდუმარებენ ლერწმოვანები.

ფიქრთა ქარაფზე გარბის დუმილი,
თვალნინ მთებია...
ქარაგმები თუ საიდუმლონი
ელიან ამხსნელს და ენთებიან...

ისევ მოჰქრიან მრეში რაშები,
ისევ მოჰქრიან...
დღემდე მრისხანედ და თავაშვებით
ცხოვრებას ბევრჯერ უბობოქრია.

კვლავ იბობოქრებს, კვლავ დაირწევა
ბევრი აკვანი...
ახალ დიდებას, ახალ მიღწევას
ჩვენგან მოელის „ზრუნვის საგანი“...

ცად დაცურავენ თეთრი ღრუბლები,
როგორც ნავები...
სივრცე სავსეა აბლაბუდებით
და ირხევიან ლერწმოვანები.

1968 წ.



ზედაზნის მთაზე

„ლეგენდის თანახმად ზედაზნის მთაზე ცხოვრობდა
დევი, დარაჯი მცხეთისა; იგი მზის ჩასვლისას
დაიჩოქებდა მთაზე და მტკვრიდან წყალს
ამოხვრეპდაო.“

კ. გამსახურდია

გაჰყურებს დევი მთვარიან სივრცეს
და თვალით ზომავს უსახურ ჩრდილებს.
ხრამში ქორივით ეშვება ნისლი
და ჰეგავს გარემო დაგმანულ დილეგს.

ხევში ანაზდად რაღაც ჩქამდება
და უტყვი გრძნობა სხეულში წვეთავს.
მოირხევიან უცხო ლანდები,
თუ დემონები მოდიან მცხეთას.

ზედაზნის მთაზე გნიასი ისმის,
ვინ დაგვილენოს მამულის კარი!..
გამთენისას იღვრება სისხლი
და სისხლისფერად ბრწყინდება მტკვარი.

ცაზე ციმციმებს ნათელი ზეთი
და ვჭვრეტ სინათლეს — მარად ჩაუქრობს...
ამაყი დევი — დარაჯი მცხეთის —
ათვალიერებს თავის საუფლოს.

1968 წ.



გაურ მოღაშხია

ლაპა სოფელში

(შუაცეცხლი. მოხუცები. ზღაპარი)

ჰყვებიან... არ ვიცი, როგორ დასრულდება,
როგორ დამთავრდება იგავი...
ზოგს ბედმა უყელა... ზოგი კი ბრუნდება...
ჯერ ალარ ჩამდგარა გრიგალი...

ჰყვებიან მთისას და ჰყვებიან ბარისას,
დინჯად და ლამაზად ჰყვებიან.
ნაბრძოლი კაცები — უხსოვარ ჟამისა,
არავის არაფერს ჰყვედრიან.

ეს წუთისოფელი მშვენივრად უწყიან,
არიან ყოველთა გამძლენი.
უნახავთ ომები და რევოლუცია,
ხანძრები, ნგრევა და ხანძრები...

ჰყვებიან, ჰყვებიან ყველაფერს უკლებლად,
ტკაცუნებს ფიჩი და... გრიგალი...
არავინ არ იცის, როგორ დასრულდება,
როგორ დამთავრდება იგავი!..

1968 წ.



სიზმარი

გზაჯვარედინთან ამაყი ჩრდილი
ქორივით იდგა სინათლის გვერდით;
გარბოდა ქარი—თბილი და ფრთხილი,
შორს ჩანდა რაღაც უზომოდ თეთრი...

იმ სითეთრეში პატარა ღამე
ეკიდა ცაზე — ნახევი ღრუბლის;
სულ ახლოს იყო გულსავსე მთვარე
კეთილი, როგორც ღიმილი უფლის...

ხმა ჩამესმოდა წყნარი და მშვიდი,
ვით ლელიანში სიმღერა ქარის...
საიდან, როგორ? გამოჩნდა ხიდი
განათებული ბრწყინვალე მთვარით...

მთიდან გადმოდგა შიშველი დილა,
ცარგვალს დაენთო სხივები მკვეთრი...
გზაჯვარედინთან ფერმკრთალი ჩრდილი
უმწეოდ ეგდო სინათლის გვერდით.

1968 .



გაურ მოღაშხია

ხილულეთს ადგას დიდი ნათელი

უხილავ დოროთა ტრიალებს მაქო,
არსად არ წყდება წამთა ძაფები...
ხან, როგორც ღადარს, ტკივილებს ვაქრობ,
..... ხან გამძაფრებით
ავეტოტები სივრცეს, ვით მაღლობს...

ხან ვემზადები სულ სხვა დარდისთვის,
სულ სხვა შევებისთვის კვლავ ვიმუხტები...
ხან კი შენს წარსულს ისე განვიცდი,
..... თითქოს მუხლები
ანდა მკლავები მომკვეთეს უცებ!

ხან კი მოვდივარ, ვით უდარდელი,
..... ხან მიღმეთს ვუსმენ...
ხილულეთს ადგას დიდი ნათელი
და ერთ დროს გამქრალ ქალაქთა ქუჩებს
დაუვლის სითბო, ვით ურუანტელი.

1968 წ.

გალახზე მკრთალი დაცოცავს ჩრდილი...

ბალახზე მკრთალი დაცოცავს ჩრდილი,
ტყეში ბრწყინავს თუ ღვივის ცისკარი...
ბავშვი, რომელიც მიჰყვება ბილიკს,
..... მთელი სიჩქარით
ერთ დროს გაივლის გზებს და ტრამალებს...

ყველას ამხნევებს ხვალის სახელი,
შენ ის მითხარი: — დღეს რას მპირდები;
ვერც კი მოასწრებ ფიქრის გამხელას,
..... მეც გავფრინდები,
როგორც ზღაპარში უცხო ფრინველი...

ბორჯი მკაცრია, უწყვეტად მიდის,
არავის ინდობს, არავის უსმენს...
მიერთგულებს თუ ჩატყდება ხიდი?
..... თავისას უსტვენს
ბორჯი და, მიდის, რიოშად მიდის!

1968 წ.

დამშვიდდი

დამშვიდდი... განა მართლა დაღამდა,
დამშვიდდი... მხოლოდ წვიმას აპირებს...
ისევ ავივლით ახალ აღმართებს,
..... როცა აპრილი
ბალახისფერად შეიმოსება.

დამშვიდდი... ჩვენი ლურჯი ღელენი
იწკრიალებენ წმინდა წვიმებით...
ჩვენი ღიმილი და სიმღერები
..... როგორც იმედი,
ქვეყნად არასდროს წარიხორცება!

ჩვენ ერთად ვივლით — ორი მდინარე,
მარტოობაშიც არ დაგშორდებით;
ცა მოცრიატე — გამოიდარებს
..... და მზის ფოთლები
ტყეს ჩიტებივით შეესევიან.

დამშვიდდი... განა მართლა დაღამდა,
დამშვიდდი... მხოლოდ წვიმას აპირებს...
ისევ ავივლით ახალ აღმართებს,
..... როცა აპრილი
ბალახისფერად შეიმოსება.

1968 წ.

გაურ მოლაშხია

გადაკარგულან სადღაც ეპონი

გადაკარგულან სადღაც ექონი,
დგას მყუდროება, მართლაც მეფური...
გაიდუმალდა თითქოს ბექობი
..... და უნებური
დადგა მოწყენა — მიმწუხრის მსგავსი.

გვედება უხმოდ სიჩუმის ხავსი...
მთეარის კარავი ცაზე ქანაობს.
ალბათ ჩივიან მშობლები სახლში: —
..... „დაახანაო
შვილმა და“... შენზე დარდობს ორივე...

ჩვენი გულები კვლავ ვერ მორიგდნენ,
უხმოდ დავტოვეთ ბოლოს ერთურთი...
გავსილი მთვარე მოჩანს შორიდან
..... და, ვით ეფუთი,
არის ზღაპრული და იდუმალი...

1968 წ.



როგორც სიზმარი აუსდეველი

დღე-ლამის ტევრში ფიქრები ჩემი
მიმოიფანტნენ, როგორც მტრედები...
ქათქათებს თოვლი — თეთრი სიჩუმე
..... და, მახსენდები,
როგორც სიზმარი აუსდენელი!

გახსოვს? ვუსმენდით ერთად ნაკადულს
და შენი ხელი — მთრთოლვარე ზვირთი —
მეჭირა დიდხანს... მერე დაგკარგე...
..... დღეს, როგორც ტვირთი,
იმ დროზე ფიქრი დამაქვს წვალებით!

ის ერთი ლამე — გრძნობის თავთავი,
წრფელი წუთების წვა და, წვიმები...
დაწყებული გზა როგორ დამთავრდა,
..... როგორ მივედით
გაუგებრობის მრუმე სამანთან?

დღე-ლამის ტევრში ფიქრები ჩემი
მიმოიფანტნენ, როგორც მტრედები...
ქათქათებს თოვლი — თეთრი სიჩუმე
..... და, მახსენდები,
როგორც სიზმარი აუსდენელი!

1968 წ.



მოსუცის ფიქრი

დაღამდა. მე ცის ღიმილი მსურდა,
დასაბამიდან სინათლე მსურდა.
ახლა თოვლს ვუმზერ ზენრად გაფენილს.
..... გზის დასასრულთან
მშვენიერდება სუყველაფერი.

დაღამდა. მოდი, მომკიდე ხელი,
მზემ მიძინა, მომკიდე ხელი.
რისთვის ტირიან ნეტავ ჩიტები?!
..... მიწის სახელით
აუწყეთ, მე არ დავიშრიტები.

თუმცა, ვით ფიფქებს, წლები მაფენდა
მოკლულ იმედებს, სევდას ნათელთა...
ჭკეიანი მზერა ირგვლივეთს უვლის,
..... გადასხვაფერდა
მამული — ჩემი უკვდავი გული.

დაღამდა. მე ცის ღიმილი მსურდა,
დასაბამიდან სინათლე მსურდა...
ახლა თოვლს ვუმზერ ზენრად გაფენილს,
..... გზის დასასრულთან
მშვენიერდება სუყველაფერი.

1968 წ.



შენი დუმილი მოჰვავს მოლოდინს

შენი დუმილი მოჰვავს მოლოდინს,
ქარის ნახევი ფრიალებს ხეზე...
ვით ახალგაზრდა არქეოლოგი,
სადღაც დამარხულ იმედებს ეძებ.
ზოგჯერ პოულობ და... უცდი ქუხილს...
ხან გინუნებენ წვალებით ნაპოვნს,
ხან, ვით ნაჯახი — ჭადარს ან მუხას, —
გულს სიმძიმილი ბზარავს და აპობს...
რეკავს საათი და... არ ლირს მოცდა...
მენამული მზე ტაატით ჩადის...
გესმის ჩურჩული, ვით დედის ლოცვა
და, სადღაც ტირის პოეტის ჩანგი!..
ეს ვინ დაეძებს დაკარგულ სატრფოს?
„ვაი, სოფელო!“ მოშლილო ფუძევ!
ამ სიჩუმეში ოცნებობ მარტო
და გასვენია სამყარო გულზე...
შენი დუმილი მოჰვავს მოლოდინს,
ქარის ნახევი ფრიალებს ხეზე...
ვით ახალგაზრდა არქეოლოგი,
სადღაც დამარხულ იმედებს ეძებ.

1968 წ.

ნიმა

თავის მხედრობით მოვარდა წვიმა,
მარბიელივით მოედო არეს...
ხეხილი, გზისპირ დამდგარი მწერივად,
ტოტებით წურავს განუწულ ქარებს.
ჩამუქებულა გუმბათი ცისა,
როგორც თვალები შურიან კაცის...
მე კი... ღვთისნიერს ვუმადლი ისევ,
უუამო უამად გზას რომ არ ავცდი!
გზა ბევრია და ყველა მგზავრს იტევს,
ყველას გვეღვრება საწუთროს თქეში...

გაურ მოლაპშია

ნყლებით გაჟღენთილ ღრუბლებს, ვით ფილტვებს,
კვლავ ფატრაქს ელვა — ავდარის ეშვი!
მოწეულია ჟამი თვითგვემის...
დრო შეცვლილია... სხვა იყო წინათ...
და, როგორც ზეცის გრძელი თითები —
სივრცეს ჰკიდია შხვართალა წვიმა.

1968 წ.

ც იცდი...

ნუ იცდი...
ნაწვიმარ ქუჩაზე მიმოდის ხალხი...
თუ იცი...
დაჭიმულია ყველა ზამბარა...
სიმშვიდე...
როცა ფიქრობენ — ხმაური არ ლირს...
სიშიშვლე...
ამაოა, ვერაფერს დაფარავ...

ქუჩა... რიალი...
არავინ იცის რისთვის გამოდის...
ადამიანი...
შეუცნობელი მატერია...
იალა...
კარგია გარეთ საღამოთი...
იარე...
გზა თუ არ აგერია...

1968 წ.



ყვითელი ქარვა ჩამოდის ციდან

რაულ ჩილაჩავას

ყვითელი ქარვა ჩამოდის ციდან,
ყვითელი ქარვა...
ვინც კი მეგობრებს ხშირად იცვლიდა, —
მე იგი არ ვარ!

დროის საკანში გამოკეტილი —
ოცნებებს ვარწევ...
იქნება წრფელი და ხმით კეთილი,
რასაც კი დავწერ...

უნდა ვიპრძოლო ჩემი მახვილით
მუდამ, — მარტომო...
თუ გაიგონო ჩემი ძანილი —
არ მიმატოვო!

მხოლოდ გამიგე, მხოლოდ მიცანი
ნაღდი მარჯვენით,
რადგან ვართ სულით შენაფიცარი —
დღიდან გაჩენის...

შურით არ ენთონ ჩვენი თვალები
აღარასოდეს!
და... ბედისაგან ნამუხთალევი
მარად გვახსოვდეს!

ყვითელი ქარვა ჩამოდის ციდან,
ყვითელი ქარვა...
ვინც კი მეგობრებს ხშირად იცვლიდა, —
მე იგი არ ვარ!

1968 წ.

პოეტი

მზეზე ტირიან სისხლის წვეთები
და დაცემულთა ხეთა რტოები...
წმინდა ფიქრები — ჩემი ღმერთები,
ვეღარ ტოვებენ
ციურ საუფლოს.
თან იმედებით
ითვლიან წამებს...
მქისე ხმაური
და უდაბნოთა ცხელი სულები...
მე ვარ დერვიში, ვარ მოგზაური
და დრო სრულებით
აღარ მაშინებს.

ცხვანტი ქარები
სივრცესა შინა ვანსა პოვებენ
და მეგობრები — გზებზე მარები —
არ დამტოვებენ
მარტო და,
ვივლი, ვივლი ნიადაგ...
მერე დღეები მზისფერ ტოტებით
გამომიწვდიან სავსე ფიალას,
დავცლი და,
ისევ განვმეორდები.

1968 წ.



გურამიშვილის მოცოლობი

როგორც მერეხში წუხილი ყანის,
ისე ჩამესმის შენი ვედრება...
შენ გამზარდე და საჩინო მყავი
და ამაშენე მტრის წინ კედლებად.
ხან მტკიცედ ვიდექ, ხან ვინგრეოდი,
კვლავ მაშენებდი შენი ქვიტკირით;
ხან სისხლს მაცლიდნენ, ზოგჯერ ვმღეროდი...
ან გარდასულ ჟამს მწარედ მივსტირი!
გადაგვიჭირე შოლტი შენს ხარებს,
ახლოს გვაჩვენე მიუწვდომარეც...
ახლა იმ დღეებს შორით შევხარი,
როცა გიხილავ შენთვის მდგომარეს...
უფრო იშრომებს შენი ფუტკარი,
შენი ბჭეებიც დაიკოცნება,
როცა იქნები თავისუფალი,
როგორც ფიქრი და როგორც ოცნება...
კვლავ უძილარი შევხვდები სისხამს,
რადგან საწუთრო მექცა დილეგად...
შენი გულიდან ნაწური სისხლი
სხვის სხეულისკენ მიედინება!..
გადაგვიჭირე შოლტი შენს ხარებს,
ახლოს გვაჩვენე მიუწვდომარეც...
ახლა იმ დღეებს შორით შევხარი,
როცა გიხილავ შენთვის მდგომარეს!

1968 წ.



გაურ მოლაშხია

ამაღება

ტყვიისფერი ცა სიმძიმილს მოჰვავს,
ფეთქავს ზმანება;
მესმის ჩურჩული გარდასულ დროთა
და, მენანება...

გამახსენდება უამითი უამად,
ვით წინაპარი,
ერთ დროს საამოდ ნათქვამი: — ნანა,
ტკბილი ზღაპარი...

დრო გვიხსნიდა და დრო გვიმალავდა
სიბრძნის პოემას...
განუცდიათ და უთქვამთ მრავალთა —
ამაოება!

სივრცის ტოტებზე წლები ასხმულა
ლამაზ რტოებად...
არ აქვს საწყისი და დასასრული
ამაოებას!

ტყვიისფერი ცა სიმძიმილს მოჰვავს,
ფეთქავს ზმანება.
მესმის ჩურჩული გარდასულ დროთა
და, მენანება!

1968 წ.



არ მიფიქრია ამნაირ დღისთვის

არ მიფიქრია ამნაირ დღისთვის,
 არ მიფიქრია, ასე რომ მევლო...
 შენ ისევ შორს ხარ, მე კი აქ ვიცდი,
 გულსჩახვეულო დარდო და ცრემლო!
 ეს ბოლო დროა, მოხშირდა წვიმა,
 სარემლიდან ვხედავ დანისლულ ჭადრებს;
 ერთგვარად ვხვდები მიმწუხრს და დილას...
 მე სხვანაირად ვფიქრობდი ადრე!
 საიდან მოდის ეს უთანხმობა!
 (უკვე იგრძნობა წვიმის ნელება...)
 გითმობ თანდათან... თუმცა დათმობა
 მე სიკვდილივით კვლავ მეძნელება!

1968 წ.

ცარგვალზე მიმოღის...

ცარგვალზე მიმოღის
 უკვდავი ელიოსი, —
 შუქი უმურველად ულვრია...
 პატარა მამულში
 პატარა გენიოსი
 დაღის და საუბრობს გულლიად.
 1969 წ.



გაური მოღაშხია

ირნევა მთვარე და...

ირნევა მთვარე და
კვლავ მოჩანს შორიდან
თეთრი ღრუბელი — ზოზინა ფარა...
ხვალის დღე უამრავ
საფიქრალს მოიტანს,
სიცოცხლეც რამდენ სატკივარს ფარავს!

შრიალებს სიჩუმე,
ვით სივრცის ზენარი,
ნისლივით ბოლავს ნასუნთქი ღამის;
ტბის პირას ძილფხიზლობს
ობოლი ლერწამი,
ჰკიდია ცრემლი — ციმციმა ნამი...

ქანაობს მთვარე და
კვლავ მოჩანს შორიდან
თეთრი ღრუბელი — ზოზინა ფარა...
ხვალის დღე უამრავ
საზრუნავს მოიტანს,
სიცოცხლეც რამდენ სატკივარს ფარავს!
1969 წ.



ისეთი მზეა...

განთიადის მზებ
 ხეებს შუქი შემოაფრქვია,
 ჩვილივით იძრა
 მყიფე ტოტში პანია კვირტი...
 იმ წმინდა რწმენის —
 სიყვარულის სხივი აქვეა,
 რომლისკენ ყველა თანაბრად ვილტვით!

ტყეების სუნთქვა
 თან მოჰყვება ჩიტების ჟივუივს,
 ახალნაღვიძარს
 სიო
 სველ ფრთას შარივით მოგდებს...
 და...
 შეუმჩნევლად
 სადღაც ცოცხლობს ის ერთი შიში, —
 გაჩენის დღიდან ყველას რომ მოგვდევს!

ისეთი მზეა! —
 ჩვენი ყოფნა თითქოს ლაგდება,
 თუმცა ყველაფერს
 ეს ცხოვრება უცქერის მკაცრად...
 ახალუხლები
 წარმავლობას არად აგდებენ, —
 აყოლილები ჭაბუკურ განცდას!

1969 წ.



გაურ მოლაშხია

ვზივარ პექობზე...

ვზივარ ბექობზე
თუ ურჩხულის ზურგზე ვისვენებ?
თითქოს იძვრის და, მაკრთობს ბექობი...
ნაწვიმარი წყლით
ხეობები უბეს ივსებენ
და იშლებიან
ციცაბოზე მთათა ექონი!..

თავზე მამხია
სივრცე, როგორც თითბერის ქვაბი,
ვარ მომწყვდეული...
ეს თუხთუზი როდის გათავდეს?
და, ჩახვეულად
მაბზრიალებს საწუთროს ძაბრი...
ნეტავ, რამდენი
დარჩა კიდევ... განთიადამდე?
1969 წ.

ზოგს არ ეგონა...

ზოგს არ ეგონა
თუ ამდენ ხანს მართლა გაძლებდი,
მაგრამ კვლავ დგანან
ბჭეურლვევი შენი ტაძრები
და...
ისე გიჩანს
ხმიანობა ჟამთა წვიმების,
თითქოს გესმოდეს
შორეული ხმა წინწილების.

1969 წ.

**მინდა გაუწყოთ ჩემი ცუხილი
(ციკლიდან: — „სიზმრების სამყაროში“)**

მინდა გაუწყოთ ჩემი ნუხილი: —
ენაზე მადევს დრო-ჟამის ქუსლი...
მონუსხულივით ვუცდი უხილავს
და... ზამთრის ბუქი ტრიალებს გულში!
აჩრდილ-ლანდები დარბიან თვალწინ,
აგერ, უცნობი შენდობას ითხოვს...
ხან, როგორც ღვინით ავსილი ყანწი,
ვიღაცის ნებით ვიცლები თითქოს...
ხან კალმის ნაცვლად მაწვდიან ეკალს,
უგულო კაცის ქირქილებს ლანდი...
მერე... ჩამესმის ზარების რეკვა,
და... სისხლის ტბორი უბეში ჩამდის!
უკეთურებას აკვანს ურწევენ
და... ნანგრევები ცად მიფრინავენ...
შენ კი მეძახი: — ნუ ხარ უმწეო,
თუ არ იღონე... მწარედ ინანებ!..
მინდა გაუწყოთ ჩემი ნუხილი: —
ენაზე მადევს ვეება ქუსლი...
მონუსხულივით ვუცდი უხილავს
და... ზამთრის ბუქი ტრიალებს გულში!

1969 წ.

მინისძვრა იწყება აგალამ!

ადექით! ადექით! სწრაფად და ამაყად,
გეძახით მთელიც და ნატეხიც...
იფხიზლეთ! მიწისძვრა იწყება ამაღამ,
ადექით! ადექით! ადექით!
ბედითად მდუმარებს ზღვის ფსკერი, მთის უბე,
განსაცდელს უჩუმრად ამხელენ...
დღეებს გარდასულებს თუ გადათიბულებს
გახედეთ, ტკივილით გახედეთ!

გაურ მოღაშხია

იფხიზლეთ! პრიალებს პირბასრი სახნისი,
ყველაფერს გულცივად გადახნავს...
ადექით სწრაფად და ილოცეთ სახლის წინ,
მიწისძვრა იწყება ამაღამ!

1969 წ.

ლამე. კოშჩარი. დედა.

- ისევ მარტო ვარ, დედა, შიშის დაფარვას ვცდილობ...
- შენი გული რად კრთება, რა გემართება, შვილო!
- რა ვქნა, არ ვიცი, დედა, სიცოცხლესავით თბილო...
- შენს თავზე ეს რა ხდება, რა არ გასვენებს, შვილო!
- ყოველდამ ვხედავ კოშმარს (რად არ მაძინებ, ძილო!)...
- შვილო, გაუძელ დრო-ჟამს, მამით ობოლო შვილო!
- რა მემართება ნეტავ, რაღამ დამრია ხელი?..
- ვაი, მოგიკვდეს დედა, შვილო, ყოფნა გაქვს ძნელი!
- ყველაფერს ვიტან თმენით, ხან ვეძალები ღვინოს...
- გახსოვდეს საქმე შენი და არ დამღუპო, შვილო!

- ყოველდამ ვხედავ კოშმარს (რად არ მაძინებ, ძილო!)...
- შვილო, გაუძელ დრო-ჟამს, შენ შემოგევლე, შვილო!

1969 წ.



რაღაც შეიცვლება...

რაღაც შეიცვლება, რაღაც გათავდება,
დროც მიიწურება
და, მეც გაგიქრები...
უცნაურის მოლოდინში ნელ-ნელა ღამდება
და გზისპირ
მაღალი ხეები ფიქრობენ...

შენი ადრინდელი მიჭირავს წერილი,
ვითარცა სევდა ყვითელი ფურცლის...
როდი ვიჯერებ მალემრნმენივით
ყველაფერს...
მხოლოდ ვისმენ და... ვუცდი!

ყველას გვენატრება ნათელი სიმართლის,
აგერ,
მოყვასი ილბალზე ჩივის...
და, როგორც სურნელი დალვრილი ინანთის,
სივრცეში ვრცელდება საღამოს ჩრდილი...

ვიცი, უსათუოდ რაღაც გათავდება,
რაღაც შეიცვლება
და მეც გაგიქრები...
უცნაურის მოლოდინში ნელ-ნელა ღამდება
და კაცებივით ხეები ფიქრობენ...

1969 წ.



გაურ მოლაშხია

არ დამთავრდება ჩემი ზღაპარი

არ დამთავრდება ჩემი ზღაპარი
განთიადამდე... გქონდეს იმედი...
ოლონდ იჩქარე... წუთებს გაპარულს
წუ დარდობ, თორემ დაიჩრდილები...

შენც მოასწარი, მიდი, რაც არი!
ეს ლამეული დარდი გათავდეს!
წუ გეშინია, ჩემი ზღაპარი
არ დამთავრდება განთიადამდე!
1969 წ.

ტვირთივით მიგაქვს ცოდვები ქველი

ტვირთივით მიგაქვს ცოდვები ქველი
და წელმოხრილი მიჰყვები შარას...
თრთის და ციმციმებს ბალახი სველი —
მიცვალებულთა ნატირალს ფარავს.

ჩამოეკიდა ცარგვალზე ძერა —
ლამის ნაფლეთმა ფრთები გაშალა...
ტვირთივით მიგაქვს ცოდვები ქველი
და წელმოხრილი ადგიხარ შარას!
1969 წ.



აცელავს დიღა ღამეულ ჩრდილებს

აცელავს დიღა ღამეულ ჩრდილებს, —
დღე-ღამე ერთურთს წაშით შეხვდება...
იმედნეულად შეერთება ვინმე,
მზეს ლოგინიდან შვებით შეხედავს.
დაავიწყდება ზუზუნი ტყვიის...
ცა იძრიალებს მზისფერ ალვებად...
კაცი — მიკრული ლოგინს და ტკივილს —
მზის დაბადებას მიესალმება.
დაისხამს ღვინოს, უთქმელად დალევს
და შეუდგება მკლავებში ძალა...
მზე ჩამოკიდებს ნანატრ სინათლეს
ყველას სარკმელზე, ვითარცა ალამს!
1969 წ.

მოხუცის ლანდი...

ბავშვი უმზერდა ჭკვიანი თვალით
კერას — უეცრად გაფოთლილ ასკილს.
ღვიოდა ცეცხლი, ბრწყინვადა ალი
და ბნელში ქოხი მოჰვევდა ვარსკვლავს.
გულმიწურვილად მღეროდნენ „ჩელას,“
გამოლებული იცდიდა კარი.
ღამეთა ტევრში, ვით თუთარჩელა,
იმედად ენთო ციაგი ხვალის...

მან უსასრულო აზრით და ფიქრით
წვალებით განვლო მრავალი წელი...
ბოლოს გამოჩნდა სივრცეში ხიდი —
უტყუარი და სანახად ვრცელი.

წამოიზარდა მწუხარე ქოხი,
სივრცეს მოედო, როგორც თქმულება...
და სოფლის გზაზე ბერმუხის ჯოხით
მოხუცის ლანდი მიფათურებდა.

1969 წ.

გაურ მოღაშხია

იმ ერთი დღისთვის...

ზოგჯერ ვიქწები მოწყენილი, ხან — კმაყოფილი,
არ შემშურდება სიმაღლე და სიკეთე სხვისი.

ცხოვრების საგზლად

სულ პანია პურს ვიმყოფინებ,
ოღონდ გამხადე იმ ერთი დღის მომსწრე და ღირსი...

მე — ცვარნაწვეთარ ბალახივით გავიციმციმებ,
ახალ სტრიქონებს

სხივებივით მოგიტან უბით.

და როგორც ხარი,

ქედს შევუდგამ ყველა სიმძიმეს,
და შენს ტარიგად მზად მექნება გული და შუბლი.

მზად ვარ,

შეგწირო ყველაფერი დაუფიქრებლად
და არ შევეკრა ქვეგამხედვარს, ფლიდს და უნდობარს...

იმ ერთი დღისთვის,

იმ რწმენისთვის, როცა იქნება

დიდი სიმღერის დაბადება და... მზებუდობა!

1969 წ.



მაიცც მახარებს მოსვლა მატარებლის

მომეცით მთის ჰაერი და მთის წყალი,
ვით სიხალისე სანატრელი...
არ ველოდები თუმცალა არვის, —
მაინც მახარებს მოსვლა მატარებლის...

მოდით, ჭიქაში ჩამისხით მზე —
დაუყვედრებლად რაიც მერგება...
ახლა სინანულით გავცერი გზებს,
დრო სიჩუმისკენ მიმერეკება!

ნუ გამაყოლებთ ჯერუთქმელ წუხილს...
ამ საწუთომი, ვიცი, რაც მეუუთვნის, —
ის მაინც ჩემია: — აჩრდილი რუხის
სადაც არის და რასაც ეყუდვნის!

მომეცით მთის ჰაერი და მთის წყალი,
ვით აღმაფრენა სანატრელი...
არ ველოდები თუმცალა არვის, —
მაინც მახარებს მოსვლა მატარებლის...
1969 წ.



გაურ მოლაშხია

ჭისმთხრელის მონოლოგი

ჩემი ცხოვრების ნახევარი მე მიწაში ვარ,
რათა დამაშვრალს ვუწილადო კამპაბა წყალი;
წუთისოფელში მრავალგვარი გზები წამლილა,
მაგრამ უკვალოდ არ გამქრალა ჭისმთხრელის კვალი, —

იღებენ, სვამენ... მზე ეწყურვის მარჯვენას ჩემსას,
თითქოს, მწყურვალთა მარწყულებელს, მეზრდება მხრები...
თუკი ხანდახან აღმომხდება დაქანცულს კვნესა,
რა ვქნა,
მძიმეა ცხოვრებაში ჭისმთხრელის ხვედრი!

ვით გაფრთხილება, მე სიღრმეში მომყვება შიშიც,
უკანდახევას არ მანებებს ჯიუტი ჯიში...

ისევ და ისევ დაუინებით ჩავდივარ ქვევით,
მესაუბრება მდუმარება მიწის და ქვების...

ვიცი, ამაოდ არ ვირჯები და აღარ ვწვალობ,
სიღრმეებიდან მე ამომყავს სიცოცხლის წყარო...

ვით საამაყო გამარჯვების ნათება მკვეთრი,
აგერ, მიწიდან კვლავ მოჟონავს ცივცივა წვეთი!

1969 წ.

თუ მეცოდება ის ხე, რომელიც...

მე მეცოდება ის ხე, რომელიც
დგას
სადღაც ტყეში,
გაზაფხულის მშვენიერ დარში
და, როგორც მამა —
ფერგადასულ ცარიელ სახლ-კარს,
ისე შეჰყურებს უფოთლო ტოტებს.

1969 წ.

ღელავენ დღეები...

ღელავენ დღეები —
დროის ტალღები,
დგანან ხეები ქორფა ფოთლებით...
შენ ჰეგავხარ სიჩუმეს —
კივილით დარღვეულს,
მე კი — ჭრილობას წვალებით მოთმენილს.
1969 წ.

რომ გითხრა ახლა...

რომ გითხრა ახლა — საითკენ წავალ,
უნდა ვიცოდე — სიდან მოვედი...
შორს, კამეჩჩი — ბორცვები წვანან, —
რაღაც ზანტური სიმყუდროვეთი...

იცოხნებიან ველები ჰაერს,
(რამ გაგაყუჩათ ასე, ქარებო?)
დუმილი მოჰეგავს ხმაურის „ჰაეს“
და იძირება ბინდში გარემო!
1969 წ.



გაუგებელი

მოდი, დაუჯერე მეგობარს უფროსს

ყური დაუგდე მეგობარს უფროსს,
დავლიოთ ის ღვინო, რომელიც გენებოს;
ყველაფერზე
გულახდილად
ვისაუბროთ,
უნალვლოდ შევხვდეთ დღის გათენებას.

სევდა კვამლივით ცაში ადის,
ხან ნალვერდალზე მგონია ვწევარ...
ხან უცებ მეცვლება,
მეგობარო, ხასიათი,
ხასიათივით მერყეობს რწმენაც!

დარდი ტყვესავით გავაპაროთ,
სიამე მოვგვაროთ იჭვნეულს, გადალლილს...
ზოგჯერ ისეთ რამეზე ვლაპარაკობთ,
რაც სალაპარაკოდ თითქოსდა არა ღირს!

მოდი, დაუჯერე მეგობარს უფროსს,
გული ამინდივით მივუშვათ ნებაზე...
მოდი,
ყველაფერზე
გულახდილად ვისაუბროთ
და... მერე ვიფიქროთ გათენებაზე!

1969 წ.

უხილავ ხაზეპს...

უხილავ ხაზეპს თითებით ვავლებ,
(ღვარს მოაქვს უხვად ქვიშა და შლამი...)
ო, რა ძნელია მხიარულს ჰგავდე, —
როს საამისო არ გიდგას ჟამი!

1969 წ.

60 წელი

რამდენი ვეაჯეთ, რამდენი ვეფერეთ,
მაინც არ ისმინა მრისხანე ნეფელებ.

ლრუბელთა ჩარსავით შემოსა არენი,
წვიმები... წვიმები... შლეგი მდინარენი...

— ნეფელევ, გენუკვით, მუდარას ვუნდებით;
გვეყოფა, გვეყოფა, გვეყოფა — ლრუბლები!

არ გვინდობს ავდარი, ვით დრო გამწირველი...
უწყვეტი წვიმები... წვიმები... წვიმები...

რამდენი ვეაჯეთ, რამდენი ვეფერეთ,
მაინც არ გვისმინა მრისხანე ნეფელებ.

1969 წ.

პაზალეთის ტრაგედია

„და შეიძნენ ბაზალეთს, ფიცხლად, ასრე რომე
არა დარჩა კაცი, რომ არ დაიჭრა და
მრავალი თავაღნი დაიხოცნენ“.
„ქართლის ცხოვრება“

|

ვარ განძარცული იმედებისგან და ვიხედები
ცისკენ ამაოდ...
სისხლი ალაზნად მიიტბორება
და ჩემს სხეულში ყრუდ ხმიანებს ზვირთები ცხელი,
ბნელში უმხედროდ ჭიხვინებს ცხენი და პატრონს უხმობს
ველური გრძნობით...
მე ვერ ვცნობილობ საკუთარ შვილებს,
ხოცავენ ერთურთს
და ვიკვებები შვილების ხორცით.

გაურ მოლაპშია

II

თვითონ უფალმა დაუტევა ფეშქაშად ყორნებს
ჩემი გული და ჩემი სხეული
თუ ჩემს მოყმეებს დაერია სიგიჟის ღვართი?
საკუთარ ხმლებზე წამოგებულნი —
წვანან ველებზე —
სამზეოსკენ ზურგმიქცეულნი...
და, შემოგარენს ჯანლივით ანევს
მათი უილბლო სულის წუხილი
და ტრაგედია!

III

ახლა არ ვიცი რომელს ვეაჯო,
ანდა რომელი ავაცილო მკაცრ განჩინებას
მომავალ დროთა,
რამეთუ ყველა შვილია ჩემი,
თუმცა მტრებივით ხოცავენ ერთურთს;
ჩემი სახელი დროშასავით უჭირავთ მაღლა
და გულში
არც ერთს არ ჰქონია ღალატი მშობლის!
იბრძვიან ჩემთვის, ძმათა შორის ტრიალებს ხმალი...
და თვით არ ვიცი, უფალო ჩემო,
ვინაა ახლა გონდახშული
ან თვალხილული.

IV

„აქა მეგულების დადუმებად, რომელ
სალმობიერსა მიუთხრობ ტკივილითა
გულისაითა.“
„ქართლის ცხოვრება“

მიმოიხედონ, ყოველ მტკაველზე
დადის უჩუმრად სატანის ლანდი
და ეუვნებივით აულრიალებს სიკვდილის ცელებს.
მიმოიხედონ,
თანდათანობით მითხრიან მიწას,
რომ გამგუდონ და ჩამასვენონ,
ცოცხლად დამმარხონ,

რათა ამქვეყნად
არ ჰგიებდეს სახელი ჩემი.

მიმოიხედონ და თუ აქვთ გონი,
მყისვე იგრძნობენ
მოახლოებულ აღსასრულს ჩემსას...

ვით დღის ნათელი შეღამებულზე,
მე ვიწურები, ვიცლები და მელევა ღონე.
ჩემი შვილები
არ ინდობენ ერთმანეთს წუთით,
პირმოთნეობით იმარჯვებს მტერი
და მალავს ნიღაბს
ჭკვიანურად,
ნინდახედულად...

V

კაცი — გვემული მოძმის ღალატით,
გამოდის ღამით ტანჯული სახით,
ზენაარს უთხრობს თვის აღსარებას: —
„მამულისათვის დავთმე ყოველი,
შვილი, ოჯახი და სიცოცხლე ტკბილსასურველი
და ნუთუ ესეც შეცოდებად დაიწერება,
უფალო ჩემო!..“

VI

და ასე — ორფად მიკვდება გული,
და ცოდვა-მადლით ვდგავარ გზაზე
მხრებში მოხრილი —
მე — დაქცეული შვილების ხმლებით...
ახლა არ ვიცი ვინ გავამართლო
ან ვის ვარგუნო ჯოჯოხეთი — სულის სალმობა,
რამეთუ ყველა შვილია ჩემი
და არც ერთს გულში არ ჰქონია
ღალატი მშობლის!

1969 წ.

როგორ მიიღოთვის ჟამი...

როგორ მიიღოთვის ჟამი,
რა უსწრაფესი ფრენით...
ტრფიალის ტკბილი შხამი
და, ოცნებანი შენი —

საით წავიდნენ, საით,
რად იყურები წყენით...
ჩავლილა ოცდასამი
(მოუსვენარი) წელი.

გახსოვს სახელი ბევრი,
შენ ვისაც სცემდი თაყვანს;
ზოგი, ვითარცა მტვერი,
ჟამთა ბურუსებს გაჰყვა;

ზოგი დათესილს იმკის,
ზოგს დრო აწვალებს მკვეთრი
და... არაფერი გიკვირს,
თუნდაც იხილო ღმერთი...

წვიმები... ქვიშა... შლამი...
და, უთვალავი ფერი...
როგორ მიიღოთვის ჟამი,
რა უსწრაფესი ფრენით!

1969 წ.



ციკლიდან: — „გალოგანი სიყვარულისა“

გედისცერა

(რ-ს-ს)

ჩემს ოთახში
ყორანივით შემოფრინდა მწუხრი,
სადღაც ქარი
ტყივილივით შეეჭრება მერქანს...
სიბრელეა
გარშემო და ვერ გივიწყებ წუთით,
მინდა ვიყო
არსაკიძე, შენ შორენა გერქვას.
მექნებოდა
შთაგონება ძიების თუ შექმნის,
მიუმცდარად
გავტყორცნიდი სიყვარულის ჰოროლს...
ალიმართოს
ქვეყანაზე სიტყვა, როგორც ძეგლი,
მერე თუნდაც
მარჯვენასთან თავიც მომაშორონ!
ჩემს საფლავთან
იტირებდა დაქანცული შველი,
დღეს რამეთუ
ადამიანს გაუმკაცრდა სული...
თუკი სხეულს
გამითბობდა მე ცრემლები შენი —
დასაწყისი
იქნებოდა ჩემთვის დასასრული.
ჩემს ოთახში
ყორანივით შემოფრინდა მწუხრი...
(დღეს იყავი
მომწუსხველი, ვით შორენას მზერა...)
სიბრელეა
გარშემო და ვერ გივიწყებ წუთით,
ვგრძნობ წინასწარ —
რას მიქადის ჩემი ბედისწერა!

1969 წ.

რა გიცდა მეტი!

(რ-ს-ს)

დადიხარ, ცქრიალებ, კისკისებ, მღერი,
შენია, შენია ნათელი ფერი!

მე ლამე ვირგუნე, დავდივარ კენტი...
რა გინდა!
რა გინდა!
რა გინდა მეტი!

მიჭირავს სანათი — კიაფა შუქი
და გულში გუგუნებს ტრფიალის ბუკი!

ყოველ წამს, ყოველ წუთს გვაშორებს ბედი...
რა გინდა!
რა გინდა!
რა გინდა მეტი!

თითქოსდა როკავენ მაღალი მთები,
ზეიმობ შენ და... მე განზე ვდგები.

მე — შენი მორჩილი, შენ — ჩემი ღმერთი;
რა გინდა!
რა გინდა!
რა გინდა მეტი!

1969 წ.



იდუმალების შეცორას ვლამობ...

(რ-ს-ს)

მახურავს ზეცის მთრთოლვარე კალთა
 და ყვინჩილობენ საღამოები...
 კვლავ ვიწურები მოთმენის კართან
 და შუბლზე მაზის დამღა დროების...
 კვლავ ილენება საწუთროს კალო,
 წუთები მძიმედ მოილალება...
 იდუმალების შეცნობას ვლამობ —
 შენში უჩუმრად რომ იმალება.

1969 წ.

ნავიდენ დღეები...

(რ-ს-ს)

ნავიდნენ დღეები, შორს გადაიკარგნენ,
 დატოვეს ხსოვნათა ძვირფასი განძები...
 იმ ნათელს, მგონია, ვერასდროს მივაგნებ,
 ზედიზედ ტყდებიან ციური ანძები...

თურმე დასაპამი ყოფილა ზლაპრიდან,
 ზლაპარში მთავრდება შუქიც და ბურებიც...
 დრო უზრუნველობის გაქრა თუ გაფრინდა
 და ზრუნვამრავალი გზად მივეშურები.

მითხარი: — ეით შევძლო, ისევ რომ მიყვარდე,
 როს რწმენის გადატყდნენ მაღალი ანძები...
 ნავიდნენ დღეები, შორს გადიკარგნენ,
 დატოვეს ხსოვნათა ძვირფასი განძები!

1969 წ.

გაურ მოლაშხია

ნამო, სანამ გული გვერჩის...

(რ-ს-ს)

„განა გიცდის სიყვარული, ადგება და წავა!“
გ. ლეონიძე

მიმოაფრენს ქარი წვიმებს
და სცემს გზაზე მავალს;
მარჩხა წყალი ვის აშინებს?
ან ზღვაზე ვინ გავა?
ან კრიალებს ქარი წვიმებს,
დაჰქრის განდაგანა.

საწიერზე ჩანს აპრილი, —
თითქოს მოსიზმრებით...
სიყვარულის ჭაშნაგირი
ვინ თქვა გონფხიზელი?
გაზაფხული გვიცდის ტყეში,
ვით მარქაფა ცხენი.
წამო, სანამ გული გვერჩის —
თონესავით ცხელი.

წამო, თორემ შემოდგომა
მოფრინდება ჩქარა,
მოგვწყინდება გზაზე დგომა,
იშრიალებს ჩალა...
მზე, მთის წვერებს მითარული,
გამალებით ჩავა,
„განა გიცდის სიყვარული,
ადგება და წავა!“
სურვილების შემოკვდომას
დრო უკვალოდ ჩქმალავს...
წამო, თორემ შემოდგომა
მოფრინდება ჩქარა!

1970 წ.

მახსენდება სანახები...

(რ-ს-ს)

მახსენდება სანახები: —
 გზები, მთები და, ტყიბული...
 ჩემი ფიქრის ბალახები
 მისი მზერით გათიბული!

ისევ ჰყვავის მზის ყვავილი,
 მოვა ჟამი გასახარი...
 ჩემი წმინდა სიყვარული
 გულში ცოცხლობს, ვით ზღაპარი.
 1970 წ.

ტრიოლეტი

(რ-ს-ს)

მოითმინე. გადაივლის ლამეული წვიმა,
 მერე ერთად გავიაროთ, ჩვენც დავტოვოთ კვალი,
 ჩვენც ავანთოთ სიყვარული სიყვარულის წილად...
 მოითმინე, გადაივლის ლამეული წვიმა,
 კვლავ ვიზილავთ საწიერზე მანათობლის ბრნყინვას;
 ცისიერით განათდება ნალვლიანი თვალი...
 მოითმინე, გადაივლის ლამეული წვიმა,
 მერე ერთად გავიაროთ, ჩვენც დავტოვოთ კვალი.
 1970 წ.



გაურ მოლაშხია

რაც თახვედი...

(რ-ს-ს)

რაც წახვედი, არ ბრუნდები, რა ვიღონო,
 ფიქრებს ველტვი აძარიანს...
 მინდა ისევ, მინდა ისევ გავიგონო, —
 როგორ გალობს მაფშალია.
 გზაზე ვიღაც გამიღიმებს ნაცნობივით,
 ალბათ უკვირს ჩემი მზერა...
 მაქვს ჩონგური სევდის ხმაზე აწყობილი,
 შენ არ გესმის ეს სიმღერა.
 შენ არ გესმის... გულში კვდება ეს ჰანგები, —
 მარტოსული ვდელავ ოდეს...
 ზმანებაშიც გარბიხარ და... მეურგები!
 (ვერც გიპოვნი ვერასოდეს!)

ხოხობივით მზე ეშვება დასავალზე,
 ცა რქით მიაქვს მქროლავ ირემს...
 ცარიელი დამაქვს თოფი და სავაზნე
 ხელმოცარულ მონადირეს...
 ცის მინდორზე მიხაკები გაჩენილა,
 დრო-უამს ველტვი აშარიანს...
 რა უჩუმრად სხვის ბალჩისკენ გაფრენილა
 ჩემი გულის მაფშალია!

1970 წ.

სხვამ დაასრულოს...

არც საწყალი ვარ, არც მარტოხელი
 და არც ვკანკალებ ახლა წვეთივით...
 შენთვის სხვა არის ბიჭი კოლხელი
 და მე...
 სიჩუმე...
 მრავალწერტილი...
 დრო დამემტერა დაუნდობელი,
 ბუუტავს სურვილი — ნაკლული მთვარე...
 სხვამ დაასრულოს ის გზა, რომელიც
 მე დავიწყე და, ვერ დავამთავრე!

1970 წ.

გაუგებრობა

გაუგებრობის გვთიშავს კედლები
და, მაინც ვფიქრობ: — გავიგებთ როსმე?
გარეთ სხივები, როგორც პეპლები,
დაფანცქალებენ ტოტიდან ტოტზე!

1970 წ.

ახლა შამივით...

ახლა უამივით
უსამანო სიმღერა მინდა...
ცამ გადმოფინა
ალიონის შრიალა თმები;
ამოდის მზე და
სილამაზე ზეიმობს მინდვრად,
ამოდის მზე და
საგალობლებს გალობენ მთები.

1970 წ.

ის მიღიოდა...

ის მიღიოდა ხელჯოხიანი,
ერთ დროს მავალი ლალად, უკადრად...
და, თქვეს მგზავრებმა ხმანალვლიანად:
— აი, ის ქალი პოეტს უყვარდა!

1970 წ.



გაურ მოლაშხია

შეცვარებული ღმერთის ტოლია

„მასში, ვისაც უყვარს, მეტია
ღვთაებრივი, ვიდრე მასში, ვინც
უყვართ.“

პლატონი
(ძვ.წ.V-IV)

შორით ჩამესმის მზის სიმფონია,
მწიფე ფიქრებით ვარ დახუნძლული...
შეყვარებული ღმერთის ტოლია,
მაგრამ... გრძნობასთან არის უძლური.

დაე, ტკივილმა გული დასეროს;
უღვთოდ ფარავენ სამზერს ჩრდილები...
ალბათ, ღვთიური ჩემშიც არსებობს,
რადგან სიყვარულს ვემორჩილები.

ცად მოქარავნე ჩანან ღრუბლები
და მოლოდინში ნელა ღამდება...
როცა დრო მოვა და მოვდუნდები,
მაშინ ტკივილიც დამიამდება!

ჯერ კი... ვერავინ გამაქილიკებს, —
ძველ მიჯნურებთან ვარ წილნაყარი...
დიდ გზისკენ მიდის წმინდა ბილიკი
და ქვეყნად ივლის, როგორც ზღაპარი.

უკვე არ მესმის მზის სიმფონია,
ღამემ დაფარა ჩემი კუნძული...
შეყვარებული ღმერთის ტოლია,
მაგრამ... გრძნობასთან არის უძლური.

1970 წ.



მზის ეკლესია

დიდხანს რეკავდა, დიდხანს ფხიზლობდა,
გზად სასოება დაუთესია
და სავსე იყო ცით და სიზმრებით
ჩემი პატარა მზის ეკლესია.

წვიმა მღეროდა თუ თქარუნებდა, —
მუდამ ისმოდა ჩუმი გალობა
და ლულუნებდა თვითონ ბუნებაც
შენს სიმართლეს და წარუვალობას.

და დამყურებდი მუდამ ზემოდან,
დამქონდა რნმენა, როგორც უღელი.
შენზე ვფიქრობდი, შენი მჯეროდა,
შენ გიჩოქებდი ქედმოუხრელი.

ბოლოს დამტოვე, გაქრი სრულებით
და საძვალენი ჩუმად კვნესიან...
დავრჩით მარტონი, უერთგულესნი
მე და მდუმარე მზის ეკლესია.

1970 წ.



გაურ მოღაბებია

რამ მომაგონა ვიწრო შუკებში

რამ მომაგონა ვიწრო შუკებში
ღრუბელივით მოზოზინე
სოფლის ნახირი,
რომელიც ჩემი ფიქრების ტევრში
შემოდის, ბლავის, მიყურებს, ბლავის
და ეძებს, ეძებს შრიალა ბალახს...

რამ მომაგონა გამურული
თხმელის ნალია,
მოხუცი კაცი —
დღე და ღამის ვერშემცნობელი,
რომელსაც წლები
ვაზებივით შემოხვეოდა;

იმ კაცის, მართალი კაცის
მოსაგონარი დავლიოთ, ძმაო!..

გაქარულ გულში იცრემლება
ხსოვნის სახთელი
და ალერსივით თბილია ისევ
ჩემი მამულის ნათელი ზეცა.

1970 წ.



მიაქვთ ყოველი...

„ვითარ ცნა მეფემან (რუსუდან) მოსვლა
 სულტნისა... წარვიდა ქუთათისა...
 ... მოაოხრეს ტფილისი, იწყეს რბევად...
 ხოცვად და კლვად... ქართლს და თრიალეთს,
 ჯავახეთს... სამცხეს და ტაოს...“
 „ქართლის ცხოვრება“

რუსუდან! სისხლით
 დამეწყრილა მთელი ხმელეთი,
 რას იწყევლება,
 იმუქრება დრო მოჟამული.
 მიდიხარ, შორით
 იმედივით ჩანს იმერეთი,
 რამე იღონე! —
 გათელილი გიხმობს მამული...

მიაქვთ ყოველი...
 ცაც წაიღონ იქნებ, მდიდარი —
 თავის ლვთიური
 მშვენებით და სისადავეთი...
 მტერი ზვაობრობს —
 ვერაგი და მოურიდალი
 და... სამარეში
 ვერ ისვენებს დიდი დავითი.

1970 წ.



გაურ მოლაშხია

დაღამება

აინტელება კვამლი ბუხრიდან,
მზე მიატოვებს ქვეყნის კიდეგანს
და ნაბოლარა სხივი მწუხრისა
მენამულ ცაზე დაეკიდება.

დღე მიიძინებს მაშვრალ კაცივით,
მიჩუმდებიან ტყეში ქარები...
წუთით შეწყდება გზა დამქანცველი
და აყვავდება გზა მდუმარების.
1970 წ.

ჟამი ჩეარობდა — მიწყივ მპრუნავი

მზემ გლეხს კეთილი ძილი უსურვა
და მიეფარა თვალთა საწიერს.
წამოეზარდა ტოტი უსურვაზს
და ვარსკვლავებმა მაღლა ასწიეს...

მერე მოვარდა ქარი ხმიერი
და გამორეკა ტყიდან ყველა ხე...
არსად არ ჩანდა ძეხორციელი
და უჩინარი სხლავდა ვენახებს,

უამი ჩეარობდა — მიწყივ მბრუნავი,
რომ მნათი ცაზე ამოეყვანა...
იდგა გლეხი და ჭვრეტდა მდუმარედ
შეცვლილ სოფელს თუ შეცვლილ ქვეყანას.
1970 წ.

კვდება პოეტი...

„ექიმი მინდა,
ვით მეაბჯრე და ამხანაგი,
რომ სიკვდილს ხელთვან
გამოსტაცოს პოეტის ჩანგი“.
გალაკტიონი

კვდება პოეტი, პოეტი კვდება!
გუგუნებს დრო და არავის ესმის,
რომ ამ მიწაზე პოეტი კვდება,
კვდება სიმღერა და კვდება ლექსი.
რა შეუძლიათ ექიმის ხელებს
ან რა იღონონ სატრფოს თვალებმა?
პოეტი კვდება და მზეს და ველებს
აკლდება მისი იდუმალება.
მოირნევიან მყაცრი ჩრდილები,
კვდება პოეტი, როგორც მლოცველი.
სივრცე სავსეა ქარტეხილებით,
ბორჯის ხმაურით და მიმოქცევით...
კვდება პოეტი, პოეტი კვდება!
გვაფრთხილებს დრო და არავის ესმის.
პოეტი ითმენს და ჩუმად კვდება,
კვდება სიმღერა და კვდება ლექსი.
რა შეუძლიათ ექიმის ხელებს
ან რა იღონონ სატრფოს თვალებმა?
პოეტი კვდება და მზეს და ველებს
აკლდება მისი იდუმალება.

1970 წ.



ლექსი — პუბლიკაცი

ფართატებს ფიქრი, როგორც ფანტელი,
ვიღვწი და, შენზე განცდებს ვუნდები...
ან გამარჯვებით გაიფანტები,
ან პატრონს მწარედ დაუბრუნდები.

იქნები ჩუმი ანდა ხმოვანი,
ან იშრიალებ, როგორც ლერწმები;
მაგრამ მე მჯერა, ვით მათხოვარი,
შველას არავის შეეხვენები.

გამოშუქება ფერად-ფერადი,
წინსვლის დასტურად წვა და ხმაური...
ჩემი რწმენაა ლექსი — ბუმერანგი,
ჩემი ტკივილი და სიხარული.

1970 წ.

პატარა გოლიათო...

დღეს ყველა ღიმილი ღიმილი ჰერნიათო,
როცა ზოგ-ზოგებში ნაღველი კივის და...
ჩემო მეოცნებევ, პატარა გოლიათო,
ნეტავი შესძლებდე მორჩენას ტკივილთა!

1970 წ.



ერთხელ მესიზმრა...

ერთხელ მესიზმრა: — თითქოს მაღლიდან
 დამყურებდი და სანთურს მიქრობდი...
 იქნება მართლაც ფიქრად არ ღირდა, —
 რაზეც ვწუხდი და რაზეც ვფიქრობდი...
 თურმე ძახილი იყო ჩურჩული,
 მზე ანათებდა, მაინც ციოდა
 და ეჭვის ლანდი, როგორც ურჩხული,
 შემომყურებდა და დამკინოდა...
 იყო წუხილი განცდით დაღლილთა...
 დღემდე მეგონა აღმა მივქროდი...
 იქნება მართლაც ფიქრად არ ღირდა, —
 რაზეც ვწუხდი და რაზეც ვფიქრობდი.
 1970 წ.

ზეცას სერავენ...

ზეცას სერავენ თეთრი რაშები
 და ტყეს ზღვასავით ამღელვარებს ქარი ხმოვანი...
 უცებ განიხვნენ ცის სარაჯები
 და მოქუხს წყალი — დაწმენდილი და ოქროვანი.
 1970 წ.



გაურ მოღაშხია

გზად შემხვდება სოფლის ქარი, მოშრიალე, უჩინარი,

თბილად მომხვევს ხელებს;

**გამახსენებს საქანელას ან ტოლებთან თამაშს ველად
და გზას გააგრძელებს...**

**აქ ვიხილე ტყის ფრინველი, მზის ამოსვლა საკვირველი,
ხმა პირველი მერცხლის, —**

**სიყვარული უნებური, გული აღუღუნებული,
როგორც შუაცეცხლი;**

**გადაშლილი ცა კეთილი, ურიოშო, მოწმენდილი,
ურისხველი სახით;**

**შეგროვილი ურმეული, დამაშვრალი გუთნეული,
მხიარული სახლი...**

**მე ვინც მიყვარს, — მისი მჯერა, წრფელი გული და მარჯვენა,
განაფული მზეში.**

**მინდა ვიყო იმ მზისხელა, გასაგები, ვით სიმღერა,
ვით ხალხური ლექსი...**

**გზად შემხვდება სოფლის ქარი, ცხვანტალა და უჩინარი,
თბილად მომხვევს ხელებს;**

**გამახსენებს საქანელას ან ტოლებთან თამაშს ველად
და გზას გააგრძელებს.**

1970 წ.

გამთენისას...

**გამთენისას მე დავტოვე სიზმრების სახლი,
გზა-გზა ვაგროვე**

სიხარულის თეთრი მარცვლები,

ავიყოლიე ფანტელა ნისლი,

წინ გავითრინე ღუღუნა ქარი

და ვახმიანე შიმალების მყიფე ტოტები.

...

გამთენისას მე დავტოვე სიზმრების სახლი.

1970 წ.

ლამურა

მახსოვს: ხმიანი ნაბიჯებით
გზას ვაღვიძებდი,
რალაც აფრინდა, უნებურად
შიში ვიგრძენი;

როს მოვიხილე მკვეთრი მზერით
სივრცე, გზაწვრილი...
ვნახე: — ლამეში მიფრინავდა
ლამის ნაწილი.

1970 წ.

გადაიცვია...

გადაიწვიმა
და მიყუჩდა ქარი ხმიერი,
სანაპიროზე
მზე დაჰყურებს კრიალა ქვიშას...
წვიმების შემდეგ
ისე ნათობს თვალსაწიერი,
თითქოს სამყარო ხელახლა იშვა!

1970 წ.



გაურ მოღაშხია

რა სიზრელეა, ქალაქო ჩემო!

საიდან გაჩნდა ამდენი ფერი,
რა სიჭრელეა, ქალაქო ჩემო!
ეს გაზაფხული დადის და მღერის,
წმინდა ლაჟვარდი დაცურავს ზემოთ...
რა სიჭრელეა, ქალაქო ჩემო!

ხელში მიჭირავს ავსილი თასი,
შარშანდელ ლვინოს ვუსინჯავ გემოს.
და სანახები — სიზმრების მსგავსი —
ნაირფერებით ბრწყინავს და ზეობს...
რა სიჭრელეა, ქალაქო ჩემო!

ზეცაზე არ ჩანს ნაფლეთი ლრუბლის
და მიწის მკერდზე შრიალებს მდელო...
მიყუდებულა ნაპრძოლი შუბი...
ურიცხვი ფერი ღუის და ფერობს...
რა სიჭრელეა, ქალაქო ჩემო!

1970 წ.

ჩამოტყდა ტოტი

ჩამოტყდა ტოტი,
დაესვენა მიწაზე ნელა,
ახედა სევდით
სიმაღლიდან მაცქერალ ტოტებს.
აღმოხდა მდურვით: —
ჩემს ტკივილებს გაიგებთ ყველა,
ჩემთან, მიწაზე,
უნებურად ჩამოხვალთ ოდეს!

1971 წ.

სიხარულს, წუხილს თუ გალაღებას...

სიხარულს, წუხილს თუ გალაღებას —
ყველას გვირიგებს დრო და ბუნება.
და მოდის ღამე — სივრცის ნაღველი,
ცა იკუმშება და იბურება.

შევეხიზნებით სახლებს უმალვე,
თან მოგვდევს შიში არგათენების
და ჩვენ საწოლზე ვწვებით მდუმარედ,
გვაქვს დაწყობილი მკერდზე ხელები.

აუხდენელზე უხმოდ ვოცნებობთ,
გულის წუხილი კვდება გულშივე...
მზის ამოსვლისას ისევ ვცოცხლდებით
და... ვუბრუნდებით ზღაპარს გუშინდელს.
1971 წ.

შენი სიტყვა ქართული

შენი სიტყვა ქართული, დარზე უსადარესი,
სახიერი აზრითა;
აკვნის ჩუმი გალობა, დედის თბილი ალერსი
ახალ მწვერვალს აზიდავს.
გქონდეს სავსე სოფელი, განსჯა მიუცდომელი,
გყავდეს შვილნი გამრჯენი, —
ზენაარის კურთხევით: — ჭერი ნაჩუქურთმევი
დიდოსტატის მარჯვენით.
ქება ქართულ ენისა, დიდებაი ერისა —
შუქად ანთებს წკვარამეთს.
შრიალებდეს მინდორი... რჩმენად გენთოს დიდგორი,
არ გინატრებ სხვა რამეს.
1971 წ.

გაურ მოლაპშია

ზამი სასოეპისა

გადაიკარა. დღეა სალბუნი,
ლამისფერ ხნულზე იკეცება სპეტაკი სხივი;
ცა — განაბული,
მინაში თესლი ფრთხიალებს, ღივის
და თვლებს იმედი — სახვალიოდ გადამალული.

ვარ შეფარული დღეების ტყეში,
მზე მაზის მხარზე გაწაფული — ჟღალი მიმინო,
როგორც ნუგეში,
აქეთ ისწრაფე, მოძმის ღიმილო,
რომ არ გავება მარტოობის აბლაბუდებში.

ფხიზლობს ავაზა და მსხვერპლს მოელის,
ლელიანებში თუ ბუჩქნარში ყუჩობს მელია —
მიუცდომელი!
სვავები ველებს კვლავ გასცქერიან...
დასაბამიდან ასე მიდის წუთისოფელი...

მე კი მახარებს ეს დღე — სალბუნი
და წყლის სარკეზე ასხლეტილი სალუქი სხივი,
ცა — განაბული,
მინაში თესლი, რომელიც ღივის
და სასოება — ხვალის სკივრში გადამალული.

1971 წ.



თვალსაწიერზე მოდგა ღრუბელი...

თვალსაწიერზე მოდგა ღრუბელი,
ჩამოივაკა, ჩემქენ მანძილს ნელა ამოკლებს...
არ დავბრუნდები!

გულისგულიდან იაიებს შენთვის ამოვერეფ,
რათა სიმღერას ახალი მზის ხიბლი ამოჰყვეს...

ჩაშლილა ნამჯა თუ ნაწვერალი,
ოქრორეული ირგვლივეთი ჩანს და, მდუმარებს...
ელავს მწვერვალი —
გუშინ ქარებმა აწყვეტით რომ გადაუარეს, —
კვლავ დგას ურყევად და, გაუძლებს ალბათ უარესა!

გარემოებით გაოგნებული —
დღეს, ბეწვის ხიდზე, აჩრდილივით ფრთხილად მივცოცავ...
ის არ მეგულვის,
გზად ვერ შემხვდება და მოთმენას ვერ დამილოცავს, —
მიმკვდარებული რწმენის სული ვინც გამიცოცხლა!

თვალსაწიერზე მოდგა ღრუბელი,
ჩამოივაკა, ჩემქენ მანძილს ნელა ამოკლებს...
არ დავბრუნდები!

გულისგულიდან იაიებს შენთვის ამოვერეფ,
რათა სიმღერას ახალი მზის ხიბლი ამოჰყვეს!

1971 წ.



გაუგრეს მოლაპშია

გაჩენის დღიდან...

გაჩენის დღიდან მე მიხაროდა
მზისკენ სწრაფვა და მიველტვოდი მაღალ ალსავალს...
ხმები წყაროთა
მე მიყვებოდნენ შენს წარსულს თუ თავგადასავალს,
ხან ვიცინოდი, ხან ცრემლები მოწანნ კარობდა...

გაჩენის დღიდან შენ დაგეძებდი
ყველგან, ყოველთვის შენ გეძახდი — შენი მნატვრელი...
სხვაგან ვერ ვძლებდი,
რადგანაც მე ვარ უძველესი კოლხი — ქართველი,
რადგანაც მყავდა საამაყო ვერძი... ვერძები...

თუმცა ქარიშხლით, მეხით, კოხითა, —
ბევრჯერ ვიყავი გაბზარული, როგორც ღალატით...
იდგა კოლხიდა!
მოვდიოდი და მოვიბრძოდი, მტერს მოვხმალავდი
და, ღვთის წყალობით, უჟამობა როგორ მომხრიდა!

მე, შენთან მყოფიც, შენ დაგეძებდი,
ცხადშიც და ძილშიც შენ გეძახდი — შენი მნატვრელი...
სხვაგან ვერ ვძლებდი!
რამეთუ მე ვარ უძველესი კოლხი — ქართველი,
რამეთუ მყავდა საამაყო ვერძი... ვერძები...

1971 წ.



მზე — დედალმართი

„ბჟა დიდა რე ჩქიმი“
ხალხური

დედალმერთი დაბრძანდება ცაზე,
დედალმერთი — მარადი და წმინდა;
ამ ცისქვეშეთს ნაირფერით ავსებს,
მაშვრალს ხელებს შეაშველებს გზაზე, —
მდინარეზე სხივს გაუდებს ხიდად.

...

დედალმერთი დაბრძანდება ცაზე,
დედალმერთი — მარადი და წმინდა.

...

— ნუ გაგვწირავ, დედალმერთო — მზეო,
შენით არის მიწის სინაზეო,
შენ, სიცოცხლის მსხმოიარე ხეო,
კვლავ გვინათე, ისევ გვამაღლეო,
ნუ გაგვწირავ, დედალმერთო — მზეო!

...

ნუ დაგვტოვებ უთვისტომოდ, ობლად,
ისეც გვიჭირს ყოფნა წუთისოფლად!

1971 წ.

‘



გაურ მოლაპშია

თე მთელი ღამე ვეპახდი ციერს

მე მთელი ღამე ვუცდიდი ნათელს,
სოფლის ბოლოში ვიდექ, წნორებთან...
შორს, ალიონი — სინათლის მართვე,
ფრთას იმაგრებდა და ისწორებდა...

მე მთელი ღამე ვეძახდი ციერს,
სადაც უმპია ცინცხალს ისროდა...
თმენით ველოდი მნათობს და ცირას,
როგორც სასოს და მარადისობას!

1971 წ.

ჩემო ჩიტუნავ

რად მოიწყინე, ჩემო ჩიტუნავ,
რად ჩამოუშვი პანია ფრთები?
ხმა მოწკრიალე რამ დაგიდუმა
ან როცა გიმზერ, რატომ ფითრდები?
ნუ დალონდები, ჩიტო, ჩიტუნავ,
გაიზრდები და შენც გაფრინდები.

რა ნალვლიანი თვალებით მიცქერ,
არ გახალისებს შრიალი ხეთა...
სულ სხვაა ჩვენი გზები და სივრცე,
არ გვიწერია გაფრენა ერთად;
ნეტავ შემეძლოს შენს ტოლად ვიქცე
და შენთან ვიგრძნო ტკბილ-მწარე დღეთა.

მაგრამ... დრო დროა! მკაცრი და ფლიდი!
ვერ შეიცვლება ჩვენ შორის ზღვარი...
მე საუკუნის მეოთხედს ვითვლი,
მივსდევ წავარნას — უნყვილო მგზავრი...
შენთვის მიდამო მიმოჩითულა,
გვერდს აგივლი და, ისევ ფითრდები...
ნუ, ნუ მოიწყენ, ჩემო ჩიტუნავ,
გაიზრდები და შენც გაფრინდები.

1971 წ.

თანუშია*

(ციკლიდან: „სვანური მოტივები“)

მნათობს შუქი გაუშლია,
გადაიხსნა ცის კალო...
რად გამირბი, თანუშია,
მშვენიერო ტყის ქალო.
შენ ხარ ჩემი არჩევანი,
შიშის ფრთები შეთოკე...
ვერ მაჯობებს არჯევანი** —
ჩემი ძველი მეტოქე.
ვერც ხახატო*** — ბევრზე ბევრი, —
თუ არ მომკლავ უარით...
შენ მოგიხმობ, — მემბეერვი,**** —
ლამეული სტუმარი.
ტყის კაცი ვარ და გულშიაც
ტყის სიყვარულს ვატარებ;
ერთი კოცნა, თანუშია,
ფოთლებს გამოატანე...
შენ გეძახი, მემბეერვი,
ნუ ხარ ჩუმი, მდუმარი;
არ ჩაქრება მზე შებერვით,
სიყვარული — უარით!
შენ ხარ ჩემი არჩევანი,
შიშის ფრთები შეთოკე...
ვერ მაჯობებს არჯევანი —
ჩემი ძველი მეტოქე!

1971 წ.

* თანუშია — (სვან.) ტყის ქალი.

** არჯევანი — (სვან.) დევი.

*** ხახატო — კუდიანი.

**** მემბეერვი — ტყის კაცი.

ნაზარეპი

ყორნებს მიჰქონდათ ტვირთი — ნადავლი
და დასცინოდნენ მტრედებს ზემოდან
და ხის კენწერო ქართა გადავლით
ნუხდა, კვნესოდა და იმსხვრეოდა.

და ცახცახებდა ირგვლივ ყოველი
წარლვის, გაქრობის თუ სხვათა შიშით
და ხარხარებდა მეფისტოფელი,
რომელსაც ცეცხლი უდუღდა ტვინში.

მე კი ვიდექი, ცა დამყურებდა
ყორანთა ფრთებით გადალობილი...
ყვიროდა გემი შორით, ყურესთან
და მეძახოდა, ვით ახლობელი...

და, უჩინარი სივრცის მღებავი —
დაშრიალებდა ლამის ტილოთი...
ჩემთვის ბევრი რამ მიუღებელი
ხდებოდა ირგვლივ და, მე ვტიროდი...

და ამ ქაოსში მსურდა გამეგო —
ვინ იყვნენ ქვეყნის მეციხოვნენი...
და, ვუმადლოდი მას, ვინც ააგო
თავის პატარა სვეტიცხოველი.

1971 წ.



როდის ითვისე ფერი ჩრდილების

როდის ითვისე ფერი ჩრდილების?
როდის იგრძენი ძმობა მხეცებთან?
შენი ფიქრების და სურვილების
ასე უაზროდ დანამცეცება!

პირში სათქმელი რად დაიგუბე?
რად თქვი უარი მშობელ ნანაზე?
შენ იღუპები! შენ დაიღუპე!
შენ უკვე არ ხარ ამ ქვეყანაზე!

1971 წ.

შენ, გათენებავ... შენ, გათენებავ, ახლა შორიდან

რომ მოირნევი და მესალმები —
მითხარი: — რამდენ ლიმილს მოიტან
ან ცრემლთა დენას წმინდა თვალების?

შენ, გათენებავ, შვების თასებით
ბევრი შეგხვდება ტკბილი ბუბუნით...
ვისთვის — სიხარულს დაემსგავსები,
ვისთვის — იქნები ლამე უკუნი?

1971 წ.



ეს — განშორების ჟამი...

მზემ მიიხურა თეთრი კარები
და ჩვენ გამოლმა დავრჩით...
ტყეში გაცოცხლდნენ მწუხრის ქარები,
გამობაჩუნდა მაჩვი...
სასაფლაოდან ფეხაჩქარებით
აჩრდილი მისდევს აჩრდილს...

რა უნებლიერ გაღამისფერდა
ნათლად სავალი გზები;
მესმის: მდინარის გაღმა ნისლებმა
ააწრიალეს ფრთები...
გვინდა საუბრით გახალისება,
ჩვენ კი... დუმილით ვთვრებით!

მანძილს იმოკლებს, მოდის, მოფრინავს
ეს — განშორების ჟამი...
რა მტკიცნეული რამე ყოფილა
გზების გაყოფა ღამით!
მატარებლის ხმა... უკმაყოფილო
გულის ჩამესმის ჩქამი!

...
რა უსულგულოდ მოჰქრის, მოფრინავს
ეს — განშორების ჟამი!

1971 წ.



ზღაპარ იყორო...

„სალამო იწვა ხავერდის ყდაში.“
გალაკტიონი

ოდეს გხედავდი, მე ყველაფრის მქონდა იმედი,
მხოლოდა შენით ვიღვიძებდი და ვიძინებდი.

ჩემს საწიერზე მზე ჰყვაოდა ყაყაჩოებად...
არ მიფიქრია შენგან წასვლა და განშორება.

იდექი ჩემდა სასოებად, ჩემდა ნუგეშად...
(ახლა გიგონებ, გული კვნესის და, იკუმშება...)

ისე ვიყავი! ვერ ვამჩნევდი შენში ცვლილებას,
შეგეძლო ჩემი ამაღლება ან დამცირება...

შენ გენდობოდი, განიჭებდი ყოვლის უფლებას
და არ მიცდია შენი თავის დასაკუთრება...

ხიდი იქ ჩატყდა — სადაც იგი მრთელი მეგონა,
სხვისი ყოფილა — რაც უცილოდ ჩემი მეგონა.

და, როცა ერთხელ აშრიალდა ღამე — ხავერდი,
„ზღაპარ იყორო ყველაფერი“, — თქვი და წახვედი.

ახლა არ დგახარ სასოებად, ჩემდა ნუგეშად...
სხვამ სხვის რა იცის... გული კვნესის და, იკუმშება!
1971 წ.



გაურ მოლაპშია

უკვე მიწყნარდა მზის სიმღერები

უკვე მიწყნარდა მზის სიმღერები,
სიჩუმის განცდით დრო-უამს მივყვები...
გზა მოხატულა მთვარის ხელებით,
ცა — ვარსკვლავების მოზაიკებით.
მე გზას შემოვრჩი — ერთგული მგზავრი —
ყოფნა-არყოფნის ფერმკრთალ ნაპირზე...
უეცრად, როგორც სიფხიზლის ზარი,
ფხიზელი ძალი ეზოს აღვიძებს...
აღარ შრიალებს ახლა ხეხილი
და მაფშალიაც სიზმრებში გალობს...
მე და ეს ძალი ძილგატეხილი
ვართ სულ სხვადასხვა მიზეზის გამო!

1971 წ.

ზურგი ვაქციე — ვისაც ვუყვარდი

ზურგი ვაქციე — ვისაც ვუყვარდი,
ვისაც არ ვსურდი — მასთან მივედი
და... სიყვარული არ ამიყვავდა,
არ ამისრულდა ერთი იმედიც.

და... დავისაჯე წუხილით, დარდით,
არაფერს მითმობს ამაყი ბედი...
რადგან გავექეც — ვისაც ვუყვარდი,
ვისაც არ ვსურდი — მასთან მივედი!

1971 წ.



30 დავითლერე ერთი სიმღერაც...

ვერ დავიმღერე ერთი სიმღერაც,
რომ ამ მიწაზე დარჩეს ისე, როგორც ტვიფარი
მარადისობის.

ჯერ ლანქერივით ხმები იმღვრევა,
ბუნდოვანია სიხარული თუ სატკივარი
ჟამთა მისნობის...

დავალ უჩუმრად და ველოდები
საჩემო გრიგალს, მეხთატეხას და ჩემ წინარე
ჩანს მწვერვალები.

და გაზაფხულის მწვანე ტოტებით
ჩემკენ ღიმილით მოდის გოგო და მზით ბრწყინავენ
მისი თვალები.

იქნებ ეს არის მაუწყებელი
ან დასაწყისი იმ გრიგალის, იმ ქარაშოტის,
მე რომ ვუცდიდი;
ან დამავიწყოს ის სექტემბერი,
ოდეს სანუკვარს დამაშორეს თუ მე დავშორდი,
როგორც გულცივი...

იმ სიყვარულზე ჰანგი რჩეული
ვერ ავაყდერე, სტრიქონებში ვერ შევიტყუე
აზრი უკვდავი.
ჩუმად დავდივარ ფიქრშეჩვეული,
ნარსულის ღია სარკმელიდან ვიღაც მიყურებს
თხოვნით, მუდარით...

ვერ დავიმღერე ერთი სიმღერაც,
რომ ამ მიწაზე დარჩეს ისე, როგორც ტვიფარი
მარადისობის.

ჯერ ლანქერივით ხმები იმღვრევა,
ბუნდოვანია სიხარული თუ სატკივარი
ჟამთა მისნობის...

1972 წ.

ლექსს გიგზავნი...

(რ-ს-ს)

ლექსს გიგზავნი, ამ გულიდან
 სასოებით ამოწერილს;
 მზეს გიგზავნი ფანდურითა,
 მზეს — დიდებით ამოწვერილს...

სიყვარულით იგალობე,
 სხვას უმღერე ჩემი ლექსით;
 მე ლიმილი მიწყალობე,
 ვით მადლობა უწრფელესი.

წმინდა არის, ვით დალოცვა,
 ჩემი ფიქრი მოფათქუნე...
 როცა მივალ ციცაბოსთან
 დამიძახე, მომაბრუნე...

ისევ დამსვი ლექსის წერად
 და სიმართლის მღალადებლად...
 სანამ მოვა ბედისწერა,
 სანამ მართლა დაღამდება;

სანამ გზაზე დავეცემი —
 მადლი მინდა შენმიერი;
 სიყვარულის ნამცეცებით
 მე ვიქნები ბედნიერი...

ლექსს გიგზავნი, ამ გულიდან
 სასოებით ამოწერილს;
 მზეს გიგზავნი ფანდურითა,
 მზეს — დიდებით ამოწვერილს.

1972 წ.

მე ერთი კოლხი ბიჭი ვარ და ხალიბების გვარტომის,

მე გადავლახე მინდვრები ღვართქაფით გადაწატბორი;
მერე...

იმერეთს ვიზილე ჩემი ტრფიალის მნათობი,
მაგრამ...

თან-და-თან ჩანავლდა მზერა, გულ-სისხლის გამთბობი...

გაცუდდა ჩემი სურვილი, განამდა ჩემი დღეები,
მოუხილველად გამიქრა ოცნების სიმაღლეები!

გაშორიშორდა ორი გზა, — თავშესაყველად მსწრაფველი;

ვნუხვარ ჩანგაუწყობელი, სიმღერა გაუწაფველი...

მე, უშენობით უშვებოს, უშენოდ სევდა მდალავდა,
მოვედი, გნახე, გეტრფე და... ტრფიალში შემომაღამდა!

1972 წ.

ჩემი გულის არჩეული

დილა, როგორც ფარჩეული,
დაეფინა გზას...

ჩემი გულის არჩეული

დღეს მიჰყვება სხვას.

ხან ღვინო ვარ დაქცეული

და ველური მსვამს;

ხან — ფანდური დამსხვრეული,

ვერ გავიღებ ხმას;

უბრძოლველად ვარ ძლეული,

ან ვერ ვნახავ მას...

ჩემი გულის არჩეული

დღეს მიჰყვება სხვას!

1972 წ.

დაგკარგე...

დაგკარგე... ყორანი დამჩხავის ზემოდან,
მეტს რაღას მაუწყებს წყეული?
დაგკარგე... დაღამდა ვრცელი სამზეო და
ვარ ბინდის მხარეში წვეული...

მივდივარ, იხარე! ბალახი წვენილი
ისევ ითელება ნელიად...
მკაცრად მითვალთვალებს ჟამი მოწევნილი,
ან თავის დაღწევა ძნელია!..

გზა-გზა მაგონდება: — ბრწყინავს იმერეთი
და ჟამკეთილობა მახარებს...
მინდვრები... ყანები... მდინარე მერეთი...
შვენის ყველაფერი ამ მხარეს...

ყველაფერს თავიდან ვიხსენებ ამჟამად: —
ვიყავით სტუმრები რჩეული...
თითქოს შენი ქუჩით დამლოცა ვაჟამა,
წამოველ იმედად ქცეული.

ბოლოს კვლავ თბილისი... შენს მბჟუტავ სარკმელთან
ჭრელი და უცნობი ლანდები...
ეჭვები... სიმთვრალე და არევ-დარევა...
ჟამი სიფიცხის და ანთების...

და, ისევ ყორანი დამჩხავის ზემოდან,
მეტს რაღას მაუწყებს წყეული?!
დაგკარგე... დაღამდა ვრცელი სამზეო და
ვარ ბინდის მხარეში წვეული.

1972 წ.



უსიტყვოდ მიხმობს...

უსიტყვოდ მიხმობს, მედახის ახლა
გადასიზმრული ველი მზიური...
თითქოს ეს ნიშნავს, რომ თვალწინ ვნახო
გასაოცარი ელიზიუმი.
იქაა ფეთქვა წმინდა მშვენების,
ნათლიერ სულთა სამკვიდრებელი;
იქ სიმღერაა — სევდაშერევით, —
მარადისობის მარად მხლებელი...
იქ ცისიერი მღერის სიმღერას, —
ვინ მომალირსებს იმის მოსმენას...
და, ჰა, უეცრად და საკვირველად
ცა შეარჩიეს ანგელოსებმა.
დრომ ნიავივით ჩაიშრიალა
და ანკრიალდა ცაზე ცის ზარი...
მოულოდნელად მეხის გრიალმა
უცებ დააფრთხო ჩემი სიზმარი.

1972 წ.

ჩემს თვალსაწიერს...

ჩემს თვალსაწიერს, როგორც დარაჯი,
თავზე დაადგა ნათელი დილის...
გამოქვაბულში თუ მთის დარანში
შერჩენილ ღამეს კვლავ ებრძვის სხივი.

ფრთხილად ფრთხიალებს ფიქრი — ფუტკარი,
მინდა ამაო ოცნებებს მოვრჩე...
წუხელ მესიზმრა გზა საკუთარი,
ვიცი, სიზმარიც ახდება ზოგჯერ.

1972 წ.

გაურ მოღაშხია

შესაბრალისი და გულსაკლავი

შესაბრალისი და გულსაკლავი
მგზავრი ცრემლივით გზაზე კიაფობს...
ცაა მდუმარე და უვარსკვლავო,
გზა — მარტოსულთა სახეტიალო!

წუთისოფლისგან ბევრჯერ მოთელილს
არ უთხოვია ბეწვისოდენიც...
ეს მგზავრი დღესაც დადის მოთმენით
და მას ვერ ამჩნევს ჭრელი სოფელი!

1972 წ.

ჯერ არ გიცნობენ...

ჯერ არ გიცნობენ აქ, ამ მხარეში,
რომ შენც ხარ ლამის ერთი მთევარი,
რომ შენს მოწყენილ, ცისფერ თვალებში
სევდა ელვარებს, ვით სატევარი!
ჯერ არ გიცნობენ აქ, ამ მხარეში
და არც არავის აინტერესებს, —
იწვები მნათის სითაკარეში
თუ ბორიალობ ლამის ველებზე...
აქ ყველას ტვინი გადაელალა —
მდიდარია თუ უსახლკარონი...
რა უჩუმართა არის ქეყყანა!
რა მორჩილების არის კანონი!
სანამ გნახავენ, ხელს დაგადებენ,
სანამ მარტვილთა წრეში გიხმობენ,
მანამ შენ იტყვი, როგორც ბრალდებას,
მართალ სიტყვას და... წახვალ თვითონვე!
ჯერ არ გიცნობენ აქ, ამ მხარეში,
რომ შენც ხარ ლამის ერთი მთევარი,
რომ შენს მოწყენილ, ცისფერ თვალებში
სევდა ელვარებს, ვით სატევარი!

1972 წ.

აგორია სიზმარში

... სადღაც ვიყავი მარტო, ეული,
მოქუთრულიყო ცა შორეული...
ვიდექ უჩუმრად მე მის წინარე, გულდათრგუნვილი, სუსტი,
მოკვდავი,
არც მაჩერებდა, არც წინ მიშვებდა მზერა — მტანჯველი და
გამთოკავი...

ასე, უცნაურ ძალით ძლეული,
გზას გავყურებდი გზანართმეული...
მეჩვენებოდა: — მჩხიბავი მზერით ის დასცინოდა ჩემს
უმწეობას...
ნელა ქრებოდა, მეკარგებოდა ჩემი რწმენა და ჩემი მეობა!
თითქოს იძვროდნენ მთანი რღვეულნი,
ვით ურჩხულები თვალამღვრეულნი...
მე შემეშინდა, გაქცევა მსურდა, მაგრამ გზა იყო
გადაკეტილი...
ის დამყურებდა, როგორც მწვერვალი, მე ძლივსაჩინო ვიყავ
ნერტილი.

ჩემივე თავის გავხდი მგმობელი,
ვით ცუდმაშვრალი, საწყალობელი!
მაინც ვერა და ვერ გავექეცი, საკუთარ თავზეც ვერ ვთქვი
უარი...
სად არის აზრი — ყოვლის განმსჯელი ან გამარჯვების შუქი
მღლუარი...

ვერ ავყვავდები, ვით ხე მოქრილი,
რადგან გრძნობათა გავხდი მორჩილი;
დამცინის ცა და ტყე აქოჩრილი, დამცინის ველი, გზა და
კუნძული...
რადგან არავის უყვარს ხორცქმნილი უნებისყოფო, სუსტი,
უძლური!
ირგვლივ ბორგავდნენ შიშის მეწყრები
და ვარსკვლავები, ვით ნაკვერცხლები
მწვავდნენ და... უამი იდგა წვალების... გამომეღვიძა.
ძილადმიქცეულს
თურმე მიმზერდნენ შენი თვალები...

1972 წ.

გაურ მოლაპშია

ორი თვეა...

პროფესორ შოთა მესხიას ნათელ ხსოვნას

|

ორი თვეა ვერ ვკითხულობ წიგნებს,
განვერიდე ძველ და ახალ მგოსნებს.
ორი თვეა ვებრძვი მწარე ფიქრებს,
განა ამ დარდს მოვიშორებ როსმე?
ორი თვეა განვერიდე წიგნებს,
მარტო მივსდევ მე რუსთველის პროსპექტს.

ვესტუმრები კვლავ გერცენის ქუჩას,
თვალს მივაპყრობ იმ მესამე სართულს,
სადაც ადრე, რუდუნებით, ჩუმად,
შენ გხედავდი მძიმე შრომით გართულს,
ნმინდა ღიმილს, მოკრძალებულ სტუმარს
მახველრებდი, როგორც უქრობ სანთურს.

შენი სახლი საშვებელი იყო,
ვისაც შვება სჭირდებოდა, მისთვის...
არაფერი არ გიჭირდა თითქოს,
სულ სიკეთეს ახარებდი სხვისთვის;
მოიცლიდი და ჩემს ყოველ სტრიქონს
ისე სჯიდი, რისიც იყო ღირსი.

სიტყვა გწამდა გასაგები, სადა,
აზრი ღრმა და ლაპარაკი წყნარად;
სადაც იყავ, იქნებოდი სადაც,
იქ სიკეთე ზეიმობდა მარად,
მსახურებდი უწმინდესს და მართალს,
მოშურნებს არ აგდებდი არად.

მოთმინებით დაიფერფლე, დადნი...
— გადარჩება, — არ ვკარგავდით იმედს...
კვდებოდი და თან ცოცხლებზე დარდი
გულში გქონდა, ვით ჭრილობა მძიმე.

მოთმინებით დაიფერფლე, დადნი,
— გადარჩება! — არ ვკარგავდით იმედს...

მოვიხილავ კვლავ გერცენის ქუჩას,
თვალს მივაპყრობ იმ მესამე სართულს,
სადაც ადრე რუდუნებით, ჩუმად,
შენ გხედავდი მძიმე შრომით გართულს;
წმინდა ღიმილს მოკრძალებულ სტუმარს
მახვედრებდი, როგორც უქრობ სანთურს.

1972 წ.

შოთა მესხიას საფლავთან

II

ვარ უთქმელობით გულდაფლეთილი,
სიმღერას თიბავს წუხილის ცელი.
უცრემლოდ ვტირი მუხლმოდრეკილი,
რადგან ბოლმაა ვაჟკაცის ცრემლი.
რატომ დაგვატყდა რისხვა უცები...
ფრთა შეეკვეცა ასაფრენ აზრებს...
შენ არც დალლილხარ, არც მოხუცდები,
შენ უბედობამ გინია გზაზე...
ვიღებ შენს წიგნებს, კანკალებს ხელი,
გულში გუბდება მწარე ნაღველი.
შენ „საკვირველი ძლევაი“* ერის
ვეღარ იხილე, ისე წახველი...
ვარ უთქმელობით გულდაფლეთილი,
სიმღერას თიბავს წუხილის ცელი.
უცრემლოდ ვტირი მუხლმოდრეკილი,
რადგან ბოლმაა ვაჟკაცის ცრემლი.

1972 წ.

* „ძლევაი საკვირველი“ — პროფესორ შ. მესხიას წიგნი, რომელიც ორმოცდათი ათასი ტირაჟით გამოვიდა მისი გარდაცვალების შემდეგ.

თუკი შენებან ვარ ხელდადებული

ბაგეს ვიდუმებ, ოდეს ჩამესმის
 ჯერ არსმენილი ხმა თუ გალობა...
 გულს ეფონება, როგორც ალერსი,
 შენი ნათელის წარუვალობა.
 შვებით აგყურებ წარუდინებელს,
 შენ ერთს გმორჩილებს უამი მსახვრული...
 ვიბედნიერებ, ოდეს ინებებ
 ვიყო ერთ-ერთი შენი მსახური...
 შენ ამარიდე შიშის მეწყერი,
 დამიტყუდროვე გული ვნებული...
 რაღას დამაკლებს დროის ქვესკნელი, —
 თუკი შენგან ვარ ხელდადებული.

1972 წ.

გზა გვემულთა და უპოვართა...

გზა გვემულთა და უპოვართა, გზა ბედნიერთა,
 შეიყრებან ერთგანვე, მესმის!..
 ვაითუ იქაც უძლურია სუსტი ძლიერთან,
 იქაც თუ არის შერჩევის წესი?
 იქნებ უნყიან ჩვენებური ადათ-ჩვევები,
 იციან ძმობა, მტრობა, მზაკვრობა...
 მოიძიება იქნებ იქაც გზები, ხევები
 და იქაც არის მიუსაფრობა?
 იქნებ უამიუამ სიყვარული იქაც იელვებს
 და იქაც არის კენტი და ლუწი?
 თუ მეუფეობს სიწყნარე და სიცარიელე?
 სწორი პასუხი ნეტავ ვინ უნყის?
 გზა გვემულთა და უპოვართა, გზა ბედნიერთა,
 შეიყრებან ერთგანვე, მესმის!..
 ვაითუ იქაც უძლურია სუსტი ძლიერთან,
 იქაც თუ არის სამზეოს წესი!

1972 წ.

გული

ჩემივე გულში გავაშენე ბალ-ვენახები,
ვაშენე ციხე, გალავნები და სასახლენი;
ჩემივე გულში დაგინახავ, — დაგენახვები,
ჩემივე გულში დაიბადა შენი სახელი.

აქვე მივყვები წუთისოფლის ფართო შარაგზას,
აქ არის შვება, ჭირ-ვარამი აურაცხელი;
მასშია ვეფხვი, თეთრი მტრედი, შლეგი ავაზა,
მე აქ ვიმარჯვებ და ვზეიმობ, აქვე ვმარცხდები.

ამაზე დიდი სხვა სამყარო არ მეგულება,
ყოვლისმომცველი, მოძრავი და შეუპოვარი;
თვითონ მასშია ეს კოსმოსი, ვრცელი ბუნება,
ის არის ლალი, მეომარი, ფიცხი, მგლოვარი...

ქარიშხალივით გადიარეს გულზე ომებმა,
მასშია რწმენა, სიყვარული უამგადასული...
კაცის კაცობა მხოლოდ გულით თუ იზომება,
გულია კაცის დასაწყისი და დასასრული.

1972 წ.



თუთაში

მინანძერი 6. ცულეისკირის რომანზე — „თუთარჩელა“.

ეხეტებიან ცად ლრუბლები —
მთვარის მხევლები.
ზესკნელს უმზერენ თუთაშები —
ღამისმთევლები
და ხილულეთის საიდუმლოს
ტანჯვით იგებენ,
მარტვილი ხალხი მათ შეჰყურებს,
როგორც იმედებს...

შენც თუთაში ხარ, ხამს ებრძოლო
ბოროტს და მუხთალს,
ცრუკაპუნია მოაშორო
ქვეყანას უნდა.
გაუხალვათე სულშეხუთულს
შარაზე სუნთქვა.
კოლხეთის მინდვრებს კვლავ დაჲყურებს
ძლიერი თუთა...
შენც თუთაში ხარ და დღედაღამ
ენამო უნდა!

1972 წ.



სიგარეტი

(ხუმრობისნაირი)

... ერთიღა დამრჩა. ვწრიალებ, ვწუხვარ,
გარეთ ლურღუნცი ლამეა!
ვეწევი ნახევარს, სიამით ვსუნთქავ,
რა მადლიანი წამია!

შუაში მიყოფს უამურ სადარდელს —
კვამლი ცისფერი, ხვეული;
ის მახლავს მეგობრად განთიადამდე,
როს დარდი იფეთქებს წყეული.

ვუკიდებ... ვწყნარდები... ნახევრის ნახევარს
საფერფლეს ვუბრუნებ ისევ;
იმედად დარჩენილს ხანდახან დავხედავ,
გარეთ კი მკრთალდება სივრცე...

სევდა დავაყუჩე... უკვე იფოთლება
საგანთიადო რული...
ასეა, ხორციელს თუ ძალგიძს მოთმენა —
ცოტასაც იქმარებს გული.

1972 წ.



მოღუპული ამინდი

მოღუშული ამინდი...
ბავშვის მწარე სხარსხალი...
ყოფნა წალმა არ მიდის,
გაწყვეტილა სახსარი.
ყველგან იმედს ნატრობენ,
ხარობს სევდის ფუთქური.
დგას ოჯახის პატრონი —
ჩუმი, გულდათუთქული.
ხსნა არ არის აღსავლით,
დასავლითაც არ არი...
ჩაქრა ბოლო ვარსკვლავი,
ირგვლივ მეფობს წკვარამი.

1972 წ.

გედა მარგუნა...

ბედმა მარგუნა ჩანგი წმინდა,
მრავალხმიანი...
ჩემი ტორონჯი გამიფრინდა
ფრთათა შრიალით.
მისია ჩემი სიძლერები, —
გულის რჩეული...
ოთახში ვზივარ, — იმერეთის
გზებს შეჩვეული;
არ მომასვენებს სიბერემდის
სევდა წყეული...
ხან გაბაცდება მზის ფერები, —
ცით დარწეული.
ხან მნათი მაკრავს, ხან კი — ბინდი, —
ვით აშრიალი...
ჩემი ტორონჯი გამიფრინდა
ფრთათა შრიალით.

1973 წ.

სივრცე გამიხსნა სიზმრების პარმა...

სივრცე გამიხსნა სიზმრების კარმა: —
მოისმა შორით უჩინართა ხვეწნა... მუდარა...
ნათელმა მზერამ, როგორც ცისკარმა,
მჩხიბავ სიბძელეს ბნელი ტოტი გადაუქარა...
სიზმრების კართა მიღმა და მიღმა
იყო როკვა და თავაწყვეტა წრეგადასული.
იქით მივყავდი იდუმალ ილბალს,
სადაც თმაშლილი, მოტირალი იდგა ასული.
იქვე წყლიანი იცდიდა კოკა,
თუ ცრემლით სავსე?! მყის მომინდა მზერის სიალე...
ჩამოლაროდა იმ ასულს ლოყა
და როს მიხილა, მომეახლა თმამოშრიალე.
მომითხრო ასე: — იყავ მდუმარედ,
რამეთუ ჩქამი საცნაურყოფს დაფარულ ზრახვებს;
შენა ხარ ჩემთვის კარგი სტუმარი
და, მაინც ვწუხვარ, ამ სკნელშუა უდროოდ გნახე.
ჩვენ არ გველირსა ერთურთთან მისვლა
იქ და... ახლა კი უსათუოდ ვართ თანაბრები;
თუ მოქცევისას ზღვა დაინისლა,
ჩვენი სულები გაცავშალოთ, როგორც აფრები...
აილო კოკა მსუბუქი რხევით,
მიმიხმობდა და მიფრინავდა, როგორც ციერი;
ის მიიჩევდა ზევით და ზევით,
მივსდევდი გვერდით... იხსნებოდა თვალსაწიერი.

1973 წ.

ბავშვის გულით...

ბავშვის გულით
ვეფერები ლერწამს მორჩილს, —
რიურაჟივით
ამოსულს თუ ამონორჩილს.

1973 წ.

გაუგრძელების

გაპრაზეპული დაცოვებ მთახს...

კვლავ არ მშორდება მსუსხავი ფიქრი,
ქალაქში ღელავს სიზმრის მდინარე...
მეც ვხუჭავ თვალებს, ვწუხვარ და მიკვირს,
ეს მერამდენედ თავს ვიმძინარებ.
კვლავ არ მოეღო ბოლო სიჩუმეს
და მარტოობის განცდას საშინელს;
სიმშვიდე წუთით ვერ დავიუნჯე,
როგორც ვიპოვი — ვკარგავ მაშინვე.
ისევ ვწუხვარ და ვწრიალებ, ვშფოთავ,
არ მასვენებენ თითქოს ღმერთები...
გაბრაზებული დავტოვებ ოთახს —
ღამის ქვეყანას შევუერთდები!

1973 წ.

უსსოვრობა

უხსოვრობაში ჩაკარგულ დღეებს
ვიღამ აუნთოს ხსოვნის სანთური
ან მოუხილავ გზებს, სიმაღლეებს,
ვინ გააგონის ჩემი ქართული.
ვინ არის, ვისაც მოთმენის წიაღ
აქვს უჩინარი, ბნელი სახლაკი;
ვისაც გული აქვს სიკეთით ღია
და გზაზე დადის, როგორც გლახაკი...
იმისი იყოს ეს სადღეგრძელო —
ვინც იყო, არის და აღარ გვახსოვს...
ო, უხსოვრობავ, ყოვლისმომცველო,
შენს იქით ყველა ტყუის და მასხრობს!

1973 წ.

ხეამაღალი ლექსი

ქვეყნის შენება როდი ძალუბთ მარტო ზეიმებს,
იუბილეებს,
დღესასწაულს, ცბიერ გონებას...
ლამის გულები დაემსგავსნენ ცივ მუზეუმებს,
ვისწავლოთ სევდა, სიხარული და დაღონებაც...

გვესმის!
ძმობა და სიკეთეა ჩვენი მიზანი,
რომ ხალხს ვაშოროთ მწუხარება, ცრემლი, ომები...
მაგრამ როდი გვაქვს
ერთნაირი ყველას სიზმარი,
ზოგს ესიზმრება ვირთხები და ზოგს კი — ლომები...

გვაქვს ჩვენ სხვადასხვა შეცდომები, გულის ფრიალი,
ხან მეტ-ნაკლები გამარჯვება, ზოგჯერ დაცემა...
გვერჩივნოს: —
ვიყოთ მოწყენილი და ფიქრიანი,
ოღონდ არ იყოს ყალბი ვაშა და აღტაცება...

ქვეყნის შენება როდი ძალუბთ მარტო ზეიმებს,
იუბილეებს,
ტაშ-ფანდურას, ცბიერ გონებას...
ლამის გულები დაემსგავსნენ ცივ მუზეუმებს,
ვიცოდეთ სევდა, აღმაფრენა და დაღონებაც.

1973 წ.



სინაული

გელა ბერძენიშვილს და ედუარდ ფალიანს

იმ დღეს ვიყავი მისგან ნაწყენი
და მთელი ღამე მხოლოდ ვლოთობდი;
ვიყავ უხეში და მოსაწყენი,
თანაც უძლური, როგორც ფოთოლი...

არ მახსოვს იმ ყანნს ვინ მაძალებდა,
თუ მე დავლიე მაშინ ნებისად?
სხვა ყველაფერი იყო ზმანება...
გონიერ მოვედი გათენებისას.

წარბდახეთქილი და სისხლიანი
მეგობრის სახლში ვიწექ ძლეული;
მივლიდა ქალი გულთვალმზიანი,
ვწუხდი, ვშფოთავდი სირცხვილეული...

მე სინანულით ვიყავ დაჭრილი,
უკვე ვერ ვცხობდი საცნაუროსაც...
თითქოს ჩემს თავში იყო სამჭედლო —
მცემდა ტკივილი მკაცრად უროსა...

იმ ღამეს, როცა მისკენ წავედი,
ვიყავი ბოლო ყანნით ვნებული...
და... გადის ახლა ჟამი წვალებით,
მძაფრი განცდებით დამძიმებული!

1973 წ.



იქ, სადაც...

იქ, სადაც ერთ დროს
ღელე იყო შეგუბებული,
რომ გაევსო და აემღერა წისქვილის ღარი: —
ჩემი ბავშვობის მოგონება იქაც მეგულვის,
იქ ჩამესმოდა სარეკელას ძველი ზღაპარი.
იქ დაფრინავდა
ალის სული, ჯოგი ჭინკების,
იქ შრიალებდა გაუხედნავ კვიცის ფაფარი;
ხელში მეჭირა ვარსკვლავები, როგორც ჭიქები,
იყო დევების რია-რია, ბრდლვინვა, ხარხარი...
ავმა სულებმა
იქ მომტაცეს ჩემი ტრფიალი,
შორეთის იქით გადაკარგეს მწარე ხმაურით;
ჩემი თეთრონით გავეკიდე ნალთა წერიალით,
მივსდევდი ხევ-ხევ, ზოგჯერ მთა-მთა, ბედუცნაური...
მახსოვს:
მარადის ვიმარჯვებდი, რადგან ზღაპარი
ყოველთვის კარგად მთავრდებოდა, რაც კი მსმენია...
ისევ მოვედი ძველ წისქვილთან, რომ გასახარი
ეთქვათ ზღაპარი, რაც ხსოვნაში შემომრჩენია...
მაგრამ ამაოდ!
არც წისქვილი, არც სარეკელა...
ღელე დამშრალა, გზა გამქრალა მწვანე მოლითა...
ისე მიმზერდა ჩემი სოფლის ცა მერეკელა, —
თითქოს ამბობდა: — ეს უცნობი სიდან მოვიდა?!
სახლიც დამწვარა, —
სადაც ვნახე, ცის რიურაჟობა
როგორ ფეთქავდა თუ ფრთონავდა სუფთა რტოებში...
მე მათთან ერთად დამეკარგა ჩემი ბავშვობა
და დავალ ისე, როგორც მწირი უდაბნოეთში!

1973 წ.

გაურ მოლაპშია

ღამის კაცები ხელებს იქნევენ...

ღამის კაცები ხელებს იქნევენ
და გზაზე მესმის შენი ხსენება...
ვფიქრობ: უშენოდ როგორ ვიქნები,
ვით ურიურაჟოდ დღის გათენება...
შენზე ფიქრები, სულო უვნებო,
რაღაც შეუცნობ ბურუსს მპირდება...
ასე მგონია, ძველი უბნები
ჩიტივით სადღაც გადაფრინდება.
გადაფრინდება, როგორც ნუგეში,
ეს ჩემი ქუჩაც სხვა ქუჩის გასწვრივ...
როს აღმოვჩინდები მინის უბეში —
მე უშენობას იქ ვიგრძნობ ასწილ!
ეს ჩემი ფიქრი კართან თუნგივით
ახმაურდება, როცა დაწვები...
მერე კვლავ მოვა ბასრი დუმილი,
ვით მარტოობა — ნისლში ნარწევი...
გულს შემიღონებს ქარის წანამლი,
ვეღარ გავუძლებ ღამის სიმძიმეს
და... სიყვარული, ვით საწამლავი,
დამივლის სისხლში და, მივიძინებ...

1973 წ.

ვინც გზას ეძებდა მართალს და უვალს

ვინც გზას ეძებდა მართალს და უვალს,
ვისაც ეხვია სევდის ტიარა,
ვინც იყო ბრძენი — ცხოვრობდა ჩუმად
და მოთმინებას ვინც ეზიარა;
ვინც დაიუნჯა სალმობა წლების,
ვისაც უბგერო ხმები ჩაესმა,
ვინც დაფრინავდა დუმილის ფრთებით —
ის შეიყვარა უზენაესმა.

1973 წ.

ღამურები

მწუხრის ქარებით ახმაურდა ჩემი ტალანი
 და ლამურები მოფრინავენ ნანგრევებიდან.
 ჩემს აივანთან მოგროვდებიან,
 შემოსხდებიან რიკულებზე და მიყურებენ
 ბეცი თვალებით...

მათ ვიცნობ ყველას გვარით, სახელით
 და თავიანთი ბნელი წარსულით...
 მათ ვიცნობ ყველას!

ჩვენ ბრძოლის ველზე მიგვატოვეს
 და შიშნეულნი
 შორს შეეხიზნენ სიმშვიდის ნანგრევს...

მათ ვიცნობ ყველას!..

ახლა კი, როცა მწუხრის ეჯვნებით
 უღრიალებს ჩემი ლამის ტალანი
 და მარტო ვზივარ,—
 მითვალთვალებენ
 და მაცდურად დაფრენენ ირგვლივ,

მაგრამ ამაოდ!..
 ჩემს ბრძოლის ველს ვერ მივატოვებ.

1973 წ.



მგზავრობის დასასრული

მორჩა, დამთავრდა ჩვენი მგზავრობა,
გზად ჩამოვსხედით დაქანცულები,
რომ განგვარიდონ მიუსაფრობას,
წინ მიგვიხმობენ მგზავრთა სულები.

წინ ზღვა დგაფუნებს და გული გვწყდება,
რომ ჩვენ აქა ვართ, ვით არაფრობა.
ზღვასთან იგრძნობა ყველაზე მეტად
უხომალდობა და უაფრობა.

მიწას ვაჩნივართ, როგორც კუნძები,
ჩვენი უაზრო მგზავრობის ფასად;
მთები, ღორდები და კუნძულები
არ გაგვიშვებენ აქედან არსად.

დალამდა, როგორც სიასამური,
ძირს გავიფინეთ ნედლი შტოები...
ძილში გვეძახდა ჩვენი მამული,
ვაზები, ძნები და ულოები...

1973 წ.

ზამთრის ზავთობით...

ზამთრის ზავთობით დასუსხულ სხეულს
კვლავ ვერ შემოსავ მწვანე სამოსით...
ისევ იქნები მარტო და მსხემი,
ვერ აინთები მნათის ამოსვლით.
არ გეყოლება არვინ თავდები, —
თუ დაგითმობენ ხსოვნაში კუნჭულს...
ოდეს გაქრები და გათავდები —
მოისმენ მხოლოდ ჩრდილების ჩურჩულს.

ჩუმი, უხორცო და უჩინარი —
ვეღარ დაითვლი ოხერ იარებს...
იქაც იქნები გულით ბინარი
და სივრცეებში მოხეტიალე!

1973 წ.

ცლაპი ტორავენ, ამჟვერებენ ჩვენს დედამიწას

I

წლები ტორავენ, ამტვერებენ ჩვენს დედამიწას,
ადამიანებს ბალაზივით ძოვენ და ძოვენ;
მათი ყბებისგან წუთისოფლად ვერვინ დაგიცავს,
დიდი ხანია მასზე იმედს გამოეთხოვე...

შენი ცხოვრება არის ვიწრო გამოქვაბული
სავსე ხიფათით, თრთოლით, შიშით და გაბედვებით...
ერთ დროს გულჩილი, ახლა ლამის გახდი ქვაგულის,
შენივე სულში იხარშები, ჩქარა ბერდები...

არ დაგცდენია საყვედური, არც სამდურავი,
ხარ აღჭურვილი „მოთმინების იარაღებით“...
— „ასე სურდაო!“ — ნუ იფიქრებს შენზე ნურავინ,
გქონოდა ბედი, შენც იმღერდი, იამაყებდი...

II

რად აედევნე შენ სიზმრების მქროლავ ქარავანს?
როს გენატრება უსიზმრობა, როგორც სიმშვიდე;
რად გეძნელება ტოლ-სწორებში ყოფნა, გარევა,
ახლოს მისვლას თუ სიახლოვეს ნუთუ გიშლიდნენ?

სიჩუმე მკვდრული... უჩინარი დროის დინება
ყველაფერს გასცემს უზუსტეს და საკადრის პასუხს, —

გაურ მოლაშხია

ოდეს ცხოვრების ხექცეულზე მიგეძინება
ასე დაქანცულს უჟამობით და ბედდათარსულს!

ნლები ტორავენ, ამტვერებენ ჩვენს დედამიწას,
ადამიანებს ბალახივით ძოვენ და ძოვენ;
მათი ყბებისგან წუთისოფლად ვერვინ დაგიცავს,
დიდი ხანია მასზე იმედს გამოეთხოვე...

1973 წ.

ლამაზლი ზმანება. ხანძარი. პივილი

ბევრს უხაროდა შუაღამით მზის გამოჩენა
და ხარხარებდა...

მეც ვიცინოდი, სხვებთან ერთად, მეც მიხაროდა.
ცოტანი იყვნენ ჩაფიქრებული,
სალმობიერი და მოწყენილი.

უკვირდათ: — „რატომ, საიდან? როგორ?
რას მოასწავებს უცნაური ესე ცვლილება?“

ვით თუთაშები,
იდგნენ ჩუმად ცადმაცქერალნი,
ჟამიუამ მნარედ გაიღიმებდნენ, —
შემოგვეხდავლენ უგნურ მროკავებს
და კვლავ შორეთში იმზირებოდნენ.

დრო გადიოდა...

უღალისფერი ცა დაიწია
და, უცებ, გამდნარ ლითონის მსგავსად
დაგვექცა თავზე ...

შევკრთი უეცრად თუ ძახილმა გამომაღვიძა?
კიოდა დედა

და საშველად უხმობდა ყველას.
დაფეხებული მეზობლები მორბოდნენ ჩვენკენ.
ტიროდა დედა
და ხმაურით იწვოდა სახლი!

1973 წ.

დღეს მას ვიგორებ...

ავად მრისხავი ჩადგა ამინდი
და კვირტებივით გაიშალა სხივები მნათის;
ნუკრივით მიმზერს ცა მიამიტი
და უჩინარი ჰორიზონტზე უჩუმრად დადის.

ველად თავისთვის ჩურჩულებს ბაო...
ამ სამყაროში კვლავ მარტო ვარ საკუთარ თავთან.
დღეს მას ვიგორებ, ძმაო და დაო, —
ვინც მახარებდა,
მაფარებდა იმედის კალთას.

1973 წ.

ის მოდის

— გახედე, იქით
რაღაცა ბრნყინავს.
— ხეების რიგი,
ქალები მწკრივად.
— გახედე კიდევ,
მე სულ სხვას ვხედავ.
— შორს, ზეცის კიდე,
ღრუბელი კენტად.
— გუნუკვი, ცქერად
განაფე თვალი.
— ჰო, ვხედავ, ცერად
მოფრინავს ქარი.
— არა! მის იქით,
— რაა, ვერ ვხედავ!
— გამოჩნდა იგი...
— რა არის, ნეტავ?!
— უამი დგას როკვის,
მნვანდება კორდი.
ის მოდის, მოდის,
ნამდვილად მოდის!

1973 წ.

გაურ მოლაპშია

გული სხვას მეუბნება

ქარია და, რიალია ტოტების,
ცად ღრუბლები დაყოფილან უბნებად...
მერამდენედ გაბუტული მშორდები,
მაგრამ გული... გული სხვას მეუბნება!

ცას ზოლებად აესხიპნენ ელვები,
ცის ტატნობი მაინც რჩება უვნებლად...
კვლავ მიდიხარ... მაგრამ შენი ცრემლები,
შენი მზერა, რა ვქანა, სხვას მეუბნება!

მერამდენედ ჩვენ ერთმანეთს ვშორდებით,
მერამდენედ ცა დაფარეს ღრუბლებმა,
მერამდენედ დამეუფლებენ შფოთვები,
მერამდენედ... გული სხვას მეუბნება!

ხის ტოტები ვენებივით ფეთქავენ,
ისევ ელვამ ცა დაგვიყო უბნებად...
მერამდენედ ვეკარგებით ერთმანეთს,
მაგრამ გული... გული სხვას მეუბნება!

1973 წ.

დაკორნილება განშორებით...

„ჩვენ დავქორნინდით განშორებით და არა შეყრით“.
ედგარ ლი მასტერსი

გადავიწვიმეთ დღე-დამეთა ხშირი წვიმები,
ერთად დავსველდით, აგვიცრემლდა ერთად თვალებიც;
ერთად ვხარობდით მანათობლის ამობრნებით,
ერთად გადავვლეთ გორაკები და ნარვალები...

თითქოს გზაც გვქონდა ერთიანი, განუყოფელი,
შვილები უნდა გაგვეჩინა ტრფიალი ქვეყნის...
მაგრამ... უეცრად შეიცვალა წუთისოფელი, —
„ჩვენ დავქორნინდით განშორებით და არა შეყრით.“

1973 წ.

ოდეს ვინას მოელი...

ოდეს ვინმეს მოელი —
დღე გინთია ცხოველი;
ოდეს არვინ არ მოდის —
გავინყდება ყოველი,
რასაც გულით ლამობდი.

ჟამი გადაწურვილა,
დგახარ, როგორც მგლოველი;
სიყვარულის წყურვილმა
დაგცა დაუდგრომელი.

რისთვის წუხდი ამდენ ხანს,
ანდა რისთვის გალობდი?
უჟამობამ გაგტეხა,
უნებურად გალოთდი...
კვლავ ვიღაცას მოელი,
მაგრამ... არვინ არ მოდის.

1974 წ.



როგორც ყოველთვის...

როგორც ყოველთვის: —
ვფიქრობ და მიკვირს,
რად იგვიანებს იგი, რომელსაც
დიდი ხანია შორით მოველი;
მისი თბილი ხმა ერთხელ მომესმა,
მერე მიწყნარდა,
მიჩუმათდა ირგვლივ ყოველი...

როგორც ჭრილობა ვაჟკაცის მკერდზე,
გაიხსნა სივრცე...
მშობლიური სამყარო მტკივა...
გზად, ვით სიყვარულს,
იმ დაკარგულ პირველ ხმას ვეძებ
და, როგორც
მკვდარი ფრინველები, დღეები ცვივა...

ცა — იდუმალი —
ლაჟვარდს მიქნევს და მესალმება...
კვლავ მეჩხერდება
და შორდება სოფელს ტყისპირი...
მოფენილია
ეს ქვეყანა უცხო ალმებით,
ტყუილს და მართალს
ერთნაირად გვიფქვავს წისქვილი...

როგორც ჭრილობა ვაჟკაცის მკერდზე,
გაიხსნა სივრცე...
უთქმელობით სათქმელი მტკივა...
გზად, ვით სიყვარულს,
იმ დაკარგულ პირველ ხმას ვეძებ
და, როგორც
მკვდარი ფრინველები, დღეები ცვივა!

1974 წ.

ეს ცხადი იყო თუ მომელანდა?

... უკაცრიელი ვნახე დარბაზი,
სამეფო დროშა დახრილი ჩანდა.
მეც მივდიოდი სადღაც ბარბაცით...
(ეს ცხადი იყო თუ მომელანდა?)

ვნახე აყრილი მშობელი ხალხი,
მათ არ ესმოდათ ერთურთის, ანდა
სულ გადავგვარდით, დავეცით, წავხდით...
(ეს ცხადი იყო თუ მომელანდა?)

ვთქვი: — ასეთ ყოფნას არყოფნა მიჯობს,
საკუთარ გულში ვიცემდი ლახვარს,
როცა ვიღაცამ იყვირა: — „ბიჭო,
ეს ლალატს უდრის ერისთვის ახლა!

თუ დაყრის ყველა შენსავით ფარ-ხმალს,
მომავალს მაშინ რას ეტყვი, ანდა
იმ მიწას, რაზეც ამჟამად დგახარ“...
(ეს ცხადი იყო თუ მომელანდა?)

— ო, რწმენავ, ნუღარ დამტოვებ ობლად,
ვთქვი და, ნათელი აინთო სამთა...
დიდი ხნის მერე ვპოვე სამშობლო...
(ეს ცხადი იყო თუ მომელანდა?)

1974 წ.



გაურ მოლაპშია

რა ბედენაა...

რა ბედენაა დილაა თუ უამთა მწუხარობა,
ოდეს მოსკვება წვიმის ალო და წყალუხვობა,

ოდეს მიდრეკილს მოგბეზრდება დროის დინება
და უხმაუროდ სადმე ჩრდილში მიგეძინება.

1974 წ.

გამიხმა შენი ყვავილები, ტრფიალო ჩემო!
უბირ მებაღეს
ვერ მშველიან სხვა ყვავილები, —
ამ გაზაფხულს რომ მოჰყვება თანა.

1974 წ.

პოლოსლა გამაგებინა...

(ხალხურ მოტივზე)

მან სიტყვა ცხრაჯერ მაგემა,
მე ერთიც არ მათქმევინა;
წყაროსთან რომ მიმიყვანა —
წვეთიც არ დამალევინა...
ზურგზე ამკიდა საფქვავი
ნისკვილში წამალებინა...
ვეცადე გულის გადაშლას —
მყის ხელი ამაღებინა;
სიტყვა ხმალივით წალესი
ქარქაშში ჩამაგებინა.
— სხვასა მონებსო ეს გული, —
ბოლოსლა გამაგებინა.

1974 წ.

ყოველთვის გავიხსენებ...

ყოველთვის გავიხსენებ იმ უკანასკნელ
ეზოს და ჭიშკარს,
ჩვენ რომ გაგვთიშა და გაგვაშორა მაშინ...
მე შენი თრთოლა მახსოვს და მიყვარს,
მახსოვს ბალახი

და ყვავილი ღამისფერ თმაში.
დიდი ხანია მიიხურე კარი და წახველ,
არ გამოდიხარ ჩემს დაძახილზე
და ამ ზამთარში დიდთოვლობით
დალენილ ბალებს
გაზაფხულითაც ვეღარ ვაღვიძებ.
ვერ დავიბრუნე, რაიც გაქრა
და გაიყინა,
და ვხედავ,
წლებმა, როგორც მტრებმა, უკვე გამწირეს.
ერთხელ ჩემს თავზე სიყვარულმა გადაიყივლა
და შეერია ბინდის ქარებს და თვალსაწირს...

1974 წ.

მცველვალი და უფსერული

მოჩანს ბორცვები —
დედამიწის მწვანე კერტები,
ყველა ბილიკთან
სიყვარულით მე ვარ შეკრული...
მივიწევ წინ და
ჯიუტად თუ თავგამეტებით
პირბასრი ხმალი —
ცას მიაპობს მზერა კერპული.

გაურ მოლაშხია

კვლავ წინ მივიწევ,
უკან მომსდევს ხმები მწევართა,
ღამის ფრთასავით
დამშრიალებს სევდა ლუსკუმა...
ყველაზე უფრო
ახლოსა ვარ მე იმ მწვერვალთან,
იმ მწვერვალთან და... ღია უფსკრულთან!

1974 წ.

ყოველ გაზაფხულს...

ყოველ გაზაფხულს
ყვავილწნული მომქონდა შენთან, —
მხოლოდღა ერთი ღიმილის ფასად.
ყოველ გაზაფხულს თარჩიობა გვიყვარდა ველად...
იქ,
სადაც ახლა ნატყეური, ხრიოკი მიწა
მზეს ეფიცხება, —
ვუსმენდით ტყეში კვირტების სკდომას...

აწ ვდგავარ მარტო
ჩაფლატებულ, ჩამქრალ ღელესთან
და, შრიალებენ მხოლოდ ფიქრები...
ეს —
მერამდენედ ჩაიარეს თავჩალუნულად
უყვავილწნულო გაზაფხულებმა.

1974 წ.



უცხო ნათელი

ვხედავ: თანდათან
ლურჯი სერები
გაუჩინარდნენ,
სივრცემ დაკარგა
ძველი ფერები,
როგორც სინათლე...
დუმან ველები
და გზებიც დუმან —
მგზავრთა მნატვრელნი,
მყის ფიქრზე უმალ
ციდან გამოჩნდა
უცხო ნათელი.
უცხო ნათელი,
ვით ახლობელი,
მოდის და მკოცნის,
თითქოს მლმობელი,
იცნო მან გული
ნაღვლიან მგოსნის
და სიყვარული
ცისა და მიწის
მომცა განძივით,
დალოცა ნიჭი,
რამაც არ იცის
დრო და მანძილი.

1974 წ.



გაურ მოღაშხია

მოვაფრიალებ რიურაჟებით შეკერილ დროშას

„იქ პოეზიის ფრიალებს დროშა“.

გალაკტიონი

მოვაფრიალებ რიურაჟებით შეკერილ დროშას,
რომ გაღვიძებულ მანათობელს
შევხვდე ზეიმით.

მოვაშრიალებ გაზაფხულით ავსებულ ტყეებს,
რომ გამოქარულ
და ნაზამთრალ ხევში თუ მთებში
ახალ სიცოცხლით ახმიანდეს ჩამქრალი ტევრი.

წმინდა დღეებით
და ფიქრებით დაწნულ გვირგვინებს
მე ვადგამ მწვერვალს,
სამერმისოდ მაღლა აზიდულს,
და ვხედავ შორით: —
ცისარტყელით მოხატულ გზებით,
ხან ნარვალებით,
ხაროებით, მინდვრებით, მთებით
ჩემი დროშისკენ ეს სამყარო
მოდის და მოდის!..

უფრო მაღლა ვწევ რიურაჟებით შეკერილ დროშას
და ვუფრთხილდები
მის სიწმინდეს, შეუვალობას...
წინასწარ ვიცი განჩინება მომავალ დროთა,
როცა ვუყურებ სამერმისოდ დარწეულ აკვნებს,
ოდეს უწყვეტად
და დაუთვლელ მწკრივად, რიგებად
მთელი ქვეყანა
ჩემკენ მოდის, მოდის და მოდის!..

მოვაფრიალებ
რიურაჟებით შეკერილ დროშას.

1974 წ.

გადაიცვილა ზეცის თავანი

გადაიწმინდა ზეცის თავანი,
 ღამის ნავალი ცას არ აჩნია;
 ბრწყინვალებს მნათი ლალი, თამამი
 და გულში შუქი შემომაჩვია...
 სოფელს ჩაუდის ღელე პანია,
 ვარკალა კენჭებს აგროვებს ბავშვი;
 ქალმა ფანჯრიდან ფარდა გასწია
 და დღის ნათელი შეუშვა სახლში....
 ველად ყვავილთა ჩანს მოზაიკა,
 მინას ჩხვერავენ ნედლი ფესვები;
 მზის მეუფება დადის კარი-კარ, —
 სიკეთისა და შვების მთესველი...
 თვალწინ მაღლდება ზეცის თავანი,
 ღამის ნავალი ცას არ აჩნია;
 ბრწყინვალებს მნათი ლალი, თამამი
 და გულში შუქი შემომაჩვია.

1974 წ.

აქაც მომავახეს...

აქაც მომნახეს, ამ ჩემს ბუნაგში
 ყაჩალებივით შემოვარდნენ პირახვეულნი.
 დამავლეს ხელი,
 გზას გამაკრეს და მაბურთავეს,
 მცემეს და მგვემეს
 და საგულე ამომიკორტნეს,
 თვითონ ჩასახლდნენ, —
 ყველაფერი მოიხალვათეს
 და დღე და ღამე მძარცვავენ და კვლავ მაწამებენ
 ბნელი ეჭვები...

1974 წ.

გაურ მოლაპშია

36180 კახეთი...

(ჩანახატი)

„... ქვეყანა ესე არს ფრიად ნაყოფიერი ყოვლითა
მარცვლითა, ვენახითა, ხილითა, პირუტყვითა,
ნადირთა... ხოლო კაცნი და ქალნი შუენიერნი,
პაეროვანნი... ლალნი, ამაყნი, მეხოტბენი,
დიდმოქმელნი, მეჩხუბარნი, შემმართებელნი...“

“ქართლის ცხოვრება”, ტ. IV.

ვნახე კახეთი...

(კვლავ ვიგონებ ზღაპრულ სურათებს).
კრეფლდნენ, კრეფლდნენ და,
საწნახელში მზეებს სწურავდნენ.

ირგვლივ სხივები ელვარებდნენ,
ვით სატევრები.
მზე იდგა კასრში, მზით ავსილი
იყო ქვევრები.

მზის ვენახებით
ჩახჩახებდა თვალსაწიერი —
ოქრორეული,
მომუსხველი და სახიერი...

აქ, ამ მხარეში
ჩემი ქვეყნის განძი მეგულვის
და ხალხი —
დიდი ისტორიით დამძიმებული.

1974 წ.



ისხარი

როგორლაც უცემ გამოიდარა,
 არც კი ველოდი, ისე უეცრად...
 ჩემი კუთვნილი გზა და მიდამო
 მოვარდნილ ღვართქაფს გადაურეცხავს.
 თითქოს ისხარმა მყისვე წამგვარა
 ძველი შარა და ძველი სიმაღლე...
 ან უნდა ვკვალო გზები სხვაგვარი,
 რომ გადავურჩე ახალ წიაღვრებს.

1975 წ.

პოეტის მონოლოგი

მოვლენ დღეები და გამარჯვებას
 მეც ვიზეომებ, სიცოცხლის ტოლო!
 მოვლენ დღეები და ჩემს გაჩენას
 შენც გაამართლებ ბოლოს და ბოლოს.

მოდის ნათელი, ვით წყალდიდობა,
 ის გადალეკავს ლოხსა და ნაგავს...
 დრო გამოაჩენს მას, რაც მინდოდა,
 დრო არ გამნირავს და არ დამკარგავს.

ახლა რომ მხედავ ფიქრებმორეულს,
 წელთა ცულები მომჭრიან, ვით ხეს...
 მაგრამ ლექსების ძვირფას ტომეულს
 ვერვინ წაართმევს მომავლის მკითხველს.
 1975 წ.



გაუგრების მოლოდინი

იქ და აქ

(ციკლიდან: — „სიზმრების სამყაროში“)

კარგა ხანია, რომ დამეძინა
და ჭრელ სიზმრებში დავეხეტები...
რაც ვითავცემე ან რაც მეწყინა —
მას მავრნებენ სიზმრის ღმერთები.
სიზმრის სახლში ვარ, სიზმრის დერეფნით
ჩემთან შემოდის სიზმრის ქალწული;
სიზმრით ნაქსოვი ბედნიერებით
სავსე ვარ, როგორც ღვინით სარწყული...
სიზმრის სამყარო სულ მთლად მეკუთვნის,
იქ მე ვუკრძალავ ჩრდილებს — ჩრდილავდეს...
ცა — ვარსკვლავებით დასახლებული —
ჩემი საუფლო ხდება დილამდე.
იქ მნათობების აღლუმს ვლებულობ,
იქ ვასაჩუქრებ ყველას იმედით;
იქ ნაღვლიანიც გალალებულა
იმ სიზმარეულ სინამდვილეთი...
ნაირფერებით სივრცე ივსება,
სიზმრის სამყარო ელავს, ბრწყინვალებს...
დილით კი, როცა გამეღვიძება,
კვლავ ვუბრუნდები ყოფის წვრილმანებს!

1975 წ.

გეჩვენა...

მეჩვენა:
დაშრეტილი მდინარეები,
ერთ დროს მშუქარი ადგილები — ნაქალაქარი,
ნაგზაური და ნატბეურები,
ნაქცეულ მუხის ტოტის შრიალი
და გულოვანი ვაჟკაცები — მტერთა მმუსვრელნი...
თითქოს მიღმეთით იხუვლეს ერთად
და ჩემ წინ დადგნენ მწკრივად, რიგებად
და ნაღვლიანად დასცინიან
ჩემს სიამაყეს.

1975 წ.

ჩემს შვილს აშინებს წითელი ფერი

ჩემს შვილს აშინებს წითელი ფერი,
წითელი საბნის წითელი ფერი...
სისხლი — წითელი, წითელი — სივრცე, —
თითქოს დაჭრილი მზე ინურება
ზეცის თავანზე...
მხოლოდღა მწვანე ნათურის შუქზე
იძინებს მშვიდად და ილიმება,
მწვანე სიზმრებში ილიმება
პანია ჩემი!

1975 წ.

მზე დაეკარგა დაბინდულ მზერას...

მზე დაეკარგა დაბინდულ მზერას,
შენს იქით დარჩა მზიანი არე;
უჟმური ჟამი — ვეება ძერა —
ფარავდა შენს ცას, მზესა და მთვარეს...
როდესაც ძლივსლა გამოერკვიე, —
გარს ზღუდესავით გეკრა სიბეცე;
აზრი დამზრალი და დაბებკილი
მტვერივით თრთოდა დროის კიბეზე...
მაშინ შეძრნუნდი, მაშინ ეცადე
თავის დაღწევას ამ მარყუშიდან...
სულს საუბარი სურდა ზეცასთან,
მაგრამ ხელს შენი ხორცი უშლიდა...
მზე დაეკარგა დაბინდულ მზერას,
შენს იქით დარჩა მზიანი არე;
უჟმური ჟამი — ვეება ძერა —
ფარავდა შენს ცას, მზესა და მთვარეს...

1975 წ. ოებერვალი

გაურ მოღვაწეია

პიშო ირმისა!

„ირმისამ უთხრა: — მე მოვგვრი იმ ქალს,
ოლონდ წასვლის ნება მომეციოთ!
... დევი მივიდა თუ არა, ირმისა ეცა,
წააქცია და ზედ მუხლით შედგა“.
ქართული ზღაპარი

გადმოფრინდი იმ ზღაპრიდან,
ბიჭო ირმისა!
თორემ დარდმა დაცამფლითა,
ბიჭო ირმისა!

დევმა მძლია მუხთალ ბრძოლით,
ბიჭო ირმისა!
და წამგვარა გულის სწორი,
ბიჭო ირმისა!

ბედისწერას ვინ გებულობს, —
ბიჭო ირმისა!
ახლა უნდა მიერთგულო,
ბიჭო ირმისა!

ცას ჰკიდია ლამე დარდად,
ბიჭო ირმისა!
სატრფოს კვალი დამეკარგა,
ბიჭო ირმისა!..

1975 წ.



306 მომიგზავნა ეს ხმა კეთილი

ვინ მომიგზავნა ეს ხმა კეთილი,
რომ გამაღვიძა,
მაღალ მზისკენ შემომაბრუნა...

ვის გავახსენდი მარტომყოფი,
ვის გავახსენდი,
რომ მომიგზავნა ეს ხმა კეთილი...

კვლავ დამიძახა სიყვარულმა იმ ხმის წყალობით,
გზის განაპირას ჩამომჯდარი წამომაყენა
და მომცა ძალა სევდის მძლევარი!

...

ვინ მომიგზავნა
ან ვისია ეს ხმა კეთილი?!

1975 წ.

აათე, აათე!

აანთე, აანთე!
მოაშორე ბნელი ზეწარი,
აანთე იგი, უზილავო, ყველას გულებში;
მითაჟამიდან
შენ წინარე ვარ მახვეწარი, —
ჩამოარიგე სიყვარული, როგორც ნუგეში.

ჩამოარიგე ის ტრფიალი პირველყოფილი,
აჩვენე ყველას ნაღდი სახე, არა პროფილი.

გაალლე მკაცრი ყინულეთი მის სიმხურვალით, —
ყველას თავისი დაანახე მზე საურვალი...

...

აანთე, აანთე!
მოაშორე ბნელი ზეწარი,
აანთე იგი, უზილავო, ყველას გულებში!

1975 წ.

გაურ მოლაპშია

ცოდვის ჭურჭელი...

ცოდვის ჭურჭელი გადაბრუნდა, მიგორავს თავქვე,
რეკავს, წკრიალებს და ჯადოქრულ ხმებით აღვიძებს
სადღაც, ზღაპრებში მთვლემარე ჭინკებს...

გაუმჭვირვალე სივრცის ტიარა იხევა ნელა,
წყნარად, თანდათან... და ჲა, გამოჩნდა
ნათლის სახება — საშვებელი დაღლილ გულების...

ზღაპრულ ბავშვივით გაიზარდა მზე ცის თავანზე,
მიდის, მიცურავს შექცევადი იმედი ჩვენი
და ისევ ჩუმად მიიდრიკება...

ცოდვის ჭურჭელთან ჩამომჯდარა პატარა ბიჭი,
„რა ლამაზია, — ფიქრობს იგი, — სახლში წავიღებ,
ძმას და დაიკოს გავახარებ ამ საჩუქარით.“

ცოდვის ჭურჭელი მსუბუქდება, პატარავდება
და მაცდურ ბრწყინვით იზიდავს ყოველს.

...
მზემ აიფარა სახეზე — ლამე.

1975 წ.



სამარადუამოდ მიიქეც ძილად

შოთა მესხიას ხსოვნას

სამარადუამოდ მიიქეც ძილად,
როცა ფხიზლობას იყავ ჩვეული;
წაგყვა ნაღველი — მკაცრი და მძიმე, —
მამულზე ფიქრით გულს ჩახვეული.

შუბლით სალკლდეებს ვინ მისწოლია,
ვაჟკაცს არ უყვარს სიტყვა სათნევი...
ქართველი ერის დიდ ისტორიას
აუნთე შენი წილი სანთელი.

შენი სიკეთით ყველას ათბობდი,
შენი კაცობა სიკეთე იყო...
შენ თავზე გადგა სამი მნათობი: —
დიდი ივანე, სიმონი, ნიკო.

ერის წარსული სიბრძნით გვასწავლე,
ერზე ფიქრობდი მხნეც და სწეულიც;
სამთა ვარსკვლავთა თანავარსკვლავედს
ჰყავხარ მომდევნოდ გამორჩეული...

სამარადუამოდ მიიქეც ძილად,
როცა ფხიზლობას იყავ ჩვეული...
წაგყვა ნაღველი — მკაცრი და მძიმე, —
მამულზე ფიქრით გულს ჩახვეული.

1975 წ.



ქალაქო ჩემო!

ნუხელ მეზმანა:
დაღვრემილი ქალაქი ჩემი,
მიმოდიოდა ხალხი უბრად და მოწყენილად;
თითქოს რაღაცას
საუბრობდნენ შემკრთალი მზერით
და ირგვლივ შიში ეკალივით ამოწვერილა;
არც გაღიმება,
არც ნაცნობთა უხმო სალამი,
ყველა ერთმანეთს გვერდს უვლიდა, მიიჩქაროდა...
მხოლოდლა ყინჩად —
დადიოდა გზაზე მავანი —
დაშინებული ხალხის ტანჯვით იგი ხარობდა!
ყველას თავისი
ქვაბთანგირი მიჰქონდა მხრებით,
ცრემლის ნიაღვარს მოჰყვებოდა ქვიშა და ლამი...
ბოლმად შეკრული
ყელში თრთოდა უძლური ხმები
და, გული, გული (უმწეობით!) გამისკდა ლამის!
როცა გათენდა —
მე გავხედე მმობლიურ ქალაქს,
მნათი გზადაგზა აფეთქებდა დანაღმულ ჩეროს...
არ დაიშურებს
ზეციერი ნებას თუ ძალას
და ხვალ უფრორე ამაღლდები, ქალაქო ჩემო!

1975 წ.



ემიგრაციის ფიქრები

I

რა მინდა ნეტავ? რას ველოდები?
არ შემიძლია არც მიწა, არც ცა
გავისაფარო...
რა დამკარგვია ამ უცხო ხალხში,
აქ რას მოვრჩოდი, და თუ, ღმერთო, ეს დღე მელოდა,
სჯობდა ქვეყანას მკვდრადშობილი ვეხილე მაშინ...
აქ ცის და მიწის ყოველ მტკაველს
ათასი სული ჩაჰავრენია, ებლაუჭება,
რომ არ დაკარგონ ხელმოსაკიდი,
დროებით მაინც...
უპატრონო სულთა სამყაროში
ღმერთს არ უშვებენ.
იქ თვითონ ღმერთიც უძლურია,
სადაც არათერს არ სცემენ თაყვანს,
სადაც მხოლოდლა არსებობისთვის
იღრინებიან
ან სტკივათ, სტკივათ
გადატყაული მუხლისთავები.

II

გარდასულ უამთა ტკბილო სიზმრებო,
რისთვის ან რატომ მაიმედებდით?
რად მპირდებოდით აყვავებულ დღეების ხილვას,
თუკი იყავით უდღეული,
მსწრაფლნარმავალი?
დროთა ხახაში ჩაქცეულო ჩემო იმედებო,
შენც, სითამამევ, რკინის ლაგამამოდებულო,
იმ გადაბინდულ წარსულიდან
ასე მოწყენით რად იყურებით?
რით განუგეშოთ,
როცა თქვენგან ვიყავი მუდამ
სიხარულსა და ნუგეშს ჩვეული?
III

ვიცი, ხვალ მეითხავს ნაშიერი:
— „რისთვის მოხვედი?
ვის გაექეცი, დღეები რად გაიმყუდროვე?

გაურ მოღაშხია

რად ჩაიმალე შენს სოროში — საკუთარ სულში,
ნუთუ თხუნელას ემსგავსება ადამიანი?!

მაჩვენე შენგან გავლებული კვალი ან ხნული,
მაჩვენე ყანა, —

გავმარგლო და ავათავთავო...“

ხომ ველარ ვეტყვი, — მიწა არ მქონდა,
ადამიანი უმინანყლოდ ვის გაუგია?

რადგან მოხვედი ამ ქვეყანაზე,

გაქვს შენი წილი: —

მზე, ცა და მიწა,

ჰაერი, სივრცე, სიხარული და მწუხარება,

სიკეთე, სევდა, უსასოობა,

თავისუფლება, უკეთურება...

სუყველაფერი გაქვს შენი წილი.

IV

ლუსკუმ ღამეთა უღრანებიდან

გამოაღნიეთ, ჩემო სიზმრებო,

თუნდ მომატყუეთ და გამამასხრეთ

და მთელი ღამე თქვენს ნებაზე მაბორიალეთ,

ოღონდ მესტუმრეთ, თქვე კეთილებო,

და არ წამცდება საყვედური

მოტყუებისთვის...

V

დღემდე გავლილო ჩემო გზებო,

დღეს რა მოხდება დაგემშვიდობოთ,

საპირისპიროდ წავიდე თქვენდა?

თქვით, რა მოხდება?..

VI

გარდასულ ჟამთა ტკბილო სიზმრებო,

ამაოების უმტკიცესი გისოსებიდან

ასე მოწყენით რად იყურებით?

რით განუგემოთ,

როცა თქვენგან ვიყავი მუდამ

სიხარულსა და ნუგეშს ჩვეული.

1975 წ.

თვალთუხილავს უცილოდა

იდგა ხალხი თავდახრილი,
სოფელს ბურჯი ეცლებოდა.
და ახლობლებს სახისფერი
წინაუკმო ეცვლებოდათ.
— თუკი დამტეს გააღწია,
გადარჩება უცილობლად...
ის კვლავ იწვა და უამიშამ
თვალთუხილავს უცინოდა.

1975 წ.

ღამეული ნადირი

I

ნაბიჯდანაბიჯ მითვალთვალებს
ღამის დამშეული ნადირი...
უსიერ ტყეში, მიმქრალ მთვარეს —
„აენთე! აენთე!“ — გავყვირი!..

II

გზას ვიგნებ ხელების ფათურით,
მოვუხმობ ჩემს ტომს და საყვარელს...
ვერ ვნახე დღეს გამოქვაბული
და ტყეში დავეძებ საფარველს.
ნადირი მომყვება და იცის
მარტო ვარ, ეულად შთენილი...
ის კიდევ მოითმენს, ჯერ კიდევ დაიცდის,
რაკილა დავდივარ ტომს ჩამორჩენილი...
რატომ გავთამამდი, თავი რად ავიშვი,
მარტოკა მივენდე გზასა და ხეტიალს...
მოიწევს დრო-უამი მრისხანე ქარიშხლით,
აქ ახლა მშველელი მხოლოდა ღმერთია!

III

კვლავ ვეძახი მიმქრალ მთვარეს,
არ ჩანს ბნელის ნაპირი...
უკან მომსდევს, მითვალთვალებს
ღამეული ნადირი!

1975 წ.

გაურ მოლაპშია

გონიერი მოვიდა, მიმოავლო თვალი გარემოს

... გონიერი მოვიდა, მიმოავლო თვალი გარემოს
და ჰორიზონტზე მზერა დაკიდა...
ჩამავებულა საწიერი, ვით ანგარება,
უყისმათობა
სუნთქვასავით დაჰყვა აკვნიდან!

მან წუთით ფიქრში მიითვალა, მიიკერძოვა,
რაც არ გააჩნდა, მაგრამ უნდოდა: —
სუფთა ოთახი,
სკამ-ლოგინი, თბილი კერძები
ან... დროს გასცლოდა — მკაცრს და უნდობარს...

ჰორიზონტიდან კვლავ ჩამოხსნა მზერა უჩვევი,
დახუჭა თვალი — თითქოს დაღამდა...
წამით რაღაცას ძილ-ბურანში მუშტი უჩვენა,
მერე...
გულ-დვიძლში სინანული ჩაუბალღამდა!


იწვა მიწაზე —
უღიმდამო და უნუგებო
და ახლომახლო სანთლებივით ენთო თელები...
უხმოდ,
თანდათან ჩაუსახლდა ყინვა გუგებში
და... დრო (ჩრდილივით!)
თავს დაადგა არგათენების!

1975 წ.



ხანა

სრულკაცომისა



გვიან ეწვია გაზაფხული ჩემეულ ეზოს,

გვიან დააჩნდა ხეებს კვირტები...

ვაითუ მაშინ გაიძალოს

ტოტზე ფოთლები,

როს ფოთოლცვენის მოაწევს ჟამი.

||

ჩაბნელებულ ხეივანში

წყვილი სანთელი აინთო უცებ,

ორივე ნელა, თანდათანობით

სხვადასხვა მხრისკენ გადაიხარა.

...

არ ჰქონდა ქარი!

1976 წ.

ცეტავ ვის რა აქვს მოსამონარი?

არც მეგობარი იყავი ჩემი
და არც რიგითი ამხანაგი,
გიცნობდი მხოლოდ!
შენი ოთახიდან, როგორც ხანაგით,^{*}
გამოდიოდი, ვითარც მსხემი
და უთვისტომო...

ვის მეგობრობდი ან ვის ძმობდი,
რომელს ჰყვარობდი?
არავინ გცნობდა, არავის სცნობდი,
უპოვარობდი,
მარტოსული უხმოდ წვალობდი;
წრფელი, ხისტი და შეუპოვარი —
მარტოობიდან ამოწყაროვდი...

დღეს ბევრი დადის შენზე მგლოვარი,
ზოგჯერ პურს ღვინით დაასველებენ,
სადღეგრძელოში ძმად გახსენებენ,
ნეტავ, ვის რა აქვს მოსაგონარი?!

1976 წ.



* ხანაგა — „ობლების საკრებულო სახლი“ (საბა).

ამპავი ექვთიმეს გადარჩენისა

„აწლა წარმომიდგა ვინმე დიდებული დედოფალი და მრქვა
ქართულითა ენითა: — „რაი არს, რაი გელმის, ეფოვიმე?“ —
ხოლო მე ვარქვა, ვითარმები: — „მოვკვდები, დედოფალო!“ —
და ვითარცა ესე ვთქუ, მომეახლა და მიპყრა ხელსა და მრქვა:
— „არარაი არს ვნებაი შეე თანა, აღდეგ, ნუ გეშინინ და
ქართულად ხსნილად უბნობდი!“

გიორგი მთაწმინდელი

„ძნიად უბნობდა ქართულად“,
ფრიად იცოდა ბერძნული....
იწვა სენაკში ექვთიმე,
უცხო სენითა შეძრული.
— რაი არს, რაი გელმისო,
ყრმაო, რადა ხარ სნეული?
— ვკვდებიო, — წყნარად ხარსთქვა და
ატირდა ლანდად ქცეული.
— არა არს ვნება შენთანა,
სულ სხვა რამით ხარ ბინარი,
ბედმა გიმტრო და არ იცი
ნამდვილი დედა ვინ არი!
ამაზე მძიმე სენი და
ლმობა გულისა სად თქმულა?!
ექვთიმე, ნუ გეშინიან,
ალსდეგ, იუბნე ქართულად!
ნუ გეშინიან, მასშია
ხსნა გლახაკედუპოველთა;
ქართულით ალმოდინდების
წყარო უნმინდეს ყოველთა!..
ნელა წამოდგა ექვთიმე,
(მზეში ბრწყინავდა ათონი!)

სიზმარი იყო თუ შორით
უხმობდა თვისი გვარტომი?
განვლო დრომ... ფრიად იღვანა
დღე-ლამ ლმობითა ძნელითა
და განიკურნა სრულიად
ლვთაებრივ დედაენითა.

1976 წ.

გაუტ მოლაშენა

ქართველი მიწა...

(ზმანებისნაირი)

ქანაობს მიწა...
რიგრიგობით ფეთქდება მთები,
ისმის ყვირილი,
ბავშვის კვნესა, ქალის კივილი;
ხმა — მოგუდული, მოქვითინე,
ხმა — უსასორო...
საით წავიდე, ყველგან შიში ჩასაფრებულა
და ირგვლივეთი
ხიფათებით შემოღობილა.

ვეცემი, ვდგები!
დამსხვრეული ქვები — ზღარბები —
სერავენ შიშველ ფეხისგულებს
და ცხადლივ ვხედავ:
ცისფერ წვეთებით იწინნ კლება
მწყურვალი მიწა...

კვლავ ორი სხივი იმედივით მინთია მხრებზე.
ეს ორი ბავშვი — ჩემი ანმყო
და მომავალი
ამ უსასტიკეს ყოფის გამო მე მთხოვენ პასუხს...

მივფორთხავ გზა-გზა, უმწეობით გამასხრებული
და მზის ბლავილი
მკვეთრად ისმის ჰორიზონტს მიღმა.
ქანაობს მიწა...
მზე ხრიალებს...
ქანაობს მიწა...

1976 წ.

ცვიმა და ცვიმის შემდეგ

ჩამოიქცევა ცა წვიმებად, ჩამოიქცევა,
საავდრო ღრუბლებს ჩამოეხათ ქუთუთოები...
ფეხს აუჩქარეს,
გზად მირბიან და გვერდს მიქცევენ,
წელან ამაყად მოარული, მფრთხალი ბრბობი.

ლვარი, ლვართქაფი... და ქუჩები მიირეცხება,
მივდივარ წელა და უძილარს წვიმა მაფხიზლებს...
მსურს დამიძახო,
სანამ უხმოდ გზად დავეცემი,
მსურს დამიძახო და ავჩქარდე შენს დაძახილზე!

მაგრამ... ამაოდ... ისევ მივალ თავჩაქინდრული,
აქარებული წვიმა შოლტავს ჩემს მოთმინებას...
მამასხრებს ქარი —
დამცინავი და გამქირდავი
და, ურჟოლვასავით ვგრძნობ უსახურ დროის დინებას.

ხომ ცხადლივ ვნახე: — ქუჩა როგორ დაცარიელდა,
ოდეს ისხარი ათარეშდა ქარის აფრითა...
ავდარი წელა
მიილია, თან-თან მინელდა,
ბრბო კვლავ გამოდის კანტიკუნტად თავშესაფრიდან.

აპრიალებენ სველ ჰიონიზონტს ფრთებით მერცხლები,
მნათი მომძლავრდა და უძილარს სხივით მაფხიზლებს...
მსურს დამიძახო,
სანამ მართლა გზად დავეცემი,
მსურს დამიძახო და ავჩქარდე შენს დაძახილზე!

1976 წ.

რა ახლოსა ხარ...

რა ახლოსა ხარ,
მინდა დაგიპყრო და გეპატრონო
და სიყვარული გვირგვინივით დაგადგა თავზე,
ბევრჯერ გეზრანე,
ნალვლიანად შემომლიმე და
მწარე დუმილით მამცნე ყოველი!

„— ეს ორი ხელი თუნდაც გექცეს მილიონ შუბად
და ტანსაცმელი — ფოლადის აბჯრად,
მაინც ვერ შეძლებ დაინახო ჩემი ტკივილი
და გაიგონო იდუმალი წუხილი ჩემი!“

ეს ორი თვალი თუნდაც გექცეს მილიონ თვალად
და შენს სასმენელს უხორცოთა ესმოდეს ჩემი,
მაინც ვერ შეძლებ დაინახო ჩემი ტკივილი
და გაიგონო იდუმალი წუხილი ჩემი...“

როგორ ვქნა ახლა? ხმა დავიდუმო
და ასე ჩუმად გამოგყვე და ტანჯვით გიცქირო,
თუ განზე გავდგე,
საფეთქელზე ქვა დავიხალო?

...
მალე გადავა შუალამე, მოდის ძილქუში
და, როგორც ჯვარცმა, კვლავ სიზმარში აღიმართები.
1976 წ.



ჩამოივლის უჩინარი

მზეს აცილებს მთა და გორი,
დღე მიურინავს ჯანსაღ-ამო...
ცხადლივ ვხედავ: — ახლა შორით
ფრინველივით ჩანს საღამო.

ცად ლიფლიფებს სხივთა წყება, —
ტოფობაა ვარსკვლავების...
ველზე ლამე მშვიდად წვება
და ხმა წყდება საკრავების;

გაიყუჩა ურჩი ქარიც,
(მოგვაცილებს დრო წვალებას!)
ჩამოივლის უჩინარი,
მოგვაღირსებს მოწყალებას.

1976 წ.

მადლობელი ვარ, ღმართო!

მე მიმდობელი ვიყავი ერთ დროს,
ახლა კი... რომელს ვეძმო ან ვენდო?
თვით მეგობრისგან სიცივეს ვიტან, —
ამისთვის მადლობელი ვარ, ღმერთო!
ზოგი ხურმაა და ზოგი ხენდრო,
ზოგი მთას მისდევს და ზოგი ფერდობს,
ზოგი ჩემს ბილიკს მინაღმავს შურით
და... მაინც მადლობელი ვარ, ღმერთო!
დღეს არ ანთია — რაც წინათ ენთო,
გამქრალ დღეებზე ოცნებას ვერ ვთმობ...
ტავილისათვის! ტავილისათვის!
ტკივილისათვის! — მადლობა, ღმერთო!
მე მიმდობელი ვიყავი ერთ დროს,
ახლა კი... რომელს ვეძმო ან ვენდო?
გაუტანლობას რომ ისევ ვიტან, —
ამისთვის მადლობელი ვარ, ღმერთო!

1976 წ.

36160 კუნძული...

ვნახე კუნძული სხვა კუნძულებს ჩამორჩენილი
(დაქუცმაცებულ დედამიწას წყალში ეძინა).

ვნახე კუნძული, ვით ყარიბი, როგორც დევნილი,
მისი წილი ცა ღრუბლისფერად ჩამოძენდილა.

წყალში ტივივით ტივტივებდა იგი მარტოდენ,
უკაცრიელი და უჩქამო, ვით სიმარტოვე...

„აქ დასახლდები? „ — მეითხა ღმერთმა თითქოს ყასიდად
და ელვის წარბი გამომცდელად მაღლა აზიდა.

„აქ დავსახლდები!“ — ვთქვი და... უცებ მზით დახუნძლული
შემოტრიალდა ჩემკენ კუნძული.

„მადლობელი ვარ, რომ ისურვე გულით შენითა,“ —
მითხრა კუნძულმა და კაცივით მხარში შემიდგა.

„აქ დასახლება ქვეყნად არვის აქვს აკრძალული,
ვინც გაორგულდა — დაიღუპა... არ ვარ ბრალული;
ვისაც არ ძალუძს რომ დაიცვას თვისი მამული,
ხამს დაიღუპოს! ამაოა აქ სინანული...“

გამომეღვიძა. მზის ნათელში თვალებგახელილს —
გულზე მესვენა შენი სახელი.

1977 წ.



სკუა, ბაბა სკუა!

ზოგის ბედის გზა ხსნილია,
ზოგის განასკვულა.
გული სევდით ავსილია,
სკუა, ბაბა სკუა!

მზე ფიქრებში ჩაიქსოვე,
დღეს სიბნელე თუა.
ჩემი სიტყვა დაიხსომე,
სკუა, ბაბა სკუა!

ვიღას ეტყვი კაცი მართალს,
ეს ცხოვრება ყრუა;
ხელს ვერავინ გაგიმართავს,
სკუა, ბაბა სკუა!

სიტყვა ბასრი ააელვე
და აგემე მტყუანს;
ცხენი მზისკენ გააგელვე,
ეპეი, ბაბა სკუა!

შენი ხალხი გელოდება —
მტერი გაუთელე.
უსინათლო გელოდება —
ბნელი გაუთენე;
გულდაჭრილი გელოდება —
წყლული გაუმრთელე...

ახლა უნდა შველა ჩვენებს, —
ჟამი განასკვულა.
ცხენი ყალყზე შეაყენე,
მიდი, ბაბა სკუა!

1977 წ.

ისევ მოვედი...

ისევ მოვედი, გეძახი, განჯლრევ,
ნუთუ დღესაც ვერ გამოფხიზლდები.
ვალებ დაგმანულ კარებს და ფანჯრებს
და ვხედავ, ძილში როგორ იზრდები.

მარდად ირჯება ახლა საღათა,
შენი ცხოვრების მკაცრი საღათა...
ყველამ იპოვა გზა თუ ბილიკი,
შენ გარდა ყველამ გაიწალმართა.

შენ ისევ დუმხარ... გეძახი, განჯლრევ, —
ძილით დალლილო და მიდრეეკილო.
დავლენავ კარებს, ჩავამსხვრევ ფანჯრებს,
რომ გაგაღვიძო, სულო კეთილო!

1977 წ.

შენ ეგუები...

დაცარიელდა სული — დარბაზი,
გაუდაბურდა ფიქრი — სანახი...
ბევრჯერ ითმინე, ბევრჯერ გაბრაზდი,
ვერ გადალახე გადასალახი.

არც თვალხილული, ბრძები, ყრუები, —
შენ არაფერი გეუცხოვება...
შენ ეგუები!.. შენ ეგუები!..
და ასე მიდის შენი ცხოვრება.

1977 წ.

ლადი — მიღმათით შემოღვეული

თვალნათლივ ვხედავ: — კიბეზე არბის
ლანდი —
მიღმეთით შემოღწეული
და უელვარებს თვალები ხარბის,
თვალები შურის — ღვთისგან წყეული...

მოდის იმგვარად, თითქოს ელოდნენ,
თან მოაქვს თასი — ცოდვით ავსილი,
ვინც გასინჯავს თუ ჩაიგემოვნებს —
ხდება ფლიდი და ხდება ავსული.

ცრუობს,
მოთნეობს ის — მიწრიელი,
მთესველი შუღლის, ოსტატი ხლართვის...
თუ დააკვირდით, ვით მიწიერი,
ვით უცოდველი, ჩვენ გვერდით დადის.
1977 წ.

მსურდა მეგამა ფერი გემოთი...

მსურდა მეგემა ფერი გემოთი
ანდა სიტყვები ხელთ ამეყვანა...
ასეთ სასწაულ წუთებს ველოდი,
როცა მოხვედი შენ და, ქვეყანა
მყის გაცრიატდა — ვანი გულისა...
და, ჯადოსნური ჰანგების ნაცვლად
მკვეთრად ჩამესმა ხმა უფსკრულისა!
1977 წ.

აქაც ცხოვრობენ...

აქ დამინახავს მკრთალი ფოშფოში,
ადრიან დილის თეთრი ბუერი...
აქაც ცხოვრობენ — ჩემს სამშობლოში
დონ კიხოტი თუ პანტაგრუელი.

აქ მოვუსმინე ცრუ ფიცი მჩაგვრელს,
აქაც მინახავს ქართა აფრობა;
აქაც კვნესოდა მარადი ჩანგით
პოეტი თავის მიუსაფრობას.

აქაც მღეროდნენ: — მზე აღმოხდების...
აქაც ილინეს... აქაც იწვალეს...
სამოთხის მძებნელს გზა ჯოჯობეთის
ბევრს უპოვია აქ, ამ მინაზეც...

ხშირად მინახავს ველად ფოშფოში,
ადრიან დილის თეთრი ბუერი...
აქაც ცხოვრობენ — ჩემს სამშობლოში
დონ კიხოტი თუ პანტაგრუელი.
1977 წ.



ხილვა

... ტყე აღჩნდა თეთრი, ხმა ისმა მკვეთრი,
ცათა აივნით გადმოდგა ღმერთი —
მეოხად წმინდა სულთა ლტოლვილთა,
..... აღაპყრო კვერთხი
და.... გაზაფხული იშვა თოვლიდან...

ჯერ უხილავის გავხდი მხილველი, —
ეს გაზაფხული, ვით ყრმა-ნინველი,
მოულოდნელად დადგა წინარე;
..... გასაკვირველი
ცით ჩამოეშვა ლურჯი მდინარე.

გაბედნიერდა ადამის მოდგმა,
არსით წუხილი, ვაება, მოთქმა...
ზვირთებმა ხმელთა ლოხი წარეცხეს;
..... წათელი მოდგა
და ჰეგავდა ველი უფლის სარეცელს...

გზას მიიკვლევდა ლურჯი მდინარე
და მდინარეში შუქმომფინარე
ანგელოზები იდგნენ ფრთიანი,
..... ცით მომღიმარე
გვიმზერდა ხატი... სინათლიახი...

1977 წ.



ცა ნისლიანდება ნათელს მოწყვეტილი,

მიშყვება გზას კაცი — ბინარი,
გულსალმობიერი, სახემონყენილი,
ვინ არის! ვინ არის! ვინ არის?

ეს ხომ სულერთია! კაცია მავანი
(ქარია, ხეები იძვრიან).

ის — მე ვარ, შენა ხარ, მსგავსია მრავალის,
ის — ჩვენი სისხლი და ღვიძლია...

1977 წ.

მაღლით გამოკრთა შუალი მარადი

მაღლით გამოკრთა შუქი მარადი,
პირველი სხივი დაეცა ყვავილს...

ცამ გაიხადა ლამის ხალათი
და დედამიწა ვარდისფრად ჰყვავის.

ეს გაზაფხული რაღამ დააზროს, —
სივრცე სხივებით გადაიქსოვა...
და, მჯერა ახლა, როგორც არასდროს,
ცისა და მიწის მარადისობა!

1977 წ.



ნეთუ ვისილავ სასწაულს

ნუხელ მესიზმრა სიზმარი,
სიზმრის სიზმარიც მესიზმრა: —
ვიყავი გაუცინარი,
თვალწინ შრებოდა ლექსის ზღვა...

უღონო, ღრუბლის ქულითა
უჩინარს ჩუმად მივყავდი;
შენ იდექ წარბშეკრული და
არც გნამდი და არც გიყვარდი...

ვიწექი ცის სიმუქეში,
მიღმური ხმები მესმოდა
და უნუგეშო ნუგეში
უსასოობით კვნესოდა...

ტიროდა ყველა ვარსკვლავი, —
სივრცე დახრილი, ირიბი...
ნუთუ ვიხილავ სასწაულს,
ნუთუ ახდება პირიქით?

1977 წ.



ერიდეთ ერიდას!

ვინ მღერის ხმით ცისიერითა: —
ჰერიდა!..
ერიდეთ ერიდას!
ჰერიდა!..

....

ქორწილი...
ორწილი ქეიფი...
ჰერი და!..
ერიდეთ ერიდას!
იწყება საშიში დრეიფი!

შუქი დგას მთვარისი...
მდუმარე პარისი...
ტრაპეზად მოსული ცით შემოქმედები...

ელენე!!!
სისხლი და... გოდება დედების!..

....

ჰერიდა!
ერიდეთ ერიდას!
ჰერიდა!..
თქვენ ამიერიდან
ერიდეთ ერიდას!

1977 წ.



ნუთისოფლის გგჩავრეპი

რა უღამური ღამეა,
თითქოს ახლოა წარლვნა.
მგზავრები: — დავილალენით,
ვერ ვიარებით წალმა;
ავსულნო, გაიხარენით,
გზას ხიფათები წალმავს.

ზურგი გვაქცია მფარველმა თუ ჩვენი სულის მეოხმა
და თეთრი რაშის ნატორალს ვისი ამლაყი მიჰყვება.
ჩენ ახლა უუწყით ბრიყვებმა, რად მიგვატოვა პატრონმა,
რად მიგვატოვა, დაგვტოვა მარტონი, უსინათლონი...

ჰე, სახიერო! წმინდა გალობა
ისევ გვასმინე აღსასრულისას.
შურმა, ლიზლობამ, გაუტანლობამ
ცაი შებლალა ჩვენი სულისა.
შენ გეაჯებით ბრმები, ყრუები,
განგვეურნე ახლა შენი მისნობით...

დღემდე სუყველა თავს ვიტყუებდით
შიშით, ლაჩრობით, უსინდისობით...

რაღაა წინა? დუმილის წიაღ

თავაშვებულად მივექანებით.

მარადიულო, შენეულ ციაგს

გვიცაბნელებენ ღამის ქარები...

ნუთუ არა არს საშველი ამ უღამური ღამიდან,
გავიქცეთ თუნდაც წამითა, ვიხილოთ წმინდა წათელი;
„მოვედ სინათლე!“ მოგვესმას უნეტარესის ბაგითა,
განვიწმინდებით, როდესაც მის ხილვას ვეზიარებით...

ისევ ღამე, უღამური ღამე,

წინაუკმო ბურუსია სქელი.

ჩვენ ძირს ვყრივართ, ისე დავილალეთ,
ლოგინია უფსკრულეთის ფსკერი.

ცხადლივ ვხედავთ: მდუმარების ხახა

ცეცხლისფერად გველირება ყველას;

ვაყურადებთ უხორცოთა ხარხარს

და იგრძნობა დედამიწის რყევა...

ბაზრ მოლაშენა

ზურგი გვაქცია მფარველმა თუ ჩვენი სულის მეოხმა
და თეთრი რაშის ნატორალს ვისი ამლაყი მიჰყვება.
ჩვენ ახლა ვუწყით ბრიყვებმა, რად მიგვატოვა პატრონმა,
რად მიგვატოვა, დაგვტოვა მარტონი, უსინათლონი...

1977 წ.

ლამეულ სივრციდან ნათელი თვალებით

ვინაა, რომ მიმზერს, ნეტავი?
ნუთუ ეს შენა ხარ?.. როკავენ ქარები
იმ ყვითელ ფოთოლთა მხვეტავი.

ფოთლები ყვითელი და მოფართქალენი, —
პატარა გოგონას ნაღველი...
ნუთუ ეს შენა ხარ — მეტყველი თვალებით,
სიმღერა — იმ დღეთა ნამღერი...

მგონია, მიყურებ სევდიან სივრციდან
(მე მუდამ სასწაულს მოველი).
ვერაფერს ვერ გეტყვი ფიცითა მტკიცითა, —
ისედაც ცხადია ყოველი...

1977 წ.

იდგა, უსმენდა...

იდგა, უსმენდა შრიალს ბალისას,
თითქოს გარდასულ დღეებს უსმენდა.
რაც ბედისწერამ მას არ აღირსა, —
ის ახლაც გულში მწარედ უსტვენდა.

იდგა —
არარას მთხოვნელ-მესავი,
ფიქრები ენთო თვალში ალებად...
ძველ სკამთან იდგა ხსოვნის ხესავით
და, ირგვლივ ბალი კვლავ შრიალებდა.

1977 წ.

ვარიაციები ზღაპრეპილან

ყოვლადძლიერის ჯადოსნური ავილე კვერთხი,
დავარტყის საფლავს,
ნანდაური წამოდგა მკვდრეთით, —

სინათლიანი
ჩემ წინ დადგა, ვით სხივი ღმერთის,
და განმიცხადა საიდუმლო შორი მიღმეთის...

ფრთხილად მომითხოო, რაიც მსურდა... ბოლოს დასძინა:
— „დაიდუმეო ბაგე შენი, იყავ მდუმარედ;
არ განემზადო ჩასაქოლად, სხვათ დასაცინად...“
ფიცით მაფიცა და შეერთო სივრცეს უმალვე.

მე იმის შემდეგ უუბარად დავეხეტები...
რა წუხილია ფრინველების წიაქ-წიაქში.
აქა სჯობია,
უღურტულებენ წვიმის წვეთები
და გამალებით ისწრაფვიან მიწის წიალში.

1977 წ.

ბოლო ცერტიფი...

თავს დაგემხობა ეს საწუთრო — მკვდარი მნათობი,
მწარედ დაგსუსხსხავს, წამოგანთებს, გაგაურიალებს...
ასე უაზროდ,
უნუგეშოდ მზერაჩაქრობილს, —
არვინ მოგხედავს, არვინ მოვა, არ გაზიარებს!

გადახვავდები მიწაში და, შეიკუმშები
და, დამთავრდება შენი კოშმარი!

არვინ იკითხავს — ავი იყავ თუ ზნეკეთილი,
ეგდება გვამი — შენი ყოფნის ბოლო წერტილი...

1977 წ.

აი, ნიღბები!

აი, სიზმარი უსიზმროთა! აი, ნიღბები!
სიცრუის ძაფით მოქსოვილი წყება ალმების.
აპა, ზეიმი!

უღიმილო ღიმად იღვრებით,
უღვთო ტრიბუნას ხელებს უქნევთ და ესალმებით!
აპა, დიდება უგუნურთა — წამს წარმავალი!..
(რამდენი თავი ეშაფოტზე ძალით დახრილ!)
ბაირალებით მიგრიალებს გზად კარნავალი
და ყალბი ხმებით კვლავ გაისმის „ვაშას“ ძახილი!

1977 წ.

ლამით, როდესაც ვეღარ ვიძინებ...

ლამით, როდესაც ვეღარ ვიძინებ,
ჩემს კარადასთან დავდგები მარტო: —
„ღრუბლები ჰგვანან ამღვრეულ ტვინებს“...
„რითი გაგართო? როგორ გაგართო?“
ჩქამივით ისმის წუთის დინება
და შორი მსხვრევა მყაცრი ტახტების...
ელავს სტრიქონი, ვით გაფრთხილება: —
„მსოფლიო ნგრევათა კვლავ მოწმე გავხდებით“.
გალაკტიონი! აი, სამყარო,
სულ ახალგაზრდა, განა მოხუცი!..
განცდილ-ნანახი ვის ესაკმაროს,
ჩვენ უფრო დიად დღეებს მოვუცდით:
ისინი მოვლენ ახალ რუსთველად,
დრო ახალ მერნით გაიალებს...
შემოდგომები რაა ურთველოდ
ან მომავალი, თუ არ გვამალლებს?
ლამით, როდესაც ვეღარ ვიძინებ,
ჩემს კარადასთან დავდგები მარტო: —
„ღრუბლები ჰგვანან ამღვრეულ ტვინებს“...
„რითი გაგართო? როგორ გაგართო?“

1977 წ.

მოდი, გაპრაზდი და გაგულისძი...

დაგყვება ქამი ბერი გიდივით
და არვინ უწყის: — რას მალავს გიდი?...
ირგვლივ სივრცეა, როგორც ქვითინი,
შორს — იდუმალი ცა მალაქიტის...

ახლოს ხარხარებს მთვრალი ტურისტი, —
თითქოს შენს წარსულს მნარედ დასცინის...
მოდი, გაბრაზდი და გაგულისძი,
თუ სისხლისაგან არ ხარ დაცლილი!

თუ კვლავ კაცური გიფეთქავს ნერვი,
თუ კვლავ შემოგრჩა შენი მეობა...
აქ თანამდგომელს ვერ ხედავ ვერვის,
მხოლოდ უყურებ ცეკვა-ღრეობას...

ეს ზარი მარტო სხვას როდი უხმობს,
ნუ უცდი სხვისგან თავის დადებას...
მაგრამ შენ მაინც დადიხარ უხმოდ,
დაგდევს სიცილი, როგორც აგდება!..

ძეგლთან ხარხარებს ვიღაც ტურისტი,
თვალიქედნური, არყით შფოთური...
მოდი, გაბრაზდი და გაგულისძი: —
გაულამაზე სახე ლოთური.

1978 წ.



მთვარის ნათელში...

მთვარის ნათელში მკაფიოდ მესმის
სივრცის შრიალი — ჩურჩული უფლის.
ვხედავ: — წინაპართ სალოცავ მთებში
ფრიალებს თეთრი ალმები ღრუბლის...
უხმოდ... უჩუმრად... ნელა... ტაატით, —
დგება საათი დილისუამური.
მზით მოირთვება მალე ტატნობი
და მზეს შეხედავს ჩემი მამული.

1978 წ.

სადაა იგი...

ვით სიბნელეში ნათლის ხატებას, დავეძებ მას და
ვარ საესავი.
ხან ხეხილებში და ხან ხრიოუზე დავეხეტები
კვლავ — მთვარესავით.
სადაა იგი — მაღლა თუ დაბლა, ზესკნელს თუ
ქვესკნელს... უნდა ვეძიო!
იქნებ ამაღამ ვიპოვო იგი და ახლა მშვიდად
როგორ მეძინოს.
და, ჰა, დავდივარ! თუმც ურნმენობა და უნდობლობა
მახედ აგია...
ისაა სივრცე და უსივრცობა, იგი მყარია
და თხევადია.
იგი ხომ მეც ვარ და ჩემი „მეა“ — დამყვება გვერდით
და მანუგებებს.
თურმე აქამდე ყურზე მეძინა, მქონდა ნაცარი
თვალთა გუგებში...
მხოლოდ მოთმენით უნდა ვიპოვო უხილავი და
გაუმხელელი.
და წინ მაჩქარებს ზურგის ქარივით იმ კურთხეულის
თბილი ხელები.

1978 წ.

რა დღე გათედა!

ზვიად გამსახურდიას

ციდან მზე მოჩანს, როგორც ჭრილობა,
მკრთალმა სინათლემ სივრცე დათენთა...
ხალხის სახეზე — დაღვრემილობა: —
ეს რა დღე დადგა! რა დღე გათენდა!

მოთოკილია ის ჭალიკონი,
ციდან ლრუბლებს რომ გადაადენდა...
ფრთამოტეხილი კვნესის სტრიქონიც: —
რა დღე გათენდა!..

1978 წ. 15 მაისი

მე სხვა ფერი მინდოდა...

მე სხვა ფერი მინდოდა,
ო, ეს ფერი — არა!
მე სხვა მოძმე მინდოდა,
ო, ეს მტერი — არა!
სხვა ცხოვრება მინდოდა,
ეს ცხოვრება — არა!
მომეკიდა ენაზე
ხავსი, ბრკე თუ ობი...
და, ვარ უარყოფილი
ჩემივ უარყოფით!

1978 წ.



ბაზრ მოლაშენა

ის პვლავ მიყურებს...

ის კვლავ მიყურებს,
გზა-გზა მიყურებს თუ მითვალთვალებს,
მინდა დავუყვირო: —
ეშმაკეულო, რა გინდა ჩემგან!

აი, სიმხდალე,
სულო ჩემო, აი, სიმხდალე!
რა შეგემსჭვალა,
რამ შეგაკრთო, დაგაჩიავა,
მავანის მზერა რომ გაშფოთებს,
გაფორიაქებს?

თითქოსდა ბრძოლად მივდიოდე: —
გულს ვიმამაცებ და ვითავმხნევებ!

კვლავ მომსდევს ბნელი თვალების მზერა,
გამჭოლი მზერა.
მინდა დავუყვირო: — ეშმაკეულო,
რა გინდა ჩემგან!

1978 წ.

არ ვარ დაღნია...

არ ვარ ლალია, არც მკოდოვანი,
ცის სამზერიდან
მანუგეშებს მზერა ლვთიური...
სივრცის კედელთან
ვიღვნი, როგორც ხეზე კოდალა, —
იქნებ დავლანდო
ჭუჭრუტანით ცა მიღმიური.

1978 წ.

**შეყვარებული ვარსკვლავის თვითმკვლელობა,
ანუ ზმანება ლექსად**

ოდეს ცამ იგრძნო მოსიზმრული სივრცის ჩარსავი,
ოდეს მნათობი დაიღალა — შუქთა მთოვარი;
მე ვნახე — როგორ მიუჩინდა ვარსკვლავს ვარსკვლავი, —
პლანეტარული სიყვარულით ანათროლარი.
„მიყვარხარ!“

ჩუმად ივედრება ერთი ვარსკვლავი,
მეორე შორით უთვალთვალებს სხვა გალაქტიკას...
დღო კი

სივრცეებს წლებით ქსელავს ობობასავით
და მალავს ჟამი მართალ ფიქრს და მართალ სატკივარს.
კოსმიურ ცრემლით, უიმედოდ ტირის ვარსკვლავი,
მან ვერ იპოვა სიყვარული და ვერც ნუგეში
და მოწყდა იგი...

გაანათა უკანასნელად
ღამის სიბნელე და შთაინთქა ყრუ უფსკრულეთში.

შევკრთი და... ლამის უმთავრესი ძარღვი ჩამიწყდა,
გამომეცალა თითქოს ფეხევეშე ეს დედამიწა...

და მე გავრბივარ იმ ვარსკვლავის მიმართულებით,
გზებს მიხლართავენ კუდიანები
და მჩხიბავები, ვითა თულები.

შორს მგლოვიარებენ დალუპულს არენი
და მომძახიან, მომტირიან
ეს კვაზარები და პულსარები...

ის შეყვარებული ვარსკვლავი მადარდებს
და უნდა ვირბინო მეც განთიადამდე;

უნდა მოვნახო მე ის მიდამო —
ვარსკვლავის სისხლით გადანაცვარი,
რომ უიმედოდ შეყვარებულებს
იქ ავუშენო წმინდა ტაძარი,

ბაზრ მოლაშხია

რომ ავათრთოლო აუთრთოლარი
და ყინულივით მკაცრი გულები...
ამიტომ ვჩქარობ და ვესწრაფები
მე იმ ვარსკვლავის მიმართულებით.

1978 წ.

შენ, ჩემო სიტყვაზ

„წუთისოფელიშ დროში ღალა
ბუნებაში მენდი რე.
თინა მუსუ მოგილანს —
გინოჭყვადილ ბედი რე.“

ხალხური

შენ, ჩემო ღიმილიანო სახევ,
თითქოს სიხარულჩამდგარო თვალებო,
შენ, ჩემო ხმაო — ძლიერ გასაგებო,
შენი უძველესი აქცენტით თავმობეზრებულო,
სანამდის უნდა გიყურადო,
სანამდის უნდა გითვალთვალო
შენიღბული კაცის თვალებით?

შენ, ჩემო სახლო,
სახლი კი არა, არძანი ხარ,
გულზე დებული;
შენ, ჩემო თავო,
გმირი კი არა, ლაჩარი ხარ,
ბედს და მოთმენას შერიგებული...

შენ, ჩემო სიტყვავ,
ამ დალექილ გულის სიღრმიდან
ნაჭერდანაჭერ
სასოებით ამოტანილო,
აქ, ახლომახლო
ნეტავ ვინ გყავს ყურისმგდებელი?..
... ისე მისმენენ დედაქალაქში,
როგორც უცხო კაცს —
სხვის ენაზე მოლაპარაკეს.

1978 წ.

შვილებს: ლაშას და კახაბერს

ჯერ ამ სახელთა ტარება ტვირთივით განევთ მხარზედ,
თუ მამულს უნდა — ტარიგად ხამს შეეწიროთ ხვალ-ზეგ.

შვილნო, ლაშა და კახაბერ, ჯერ უმზერთ ვიწრო მინდორს,
გაიზრდებით და განახებთ, უნინარესად, დიდგორს...

გაიზრდებით და გასწავლით — ვინ ვიყავით და რა ვართ!
სად ნათობს ჩვენი ვარსკვლავი, როგორ და რა გზით დავალთ...

თქვენი წილი ცა ციმციმებს, დარბიხართ, მოლზე წვებით,
იანცეთ, იასკინკილეთ ბავშვობის ტკბილი წლებით.

მერე კი, მერე... დრო მოვალს განსჯის და ჩაფიქრების,
გაძვალმაგრდებით (დროს მოაქვს), ბუდიდან აფრინდებით.

იფრენთ ცხადში თუ ზღაპარში, თუნდ ჟამი შეგეშაროთ, —
ჩვენი ცის ფერი სხვა ცაში არასდროს შეგეშალოთ.

1978 წ.

გადმოვიხედე ცის გუმბათიდან

გადმოვიხედე ცის გუმბათიდან, ვიხილე ვრცელი უდაბნოეთი —
ანთებული ალი მიწისა. ცას შესტიროდა

უკაცრიელი და უმწყემსური თეთრი ტაძარი,
მრევლდაფანტული და უზარებო...

ნაყროვანივით იწვა სიჩუმე — ყოვლის დამპყრობი და
გამგებელი:

უსასრულობის ტყუპისცალი — იწვა სიჩუმე
და უდაბნოთა შებორკილი, ცხელი ქარები

სასთუმალივით დაეგო თავქვეშ...

გადმოვიხედე ცის გუმბათიდან, ვიხილე ვრცელი უდაბნოეთი —
ანთებული ალი მიწისა...

1978 წ.

ბაზრი მოლაშენა

გრანელის სიცანული

„დაო, ასე მგონია, ბედნიერი ვიქწები,
საფრთხე ახლო თბილისთან თუ სამარე ვიშოვე“.
ტ. გრანელი

ცოტა მყოფნიდა, ცოტა მათრობდა,
მიწის კალთაზე ვეგდე გროშივით;
ნიადაგ ვწუხდი მიუსაფრობას
სახლდამწვარი და ფუძემოშლილი.
ჩემი სიცოცხლე განაწვალები
ასე ვათრიე სულით, ტანითა...
და ცრემლიანი მამის თვალები
მიმზერდა სიზმრის ჭუჭრუტანიდან.
ვერ ვუპატრონე მამის ეზო-კარს,
ველარ გავმართე ოდა მეგრული,
თუმც საფლავიდან ხშირად მესმოდა
მამის ჩურჩული, ვით საყვედური...
თბილისი ჩემთვის სიცოცხლე იყო,
ვიცნობდი ყველა ქუჩას, მოსახვევა...
რა იქნებოდა მეც ვყოფილიყავ
მშობელი მიწის ერთი მოსახლე!

1978 წ.

პერიკაცები დიცვად ამპოპენ...

ბერიკაცები დინჯად ამბობენ
ლექსებს და მერე სევდით მღერიან,
თან წუთისოფლის უგზო დაბლობებს
მტკიცან თვალებით კვლავ გასცერიან.

ცხოვრება ქრება, ვით მოლანდება,
არაფერს ტოვებს მრთელს და უხმობელს...
გვიახ თეხდება, ადრე ღამდება
და ის ზარები ყველას უხმობენ...

ბერიკაცები ისევ ამბობენ
ლექსებს და მერე სევდით მღერიან;
ამ წუთისოფლის უგზო დაბლობებს
მტკივან თვალებით კვლავ გასცერიან.

1979 წ.

არა ვარ მარტო! მარტობა ხომ არის ჩემთან

არა ვარ მარტო!
მარტობა ხომ არის ჩემთან,
ვარ მადლიერი ეულობის თანაზიარი...
სანამდის თვითონ სიმარტოვე დამტოვებს კენტად,
მანამ ეს ჩემი არსებობაც ლამაზი არი.

არა ვარ მარტო.
ჩემთან არის ჩემი ფიქრი და
უსასობა — უცხობელი კვერი ობლისა...
ვინც უჩიოდა მარტობას, მისი მიკვირდა,
რომ ვერ ხედავდა ერთგულებას მარტოობისა.

არა!
არა ვარ უმაღური! ეულსულობა
არსად მშორდება,
არ მღალატობს, კვალდაკვალ დამდევს...
ვხედავ სახეებს — ჭრელ ნიღაბთა უსასრულობას,
ვხედავ კაცუნებს,
ვხედავ ჩონჩხებს და ვხედავ ლანდებს!..

არა ვარ მარტო!
მარტოობის ვარ ძმადნაფიცი,
სანამდის შვენის ცას ნათელი და დროს დროობა...
ის ძლიერია, ის ერთგულად ყველგან დამიცავს,
ჩემი ბუნებაც არ ღალატობს ამ მარტოობას.

1979 წ.

მამის განძი

„არ მაჭამოო, შვილო, სირცხვილი!“ —
მე ეს სიტყვები დამიტოვა მამამ განძივით,
ოდეს გაუყვა მიღმეთისკენ მიმავალ ბილიკს.

და... იმის შემდეგ დაუფიქრებლად
გულს მცირე მწიკვლს თუ გავაკარებდი
ან აღვმართავდი მარჯვენას სამტროდ,
თავს მახსენებდა მამაჩემის დანაბარები: —
„არ მაჭამოო, შვილო, სირცხვილი!“

მე ეს სიტყვები ჩამესმის დღესაც,
როდესაც უკვე მამა ვარ თვითონ,
და ახლა უფრო ვუკვირდები,
და ახლა უფრო ვუფროთხილდები
მე ამ სიტყვების აზრსა და სითბოს...

ვიცი,
როდესაც დავიციწყებ ნათქვამს მამისას —
მოკვდება იგი,
უსათუოდ მაშინ მოკვდება...
ჯერ კი... დრო გადის
და ჩვენ შორის ნელა მოკლდება
გზა თუ მანძილი...

„არ მაჭამოო, შვილო, სირცხვილი!“ —
უკანასკნელად,
უკანასკნელად
მე ეს სიტყვები დამიტოვა მამამ განძივით.

1979 წ.



ტრიოლეტისი

I

დღე იბურება, ცივად მიმზერს თეთრი პალატა,
გახამებული ხალათების მესმის ჩურჩული.
სარკმელი ჩაქრა, მზის სინათლეს რომ იპარავდა...
დღე იბურება, ცივად მიმზერს თეთრი პალატა.
დეკემბერია, გულმა ლამის დამაღალატა,
ქრისტეს ასაკში ლამის ჩავრრი თვალდახუჭული;
დღე იბურება, ცივად მიმზერს თეთრი პალატა,
გახამებული ხალათების მესმის ჩურჩული.
II

ეს ერთი თვეა გულში ეჭვმა მოიკალათა,
დავტოვე ბინა და თეთრ კედლებს შემოვეხიზნე
და მენატრება მაგიდა და ჩემი კარადა...
ეს ერთი თვეა გულში ეჭვმა მოიკალათა,
ისევ პირისპირ დავრჩით მე და თეთრი პალატა
და როგორც წარსულს, ლამღამობით ვხედავ ძველ სიზმრებს.
ეს ერთი თვეა გულში ეჭვმა მოიკალათა,
დავტოვე ბინა და თეთრ კედლებს შემოვეხიზნე.

III

ძმა წევს ზუგდიდში, მე თბილისში ვწუხვარ უძლური,
სისხლს სტკივა სისხლი და შორიდან უხმობს სულს სული.
ჩემს პალატაში უკეთურის მესმის ძუნძული.
ძმა წევს ზუგდიდში, მე თბილისში ვწუხვარ უძლური...
სარკმლიდან ვხედავ: — ჩიტი ტოტზე ზის მოპუზული,
მასაც აშინებს წუთისოფლის ავი სუნსული.
ძმა წევს ზუგდიდში, მე თბილისში ვწუხვარ უძლური,
სისხლს სტკივა სისხლი და შორიდან უხმობს სულს სული.

IV

ისევ გათენდა, ცა უმზეოდ მოწყენილია,
საავადმყოფოს ღრუბლიანი დღე მოსდგომია...
ყველა წერილი ნუთუ უკვე მოწერილია;
ისევ გათენდა, ცა უმზეოდ მოწყენილია.
ო, ეს წუთები, ეს წუთები მოწმედ ივლიან,
რომ აქ, დღედაღამ უმკაცრესზე მკაცრი ომია.
ისევ გათენდა, ცა უმზეოდ მოწყენილია,
საავადმყოფოს ღრუბლიანი დღე მოსდგომია.

1979 წ.

ვეღრება მზისადმი

ჩემს ძმას — გურამს

მზეო, არ განქარდე,
მზეო, არ გაქვავდე,
მზეო დედავ და მზეო პატრონო!
მზეო, არ დაიქცე!..
მზეო, არ დაიქცე!
სიბნელის კარად არ მიგვატოვო!

მზეო ნათლიერო,
მზეო მადლიერო,
მზეო საესავო ქვეყნად ყოველთა,
მზეო, თუ გვეშინის!..
შენ ხარ ნუგეშინი, —
ყველა მაშვრალის და ბედუპოველთა.

მზეო, მძლეთა მძლეო,
უპოვართა მზეო,
მზეო ყველასი და, არარაისი...
მზეო სახიერო,
ამოდ სახილველო,
კვლავ აგვიფრინე მრავალი მაისი.

ვწევარ, ავადა ვარ,
ვიცი, არ გარდავა,
რაიც გარდუვალად დღემდე ვათრიეო;
სივრცე იქუფრება...
სისხლი იმუქრება,
სისხლი იმუქრება, მზეო ნათლიერო!

აქ მე ვარ — აჩრდილი,
იქით კი — ძმა ჩივის,
ორივე და ტირის ძმათა გაჭირვებას...
რა მოხდა, დედაო,
რამ გაგვიმეტაო,
ფრთები რომ დავუშვით ცაში აჭრილებმა...

მზეო, არ განქარდე,
მზეო, არ გაქვავდე,
მზეო დედავ და მზეო პატრონო!
მზეო, არ დაიქცე!..
მზეო, არ დაიქცე! —
სიბნელის კარად არ მიგვატოვო!..

1979 წ.

გზა სასაფლაოსთან...

ლუსკუმისფერად გაწოლილ გზაზე
ლამეულ მგზავრთა ნაღვლიანი დადის ჩურჩული...
მე აქ ვჩერდები და ვაცქერდები
გზისპირ ჩამომსხდარ ადამიანთა
თეთრ სილუეტებს...

ლამეა ვრცელი სასაფლაო
და ვარსკვლავების სანთლებით ბჟუტავს.

მე მუდამ მიჭირს ამ გზაზე გავლა,
კი არ მივდივარ, ფეხს მივითრევ, მაგრამ ჩურჩული
მამხნევებს მგზავრთა...
ალბათ, აქ, სადღაც მამაჩემიც დაიარება
და აყურადებს უმრწემეს შვილის
შიშნეულსა და იმედნეულ
ნაბიჯთა ექოს.

1979 წ.



ბაზრ მოლაშენა

ისევ ვერ შევალ მამის ვენახში,

მამასთან ერთად წავიდა ისიც...
უამი კი, როგორც მკაცრი მევახშე,

ალარ მშორდება ღამით და დღისით.
მიმიზნებს... მესვრის... მაგრამ განგების

სურვილით ისევ გამოსდის... კიქსი!
ქამანდას მალავს, ვით მუსტანგერი

და, მომიხელთებს ერთხელაც, ვიცი...
1979 წ.

მოლოდინი

გზად მოგანგაშე მიწყნარდა ქარი,

ოთახს ანალვლებს სანთლის კიაფი...

ღრუბელთა შუა მშუქარი მთვარე

მოჩანს შორიდან, როგორც კიოფი.

გარდასულ დღეებს იგონებს კაცი,

რომელსაც უკვე მიღმეთი ელის...

ზის მოწყენილი და წლები აწვიმს

და მუხლზე უდევს ნაჯაფი ხელი.

1979 წ.

ჩანახ კლდევპი...

ჩანან კლდეები და გაძარცული

ხეები წინვის,

გამოქვაბული — ამოკორტნილი

გუგები მიწის.

დუმან ღელენი... სად დაიკარგა

მათი წეარუნი?

დავანებულა ირგვლივ სიჩუმე

და სინანული.

1979 წ.

შენ, ზღვის ნანილო, ტბაო პატარავ

„ტბა — ზღვა არს მომცრო“.

სულხან-საძა

შენ, ზღვის ნანილო, ტბაო პატარავ,
ვინ მოგამწყვდია მტკაველ მიწაზე.
ვინ იყვნენ — ღმერთი თუ ღრჯო სატანა,
რომ მცირე სივრცე შემოგიხაზეს.

დღეს შენი ღელვა ღელვა როდია,
იქ, სადაც ზღვათა ისმის გუგუნი,
აქ ხომალდები არ მიმოდიან,
ხარ უმწეობით შემოზღუდული.

არ მიმოდიან შენი გემები,
შენი ხვედრია მომცრო ნავები...
რუკაზეც არ ხარ, არ იხსენები
არც შურით და არც აღფრთოვანებით.

როგორ იღევი, როგორ მცირდები,
საუკუნეთა ტანჯვით მტვირთველი...
ცხოვრებას ან ვერ აუხირდები
შენი უღონო, სუსტი ზვირთებით.

შენ, ზღვის ნანილო, ტბაო პატარავ,
ვინ მოგამწყვდია მტკაველ მიწაზე.
ვინ იყვნენ — ღმერთი თუ ღრჯო სატანა,
რომ მცირე სივრცე შემოგიხაზეს.

1979 წ.



ცარსულში, როგორც ჯილეში, ვხელაობ

წარსულში, როგორც ჯილეში, ვხელაობ,
ხსოვნის ფსკერიდან

ლიფსიტებივით ამომყავს ფრთხილად
ჩემი ბავშვობის უმზეო დღეები ...

...

მამა — თვალისჩინდაკარგული —
დროის გაჩენილი და დროის მსხვერპლი;
ის — ოთხი შვილის ხმით გამომცნობი, —
ახლა მარტოდენ ხსოვნაა და მარტოდენ ფერფლი...

კვლავ მომკვნესიან უმწეო ლიფსიტები —
უმზეო დღეები —
მშრალ ნაპირებზე უღვთოდ დაყრილები...

ჟამთა კერაზე მიფიცხებული
ხურდება კეცი...

ხსოვნის ჯილეში ვხელაობ ისევ
და ნაცვლად კალმახის,
და ნაცვლად ორაგულის, —
უმწეო ლიფსიტები!
უმზეო ლიფსიტები!..

1979 წ.



ცელი ოცდაცამაზი

I

ფიქრით, განცდით, სიმართლით,
მზესიტყვით თუ ლაყბობით,
ჩანჩალით თუ სიმარდით,
ტკივილით თუ ლაღობით,—
ახლა თვალწინ გინყვია
შენი ყოფის ნაყოფი!

II

სხედან, ჩუმად ითვლიან...
დრო ცას მოსავს მწვანეთი...
ვით ტყე, გამოგივლია
წელი ოცდაცამეტი!
წელი ოცდაცამეტი!

III

შენ არ იყავ მოცლილი,
რაც შეგეძლო — იწვოდი!
გაჩენიდან ცოდვილი
რომ იყავი, იცოდი.
მაინც წარუდინებელს
გსურდა ზიარებოდა;
ჩრდილში ყოფნა ინებე,
ჩუმად იარებოდი!
მარტოდ იარებოდი!

IV

ხედავ ხატებს ფიქრიანს,
სხედან, უხმოდ ითვლიან,
რაც სარწმუნოდ გითქვია
გულით, ლოცვა-წამებით...
როგორც ტყე ხანძრიანი,
დღეთა მქისე ძგრიალით,
გარჯით გამოგივლია
წელი ოცდაცამეტი!
წელი ოცდაცამეტი!

1979 წ.

ზეცის ქალაქი

უნდა ავიკრა გუდა-ნაბადი,
უარი გემებს,
ნუ მიცდიან მატარებლები...
დღეს არ მჭირდება სხვისი ფარი და მუზარადი,
მივემგზავრები —
ჩემი მიწის და მზის ემბლემით...

ბოდიში ყველას, —
ვისაც სურდა ჩემი დარჩენა
ან ჩემთან ყოფნა რომ უხაროდა...
მე თქვენ მიყვარხართ!
მომიტევეთ ეს აღმაფრენა,
მსურს ამოვიდე წუთისოფლის მრუმე ხაროდან!

და... სხეულივით მოვირდვიო შიშის კედელი,
იყოს კურთხეულ ეს ქვეყანა, ველი, ჭალაკი...
მივემგზავრები!
შორით მიცდის თვალუწვდენელი —
ჩემი ახალი სამყოფელი — ზეცის ქალაქი!

1979 წ.

როგორც ყვავილები...

როგორც ყვავილები — ბუტეკოს გაშლამდე ასხეპილი,
როგორც ყანები — ტაროდაუყრელად აცელილი,
როგორც მართვენი — აფრენამდე დაჭერილი, —
საცოდავია დილები —
დილითვე მიდრეკილები.

1979 წ.

პამპაშებს სივრცე...

კამპამებს სივრცე, მზეა ღვთისთვალი, ხილულეთს შუქი
ლურჯად ენთება,

ცა — წინაპართა თვალთა ნამზერი, თანდათან იწვის
და იფერფლება, —

რადგანაც მისთვის არვის სცალია!

დრო ფეხაკრეფით გარტის და გარტის, ადამიანი
ისე ბერდება,

ვერ იმახსოვრებს ცისფერს თუ მზისფერს,
თითქოს ფერებიც წარმავალია!

სამაგიეროდ ხშირად ეწვევა
კინოთეატრებს, ბარებს, ლუდხანებს,
ატელიეში შედის ტუსტუსით, ახალ პიჯავს თუ
შარვალს იზომებს...

საღამოს ექვსზე გამორბიან სამსახურიდან
და წიგნის ნაცვლად „კითხულობებ“ ტელევიზორებს...

ცას დაეკარგა ფერი ნამდვილი, ვარდს — სურნელება,
ტირიფს ტირილი დაავიზყდა, მაფშალიებს კი —

ტკბილი გალობა.

მთვარემ დაკარგა ძველი მთვარობა
და ქველმოქმედი თუ მწყალობელი გადაეჩვია
უანგარობას...

ის კი... მიწაზე ამაყად დადის, —

საკუთრად უჩანს მთელი ხმელეთი.

გვერდით კი დასდევს არყოფნის ლანდი —

გაჩენის დღიდან ღრმა სიბერემდის...

მიწას დაჰყურებს ცადაკარგული... გაუქმებულა
ზესკრელ-ქვესკრელი...

და სადღაც მიაქვს ლეთის მდინარეს მისი ხატი და
მისი ფრესკები...

... ფრთხილად, ო, ფრთხილად, თორემ წესრიგი
სამყაროული

გაუტე მოლაშხია

ჩუმად ირლვევა,
მოდის მდინარე თვალშეუვლები, უშქართუშქარი
ტალღა იმღვრევა...

სად შეჩერდები თავაწყვეტილი... დროა, გონს მოდი,
ძეო ადამის,
და შენი სულის წესრიგს მიხედე, საქმე ითავე
პირველთაგანი.

1979 წ.

შუქიშანი

მე — შუქიშანი ვდგავარ გზასთან და
ცისფერ სახეზე ანთებულ ფერებს არ აკვირდება ძეხორციელი,
და, შეუმჩნევლად, წყნარად, თანდათან
იცვლება შუქი... ჩემს გზაჯვარედინს თელავს სუსტი და
თელავს ძლიერი.

ამაოდ ვდგავარ, ამაოდ ვიცვლი
ფერებს, მიმიკებს... (რა მემართება!)
ჩემს დასანახად არავინ იცლის,
ყველა თავის გზით მიემართება.
გამასხრებული ვარ შუქიშანი და მანქანების ჯოგი გრიალებს,
მწვანეს და წითელს ერთი ფასი აქვს...

და ვიღაც ამბობს — „როგორც გენებოს, ისე მიდი და ისე იარე.
არ გაუფრთხილდე არვის ხასიათს.

აქ ვინც დაასწრებს — გზებიც მისია,
ვინც არა, იმას უამი ახვეტავს...“
ეს რკინის ჯოგი ვინ მომისია,
რკინა ასე რამ გაათავხედა!..

ისევ უჩუმრად ვდგავარ გზასთან და
ცისფერ სახეზე ანთებულ ფერებს არ აკვირდება ძეხორციელი.
და, შეუმჩნევლად, წყნარად, თანდათან
იცვლება შუქი... ჩემს გზაჯვარედინს თელავს სუსტი და
თელავს ძლიერი.

1979 წ.

აკეთებ რამეს?

— „აკეთებ რამეს?“ — გეკითხებიან,

— „აპირებ რამეს?“ — მოგძახიან

უაზრო ქარით ჩამქრალი დღეები...

— „აკეთებ რამეს?“

— „ფიქრობ რამეს?“

— „აპირებ რამეს?“

ო, ტყვიერით ტვინს გიხვრეტენ

ეს უპასუხო მწარე კითხვები.

ზიხარ თუ დგახარ ან მიჰყვები რუსთველის პროსპექტს,
ნვიმს თუ დარია, —

ყველგან, ყოველთვის თავზე გადგია
ღვთაება შენი მოთმინებისა!

მიდი-მოდიან... ხვდები ნაცნობებს,

გილიმიან და შენც უყურებ მღიმარე სახით —

უხილავ ბაკნიდან თავგამოყოფილი.

შენს საწუხარს და გულნაკლულობას

ღიმილის ჯავშნით იცავ და იცავ!

— „რა საძაგლობაა!“ „რა ლაჩრობაა!“ —

ხმამალლა როდი ლაპარაკობ, მხოლოდღა ფიქრობ.

და როს უზიხარ საწერ მაგიდას

და თუ ღამეა —

სანთლად გინთია მარტოსულობა, —

ხარ სვესვიანი და უბედურიც!..

ყოველდღიურად, თან-და-თა-ნო-ბით.

იკუმშება ყულფი — კითხვები. —

— „აკეთებ რამეს?“

— „ფიქრობ რამეს?“

— „აპირებ რამეს?“

1979 წ.



რა უცნაურად ჰგვანან ერთმანეთს

ცა გადიხაზა ღამის ლურსმულით
და მწვერვალებიც გაუჩინარდნენ.
არც გზასწორი ჩანს და არც უფსკრული
და არც არავინ ანთებს ჩირალდნებს.

შორით კოსმიურ ნისლში ფეთქავენ
მყაცრი გულები ახალ მეწყრების...
რა უცნაურად ჰგვანან ერთმანეთს
ჩემი ყოფნა და ჩემი ლექსები.

1979 წ.

სამსონის გოდება

რად გამწირე, დალილაი,
ქალის ნაღალატევს
ვინ იტირებს;
რად მიორპირე, დალილაი,
რად შეეკარ
ფილისტიმელთ;
რად მესიყვარულე, დალილაი,
თუ იყავ გულლრძო,
ღალატიანი,
რად შემატოვე ავწუთისოფელს
დამცირებული,
გლახაკტიალი...
დალილა, დალილა!
დალილა, დალილა!

1979 წ.



შეღამებაშით გულდაღლილი...

„ყოველგვარ შხამზე უშხამესია
შეღამებებით ავადმყოფობა“.
გალაკტიონი

შეღამებებით გულდაღლილი მივყვები მინდვრებს,
 რა ნაირფერი ფოთლებია გზად დაფენილი,
 ამ სიცხადიდან სიზმარეთში გადაფრენილი
 ასე ვიქები, გაზაფხული იხუვლებს ვიდრე.
 შეღამებებით ხალვლიანი
 გავცქერი მინდვრებს,
 ჩამავალი მზე ათინათებს
 ხეებზე კიდებს.
 უკანასკნელი სხივი წყდება
 და ცის თაღიდან
 შეერთვის სივრცეს...
 ეს ხვედრია დროით დაღლილთა...
 შეღამებებით დატვირთული მივყვები მინდვრებს,
 მძიმედ მბრუნავი ბორბალივით გული ჭრიალებს;
 ქარი არჯალი ჩემკენ ფოთლებს მოაშრიალებს
 და უჩინარი ხეთა წუხილს სანთლებად მინთებს.
 შეღამებებით გაბეზრებულს მივყვები მინდვრებს,
 ვით მგზავრის ჩქამი, უხმაუროდ გზებზე მივწყდები.
 დაგტოვებთ ყველას —
 ამა სოფლის სტუმრებს თუ მკვიდრებს
 და როცა ყველას დაგივინყებთ,
 მეც უსათუოდ დაგავინყდებით.

...

შეღამებებით მომძახიან ვრცელი მინდვრები.

1979 წ.



ბაზრ მოლაშეია

გულუპრყვილო ლექსი, აცე ბავშვობის გახსევება

აქ განთიადს მოჟყვება მზის და მიწის ინანთი, —
ბრნყინვალება ღვთიური — კამკამეულ სინათლის...
აქვე აგისრულდება, რასაც გულით ინატრი...

მოვდივარ და ნაძვნარი მარად მწვანე ხელებს შლის,
კაკაჩია ღამენი წვანან სოფლის ხევებში,
ბავშვობის ცას ვერ წაშლის დრო, მკაცრი და ხენეში.

მახსოვს ჩვენი ღელე და მუხის ბოგა — კალასი,
წვიმაში თუ თოვაში ხვენა მაჩანჩალასი...

მახსოვს გზა-გზა თამაში და დგაფუნი ღელეში,
ცით ცვიოდა ფიფქები, ვით წიმფების ქერეჭი.

ბავშვობის ცა სად არის, რომელ მისანს უპყრია?
მოვდივარ და მზესიტყვებს მისთვის ვეძებ, უპრიანს,
რატომ მხვდება მოწყენით ჩვენი ღელე — უმპია?

არსად მოჩანს კალასი — მუხის ბოგა ნაქები,
ძველი სკოლაც დამწვარა — სუფთა ფიცრით ნაგები,
გაფანტულხართ, წასულხართ ჩემი ამხანაგები.

ყველა მოგისაკლისეთ... ფიქრში მოგეალერსეთ...
ბავშვობის ცაც გაქრება ჩვენი მზერის გარეშე...

კვლავ მომინდა თამაში და დგაფუნი ღელეში,
ცით მოცვივა ფიფქები, ვით წიმფების ქერეჭი...

კანთიელად ჩამესმა, აჲა, ხმები იმათი,
სულ სხვაგვარად ვისუნთქე მზის და მიწის ინანთი, —
ბრნყინვალება მომდგარა მარადიულ სინათლის...

1979 წ.

* * *

ცა თეთრი ღრუბლებით
მობათქაშებულა,
ფეხის ცერებზე რომ შედგეს კაცი,
ალბათ მისწვდება ტატინობს ზეცისას...

რაიც მიმაჩნდა
უშორესად და მიუწვდომლად —
მოვიდა ახლოს და გაარაფრდა...

უახლოესი,
რამაც ფასი დაკარგა ერთ დროს,
მიუწვდომლობის სამანს გადასცდა...

...
ვზივარ და ვფიქრობ, —
ვირწმუნო რომელი —
თვალთხილული თუ მიუწვდომელი?

1979 წ.

როცა აქ დგახარ...

უკვე ჩაბარდა ეს დღეც გარდასულს
და კიდევ ერთხელ სხივნათელი
გადაიხვეწა...

შენც გამოხვედი ეულმავალი,
დამის ბაკანი მოიხურე და ეხეტები
დამეულ გზაზე.

ამ სიბნელეში ვერ ერჩევა შენი მამული,
ამ სიჩუმეში ხმა არ ისმის კაცთაგანისა,
რომ გესასოოს,
გეიმედოს მზის ამოსვლამდე!

ბაზრ მოლაშხია

სად არის შენი ნავსაყუდელი,
სად არის შენი ოდინდელი ეზო და კარი,

გარეშემონი
ასე რატომ გეუცხოება,
როცა აქ ტირის
შენი ფესვი და შენი ძირი,
როცა აქ დგახარ
ნინაპრებით... შთამომავლებით...
1979 წ.

ტკივილთა უსატკივრობა

მგზავრი გზისპირას მარტოკა იჯდა —
განშორდა ყველას და გაემიჯნა.

იჯდა ეული, ჩუმად კვირობდა
ამდენ ტკივილთა უსატკივრობას.

როგორლა გახდა მისთვის სულერთი —
ის ქვეყანა თუ ეს ხილულეთი.

არარად უჩანს ხვედრი ყოველთა —
ბედიანის თუ ბედუპოველთა...

თუ გასულერთდა ქვეყნად ყოველი,
მაშინ აქ რაა დასაყოვნელი?

... იჯდა მგზავრი და ჩუმად კვირობდა
ამდენ ტკივილთა უსატკივრობას.
1979 წ.

უხილავი წრე

დღეს არ მცალია ჩიტებისთვის, ბუდეებისთვის...
 არც თხმელებისთვის, —
 რომელთა ქერქის სასტვენები
 ბავშვური უბით მიტარებია...
 მე არ დავდივარ სანადიროდ, არც სათევზაოდ,
 ტოლ-მეგობრებსაც იშვიათად ვეწვევი ხოლმე...
 მე ჩემი წრე მაქვს
 და ჩემს წრეში ვტრიალებ მხოლოდ!
 ეს წრე არ არის მეგობართა, არც ამხანაგთა,
 ეს წრე სხვათათვის უხილავია!
 ამ წრეში ერთურთს ვპოულობთ ზოგჯერ —
 მე და ის... ჭმუნვა და საესავი...
 მე არ მცალია ხუნდებისთვის — არვის ვაწუხებ;
 და ჩემს წრეშიაც უნებართვოდ ვერვინ შემოვა,
 თუნდაც ეცადოს,
 ერთ ნაბიჯსაც ვერ გადმოადგამს,
 უხილავია იგი ყველასთვის!
 აქ მიდგას ჩემი სასახლე და ჩემი კოშკები
 (სათოფურებთან ჩემი ფიქრის ჯარისკაცები
 დგანან ფხიზლად და
 შორეთს ზვერავენ, —
 გამტანჯა მათმა უძილობამ და მოლოდინმა)...
 აქ უკვდავების წყაროსწყალი — კამკამეული —
 ბრწყინავს, ციალებს, —
 მზედაუვალი მამულის სული...
 აქ ხელოვნური ვარდების ნაცვლად —
 ცოცხალ ყვავილებს ვრწყავ და ვახარებ;
 რისი ასფალტი!
 აქ ლორფინი მიგია გზაზე...
 აქ მაქვს ლოტნარი — საბალნარო,
 მთები და ზღვები;
 აქვეა ერთი სასაფლაო —
 ან გარდაცვლილი სიყვარულისა!..
 აქ არის ომი და უსისხლოდ იღვრება სისხლი,
 აქ არის ტანჯვა, დამარცხება,

გაუტ მოლაშხია

აქ არის ცრემლი;
თუმც იშვიათად, გამარჯვება აქაც ზეიმობს!..
ეს წრეა ჩემთვის მთელი სამყარო,
ეს წრე ყველასთვის უხილავია!

1979 წ.

ჩამოისვენებ უსივრცობაში...

(ნიკო სამადაშვილის ხსოვნას)

მოღალულ დღეთა მზე მიდრეკილა, ალისფრად მოჩანს
გზაი დასავლის.
მიეხეტები თავჩაღუნული და მოგსდევს სევდა
ლამურასავით.
ხან შეჩერდები, მიაყურადებ, თითქოს ვიღაცა
გიხმობს სივრციდან...
ხილულეთს იქით იხილავ ყველას, ვინც გიყვარდა და
ვინც ხელს გიწვდიდა.
მზერადამცხრალი და უნუგეშო, ფეხარეული
მიეხეტები,
აქ თუ იყავი მიუსაფარი, იქ მაინც ვინმეს
მიეკედლები.
მზენართმეული და გულნატკენი, გზა-გზა მიწიერ
ვნებებს დამარხავ...
წუთისოფლიდან დაუსაბამო და მარადიულ
წრეში გადახვალ,
იქ მაინც ივლი, ივლი ნებისად, არ შეგაშფოთებს
ჟამი მყივარი.
ჩამოისვენებ უსივრცობაში, გაქრება დარდი
და სატკივარი.
გაგიმრთელდება სუყველა ნერვი და გაბზარული
სახსარ-კიდური
და ლამეული მზით ანთებული გრანელთან ივლი
ხელჩაკიდული...

1979 წ.

* * *

ეს რანაირი დილა მოვიდა,
 რა უცნაურად მოდგა სარკმელთან...
 სივრცე წამლვრევი მოჩანს შორიდან,
 როგორც სიმრუდე წაბზარ სარკეთა.
 ეს რანაირი დილა აენთო, —
 ტყდება სხივები — ცათა ანძები...
 როცა ტკივილი ტკივილს დაერთო —
 უხმოდ, უხანძროდ კვლავ ვიხანძრები!
 გჯეროდეს,
 შენთვის ავიტან ყოველს,
 ბრწყინვალე დღეებს შენთვის ვარჩევდი...
 მე ვცხოვობ, როგორც შეშვენის პოეტს
 და... სიკვდილამდე ასე დავრჩები!

1979 წ.

უხილავივით ხარ უკარება...

უხილავივით ხარ უკარება,
 (ნუთუ, ლოდინი არის ამაო?!)
 სივრცეა მშვიდი და უქარებო,
 ლაუვარდის ფრთაზე სხივი ქანაობს.

ცის მადლი წვეთავს კამკამეული,
 ლვთიური სული დადის კარიკარ...
 მოიწევს ჟამი და ლამეული
 კვლავ აინთება ცის მოზაიკა.

ისევ ამინდი დგას უქარებო,
 ისევ სიმშვიდე სუფევს განგების...
 დროვ, წარმავალო, ხარ უკარება,
 ხელით მეცლები და მეკარგები.

1980 წ.

ბაზრი მოლაშხია

რა გითხრა, ძმაო!

რა გითხრა, ძმაო!
ძლივს ავაშენე თეთრი სასახლე,
ძლივს განვერიდე დევებს და ქაჯებს,
იმედის ფანჯრებს

ჩამოვკიდე რწმენის ფარდები
და სიზმარეულ დარბაზებში
ჩირაღდნები ავაკიაფე...

როცა მეგონა მოვამთავრე სუყველაფერი,
ჩამოვხტი ქვევით — სასოებით გაბრუებული...
თურმე ვყოფილვარ გაჩხიბული და მონუსხული,
თურმე მთავარი დამვინყებია, —

როცა ავხედე სასახლეს ჩემსას, —
ზეასასვლელი არ ჰქონდა კიბე...

1980 წ.

პაცვის ხიდზე ვარ...

მოლოდინისთვის არ ვიდექი და არ ველოდი,
დალევისათვის ღვინო არ მისვამს
და სადლეგრძელო მე არ მითქვამს სადლეგრძელოსთვის,
არ ჩამითვლია ულირსი ღირსად...

კვლავ ვცხოვრობ ასე,
დროს გავყურებ — შავ-თეთრ ქარავანს,
ზეგარდმო მადგას უმცდარი მწყემსი...
ბეწვის ხიდზე ვარ,
ჰგავს სიტყვები საშიშ ქარაფებს,
თუ გადავრჩები —
გადამარჩენს მართალი ლექსი!

1980 წ.

იქნებ...

ნუთუ დადგება კვლავ გაზაფხული
ამ უსაშეელო ყინვების მერე.
ნუთუ კვლავ მოვალ, მოგინახულებ
და კვლავ ვიხილავ შენს მთებს და ველებს...
ახლა ქარსუსხი აწუხებს მინდვრებს...
რა უთავბოლო გვიდგას ამინდი!
დღე-ლამეები გვატყუებს იქნებ
და იქნებ ეს დრო არსად არ მიდის...
ვაითუ გაწყდა დროის საბელი,
შედგა ბორბალი — უამთა მპრუნავი.
ან იქნებ არც ლირს ახლა სათქმელად
ეს საყვედური და სამდურავი;
იქნებ არ ესმის ჩვენი ძახილი
მას, ვინც განაგებს ყველაფერს... ყოველს...
იქნებ ამაოდ ვწვალობთ, ვჯახირობთ
და კვლავ ვედებით ლობეს და ყორეს!

1980 წ.

ნუ გეშინია

„სასწაული გახლავთ მაინც ადამიანი:
ან ღმერთი ხდება თვისი საქმით, ანდა ეშმაკი..“
ანგელუს სილეზიუსი

ნუ გეშინია, მეგობარო, ნუ გეშინია!
კი შეიძლება შეეშალოს ერთხელ ხორციელს: —
ფეხი დაუცდეს,
უფსკრულისკენ გადაიხაროს...
მაგრამ იუდა ის არ გახდება,
ვინც ანგელოზად დაბადებულა.

1980 წ.

გამოზაფხულდა

გამოზაფხულდა
და ღუღუნებს სიმწვანე ტყეში,
იაიები
ველად ჰევანან ბავშვების თვალებს...
დავალ მდუმარე.
გაზაფხულის დღეთა მეგზურად
სხვა ამინდები
მიღმეთიდან მოისწრაფვიან.

1980 წ.

როგორ გიკითხო... როგორ გიკითხო...

როგორ გიკითხო, ხომ კარგად ხარ, ჩემო ტკივილო?
ვიცი, არ გინდა შვებამ აღმანთოს,
ზეავიმართო, ჩავილიმილო
და გზა იოლად გავიწაღმართო.
ხომ არ მოგბეზრდი, ხომ არ მტოვებ, ჩემო ტკივილო?
ვაითუ გულმა ერთ დროს გინატროს!
იქნებ ჩემს თავზეც გადიყივილო,
გამიფრინდე და გადაიკარგო.
ხომ არ მიდიხარ, ხომ არ მტოვებ, ჩემო ტკივილო?

1980 წ.



ლექსით ძაბ ხარ...

ერთურთს ვხვდებით ლექსით ძმები,
ხშირად ვხვდებით, უთენია.
შენ შენს დარღზე მესიტყვები,
მე ვერაფერს ვერ გიყვები,
ჩემი სევდა უთქმელია!

ლექსით ძმა ხარ, ლმერთსაც შენთვის
გზა ნათელით უფენია.
კარგად გვესმის ერთმანეთის...
ისაუბრე, მე რა მეთქმის, —
ჩემი სევდა უთქმელია!

მერე გტოვებ, მარტო მივალ,
ეს გზა სხვასაც უთელია.
ჩემივ გრძნობის ფანტომი ვარ,
კარგად ვიცი, რაც მომივა, —
მაგრამ... მაინც უთქმელია!..

... შენ, ლოდინო, დამალულო,
მხოლოდ ამ ჩემს გულს უკვდები.
ვაი, დროო გაპარულო,
გზაო, ხავსით დაფარულო,
შენ სად ჩამიუფსკრულდები.

ჩემთვის, უხმოდ, მარტო მივალ...
ჩემივ გრძნობის ფანტომი ვარ...
კარგად ვიცი, რაც მომივა...

1980 წ.



ბაზრ მოლაშენა

მე არ ვმღერივარ...

მე არ ვმღერივარ. ჩემი ხმაა დაუნომრავი: — არც პირველი მაქვს,
არც მეორე, არც მესამე... და, საერთოდ,
რანაირი მაქვს, ისიც არ ვიცი.

მე არ ვმღერივარ. არა მაქვს ხმაი — „ჰაერის რხევა
ტალლისებური“, სამაგიეროდ, იმდენი მესმის
ხმა უცნობი და გაურკვეველი, ხმა მაღალი და
ხმა მოგუდული, ხმა მოქვითინე, ხმა მოგუგუნე...
უხმო ხმაც მესმის.

მე არ ვმღერივარ. წუ მსაყვედურობ, ახლა ხმა აღარ
ამომელება... არ მინდა, არა, მოგიშხამოთ
დახვეწილი და წმინდა გუნება. მე რომ ვიმღერო —
თქვენ შეგზარავთ ჩემი სიმღერა — გულში
ამდენ ხანს დაგუბებული.

მე არ ვმღერივარ. სამაგიეროდ, ეს სიჩუმეა ჩემი სიმღერა,
სხვა ხმაი განა ხმაა ნამდვილი — იგი დუმილთან
ბრძოლაა და ნიშნისმოგება. ქვეყნად ყველა
ხმა სიჩუმიდან იწყება მხოლოდ, ქვეყნად
ყველა ხმა სიჩუმეა ნაწილ-ნაწილად გადაფლეთილი.

მე არ ვმღერივარ...

1980 წ.

შენი ყისმათი ვანდე მზეს

შენი ყისმათი ვანდე მზეს, —
იმ მიუწვდომელ განგებას...
გზადაგზა ვმღერი ანდეზედ,
იქნებ გამიგოს გამგებმა.
როს გხედავ თმენით მოლეშილს, —
ჩემი ჭრილობა ავდება...
დრო გარბის და, იქ... ბოლოში...
ტკივილიც დამიამდება.

1980 წ.

ეარის ნაფლეთები

ტყეს მიმოფხრენილი ქარის ნაფლეთები
მიმოფანტულია მინდვრად;
უცებ ვჩერდები და ყველას ვაცქერდები,
მათი აკრეფა მინდა.
განდაგან დახტიან, როგორც კალიები,
მივყვები უჩუმრად, ნელა...
ქარის ნაფლეთები — სივრცის ყვავილები,
ვით მზის არილები, ელავს...
ვლამობ შევაგროვო, ვითარცა იები,
და დავწნა გვირგვინი ქარის;
ვინც იმას დაიდგამს, გახდება ძლიერი,
იქნება სწრაფი თუ ჩქარი...
ტყეს მიმოფხრენილი ქარის ნაფლეთები
მიმოფანტულია მინდვრად;
უცებ ვჩერდები და ყველას ვაცქერდები,
მათი აკრეფა მინდა.

1980 წ.

ფესვები

ისე გამძლეა და მარადი ჩემი ფესვები,
რომ ვერ ამოთხრის გრიგალი და ვერც ჭალიკონი;
ვეღარ დააზრობს პოლარული ყინვის ქარები
და ვერ გაახმობს
ხორშაკი და მკაცრი არავი,
ჩემი ფესვები —
მიწის წიაღ განტოტვილები —
უზრობელია და უხმობელი!
— ჰეი, შენ, მარად უკეთურო, ეშმაკეულო,
რომ უთვალთვალებ ვარჯოვანს ჩემსას,
ნუ გიხარია უამი ჩემი ფოთოლცვენისა;
ქარმა არია ჩემი ტოტები,
რომ ეხლებიან ერთმანეთს და მსხვრევის ხმა ისმის...
კვლავ ფოთლის ნაცვლად მოვა ფოთოლი,
ტოტების ნაცვლად მოვისხამ ტოტებს

ბაზრ მოლაშხია

და ვარჯოვანი კვლავ სიმწვანით დაიყურსება...

ჩემი ფესვები —

მიწის წიაღ განტოტვილები —

უზრობელია და უხმობელი!

1980 წ.

ზოგიერთის გასაგონად

თქვენს საქმესა და სიტყვას შუა ელვარებს ხრამი

და თქვენ ტყუიხართ ყოვლის წინარე!..

როცა არ ძალგიძთ, რისთვის გინდათ უღელი ხარის
ან ეს თვალები გლოვის დროსაც რად გიბრწყინავენ?!

სხვის დასანახად იბრაგუნებთ

გულმკერდზე მუშტებს,

იაფფასიან საქონლისთვის

კვლავ ეძებთ მუშტრებს!

თქვენი მანქანით აამტვერეთ

ბებერი გზები

და თავი მოგაქვთ მეპატრონედ

მამულის ზვრების!

ვინ აგირჩიათ მევენახედ იქ, ცაში, ზემოთ,

მაინც რად ჩემობთ,

როს გიჭირავთ ყალბი სასხლავი?

თქვენთვის მძიმეა, ბატონო ჩემო,

მამულიშვილის უწმინდესი წამოსასხამი!

1980 წ.



ლეთისოფელში ასე მოვლია

„მე არც წარსულის, არც მომავლის არ მეშინია“.
გალაკტიონი

წუთისოფელში ასე მივლია —
ძირს ჭიანჭველაც არ გამიწირავს...
ჩემი წარსულის არ მეშინია,
ხოლო მომავლის... არა ვიცი რა!

1981 წ.

რისთვის მოვეძი

მზე მიიწურა. იშვა ლუსკუმი,
სიბნელე გახდა, როგორც უფსკრული,
მარად საშიში და სახიფათო;
..... ვარ მონუსხული,
ვისზე ვიფიქრო, რაზე ვიდარდო.

მე სხვას ვერ ვგუობ ჩემი ცხოვრებით,
შენთვის უცხო ვარ, როგორც შორეთი;
გაურკვევლობის ხიდზე ვირყევი.
..... რისთვის მოვეძი,
თუ ჩემს ტკივილზე ვერ მოგიყვები.

მარტოსულივით სივრცეს გავყურებ,
რად მელანდება სხვა გზა, სხვა ყურე
ან უმშვიდესი ნაგსაყუდელი?
..... გზებს რად გავყურებ,
სად წავალ ანდა სად დავბრუნდები?..

შენთვის უცხო ვარ, გეუცხოვები,
მე სხვას ვერ ვგუობ ჩემი ცხოვრებით;
გაურკვევლობის ხიდზე ვირყევი.
..... რისთვის მოვეძი,
თუ ჩემს ტკივილზე ვერ მოგიყვები!

1981 წ.

ცერილი ძმისაღმი

I

მახსოვს, ზამთარმა და დიდთოვლობამ
რომ დაამძიმა ჩვენი ტყეები
და... ჩვენთვის მამას შეშა მოჰქონდა,
ვით მობრიალე ცისარტყელები,
არ ისვენებდა ის საღამომდის, —
ფეხჩაუკრეფლად გარჯას ჩვეული...
მერე...
ნავიდა და აღარ მოდის,
დაგვაკლდა სითბო მამისეული.

II

სახლიც დაგვეწვა — ოდა მეგრული,
ვენახიც გახდა ნავენახარი...
ეს იყო ადრე...
გული მეწურვის...
ძმაო, მომწერე რამე ახალი;
მომწერე, რომ გყავს კარგად ბავშვები, —
მამობის უღელს მხნედ ეზიდები,
რომ არ წახდები და არ დაშვრები,
რომ სახვალიო მამულს სჭირდები,
რომ ჯანმრთელია დედა მოხუცი, —
კვლავ არ ასვენებს საქმე ურიცხვი:
რომ დიდთოვლობას მრავალს მოუცდის
ბადიშების და ჩვენი გულისთვის!

III

ძმაო, მომწერე სხვათა ამბავიც,
ჩემზე რა გითხრა: ვწვალობ და ველი...
ნელა ინთება ბედის ვარსკვლავი,
ალბათ ცხოვრება მექნება ძნელი!
მე ვიტყვი: — ჩემი სიტყვა გადარჩა,
მხოლოდლა მაშინ (და არა თითქოს!),
თუკი ძერჩება სტრიქონს მარადუამს
მამისეული კერიის სითბო.

1981 წ.

მაინც მოჩება კვალი...

**„ბევრი რამ ხდება, ჰორაციო, ზეცად და ქვეყნად“.
შექსპირი**

რა ვქნა, უკვე არ ვენდობი არვის,
ახლა ვდგავარ იძულებით განზე...
უხმო დღეებს, ვით უვაცო არვეს,
მივდენი და, თან დღევანდელ გაზეთს,
ვით გუშინდელს ანდა გუშინნინდელს,
ვკითხულობ და, ზლაპრებია ძველი...
ნათობს დარი, მაინც გულში წვიმს და
აგერ ვხედავ უნამუსოს ზერილს: —

ნამუსზე და კაცობაზე ჰყვება,
დანდობაზე და ძმობაზე ჰყვება,
ო, ამქვეყნად ბევრი რამე ხდება!
ზოგჯერ კაცი ზეზეულად კვდება...
ო, ამქვეყნად ბევრი რამე ხდება!
ვინც ხელს იღებს ძმაზე, ნამუსზე და
უფრთხილდება დღენიადაგ სტომაქს, —
თავს კარგად გრძნობს სხვათა ნამუსრევზეც,
მთავარია ის, რაც უნდა — ხომ აქვს!

ჩემო ლაშავ, ჩემო კახაბერო,
თქვენ, შვილებო, იმედებო ხვალის...
თქვენსა გაზრდას და თქვენს გახარებას,
თქვენ გახსოვდეთ სიამაყე მამის...
მე რასაც ვწერ თუ უბრალოდ ვყვები,
მხოლოდ თქვენთვის, თქვენ იცოდეთ უკეთ, —
ვინ კაცია და ვინ კიდევ — ყბედი
და ვინ უკრავს სახვალიო ბუკებს...
ისე ვცხოვრობ. არ ვაწუხებ არვის...
მეც მინთია საჩემნილო კვარი...
უხმო დღეებს, ვით უვაცო არვეს,
მივდენი და... მაინც მრჩება კვალი!

1981 წ.

ბაზრი მოლაშენა

როგორც ვარსკვლავი...

როგორც ვარსკვლავი, ენთო ასკილი...
უკანასკნელი მზერით მიმზერდი...
ჩამავალი მზის სხივით ნასხივი, —
ჩამავალი მზით გამომზისფერდი.
ავენათაგან დღეს ხარ უვნები,
წინათ კი, წინათ... სხვა იყო წინათ...
ახლა, ვით სხივი ხელმოუფლები, —
მიღმიურ დღეთა წინარე ბრწყინავ.

1981 წ.

დროი, ჩამი სიყვარული საით წაიღე?..

შავმა ფრთებმა მწვერვალები ბინდით წალეკეს...
წეროებმა ჰორიზონტი გადიწალიკეს...

სალამოა. გამოსალმის ზარი დარეკეს...
წეროებმა ჰორიზონტი გადიწალიკეს...

დროი, ჩემი სიყვარული საით წაიღე?..
წეროებმა მწვერვალები გადიწალიკეს...

მოდი, ჩემი თვალებიდან დარდი წალეკე...
რახანია წეროებმა გადიწალიკეს...

1981 წ.



ჩემო კათილო

ჩემო კეთილო, ნანდაურიც უნდო გამიხდა,
ლამის ძალლივით ვიწყო ყმუილი...
მწარე სიზმრები ერთად ამიხდა;
ჩემო კეთილო, ნანდაურიც უნდო გამიხდა,
ირგვლივ ზეიმობს მხოლოდ ტყუილი!..

ჩემო კეთილო, შენ ყველაფერს, ვიცი, მიხვდები,
ვინც ჩემი დარდი ამრავალწილა, —
მის წინ მორჩილად ვით მოვიხრები...
ჩემო კეთილო, შენ ყველაფერს, ვიცი, მიხვდები, —
თვით ნანდაურმაც როგორ გამწირა!

ვემტრო? ვის ვემტრო! ყოფნა როგორ გავიერთფერო!
ჩემო კეთილო, სხვა გზა მაჩვენე:
ვით მივუტევო ან ვით ვეფერო...
ვიშურისძიო? — ყოფნა როგორ გავიერთფერო!
მითხარ ან მომკალ და მომასვენე...
ჩემო კეთილო, ნანდაურიც უნდო გამიხდა,
ლამის ძალლივით ვიწყო ყმუილი...
მწარე სიზმრები ერთად ამიხდა;

ჩემო კეთილო, ნანდაურიც უნდო გამიხდა,
ირგვლივ ზეიმობს მხოლოდ ტყუილი!
1981 წ.



მცოლოდ ის იყავ — რაცა ხარ

ტყუის სუყველა, ვისაც ერთხელაც არ განუცდია
შიში ტიალი,
განსაცდელისას თუ არ უგრძნია გულის კრთომა თუ
გულის ფრიალი, —
ის ან მკვდარია, ან მკვეხარა, — სულით ვნებული....
სხვაა ვაჟყაცი — შიშის მგრძნობი, მაინც მტკიცე და
თავდადებული.
უკან დახევაც მამაცობაა,
თუ დროზე მიხვდი, დროზე გაიგე,
„საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს...“
ბრძენი გვასწავლის, ბრძენი გვარიგებს,
„კარგისა მამაცისაგან...“
არა ლაჩრის და არა მლიქვნელის...
ოღონდ ის იყავ — რაცა ხარ,
სხვად ნულარ გარდაიქმნები!
„სხვა სხვისა ომსა ბრძენია“....
საოცრად უთქვამს დალოცვილს,
სხვას ნულარ განსჯი მანამდის,
სანამდის თვით არ გამოცდი.
ზოგი უსაქმოდ ხმაურობს,
ჯომარდობასაც გასწავლის,
თვითონ კი მიმალულია
ორმოში თხუნელასავით...
ტყუის სუყველა, ვისაც ერთხელაც არ განუცდია
შიში ტიალი;
განსაცდელისას თუ არ უგრძნია გულის კრთომა თუ
გულის ფრიალი, —
ის ან მკვდარია, ან მკვეხარა, — სულით ვნებული....
სხვაა ვაჟყაცი — შიშის მგრძნობი, მაინც მტკიცე და
თავდადებული.
ასეთის ერთგულება მწამს, არა ლაჩრის და
არა მლიქვნელის...
მხოლოდ ის იყავ — რაცა ხარ, სხვად ნულარ
გარდაიქმნები!

1981 წ.

ზოლას მოწოდობი

მცემს ცხოვრების უზოგველი ზვირთი,
სივრცე მისეტყვილა...
როგორც კარში მოყოლილი თითი,
გული ისე მტკივა!
ეჭვით ვუსმენ მაქებარს თუ მძრახველს,
ვის რა უნდა ვენდო!
სიჩუმეში გამომწყვდეულ ძახილს
ვინ გაიგებს, ღმერთო!
უკვე ვხვდები — რა მომელის ხვალ-ზეგ...
ხელგაშლილი ვითმენ —
ვარ გაერული ჩემი ტანჯვის ჯვარზე,
გამოგადგე რით მე?
თვით ჩემშივე ვიმარტვილებ მსხემი,
უპოვარი მგზავრი...
ცხადად მიცქერს დაქცეული სხვენი...
სიზმრად მიხმოშს ზარი...
მცემს ცხოვრების უზოგველი ზვირთი,
სივრცე მისეტყვილა...
როგორც კარში მოყოლილი თითი,
გული ისე მტკივა!

1981 წ.

გედო, ზოგჯერ იპურები

ბედო, ზოგჯერ იპურები,
ხან ლალობ და მასხომ.
თუმცა ჩუმად ვიყურები, —
ყველაფერი მახსოვს!

ბედო, რაგინდ გამირისხდე,
ზოგჯერ მკაცრო, ნავსო;
ერთხელ მზიან ნაპირისკენ
მეც წავიყვან ნავსო.

ბაზრ მოლაშენა

ჯერ კი... მკლავზე უწვენია
მზე და... მიჰყავს სხვასო.
თუ უკეთურს ვუწყევლივარ, —
ხვთისშვილად ვთვლი თავსო...

ჩივილი არ დამიწყია,
ფიქრზე ფიქრებს ვაქსოვ...
არაფერი დამვიწყია,
ყველაფერი მახსოვს.

1981 წ.

ადეპტ ერთხელ...

ადექი ერთხელ და ჩემკენაც გამოიხედე
და შეაჩვიე მზერა ჩემს ღამეს...
ისულგრძელე და იგულკეთილე
და შენი ხელი, როგორც ზღვაში მაშველი რგოლი,
გამომიწოდე!

მე დავიღალე ამ სიჩუმით და მოლოდინით,
ამდენი ფიქრით, ცუდბედობით და მოთმინებით;
ტოლ-მეგობრებშიც მე დამღალა მარტომყოფობამ...
ჩემს ზღვაში ვცურავ და დღეები, როგორც ტალღები,
გადამსდის თავზე
და...
სუნთქვა მექვრის...

ყოვლადძლიერო, სასმენელნი მომაპყარ შენნი,
ეს გულგრილობა იგულმავიწყე
და შენი ხელი, როგორც ზღვაში მაშველი რგოლი,
გამომიწოდე!

1981 წ.

დიდი ხანია ის გზებზე გარჩა

„არცა რაითა შესაძლებელ არს სიტყვერთა
შინა ხმათა უქუემოესთაგან მითუაღვაი სახელისა ანუ
საზღვარსა უზემოესთასა...“

თეოდორე აბუკურა

დიდი ხანია ის გზებზე გარჩა...
ახლა კი, ახლა, უცებ მოესმა
უბგერო ხმობა...
არავინ არ ჩანს...
ნუთუ მიუხმო უზემოესმა.

ფიქრიან დღეთა ტკივილით დაღლილს
ეამა დრო და გულზე მოეშვა...
წმინდა ნათელი აინთო მაღლით,
ოდეს მიუხმო უზემოესმა.

1981 წ.

ყოფილების უნაყოფო ველს

ყოფიერების უნაყოფო ველს
ჩუმად უყურებ და, სევდით მზირალს
გეძანი: —
შენში ნუ ამყოფებ მგელს,
რამეთუ შენში ანგელოზს სძინავს,
როცა არავინ გამოგინვდის ხელს,
გაჭირვება კი ღრმა ფსკერზე გძირავს...
მაინც, გეთაყვა, ნუ ახარებ მგელს
შენში,
რამეთუ ანგელოზს სძინავს...
გწამდეს,
ვერაფერს დაგაკლებს ეშმა,
თუნდ უშხამესი შხამით გშხამავდეს!
არ გაქვს უფლება — ის მოკლა შენში,
რითაც იცხოვრე მოაქუამდე.

1981 წ.

როდესაც მინდა ვინდა ვინილო იგი

როდესაც მინდა ვიხილო იგი, — არა ჩანს მაშინ,
ხოლო ოდესა გარ თვალდაბრმობილი —
ის ჩემთანაა, ჩემ გვერდით დადის;
მაგრამ უგონოს ვინ მოსთხოვოს გონიერობა,
ვით უცოდველად ვერ გახდება (ცოდვილიანი...)

ვწვალობ,
ვჯახირობ ზმანებათა უწყვეტ ქაოსში, —
ვარ გახლართული აყვავებულ სოკოთა ტევრში
და ხელოვნური მზის სიმხურვალით
მერღვევა ტანი.

იშლება ჩემი სხეული და ჩონჩხი ვარ მხოლოდ!
ვით საფრთხობელას, ძვლებს ვაჩხარუნებ,
თან ვეტირები და ვეზრახები
ჩუქურთმებიან სოკოებით დაზურგულ მიწას —
კაცთუგონობით
ასანთებად განწირულ ვარსკვლავს...

მე ახლა მინდა მისი დანახვა — ის არ ჩანს მაინც,
მე ახლა მინდა ხმა ნუგეშინის — არ მესმის მაინც,
ვინც ჩემთანაა, — ის მინდა ვნახო — ვერ ვხედავ მაინც
და ასე ვწვალობ მრავალთაგანი
ხილულეთსა და უხილავს შორის...

1981 წ.



ჩემი სისხლხორცია ეს კაცი — მგზავრი

ჩემი სისხლხორცია ეს კაცი — მგზავრი,
აგერ რომ მოდის;
მოდის კი არა — წელს მოითრევს,
ხანთა უხანობით ხერხემალგაბზარული.

სალამი, მგზავრო!
დასაპამიდან ტანჯულო ძმაო,
შენივე ძმისგან სამუდამოდ დაღდასმულო,
გამეტებულო და განწირულო!

სალამი, მგზავრო!
შენი თვალებიდან ჩემი თვალები იხედება,
შენს ამოუცნობ ლიმილში
ჩემი ლიმილია განფენილი,
კაენის ხელით მარადიულ ნაჭრილობევში —
დგას ჩემი სისხლიც —
დასალვრელად გამეტებული...

ჩემი სისხლხორცია ეს კაცი — მგზავრი,
აგერ რომ მოდის...

1981 წ.



ბაზრ მოლაშენა

ჩემო სამშობლო, ჯვარი გთარია!

მე შევეგუე მარტომყოფობას,
შევეგუები
უფრო მძიმეს — თმენით... ეჭვებით...
ვერ შევეჩვევი
ვერასოდეს უსამშობლობას,
უსამშობლობას ვერ შევეჩვევი!..

მამულის ცაზე
ვარსკვლავების არის ტოფობა,
მამულის გზაზე
მგზავრი ხვდება დღის გათენებას...
ხორციელისთვის წამებაა უსამშობლობა,
უსამშობლობით
ყველა რწმენა გაითელება.

ყველა საწუხარს,
ყველა ნალველს, ლმობას, ობლობას, —
გაუძლებს გული,
უჟამობით რაიც სწვევია, —
ოღონდ არ იგრძნოს
საშინელი უსამშობლობა...
ჩემო სამშობლოვ, ჯვარი გწერია!

1981 წ.



შერთა ზღაპარი

დღლისა და ლამის ფერი,
ცისა და მიწის ფერი,
ფერები სხვათა და სხვათა —
ერთმანეთში გულმოდგინედ ავურიე და
რუდუნებით შევაზავე,
რომ ერთადერთი მიმელო ფერი.
ძალიან დიდხანს, ძალიან დიდხანს,
ძალიან დიდხანს ვიწვალე და ვიფორიაქე,
ტვინარეულმა საუკუნენი,
ვით ერთი ლამე, ისე ვათიე.
არ მოვასვენე არც ცა და მიწა,
არც ჩემი თავი
და, ერთხელ, მართლაც
ერთადერთი მივიღე ფერი...
თითქოს დავმშვიდდი, თითქოს გავხდი სვებედნიერი,
მაგრამ როდესაც გონს მოვეგე —
მყის შემაძრნუნა სამყაროის ერთფეროვნებამ,
მე — არ ვიყავი — მე
და, რა თქმა უნდა, მიწა არ იყო მიწა,
ცა არ ჰეგვდა ცას, ხოლო მდინარე — მდინარეს,
ლიმილი — ლიმილს, ცხოვრება — ცხოვრებას...
ყველაფერმა საკუთარი დაკარგა სახე,
იმ ერთადერთმა ფერმა შთანთქა ყოველი...
... ისევ ყველაფერი დავიწყე თავიდან: —
ბევრი ვიწვალე...
ბევრიც ვნახე და განვიცადე...
ის ერთი ფერი კვლავ დავშალე უამრავ ფერად,
რომ ყველა საგანს, ყველას, ყველაფერს
დაბრუნებოდა საკუთარი სახე და ფერი.

1981წ.



გაუტე მოლაშხია

ზღვისფერ ველზე ჩანაც ხუთი

(ციკლიდან: — „ვარიაციები ზღაპრებიდან“)

I

ზღვისფერ ველზე ჩანაც ხუთი,
ცხენებს მოაჭენებენ;
სულით სულთან ჩანახუტი —
სივრცეს მოამშვენებენ...

II

ძმებმა ხმლები
აკისკასეს
და, შეებნენ მტერს გმირები...
და, დაიხსნეს
განთიადზე
ქალწულები — ტყვედქმნილები...

III

იმღერიან, ვლიან ცორვით,
უდგათ დარი ერთგულებს...
(რა ჯობია, გმირულ ბრძოლით
დღეებს გაბრწყინებულებს!)

და, ხუთი გაზაფხული
მოჰყავთ თვალებმზიანები;
ძვირფას განძით დაგანძულნი
ბრუნდებიან სვიანები...

IV

უკვე ახლოს ჩანაც ხუთი,
ცხენებს მოაჭენებენ;
სულით სულთან ჩანახუტი —
სივრცეს მოამშვენებენ...

1981 წ.

მთელი ცხოვრება...

მთელი ცხოვრება უხმაუროდ მოვდივარ შენკენ
და ჩემს მდინარეს წვეთნვეთობით ვაგროვებ,
რათა

ხვატში — მაშველი ჯარებივით — დავძრა ტალღები
შენი მინდვრების მოსარწყავად,
შენი ფესვების გასანედლებლად...

...

მთელი ცხოვრება უხმაუროდ მოვდივარ შენკენ!
1981 წ.

მე არ მყოლია მარევი...

„მონალირეს სახუნდარზე
უციმციმებს კიღამ ფერი,
თოფი ფეხზე შეაყენა,
ჩახმახს გამოუსვა ხელი.“
ხალხური

განა ამაოდ ვიცდიდი დღემდე, განა უაზროდ ვითმენდი
დღემდე!

ყოველ წუთს ისე ვაცილებდი, როგორც მომავალ
დღეთა საფანელს;

მე ვგავდი ფხიზელ მონადირეს —
სახუნდარზე ჩასაფრებულს და მომლოდინეს...
სანამ ნადირი არ დამილანდავს —

არ გამომიკრავს თითი ჩახმახზე...

მე არ მყოლია მარეკები — ნადირი არვის გამოურეკავს...
ვიყავი უხმოდ ჩასაფრებული ჩემს მარტოეულ სახუნდარზე
და მოთმინებით გულგადალეულს ზოგჯერ ლოდინიც
გამმართლებია...

კვლავ უხმოდ ვზივარ სახუნდარზე, კვლავ ველოდები...

1981 წ.

ბაზრ მოლაშენა

ყველა გზას...

ყველა გზას, ყველას, ჩემი თაყვანი!
ამ უსასრულო გალაქტიკებში
ყველას ექნება სივრცე თავისი...

ყველა გზას, ყველას, ჩემი თაყვანი! —
თუ მიმოდიან არა მგელნი, არამედ მგზავრნი! —
„კაცნი ბუნებით სახიერნი“, —
ვის ნატერფლებზეც წყლულები არ აღმოცენდება.
1981 წ.

ვარ მომწყვდეული ერთადერთ წრეში

ვარ მომწყვდეული ერთადერთ წრეში: —
სახლი, ბავშვები
და სამსახური,
ამგვარად გადის
ზამთარ-ზაფხული, —
ვერ გავიშალე ჯერ კიდევ წელში.

მე არ მინახავს სხვა გზა და სივრცე,
სხვა მწვერვალები
ან გორაკები,
მაინც არ არის
მათზე ნაკლები
ის, რაიც გულით ვნახე და ვიგრძენ...

ვერ გავიმართე ჯერ კიდევ წელში,
ერთგვარად გადის
ზამთარ-ზაფხული, —
სახლი, ბავშვები
და სამსახური, —
ასე ვწრიალებ ერთადერთ წრეში.
1981 წ.

ყოვლის მოღვაწეობა უცყის ყოველი

შენ ვისთან დგახარ!
მე სადაც ვდგავარ! —
ყოვლის მცოდნემან უწყის ყოველი...
და ულპოლველი ძელი მამულის
იქნებ ორივეს ერთნაირად გვტკივა და გვიყვარს?
იქნებ სულ სხვა ხარ ამ ნიღბის მიღმა
ანდა ნიღაბი უხილავი თავად ვარ იქნებ!
მე იქნებ ვცდები და ნათლისკენ სხვა გზით მიდიან?
იქნებ შენ თვითონ უახლოვდები
დროს — სახიერს და ნეტარჟამიერს?
იქნებ ჩემი გზა?..
იქნებ მისი გზა?
ან იქნებ გზები სხვათა და სხვათა?..
მანამდე,
ვიცი, შენ ვისთან დგახარ,
მანამდე,
ვიცი, მე სადაც ვდგავარ
და, ერთმანეთის გზებზე, ბილიკზე
შავ ჯვრებად ნუღარ აღვიმართებით!

1981 წ.

იდუმალია ჩვენი მოხყველი

იდუმალია ჩვენი მოწყენა,
ჩვენი მოწყენა — სიჩუმის ფერი...
სანამ დავდივართ ქვეყნად ცოცხლები, —
ვწუხვართ და ვხარობთ, ვტირით და ვმღერით...
არა, მოწყენა არ ნიშნავს დაღლას,
ის აღმაფრენის არის წინადღე;
ის გვაახლოებს უშორესთან უჩუმრად, ნაღდად,
უნათლიერეს ნათელისკენ ის გვიწინამძღვრებს...
ვცოცხლობთ სიმღერით,

გაუტ მოლაშენა

ვცოცხლობთ მოწყენით,
ვფხიზლობთ, ვმაღლდებით, გვძინავს, ვეცემით...
და სანამ დავალოთ ქვეყნად ცოცხლები —
დარდსა თუ ხალისს ვერ გავიქცევით.

1981 წ.

პოლოს და პოლოს გამოველი იმ პურანიდან...

... ბოლოს და ბოლოს გამოვედი
იმ ბურანიდან,
როცა გარკვევით არაფერი გესმის და, დუმხარ,
გონების ზეცა ნისლეულით შემოლობილი —
გადაიწმინდა.
და დავინახე ბავშვი, რომელიც
ველზე თხის არვეს აბალახებდა
და იფნის სახრეს მინის გავას უტყლაშუნებდა.
ის და მე ერთი ვიყავით ერთ დროს,
ჩვენი პანია ნაფეხურები
სოფლის შუკებმა დაიმახსოვრეს...

ახლა მე მინდა მოვაბრუნო ის ბავშვი ჩემკენ,
და დავანახვო სახე ჩემი — მისი სურათი გადიდებული.
ის ზურგშექცევით,
იფნის სახრით გაჰყურებს არვეს,
ვესაუბრები,
იგი ისევ გაჰყურებს არვეს,
ყურში ჩავძახი, ვემუდარები,
ის უპასუხოდ, მოუხედავად
ხელით მაჩვენევს თიკანს, რომელიც
დედათხას მისდევს და არ შორდება.
... და როგორც იქნა გამოვედი იმ ბურანიდან,
როცა გარკვევით
არაფერი გესმის და, დუმხარ...
გონების ზეცა ნისლეულით შემოლობილი —
გადაიწმინდა...

1981 წ.

ჩემი სოფლის საღამოები

(ნაწყვეტი)

მახსოვს: — საღამო და აივანი,
 ბრძენი მოხუცი
 ლხინობდა და
 ოქროპირობდა...

ბოლოს სიჩუმემ რომ დაივანა,
 ყველამ ვიგრძენით: —
 ბერიკაცი
 გულში ტიროდა.

ჩვენ შორის მჯდარი —
 მართლაც ჰგავდა მუხას ასწლიანს...
 ბოლოს და ბოლოს გავიხარეთ, —
 თავი ასწია!

მზერა გვესროლა, ვით გამოცანა,
 მერე გახედა
 დაღლილ მთვარეს, —
 ღრუბლით მოლობილს.

აიღო თასი და გამოსცალა,
 ფრჩხილზე დაისვა
 ღვინის წვეთი —
 ღვინის კოკობი.

— „ღმერთმა გახაროთ, გადლეგრძელოთ“, —
 დაგვემშვიდობა
 უცოლოებს —
 ყრმებს თუ ცოლიანს...

დილით ვუცადეთ, დიდხანს ველოდეთ,
 თურმე მოხუცებს
 უსასრულო
 ძილი სცოდნიათ.

1981 წ.

30 ამამობთ დამალობანას

ჩვენ ვართ ბავშვები, ზრდასრული ბავშვები,
დამალობანას ვთამაშობთ ერთად, —
ერთმანეთს ვუმალავთ ღიმილს და ალერსა,
თბილ სიტყვას, გრძნობას და აღმაფრენას;
ხან სიმართლესაც ვუმალავთ ერთურთს...

ჩვენ ვიხუჭებით, დამალობანას ვთამაშობთ ყველა;
ჩვენ ვიხუჭებით
ქუჩებზე, გზებზე, პროსპექტებსა და ტროტუარებზე,
რომ ერთმანეთი არ დავინახოთ —
არ შეგვაძრნუნოს ერთმანეთის თვალში ჩახედვამ...

თუ მაინცდამაინც არაა საშველი:
— გამარჯობა!
— გაგიმარჯოს!
ზოგჯერ ხელებსაც ჩამოვართმევთ ერთიმეორეს,
მეტი არაფერი!
სხვადასხვა გზებით მივემართებით.
არვინ კითხულობს:
— „აკეთებ რამეს?“
— „ფიქრობ რამეს?“
— „აპირებ რამეს?“

ჩვენ ვართ ზრდასრული ბავშვები და
დროსთან ვთამაშობთ დამალობანას.
ერთმანეთის სიხარულთან,
ერთმანეთის ტკივილთან,
ერთმანეთის პირისპირ კვლავ ვიხუჭებით...
ვთამაშობთ დამალობანას!

1981 წ.



როგორც დაღმართზე...

როგორც დაღმართზე, ციდან დავეშვი,
გამომყვა უფლის თვალები მწყრალი...
და ვნანილდები წუთში, წამებში,
რომ შვილებს ჰქონდეთ პური და წყალი.

ტკივილისთვისაც არ მრჩება დრო და
გადავეჩვიო ოცნებას ლამის...
რამხელა ფრთები საფრენად მქონდა, —
რა უსასრულო სივრცე და უამი!
1981 წ.

360დავ კანოიელად...

ვხედავ კანთიელად —
გულგრილობით გადაჯეგილ მინდვრებზე
უთვისტომო და უსასოო ხორციელივით
ხე დგას ჩუმი და გულგამოხრული;
დგას წუთისოფლის ბინდნამოსხმული,
ვით კაცის სახეს — ნაყვავილარი,
მას ამჩენევია ადრინდელი ნარტოალები.
1981 წ.



ფრიად გაძვირდა ქმნაი კეთილთა

ფრიად გაძვირდა ქმნაი კეთილთა,
არს იეფობა ბოროტისანი.
ძმა ძმის მცემელი შურის კვერთხითა,
გულგანწონილი შუღლის ისარით.

ერთი — გვემული ქვეყნის ბედითა,
მეორე — სხვისი მონა — ხიზანი...
სევდა — დილეგში გამოკეტილთა —
მძლავრთა სიმშვიდე მხოლოდ ის არი...

ფრიად გაძვირდა ქმნაი კეთილთა,
არს იეფობა ბოროტისანი.

1981 წ.

მჯობნის მჯობნი

„ნუთისოფლის სტუმრები ვართ“ — მღერენ,
ამ სტუმრობას სულ არ გრძნობენ ზოგნი...
ჩანგები კი მრავალგვარნი ჟღერენ, —
რამ დალია
მჯობნის
მჯობნის
მჯობნი!
ახლა დრო-ჟამს მოთმინებით ვფურცლავ, —
ჩემი არის ახალიც და ძველიც...
ძირძველ მამულს დალეოდეს ნურცა —
მჯობნის მჯობნი მებრძოლიც და ბრძენიც!

1981 წ.



სიურპრიზი

ჩვენი აქ მოსვლა სიურპრიზს ჰგავდა, სიურპრიზია
ჩვენი ცხოვრებაც.
სიკვდილის მერეც არ გაგვაკვირვებს ჩვენი სიცოცხლის
განმეორება.

ჩვენთვის ყოველდღე სიურპრიზია — მზე და ჰაერი,
სივრცე, ფერები...
რომ არ გვემხობა თავზე ცარგვალი, ესეც მადლია
ბედნიერების!

განა ცოტაა — ვსაუბრობთ, ვსუნთქავთ, რომ არ აღვილა
ჯიში თუბალის,
რომ თავისუფლად ვფიქრობთ და გვტკივა, რომ გვაქვს
სიზმრებიც თავისუფალი...

სიურპრიზია, აბა, რა არი? — ვხვდებით ერთმანეთს
ცოცხალს ცოცხალი;
რომ მზე კი არა ციდან დაგვყურებს თვალი ღვთისა თუ
თვალი მოწყალის...

ჩვენთვის ყოველდღე სიურპრიზია — მზე და ჰაერი,
სივრცე, ფერები...
რომ არ გვემხობა თავზე ცარგვალი, ესეც მადლია
ბედნიერების!

1981 წ.



ახლა ერთი რამ მრჩება იმედად

ფერუსუნარად ისევ დარჩა კი
სიტყვა,
რისთვისაც წვალებით ვცხოვრობ...
შემომეზლუდა სივრცის დარჯაკი
და სულს მიხუთავს საწუთრო — სორო!

ახლა ერთი რამ მრჩება იმედად —
თუ დავავიწყდი ყველას ან ყოველს,
თქვენ, ჩემი ძმებო, ჩემნაირებო,
თქვენ მოიგონებთ მარტოსულ პოეტს!

1981 წ.

ტიციან ტაბიძე

შენს სადროშოში ერთი მხედარი
მეც ვდგავარ, გვერდით მყვანან ტოლები...
მოდის ცხოვრება — მოუხელთავი,
გაუსაძლისი — მძიმე ტორებით...

არად მივიჩნევ ჩემს ძნელბედობას,
დღეს ჩამოვსხიპე შიშის ტოტები...
ჩავითქვამ გულში შენს დღეგრძელობას
და მკაცრ განაჩენს დაველოდები.

1981 წ.



დგას და იცინის — არარაობა!

შუალამისას
შენს ბუნაგში როს მიეგდები,
უცებ გინყდება ფიქრი ქანცივით...
გამთენისას
შენს არსშივე ხორციელდები,
დგები: — იგივ გზა, იგივ ქარცივი;

იგივ გუნება
მოჟამული — უდაბნოება
და ძველი რწმენა — ნამოსახლარი...
სათნოებასთან
თავს იწონებს უსათნოება,
კეთილ ალმად ჩანს ხელი მსახვრალის...

უჩუმრად ზიხარ
შენს ბუნაგში, როგორც ობობა,
არარაობის ქსელით ერთობი...
შენ არ იცოდი
არც მარცხი და არც მარტობა,
თავი მოგქონდა ერთადერთობით!

მაგრამ... გაგწირეს
და დიდებაც შენი დაემხო, —
როს გადაიქცა რწმენა — ჭაობად...
მზენართმეულო,
დავინყების ელდით ნამეხო,
დგას და იცინის — არარაობა!

1981 წ.



„ვართ-ლა სადმე?“

„.... სად არის ქართველი და ქართველობა? ერთი ეს
მინდა გკითხო: ვართ-ლა სადმე? როგორ თუ ვართ-ლაო,
შემომიტევ წყორძით, თუ შენ, ჩემო მკითხველო,
ადამიანობა, კაცური — კაცობა ხელში მჩვრად არ
გადაგიქცევია, ვიცი ამ კითხვაზედ ძარღვი ჩაგწყვება...
ესეც უნდა იცოდე, რომ ბალლამში ამოვლებულ
ჭეშმარიტებასაც ვაჟკაცური მოსმენა უნდა.
ილია ჭავჭავაძე

გარდასულ ხმათა ყველა ნიაღვარი
თითქოს ცის უბით ღმერთმა ჩამოლალა...
ვართ-ლაა სადმე? — გოდებს წინაპარი,
ვართ-ლაა სადმე? — ესმის შთამომავალს.

და კვლავ სიჩუმე!.. ფიქრი — ლუსკუმია,
გადაიქროლეს წელთა მარხილებმა...
გოდება ესე — თითქოს უფსკრულია,
ძახილი ესე — არის გაფრთხილება.

ხმა წინაპრისა — დარდით მოშხამული, —
არ იკარგება! მოარღვევს უკუნეთს.
ეპეი ბედო! ცხოვრებავ მამულის,
დღესაც გვახსენებ ჭრილობას უკურნელს...

გარდასულ ხმათა ყველა ნიაღვარი
თითქოს ცის უბით ღმერთმა ჩამოლალა...
ვართ-ლაა სადმე? — გოდებს წინაპარი,
ვართ-ლაა სადმე? — ესმის შთამომავალს.

1982 წ.



**როდესაც ვფიქრობ...
როდესაც ვფიქრობ ჩემზე და სხვაზეც, —
გაილანდება ჩემს ხსოვნაში
უცნობი ქვეყნის,
უცნობი პოეტის — მარტინ ბუხპორნის
ორი სტრიქონი:**

„ძალიან ბევრი ლაპარაკი,
ძალიან ცოტა თავისუფლება“.

1982 წ.

აქეთ მორბოდი...

აქეთ მორბოდი, აქეთ მოქროდი,
ზოგჯერ უხამლოდ ნართა მომთელი;
განა ლიქნობით ან ჯადოქრობით,
აქეთ მოქროდი ბრძოლით, მოთმენით...

ვინ ამოაგდოს ბალახის მოდგმა?
ვინ დაივიწყებს მარად სახსოვარს?
გოგი - მაგოგი მრავალჯერ მოგდგა,
ველურთა ჯოგმა ვერ გადაგძოვა...

განქარდა შენი დამაწყევარი,
დაემხო, მაღლა ვინც არ გიშვებდა...
ახლა მზე გიხმობს, ვით მაწვევარი —
ახალ სივრცისკენ გეპატიუება!

1982 წ.

არ მიემატება ეს ფიქრი სხვა ფიქრს!

ვდუმვარ და ფიქრი ფიქრს ემატება,
როგორც დღეები გარდასულ დღეებს
ან ღამეები — ჩავლილ ღამეებს...
სხვა მოდის...
მიდის...
შენზე ფიქრი არის უცვლელი;
არ მიემატება ეს ფიქრი სხვა ფიქრს!..

როცა ის მოვა —
ჩალისფერად იშლება სივრცე
და კვლავ კითხვები:
— „საით?
— სად?
— რისთვის?“...
თითქოს ვპასუხობ და ვერც ვპასუხობ!
მზერას ვარიდებ და ვერც ვარიდებ!..

რა ვუყო ამ ფიქრს,
ეს სხვა ფიქრს არ მიემატება, —
უხსოვრობისკენ
ჩასაქრობად მიდრეკილ დღეებს
ანდა ღამეებს
— ის ვერაფრით ვერ შევატყუე!
...
არ მიემატება ეს ფიქრი სხვა ფიქრს!

1982 წ.



დუენდე

მინაწერი ფედერიკო გარსია ლორკას წერილზე: „DuenDe-s
თეორია და თამაში“.

პოეტო, კალამს თუ ენდე,
უნდა გიცავდეს დუენდე,
დუენდე, მხოლოდ დუენდე!

შენ მიწის სული თუ გიცავს,
ვით ანგელოზი ფუძისა,
ფუძისა, მხოლოდ ფუძისა, —

მაშინ ჩასწვდები იდუმალს,
ეზიარები იდუმალს;
მაგრამ თუ პირი იბრუნა, —

რაგინდ გულს ცეცხლი მოედოს,
ღვთიურ ჰანგს ვერ იპოვებო,
ვერც იპოეტო, პოეტო!..

მაგრამ სინათლედ თუ ენთე, —
შენ გმფარველობდა დუენდე,
დუენდე, მხოლოდ დუენდე!

ღამენათევარს, უძილარს,
თუ ლოცვა მოგდგამს ფუძიდან,
ფუძიდან, მხოლოდ ფუძიდან!

თუ ნერჩი არ დაგვიწყნია,
თუ გულმა ლმობა იწვნია, —
მამულისათვის იწვნია...

თუ მოყვასს მტრისგან იცავდი,
თუ მოკვდი ხვალის მზისათვის,
დაეცი სიმართლისათვის;

ბაზრ მოლაშხია

რად გინდა პარაკლისები,
შენი არყოფნით, ღირსებით, —
ქვეყანას ესაკლისები...

მამულისათვის თუ ენთე, —
შენ გმფარველობდა დუენდე,
დუენდე, მხოლოდ დუენდე!

1982 წ.

პარგა ხანს ვდუგდი...

კარგა ხანს ვდუმდი, მაგრამ დუმილიც შენ არ გტოვებდა,
შენზე მღეროდა...

უნდა უსირჯოს ხშირ-ხშირად მაჯა კაცმა — პოეტმა
დღევანდელობას, —

ხომ არ აჩქარდა? ხომ არ შენელდა?.. რაღას გვპირდება
დრო ჭირვეული?

როგორც მკურნალი — გულით სნებოვანს, დროსაც სჭირდება
გონი რჩეული...

დღეის ავ-კარგი მეც მეკითხება, — ჩემი ღვიძლია,
ჩემი ნაწილი...

მეცხრე ცაზე ვარ, როდესაც ვხედავ — შენთვის იბრძვიან
დღეს თავგანწირვით...

მეც მსურს ავუნთო შენს მერმისს — მყოფადს ლექსთა კოცონი
ყოველ სალამოს...

შენი მშვენების, შენი თენების მზეა მკოცნელი,
მზე — უბალდამო!

კარგა ხანს ვდუმდი, მაგრამ დუმილიც შენ არ გტოვებდა,
შენზე მღეროდა...

ხამს გაუსინჯოს ხშირ-ხშირად მაჯა კაცმა — პოეტმა
დღევანდელობას.

1982 წ.

გადლობა ყველას...

მადლობა ყველას, ვინც ცხოვრების მრუმე ხაროდან
ამომიყვანა და მითხრა: — „წამო!..“

ვინც არ ლიზლობდა, არ ციგნობდა და არ ხარობდა
ჩემი ნაღვლიან დღეების გამო.

მადლობა ყველას — უცნობს თუ ნაცნობს,

ვინც მეძახოდა და მამხნევებდა...

მკაცრ ლამეებში, კეთილო კაცო,

გადამარჩინეს შენმა ხელებმაც.

საუსე ვიქწები ერთგულებით, ძმებო, ვიდრე ვარ,
სხვა შემიძლია რისი გაცემა?

მადლობელი ვარ, რომ მედექით მხარში იმედად,
ოდეს ვიგრძენი წაბარბაცება...

რამდენს მავალებს თქვენი კაცობა,

თქვენი არა თუ თქვენი დასტური....

მე ვისაც ვთვლიდი მხოლოდ ნაცნობად, —

ყოფილა ძმა და კაცი კაცური...

ყველას სჭირდება თანადგომა, ცოტა მიხედვა
და ცოტა სითბო, ვით მშიერს — ხემსი...

დღედაღამ მამულს ვინც ამაღლებს, ვინც უფრთხილდება,
მეც იმასთან ვარ გულით და ლექსით....

მე არყოფნაშიც თქვენთან ვიყავი...

რა ვუყოთ, თუკი ჩუმად ვცხოვრობდი.

მწირი იმედი თქვენ ამიყვავეთ,

ნდობით, ძმობით და დაუცხრომლობით....

მადლობა ყველას, ვინც ცხოვრების მრუმე ხაროდან
ამომიყვანა და მითხრა: — „წამო!..“

ვინც არ ლიზლობდა, არ ციგნობდა და არ ხარობდა
ჩემი ნაღვლიან დღეების გამო.

1982 წ.



ბაზრ მოლაშენა

ეს წუთები

რატომ ვარ აგრე, თვითონ არ ვიცი,
თითქოსდა
ღმერთის ხილვას ველოდე...
ახლა ამ წუთებს ისე განვიცდი,
თითქოს არასდროს გულს არ მტკენოდეს.

კვლავ მეძახიან შორი შარები...
დროო —
არ მემტრო, არ დამაძინო;
სანამდის ისევ მოვიშხამები —
გთხოვ,
ეს წუთები გამიხანგრძლივო.

1982 წ.

რას იფიქრებდი...

„განა კაცი ეჩო არის,
სულ თავისკენ მიითლიდეს“.
ხალხური

რას იფიქრებდი: — ყოვლის წინარე
ის შენს წუხილზე დაყრუვდებოდა...
როცა გახრჩობდა დარდი — მდინარე,
ის მტრის ტაბლაზე მაყრულს მღეროდა.

ხამს კაცი კაცად დარჩეს ბოლომდე,
სხვის გულისცემას თვისად ითვლიდეს...
რა ადვილია შენთვის ცხოვრობდე, —
სულ ეჩოსავით შენკენ ითლიდე.
1982 წ.

ზმანება ავადმყოფის ღროს

ვიდექ სიზმარეული. ქვეყნის სანაპიროდან
 ჩანდა ცა ამღვრეული
 და სული თვითეული —
 ჯანმრთელი თუ სნეული
 ულმობელად ძლეული — ყველა ერთად ტიროდა.

შორით მზე ჩადიოდა...

ქარი იდგა მგლისფერი, სერზე იდგა, კიოდა:
 — მკერდზე მახვილმიშვერილს
 შენ ვერავინ გიშველის,
 მოსვლით აღუნიშვნელი —
 დაიბადე შიშველი, გულიც მუდამ გტკიოდა...

შორით მზე ჩადიოდა...
 ღამდებიდა, ციოდა...

1982 წ.

შენ ხარ ნუგაში...

როგორ ბაცდება ჩემი ფერები, —
 მე რომ მიყვარდა დღემდე... აქამდე...
 მიჰყვება ბორჯი წარმავალ ჩქერებს
 და ზვავებივით წლები დაქანდნენ,

ჩაეშვნენ,
 ჩაქრნენ ღრმა უფსკრულეთში....
 რაღას იზამენ ახალი წლები?!
 რაც უნდა მოხდეს!.. შენ ხარ ნუგეში,
 შენ ერთს არასდროს დაგავიწყდები.

1982 წ.

ნატოს

ვვლიდი ფიქრებში ცურვით, ვფრენდი ოცნებით სწრაფით...
არა წყენით და მდურვით, ზარდე შვილები ჯაფით.

წამოიჩიგნენ, გესმის? ეს წლები როგორ რბიან!
ქართულ ანბანით ხელში უკვე სკოლაშიც ვლიან.

ვამბობთ, აქამდე ჭირდა, ლივლივებს ფიქრთა ჭავლი,
გვახარებს ფრენა შვილთა და დროს ვიგონებთ ჩავლილს: —

გვახსოვს ახალიც, ძველიც; გვახსოვს ყოველი წუთიც, —
ვინ — გაგვიმართა ხელი, ვინ — შეგვაქცია ზურგი.

(მეც ვზიდე ტვირთი ობლის, ტკბილთან ვიგემე შხამიც,
იმედი წუთისოფლის ერთ დროს დავკარგე ლამის!)

ახლა კი... არა გვიშავს, შორით ნათლიერს ვხედავთ,
აქამდე არ დავშლილვართ, ან ვიყოთ უფრო მხნედა!

სამართალს გული უცემს, ბრიალებს მისი ცეცხლი, —
ქვაწვიებსა და ძუნწებს სირცხვილით სახე ეწვით...

გვახსოვს ახალიც, ძველიც; გვახსოვს ყოველი წუთიც, —
ვინ — გაგვიმართა ხელი, ვინ — შეგვაქცია ზურგი.

1982 წ.



სად ხართ ვეტავი?

სად ხართ, ნეტავი?
 ერთხელ მაინც რად არ მოხვედით?
 ერთხელ მაინც შემოგერბინათ
 მწირი ცხოვრების ჩემეულ სახლში!..
 ერთხელ მაინც გამამხნევეთ, ერთხელ მაინც დამიძახეთ:
 „აჰა, აგერ ვართ!..“
 თუმცა... ვინ იცის,
 იქნებ თქვენც ჩემზე უფრორე გიჭირთ?
 იქნებ გჭირდებით და არ ვარ თქვენთან?
 იქნებ თქვენც გინდათ მხარზე იგრძნოთ ჩემი მარჯვენა?
 როცა მე გიხმობთ, იქნებ თქვენაც მეძახით მაშინ?
 ან იქნებ... იქნებ ერთმანეთი არც გვახსენდება?!
 რა მოხდა ნეტავ?
 რამ დაგვფანტა, დაგვათითოვა!
 თითქოს ერთად ვართ, ერთად ვდგავართ,
 მაინც გულს გვიღრღნის მარტოსულობა!
 რატომ ან რისთვის?! ვინ მოგვქსოვა ასე ცალპირად?
 ერთმანეთისთვის რად გვეძვირება
 სითბო, ღიმილი და გამხნევება?..

მე მოვითხოვ... შენ მოითხოვ... ის მოითხოვს... და ა.შ.
 იქნებ სჯობია: —
 მე გავიღო... შენ გაიღო... მან გაიღოს?..
 რას ვუცდით ნეტავ?
 ჩვენც ხომ გვიჭირავს თოკის ნაწილი, —
 სხვამ რატომ უნდა ჩამოკრას ზარს?..

ნეტავი თქვენ რას გემართლებით?
 როცა აგერ, ა, ძილფხიზლობას
 თავი ვერა და ვერ დავაღწიე,
 და...
 იცდის, იცდის საჩემო ტვირთი...
 თუ თვითონ ვეღარ ვიგულმოდგინე — სხვა ვინ ამინევს
 ქვას საჯილდაოს?
 ვის უნდა ვთხოვო თანადგომა ან თანალმობა, —

ბაზრი მოლაშენა

თუ არ ვვარგივარ თავის პატრონად?!
როგორც მცონარე ან ხელუპყარი,
სხვას რატომ უნდა შევყურებდე ხელებში, რატომ? —
როს ჩემს მარჯვენას სამუშაკოდ ხელენიფების?..
ჩემი ცხოვრების უჩინარი გალავანიდან
უნდა განვაგდო სიზარმაცე,
ვითარცა სული ეშმაკეული...

თქვენთან რა მინდა, რას გემართლებით?
ჩემივე თავი, მეგობრებო, ხამს ძელზე გავსვა,
მანამ კი, მანამ
ჩემს სამსჯავროზე მე ვიქნები ბრალდებულიც და
მკაცრი მსაჯულიც
და ჩემს პროცესსაც მე დავესწრები
უცხო კაცივით...

მე მოვითხოვ... შენ მოითხოვ... ის მოითხოვს... და ა. შ.
როდის შეიცვლება ეს სიტყვები ასე, ამგვარად: —
მე გავიღე... შენ გაიღე... მან გაიღო...

1982 წ.

ზოგი ძმაკაცის სული გაცუდდა

ზოგი ძმაკაცის სული გაცუდდა, —
გაჭირვებისას მიგანდაგანა...
თვით გულუბრყვილოც გამიმაცდურდა
და... უნდობლობამ ითანდათანა.

მრუდე ზვირთებზე როცა ავცურდი,
ვნახე, ვის ძალუძს ძმობა, გატანა...
ვაი, ძმაკაცის სული გაცუდდა,
ვაი, ძმაკაცმა მიგანდაგანა!

1982 წ.

მუდამ ვცხოვობდით...

იმეორებენ, იმეორებენ,
იმეორებენ გზებიც როლებს და
ახლა რომ ვხვდებით ნაცნობს, შორებელს, —
ასე ვხვდებოდით ადრეც, ოდესლაც...

შენც არსებობდი, მეც ვარსებობდი,
შენც იარსებებ, მეც ვიარსებებ.
რასაც ველით და რასაც ველოდით,
დაველოდებით ხვალაც ასევე...

ჟამი არც მიდის და არც ჩერდება,
უცნობი ისევ რჩება უცნობად.
ის ჩვენ ვიყავით, ვინც იმედებით
დაბერავებულ ხალხს მიუძღვდა...

ხან ქედმალურად ვდიქტატორობდით,
ხან ვმუშაკობდით, ვზრდიდით პატარებს;
ვიყავით ქველი, სათნო, ბოროტი,
ხან ვიღმერთეთ და ხან ვისატანეთ.

არ დაგვინდია ერთიმეორეც,
ხან კი გულები ნდობით ფეთქავდნენ...
იმეორებენ, იმეორებენ,
იმეორებენ ნლები ერთმანეთს...

მუდამ ვცხოვობდით, კი არ მოვედით,
ის ხმაც გვესმოდა — დღეს რომ მოგვესმა...
ახლა რომ დავალთ ან ველოდებით, —
ასე ვიყავით ადრეც, ოდესლაც...

1982 წ.



ცელა... თანდათან... ვპარგავთ ერთმანეთს

„ამოვედი მაღლობი
და ვენვიე მთაწმინდას“

ტ. გრანელი

ნელა... თანდათან... ვკარგავთ ერთმანეთს,
სხვადასხვა გზებით შივილალებით...
ნუთუ ვერ ვჩანვართ და ვერ გვხედავენ
ყოვლისმხილველის თბილი თვალები?

ლირს კი სიცოცხლე ამდენ წამებად?..
ნეტავ გვასმინა ერთხელ ამო ხმა...
ო, რა იციან ჩვენმა მამებმა,
ჩვენში რამდენი დილა ამოხმა.

ისევ დავცილდით ჩუმად ერთმანეთს, —
დაშორიშორდნენ თვალი მგლოვართა...
გულები გრძნობით არ გვიფეთქავენ,
გულები — მსგავსი ყინულოვანთა.

კვლავ მთაწმინდაზე — სახლში ამოველ,
მოვშორდი ნაცნობს, ნაძმობს, ნამოყვრალს...
ეს რა დღე იყო, რა სიმარტოვე,
დილას დილიდან ღამე ამოჰყვა.

ნელა... თანდათან... ვკარგავთ ერთმანეთს,
სხვადასხვა გზებით შივილალებით...
ნუთუ ვერ ვჩანვართ და ვერ გვხედავენ,
ყოვლისმხილველის თბილი თვალები?...

1982 წ.



ნიკოლოზ ბარათაშვილის ფიქრი განჯაში

„როს ცცნა მე შენი საიდუმლობა,
როს მხვდეს ამ სოფლად ჩემი წილობა?..“
6. ბარათაშვილი

როსლა ვიხილო ჩემი ვარსკვლავი, —
ცა — მოყვავილე ვაზის ფოთლებით?..
დღენი კი რბიან, რბიან დასავლით
და გალმით მიხმობს წუთისოფელი.

დრო მაბზრიალებს, როგორც ლემადე,
ხან დამტრიალებს თავზე ქორივით...
გათენებიდან დაღამებამდე
შეღამებებით ვარ დათქორილი.

ბოლო მოელო ნათლის მოლოდინს,
იგულხენება დიდმა მსაჯულმა...
ხომ ხედავ, ვკვდები უპატრონობით, —
ჩემო მოყვასო, რამ გაგაჩუმა!

შენგან მოველი დღეს — უცილობლად
გამოსარჩლებას, ვით სასოებას...
იქნებ მეც მერგოს ჩემი წილობა
და არ გამწიროს საწუთროებამ.

დრო მეკარგება, როგორც საუნჯე,
დრო — მომყივარი აღსასრულისას...
მის ულმობლობას ვით გადავურჩე,
სადღა ვიპოვო ვანი სულისა!..

როსლა ვიხილო ჩემი ვარსკვლავი, —
ცა — მოყვავილე ვაზის ფოთლებით?..
დღენი კი რბიან, რბიან დასავლით
და გალმით მიხმობს წუთისოფელი.

1982 წ.

მთვარის ძახილი

წუხელ, სიზმარში გავიგონე მთვარის ძახილი,
გვეძახდა იგი — უძველესი წმიდა ღვთაება.
ვიდექით ველზე, ვპალახობდით, როგორც ნახირი,
ის კი გვეძახდა, გვპირდებოდა გაუკვდავებას.

იძახდა მთვარე — მონდომებით და თავგანწირვით,
ნახირი დუმდა, ბალახებით სტომაქს ივსებდა....
მეც ვდუმდი, რადგან იმ ნახირის ვიყავ ნაწილი
(ნახირს კი თვისი უკვდავება სჯერა ისედაც!).

მზე გვიყურებდა დალვრემილი — დროის ჩეროდან, —
მამის ზურგსუკან დიდი დედის ცრემლი ბრწყინავდა...
მოსწყინდა მთვარეს უგუნურთა ყრუენჩელობა,
დაგვტოვა ყველა, ცის სილრმეში გაუჩინარდა.

როცა სიზმარში გონს მოვეგეთ, ძრწოლა ვიგრძენით,
მთვარე გამქრალა, მზე ჩამქრალა, ცა გადახრილა...
ბოლოს გავიგეთ, ოდეს ძილში გავიღვიძენით,
თურმე ეშმაკმა გვაცდუნა და გაგვანახირა!

...

წუხელ, სიზმარში გავიგონე მთვარის ძახილი...

1982 წ.

გაგედვის ზამი დროულად მოძის

გაბედვის უამი დროულად მოდის,
ადამის ძეო, რომ არ გალაჩრდე,
რომ სახვალიო იმედის ყლორტი
შთამომავლისთვის საღად გადარჩეს.
უნდა თქვა:

რაა ავი და კარგი,
უნდა დაარქვა ლელეჩის ლელეჩი...
ვწევარ და, ეჭვი — მშიერი თაგვი —
გონებას მიღრღნის ამ სიბნელეში.

1982 წ.

ჩამოიარა უსახურმა...

ჩამოიარა უსახურმა (შეძრნუნდა ბალი!),
 ჩამოიარა და ჩემს ხეხილს დაადგა თვალი —
 დახუნძლულ ტოტებს
 ჭოლოკებით გაუმასპინძლდა...
 ვწუხვარ უჩუმრად...
 ვერსად ვუჩივლებ,
 ის თვითონაა მტილოვანთა სჯულისმდებელი.

1982 წ.

ცხოვრებავ ჩემო!

ორი ჩემი „მე“ ებრძვის ერთმანეთს, —
 ჩემი უფალი და... ჩემი დემონი.
 ძეს — გაორებულს — ლმობით მხედავენ
 ჩემი საყვარელი გარეშემონი...

არ ვიცი, რომელს დარჩება ჰელო...
 ღმერთი თუ სატანა?.. ვის შევურიგდები?..
 ვზივარ მდუმარე... ცხოვრებავ ჩემო!
 მამცნე — იმ ორიდან რომელთან ვიქნები?

1982 წ.

სახე ყოველთვის რად ჩამოგსტირის?

სახე ყოველთვის რად ჩამოგსტირის?
 გახსენი შუბლი კაცის წინაშე!..
 იქნებ მეც გული მაქვს ჩაკორტნილი?
 იქნებ მეც ვხედავ უნდო მირაჟებს?

იქნებ მეც არ ვარ დალხინებული?
 მეც ვფიქრობ, ფიქრი არ დამხავსია!..
 იმიტომ გხვდები გალიმებული,
 რომ ვუფრთხილდები მე შენს ხასიათს.

1982 წ.

გაუტე მოლაშხია

ქართი ისევ ერიან წუთისოფლისანი

მინაწერი შოთა ნიშნიანიძის წიგნზე „წუთისოფელი ასეა“.

ხარ მეციხოვნე თუ
დგახარ მოისარი,
უამი დაყოვნების რაღა დროის არი,
ოდეს ქარნი ქრიან საღამოისანი;
რა გსურს იწილკერძო ან დაისაკუთრო,
ეს მე ვარ — ყოველთა მიმთვლელი — საწუთრო!
„ბინდისფერია სოფელი,
უფრო და უფრო ბინდდება,
რა არი ჩვენი სიცოცხლე,
ჩიტივით გაგვიფრინდება.“
აგერ, გზაზე გამოჩნდა ლანდი დევისბეჭება,
მეტებს მოუახლოვდა, შორიახლო შეჩერდა.
ზეაღმართა მარჯვენა, ვით ელვარე მახვილი
და მოედო ფოლორცებს ქუხილი თუ ძახილი:
— ჰეი, შუბლისნებო, ჰეი, თოროსნებო,
მამულს გაუფრთხილდით, მამულს, თორემ სნება
მასაც შეეყრება... მერე ჩვეულებად
იქნებ გადაექცეს შიშით სნეულება.
მოდის წინაპარი მოდგმა ახოვანთა,
რომ დღე დააფეთოს კაცთა ნაყროვანთა, —
კაცთა მედროვეთა, კაცთა საქმოსანთა;
მერე დაანახვოს ის მზე — შამქორს ანდა
დიდგორს რომ უმზერდა დღელამ ჩაუქრობლად...
(ქალი ქალობდა და კაცი ჩაუქობდა...)
მოდის წინაპარი,
მოდის,
მოდის,
საუკუნეები გადმოლახა შფოთვის...
გამითანამედროვდა,
გამისხვაფერდა,
დროსთან ამდენ ჭიდილში
ლამის დაბერდა.

ბევრჯერ გაუჭირდა და
ყოფნა გაუძნელდა,
უამთა ორომტრიალში
სისხლიც დაუძველდა,
მაგრამ უფრო გამხნევდა,
გონი დაუბრძნდა...
ცა ყორნებს თუ ჭილყვავებს ბევრჯერ დაუნისლავთ, —
შვილებს არ მოუხსნიათ ტვირთი მამულისა.
„არ აკლდება საქართველოს
მადლი ციდან გადმოსული,
ბნელშიც ელავს ხვითოსავით
სიტყვა მისი ჯადოსნური“.
დილის უამია თუ მწუხრის დროის არი, —
ქარნი ისევ ქრიან წუთისოფლისანი...“

1982 წ.

ავტ სიზმარი

ვითარცა სახლის, შუაღამის კარი შევაღე: —
ბაგემდუმრიად, მონუსხულად იდგნენ ლანდები.
ერთს მივეახლე, მორიდებით ხელი შევახე,
არც შემომხედა, განზე გადგა ყრმაი განგების.
ვისთანაც მივეღ, —
გამეცალა ჩემი ხმისთანვე,
— დამიგდე ყური, — ერთერთისთვის მსურდა მეთხოვა.
— „ვის მსახურობდი? რომელ უფალს?“ — წარსთქვა
მრისხანედ,
მყისვე დამტოვა,
მო-ცა-მშორდა, როგორც კეთროვანს...
იქ, შორიახლო ანგელოსთა დასნი გალობდნენ,
უერთგულესნი იქვე იდგნენ მათი მსახურნი...
მერე...
სიზმრიდან, ვით ბალიდან, ისე გამოვეღ
და ჩემს ოთხედელს დავუბრუნდი, ვით გალახული.

1982 წ.

გაუტე მოლაშხია

მამისეულო სახლო... |

მამისეულო სახლო, ხანძარში ჩაქცეულო...
შენც ანი სადღა გნახო, ბავშვობავ, მხარქცეულო!

და თქვენც, სიზმრებო ყრმობის, ვერ გაცოცხლდებით, ვერა!
უკვე სხვა ბორჯი მოდის, სხვა ჩანგთა ისმის ულერა...

აქ კვლავ იყეფებს ძალი, ეზო კვლავ დამშვენდება,
მაგრამ... ის, მამის სახლი, ისევ ვერ აშენდება...

||

კერაზე ცეცხლს კვლავ ანთებ, — მოწმევ გარდასულ დღეთა,
ნისლივით მოფარფატევ, ჩემო დაღლილო დედავ!

ჰა, შვილები და რძლები, შვილიშვილების წყება,
სიძეები და ძმები... მაინც მარტო ხარ, დედავ!

ასეა შენი ყოფნის უსიტყვო განაჩენი...
ოცი წელია სოფელს დაკლდა მამაჩემი.

1982 წ.

ექიმის რჩევა

გტკივა და ტკივილს უყუჩდები, დუმილით ითმენ,
ხმა ამოიღე ან მომძებნე, ან დამიძახე, —
წყლულს დროზე უნდა მკურნალის ხელი!

შენ ისევ დუმხარ, მაჯისცემა ავად ხმიანობს,
ითმენ და ცრუობ, თავს იმშვიდებ სატყუარათი:
— არაფერია, მალე გაივლის...

ასე ეჩვევი წაყრუებას, თვალხუჭობანას,
ასე,
ნელ-ნელა შენს სხეულში სნება შეუშვი,
სნება — უნდო და ეშმაკეული...

როცა საკუთარ თავს იჩიავებ —
სხვისი ტკივილი, აბა, როგორ გეტკივილება, —
მოყვასის ნაღვლით შენ ვერ ინაღვლებ,
ძმას ვერ მიხედავ, ჭირში ვეღარ შეეხიდები,
დედის მანდილის აბუჩად ამგდებს
ვერ შეებმები,
ვერ დახვდები ძალგულოვანი...

ამიტომ მხოლოდ თავიდანვე,
სანამ ჯერ კიდევ არ არის გვიან!
თავიდანვე ამოთხარე!
თავიდანვე ამოგლიჯე!
თავიდანვე ამოძირკვე
ის სარეველა — შენს სულში რომ მიიპარება.
1982 წ.

მე ფიქრს ვსწავლობდი...

„კაცი ფიქრისთვის არის გაჩენილი“.
ბლეზ პასკალი

მოაქამომდე ფიქრს ვსწავლობდი, დღედაღამ ვდუმდი
და ფიქრს ვსწავლობდი. ამდენი ფიქრით ლაპარაკი
ვეღარ ვისწავლე!..

რა ვქნა, თუ იგი ხილულისთვის უხილავია; ის უხილავი
უამიდანუამად ხილულზე უფრო არის ხილული...

ბევრმა მირჩია გულმოწყალებით: — კაცმა ის უნდა
ისწავლოო თავგამოდებით, ყოველდღიურად რაიც
გჭირდება: —
უწინარესად, ლაპარაკი ლაქარდიანი!
...
მე ფიქრს ვსწავლობდი!

1982 წ.

ჩვენ ვართ გულები!

ჩვენ ვართ დიდი და პატარა გულები!

გულებო! ერთმანეთს ნუ ვუბრაზდებით,
ნუ ვეცრუებით, ნუ გავწირავთ ერთიმეორეს;
ზოგი გულია ნაინფარქტალი,
ზოგი შიგნიდან სინანულით გამოხრულია,
ზოგს უჭირს სისხლის გადაქაჩვა დღე-დამეებში —
ნვალობს და ქშინავს საბერველივით.

ნუ ვეშულლებით, გულებო, ერთმანეთს!

აი, ის გული, წელან გზაზე რომ ჩაიარა,
ახლა იმდენად კმაყოფილია —
ვერ დაგვინახა განზე მდგარი ჩუმი გულები...

აგერ, ეს გული —
უნდობარი და მზვაობარი,
რომ ფანიფუხობს, ის არ იცის — ძარღვებში სისხლი
შურით და ბოლმით გასთერებია.

ეს კი, ეს გული — მომთმენი და ნერვდაწყვეტილი, —
მის დარდს და წუხილს სადინარი ვერ უპოვია,
ის საინფარქტოდ განწირულია!

უნდა გავუფრთხილდეთ ერთმანეთს, გულებო!

ვინ არის ნეტავ, ეს მღიმარე და მეოცნებე —
სუყველაფერში სიყვარულის ნათელს რომ ეძებს
და კაცში იგი კაცზე მეტს ხედავს;
„სიცრუე და ორპირობა“ უცხოა მისთვის,
ის უსათუოდ ზეგარდმოსთან წილნაყარია,
ის სინათლეა საუკუნეთა!..

აი, ეს გული — ყოველ დროში მუშაკობს უხმოდ,
მარადისობის სამზერიდან დაჰყურებს ანბანს,
ათონზე ანთებს
უქრობელ ნათელს,

ნიკორწმინდაზე მზის სხივებით ჩუქურთმებს ქარგავს, —
მშობელ მიწაზე უფრო მეტად არავის არ ჰგავს!
ის კი — აკვანთან ღამეებს ათევს,
ზრდის მამულისთვის ქართველი ქართველს...
ეს — გუთნისდედა,
ღამის მეხრე, გული — გულქართლი,
ერთგული ერის —
უკანასკნელ ამოსუნთქვამდი...
აი, გულები, წარუვალი, აი, გულები!..

ჩვენც ვართ დიდი და პატარა გულები!

1982 წ.

ოლოლო შენ და...

ოლოლო შენ და, ოლოლო შენ და,
ოლოლო შენ და, მტერო!
ჩვენი ჯილაგი არ გადაშენდა,
აქ ჭერი ისევ ჭერობს...
ვაი მის დღეს და ვაი მის ხვალეს, —
ვინც ჩვენზე ავად ჩემობს, —
დრო უსუნთქვიად მის სისხლსაც დალევს,
გაუქრობს მზეს და ჩეროს...
ნინსვლის ბორბალი განალა შედგა, —
ისევ მაღლდები, ჭერო!

...

ოლოლო შენ და, ოლოლო შენ და,
ოლოლო შენ და, მტერო!

1982 წ.



ცხენი

გადაიკარგა თეთრი მხედარი,
ცხენი ტირის და ცხენი ჭიხვინებს...
(ავპედისაგან ნაწილხვედრალი —
ფიქრში ვნახე და ფიქრში ვიხილე).

ახლა ეულად როგორ დავტოვო,
ვით შევატოვო ბნელს თუ უკუნეთს?..
ცხენი უმხედრო და უპატრონო
დგას,
შესჭიხვინებს ამ საუკუნეს.

1982 წ.

საკვირველია...

საკვირველია, მკაცრი ცხოვრება
გულს კვლავ რაღაცით მაინც იზიდავს.
გუშინ თუ სურდა მას განშორება, —
დღეს ეძნელება წასვლა მიწიდან...

აქვს ბაზალეთიც და აქვს მარტყოფიც...
ცხოვრობს მშვიდად თუ დაუცხომელად,
ცისა და მიწის, ყოფნა-არყოფნის
სამანზე იბრძეის მისი ცხოვრება.

1982 წ.



მე მოვდივარ იმ დროიდან...

მე მოვდივარ იმ დროიდან,
 როცა არაფერი ყველაფერი იყო,
 როცა ვიყავი ჩემივე თავის
 ღმერთი, მოყვასი და მბრძანებელი...
 მერე... საკუთარ თავისთვისაც გავხდი სატანა,
 რამეთუ ერთი დავიძალე, მრავლად ვიქეცი
 და „მრავლის“ „ერთად“ გადაქცევა უკვე ძნელია!..
 ჰოდა, მოვდივარ იმ დროიდან,
 როცა ვიყავი ჩემივე თავის
 ღმერთი, მოყვასი და მბრძანებელი...
 გამოხდა უამი... ვერ გავუძელ ერთფეროვნებას,
 დავხუნდლე ჩემი რწმენის ტოტები
 ათასნაირი ჭრელაჭრულა ბაირალებით,
 ჩემივე სისხლის ნაწილები ჯარად დავრაზმე,
 შემოვიმტკიცე საცხოვრისად სივრცე უვრცესი;
 ჩემივე თავისი გავხდი მეუფე,
 მონა, მსტოვარი, ქვეგამხედვარი...
 გადავამტერე, გადავკიდე ყველა ერთმანეთს —
 მერე ავდექი და ცხოვრება დავარქვი ამას...
 გამოვიარე რამდენი ტროა, პელოპონესი,
 რამდენი დიდგორი და კულიკოვო,
 რამდენი ვატერლოო, რამდენი კრწანისი...
 ჰაუ, რამდენი,
 ჰაუ, რამდენი!
 და კვლავ აფრთხილებს ჩემს გენებს ის დრო —
 როცა ყველაფერი იყო არაფერი,
 როცა არაფერი ყველაფერი იყო!

1982 წ.



ძვირფასი ქალის ალერსივით...

ძვირფასი ქალის ალერსივით
მზე გაბრუებს და, შორით,
როგორც მახვილი ალესილი —
სივრცეს მოაპობს ჭორი!
ჭორი... ჭორები — მოლაყბეთა!
ზოგი გიბლალავს სახელს,
ზოგმა ძალლივით მოგაყეფა,
ზოგის მზერა ჰერავს სახრეს!..
ხმა დაიდუმე დუმილთანაც,
იმარტოსულე დიდხანს...
— რატომ ან რისთვის? — გულითადად
მეგობარმაც არ გკითხა...
ჭორის მახვილი ალესილი
ვერას დაგაკლებს, ვერას!..
ძვირფასი ქალის ალერსივით
განთებს მომავლის მზერა!

1982 წ.

კვლავ მოლოდინის ჯიხაში ვცხოვობ

კვლავ მოლოდინის ჯიხაში ვცხოვობ
და მარტოობა გალავნად მაქვს შემოვლებული, —
მასზე მხოლოდ სიყვარულის კარი კიდია
და უიმისოდ ხორციელი აქ ვერ შემოვა...
დუმს
უჟამობით დაკბილული სათოფურები,
დუმს ჩემი ციხე —
ბევრჯერ შიგნით კარშეტეხილი,
დუმს და ოთხივე მხარეს გაჰყურებს.

...

ის მტერ-მოყვარეს უკვე არჩევს, კარგა ხანია!

1982 წ.

ხანდახან ხდება...

|

ხანდახან ხდება:
მშვენიერ ამინდში
ლამის მატარებლით გაემგზავრები,
გათენებისას გაგელვიძება
და ქარყინული — ცოფიანივით —
შეგეფეთება ვაგონის კართან...

თუ არ გიყვირია,

გულში მაინც ხომ დაგიჩივლია:
— შენთან მოვედი გაზაფხულისთვის,
შენ სუსხიანი დღე დამახვედრე...

||

ასეც მომხდარა: —
შემხვედრია გზად მეგობარი,
გვისაუბრია,
წუხილით უთქვამს: —
„... ძველი გავყიდე და ახალი გამოვიყვანე,
მაგრამ რად გინდა, უგემოვნოა მანქანის ფერი,
ნუთუ არასდროს არ შეიძლება
ისე მოეწყოს კაცის ცხოვრება,
რომ გულს არ აკლდეს და რაიმე არ აწუხებდეს?..“

მე თანაგრძობით ყურს ვუგდებდი
გულშეჭირვებულ მეგობარს ჩემსას!

გვერდით კი მედგა ორი ბიჭი,
პატარ-პატარა ჩანთებით ხელში —
იდგნენ ბავშვები — სიცივისგან მობუზულები...
და, იცინოდნენ, იცინოდნენ
მათი პატარა,
ძირმორდვეული ფეხსაცმელები.

1982 წ.



მამულო, შემთხვევა შვილთა პეტლებო!

შენ შემაჩვიე ასე ცხოვრებას,
შენ დგახარ ასე წმინდა ბეთლემად...
ყველას ვალია პატიოსნება, —
ეს ვაჟუკაცობად არ ჩაგვეთვლება...
სხვა გვაქვს საფიქრო და საოცნებო: —
იდექ ყოველთვის ასე: — ბეთლემად.

იდექ ურყევად, იდექ ზვიადად,
ხან ღრუბლაინად, უფრო მზინად...
მოყვრის ნათელო, მუხთლის ვერმთმენო,
მამულო, — შენთა შვილთა ბეთლემო!

1982 წ.

გზა მშვიდობისა!

გზა მშვიდობისა, მეგობარო!.. სევდა ჭალების,
სევდა დღეების, სევდა კაცთა ფერისცვალების —
ყმაწვილობისას ერთნაირად გულს გვიდალავდა...
ბევრჯერ გათენდა იმის შემდეგ, — ბევრჯერ დალამდა.
დღეს კი... ურმები ბავშვობისა მძიმედ ჭრიალებს,
სამათეულზე უფრო მეტი ქვეყნად ვიარეთ.
ხან გულისგულშიც მწარედ გაგვერა იჭვის ნისკარტმა —
ის თუ კვლავ გვიყვარს, რაც ორივეს ერთ დროს გვიყვარდა?..
დაშორდნენ გზები და თანდათან ჩვენც ვუცხოვდებით!
ვცხოვრობთ სხვაგვარად,
სხვანაირად, სულ სხვა ცხოვრებით.
სხვა იყო ჩვენი თანალმობა, ჩვენი ხუმრობაც...
მერე იმძლავრა და იმძაფრა ზღვის ხმაურობამ,
დაშორდნენ გზები!..
რას გაუგებ ბრუნვას სოფლისას!..
გზა მშვიდობისა, მეგობარო, გზა მშვიდობისა!

1982 წ.

ჩანს სისპეტაკე...

ჩანს სისპეტაკე
 მის მყისიერ გამოხედვაშიც,
 როს
 ღრუბლებს შუა მზის სხივები აისვეტება...
 წმინდაა ახლა
 და ნათელი გული სევდაში, —
 შესაქცევარად,
 რა ვქნა, იგი არ მემეტება!

1982 წ.

3065 30 ნავიდა...

ვინც კი წავიდა — არვინ ბრუნდება,
 ნეტავ რა არის იქ მიმზიდველი?
 ნუთუ არავის არ მოუნდება,
 ისევ იხილოს ეს დრო წითელი? —

ან ჩვენს ქუჩებში ხალხი მილეთის,
 ან ცვალებადი ჩვენი ბუნება?
 ისეთი რაა ის — მილმიეთი,
 რომ არვის უნდა აქ დაპრუნება?

1982 წ.



გაუტე მოლაშხია

აქეცან გასვლა შენ გეპრძალება

სუკმა ერთი წლით ამიკრძალა თბილისიდან გასვლა,
ამიტომ დაიწერა ეს ლექსი.

ყველა გაექცა პაპანაქებას —
მეგობარი თუ მკაცრი მსაჯული...
მხოლოდ შენ ვერსად წახვალ აქედან,
აქ უნდა იყო შენ მიჯაჭვული!

მხოლოდღა მზერით უნდა დაიპყრო: —
სივრცე... შორეთი... ცა — მზისთვალება...
აქ უნდა იყო! აქ უნდა იყო!
აქედან გასვლა შენ გეპრძალება!
1982 წ.

იცეკვონ ჩრდილებება...

მინაწერი იორამ ქემერტელიძის წიგნზე —
„ჩრდილების ცეკვა“.

იცეკვონ ჩრდილებმა, ჩრდილებს ეცეკვებათ,
მზე გადაიხარა... იცეკვონ ჩრდილებმა...
ფერმევდარი ფოთოლი ხის ქვეშ ეცემა და
დღე, როგორც გზამოკლე, ნელ-ნელა ილევა.

...
გზის გაღმა ერთმანეთს უნდოდ ეჭიდება,
უხმოდ ეტოქება თუ ებრძვის ხარს ხარი?..
დაფრენენ ჩიტები (რაღა მეჩიტება?!),
კვლავ ისმის ჩრდილების როკვა და ხარხარი.
1982 წ.

ზუგდიდი. ზამთარი. განსევება.

I

ვიგონებ დღეებს — სიმწვანით მოსილს,
დაიმსხვრნენ წლები და გული მტკივა...
ვით ძეს შეცდომილს, შორიდან მოსულს,
მხვდება ქალაქი — ქუშად და ცივად.

მარჯვენას ჩემსას დავიდებ გულზე
და ჩუმად ვუმზერ სანახებს ლვთიურს.
კვლავ შემოვივლი მშობლიურ ქუჩებს
და ვგრძნობ სიცივეს — არამშობლიურს!

ვიღაც მარიდებს თვალს და, შენთანაც
ისე ვარ, როგორც ძალით წვეული...
დაბინდულ მზერით ვტოვებ ჩემს ქალაქს,
უკან ვპრუნდები გულმტკივნეული.

II

თუ ამრევია ზოგჯერ ბედის გზა,
შენი ცა სხვაში არსად შემშლია,
ყველგან მეძახდა გული დედისა: —
“ბედი — ყისმათი მხოლოდ შენშია”...

გავიტან თუ ვერ გავიტან ლელოს,
მაინც დღეები — “წინ! წინ!” — ყივიან...
ნამუსს არ ვყიდი, ქალაქო ჩემო,
და არც არასდროს გამიყიდია!

არ შეგარცხვენენ ჩემი სიმები,
მეც მოგიყვები ჩემებურ ეფუთს...
გიგზავნი ლექსებს, იმის იმედით,
იქნებ ოდესმე გავუგოთ ერთურთს.
1983 წ.

ციგნზე წარწერილი ექსპრესი

ჩემი სიყრმის მეგობრებს
მიმოზა და იურა წონერიებს

გულში ეჭვი გაჩენილა; —
ვაჲ, თუ მერგო სიტყვა მწირი...
ნლები, ნლები გაფრენილან
ბავშვობის და სიყმანვილის.

სიტყვას ტანჯვით ვიურვებდი,
პოეტისთვის ეს — ხვედრია...
მიმოზები, იურები —
ბევრი როდი შემხვედრია!

იცით? ზოგი გაბითურდა —
მონა გახდა “ამაღლების”...
მე ცხოვრება გამირთულდა,
არ მივლია გალალებით.

აპა, ჩემი ყოფის წიგნი,
სავსე მზით და ქარ-წვიმებით...
თუ ისურვებთ, ჩემი ფიქრი
შიგ წერია დაწვრილებით...

გულში ეჭვი გაჩენილა: —
ვაჲ, თუ მერგო სიტყვა მწირი...
ნლები, ნლები გაფრენილან
ბავშვობის და სიყმანვილის!

1983 წ.



რომ მიდიოდი...

რად მინდა შენი უგულისხმო, ფშუტა სიტყვები,
თუ თაფლს ერთხელაც არ წაიცხებ მოძმის გულისთვის?
თუ უტკივილოდ წინაპრების ნავალს მიჰყვები —
ათვალიერებ ციხე-კოშკებს, როგორც ტურისტი.

შთამომავალი აქ უგიდოდ გზას ვერ იგნებდე,
ხომ უნდა მოკვდე! ხომ გაგერლვას ფეხქვეშ წაპრალი!
იქნებ სხვა გული იმ სხეულში გადმოგინერგეს?
გამოგიცვალეს იქნებ სისხლი — ნაწინაპრალი?

ისე დადიხარ, თითქოს იყო უცხოტომელი,
აქ უცხო ტომიც შენზე უფრო თამამად დადის...
რომ მიდიოდი, შენს მიწა-წყალს ვის უტოვებდი?! —
წარსული ყველას უბრუნდება, ვით ბუმერანგი.

ავად თუ კარგად, უწარსულოდ ვერ იარსებებ,
თუ კაცად იშვი, შენი ფესვი ვერ მოგშორდება,
სხვის სამშობლოში რაგინდ გაძლო, რაგინდ ალზევდე,
სხვისი მშობელი მშობელივით ვერ გემშობლება...

რად მინდა შენი უგულისხმო, ფშუტა სიტყვები,
თუ თაფლს ერთხელაც არ წაიცხებ მოძმის გულისთვის?
თუ უტკივილოდ წინაპრების ნავალს მიჰყვები, —
ათვალიერებ ციხე-კოშკებს, როგორც ტურისტი.

1983 წ.



ბაზრ მოლაშხია

ბოლო დღე ანუ სკეპტიკოსის ფიქრი

ყველას თავისი უცდის ბოლო დღე: —
ლიქნებს,

კეთილებს,

ბრიყვებს,

ბოროტებს,

პირობითობებს თუ სიმბოლოებს...
ყველას თავისი უცდის ბოლო დღე!

რა გეფიცხება და გეფხორება,
შენც შენი წილი ლუკმა მოლოდნე,
თორებ ხითხითებს მწარედ ცხოვრება,
ცხოვრების იქით კიდევ — ბოლო დღე!

ვუყურებ დღეებს, ფარფატ-ფარფატით
ჩამოფრენილებს უფლის სასახლით...
რამდენი სანდო ან მუხანათი,
რამდენი სათნო, ფლიდი, ყაჩალი...

ყველას თავისი უცდის ბოლო დღე: —
ლიქნებს,

კეთილებს,

ბრიყვებს,

ბოროტებს,

პირობითობებს თუ სიმბოლოებს...
ყველას თავისი უცდის ბოლო დღე!

...

და, ბოლო დღესაც უცდის ბოლო დღე!

1983 წ.



პრელშიც ელვარებენ მზის ციაგით...

ოთარ ჭელიძეს

ბნელშიც ელვარებენ მზის ციაგით
გზები — მწვერვალამდის მიკვალული...
როსლა ელირსება (სიკვდილამდის!)
პოეტს პოეტების სიყვარული?..

გიდგას დღე-ღამენი ძეგლებივით,
ხმაში ძაბუნი არ შეგპარვია;
წმინდა სტრიქონები მტევნებივით
დრო-ჟამს (რა ხანია!) შეჰქარვია;

გიცავს პოეზიის მეხამრიდი
და დრო საიდუმლოს შენ გიყვება;
ნალდი სტრიქონები ვენახივით
მარადისობაზე შეგიყელავს.

1983 წ.

დიალოგი ხაიამთან

— ის მყოფობს მაღლა და თუ არ მყოფობს,
რაღა ფასი აქვს სივრცეს ცარიელს?
— ნუ ნაღვლობ, ძმაო, ამ წუთისოფლად
მოეშვი წუხილს, ღვინო დალიე!

1983 წ.



ბაზრ მოლაშხია

თუკი ვერ ირჩეულე...

— დაეშვა, დაეშვა ველობზე მელეშე!
— რას ტყუი! რას ხედავ ასეთ სიბნელეში?
— დაჭრილთა ლანდები იქ, ველად მიყრილან...
თუკი ვერ ირწმუნე, ვერაფერს იხილავ!

1983 წ.

ადამის ძეო!

მზე წატორტმანდა ყოვლის მგრძნობელი,
გადაექანა გალმიერ ფერდობს...
და, ვნახე: ერთი წუთისოფელი
გზაზე გამოხრულ ძვალივით ეგდო!

იდგა სიჩუმე პირველთპირველი...
(არც ფრინველთ ხმობა, არსით კაცის ხმა...)
სხვა სივრცეს ქმნიდა ყოვლისმხილველი
და... იწყებოდა სხვა წელთაღრიცხვა...

გარდახდა ჟამი პირველად შექმნის...
ჯერაც ტკივილი გულს არ კორტნიდა...
ეულ მამრს მერე ასტკივდა ნეკნი...
გამოაძევეს კვლავ წალკოტიდან...

ისევ აზავთდა ადამის მოდგმა...
ისევ ვილაცა სჭედდა კიდობანს...
ისევ ზარი და ზრიალი ომთა...
ისევ ვედრება: — გვინდა მშვიდობა!..

ისევ და ისევ — სიტყვა... მითები...
და, ყველაფერი ისევ ისევე...
ადამის ძეო! ვერ დამშვიდდები,
შენ ვერასოდეს ვერ მოისვენებ!

1983 წ.

კვლავ თხოულობენ პასუხს კითხვები

კვლავ თხოულობენ პასუხს კითხვები:
— რაა ამქვეყნად ყველაზე ძნელი?
— როცა თვისტომში უცხოდ ითვლები,
დგახარ და საშველს არსაით ელი.
— ყველაზე მძიმეს როდის გრძნობ ტკივილს?
საწუთორო როდის მკაცრობს და სუსტობს?
— როს მეგობრები შენს ხმას თუ კილოს
უსმენენ უხმოდ, ვითარცა უცნობს...
— ყველაზე უფრო როდისღა გიჭირს?
უამხანაგოს, უმტროს თუ უძმოს?
— როდესაც ერთგულს გიმზერენ იჭვით,
შენიანებში ითვლები უცხოდ!
— სხვას სთხოვდე შველას, ხომ დროა უკვე?
შენ ახლა სხვისი თემიდა გიხსნის!
— არა! სხვა — სხვაა! ყველაზე უკეთ
კაცს განსჯის ბოლოს ქვეყანა თვისი.

1983 წ.

უიმადო კაცის მონოლოგი

სადაც არც დროა და არც სივრცეა, —
იქით მიხმობენ, მოყვასო, ახლა!
ხომ არაფერი არ შეიცვლება,
თუ სად ვიქნები — დაბლა თუ მალლა!
რაღა ფასი აქვს ყოფნას უგემურს,
ბუნებას ჩემი მოსვლა წამოსცდა...
ვინ ანუგეშებს დროით უბედურს,
დროით ბეჩავს თუ დროით საცოდავს?
ვითმენ,
მოთმენით რა შეიცვლება,
ყოფნად ვერ შევცვლი არყოფნის ჩეროს...
სადაც არც დროა და არც სივრცეა, —
იქით მიხმობენ, მოყვასო ჩემო!

1983 წ.

გაუგრეთ მოლაშენა

რეპარტის საათი...

ნეტავი იმ დროს,
როს ვხედავდი უშფოოთველ სიზმრებს,
ნეტავი იმ დროს,
როს მეძინა მშვიდად, ღრმა ძილით...
არ დაგიდევდით არარაის შედეგს ან მიზეზს,
არ მაფიქრებდა
გასავლელი დრო თუ მანძილი.

ნეტავი იმ დროს,
ყველანი რომ მეგონა სათხო,
ვიყავ მიმყოლი შეუცნობლად ზეგარდმოისა...
ჟამთა გამზომო,
უზუსტესო, მკაცრო საათნო,
ყოფნა-არყოფნის ხმა საზარი თქვენგან მოისმა!

თქვენ შეაშფოოთეთ, შეაძრნუნეთ ქალი თუ კაცი,
ნაბიჯდანაბიჯ
გზას ამოკლებთ შიშის მახეთი;
თქვენ დამიყავით,
დამიმარცვლეთ დრო ნაწილ-ნაწილ,
ამაოების
ბნელ თვალებში თქვენ ჩამახედეთ!

რეკავს საათი — ალსასრული დამდგარა ვისი?
რეკავს საათი — დაიბადა იქნებ ვილაცა?
რეკავს საათი — სად ლხენაა, სად კიდევ — ვიში?
რეკავს საათი — მან ერთი დღეც გადამიხაზა...

ნეტავი იმ დროს,
როს ვხედავდი უშფოოთველ სიზმრებს,
ნეტავი იმ დროს,
როს მეძინა მშვიდად, ღრმა ძილით...
არ დაგიდევდით არარაის შედეგს ან მიზეზს,
არ მაფიქრებდა
გასავლელი დრო თუ მანძილი.

1983 წ.

მოქონავს დილა...

„ბნელოდა. თუმცა უჩინარს ცაზე
უკვე ჩიდებოდა რძისფერი ბზარი“.
ო. ჭილაძე

რა სანატრელი გამიხდა ძილი,
როცა გარშემო ყველაფერს სძინავს...
ბეღურისგულა კაცივით ფრთხილი —
სივრცეებიდან მოჟონავს დილა.

ძლივსღა მოჟონავს, რადგან ღრუბლებით
დამძიმებია სუსტი მხარბეჭი;
ჯერ არც მოსულა და იქუფრება —
გუშინდელ დღიდან გადმონაბეჭდი.

გუშინდელ დედნის ფერმკრთალი ასლი
და მისი მსგავსი ყინვით თუ ცეცხლით...
მოჟონავს დილა და დილის ფასი
მეც კარგად ვიცი...
თვალები მეწვის...

ფართხალებს ჩრდილი, ვით გაგუდული
იქ, სადაც ჩრდილთა წყება ეყარა...
უკვე მოისმის სივრცის ღუღუნი, —
ნელა იღვიძებს ჩემი ქვეყანა.

1983 წ.



მოსაგონია

შუქრი მირცხულავას ხსოვნას

ჩასავლელი ჩავლილია,
ლამეები დადგა გრძელი...
დაძინება ადვილია,
გალვიძება არის ძნელი.
დაეჩვია გული ლალატს,
უმეტესად გული ჭინჭყლობს...
გუშინ ამშვენებდი ქალაქს,
დღეს რა მოგივიდა, ბიჭო!

რა მდუმარედ მიმოდიან,
თვალები აქვს ყველას სველი...
სატკივარი ვინ მოლია,
ავობს საუკუნის სენი.
დაძინება იოლია,
გალვიძება არის ძნელი...

დაეჩვია გული ლალატს,
უმეტესად გული ჭინჭყლობს...
გუშინ ამშვენებდი ქალაქს,
დღეს რა მოგივიდა, ბიჭო!

1983 წ.



ზედამხედველი არის ცხოვრება

ახლა ყოფნაა როგორც ყვედრება,
ცაზე ანთია ღამის პატრუქი...
მიმწყვდეული ვართ ყველა კედლებთან —
ბრძნი, ლომგული თუ უბადრუკი...
ზედამხედველი არის ცხოვრება,
ვდგავართ — ქცეულნი ხორცქმნილ ლანდებად,
ჩვენი არსების ორსახოვნება
ყოფნა-არყოფნის ფირზე მჟღავნდება!
უკვე არა ღირს რამეს ვეფეროთ,
დღეს ვერ ვიცხოვრებთ მარტო განცდებით...
შენც, საცოდავო ზედამხედველო,
ხარ ძველმანივით გამოსაცვლელი!

1983 წ.

გვლავ ჩამლერებს...

ზეცას რომ აკრავს — ღრუბლის ტილოა,
ჩამოიხედავს
ცისქვეშეთში თვალი მოწყალის...
კვლავ აამდერებს
მაფშალია ჩემს ბალ-მტილოვანს,
თუ გადაურჩა ზამთარს ცოცხალი!

1983 წ.

ჯეოლოგის საფანელი...

წუთისოფლის ტალავერში
უჟამობა შემომესწრო,
უხილავი მაინც მოვა —
თუნდაც სივრცე შემომესრო...
ჯეელობის საფანელი
დროის სუსტით შემომეზრო!

1983 წ.

ბაზრ მოლაშენა

ოღონდაც...

მინდა სიკეთე გულისა დაგიგო, გისასთუმალო,
ხირხატში მოსულ ღვინოსა მოგართმევ, ჩემო სტუმარო!

ხილსაც მოგართმევ, დარჩეულს, განა ხიჩატელს, უგემოს,
მერანს — შეკაზმულს, მფრინავსა, განა პეხრეკს ან უბელის...

არ შეგაჭირვებ, გეთაყვა, იარე... ნახე... ილხინე...

ოღონდაც მოყვრად მობრძანდი, მოყვასის თვალით მიხილე!

1983 წ.

მოვა საღამო...

მოვა საღამო, გზის გასაყართან
დღეს ჩამოართმევს ხელს...
მარტვილი კაცის წმინდა საფლავთან
აშრიალდება ხე...
კვლავ შეისრუტავს ღამე ლუსკუმი —
სივრცეს, მიდამოს, მგზავრს...
ნათელს — ნათელი, უკუნს — უკუნი...
თქმულა: მსგავსი შობს მსგავსს...
ამ გაზაფხულზე თუმცა აყვავდა,
კვლავ გაშიშვლდება ტყე;
ისევ საღამო გზის გასაყართან
ჩაესალმება დღეს...

1983 წ.



თუ გააცოცხლე წვეთში ზღვები და...

შენ, როგორც მეოხს, სიტყვას მოელი
და... წარმავლობა სანამ გიყელებს
(რადგან წასულა უამი პოემის),
ზიხარ.

ნერ ლექსებს პანანკინტელებს...
თუ გააცოცხლე წვეთში ზღვები და
ციცქა ყვავილში — სხვა ყვავილები;
მაშინ იბრნენებ, სულო, გრძნებითა,
არ ჩაქრები და არ დაილევი!

1984 წ.

ლოდინი... ლოდინი მოსაცყანი...

ყველას პირქუშად ხვდება მოსაცდელი,
რაგინდ ჩქარობდე — დრო ზლაზვნით გავა...
ლოდინი... ლოდინი მოსაწყენი...
მეც მომლოდინე მგზავრებთან ვდგავარ.

მატარებელი ზოგისთვის ჩამოდგა
და გამგზავრების ზარმაც ჩამოკრა, —

მიდიან:
წყვილად, ჯგუფად, უცალოდ...
ყველამ ჩვენს განრიგს უნდა ვუცადოთ:

დანაგვიანდა უკვე მოსაცდელი,
მზე მიწურვილი საცაა ჩვა...
ლოდინი... ლოდინი მოსაწყენი...
მეც მომლოდინე მგზავრებთან ვდგავარ.

1984 წ.

დაეკარგა სიყვარული...

დაეკარგა სიყვარული, —
დადიოდა მით ეული;
ფიქრი,
სევდა,
სინაწული, —
მის გულს იყო მიტეული...
1984 წ.

სკეპტიკოსის შეგონება

წუთისოფლის ცადაქნილზე
უცებ ნმინდა მზე ნახო რა, —
არ გაპრიყვდე!
დაიგულე
იქვე ბნელთა ზედახორა!
1984 წ.

ასეც ხდება, ისედაც...

(რემინისცენციული)

ასეც ხდება, ისედაც: —
მისი თასი ივსება,
ვინც სულაც არ წვალობდა!
ულირსს მიელირსება
ზოგჯერ ბედის წყალობა!

ვხედავ: ის იცრიცება —
რაიც ფიქრებს მასევდა...
ჩემთანაა ის სევდა,
რამაც დღემდე მასევდა...

მეც ცხოვრება ხშირად მცდიდა,
ისეც იყო, ასედაც...
თურმე სისხლისაგან მცლიდა, —
ვინც მეგონა მავსებდა!

ასეც ხდება, ისედაც: —
მისი თასი ივსება,
ვინც სულაც არ წვალობდა!
ულირსს მიელირსება
ზოგჯერ ბედის წყალობა!

1984 წ.

ცერჩი

ვაი, იმას! იმან რა ქნას,
ვისაც მართლა
წინაპართა
მოეშალა ნერჩი?
ყველა იმას ეცილება
ან რაღაცას ერჩის...
(სხვა აზრი აქვს შეწყვილებას: —
მამული და ნერჩი!)
თუკი ძარღვი არ გაგიწყდა,
გული თუ გაქვს მკერდში, —
მითხარ, რაღამ დაგავიწყოს
მშობლიური ნერჩი?

1984 წ.

იმ მარადიულ მარტოობისთვის...

ნელმდინარია თუ სწრაფმავალი —
ფერი ეცვლება ყველას, ყოვლიარს...
დღემდე გვეგონა
თანამდგომი გვყავდა მრავალი,
გავიხედეთ და, არვინ გვყოლია...

ბაზრ მოლაშხია

დასაყოვნებლად დრო არ მოიცდის,
მიგვაფართვატებს
ფოთოლივით წება განგების...
იმ მარადიულ მარტოობისთვის
მეც ვემზადები!

1984 წ.

სიმღერა სიყვარულზე

ზურგი გაქციეს პოეტებმა, ლექსს არ გიწერენ,
თითქოსდა გაცვდი...
შენი სამრევლო,
შენი სადროოშო დაილია თუ დაქუცმაცდა!..
ადამიანებს დღეს არ გვჭირდები,
უშენობითაც შეგვძლებია თურმე ცხოვრება!..
იქნებ დაბერდი შენ, სიყვარულო!..
იქნებ ჩამორჩი დროის დინებას,
ნუთუ არავის შენი ბოძალი
გულს არ მოხვდება, არ ეტკინება?
ნუთუ არავის არ დაალონებ,
არ გაახარებ ნუთუ არავის?..
ნუთუ ლოტნარში — შეყვარებულებს
არ შეიტყუებს მთვარის კარავი?
ნუთუ არავის? ნუთუ არავის?!

...

ხედავ?.. აქამდე რა შორს წავედით, —
შემოვიფრინეთ ვრცელი ზესკნელი...
რის სიყვარული! რა სიყვარული!
უშენოდ დღეთა კონცერტს ვესწრებით.
უშენოდ უფრო ადვილია თურმე ცხოვრება!
უგრძნობელობას ეჩვევა გული,
უტკივილობას ეჩვევა გული,
უოცნებობას ვეჩვევით ყველა!..
რად იღიმები, სიყვარულო, ან რატომ დუმხარ?
ნუთუ მართლაცდა გაცვდი, დაბერდი?
ნუთუ გაქრება გულებიდან შენი ხსენება?

არა!.. ო, არა!

დღეს ყველანი ჩვენს თავს ვიტყუებთ, —
ეს კარგად იცი!
არ ვართ მართლები!..
მიმწუხრია თუ გვეფინება მნათის ნათელი, —
არ ვამხელთ,
რაიც ჩავითქმიქრეთ, გულში ჩავითქვით!..
ყველა, (ჰალ-ჰალკე,
ღამლამობით ვოცნებობთ შენზე
და გვინდა ის დრო უკუმოიქცეს, —
ოდეს ერთადერთს
სასოებით ღამეს გითევდით!

1984 წ.

გამაგებინე...

გამაგებინე, რისი თქმა გინდა,
რა გსურს, რა გტკივა — გამაგებინე!
ან ჩამომსხიპე მარჯვენა მკლავი,
ან შენთვის ხმალი ამაღებინე.
ან დამისერე გული შხამეკლით,
ან ყვავილები დამაკრეფინე,
ან დამინგრიე ყოფნის ტაძარი,
ან სხვა ახალი ამაგებინე...
გამაგებინე, რისთვის მოვედი,
ან რისთვის მოვკვდე, გამაგებინე!

1984 წ.



დილის გამამხევებელი
ვარჯიშის რეაგინისცანია

თავისუფლად ისუნთქე,
თავისუფლად იმოძრავე,
თავისუფლად ილაპარაკე,
თავისუფლად...
თავისუფლად...
თავისუფლად...
ამისთვის, მარტო ამისთვის,
რამდენი სისხლი დალვრილა და
მაინც ვერ სუნთქავს თავისუფლად
კა—ცო—ბრი—ო—ბა!

1984 წ.

ცოდვის მდინარე

საითკენ მიდის ეს მდინარე —
ამლვრეული და დაუდუმარი,
ჩვენს თვალწინ ბევრჯერ გადმოლახა
ვრცელი ნაპირი,
შხამიან ენით მიმოლოკა შემოგარენი
და ტალღებივით მიაქანებს დაუთვლელ ცოდვებს...

საითკენ მიდის ეს მდინარე? —
ნუთუ სადმე არ აორთქლდება ან არ აშრება?
ნუთუ იდინებს
ჩვენს გვერდიგვერდ მარადიულად?

1984 წ.



ღრუბლიან სივრცეს...

ღრუბლიან სივრცეს, ვით ქერქს წებოვანს,
ვგრძნობდი,
ბუძგურებს მაყრიდა ტანზე.
უჟმური ნისლი გზებზე წვებოდა,
ცხოვრებაც იყო ნისლებით სავსე.
წინ გზები ჰეგავდნენ აზრებს ბუნდოვანს
და მოვდიოდი ზოგჯერ ანდეზედ...
გულს კი მხოლოდლა იგი უნდოდა
მამა-პაპებმა რაც უანდერძეს.
რაც თავი მახსოვს — მტერს მოვყიოდი...
გზა — გზა მრავალნი გაქრნენ... განქარდნენ...
სიმწრით,
სიმხნევით მე მოვდიოდი
და... მოვაღწიე ბოლოს აქამდე.

1984 წ.

მიზიდულობა

აქ ვდგავარ!..
აქვე წვეთწვეთობით დავიწრიტები,
შენს მიწისქვეშა მდინარეებს შეუერთდება
საუკუნეებგამოვლილი წითელი სითხე...
ვერსად ვერ წავალ! ჩემი ფესვებით
დაქსელილია შენი სხეული...

მთხრიდნენ და მთხრიდნენ,
შხამს მასხამდნენ, ძირს მიგესლავდნენ,
მსხეპდნენ და მსხეპდნენ წენგოსფერ ტოტებს,
რომ ნაკუნძალი გამხდარიყო ხე ვარჯოვანი,
მაგრამ კვლავ ვცოცხლობ ჩემი ძირით და ჩემი ფუძით,
ისევ აქაა ჩემი მნათი და საცხოვრისი;
აქ მკვიდრად ვდგავარ — შენი მკერდიდან
ვერ მომსხლეტს
ვერვის ზვაობრობა ბოროტეული.

1984 წ.

ბაზრ მოლაშხია

მოსაგონარი

გადაეკრიფა სევდა სახიდან,
სხვათა საოხად გული მომართა;
ნუგეშისმცემი გახდა დაღლილთა,
გაწამებულთა და უპოვართა.

ვის არ მოსწმინდა სიმწრის ცრემლები,
ცხოვრობდა ისე, როგორიც იყო...
ბოლოს კი...
ყველას წუგეშმცემელი
ნუგეშუცემლად წავიდა თვითონ!

1984 წ.

პარადოქსული

ყველაფერი არ დამთავრდა... ყველაფერი მორჩა...
ყველაფერი ახლოს არის... ყველაფერი შორს ჩანს...

ველაფერი წაიშალა... ყველაფერი არსობს...
ყველაფერი დამავიწყდა... ყველაფერი მახსოვს...
1984 წ.

ამოდის მნათი...

ჩემს ლაყუჩებში ბევრჯერ ვიგრძენი
ანკესი —
ტკბილი სატყუარათი...
არ მასვენებდა, ვით დრო ფიცხელი,
გაბრიყვებული მოძმის ღალატი!..

ან მორჩა! მოყვასს ვერ წამკიდებენ
ნება-სურვილნი ავთა, ცბიერთა...
ამოდის მნათი... კიდით კიდემდე
ეს ხილულეთი განათლიერდა!

1984 წ.

პილიგრიმი

ის გულწატკენი უმზერს მზიანეთს,
ყველა ავ-კარგის ჩუმი მოწმეა...
მისთვის უცხოა შვება-სიამე,
მხოლოდ შრიალებს მასში მოწყენა.
კვლავ იმ საწუთოს წვიმით სველდება,
დღემდე რომ ასე მკაცრად აზრობდა...
მიდის და გზა-გზა კვლავ ახსენდება
განვლილი გზები, ვით უაზრობა!
ნაღვლიან ხმებში გულისხმას ურევს,
არ შეუძლია ბედთან ცილობა;
მისი ცხოვრების დაღვრემილ ყურეს
ვერ მიეღირსა დღეკეთილობა...
ის გულწატკენი უმზერს მზიანეთს,
ყველა ავ-კარგის ჩუმი მოწმეა...
მისთვის უცხოა შვება-სიამე
და კვლავ შრიალებს მასში მოწყენა.

1984 წ.

ჩაღამეგულა თვალები სახლის

ჩაღამებულა თვალები სახლის,
არ ისმის ხმობა ძეხორციელის...
თოხი, ნაჯახი, მეურმის სახრე
უქმად გდია და, გზისპირ იელი
იშლება,
ყვითლად ათრობს გარემოს,
კარმიდამოზე გადადის ქაცვი...
აქ სიჩუმეა, ვით მწუხარება,
ვერ გაიღიმებს ბოროტი კაციც.

1984 წ.

გაუტე მოლაშხია

ლაოცორნი

უკეთუ ღვთისგან განწირულხარ, ჩემო ქალაქო,
მე რას გიშველი, მაგრამ მაინც შემოგევლები!
ახლოვდებიან უხილავთა მკაცრი გველები,
რომ წმინდა სისხლით მშობლიური მინა გალაქონ.

ვარ შერისხული! გულის ლმობა როგორ გავაქრო,
ქალაქის ბჭენი დაირღვევა უნდო ხელებით, —
სის ცხენს უვლიან ტროველები მხნე სიმღერებით...
შვილნო! ყველაფერს მიხვდებიან, ოდეს გავა დრო!

მზე — შებლალული — იგარსება ბლანტი ნისლებით,
სივრცე თანდათან იბურება შავი ჭირხლითა...
ო, ძვირფასებო! ბედი ავად აგვიჭიხვინდა,

ნელა ვიხრჩობით, სისხლისაგან ნელა ვიცლებით!..
ბჭედარღვეულო, აღრეულო ძალისძალადო,
რომ ვერას გშველი, ეს მამნარებს, ჩემო ქალაქო!

1984 წ.

მზე კი არ ამოდის — ჩვენ ამოვდივართ,
დრო და დრო მნათობს დავენახვებით,
მერე ჩავდივართ
ხან დროვებით,
ხან — სამუდამოდ!

1984 წ.



სიყვარული და სიძუღვილი

სიყვარული და სიძუღვილი —
ერთი მდინარის ორი ნაპირი...
ხან ერთ ნაპირზე ბედნიერნი ამოვცურდებით,
ხან მეორეზე — სახედაღვრემილნი!

ეს საწუთროა
ერთი მდინარის ორი წყლისპირი,
თვალახვეულნი ორივესგან ვიღებთ თასებით,
ხან ერთს ვსვამთ ნაკლულს,
ხან მეორეს — გადამეტებულს!..

ასე ირლვევა ჩვენი ყოფის თანხმიერობა, —
ხან ერთი მძლავრობს,
ხან მეორე გვეპატრონება!
1984 წ.

ყვითელი ყვავილი საათას
მზისკენ მიქცეული ჰყვავის...

ბედითად ჩამოჰკრა საათმა, —
სივრცეში მოღამდა ყვავი.

მუხთალო, მნათი ვის წაართვი,
ვისი დღე უკუნად ჰყვავი...

გაჩერდა, გაქვავდა საათი,
მაღლიდან დაეშვა ყვავი.
1984 წ.

გაუტ მოლაშვილი

რეპრეზი

შოთა მესხიას ხსოვნას

უკანასკნელად გვიღიმის კაცი,
უკანასკნელად უმზერს ხეივნებს...
უნდა ცხოვრება, მაგრამ ვინ აცლის,
თქმა უნდა, მაგრამ ვინ ათქმევინებს!

მოიძურნება მიღმეთის ნისლი,
რომ აეფაროს სივრცეს სახილველს...
ლმერთო! უდროოდ რატომ და რისთვის?..
რად არ შეგტკივა გული სახიერს?..

მიემგზავრება კაცი დიდ სოფელს,
წვალებით ჭოვებს სოფელს მყისიერს...
იქაც იცნობენ,
იქაც იძმობენ,
ასე მაღალს და ასე ღვთისნიერს!

1984 წ.

ვდგავარ — უცილავ ზღვრამდე მისული

ვდგავარ — უხილავ ზღვრამდე მისული,
ირგვლივ ქათქათებს მთვარის სისავსე...
ხმამალლა მიმზერს და თან სიჩუმით
მპასუხობს ვიღაც ჩემს შეკითხვაზე...

მოდის უჩქამოდ სივრცის მრხეველი, —
ის, უძლეველი, ყველგან მომძებნის...
თითქოსდა ვხედავ მას — სახედველით,
ვდუმვარ და დუმილს ვესისხლხორცები.

1984 წ.

ჩემს თავს სიჩუმით გამახსოვრებდი...

ჩემს თავს სიჩუმით გამახსოვრებდი,
გამიტანია დრო მოთმინებით...
დღემდე ფიქრებში ისე ვცხოვრობდი,
ვით ნიუარებში ლოფორთქინები.

ლექსით სიმდიდრე როდი მოვქაფე,
ცოტას ვრჩეობდი...
ჩემთვის ვმღეროდი...
არ ვისულმოკლე, არ ვილოქაფე,
მხოლოდ შენს ცას და გზას გავცექეროდი...

თავს დასდგომია შენს მთებს და სივრცეს
სხივები —
ლურჯად მოფოთლილები;
კვლავ მასიზმრებენ ბავშვობის სიზმრებს
კიბორჩხალები, ლოფორთქინები...

მეც მირბენია თავდავიწყებით,
ტოლებთან ქარებს მივყიუინებდი...
როცა უჩუმრად წუხილს ვიწყებდი
ან ნამტირალი მივიძინებდი, —
მყის მომნახავდნენ ჩემი ჭინკები,
ირმისები და ხუთკუნჭულები,
არ მშორდებოდნენ და მამშვიდებდნენ —
ვიყავ მდუმარე თუ ვჩურჩულებდი...

თავს დასდგომია შენს მთებს და სივრცეს
სხივები —
ლურჯად მოფოთლილები
და მასიზმრებენ ბავშვობის სიზმრებს
გზები... მდინარე... ლოფორთქინები...
1985 წ.

ეშვა

მოგელაქუცა რამდენჯერ ეშმა —
მაცდუნებელი სულთა უძლურთა...
ჯერ ვერ დამკვიდრდა შენთან თუ შენში,
ჯერ ვერ დაგაბა თავის კუნძულთან.

მაგრამ ნუ ფიქრობ, — მოგეშვა იგი,
ნუ მიეცემი მაცდურ ზმანებებს...
ეშმა ეშმაა — მყაცრიც და მშვიდიც
და თავს ადვილად არ დაგანებებს.

1985 წ.

არ წახდეს წუთისოფლის სტუმარი

არ წახდეს წუთისოფლის სტუმარი, —
ქვამ უბედობის რაც იგოროსა...
გადავლოს ველი გადაუვალი,
ეკალთა გორიც გადიგოროსა.

ისევ იძახის ხმა იდუმალი,
განა ურწმენოდ, განა გოროზად!
— მოვიდეს სოფლის დიდი სტუმარი
და თვით კრწანისიც ადიდგოროსა.

1985 წ.



განვალებს ხსოვნა — ტვინის აღმართია

აპანდე, ესეც შენი ექსპრესი! —
გაჩერებები...
გაჩერებები...
გაჩერებები...
სიჩუმე... სიჩუმე... მოშლილი ონკანი...
წვეთები...
წვეთები...
შენს ტვინში წვეთავს ტყუილი — შხამი!
თუმცა... რა მოხდა! სად გეჩქარება?
რას შეცვლის შენი მოუთმენლობა?
გაჩერებები...
გაჩერებები...
სიჩუმე... სიჩუმე... მოშლილი ონკანი...
წვეთები... წუთები...
წვეთები... წუთები...
.....

განვალებს ხსოვნა — ტვინის აღმართია!
1985 წ.

ერთ დროს...

ერთ დროს ტყე იყო,
ახლა ვზივარ აქ, ნაკაფებში,
ყოველი წუთი სინანულით უფრო მძიმდება.
ვზივარ მოწყენით, —
როგორც უცხო ქვეყნის კაფეში,
ქარი უგულოდ ხმელ ფოთლებით მიმასპინძლდება.

1985 წ.



გაუგრეთ მოლაშხია

რატომ არ ვყიდულობ მანქანას!

(ცოტა-მატა სერიოზულ-ირონიული)

მეუბნებიან: — შენი ტოლები მანქანებით დადიანო,
მეკითხებიან: — როდის იყიდი
ან რატომ არ ყიდულობ მანქანას?
მე ყველას, ყველას ვპასუხობ ასე:
— თქვე დალოცვილებო, რა უნდა მანქანის ყიდვას?
მართვასაც ისწავლი კაცი (თუკი არ იცი!),
მერე ჩაჯექი და, აბა, ჰე, მიდი!
საგზაო ნიშნებს დააკვირდი,
თვალებად იქეცი — არაფერი გამოგეპაროს!..
ხარ დაჯერებით, მართავ ჭკვიანად...
მაგრამ ხომ შეიძლება შენზე უფრო დაჯერებულმა
გვერდზე რომ გაგრას მოულოდნელად?
ან უნებურად ამოგატრიალოს?
(მიში, თვითმავალ რკინათა შიში!)

.....
ფრთხილად! ფრთხილად! ბავშვმა გადაჭრა გზა!
აგერ, ვიღაცა მოდის გასწრებაზე...
აინთო წითელი (ლო—დი—ნი!),
ყვითელი...
მწვანე...
კი, მაგრამ, თქვე კეთილებო,
როდისღა ვიფიქრო ლექსებზე?
როდისღა გავიხსენო ლექსები?
როდის ვესაუბრო ლექსებს?
გზაზე ვარ თუ სახლში, მძინავს თუ მღვიძავს,
ლექსს ხომ ვეკუთვნი მთელი არსებით?
აი, რატომ არ ვყიდულობ მანქანას!

.....
თუმცა... ამისთვის
სხვა რაღაცაც კია საჭირო,
რომ გავამხილო,
თავი საღლა გამოვაჩინო!

ის ისეთია,
რომ ასწავლის მუნჯსაც ლაპარაკს,
ზოგს ათამამებს,
ზოგს ადინჯებს, აქცევს სხვაგვარად...

ის ისეთია,
გაგიმრავლებს ნაცნობს, ამხანაგს...
მაგრამ რას ვიზამ,
თუკი არ მაქვს იგი ამხანად!

სამაგიეროდ,
მტერ-მოყვარეს ვიცნობ უკლებლად;
ვარ თავისუფლად...
რა სჯობია თავისუფლებას!

ვიცი ვინ მოვა,
ვინ მცნობს და ვინ გადამეჩვია,
კარებს არ ვკეტავ,
მე ქურდები აღარ მერჩიან!

და... ვცხოვრობ ასე, ჩემი ცხოვრების,
მოძრაობის და იმედების პარამეტრები
მოქცეულია საცხოვრისას და სამსახურს შორის...
მე ყოველ დილით თუ საღამოთი
მიმოვდივარ ტროტუარზე —
შენობათა გასწვრივ!
თან ვცდილობ, ვინმეს არ შევეჩეხო;
თუკი ვიღაცას უნებლიერ მხარი გავკარი,
მოვუბოდიშებ,
— არა უშავს, — მეტყვის და წავა.
მეც მშვიდად, უხმოდ გზას გავაგრძელებ...
მეგობრებივით მომყვებიან გზაზე ფიქრები
და სტრიქონებიც
ჟივჟივებენ, როგორც გვრიტები...

აი, რატომ არ ვყიდულობ მანქანას!

1985 წ.

დოუ, ნანა!

შენს მოძმესთან დგას ყურსალი,—
მტერმა ოქრო მოუტანა...
მწარე ეჭვით დაყურსული
ჩუმად დგახარ... დოუ, ნანა!

რას უყურებ ასეთ ყოფას,
შენს ცხოვრებას დრომ უგანა.
ძაბუნობა არ გეტყობა,
მაინც ითმენ... დოუ, ნანა!

კლავ ყიდიან ნაწილ-ნაწილ
შენს მინას თუ დროულ ყანას...
გულზე დედის ცრემლი გაწვიმს,
რატომ დუმხარ... დოუ, ნანა!

აქ სხვა მოდის... ბალ-ვენახი
წვიმამ სულ სხვას მოუნამა...
არ გეშვები, კვლავ გეძახი,
გონს მოეგე... დოუ, ნანა!

გყიდის შენი ხორცი, სისხლი, —
მტერმა ოქრო მოუტანა...
ახლა მხოლოდ შუბი გიხსნის,
გეგეს შუბი... დოუ, ნანა!

1985 წ.



ნიმ ღიაა ვარსკვლავების ტალანი

გაზონები, ხეივნები, ბალი,
შადრევანი შრიალებს და იმცვრევა...
ვუმზერ სივრცეს და მზის სხივებს დახრილს, —
სივრცის იქით კვლავ ახალი სივრცეა!

ამ მზის იქით სულ სხვაგვარი მზეა,
მის იქითაც სხვა მზეა და ვარსკვლავი...
ნუ გგონია: — ეს დღე დიდი დღეა,
ეს დღე უკვე ღამის ანბანს გვასწავლის...

დრო გადის და იხურება კარი,
დროის იქით უდროობა ისვენებს...
სიყვარული ველარ მოვასწარი,
უშენობით დღე ვერ გავიმზისფერე.

ან მომბეზრდა ზეიმიც და ვარამიც,
მივალ, სადაც ერთურთს არ გასწირავენ! —
ნინ ღიაა ვარსკვლავების ტალანი,
ნინ ვარსკვლავთა ქალაქები ბრწყინავენ...

1985 წ.

დევილი მამულიშვილის ფიქრი

თუნდ გავიბრწყინო ნიჭით და ვთქვა უთქმელი ჯერაც, —
შემომხედავენ იჭვით, უნდოდ, ირიბად, ცერად...

მე მაინც ვწვალობ შენთვის, როგორც მიზორავს — ვზორავ...
გაუწყერს იმას ღმერთი, ვინც შენგან დამაშორა!

1985 წ.

გაუგონებელი

როდემდე?

მინაწერი წიგნზე: — „მცხეთური ხელნაწერი“.

გელი და გეძახი ყოველდღე,
ყოველდღე ფიქრები ერთგვარად მოდიან!
როდემდე ვიცადო, როდემდე?
„ვიდრემდის ცოდვილნი იქადოდიან“?

როდემდე ლოდინი წყნარი და მორჩილი?
ეს ყოფნა მარადი როდია!
მაუნყე, სანამდის ცოცხალ ვარ, ხორცქმნილი, —
„ვიდრემდის ცოდვილნი იქადოდიან“?

მაუნყე, მოთმენით მიდრეკილს,
ზოგთა საგულეში, ნუთუ, ქვა — ლოდია?
ვიდრემდის, გეთაყვა, ვიდრემდის?
„ვიდრემდის ცოდვილნი იქადოდიან“?

1985 6.

რა კარგია მოხუცი...

რა კარგია მოხუცი — კეთილი და ბრძენი,
როგორც სოფლად ბავშვებს, ზღაპარს მოგიყვება...
— ადვილია, გაიგო ყალბია თუ წრფელი,
მაგრამ... ძნელზე ძნელია თავის მობრიყვება!
ზის და ჰყვება მოხუცი — თეთრწვერა და სათნო:
— დრო ხან გზას გაგიხსნის, ხანაც — მოგიყელავა...
ადვილია, როცა შენს სანუხარს ამბობ,
მაგრამ... ძნელზე ძნელია თავის მობრიყვება!
ჰყვება, ჰყვება მოხუცი — კეთილი და ბრძენი,
მისი სჯა-ბაასი გვერდით დროს მიყვება...
— შეიძლება იცნო შენს მოძმეში მტერი,
მაგრამ... ძნელზე ძნელია თავის მობრიყვება!

1985 6.

მიტოვებული

„ მე ვარო ქალი მიტოვებული „...
 ნაღვლიან თვალებს მოკიანთე დააჩნდა წვეთი.
 „ მე ვარო ქალი მიტოვებული „...
 თქვი და, გაჩუმდი... არაფერი არ გითქვამს მეტი.

რა უნდა გეთქვა მართლაცდა მეტი,
 როცა ისედაც ყველაფერი მითხარი წაში.
 „ მიტოვებული ჩვენა ვართ ღმერთის,
 კაციც და ქალიც „... მე დუმილით მოგიგე მაშინ.

1985 6.

დრო კვლავ გაივლის, ვით გადიოდა!

ვისაც შველოდი — ის არ გცნობილობს,
 არარად აგდებს მიმზღველს მიზღული,
 ყოფნა ხარბული და მოლიზღური
 შენთვის უცხოა, ჩემო ძმობილო!

როდესაც დახვალ უკმაყოფილო,
 ნუ გამნარდები, ნუ გამკაცრდები!
 შენ ისევ შენი თესე მარცვლები,
 შენი სიქველით, ჩემო ძმობილო!

დრო კვლავ გაივლის, ვით გადიოდა!
 შენ უფრო ხმირად გული გტკიოდა;
 დღესაც ზოგ-ზოგი ჩუმად ორპირობს!

ისმის სიმღერა სულ სხვა მგზავრული...
 უნუგეშობით ხმა გაბზარული
 შენ ნუ იქნები, ჩემო ძმობილო!

1985 6.

გაური მოლაშენა

„ამ წერილს ახლა ვწერ მთელ ქვეყანას,
მე რომ ერთხელაც არ მომიკითხა“.

ემილი დიკინსონი

ვით ამოვულებ ხმას მთელ ქვეყანას,
თუ ნანდაურსაც დღეს არ ვუნდივარ?..
უამმა უამურ განცდებს შემყარა,
ვზივარ და გავცქერ სივრცეს უნდილად.

გადაიკრიფნენ წლები, რა წლები! —
ტაროსებით და მკაცრი ავდრებით.
ასე მგონია, დღეს თუ დავწვები,
სალ-სალამათი ხვალ ვერ ავდგები...

ეს რა შავფიქრი შემომეპარა,
ნეტავ, რად ვცხოვრობ ასე, უნდილად?
ვით ამოვულებ ხმას მთელ ქვეყანას,
თუ ნანდაურსაც აღარ ვუნდივარ?

1985 წ.

ორმოცი ნლის კაცი...

ორმოცი წლის კაცი ოცნებობს მიწურში,
უღიმის ორ შვილს და... მესამის მოლოდინს...
თუმც მკაცრად მოდიან დღეები პირქუში,
ის მაინც თავისას გაიტანს ბოლომდის!

იცის,
მის სურვილებს ახლა ხელს ვინც უშლის, —
რაღა ქნას... იცის და ესმის...
ორმოცი წლის კაცი კვლავ ცხოვრობს მიწურში
იმედით... ლოდინით... ლექსით...

1986 წ.

მუდამ მინთია ერთი სანთელი

„ყველა ჩემი სამშობლოა,
საყვარელი საქართველო“!
დუტუ მეგრელი

მამით — მეგრელი, დედით — გურული,
სივრცე მაქვს ნაბდად წამოხურული.
ჩანს იმედივით ჩემი გელათი,
იმერელი ვარ დედისდედათი
და უმტკიცესი კუნძულ-კუთხეთი,
მათი ხელდასხმით, ლოცვა-კურთხევით: —
მუდამ მინთია ერთი სანთელი,
ერთი სახელი მქვია — ქართველი!
ამიტომ მე ვარ ნაღდი სვანი და
ჩემი სალოცავ- საესავითა
მე ვარ თუში და ფშაველ-ხევსური
და რას დამაკლებს ვინძე, ბნელსული...
ვარ აჭარელი, რაჭველი, მესხი...
მე იმდენი ვარ, ხან თავბრუც მესხმის!
მაგრამ... მინთია ერთი სანთელი,
ერთი სახელი მქვია — ქართველი!
მე ვარ მოხევე, ვარ ლეჩხუმელი,
მუდამ თბილი მაქვს ჩემი ღუმელი
ზამთარში, როცა სტუმარს ველი და
ზაფხულში ვხვდები ტალავერითა!
რა მაქვს სააჯო ან დასამალი —
მე ვარ ქართლელი — გულით ალალი,
არ ვარ მშიშარა, უკანდამხევი,
რადგან ეს მე ვარ — მტკიცე კახელი!
მე ვარ ლაზი და... ისევ ის მესხი,
მე იმდენი ვარ, ხან თავბრუც მესხმის...
და, ჩემი ქვეყნის ყველა კუთხეთი,
მათი ხელდასხმით, ლოცვა-კურთხევით: —
მუდამ მინთია ერთი სანთელი,
ერთი სახელი მქვია — ქართველი!

1986 წ.

ყველგან იფრენს...

შემოდგომის ხეებია გადალოკილი,
იმზირება დასასრული მშიერ ძლოკვივით...
კაცი მიდის, ვიწროვდება მისი სავალი,
..... როგორც ბორკილი,
მას აწუხებს გაჩენიდან ბოლო სამანი!

იგი წავა, ვერ იქნება უკუქცეული,
იფარფატებს სივრცეებში სული ეული, —
სანამ თვისმსგავსს მონახავდეს — მარტოდ შთენილი,
..... ვით დაბხეული,
ყველგან იფრენს, კვლავხრწნადობას გადარჩენილი!

1986 წ.

დრო...

მიღიან დღენი, მიღიან შორეთს,
დრო ხან გვამშვიდებს, ხანაც გვაურუოლებს,
და... უიმისოდ ფეხს ვერ მოვიცვლით;
..... ზოგჯერ გვაშორებს
ერთურთს, როდესაც ჩვენთვის მოიცლის!

ყოვლის მხილველი, ყოვლის ამტანი,
ხან ბხელში ბრწყინვას, ვით კელაპტარი,
ხან დღენათელში მოჰვავს ყიამეთს;
..... ხან ვით ზამთარი,
უდარო დარში დაგვაყიალებს!

ხან თბილად გვიმზერს, ხან კიდევ — ღრენით,
ხან ჩვენთვის ყვავის კლდენიც და ღრენიც,
ხანაც სავსეა შურისძიებით...
..... მიღიან დღენი,
მივყვებით ჩვენც და... გვრჩება ძირები!

1986 წ.

მცოლოდ ერთს გთხოვ3...

„როცა არ არის სიხარული — შენ უნდა შექმნა!“
პაბლო ნერუდა

მხოლოდ ერთს გთხოვ: — გულს მეოხად ექმენ,
სიხარული თუ არა გაქვს — შექმენ!
დარწმუნდი და სხვებიც დაარწმუნე...
..... ვიღაც მოდის შენკენ,
მწყურვალია, შეხვდი, დაარწყულე!

შვება უნდა მოიპოვო, სულო,
მხოლოდ დარდი რაა უსასრულო?!
სევდა შვების წინადლეა, მგონი...
..... ვინ თქვა, უწარსულოდ
იყოს აწმყო ან მერმისის დრონი?

შენ ხომ იცი, ალმაფრენა, დარდი
ერთმანეთის ახლომახლო დადის, —
ხან ერთ-ერთი დღეგრძელია უფრო,
.....ხან ანათებს მნათი,
ხან ცარგვალი კუშტია და ქუფრობს...

ისევ ერთს გთხოვ: — გულს მეოხად ექმენ,
სიხარული თუ არა გაქვს — შექმენ!
დარწმუნდი და სხვებიც დაარწმუნე...
..... ვიღაც მოდის შენკენ,
მწყურვალია, შვებით დაარწყულე!

1986 წ.



სოფელი. პავლი გახსენება...

გზაზე ბავშვი მაცქერდება,
ერთ ადგილზე არ ჩერდება,
თითქოს არ აქვს დრო იმდენი...
..... მახსენდება,
ვით სიზმარი ყრმობინდელი.

თვალში შუქი ეფინება,
ძილმიც ალარ ეძინება;
არ ასვენებს ლექსის ხვითო. —
..... ელიმება, —
ჯადოხმები ესმის თითქოს!

დღე და ღამე ეხეტება,
აქეთ-იქით ეფეთება
(აპა, როგორ არ მახსოვდეს!) ...
..... ვერ ეტევა
ერთ ადგილზე არასოდეს...

კარგად ახსოვს დღეს სოფელსაც,
ანუ ყველა მეზობელსა,
ის უმამო ბიჭუკელა;
..... მზე, რომელსაც
უნათებდა, ვით სუყველას...

გზაზე ბავშვი მაცქერდება,
ერთ ადგილზე არ ჩერდება,
თითქოს არ აქვს დრო იმდენი...
..... მახსენდება,
ვით სიზმარი ყრმობინდელი...

1986 წ.



მართინა, ეს ხმა არ პგავს სხვა ხმას...

მავანი წაიკითხავს ამ ლექსს,
ზოგ-ზოგთა მარაქაში გამრევს,
არ გაარჩევს — ჩვენში რაა სხვადასხვა...
..... გზებს რა დალევს,
ზოგს სჭირდება გზაზე სისხლის გადასხმა!

სისხლისფრად ვხედავ სივრცის ნაწილს,
მცემს სუნი ნატუსალის, დამწვრის...
დროა ჟამშა ვერაგობა იქმაროს!
..... სხვაფრად მაწვიმს,
ჩემმა დარმაც იქნებ გამოიდაროს!

მგონია, ეს ხმა არ ჰგავს სხვა ხმას,
მგონია, ეს გზაც არ ჰგავს სხვა გზას, —
მე რომ მივსდევ ღიმილით და ნაღვლითა!
..... რაღაც საგზალს
მეც ხომ ვტოვებ მშიერთან თუ დალლილთან!

მავანი წაიკითხავს ამ ლექსს,
ზოგ-ზოგთა მარაქაში გამრევს...
როგორც ღვინოს, ლექსსაც უნდა ხანდაზმა...
..... გზებს რა დალევს
და მეც ვფიქრობ ჩემებურად გზადაგზა!

1986 წ.



დღეს უსათუოდ რაღაც მოხდება!

დღეს უსათუოდ რაღაც მოხდება!
დაგეძაგრება პრაზით კუნთები;
წამოიწევი ასამბოხებლად,
მაგრამ... ცხოვრებას კვლავ უჩუმდები!
და... გიცახცახებს სახის ნაკვთები,
სკამზე ეშვები, ვით გულმტკივანი;
თითს აჭერ ლილაკს და ფეხაკრეფით
კარს შემოალებს შენი მდივანი.
და... რასაც ეტყვი, წინასწარ იცის,
კვლავ გაბრუნდება უკან მორჩილად...
მხოლოდ მასთან დიდგულობ, ვინც კი
შენი სურვილის თარგზე მოჭრილა.
მაგრამ... ცხოვრება იცვლება უკვე
და მოყანყალე სკამის ფეხებით
ქანაობ წყალზე.. უკან და უკან...
და, იცი, სადმე გადიჩეხები.

1986 წ.

მამულს

შიში წუ გაქეს დროის,
მზე არ დაივსება,
ჟამი საწუთოის
გემარადისება!

1986 წ.



ყოჩაღ! პოეტის ძალუძთ შენება

ბევრმა პოეტმა სახლი ააგო,
სამეზობლოდ თუ საამხანაგოდ,
და, როცა უნდათ, სოფლად არიან.
..... ცალყბად არ ვამბობ,
ზოგი ტოლი თუ მეგობარია!

ყოჩაღ! პოეტებს ძალუძთ შენება,
(ნგრევაში მტერიც შეგეშველება!)
შენებაშია — უთქვამს წინაპარს —
..... თურმე მშვენება,
ასე ყოფილა ადრეც, წინათაც...

აგეთ და აგეთ ყველამ სახლები,
მე თუ არა მაქვს — თქვენ გეახლებით,
ახალი ლექსით, განა სალაყბოდ!
..... თქვენი სახელით
და, მეგობრობით, ძმებო, ვამაყობ!

1986 წ



ბაზრი მოლაშენა

გზისაირ წალიკად იღგნენ თხოვლები...

გზისპირ წალიკად იღგნენ თხმელები,
წითლად ღუოდნენ კურკანტელები,
იკენკებოდნენ ჩირგვში ჩიტები,
..... დუმდნენ ველები
და იყო სივრცე გულდამშვიდებით.

ჩვენ ვბრუნდებოდით სკოლიდან იმ დროს,
ფოშფოში რომ არ ეფინა მინდორს,
მივესეოდით ბუჩქებს ბიჭები,
..... ვქურდობდით თითქოს, —
გზას გვიღობავდნენ ეკალ-ლიჭები.

რა ტკბილი იყო ის კურკანტელა!..
ახლა მინთია ხსოვნა კანდელად
და იგერიებს ხეხილი ლესტერს...
..... გარეთ ღამდება,
მე კი შინ ვარ და მდუმარედ ლექსს ვწერ.

1986 წ.



ტყეში

როცა სიბნელიდან სინათლე გამოვა,
ხეს კვირტი უსკდება, ყვავილი გამოაქვს...

სივრცე და ხმელეთი სუნთქავენ ნებისად;
გემივით მიცურავს ტყე გათენებისას.

სხივით იქსოვება ლურჯი საწიერი,
შრიალებს მდელო და ჰავა მაწიერი...

შევალ ფოთლოვანში, ზე ავიმართები,
თოკებად ჰყიდია ხეს ათინათები,

თავს მოვიბავშვებ და... ცას ვწვდები ხელებით,
ირწევა სხივები თუ საქანელები.

ირწევა... ვირწევი... იცვლება ტყე-ველი...
ამ ლტოლვა-სრბოლაში ვარ შესამჩნეველი.

მიყურებს ყოველი: — ფლორა თუ ფაუნა,
ის — ქალბატონია, მისის თუ ფრაუა —

ყველა ქვეყნიდან თუ კუთხე-კუნძულიდან
თვალებს მაყოლებენ ჩურჩულ-ჩურჩულითა!

ასე თავაწყვეტილს მიყურებს ყოველი: —
ჭკვიანი, სულელი თუ ბედუპოველი...

მერე... ძირს ვეშვები, ცას ვტოვებ გადაშლილს,
ვთავსდები ჩემივე სიჩუმის ბაკანში.

დუმდება, ჩუმდება, ყუჩდება ტყე-ველი...
ვერჩევი სხვისგან და, ვარ შეუმჩნეველი.

1986 წ.

გაუტე მოლაშხია

ნაცარძეებისა

(ციკლიდან: „ვარიაციები ზღაპრებიდან“)

ისევ თუ ვერ მოატყუე დევი,
ისევ თუ ვერ გააცურე დევი, —
ვერ იხილავ შენ მომავლის ფერებს;
..... ან თუ მიენდევი,
თვითონ ღმერთიც ვერ გიშველის მერე!

სადგისი და ყველი ერთი წველა,
ერთ დროს იყო შენთვის ხსნა და შველა...
მოხერხება მქექავისა ნაცრის —
..... დღეს გაიგო ყველამ
და დევიც ხომ ფლიდია და მკაცრი!

არ დაგინდობს ბეჩავსა თუ საწყალს,
უძალლონოს და ცხოვრება გამწყრალს.
ნუ გგონია დევს შეაკრთობ თოფით!
..... ეძიებდე სხვა გზას
და ადვილად მას ნუ მიენდობი!

დაიხსომე, შე მქექავო ნაცრის,
დრო იცვლება, ვით მერყევი კაცი;
ვერ გიშველის ხერხი ადრინდელი...
..... მყისვე თავს წაგაცლის
ეშმაკობას თუ გიაზრებს დევი.

მთელი შენი ოინებით, სიბრძნით, —
მხოლოდ გადარჩენისათვის იბრძვი;
ბევრჯერ დევებს დააღწიე თავი...
..... მაგრამ... ისევ იძვრის
შენს ბილიკზე დევი, როგორც ზვავი...

ისევ თუ ვერ მოატყუე დევი,
ისევ თუ ვერ გააცურე დევი, —
ვერ იხილავ შენ მომავლის ფერებს;
..... ან თუ მიენდევი,
თვითონ ღმერთიც ვერ გიშველის მერე!

1986 წ.

გზა და ხილი

მისმინე კარგად, დამაკვირდი, ჩამხედე თვალში! არა ვარ უცხო,
ჩემი ხმა ნუ გეუცხოვება. არ ითაკილო ჩემი სიტყვა
და ლაპარაკი; არ ითაკილო და არ გამკილო
ამ უძველესი აქცენტისათვის!..

ნეტავი, განზე რად იცქირები? თითქოს ყურს მიგდებ,
გულით მისმენ, როგორც მოყვასი თანამლმობელი.
თითქოს მიღიმი და მეთვისები, მაგრამ რატომძაც
გიკრთის თვალებში უნდობლობის და უცხოობის
მუხთალი ჩრდილი — დაუფარავი!

ნუთუ ამისთვის გვცალია ახლა! როდესაც ჩვენ წინ ხიდი
ირყევა, როდესაც ღმუის ავად მდინარე — ჩვენი
გზების და ბილიკების გადამლეკავი, როდესაც ცაზე
დაჯორგილან კუშტი ღრუბლები — საავდარონი!..

შენ უფრო ნდობით იცქირები უცხო მგზავრისკენ, რომელიც
ჩუმად აგვემგზავრა კარგა ხანია. მოგვყვება უკან, არც
გვეწევა და არც გვშორდება... წინ კი ხიდია მორყეული
და მოქანავე... ღმუის მდინარე, ვით ხადირი
ბეჭდაკოდილი.

კარგად მისმინე! დამაკვირდი! ჩამხედე თვალში! დროა
შევიცნოთ ერთიმეორე გენეტიკური კოდის ნიშნებით!..
უკვე მოვედით... ხიდზე ვდგავართ... ირწევა ხიდი...
მღვრიე ტალღები რა გულგრილად მიაქანებენ —
დამხრჩვალ ყვავილებს!

1986 წ.



ბაზრ მოლაშენა

ციალებს შუაღი პირველუამური

ვიხილე სხივი პირველუამური
როგორც პირველი ღიმი ამურის —
ეს წუთი მარად ჩემთან დარჩება...
..... და, უამური
სივრცე კვლავ მზისფრად მოიფარჩება!

მზით განწმენდილნი ისევ ვიქწებით,
ბუნებას ისევ შევურიგდებით, —
ჩვენ რომ გავწირეთ დასავიწყებლად;
..... ჩვენი ფიქრები
ისევ იფრენს და არ დამიწდება!

ციალებს შუქი პირველუამური,
ამ შუქში თბება ხვალის მამული —
წარუვალი და გზანათლიერი...
..... დრო — მოშხამული
იწურვის, როგორც დასალიერი...

1986 წ.

კაცი თანდათან ეჩვევა...

აქა-იქ ცარგვალს ემჩნევა
ლრუბლის შავ-თეთრი ოფორტი.
კაცი თანდათან ეჩვევა
დროს — განძარცულს თუ მოფოთლილს.

მაღლიდან სხივი ეშვება,
სივრცეს მოკვალავს, მოსერავს...
კაცი თანდათან ეჩვევა
ტყუილ-მართალის მოსმენას.

პოეტი მყოფადს — მზე მაღალს —
უმღერებს, უმღერს, უმღერდა...
და დრო გვასწავლის დღედაღამ
სიკვდილ - სიცოცხლის უღლებას.

1986 წ.

ფიქრთა ნაწყვეტები №1

რად მიყურებ თვალსველი,
არსად არ ვარ წამსვლელი,
.....ამხსენი
ხუნდი უნდობლობისა!

არც უაფროდ, არც აფრით,
არ დაგტოვებ არაფრით,
.....მარადის
მე ვარ შენი მხლებელი.

რა ვქნა, ეს ვარ რაცა ვარ!
თუმცა ბორჯვმა მაწვალა, —
..... არ წავალ
გზითა უკეთურითა!

დღისით, მზისით, ღამეშიც,
ზღვათა სიკამკამეშიც, —
..... კამეჩის
მესმის შორი ბლავილი.

მკაცრობს უზემოესი
და წუხილი ნოესი
..... მომესმის
ჟამთა უფსკრულებიდან!

ცხადშიაც და ძილშიაც,
უჯიშოს თუ ჯიშიანს, —
..... შიში აქვს
შეუცნობელ სივრცეთა!

ბაზრ მოლაშხია

ნუ მიყურებ თვალსველი,
აბა, სად ვარ წამსვლელი,
..... ამხსენი
ხუნდი უნდობლობისა!

1986 წ.

გვარდს გვივლის ხევები — ცისიქათური...

სივრცეს ნისლების ეკვრის ლიბრი და
ქარი ქცეულა ეკვილიბრისტად —

ისე მიმოდის ხრამის ზეთავზე...
შორს კი,
მზის იქით, დიად მზეთამზეს

მხოლოდ გონიოთ თუ სწოდები მიწიდან
ანდა ფიქრით და ფიქრის სიმწრითა...

ხმელეთს ახურავს ნისლი სეფური,
გვერდს გვივლის ხმები — ცისიქეთური...

დრო-დრო
დაგვხედავს ღმერთთა დიდედა, —
მისთვის იქიდან ვჩანვართ ლიბრედად!

1986 წ.



სარკა

მე ხომ გაჩვენებთ — რაც ხართ და ვინც ხართ!
 რა ძალმიძს მეტი, —
 ლაქები თვითონ მოიშორეთ, თუ თავი გიყვართ!

1986 წ.

პოეტი დროის შუალედობა

თუკი მწვანე შუქი არ ჩანს,
 გზა სავლელი ისევ დარჩა,
 ტკივილები გულში თუ არ მორჩეს;
 კი ღირს გარჯად,
 წითელ შუქზეც გაიარო ზოგჯერ!

თუკი წმინდა ტვირთი მიგაქვს
 და არ ერიდები ხიფათს,
 თუ ცოდვები არ გიმძიმებს კისერს, —
 გზად და ხიდად
 დრო გაგიფენს ყიამეთშიც ცისფერს.

თუკი მოერიდე წითელს,
 როგორ მოკრეფ სიტყვებს მნიშეს, —
 გზის გადაღმა უკვდავების ხე დგას...
 შენს ნაბიჯებს
 მომავალი ჭოგრიტიდან ხედავს!..

თუკი მწვანე შუქი არ ჩანს,
 გზა სავლელი ისევ დარჩა,
 თუ კვლავ წმინდად უერთგულებ კალამს;
 კი ღირს გარჯად,
 წითელ შუქზე გაიარო კვლავაც!

1986 წ.

მირაჟი თვითმფრინავიდან

ცაში ვარ და ვიწყებ ტივტივს,
ყელზე ვიხვევ ღრუბლის თივთიკს;
მიკვირს, მზეზე როგორ მცივა!
..... აქ, ჩემს ირგვლივ,
დრო იშლება, დრო მოცვივა!

როდის გახდა უამი მყარი?
მტკივა გული, თავი, მხარი, —
ნამსხვრევები მხვდება უამთა...
..... როკავს ქარი
ცის და მიწის შესაყართან!

ახლა ტყუილს ვიტყვი რაზე? —
ხან ისე ვარ, ვით ყირაზე,
ხან ტატნობზე მიმოვცურავ;
..... ცით მირაჟებს
ვხედავ, როგორც კინოსურათს...

მზე მიყურებს, ცივად მიმზერს, —
ვით მივცოცავ სხივთა სიმზე;
აღმა-დაღმა ვექანები...
..... წმინდა სივრცეს,
ვით ჯინჭველა, ვექავები...

ცაში ვარ და ვიწყებ ტივტივს,
ყელზე ვიხვევ ღრუბლის თივთიკს...

1986 წ.



ეს ერთი დღეც მიიღია

რა უჩუმრად მიიღია
 დღე და, მისი იდილია....
 თეთრი ფარდა გადაცურდა!
მითვლილია
 უკვე ეს დღეც გარდასულთან.

სივრცე კრთება შეღამების,
 ფერთან ფერის შესამებით
 ჭვრეტ გარემოს ერთფეროვანს —
შენ ხვალემდის
 ხედავ სიზმრებს ეთეროვანს.

განა მართლა სიზმრებია,
 ეს ფიქრები იზრდებიან —
 მომავალზე დაკიდულნი...
იხსნებიან
 ცხრანი კარნი — ცხრაკლიტულნი...

ეს ერთი დღეც მიიღია,
 ბოლო სხივთა სირბილია;
 თეთრი ფარდა გადაცურდა!
მითვლილია
 უკვე ეს დღეც გარდასულთან.

1986 წ.



ტყის ზღაპარი

ეს დევებია?! არა, ნადევნი! —
ძველ ზღაპრებიდან გამონადევნი.

აიშლებიან ტყეში ლანდებად,
როდესაც დილა ახმიანდება...

დილა — ყველა დღის ცელქი ბავშვობა, —
იწყებს სიმღერას და თამაშობას...

იწვევს რიგ-რიგად გმირებს ზღაპართა
და სიზმარეულ კონცერტს გამართავს.

დაძუნძულებენ ტყეში დევები, —
ძველ ზღაპრებიდან განატევები.

ისმის გნიასი... სტვენა... სიცილი...
სანამ დღეა და სხივთა ციმციმი...

მზე კი... მიარღვევს სივრცეს დასავლის,
თან მიიკეცავს სხივებს ფრთასავით.

დრო დაუღლელი არსად ყოვნდება,
მიჰქოის, მიჰქრის და... საღამოვდება...

წყდება თამაში თუ ურიამული,
დუმან დევები — გულმოჟამული...

და, როს იგრძნობენ ლამის დინებას,
მწყობრად მიდიან დასაძინებლად.

1987 წ.



გადაიწვიობა

გადაიწვიმა... ვით ნასხვისარი,
გზა დამიტოვა წვიმამ შეცვლილი...
გამდარებელი იყო ისხარი, —
ცა კვლავ გამოჩნდა გადამერცხლილი.

ფრთებს აფრთხიალებს სივრცე ნაწვიმი,
უკვე ნათლად ჩანს დრო თუ მანძილი...
თრთის ჭადრის ტოტზე, ვით ცის ნაწილი,
სხივი, ძაფივით გამოკვანძილი.

1987 წ.

იუმორესკა

ისეთი მზეა,
ჩრდილს ანატრებს აგვისტო დემონს
და ამ სიცხეშიც
იგონებენ არისტოდემოსს!
„— ფულია კაცი!“ —
ვერ გაკილავ, ძმაო, მის სიბრძნეს,
თვით ჯიბეებმაც
უფულობა ტკივილად იგრძნეს!
„— ფულია კაცი!“ —
ყოველ უნდო და უგვან დროში,
როცა ტარება
ემძიმებათ ნამუსის დროშის,
როცა ემსხვრევათ
რნმენის კოშკი, ვით ფაიფური...
„— ფულია კაცი!“ —
მაგრამ... კაცი არ არის ფული!

1987 წ.

როსინანტი

მინდორ-ველზე (ძველი ხედი!)
დაიღვრება როს ინანთი,
საწირზე ბრძენი მხედრით
მოჭიხვინებს როსინანტი.

როცა უამი გაოჩნდება
და სიმხნევეს როს ვინატრი, —
მშველელივით გამოჩნდება
ბრძენი მხედრით როსინანტი.

1987 წ.

სიმღერა შემოდგომული

შენი ლიმილი, როგორც ალოე,
ვიცი, სხვის ტკივილს მიეფონება.
მე კი ცხოვრება მომიკალოებს
და დამისუსხავს გულს და გონებას...

ნუ აცრემლდება შენი თვალები
და ნუ იხილავ სივრცეს მობურვილს...
ჩემი ტრფიალი — ნაგვიანევი,
არის სიმღერა შემოდგომური...

1987 წ.



ინასკვებიან
 ყულფებივით — ცბიერი წლები,
 სხვადასხვა ზომის —
 მოერგება სხვადასხვა კისერს,
 ნელ-ნელა გიჭერს...
 არ ისვენებენ და წელში წყდები...
 მერე... ოდესლაც
 შენც ვიღაცა მოგისაკლისებს!

1987 წ.

სჯობდა...

გუშინ იჩქითად შემხვდა სატანა,
 თითქოს მომნუსხა, თითქოს გამთვალა, —
 ხელებს მხარბეჭზე მიტყაპუნებდა;
სადღაც დამთვრალა
 და მხიარული ჰქონდა გუნება!

სივრცე თითებით მიხაზ-მოხაზა...
 მასთან ვიდექი — მნახა მოყვასმა, —
 ისე მომხედა ცივად... ზოგადად...
სჯობდა, ლოყაზე
 სილა გაეწნა დაუზოგავად!

1987 წ.



ბაზრ მოლაშენა

მთიპავი

მზე სხივებით ღრუბლებს შიბავს,
ოფლმოწურვით გლეხი თიბავს,

წუთით, როგორც იქ მორჩილი,
ცას გახედავს ხელმოჩრდილვით.

თუ დააწვიმს ბალახს, ნამჯას, —
რა ფასი აქვს მაშინ გარჯას!

მაგრამ... ხედავს შუქს მომხიბლავს, —
არ გასწირავს ღმერთი მთიბავს.

შორს გადასწევს მნათი ღრუბლებს,
ცას ნათელი დაიუფლებს...

1987 წ.

ეს ერთი დღე აგიყვავდა!

ეს ერთი დღე აგიყვავდა!
თუ ისმენდი ჩხავილს ყვავთა, —
ახლა ხედავ? შემოგლიმეს, გიცნეს...
.....გაგიხარდა,
და, გგონია ცით ვარსკვლავებს იმცვრევ!

იგრძენ კაიკაცობაო, —
(თურმე გყოფნის რა ცოტაო!)
გაგახარეს, გაგილიმეს, გიცნეს...
.....საცოდავო! —
ახლა გული აღმაფრენით გიცემს!

1987 წ.

ძეგნა უდეა თვით იღბალსაც

დღეს იცდიდა აქ ვიღაცა,
მოწყენილი სახით...
სივრცე სევდით გადიხაზა,
ვით სხეული — სახრით!

ახლა არ დგას ის ვიღაცა,
ნეტავ, რა გზას გაჰყვა?
ძებნა უნდა თვით იღბალსაც, —
არა წყალთა ნაყვა!

1987 წ.

როდესაც გამა გარდაიცვალა

„ის, ვისაც სადლაც მამის სახლი ეგულება,
სახლიდან გადახვეწილი არ არის“.
ანტუან დე სენტ—ეკზიუპერი

... როდესაც მამა გარდაიცვალა,
ცელქი მოსწავლე იმ წელს დავდინჯდი!
და, როცა სახლი მამისეული
მოულოდნელად ჩაიქცა ცეცხლში, —
დავკარგე მაშინ
ფრთაშეტრუსული ჩემი ბავშვობა...

დღეს კი, თბილისში,
გადმოხვეწილი კაცივით დავალ!

1987 წ.

გაური მოლაშენა

ისე... მაინც...

შენად არ მთვლი, სხვისიც არ ვარ
და არც ჩემს თავს ვეკუთვნი...
მოაკითხა განსჯის ქარმა
იმედს — ფიქრში შეფუთვნილს!

რის იმედი! რა იმედი!
მეც გზა მიდევს იქეთო...
ისე... მაინც... რაიმე თქვი, —
გული გამომიკეთო!

1987 წ.

იმპერატორო!

სახელმწიფო — ეს მე ვარ!
ლუდოვიკო XIV

თქვენ შეგიძლიათ რისხვით დათრობა,
სისხლი ღვაროთ და გზები დატბოროთ...
სიმართლე ერქვას უსამართლობას, —
თქვენ ესეც ძალგიძთ, იმპერატორო!

თქვენ ძალგიძთ ყმები გაააზატოთ
ან მონა ისევ მონად დატოვოთ...
ან ოქრო გასცეთ ერთი ასადო,
ან ასი — ერთად... იმპერატორო!

თქვენ შეგიძლიათ გასცეთ საჭურჭლე
მრავალთმრავალი, უხვი, უთვლელი...
თქვენ შეგიძლიათ — ბრძენი დამუნჯდეს
ან ორატორი გახდეს უთქმელი!

თქვენ შეგიძლიათ სხვათა დაპყრობაც,
ვინ გაგიბედავთ რისთვის? რატომ?
უსაპყაროთა ძალგიძთ საპყრობა,
მხოლოდ... სულს ვერ ძლევთ, იმპერატორო!

1987 წ.

მაღლით თრთოდა ფამარაგი

მაღლით თრთოდა ცამარაგი
და ზესკნელის კამარა კი
ხან ჩანდა და ხან არ ჩანდა...
.....გზა მარადი
წამიერად მომელანდა!

აესხიპნენ მთებს ჩრდილები,
დადნენ ლრუბლის ჩერგილები;
მოევლინა ცასაც შვება!..
.....მზეს დილები
ხელში აჰყავს გასაშვებად!

1987 წ.

ბოლო ბაქანი

თითქოს აღმოვჩნდი ბოლო ბაქანთან,
ყველა გზა თითქოს დაღმა დაქანდა,
მატარებელიც თავქვე დაეშვა...
.....ვდუმდი აქამდე,
გულში ვმალავდი დარღს თუ კაეშანს!

გზაზე მგზავრები წალიკ-წალიკად
მიდიოდნენ და, უამმა წალეკა
თუ შეისრუტა ყველა თანდათან...
.....ჩენც ის წაგვრეკავს,
უმტკივნეულოდ ლეთას გაგვატანს!

რა საჭიროა ხვეწნა, ქაქანი,
ულმობელია ბოლო ბაქანი...
მატარებელი მიჰერის ბუნების! —
.....არწევს, აქანებს
მას ვულკანები — შენილბულები...

1987 წ.

მზით ავსებულს განვდი ჭიქას!

მზით ავსებულს განვდი ჭიქას,
ნუ ენდობი ღრძოს და ჭინკას,
ვით არენას ჟამთა ცირკის...
..... გულის ბჭის-კარს
გილებ, როგორც კარებს ცისკრის!

თუნდ ალმურით დამწვი ქარის, —
ერთგულება მწამს წიქარის,
ვით სიშორე სიმაღლეთა!..
.....მაწვიმს ქარვის
ფერი — ერთ დროს მბრწყინავ დღეთა!

თითქოს ვგავდე ალმდგარს მკვდრეთით, —
მზის ამოსვლას ვიღაც მყვედრის...
სული შვებით მაინც საღობს!
.....ზოგჯერ ყეფით
ვიღაც მომაძახებს — „საღოლ-ს!“

საგულეში გული მეწვის,
კვნესა მესმის მწირი ენრის
და მღლის ერთფერობა ჟამთა...
.....ცათა ზეწრის
მახურია მკრთალი კალთა!

შორით მიმზერს მშვიდი ღმერთი,
მზეა მისი თბილი მკერდი,
მზის წილხვედრი მეც ვარ ერთი...
.....თუ დავბერდი,
მეც ვიქნები ალავერდი!...

მზით ავსებულს განვდი ჭიქას,
ვამბობ: — ნუ ენდობი ჭინკას,
ავსულს ნუღარ მიიკარებ!..
.....გულის ბჭის-კარს
გილებ, როგორც დილის კარებს!

1987 წ.

ორი ლანდი ტროტუარზე

ორი ლანდი ტროტუარზე... ერთი მაღალი... მეორე დაბალი...
თითქოს საუბრობენ, თითქოს იცინიან... ბუტაფორია...
ერთი დაბლა არ იყურება, მეორე — მაღლა! არ იციან
ერთმანეთის თვალების ფერი!

ორი ლანდი ტროტუარზე... დგანან და ხელებს იქნევენ,
როგორც უსარგებლო ფრთებს — უსივრცობაში!
რაღაცას ამტკიცებენ... რაღაცას უარყოფენ... დგანან
და დგანან ერთ ადგილზე ფეხმოუცვლელად...
აქ, ტროტუარზე სხვა ლანდებიც დაფარფატებენ, ერთურთს
უამიტამ თავს დაუქნევენ ან ხელს ასწევენ ანტენასავით
(ზოგი მარჯვენას, ზოგი მარცხენას, გააჩნია, ეხერხება
რომელს რომელი...). ესალმებიან ლანდები ლანდებს!

ორი ლანდი ტროტუარზე... მარტობის ორი ნაფლეთი...
თითქოს ლანდები ლანდებისგან გამორიყულნი! და,
ესენიც კი, ეს ორი ლანდი — ერთი დაბლა არ იყურება,
მეორე — მაღლა... არ იციან ერთმანეთის თვალების
ფერი!

1987 წ.



ბაზრ მოლაშენა

ჩემო ქმარ ინგილო!

ჩემო ძმაო ინგილო! ჩემო დაო ინგილო!
ჩვენი ჯიში — ჯილაგი არვინ არ შეგვიგინოს!

რაგინდ ბევრი ითოვოს, რაგინდ ბევრი იგრგვინოს,
ელვამ ელვისებურად სივრცე შემოირბინოს,

გულმა შიშის ნაკადი ალარ შემოიდინოს;
ერთად დავდგეთ, გულმაგრად, ერთად, ჩემო ინგილო!

თუ წარსულმა დაგვლალა, მომავალში ვიფრინოთ;
ბნელის ნაცვლად ნათელი სულში შემოვიფინოთ.

სივრცეს გაპმზერს სიფხიზლით ჩვენი ბედის მიმინო,
გარდასულში ნათმენი გულს არ მოვათმინინოთ,

რაგინდ ბორჯმა იავდროს, რაგინდ გრგვინვამ იგრგვინოს,
საქართველოს ხვალის დღე არვინ არ შეგვიგინოს, —

ჩემო ძმაო ინგილო! ჩემო დაო ინგილო!

1987 წ.



ცყალობა არ გვითხოვთ, გულო!

დაიწმინდე გუნება თუ ფიქრი,
ყურს ნუ უგდებ ნაკაცართა ქირქილს!

დაითმინე მწარე სიტყვა, გულო!
ჩვენ არ ვმდგარვართ მტერთა საკრებულოს.

ჩვენ ვცხოვრობდით ჩვენი ხატით, ნიშით...
სხვა კერპთათვის არ გვიზორავს შიშით!

ვლოცულობდით ჩვენს სალოცავს შინა,
რაც გამჩენმა ქვეყნად გაგვაჩინა...

თუ ვერ ვიწვდენთ „ტკბილ ცხოვრების“ კუნწულს,
ზოგ-ზოგივით არ ვჩვეულვართ წუწუნს!

წყალობა არ გვითხოვთ, გულო,
და არც ვმდგარვართ მტერთა საკრებულოს!

1987 წ.

მეც მინდა...

მეც მინდა
ვიხილო ახდენა სურვილთა,
მეც ხელში
მაჩეჩებს ცხოვრება დილემას...
მე მოვალ...
ოღონდ ჯერ მოვითქვა სული და
ოღონდაც
ვეღირსო მოხელკეთილებას!

1987 წ.

ბაზრი მოლაშენა

რა გულწრფელად მღერიან...

რა გულწრფელად მღერიან
ქალი
და ვაჟი,
ღმერთმა ყოფნა აშოროთ
ღრენა-დავაში...

ფერებია დილისა თუ
მოდაისენი: —
არ მისდევენ, გეთაყვა,
მოდას ისინი!

1987 წ.

ეშმაკი გაგიმაღლდება
და მტერი გაგილაღდება,
თუ თავს ჩაჰეთ ბერიავად...
..... დარდი გალღვება,
როს უკეთურთა მზე ჩავა!

1987 წ.

მისთვის თბილად და უცივნიავოდ,
დღემდე ცხოვრებას უცინიაო;
ახლა მიმართავს იგი სამყაროს: —
..... უწინ მზიანო,
დღეს რატომ ქუფრობ, ცაო მაღალო!

1987 წ.

ჩემო სტრიქონო!

ჩემო სტრიქონო, გამოანათე, —
იყავ წმინდა და თამამი პწკარი;
ჩემო სტრიქონო, შენ გაამართლე
ჯერხნობით ჩემი უცნობი გვარი.

აბა, შენ იცი, სანამდე ასწევ
ქვას საჯილდაოს... შეუდგი მხარი...
ზოგიერთს მართლაც ტვირთივით აწევს
ხმაგასმენილი და დიდი გვარი!

... ჭავჭავაძენი და წერეთლები,
ტაბიძეები, გამსახურდია...
რა ქნან იმათმა მოგვარებმა —
მწვერვალთა ჩრდილი გადახურვიათ!

მე ეს „ხიფათი“ არ მემუქრება,
(თუმც კოლუმბს ახლდა **იქ** ჩემი გვარი)...
შენი ვალია, შენი უფლება, —
გახდე მეოხი და სანუკვარი...

ჩემო სტრიქონო, შენ გევალება,
იყო ნაღდი და ხმალივით პწკარი;
შენ გაამართლე ჩემი წვალება, —
დაამახსოვრე ხალხს ჩემი გვარი!

1987 წ.



ობლის ჩივილი

მახსოვს ჩემი სიყმანვილე,
ვით მეგრული წიწაკა...
მომკიოდა სააქაო,
როგორც ქალი წიწკანა...

ობლის ცრემლით გულდალარულს
არვინ არ დამიყვავა;
წაქცეული ბავშვი ვიყავ —
არვინ არ ამიყვანა...

ვისაც ხელი გავუწოდე —
მუშტი გამომიქანა...
იმ ცხოვრებას მე არ ვიცნობ...
ამ ცხოვრებამ მიგანა!

1987 წ.

შორით თერგი...

შორით თერგი მოქუხს ცივი,
ჩანს ვარსკვლავთა ბრჭყვიალი...
ცაში ყვინთავს მოხუცივით
მთვარე — სხივებჭკვიანი.

1987 წ.



რა ადრე გახდი მოსაგონარი

არჩილ ფირცხალავას ხსოვნას

ხან ღვინოს სვამდი, ხან ღვინო გსვამდა,
მაგრამ შენ მხოლოდ ლექსით ცხოვრობდი;
შენ პოეზიის ბოლომდე გწამდა
მაგ უცნაური დაუცხრომლობით!

შენში სახლობდა ხან ვიიონი,
ზოგჯერ გრანელიც შენში ტიროდა...
მაგრამ გზა როდი გაიიოლე,
შენი ხმა მხოლოდ შენებრ ყვიროდა!

თუ აღმერთებდი „ცისფერყანწელებს“,
შენ სხვა ფერების იყავ მხმობელი...
მჯერა, შენს ყოფნას როცა აღწერენ,
გაოცდებიან თვით ახლობლებიც...

ზის შენი დედა — შენზე მგლოვარი, —
რა იქნებოდა ლალად რომ ევლო?!
რა ადრე გახდი მოსაგონარი,
უცნაურო და დაუდგრომელო!

1987 წ.

ერთადერთი ალიგი!

შუალამით ლექსის ხვითომ გარეთ გამომიყვანა
და რაც ჯავრი ჰქონდა, თითქოს ჩემზე ამოიყარა...

აქეთ, იქით! აქეთ, იქით! მატარა და მარბინა...
(ახლა მოდით, აქეთ იგი, — ლექსს მკარნახობს ნამდვილად.)

გაუგრებელი

სწორედ იმ დროს, იქვე, ახლოს, გაუქურდავთ ვიღაცა...
მე ალიბი არ მაქვს ახლა, — აქეთ მინა, მიღმა — ცა!

— აქ რა გინდა? — მკითხეს უცეპ, — რას დაეძეპ, ვინა ხარ?
ლექსი?! შენ ვის ატუტუცეპ, გზაზე ლექსი ვინ ნახა?

ვდგავარ. ირგვლივ მოზღუდულა სივრცე, როგორც ყალიბი...
აღსავლიდან მოდის დილა... (მე არა მაქვს ალიბი!)

ვიღაც ხუმრობს: — საწყალ ქურდებს იქნებ ჰქონდათ ვალები?
— მას ვინ მისცა ბევრი ფული? (მე არა მაქვს ალიბი!)

— კარი თვითონ გაუღია, თურმე იყო მთვრალივით...
— განძეული წაუღიათ... (მე არა მაქვს ალიბი!)

— გადამთიელს კარს უდებდა, ალბათ იყო არიფი,
— აბა, — ვიღაც პასუხობდა... (მე არა მაქვს ალიბი!)

— მას ვერავინ გაქურდავდა, ყოფილიყო ღარიბი...
ახლა შენც კი გამქირდავდი, რადგან არ მაქვს ალიბი!

ვიღაც წამოიმართება, მიმზერს ზღაპრულ ალივით...
ჩემთვის მხოლოდ სიმართლეა ერთადერთი ალიბი!

1987 წ.

მიყვარს სიტყვა...

ის ოქროზე აქაქანდა: —
არის წყება აქა ქანთა,

მადნების თუ ოქროების,
თუკი ფხა გაქვს მოგროვების...

მეც, რომ არ ვთქვა ოკრობოკრო,
მიყვარს სიტყვა — ოქრო, ოქრო!

1987 წ.

შედგა იგი...

შედგა იგი — მონუსხული,
თითქოს რაღაც მოელანდა!
აცახცახდა მონურ სულით,
მისი თვალი მოელამდა...
ტანჯავს შიში აბეზარი,
ვერც კი ბედავს დაჩივლებას...
გამონვრთნილი მაბეზლარი —
ელის მწარე განჩინებას!

1987 წ.

ახლა თაღვაღოს...

ახლა ნაღვლობს, ერთ დროს უამთა
ნებიერი, ნასუქალი...
არ ჩანს კვალი მეგობართა,
როგორც ქართა ნასუნთქალი.

ახლა, როგორც უთვისტომო,
კედლებს უმზერს გულის ღრენით;
მარტო ზის და უკვირს: — დრომი
რად შემრისხა ურისხველი...

გზა დაკარგა მეგობართა,
როგორც ქართა ნასუნთქალი...
და დამჭლევდა, ერთ დროს უამთა
ნებიერი, ნასუქალი...

1987 წ.



შადრევანი

მშვიდად ვუყურო ახლა შადრევანს,
ხომ არაფერი არ დაშავდება?

ზევით მიიწევს, როგორც თავნება,
მაგრამ ძალ-ღონე როს უთავდება,

თითქოს ჰაერში წამით შეშდება,
მოირკალება, დაბლა ეშვება...

და... ისევ ზევით, ქვევით და ზევით...
ვუყურებ და მსურს შევიგრძნო მზერით!

მისი ზესწრაფვა, თამაში მარცხთან,
როგორ მაგონებს მყოფობას კაცთა!

ვით გუშინ, დღესაც იმგვარად ხდება...
მე შადრევანში ცხოვრებას ვხედავ!

1987 წ.

მზა ამოდის...

მზე ამოდის. ცა წითლდება,
დიაგნოზი: — ერითემა...

მერე...

სივრცე კვლავ მშვიდდება
და ფერს ფერი ერითმება.

1987 წ.



თურმა ჩვენ ვართ დამნაშავე

თუკი „თეთრზე“ გვითხრა „შავი“, — როცა წავა სტუმარი, —
თურმე ჩვენ ვართ დამნაშავე, ჩვენ ვართ გასამტყუნარი.

პირში წყალი დავიგუბოთ, კვლავ მივართვათ ნაზუქი!

არიქა, არ დავიღუბოთ და არ გავცეთ პასუხი...

ოდეს ხედავ სივრცეს სიზმრულს, — ხამს იგულო კაცი ძმად!

მაგრამ სახლში შემოხიზნულს, ვით იწამებ მასპინძლად?!

ზოგს ურჩევნის ლელვი ლიმონს, ზოგს — შენი მზე, ბებერო...

ყველას სანამ ვეღლიმილოთ, ყველას სანამ ვეფეროთ!

ჩვენ გვაგინონ, გვლანდლონ, გვთათხონ... (თავს დავისვათ
ლამის მტრებიც!)

თითქოს ქვეყნად ჩვენ ვართ მარტო ინტერ-ნაციო-ნალისტები!..
პირში წყალი დავიგუბოთ, პასუხი არ დავწეროთ...

არიქა, არ დავიღუბოთ, არვინ გავანაწყენოთ!

თუკი „თეთრზე“ გვითხრა „შავი“, — როცა წავა სტუმარი, —
თურმე ჩვენ ვართ დამნაშავე, ჩვენ ვართ გასამტყუნარი!

1987 წ.

რა შეგისორცებს მცარე ჭრილობებს

გამოჩნდა სივრცე ნაწყვდიადარი,

ხსოვნის სანთელი წარსულს დაუნთეს...

ნელ-ნელა გადის მყაცრი ზამთარი

და შენ გიტოვებს ტკივილს დაუთვლელს!

ღიმილს თუ ხალისს დაემშვიდობე

და არ გალელვებს თურმე აგუნაც...

რა შეგიხორცებს მწარე ჭრილობებს,

რაიც ზამთარმა უკვე გარგუნა!

1987 წ.



შენა ხარ...

შენა ხარ სიტყვა — ამოუთქმელი,
შენა ხარ ცრემლი — ხელსჩატირული;
შენა ხარ საქმე — ამ დროს უქმნელი,
შენა ხარ გრძნობა — მკერდსჩაკირული...

თუ სასოება სადმე ბრიალებს
ან თუ სიმწვანე მოდის ხელახლა, —
შენა ხარ, რაც კი საგნობრივია,
რაც უსაგნოა, ისიც შენა ხარ!

1987 წ.

მღერის ჭინეა ჭინეურად!

— რა ხმა ისმის? ვინ უკრავს?
— ჭინკა იხდის ქორწილს;
მიართმევენ პირუგვანს
ხორაგეულს ორწილს...

ის სხვადასხვა ბალახით
იმოსება, იმკობა...
თან იძახის ხმალალი: —
„რა კარგია ჭინკობა!“
„რა ძნელია ჭინკობა!“

ბალახები გადითელა...
ხან როკავს და ხან დაფრენს.
კრეფს გზისპირად მატიტელას,
ვით ხალიჩას, გზად აფენს...

ჭინკა იხდის ქორწილს,
დგას გორები ოქროს;
მიართმევენ სათალს,
კალმახსა და ლოქოს,
ნაირ-ნაირ ღვინოს,
ყუათიან ქოქოსს...

ის გვიყურებს ჯიქურად,
მერე იწყებს ციგნობას...
მღერის ჭინკა ჭინკურად
(ლირსეულად ჭირს მკობა!) —
„რა კარგია ჭინკობა!“
„რა ძნელია ჭინკობა!“

სახე როგორ შეუცვლია! —
მართლა მოჰვავს მწიგნობარს...
ყველას როდი შეუძლია
ჭინკობა და ციგნობა!

იგი გვიმზერს ჯიქურად
და... გვირგვინით ბალახის, —
საუკვდავოდ იმკობა;
თან იძახის ხმალალი: —
„რა კარგია ჭინკობა!“
„რა ძნელია ჭინკობა!“

1987 წ.

უსილავმა კარზე მოგიკაცუნა

უხილავმა კარზე მოგიკაცუნა,
ადექი და მიეგებე სტუმარს;
ოდეს ბედმა ეს სიკეთე გარგუნა,
ეგ ბაგენი ასე რატომ დუმან?

ადექ, ჩემო ნანდაურო სულისავ,
ნუთუ უკვე არაფერი გწადის?
ერთხელ მაინც ნატვრა აისრულე და
მერე... იქით... დამშვიდებით წადი.

ბაზრ მოლაშხია

ჩემო სულის ნანდაურო, გენუკვი,
გამოხედე კარზე მომდგარ სტუმარს...
მაგრამ... უკვე შენ მიღმიეთს ეკუთვნი
და ბაგენიც უსიტყველად დუმან.

1988 წ.

რაკი მახსოვს...

აქ ერთხელაც მისგან ვიგრძენ
წყენა, თითქოს უნებური...
რაკი მახსოვს, — თურმე დამრჩა
გული — ჩანაკლულებული...

ახლა ჩემი სანახიდან
რა ბუნდოვნად ჩანან მთები...
შიშით კრთება ბალახი და
გზისპირ ყრია ჩანათიბი...

ძველი ხედი გამოჩნდა რა —
გზაზე მხვდება დრო ბუზღუნით...
ტოტზე ჩიტი ჩამომჯდარა
სიმარტოვით მობუზული...

აქ, ამ გზაზე გამახსენდა
წყენა, თითქოს უნებური...
რაკი მახსოვს, — თურმე დამრჩა
გული — ჩანაკლულებული!
1988 წ.



გვანცას

გითვალთვალებს ზღვის მგვანი ცა,
ფრთა გაშალე, შვილო გვანცა,
მამაშენი დაიქანცა, —
ან შენია ვრცელი სივრცე!

შენი მზეა შუქთა მფენი,
ბორჯი გიცდის სულ ნათელი, —
მუდამ წმინდა, მუდამ მრთელი;
დრო სვიანად მოიმტკიცე!

გვერდს გიმაგრებს ორი ძმა და
სიანკარე დაგცქერს ცათა;
თუკი უამბა გამოგცადა —
გული მამულს უნდა მისცე.

1988 წ.

რა მოთმინებით დრო-ჟამს მივათრევ

რა მოთმინებით დრო-ჟამს მივათრევ,
ყოფნა არ ბრწყინავს სამშვენისებით...
რა არ ვიღონე, რა არ ვინატრე,
ვერ გადავდენე გზიდან ნისლები.

ისევ მიზიდავს შორი ვარსკვლავი
და წლებს ვიგონებ ჩამქრალ-ჩანავლილს...
მადლობელი ვარ, რომ შენ მასნავლი,
გავიგო ყოფნის ავანჩავანი!

ისევ მარიგებ — გავხდე სხვაფერი,
რომ სარფიანად შევძლო ცხოვრება...
მე კვლავ ბავშვივით მიყვარს ზღაპრები
და მთებზე ფიქრთა გადაცორვება!

1988 წ.

მე სიყვარულს არ ვიცვლი...

მე სიყვარულს არ ვიცვლი,
რაც ვიყავი — ისა ვარ!
სხვა ტრფიალი არ ვიცი, —
მხოლოდ შენი მზისა ვარ!
მწარე ლმობით მტკიოდი,
გული შენით კვნესოდა...
მე გუშინაც ვყიოდი —
თუკი ვინძეს ესმოდა!
დავლურს როდი ვუვლიდი,
ლიქნით გზას არ ვეძებდი;
ჩემში შენს მზეს ვუვლიდი —
ჩემი სიტყვით, შეძლებით...
ჩემგან სხვას რას ელოდი,
როცა შენმიერი ვარ;
გუშინ რაზეც ვმღეროდი —
დღესაც მასზე ვმღერივარ!

1988 წ.

არ შეიცვლება!..

რისი თქმაც გინდა, ხანდახან ვხვდები,
„— ვცოცხლობომ“, — ამბობ, როდესაც კვდები!
სატანა სიტყვას სხვა სიტყვით გიცვლის,
ხან ფიქრობ „ცრემლს“ და შენ კი წერ — „სიცილს“...
სიტყვა სხვა სიტყვით,
ფიცი სხვა ფიცით,
გზები სხვა გზებით,
სივრცე სხვა სივრცით
იცვლება
(ამ ცვლით იცლება სისხლიც!),
ჟამიც სხვა ჟამით იცვლება მიწყივ;
— არ შეიცვლება! —
— არ შეიცვლება! —
ენა სხვა ენით, მიწა სხვა მიწით.

1988 წ.

სამეგრელოვ, იყავ მთაიცელ...

„ჩონგური საქართველოა,
სიმები ჩვენ ვართ ყველაო“!
აკაკი

ბნელი ფერი ვერ დაფარავს
ჩვენს ცას — მზე რომ ასე ამკობს...
აყურადებთ დედაქალაქს
თქვენ — ზუგდიდო და სენაკო!

როგორ მინდა ნამუსითა
ჩემი თავი შემოგავლოთ, —
წმინდა ძარღვნო მამულისა —
ფოთო, ხობო, ჩემო გალო!

მტრები როდი დიდსულობდნენ —
ხოცდნენ ხალხს და წვავდნენ ჯიხას...
მამულის მზეს ფიცულობდნენ
აბაშა და წალენჯიხა!

ჩვენ ხვალ უკეთ გაგვიცნობენ,
რადგან არ ვართ დავარდნილი...
დგანან ფხიზლად და მკვირცხლობენ
ეს — ჩხოროწყუ და მარტვილი...

ერთგულთათვის გული გიცემს,
ხარ მემტერე ორგულისა —
სამეგრელოვ, იყავ მტკიცედ,
მძღავრო სიმო ჩონგურისა!

1988 წ.



ბაზრი მოლაშენა

რა ხდება ნებავ სინამდვილეში?

შინ ვართ თუ ვსხედვართ ლუსკუმ დილეგში, —
რა ხდება გარეთ, სინამდვილეში? —

ვინ მოდის ახლა მსუსხავ წვიმაში?
ზმანება... ცხადი... სიზმარ-მირაჟი...

ზის საკარცხულზე ვიღაც, ვით ლეში...

რა ხდება ნეტავ სინამდვილეში?

დღის ბედისწერა ფეთქავს დილაში...

ცხადი... ზმანება... ფერთა მირაჟი!

ო, რა გულგრილად ვცხოვრობთ ბინებში...

რა ხდება გარეთ, სინამდვილეში?

1988 წ.

ვიღაცისთვის ვიღაცა ვარ...

ვიღაცისთვის ვიღაცა ვარ,
მაგრამ... შენთვის კი არა...
იმ ღრუბელთა მიღმა ცაა
ურიოშო, კრიალა.

აქ კი, ქარი იკანრება...
არც ნაკლები, არც მეტი, —
იუცხოვეს ვიღაცებმა
ჩემი ძველი აქცენტი!

კვლავ ვითმენ თუ ფიცხლად ვწყრები —
შენ ხარ ჩემი მსაჯული;
ნუ განმსჯიან ვიღაცები —
სხვა სისხლის და სხვა რჯულის...

ვდგავარ. ღრუბლის მიღმა ცაა
ურიოშო, კრიალა...
ვიღაცისთვის ვიღაცა ვარ,
მაგრამ... შენთვის კი არა!

1988 წ.

თუკი უნდო მომეძალა,
ღმერთო, მხსნელი მომე ძალა!

დღეს სხვა საქმე გადადეო, —
მტერს სიკეთე გადადეო!

ფერუცვლელი მომე ფერი,
გაწვალებულს მომეფერე!..

ჩემი ჩემად მეჩემება...
მტერი რაღას მეჩემება?..

თუ კვლავ უნდო მომეძალა,
ღმერთო, მხსნელი მომე ძალა!

1988 წ.

რამდენიც გინდა...

რამდენიც გინდა იძველბიჭე და
რამდენიც გინდა — იყომარე...

აი, ის კაცი ტყვიას იჭერდა,
იგი ნამდვილი იყო მარე!

1988 წ.



ბაზრ მოლაშენა

არ მთამს მათი...

არა, მათი არ მჯერა, ან ვის სჯერა მათი, ვის?! —
მომლოდინე არა ვარ დაფასების, პატივის!

თითქმის თამაშნაგებულს — ვის ერგება პატი, ვის?!
არ მწამს მათი გაგების, ერთგულების, პატივის...

ცხოვრებისგან სიკეთის ვის აქვს ანდამატი, ვის?
მიმეწურა იმედი თანალმობის, პატივის...

მიყვარს აზრის ნათება რთულის, თანაც მარტივის...
უწვიმებოდ, უავდროდ უამინდებს მარტი ვის?!

თითქმის თამაშნაგებულს — ვის ერგება პატი, ვის?!
არ მწამს მათი გაგების, ერთგულების, პატივის...

1988 წ.

რა გვაძვს...

რკინისა არსებობს
ამა ქვეყნად სანამ ღობენი, —
რა გვაქვს
სამლერალ-სალალობონი?!

1988 წ.



იქ, სადაც...

„ეს აკვანი ბჟოლისაო,
შიდა მწოლი ბროლისაო“.
6. ნაკაშიძე

იქ, სადაც
წყალია მუქი და ბჟანტი, —
ნებივრობს
კამერი — წყნარი თუ ზანტი!

იქ, სადაც
ყვავილობს ლამაზი ბჟოლა, —
ფრთონავს და
შრიალებს ბალახი ჩქოლა.

იქ, სადაც
ბუდეა ნაშენი მკვიდრად, —
ჩაიწკრიალა
ჩიორა ჩიტმა!

იქ, სადაც
მლერიან, იქ, სადაც უყვართ, —
სიკეთის
მარცვლები იბნევა უხვად!

იქ, სადაც
ირწევა აკვანი ბავშვის, —
ვუყურებ
ნათელს — მთასა თუ ბარში...

1988 წ.



ბაზრობა

ამ ზამთარში ეს რა ცეცხლი უკიდია ბაზარს...
ხოცავენ და ყიდიან... ვინ ასრულებს აზარს!

ოლონდ მეტი მოიგონ, გაატყავონ ხალხი და
სხვა რა უნდა უგულო სპეცულანტს თუ დახლიდარს!

ყველას რაღაც სჭირდება... ყაყანია ბაზართან...
მიდიან და მოდიან... და, იწევა მაზანდა!

ხალხი რიგში ჩამდგარა — დალლილი და ნაჯაფი,
ზოგს სისხლიც არ გაუვა, რომც დასერო ნაჯახით.

მიმოვდივარ ბაზარში და ვესწრები ბაზრობას,
აქ მართლაცდა შეიგრძნობ ყოფნას, ვით უაზრობას!

ყიდულობენ... ყიდიან... და, ბაზარი შფოთავს...
— რა ძვირია! შე კაცო, დაუკელი ცოტა...

ეხვეწება მყიდველი, გამყიდველი დიდგულობს...
მე ვერაფერს ვყიდი და, ვერც ვერაფერს ვყიდულობ!
1988 წ.



პოეზიის კონცერტებს...

„კონცერტი... ძველსა შინა რომის რესპუბლიკასა
თვითონეულს წელს გამოარჩევდნენ ორთა კონცერტა,
რომელთაცა აქუნდათ ხელმწიფება, კნინღა
თანასწორი მეფისა“.

ნ. ჩუბინაშვილი

პოეზიის კონცერტებს,
სიყვარულით მოსულებს,
ჰყავთ მრავალი მოძულება,
რადგან ნიჭით ისჯებიან ისინი!..

ზოგი, ვითომც კონცერტი,
ღვარძლისათვის მოსული,
ბნელი ფიქრით მოცული —
ბრძენთაბრძენზეც მზვაობრობს და იცინის.

შურით დასწეულება
არის მისი ბუნება,
მარად, განუკურნებლად,
კი არ იწვის, გააქვს მხოლოდ შიშინი...

თქვენ კი... შენირულებო,
მობრიალე გულებო,
ნიჭით მარტოსულებო —
ვერას გავნებთ მოშურნეთა სისინი.

1988 წ.



უცცოგჩა ხმებჩა სივრცისკენ მიხმას...

რაც დამებედა — მეც იმას ვიღებ,
ხომ უკეთ უწყის არსთა განმრიგემ,—
ვის რა ეკუთვნის... ასე გავიგე
ამა ცხოვრების აზრი და სიღრმე!
გაავებული ნაგაზი მიღრენს, —
მისი კბილები ელავს მთვარისფრად;
როგორც ზარების ერთად დარისხვამ, —
უცნობმა ხმებმა სივრცისკენ მიხმას...
როგორც მორევი, თანდათან მიხვევს
უხმო ძახილი შეუცნობელის,
და უკან მრჩება ჩემი სოფელი,
ველი, მდინარე, წინაპრის ციხე...
რა ხდება იქით? — ვისაც არ ვკითხე,
ვერავინ გამცა ზუსტი პასუხი...
იქაც თუ არის, ნეტავ, ქარსუსხი,
დღე და სალამო, წვიმა და სიცხე?!
კვლავ წუთისოფლის ნაგაზი მიღრენს, —
მისი კბილები ელავს მთვარისფრად;
როგორც ზარების ერთად დარისხვამ, —
უცნობმა ხმებმა სივრცისკენ მიხმას!

1988 წ.

ოდეს ქართველს ქართველისა არ სწამს

ერთხელ მითხარ: — „ქვეყნად თავს ვგრძნობ მწირად,
თუმც ქართველთა მეც ვეკუთვნი ჯილაგს,
უცხოსავით მიყურებენ, ჯიმა!

ჩემს წინაპარს დაავიწყეს ჯიში,
ავჟამობით, განა წებით თვისით,
მაგრამ... ხომ ვარ თქვენებური სისხლით?

გვართან ერთად შემიცვალეს რჯულიც
და... წინაპრის ნაწამები სული
დროთა მიღმა კვნესის, გატანჯული!

ცეცხლი მიწვავს გულ-ღვიძლსა თუ ჯიგარს,
უცხოსავით რად მიყურებთ, ჯიმა,
მეც ქართველთა ხომ ვეკუთვნი ჯილაგს?..“

— ჩემო ძმაო, უნდა გითხრა ამ წამს,
ნურაფერი ნუ გაკვირვებს საწყალს,
რადგან ქართველს ქართველისა არ სწამს!

„გათიშეო“... ნათქვამია ძველი
(მუდამ ასე ირჯებოდა მტერი!),
ერად ვინ თქვა გათიშული ერი!

რაღას ვიზამთ ჩივილით და ოხვრით?..
ზოგჯერ უცხოდ მეც ვითვლები — კოლხი,
ბევრჯერ მომხვდა მწარე სიტყვა — კოხი!

ჩემს მამულში უცხოსავით დავალ,
რა აზრი აქვს კამათსა და დავას,
დავატარებ აქ... სატკივარს მრავალს!

უკეთ ვიცი, დამიჯერო, ვინძლო,
ჩვენ უცხო თესლს უფრო კარგად ვიძმობთ,
ვიდრე ერთურთს გავიტანთ და ვიგრძნობთ...

დაგვსდევს წერად: — უთანხმობა ძმათა!..
ვინ დაეძებს მტყუანსა და მართალს,
ოღონდ ნდობა მოვიპოვოთ სხვათა!

გულით მინდა რომ გამიგო ამ წამს,
ნურაფერი ნუ გაკვირვებს საწყალს, —
ოდეს ქართველს ქართველისა არ სწამს!..

1988 წ.

ბაური მოლაშვილი

ლამე ბაცდება...

ლამე ბაცდება, როდესაც
მზე მოიჩქარის მაღლით...
უკვე მისი ხმაც მომესმა
ყურუმი ფერით დაღლილს.

თითქოსდა ხორცის აღარ ვარ,
სული მიმიძლვის წინ და...
აღჩნდა ტაძარი — მაღალი
და ლოცვასავით წმინდა.

დრო გადის — დაუნახველი...
მზე მოისწრაფვის ჩვენსკენ!
გაუმხელელი ნაღველი
ცრემლად ჩამოსდით ფრესკებს.
1988 წ.

მირჩვნია...

მის ბამბის ჩხრიალს
მირჩევნია შენი კაკლები,
უაზრო რიალს —
შენი ჩუმი ყოფნა, საქები;
მის უგულობას —
შენი სულის ზღაპარ-საგები,
ცრუ მორჭმულობას —
სევდა წრთელი და გასაგები.

1988 წ.



ზღვაო

იმღელვარე, ზღვაო,
ზღვაო, იმღელვარე!
სხვა რა გინდა, სხვაო,
არ დამშვიდდე, ზღვაო,
ზღვაო, იმღელვარე!

რისი ღირსიც ვიყავ,
განა მომეზღაო...
უღვთოდ ნუ გამრიყავ,
ძალა მომე, ზღვაო!

კვლავ მეგუღვის შორეთს
ჩემი ფრინველიო;
ბევრი დამრჩა პოეტს
მოსახილველიო...

ზღვაო, იმ ერთ მხარეს
ვესტუმრები მერე...
ზღვაო, იმღელვარე,
ზვირთი აამღერე!

შენ არ იცი დაღლა,
ლელვით შენ არ ევნე...
მოქათქათე ტალღას
ტალღა მიადევნე...

დრო სატკივარს მისევს,
ზოგჯერ მართობს კიდეც...
და ქაფიდან ისევ
დგება აფროდიტე.

ისევ უხმობს გულებს,
ერთგულთ თვისას მოკრებს...
ზღვაო, იგუგუნე,
ზღვაო, იბობოქრე!

1988 წ.

რა პარგია...

რა კარგია გაზაფხულის ფერი, —
ამ დროს დგება სიყვარულის ჯერი,
ირგვლივეთი მწვანე სამოსს იხევს...
..... ყოველივე მღერის
და... სიბერეც მაშინ უკან იხევს!

რა კარგია გაზაფხულის სივრცე,
ღიმიღისთვის სწორფერს სულსაც მისცემ;
ხარ ლალი და ბუმბულივით მჩატე...
..... „შენ მიყვარხარ ისევ“ —
ამ სიტყვებში სუყველაფერს ჩატევ.

რა კარგია გაზაფხულის უამი,
ამ დროს მართლაც აღარ შხამობს შხამიც,
არ არსებობს არც მტრობა და შური,
..... აღარც კაეშანი;
მხოლოდ ისმის ფერთა შარიშური...

რა კარგია გაზაფხულის ფერი...

1988 წ.

გახსოვდეს იგი...

გადიან წლები.... ვერვისთან ვერ ძლებ,
ყველგან მარტო ხარ, ვიღაცას ეძებ;
არ მოგწონს ყოფნა, ვით ფუჭი კვეხნა...
..... ნუთუ ვერ შეძლებ
შენც მავანივით იცხოვრო ქვეყნად!

მიიწურება დღე — მზის მტევანი
და მოვა ღამე გაუთენარი;
გზად შენეული ჩქამიც მიწყდება
..... და ... უთმენარი
სული ეკლებზე დაიფხრინება!

ხანა სტუდიაცომისა

დაცხრი! დაწყნარდი! იყავი მშვიდი,
დრო უშენოდაც მოდის და მიდის;
ხარ მომწყვდეული ვინრო ხაროში...
..... გახსოვდეს იგი, —
რაც მარადია ამ სამყაროში!

1988 წ.

კვლავ გვაღირსე, უფალო!

ნერვი დაწყვეტილია...
მთები დამეწყრილია...
ვინ შეგიკრავს ამ ულოს?
..... ილია
დღეს გჭირდება, მამულო!

ფითრი აკრავს ხილიანს...
ვაზი აჩეხილია...
ვდგავართ უხმლოდ, უფაროდ...
..... ილია
კვლავ გვაღირსე, უფალო!

1989 წ.



გარდასაქმნელი რა მჭირს...

გზაზე მედროვე ვიცანი,
ვხედავ გუნება აჭრილს, —
გარდასაქმნელი ვინც არი...
(გარდასაქმნელი რა მჭირს!)

ლექსს ჰყიდდა ყოველ ცისმარე,
კუდისქიცინით, მანქვით, —
გარდასაქმნელი ვინც არი..
(გარდასაქმნელი რა მჭირს!)

„ვართო ბედნიერ-სვიანი“,
სტყუოდა ჩანგი ვაჭრის, —
გარდასაქმნელი ვინც არი...
(გარდასაქმნელი რა მჭირს!)

მტვირთველი ცოდვებისანი, —
დღეს სიტყვას ამბობს სხვა წრის
გარდასაქმნელი ვინც არი...
(გარდასაქმნელი რა მჭირს!)

რა ვნახე, რა საზიზლარი,
ლაჩარი ისვრის ისარს;
გარდასაქმნელი ვინც არი
გარდაქმნას ითხოვს სხვისას!

1989 წ.



ზუგდიდის ხეივანი

შუა ქალაქში ისმის გაბმით ხეთა შრიალი,
ალიონიდან
აქ ფრინველებს გააქვთ ურიალი.

შუა ქალაქში, ხეივანთან, დგას რაფიელი,
ხედავს ყველაფერს —
ვის როგორი აქვს სარბიელი...

და... ხეივანი მდუმარებს თუ ისევ შრიალებს, —
ქალაქს ფიქრები
მოფიქრალთა თავს დასტრიალებს.

სადღა მოისმენ ისეთ რამეს — აქ რომ გეტყვიან,
ეს ხეივანი
ქალაქისთვის ბარომეტრია!

დილის ჟამია, შუადღე თუ დამე უკუნი, —
აქ, სადღაც დადის
ცოგნე ბიჭი — ამ საუკუნის...

აქ, ხეივანთან ერისთავი დგას რაფიელი
და ხედავს —
ქართველს რანაირი აქვს სარბიელი!

1989 წ.



ჩემი ყოველი არის

ჩემი ყოფნა არის,
დღეს ჭას ვგავარ ცარიელს,
ვეღარ ვეტყვი დამაშვრალს: —
..... დალიე!..
გულზე წყარო დამაშრა!

ადრე აპრილს მოჰქონდა
ამო რხევა ფოთოლთა...
დღეს მტრის მახლავს ამქარი...
..... გოლგოთას
ჰგავს ცხოვრება ამგვარი!

ბარებით და გაზებით
მონამლულს და დაზეპილს —
რა ამინთებს იალონს?..
..... ამ გზებით
აწი როგორ ვიარო?!

ჩემი ყოფნა არის,
დღეს ჭას ვგავარ ცარიელს,
ვეღარ ვეტყვი დამაშვრალს: —
..... დალიე!
გულზე წყარო დამაშრა!

1989 წ. აპრილი



ეს გზა ტაძრისკენ მიდის!

სივრციდან ნელა გადადის ბური,
უკვე გამოჩნდა ხიდი...
ცხრა აპრილის გზა —
განწმენდილ გულით
წმინდა ტაძრისკენ მიდის!

აღრჩობს ბარბაროსს ბოლმა და შური, —
რომ ხარ მღელვარედ მშვიდი...
ცხრა აპრილის გზა — წამების შუქით
მხოლოდ ტაძრისკენ მიდის!

გადაგისერეს ბარით ძარღვები...
დღემდე ტვირთმძიმედ ვლიდი...
ცხრა აპრილის გზა — გზა ამაღლების —
ახლა ტაძრისკენ მიდის!

გადაურჩები ველურთა ხროვას
(დევებს თავებს ხომ სჭრიდი?..),
წმინდანთა სისხლით მნათი ამოვა, —
ეს გზა ტაძრისკენ მიდის!

გადაიკრიფა სივრციდან ბური,
უკვე ხათლად ჩანს ხიდი....
ცხრა აპრილის გზა — განწმენდილ გულით
წმინდა ტაძრისკენ მიდის!

1989 წ.



ბაზრ მოლაშენა

სიყვარულის სახელით

აზრი მაშინ ექნება ნაფიქრსა და გამხელილს,
თუ ვიცხოვრებთ, ვიუბნებთ სიყვარულის სახელით!

განვიწმინდოთ, ავმაღლდეთ, შური ვძლიოთ მსახვრელი —
ერთმანეთის, ერთმანეთის სიყვარულის სახელით!

ვიტიროთ თუ ვიცეკვოთ თუ ავაგოთ სახლები...
იყოს სუყველაფერი — სიყვარულის სახელით!

ავიტანოთ ტკივილი... უამთა მკაცრი სახრენი...
მამულს მოვემსახუროთ სიყვარულის სახელით!..

ჩვენთვის მუდამ მთავარი იყოს მხოლოდ საქმენი...
ერთურთს ველაპარაკოთ სიყვარულის სახელით!

ხმა ერისა გვესმოდეს, ნუ გვაცდუნებს სხვა ხმები...
თუ მოვკვდებით, — ხამს მოვკვდეთ სიყვარულის სახელით!

აღარ უნდა ვიმღეროთ, როცა არ გვაქვს სამღერი...
მტერსაც მტრულად დავუხვდეთ... სიყვარულის სახელით!

მაშინ დაგვიჯერებენ ნაფიქრსა და გამხელილს,
თუ ვიცხოვრებთ ამქვეყნად სიყვარულის სახელით!
1989 წ.

ოდეს მივდრკეპი...

მრუმე ნისლისგან, დროო, დამიხსენ, —
კლდეს მიაფინე, მიაკარავე;
მახილვებინე დიდი ხვალის დღე,
ვით ლამით ვარსკვლავთ სიაშკარავე...
ოდეს მივდრკები უნდო უამისგან,
მიმეწურება მზე სხივენარი, —
ერთხელ მაჩვენე, თუნდაც წამისად,
ის „ხვალე“ — ჩემთვის გაუთენარი.
1989 წ.

ახლა მინდა, რომ...

ხელში მიჭირავს წიგნი გრანელის,
წვიმს და წვიმს.

წვიმამ გადაამლაშა...
არის ამინდი აუტანელი,
როგორც დიაცი — შლუ და ალაშა.

გაწვიმისფერდა სივრცე, მიდამო,
ოთახსაც წვიმის ერთვის ბგერები...

და,
გასაოცრად ახლა მინდა, რომ
მესმას სიმღერა ბედნიერების!

1989 წ.

რაგინდ...

რაგინდ უამმა გადაგრიყოს, —
ვეღარ ჩაკლას შიშმა გენი...
მითხარ:

რალამ დაგავიწყოს
ავთა გულთა სიშმაგენი?

1989 წ.

პერ ხომ ადრეა...

ჯერ ხომ ადრეა...
უკვდავებისთვის
ჯერ არ მცალია...
უკრავს მერმისი
ახალ სხივებზე
და ცხადლივ მესმის
როგორ ლივდება
მომავლის თესლი...

1989 წ.

ბაზრ მოლაშენა

ყველა ბუჩქიდან...

ყველა ბუჩქიდან
თუ ყლორტიდან შენ იხედები,
მტერს აბრმავებენ
შენი მთები, შენი ხედები,

შენი კოშკები,
ვენახები, შენი ჭალები,
შენი სივრცენი —
დასავანი იდუმალების;

შენი შვილები,
შენი ზღვა თუ წმინდა მწვერვალი...
ბრმავდება შენი
მოშურნე და დამაწყევარი!

1989 წ.

მიღის, მიხვარჩალებს...

მიღის, მიხვარჩალებს ხევდახევ დელე,
ტანში გასჯდომია სინედლე თხმელებს;

ხანდახან ჩიტები დაფრენენ წყვილად...
გაღმიდან ყვავილი მაცდურად ბრწყინავს.

1989 წ.



ჯადო პერიია ძირძველ ქუთაისს

ავთანდილ ყურაშვილს, ზაალ ებანოიძეს, ირაკლი ბაზაძეს

იმ დღეს თვალებში ჩაგზედე სიკვდილს,
 როგორ გადავრჩი — მე ისევ მიკვირს...
 (ის, ღამღამობით, ახლაც მაღვიძებს!)
 იმ ღამეს თითქმის
 გადავინაცვლე გალმა ნაპირზე!

თურმე შვილები შიშმა დაქამა...
 მე გახსენებაც მიმძიმს ამჟამად
 ბავშვთა ცრემლების — გულის მთუთქავის...
 ლამის დამშალა
 ზენამ და... ლამის ჩავრჩი ქუთაისს!

სდიოდა სისხლი გადაჭრილ ძარღვებს...
 უკვე ვერ ვგრძნობდი სისხლისფერ ნახვევს!
 მკრავდნენ ძაფები, როგორც ულონი...
 ბურანში ვნახე, —
 მოდგნენ კაცები უსხეულონი...

თან მიცინოდნენ, როგორც ზლაპარში,
 თან მომაძალეს ღვინო — ნაქაჩი;
 ვიყავ მიღმიურ ზლურბლთან მისული...
 და, როს გადავრჩი,
 ვიგრძენ სინაღდე ქუთაისური!

და... გამიარა — რამაც დამჟამა,
 აღმშენებელმა აღარ დამშალა,
 ვიგრძენ წყალობა ცათამქუფრავის...
 მივხვდი, აშკარად
 ჯადო ჰქონია ძირძველ ქუთაისს!

1989 წ.

ჩამომასესევ...

ჩამომასესხე ცოტა იმედი,
ცოტა სინათლე ჩამომასესხე,
თორებ ჭოროფით — ხშირი წვიმებით
ჩამოხმა ეს ხეც!

ჩამომასესხე სითბო პანია —
გათბეს გული და ლექსის პწკარები...
მე ის კაცი ვარ,
კვლავ უანგაროდ რომ ეყვარები...

ჩამომასესხე მინდვრის სურნელი
და მთის სიმაღლე...
შენზე ვიფიქრებ დაუსრულებლივ
და ჩემს ყისმათზე არც დავინაღვლებ.

ჩამომასესხე
თბილი ამინდი — მაისის ცვრებით...
თორებ უმზეოდ ჩამოხმა ეს ხეც, —
ორივე წავალთ და მივიცვლებით!
1989 წ.



გაზაფხულის დილა სერზე დაიყივლებს

გაზაფხულის დილა სერზე დაიყივლებს,
გაზაფხულის დილა ან წუგეშად მოვა.
დაგავიწყებს ყოფის ხორმაქსა და ყინვებს
და გაახლებს ყველას — ვინც კი მიგატოვა.

ისევ შეგახსენებს დავიწყებულ მოტივს
და მოისმენ კვლავაც შრიალს მუხიანთა...
როგორც ბურუსიდან — მომავლიდან მოდის
და მოარღვევს სივრცეს შუქი უხილავთა!
1989 წ.

ტყიდან ჭირები იძახდეონ — ჭიტას

... ტყიდან ჭინკები იძახდნენ — ჭიტას,
ფეხს ედებოდა ნიავს ფეშერი...
ზაფხულში, როცა წვიმდა და წვიმდა,
ტყეში მუხლამდე იდგა ლეჟერი...

დააცხუნებდა ციდან ოდეს მზე, —
გამოისმოდა ტყიდან შუვილი...
ორთქლი თუ ნისლი — ხეთა ტოტებზე
იყო გაშლილი აბრეშუმივით.
1989 წ.



ბაზრ მოლაშენა

ჯერ კიდევ ვცოცხლობ...

მართლაცდა არის ცხოვრება შარზე,
გაუფიქრებელს ყინჩიად მაპრალებს...
თუ დავეცემი სადმე — შარაზე, —
ვერ ამოვავსებ ყოფის ნაპრალებს!

დამშლის, დამღეჭავს დრო ლუკმასავით,
თითქოს ვიყავი და არც ვიყავი!
მოუხილავი მრჩება ვარსკვლავი
და ხვალის წიგნი — წაუკითხავი.

მთვარე აბოლებს ჩიბუხს ღრუბლებად,
სივრცის ლაჭანზე დრომ ითამთამა...
ჩანან ხეები ჯერ ბინდბუნდებად,
შარაგზას გასდევს ვინრო თანთანა.

მთვარესთან ერთად დამყვება ჩრდილიც
(გზაო ყოფნისავ, ნუ დამოკლდები!),
ჯერ კიდევ ვცოცხლობ, ჯერ კიდევ ვივლი
და სიკვდილამდე მეც არ მოვკვდები!
1989 წ.

ვაი ნანა, მახარია...

ვაი ნანა, მახარია,
ვაი ნანა, შურიგე,
იარაღი, რა ხანია,
შენს მტრებს ჩამოურიგეს!

რომ გესროლონ ზურგში ტყვია,
ფლიდის ულმობელობით...
თითქოს არცა გაგიგია,
თითქოს არცა ელოდი.

არ გწამდა, თუ გაგწირავდა,
თითქოს ძველი მოყვარე,
ზიზღით, ბოლმით, დამცინავად,
სისხლით გზები მოღვარეს!

უფარშუბოს, დიაცურად
თავს დაგესხნენ, თოლიგე...
(მტრობით მაღლა ვინ ასულა,
მტრობით ვინ რას მოიგებს!)

ვაი ნანა, მახარია,
„ძმობის“ სენით სნეულო,
ირგვლივ უნდო ყაყანია,
შენ კი ითმენ, ეულო!..

ფარისეველს ძმას ეძახდი,
კარგად ვერ გაგიგია...
მტერს ამიტომ მზად ვერ დახვდი —
ვით წესი და რიგია!

რატომ მოიტყუე თავი!
ვინც შენს სახელს ბლალავდა, —
სხვისი ზურგით გამბედავი —
სიძულვილს ვერ მალავდა...
რახან მოიტყუე თავი,
მანაც დაგაღალატა!

ცის დამექცა თაღი თუ რა?..
მსდის ღალატით სისხლი მე...
ის გიმზერდა თაღლითურად,
შენ კი არ შეისმინე!..

კვლავ არ მოიტყუო თავი,
გეცვას რკინის პერანგი,
კვლავ არ ძოადუნო მკლავი,
მტერი ყუჩიბს ვერაგი!

გაუტე მოლაშხია

შენი სული მაღალია, —
მოშურნეთა შური გდევს...
გამოცოცხლდი, მახარია,
გამოფხიზლდი, შურიგე!

შენს მახვილსაც დრო ალესავს,
ჟამს ეწევი ილბლიანს...
მტერს უფრთხილდი — მოყვარესა,
მტერს უფრთხილდი — ნილბიანს!

მოთმინებით წვალობ დღემდე...
ბრძოლა იგებს, თუ იგებს!
წამოდექი, წამოენთე,
წამოფრინდი, შურიგე!

1989 წ.

წინ ისევ პაცვის ხიდია!

აქეთ უფსკრული, იქით უფსკრული,
შუაში ბეწვის ხიდია!
სმენამახვილი და გალურსული
მგზავრნი წალიკად მიდიან...
პირდალებული იცდის ურჩხული —
იქნება ვინმე გადაცდეს...
ორივე მხრიდან ფშვინავს უფსკრული —
რაღა გამოლევს განსაცდელს...
ჰა, ვიღაც მოდის, ვით მონუსხული,
მიშტერებია ცის ტატნობს;
მაგრამ არ იცის, მშვიდი ჩურჩულით
საითკენ მიდის ის ამ დროს!..
და... მოთმინებით იცდის ურჩხული,
წინ ისევ ბეწვის ხიდია!..
სმენამახვილი და გალურსული
მგზავრნი წალიკად მიდიან...

1989 წ.

არ გშურდა სხვათა ზეცა — კრიალა...

არ გშურდა სხვათა ზეცა — კრიალა,
ზოგთა ცხოვრება — მართლაც უთოშო...
შენთვის საწუთრო ჰეგავდა უთოსო —
თავზე რომ უღვთოდ გადაგიარა!

გაუთოებულ ფიქრს და სურვილებს —
უფრთო ფრინველებს, — დაატარებდი...
უკვე ნაცნობი ხმა მატარებლის
მგზავრობას კვლავ ვერ მოგაწყურვილებს!

დაჩუტულია შენი კარავი
და არ გიჭირავს თვალი შარაზე;
უკვე არ ფიქრობ გულანშაროზე
და არ შემოგრჩა თითქმის არავინ!

უკვე არსაით შველას არ ელი,
ჩაქნეული გაქვს ხელი მერმისზე...
დღემდე ცხოვრებას შენ ვერ ეღირსე,
ხვალემ რა გითხრას გასახარელი?!

რამ ააჭრელა ასე ქვეყანა!
მისანდომელიც გაგეთალლითა...
უნდო საწუთრო შენ რას დაგლლიდა,
უცებ მოყვარეს რომ არ ეგანა!

არ გშურდა სხვათა ზეცა — კრიალა,
ზოგთა დღეები — მართლაც უთოშო...
ცხოვრება ჰეგავდა მძიმე უთოსო, —
გაგასწორა და გადაგიარა!

1989 წ.

დგას ნასახლართან ჩემი წარსული

ვარ ფიქრში უხმოდ დაყუდებული,
არის სურათი — დარღეწვეული,
ეზოში ძალლი აყმუვლებული
და მამის ოდა — ნაცრად ქცეული...

ლობესთან კვნესის ხე გაძარცული,
(გაინაწილეს ზეცა ღრუბლებმა...)
დგას ნასახლართან ჩემი წარსული
და ნაღვლიანად მესაუბრება.

1989 წ.

შემოდგომისათვის იცდის ახეული

მზე დაჰყურებს ხმელეთს — მიწყივჟამეული...
შემოდგომისათვის იცდის ანეული!

მხურვალეა სივრცე — ოქროგარეული...
შემოდგომისათვის იცდის ანეული!

ხნულზე დაბარბაცებს ქარი — მთვარეული...
შემოდგომისათვის იცდის ანეული!

1989 წ.



დამიბერდა დედა...

დამიბერდა დედა,
როგორ დამიბერდა!
თურმე ძლივსლა დგება
სუსტი, ხანდაზმული...
როგორც გამოვჩნდები —
ლამის აფრინდება —
ხშირი ნაოჭებით
შუბლი დახაზული.

მიცუხცუხებს უცებ
ლომის მოსატანად
და ვგრძნობ, როგორ უცემს
გული მილეული...
ტაფამწვარი, ყველი
(ჩუმად მღლოცავს თანაც)...
და დამჭერარი ხელით
მოაქვს ტკბილეულიც.

მერე კითხვისნიშნად
დამიჯდება თვალწინ,
ვამბობ: — არა გვიშავს...
ვცხოვრობთ სამი შვილით...
ის კი — ოთხის დედა
მისმენს, როგორც ყმაწვილს
და ვით შემოხედვა —
აქვს თითები თბილი!

ავიწყდება ძველი
სევდა, ტკივილები
და ცხოვრება ძნელი —
რაიც გულზე აზის...
ცრემლით შესამჩნევით,
თანაც ლიმილებით —
მიმზერს დედაჩემი —
შვილს უმამოდ გაზრდილს!

ბაზრ მოლაშენა

დამიბერდა დედა,
როგორ დამიბერდა!
თურმე ძლიესლა დგება
სუსტი, ხანდაზმული...
როგორც გამოვჩნდები —
ლამის აფრინდება, —
ხშირი ნაოჭებით
შუბლი დახაზული.

1990 წ.

სევდის მტერი — ბახუსი

(ხუმრობისნაირი)
ედუარდ ფალიანს

„ვინ აწვება კარებს, ტო?..“
ხმა კითხულობს მეგობრის...
ვუსმენ ქარის კამერტონს,
ისე, დაუდევრობით...“

„ვინ აწვება კარებს, ტო!..“
შფოთავს უხმლო, უფარო...
„ხელს ნუ მიაკარებთო
ჭიქას ტყუილუბრალოდ!..“

სძინავს.
ძილშიც ქეიფობს, —
ქარის ქროლა-ბრახუნში...
გამარჯვებას ზეიმობს
სევდის მტერი — ბახუსი!

1990 წ.

ვიცოდეთ მაინც...

„ვერ შევაგროვეთ საყოფად სისხლი —
ტყვე საქართველოს გამოსასყიდი“.
ტ. ჭანტურია

გაიგოს ხალხმა (ცოცხალ ვართ ვიდრე!),
ვინ სად ვიდექით ანდა რას ემკიდით...
რამდენი სისხლი გვჭირდება კიდევ
— ტყვე საქართველოს გამოსასყიდი?..

ვიცოდეთ მაინც — ვისი რა გვმართებს,
რომ ჩამოგვცილდეს მტერი — სასტიკი...
რამდენი ტანჯვა სჭირდება ქართველს
— ტყვე საქართველოს გამოსასყიდი?..

ეს დრო — ორპირი — ჯერ კიდევ ძალობს,
ჯერ კვლავ უმწეოდ ტირის ამური...
რამდენი გარჯა გვჭირდება, ძმანო,
რომ დავიბრუნოთ ჩვენი მამული?

ეს ხე ფოთლებად იმედებს ისხამს
თუმცა კვლავ სუსხობს ჟამი — სასტიკი...
კიდევ რამდენი გვჭირდება სისხლი
— ტყვე საქართველოს გამოსასყიდი?
1990 წ.



დგას აპრილი უჩვეულო...

ცას გავყურებ — ცრემლით ნამზერს,
კვლავ ციმციმებს სხივი ნამზე;
სივრცე მოჩანს სარკესავით...
..... შავბნელ ჟამზე
ვინ მოლიოს საკვნესარი!

გული შვებას გულთან ეძებს,
ქარი ყვავილს ფურცლავს ველზე;
დგას აპრილი უჩვეულო...
..... რუსთაველზე
ოხრავს ხალხი უსხეულო!

განა არის ნასხვისარი,
ეს ჩვენია! — ნასისხლარი
ქუჩა, სკვერი, სახლი, ეზო...
..... აქ ისხარი
სისხლიანი ანთხიესო!

გულს ლახვარი აქ მიესო,
აქ საკმელი აკმიესო
და... ამაღლდა ცად — ვნებული...
..... აქ იესო
იყო ჩვენთვის წამებული!

ცას გავყურებ — ცრემლით ნამზერს,
ისევ ბრწყინავს სხივი ნამზე;
სივრცე ელავს სარკესავით...
..... შავბნელ ჟამზე
ვინ მოლიოს საკვნესარი!

1990 წ.



გადადის პნელი...

გადადის ბნელი,
 თუმც ხილულეთს მაინც ეწვდება,
 მიწა კი ფეთქავს
 და სიმშვიდეს ცას ეხვეწება...
 ყუჩობს იძვრისა...
 გაყურსულა ყოვლი ხმიერი...
 მოარღვევს სივრცეს
 მახარობლად შუქი ციერი!

1990 წ.

სონეტი ჭიათურისადმი

ცათა კარიბჭესთან სხივები ჭიატობს,
 სხივებმა სივრცენი გააჭიატურა...
 გულს დაავინყდება განა ჭიათურა —
 მან ერთხელ ზღაპარი სიზმარში მიამბო.

შორს ერთი ვარსკვლავი ციმციმებს, კიაფობს...
 („ძველი გამახსენა დარდი ჭიანურმა...“)
 დრომ სწრაფად სათქმელი გამიჭიანურა
 და უნდა ძვირფასიც რომ გამიიაფოს!

ქართულ ცას თანდათან შორდება ბურუსი,
 მას უმზერს სხვაგვარად ალანი თუ რუსი,
 მას ბევრჯერ უნახავს დრო-ჟამი ნავსური!..

მან სულით გაძლო და... ზენაარს მადლობა!
 ჩვენს მამულს ან ვერას დააკლებს ავსული, —
 თუ შეძლო ქართველმა ქართველის დანდობა!

1990 წ.

გარეთ მიცდის უღალატო ცხენი!

ვერ გებულობ, რომელია წრფელი,
კაცს ვერ იცნობ მარტოოდენ ცქერით...
ჩემსას გეტყვი, მეშინია რისი, —
გარეთ მიცდის უღალატო ცხენი!

შემომყურებ ამრეზით თუ წყენით,
ვგრძნობ, განვება გულზე სისხლი ცხელი,
ახლოვდება დაქუხების ჟამი...
გარეთ მიცდის უღალატო ცხენი!
უნდობლობამ მთლად დაგრია ხელი,
ვერ გიცვია მოყვარე და მტერი;
გონს მოეგე!.. მე მივდივარ უკვე,
გარეთ მიცდის უღალატო ცხენი!

1990 წ.

დღემდე ვპოულობ
რაღაც მეტ-ნაკლებს,
მაგრამ ჯერ მთავარს ვერ მივაგენი...
სცენაზე დგამენ
ნაცნობ სპექტაკლებს
და... მსახიობიც არის რამდენი!
ნიჭიერებიც
და... უნიჭონიც, —
ერთად არიან, ერთად — სცენაზე...
ხან ბრიყვის სიტყვა
ისე იწონის,
თითქოსდა ეთქვას იგი ენამზეს!
ვეძებ... ვპოულობ
რაღაც მეტ-ნაკლებს,
კვლავ უმთავრესი მრჩება უთქმელი...
სცენაზე დგამენ
ნაცნობ სპექტაკლებს
გამოცდილიც და გამოუცდელიც!

1990 წ.

ეს რა ხმა ისმის...

ეს რა ხმა ისმის, რა ამო,
 თითქოსდა სივრცე წერიალებს;
 შეუდალებულა სალამო,
 დასავლით რაღაც ციალებს.
 გაყურსულია შორეთი...
 მღერის გოგონა ვარსკვლავა:
 — „სიყვარულისთვის მოვედი,
 უსიყვარულოდ არ წავალ!..“
 1990 წ.

ვუფრთხილდები ჩემში პოეტის...

„ავსა კარგად ვერვინ შესცვლის,
 თავსა ახლად ვერვინ იშობს“.
 რუსთაველი

ვიცი, ტყე ისაზღვრება
 ბოლოხით და თავხეთი...
 ხშირად კაცი ფასდება
 უხამსი და თავხედი!
 წლები მაკრავს შრეებად,
 ვარ დროებით წვეული...
 ვაი, რა მეშველება, —
 დავალ თავდაწეული!
 სითავხედე ვერ დამყვა,
 ხმას ვერ ვუწყობ ყველა ხმას...
 რაც ვარ — ეს ვარ! გეთაყვა,
 „თავს ვინ იშობს ხელახლა!“
 და... გასაჭირს ვიტან ყოველს,
 ვივწე, რაიც ღირს ვნებად!
 ვუფრთხილდები ჩემში პოეტს
 და... კოლხებაცის ღირსებას!

1990 წ.

უკვე ვეღარ ვუძლებ ლოდინს...

„ერთხელ ჯობია სიკვდილი,
ნიადაგ დალონებასა“.
ხალხური

თუკი ბედი განიწმატდა,
წავალ, წავალ, არ დავიცდი...
ერთი-ორი კაცის მწამს და
ერთი-ორი მართლა ვიცი! —
გული ნაღდად დასწყდებათ და
უსიტყველად განიცდიან...
მათ იციან, რაც მეწადა,
რაც მინდოდა, მათ იციან!
უკვე ვეღარ ვუძლებ ლოდინს,
ალარ მყოფნის მოთმინება...
დამედება გულზე ლოდი,
ქარი დამეფოფინება...
ცად ღრუბლები ლაგდებიან,
ნისლი მოჩანს ბალიშივით —
თავდახრილად დადგებიან
ვაჟები და... ქალიშვილი
აკივლდება კოლხურ ხმაზე,
მაშინ გულქვაც ატირდება;
გააშეშებს მომხდურს გზაზე, —
ისე მწარედ აკივლდება!
ყვავილები დახვავდება...
მერე... წავლენ... გვიანდება...
სივრცე კვლავაც აყვავდება,
მზე კვლავ ამომზიანდება!
გამოაფენს ველი ფერებს —
მოუხნავიც და მოხნულიც...
გული უკვე ვერ იძგერებს —
უჟამობით გამოხრული!

1990 წ.

მოყვასის ძაპის ერთგული ვრჩები

გზაზე ვდგავარ და...
მივდივარ საით? —
მოყვასის ვეძებ და... ვიპოვი სადმე?
დღეს დამემგზავრა
დილიდან სვავი,
ნეტავ ვიცოდე, სად ის და სად მე?

სვავს სურს სვავობა
დამალოს თვისის,
მხრებზე მოუსხამს ბუმბული მტრედის.
მაგრამ აყივლებს
ჯიში თუ სისხლი
და უნდა ლეში საწყალი მკვდრების!

მე მის ჯინაზე
წინ მივალ ისევ,
ის კვლავ პირნასი — მომყვება გვერდით...
უფალო, ჩემს ხმას
ოდნავ თუ ისმენ,
უმორჩილესად ამასლა გვედრი: —

ჩამომაცილე
ამ გზიდან სვავი,
უმრავლე მტრედი ჩვენს ცას თუ ხმელეთს...
მერე კი, მერე...
ჰა, ჩემი თავი, —
გულზე უსიტყვოდ დავიკრეფ ხელებს...

გზაზე ვდგავარ და...
მივდივარ საით? —
მოყვასის ძებნის ერთგული ვრჩები...
ჯერ ფრთხილად მომდევს
პირნასი სვავი
და მას აშინებს სიცოცხლე ჩემი!

1990 წ.

ბაზრი მოლაშენა

უყურებ ცის ცას...

უყურებ ცის ცას. გესმის ცათა შორით გალობა...
ისევ გაოცებს იდუმალის იდუმალობა!

უსასრულობას სხივთა ძაფით თითქოს მოები...
განამცეცებენ სიდიადით სამყაროები!

მზერაუწვდომი სივრცეები შორეთს სუნთქავენ
და გეზმანება სხვა სიწმინდე და სისუფთავე!

მაგრამ აქ რჩები... ნეტავ სული რას ეთვისება?
დრო მიდის, მიდის, სინანულით მიინისლება!

1990 წ.

სივრცეს შეავლებს თვალებს ფეთიანს

სივრცეს შეავლებს თვალებს ფეთიანს
და გარბის, თითქოს მისდევს მდევარი;
ტანზე ძველმანებშემოფლეთილი
და ხისქვეშ ღამე განათევარი...

ჩამქრალ-ჩამკვდარა თვალთა უპენი,
უკვე ვერც კი ცნობს ნაამხანაგარს...
იგი გასწირეს დასაღუპავად, —
არც ბინა მისცეს და არც ხანაგა!*

1990 წ.



* ხანაგა — „ობლების საკრებულო სახლი“ (საბა)

რა დავაშავე, მამცე, უფალო!

ზედმეტმა სიკეთემ დამღალა,
დამღალა ამდენმა მიტევებამ...
მზე შუბის ტარზე დამდგარა,
გულში სინანული იმტევნება!

ვაი, ვინც დაენდო სხვის ნებას,
ვაი, მასპინძლად
ქცეული სტუმარი!
მტრად მომექიდნენ —
მოსულნი ხიზნებად,
მომთხოვეს
სამკვიდრო და სასთუმალი!

რა დავაშავე, მამცნე, უფალო,
ჩვენთვის წამებულო, ყოვლად მარადო...
საკუთარ თავზე ვიჭირისუფალო,
თუ ხელში მახვილით აქ დავდგე ფარადო!

უფალო! მოთმენამ დამღალა,
კაცი ვარ!
დამღალა მიტევებამ...
მზე შუბის ტარზე დამდგარა,
გულში შურისგება იმტევნება!

1990 წ.

იცვლება ყველა...

იცვლება ყველა... დროა ასეთი...
(ცერად მიცურავს ცივი საკაცე...)
ვნახე: ცხენდაცხენ მობაასენი
შადიმანი და გ. სააკაძე!

1990 წ.

გაუტ მოლაშენა

სიმართლის მთემალი ცხოვრობს უცხენოდ

ეძემ კვირტიას

სიმართლის მთქმელი ცხოვრობს უცხენოდ,
მას არ სჭირდება ახლა ცხენი და...
უბრად გვხვდებიან,
როგორც უცხონი, —
ჩამოსულები დროის სცენიდან!

ხომ თამაშობდნენ ზოგნი ლამაზად,
ზოგნი ძალით და ზოგნი ცბიერად;
ზოგს კი გვაბჯენდნენ ყელზე დანასაც,
ზოგი გადარჩა,
ზოგი უამმა გააციერა!

ზოგნი ვცხოვრობდით მოუსყიდველად, —
რათა ეს სული გადაგვერჩინა!
ჩვენი სახელის მოუყივნებლად
უპოვარივით ყოფნა გვერჩივნა!

ჩიტიც სიმღერას ვეღარ მღეროდა,
მყაცრ გალიაში დარდად ქცეული;
ფრენაზე ფიქრით ცას გასცეროდა
ფრინველი,
ფრენას გადაჩვეული!

სივრცეს ელტვოდნენ ჩვენი გულებიც,
სივრცეს გავმზერდით ქარის აფრიანს...
ფრენას ვცდილობდით ფრთებშეკრულები,
ფრთა გაგვეხსნა და...
ვეღარ დავფრინავ!

სიმართლის მთქმელი ცხოვრობს უცხენოდ,
მას არ სჭირდება ახლა ცხენი და...
უბრად გვხვდებიან, როგორც უცხონი, —
ჩამოსულები დროის სცენიდან!

1991 წ. მაისი

პედისერისთვის პასუხს არ აგებ!

პეტერას

შენ ვნება გქონდა
მოუთოკავი
და შენი ლტოლვა
იყო მძაფრი, უკიდეგანო;
თან მიმზიდველი
იყავ ისეთი, —
არავის ახსოვს
რომ ხორციელს შენთვის ეგანოს...
და შენც ველურად
აფეთქებული —
თავდავიწყების
ჩამთრევ მორევში
დაუოკებლად წინ მიცურავდი...
ყოფნის ფარდაგზე —
ფერად სიზმრებად
ეხატა მუდამ
ვნებიან დღეთა წვიმის სურათი...
დიდხანს იწვიმეს,
იმ დღეებმა დიდხანს იწვიმეს...
რა არ გარდაგხდა...
ბევრი ტკივილი
და აღტაცებაც ბევრი იწვნიე...
შენ შენებურად
იბედნიერე,
შენ ვინც გინდოდა —
იმას ეფერე
და, როცა გსურდა —
მხურგალე მკლავზე გადაგიწვინეს!
და... გენურება
ასე საწუთოო...
ნუ გეშინია!
არაფერზე პასუხს არ აგებ!
როგორც გინდოდა —
ისე იცხოვრე,

ბაზრ მოლაშენა

არ ითვალთმაქცე,
არ იცრუე,
გულში რაც გქონდა — ილაპარაკე...
ნუ გეშინია!
მიგეტევება,
ბედისწერისთვის პასუხს არ აგებ!
1991 წ.

დღო დამდგარა...

დრო დამდგარა, დრო დამდგარა განგაშის,
ჩვენ პირისპირ ნუ ჩავდგებით სანგარში!

კაცები თუ... ქალები თუ... ბიჭები...
მფრის საოხად ნულარ გავიხლიჩებით!

ერისთავთა, დადიანთა საგულევ,
ამილახვრის ლახვრით მტერი დათრგუნე!..

დრო დამდგარა, დრო დამდგარა განგაშის,
ჩვენ პირისპირ ნუ ჩავდგებით სანგარში!

სანამ თავად დავალთ, დავაბიჯებთო,
ჩვენს სამშობლოს ნუ გაეწირავთ, ბიჭებო!

მოქვეშქვეშეს მხარეს ნუ დავიჭერთო,
საქართველო ყველგან... მუდამ... ბიჭებო!

მრავალ ხმაზე! ოლონდ ერთად ვიჭექოთ, —
ეს მერაბის სული გვმოძლვრავს, ბიჭებო!

კაცები თუ... ქალები თუ... ბიჭები...
ჩვენ შუაში ნულარ გავიხლიჩებით!

1991 წ. 31 ოქტომბერი.

ავდარმა გადაიარა...

ავდარმა გადაიარა და უკვე მშვიდად ლამდება...
თუკი გათენდა, იალა! მერე არ გაავდარდება!

თუკი გათენდა, იხარე! მზეს დავესწრები ხალისით...
არც აქეთ და არც იმ მხარეს მე რა მჭირს შესაბრალისი!

გამოვიარეთ ისეთი ქარიშხლები და სეტყვები...
ხვალ ზღვაში, სიხალისეთი, ტალღას ტალღებში შევყვები!

აქაც და იქაც ჩემია, ჩემი სისხლი და ხორცია...
თუმც ყოფნა აქ მირჩევნია, იქითაც დამილოცია!

მამული ღელავს, ხმიანობს (დედა უჩუმრად ლოცულობს...),
შენ რა ტკბილი ხარ, ხმიადო, მშობლიურ მიწით მოსულო!

შენ რა თბილი ხარ, ზეცაო, სამშობლოს ესახურები...
ერთი ნაწვეთი მეცა ვარ, — დღეს მყოფადს ვემსახურები!

ავდარმა გადაიარა და ვხედავ, — მშვიდად ლამდება...
გათენდება და, იალა! მერე არ გაავდარდება!

1991 წ. 22 ნოემბერი



გოდებს საძართველო!

ჩემნი შვილნი
ერთურთის სიძულვილზე მცვლიანო,
ერთმანეთის
მტრობითა სუნთქვას არ მაცლიანო!

ბევრჯერ
გავუყიდივარ... კვლავ გამყიდა იუდამ,
გულ-ლვიძლს
ამომარიდებს, მტერს ლიქნობით მიუტანს!

სხვის ტაძარში
ლოცულობს — ურნმუნო და ორპირი,
ესიზმრება
დღედაღამ მეფის ტახტი, პორფირი...

უკან წყალი,
წინ მეწყერი... ჩანან კლდენი ფრიალო...
დროშა
თავისუფლების ან ვით ავაფრიალო!

ისევ ერთურთს
ხოცავენ, კვლავ ერთმანეთს კლავენ და...
ვინ დამწყევლა
სიმრავლით დაუნდობელ კაენთა!

ძმათა სისხლით
მოსვრილნი ანი როგორ ვლიანო...
განვედ,
სულო კაენის, სულო ცოდვილიანო!

1991 წ. 27 დეკემბერი

დამოკლება სივრცე...

დამოკლება სივრცე — ავდარის მაცნე,
ბინდ-ბუნდად ჩანან ნისლში ხედები...
სად ჩაიხოცნენ,
სად ჩაინაცრნენ,
სად ჩაისეტყვნენ ის იმედები?!

1992 წ.

მდინარე თევზებით, წყლისპირი წავითა,
იყო და სად არის? წავიდა! წავიდა!

სად გაქრა წარსული წუთებით, წამითა?
მგონია, მყოფადიც სხვა მხარეს წავიდა!

უამია მკაცრი და უამია მგლისფერი;
საით მისრიალებს უსაჭო გლისერი?

ჩვენ ვხედავთ ერთმანეთს ლიბრედად, მუქ ფერად...
ცის ტატნობს ვარსკვლავთა ციმციმი უქრება!

მნათობის ვიხილეთ თუ კიდევ ამოსვლა —
უკუნეთს აანთებს — უკიდეგანოსა...

რას ამბობს, რას იტყვის ნეტავი, მიქელა?
არა არს საშველი!.. მქელავი მიქელავს!

1992 წ.

ჩაერა თბილისი...

ჩაქრა თბილისი... ყვინთავს წკვარამში...
უამი სიბნელით მოსავს ხეობას...
ამ მკაცრ ღამეში, როგორც ვარამში,
წუხს ჩაწიხლული მოსახლეობა!

წუხს დამეხილი ჩემი მთანმინდაც...
ზოგიც სადარდელს დარდობს ხვალისას...
ღრუბლიდან მთვარე გამონაწილდა, —
ძლივს ისახება დისკო მთვარისა!

1992 წ.

ამ პელი ღამით...

„ამ ბნელი ღამით ვიღაც დადის საქართველოში,
ამ ბნელი ღამით ვიღაცა კვნესის“.

გალაკტიონი

ამ ბნელი ღამით ჩაუსაფრდა ქართველი თვისტომს,
იცდის მრისხანედ, გადამთიელს მოელის თითქოს!

ამ ბნელი ღამით ეპარება ქართველი ქართველს,
არაფრად აგდებს, — ძმას სიცოცხლეს ადვილად ართმევს!

სინათლის ნაცვლად ვინ ამკვიდრებს უსახო ბნელეთს?
ვინ აფათურებს მტკივან სულში სისხლიან ხელებს?

რა ეშველება უთავუამო ბნელსა და ქაოსს...
დამსგავსებია საქართველო ვრცელ სასაკლაოს!
1992 წ.

გაუფასურდა...

გაუფასურდა ყველა გზა და ყველა მწვერვალი,
ყველა ოცნება, ყველა ფიქრი გაუფასურდა...
რას ფიქრობს იგი — მომღერალი, იგი — მწერალი,
მათი სახელი ოდეს ძმათა სისხლში აცურდა!

გაუფასურდა, ყველაფერი გაუფასურდა!
ცუდმედიდობა ყელყელაობს ირგვლივ — ქართული...
მტრის დანაქადი, მტრის ნანატრი, ვაი, ასრულდა!
ქოთქოთებს ჟამი უსახური, უკუღმართული...
ჩამოსწერის ცრემლი, მწარე ცრემლი ფრესკას თამარის...
ნაღალატევი, დასისხლული ფეთქავს მთა-ბარი;
თეთრი მხედარი სად არისო, ნეტავ, სად არი?!
ჩამოსწერის ცრემლი, მწარე ცრემლი ფრესკას თამარის!
გამთენისას სისხლისფერი ძალავს კაბადონს,
ფოთლებს მიმწუხრზეც სისხლისფერი სხივი ეცემა...
ალბათ, გავა დრო, ურიცხველი, ალბათ, გავა დრო,
მაგრამ ეს ჟამი თან გაგვყვება, როგორც შერცხვენა!
გაუფასურდა ყველა გზა და ყველა მწვერვალი,
ჩვენი ნიშატი, სიამაყე გაუფასურდა...
მტრის დანაქადი, მტრის ნანატრი — დანაწყევარი,
ჩვენივე ხელით დაუნდობლად უკვე ასრულდა!

1992 წ.

თავზე გემხობა ზეცა...

„უკეთესია ყაჩალი იყვე, ვიდრე პოეტი“.

გალაკტიონი
(30-იანი წლების ჩანაწერიდან)

იგივე დროა ახლაც, სულის იგივე მწირობა...
უნუგეშობა დაგხრავს და მოყვარეთა მცირობა!

დაუნდობლობა მეფობს და სიძულვილი კაცთა...
ისევ თავისას ყბედობს ეს — მედროვეთა კასტა!

რაღას გიშველის კვნესა, როს ხედავ ამდენ
თაღლითს...
თავზე გემხობა ზეცა — შენი მამულის თაღი!

1992 წ.

მეფობს ჯუგლის პარენი

გზაზე მივალ... დროც გადის...
ლრენენ ავი ძალლები!
მე ვერ გავხდი ოსტატი
ძარცვისა თუ წაღლეტის! —

არც ადრე და არც ახლა
(ფუი კაცსა უფხოსა!)...
ზოგი ლიქნით დასახლდა,
ზოგი დაჯდა უფროსად!

ძალით თუ არ იკურთხე
სკამი, ბინა, სასახლე...
ახლა თუ არ იკურდე,
თუ არ იმამაძალლე, —

რას მიაღწევ, საწყალო,
დღეს სინდისი ქაცვია...
ანი ვიღამ გასწავლოს
ლლეტა, მაქინაცია...

წუხან უსახლკარონი, —
ახალ ტყუილს გვაჩვევენ...
მეფობს ჯუნგლის კანონი, —
ვინ ვის? ყოფნა გვაჩვენებს!

1992 წ.



ჩემო შერისხულო სამეგრელოვ!

ტიტე მოსიას

ჩემო გათელილო სამეგრელოვ,
ჩემო საწუხარო და ნაღველო,
მარადიულ სანთლად სანთებელო,
ტკიფილიან ლექსად დასამღერო!

ეს რა ჟოლოსფერად დაინამა
შენი თოლიგე და... ვაი, ნანა!

ჩემო შერისხულო სამეგრელოვ,
როდის მოგირჩება ნაგესლარი...
ცოცხლადვე ტუჩ-პირი ამეკეროს,
თუ შენი ველარ ვთქვი საკვნესარი!

ეს რა ჭიაფერად დაინამა
შენი შურიგე და... ვაი, ნანა!

გეგონა, ქვეყნისთვის გაისარჯე,
სისხლად მერამდენედ დაიხარჯე;
ერთგულებისათვის დაისაჯე!
მწარე სიმართლისთვის დაისაჯე!

ეს რა მდუღარებით დაინამა
შენი ნანაგე და... ვაი, ნანა!

კვლავ მოლურჯდებიან აქ იები...
შეხედავ შეცდომილთ სიბრალულით;
დღეს ზურგმიქცეულნი ლაქიები —
ხვალ მობრუნდებიან სინანულით!

ირგვლივ მწუხარებამ დაივანა
და... ძილშიც ჩამესმის — ვაი, ნანა!

1992 წ.

რეპრეზი

დღეს არ მესმის თბილად თქმული: —
„თოლიგე“ და „ნანაგე“...
მოგაოხრეს... (კვნესის გული!)
უღვთოდ მოგაჩანაგეს!

სიყვარულის წმინდა ტაძარს,
წმინდა გულით ანაგებს,
უკიდებენ შურის ხანძარს
და, ვის ახსოვს „ნანაგე?“

მოამრავლეს შაოსნები...
(მზეო, მიკვირს, ანათებ!)
ვინმემ რომ თქვას, გაოცდები: —
„გოლუაფირო,“ „ნანაგე“...

გვიხოცავდნენ ძმებს და მოყვრებს...
გვშანთეს შხამის შანთითა;
შემოუძღვათ შავი მოყმე,
შავგულა და შავთითა!

სიძულვილით სისხლი ღვარეს,
გაახარეს ღვარძლი და...
სამეგრელო — მგლოვიარე,
ტკივილებით დამძიმდა!

მენატრება თბილად თქმული: —
„შურიგე“ და „ნანაგე“...
მოგაოხრეს... (კვნესის გული!)
უღვთოდ მოგაჩანაგეს!

1992 წ.



თალენჯიხა!

ეს რა საკვნესელი მესმის: —
 ხოცევნ ხალხს და წვავენ ჯიხას...
 აქ ამტკივდა ჩემი ფესვი —
 წალენჯიხა! წალენჯიხა!
 ხედავ, სტუმრის სიძულვილსა,
 წამებულო, გწამებს ვიღაც...
 ბნელთა ფერთა მიწურვისას
 განათლდები, წალენჯიხავ!
 შვილმოკლულნი, ძმამოკლულნი,
 გულმოკლულნი გახდნენ მჯიდად...
 შენს ნახდენას ლამობს კრული,
 არ წახდები, წალენჯიხავ!
 ვლიდნენ გულათრთოლვილები —
 მამულის მზით ნაქსოვ დროშით...
 დღეს კი... გახდნენ ლტოლვილები
 სამშობლოდან სამშობლოში!
 დღეს კი... კვნესენ ეს გულები!
 წვავს ცრემლები თვალებს ჯილას...
 შენც ზუგდიდთან მეგულები —
 წამებულო წალენჯიხავ!
 ეს რა გულსაკლავი მესმის: —
 ხოცევნ ხალხს და წვავენ ჯიხას...
 აქ ამტკივდა ჩემი ფესვი: —
 წალენჯიხა! წალენჯიხა!

1992 წ.

თანა შვილო, თანა სკუა...

ნანა შვილო, ნანა სკუა,
 ახლა როგორ გიმდერო!
 რა გოდებამ გამაყრუა,
 ვერა, ვერ გაგიმხელო!
 როგორ გითხრა... მამაშენი
 მსხვერპლი გახდა ორგულის...

ბაზრ მოლაშხია

შენ ხარ ვარდი გასაშლელი,
დაუკვრელი ჩონგური.
ჯერ იძინე... დრო ულევი
სუნთქვას შენსას განაგებს...
თუ ვინ იყვნენ ორგულები,
თვით გაიგებ, ნანაგე!
მოთქმა-კვნესამ გამაყრუა,
ვგავარ თავის უცნობელს...
ჯერ იძინე, ნანა სკუა,
ძილი გინდა უცოდველს!
ვარს კვლავი მაქვს მონიშნული,—
მასთან მტერი მდაბლდება...
ხვალ ნათელი ოდიშური
სულში ჩაგეთაფლება!
ჯერ იძინე... დრო ულევი
სუნთქვას შენსას განაგებს...
ჯერ კვნესიან ჩონგურები...
გვაპატიუ, ნანაგე!

1992 წ.

იქ ვერ ვხედავ... ოქ ვერ ვხედავ...

იქ ვერ ვხედავ ფერთა ზეიმს — სადაც ვნახულობდი,
არ გაისმის ტყეშიც ხმები საგაზაფხულონი!

ვარდები თუ ყვავილები ვნახე უფერონი,
მოჩერიალე ბინულებიც გახდნენ უბგერონი!

მწვანეები, ხასხასანი ჩანან ფეშერებად...
ურნმენოს და გულგატეხილს რაღა ეშველება?!
1992 წ.

ერთი ნაბიჯით...

ყველა ზეიმზე ყველა მასწრებს ერთი ნაბიჯით...
 საწუთოროს გზაზე წალიკ-წალიკ მივიღალებით!
 არც მეგობარი, არც ნაცნობი, არც ძმადნაფიცი, —
 უკან არავინ იხედება თბილი თვალებით!

ერთი ნაბიჯით ვიგვიანებ ყველა აღლუმზე,
 ლხინის სუფრასთან ჩემ წინაა ყველა ძმაბიჭი...
 სამაგიეროდ (უნდა ვნახო სანამ გავუძლებ!),
 სევდის ტაბლასთან ვასწრებ ყველას ერთი ნაბიჯით!
 1992 წ.

გულმოკლულის ჩივილი

ეს არც ჭორია, არც ყურმოკრული, —
 ახლა მოძმისგან ვარ გულმოკლული!

წაქცეულს ყველამ მუშტი ჩამზილა...
 (დრომ სევდის ზვინი გულში ჩამზვინა!)

ვინც დღეს გამწირა ან ხვალ გამწირავს,
 თუნდაც ამკუნონ ნაწილ-ნაწილად, —

თუმცა შეყრიათ „წინსვლის“ ხურვება, —
 მათ ვერ ვეყოფი საფეხურებად!..

და... სხვებს ჰყიდებენ სანამ ძელებზე,
 მიჭინჭველობენ სავარძელებზე...

მოყვასს შხამიან შაშარს ასობენ,
 მიქვეშქვეშობენ, მიგნიასობენ...

ეს არც ჭორია, არც ყურმოკრული,
 ახლა მოძმისგან ვარ გულმოკლული!
 1992 წ.

ბაზრ მოლაშენა

შამი არის ფოთოლცვენის...

უამი არის ფოთოლცვენის,
მოწყენილან ფოლორცები!

მიდის, მოდის დრო ბუზღუნით,
ჩიტი ფეთქავს მობუზული...

სივრცე ხდება ნაცრისებრი,
ყვინჩილობენ ნარცისები!

დრო კვლავ მოვა მოლოცვების, —
იფეთქებენ ფოლორცები!

1992 წ.

დღეს პი...

ფარნავაზი.... „უამითი-უამად მოვიდის ეგრისს, და კლარჯეთს,
და მოიკითხვნის მეგრელი და კლარჯნი, და განაგის ყოველი
საქმე დაშლილი.“.

„ქართლის ცხოვრება“

ბრძენი ფარნავაზ უამითიუამად
მობრძანდებოდა მშობლიურ ეგრის —

ვითარცა შვილი ან როგორც მამა;
შვენოდა მზერა მეფის თუ მხედრის!..

დღეს კი...

მოდიან მახვილით, ცეცხლით
და... უკვირთ რისხვა ერთგული ქუჯის...
ვაი, ეშმასგან ქვეყანას შეცვლილა!
ვაი, ქვეყანას ეშმასგან უჭირს!

1992 წ.

პეტრე იშერის ამაღლება

დაეწურა ბორცვებს ნისლი,
საწიერი გადაფითრდა...

„ფრიად ტანჯნა ხორცნი თვისნი,“
სული მისი ცად აფრინდა...

მოოჭვილა თაღი ცისა
ლალ-ბადახშით, სადაფითა...
1992 წ.

გდინარის პირას

ვუყურებ წყალში წვრილ-წვრილა თევზებს,
თან ლერწმის წელზე სხივი იხვევა...
ვზივარ მდუმარი. მდინარის ფსკერზე
წვერა ბალახი ნელა ირხევა.

გარდასულ ხმაურს
სივრციდან ვისმენ,
ჩემი წარსული კი არ დამშორდა, —
ის ჩემთანაა
ისევ და ისევ
და... გვერდით მიზის ჩემი ბავშვობაც!
1992 წ.



თამოყოჩილა სკამზე ფიალი

წამოყოჩილა სკამზე ტიალი,
ცა უჯამობით გადაგვებინდა...
ვერ მოვიშალე გზად ხეტიალი,
მაინც გზას ვეძებ დაბადებიდან!
ახლა ყოფნაა, როგორც საკანი,
ირგვლივ მშიერთა სუსტი ხმებია...
ჩემი ტოლები — მოასაკენი —
უცნობებივით ჩუმად მხვდებიან!
კვლავ ჩამოსტირის სახე სუყველას,
კვლავ ბინდისფერი სივრცე შრიალებს...
ქარი საშინელ ამბებს უყვება
ახლად გაფოთლილ მყიფე შიმალებს.
დრომ კალოსავით ყოფნა გალენა...
საჭე უპყრიათ ხელსისხლიანებს;
ურჯუკს, კაცისმკვლელს, ყველა გარეწარს
ჯიბეში ოქრო ჩაუჩრიალეს!
ზოგი ნაძარცვით გახდა მდიდარი, —
ფულს გასართობად ფანტავს „ნეტარი“...
ქურდი, გამცემი, ნაბანდიტარი, —
დღეს ვინ არ არის პარლამენტარი!
ახლა ცხოვრება ხოა საკანი,
ირგვლივ მშიერთა სუსტი ხმებია...
ხანდაზმულნი თუ მოასაკენი
რა ნაღვლიანი სახით მხვდებიან!

1993 წ.

ცუთისოფლის ცალკარები მოღიავდა

ირევიან სახეები ბოლმიანთა...
(ლმერთმა იცის, რას ვნატრობდი, რასაც ველი...)
წუთისოფლის ცალკარები მოღიავდა, —
ამ სოფლიდან იმ სოფელში გასასვლელი.

ხანა სტუკაციონისა

ამ ცხოვრებით შემცბარსა და გულდაწყვეტილს,
მზარავს სისხლი, აქ რომ მტრისთვის დაიღვარა...
სიყვარულზე სიყვარულით მუდამ ვწერდი,
მაინც უფრო სიძულვილმა გაიხარა!

დღეს, მგონია, მზეც მოწვეთავს სისხლისფერად,
დასისხლულან ქუჩები და ველ-მინდვრები...
ძმათა სისხლის დაქცევისთვის ვინც იმღერა, —
მე და იგი ვერასოდეს შევრიგდებით!

მესმის ხმები მუხთლების თუ ბოლმიანთა...
დღეს წვირეში გაისვარა გასასვრელი...
წუთისოფლის ცალკარედი მოღიავდა, —
ამ სოფლიდან იმ სოფელში გასასვლელი!
1993 წ.

მე ვარ დასჯილი...

„ჩემი ოთახი! აი, ეს არის
რაც მე მარგუნეს დედამიწიდან“.

ვ. ხარჩილავა

მე ის ოთახიც ვინ მომაღირსა...
თმენით დაცუქერო მიწას თოვლიანს,
რომელიც მალაგს ახლა ნასისხლარს
და... წუთით შვება ვერ მიპოვია!
მოწყენილია ჩემი საწუთრო,
მოტკეპნილია ჩემი ნაბარიც...
ჯანდაბას! არვის არ შევაწუხებ,
ჯანდაბას! ვიყო მიუსაფარი!
მოხურულია ჩემ წინ კარები,
სივრცეა სევდით შენაცრებული...
მომეყრდნობინ გზაზე ქარები, —
სიყრმის მეგობრებს შენაცვლებული!..
ჩემს გზაზე გდია ჟამი თარჯივით,
ვერ გადავახტი ამ დროს ვერაფრით...
ვისი ბრალია? მე ვარ დასჯილი
ამ შეუცნობელ ბედისწერათი!

1993 წ.

ზამთარი. სოფელი. პუსარი

უეცრად დამცხა და უკან ვიხევ, —
გასწითლებია ლოყა ბუხარსაც...
ფანჯრიდან ვხედავ: — ხე ტოტებს იქნევს,
ქარი რაღაცას ჰყვება უხამსად!

დაყურსულია სოფელი ზამთრით,
ყველას სურს ყოფნა თავის ბუდეში...
და... ეს ოთახიც, ღვთის ნება-მადლით,
ახლა თბილია, როგორც ნუგეში.

1993 წ.

პრემიერს დახარბეგულ პოეტებს

„არ შეიძლება, რომ მტრები იყვნენ
უიარალო დემონსტრანტები“.

ო. ჭილაძე

იღვრება სისხლი დემონსტრანტების...
იმუქრებიან რისხვით მერიები!..
თქვენ კი, პოეტებო! — სისხლიან ვარდებით,
ინებეთ! ინებეთ! — ყალბი პრემიები!

დაიგსეთ თვალები! დაიხშეთ ყურები! —
რის სისხლი! რა სისხლი!.. ზეიმი... იები...
თქვენს შხოს და მარითათს ვერ დაემდურებით,
დუმილის სანაცვლოდ: ჯილდო — პრემიები!

რის ხალხი! რა ხალხი! „პრბო“ რისთვის გჭირდებათ!
ოღონდ მადლიერი გყავდეთ პრემიერი...
კვლავ ბოლშევიკურად იხუვლეთ: — „დიდება!“
და უხვად იქნება თქვენთვის — პრემიები!

სიმართლეს ითხოვენ მხნე დემონსტრანტები...
იმუქრებიან რისხვით მერიები...
სწორდით, პოეტებო! სისხლიან ვარდებით,
ინებეთ! ინებეთ! — ყალბი პრემიები!

1993 წ.

დაცვეთაგულან ხეზე ყვავები

დაწვეთებულან ხეზე ყვავები,
შეცბუნებული მნათი იწურვის...
მელევა ძალა თავშეკავების
და ვარ ნერვებით ყოფნას მიწნული!

უფასურდება ირგვლივ ყოველი...
კვლავ იქედნურად მიმზერს ურჩხული!
„რაღაა ანი დასაყოვნელი?“ —
მესმის მაცდურად უხმო ჩურჩული.

შეუბრალებლად, რკინის სოლივით,
ჩაჭედილია გულში ვარამი...
უამინდობით ცა მოქსოვილი
ჩამოდის დაბლა, როგორც წევარამი!

გზაზე დაღოლავს ხალხი ყარიბი,
უნაყოფობა გვშეამავს მინდვრების...
ქვეყანა გახდა მყაცრი ყალიბი
და აქ ფიქრითაც ვერ აფრინდები!

1993 წ.

თეთრი გადი

იდუმალი, სანატრელი,
ბრწყინვავს კოშკი მონსალვაშის...
ჯერ კი... ელზა ბრაბანტელი
ელოდება მოსვლას ვაჟის!

ყველა მრუდი, ყველა ბრუნდი,
დაეცემა მის წინარე...
ქედს მოიდრეკს ტელრამუნდი, —
ჯერ ცბიერად პირმცინარე;

მუხთალს ზოგჯერ შველის ბედი,
სანამ ღმერთი გაუწყრება...
გამოჩნდება თეთრი გედი —
გამარჯვების მაუწყებლად!

1993 წ.

დღეს დაესია უმალ მუმლობა

დღეს დაესია უმალ მუმლობა —
ორ ნაპირს შორის მუხას გახიდულს...
ვაი, მამულში უმამულობას!
ვაი, უგონოდ მამულს გაყიდულს!

ვაი, რომ ძლივსლა ფეთქავს სწეული —
ამ უჟამობით ზარდარისხული...
„რჩეულებისგან“ ჭერდაქცეული,
დაჩოქილი და გადასისხლული!
1993 წ.

სანიერი ინისლება დილის...

სანიერი ინისლება დილის,
მაწვიერი მიღმეთიდან ყვირის...

მგონი უკვე არისხებენ ზარებს...
გონი თურმე არევიათ მგზავრებს!

უნდობლობა მოფენია არეს,
გულს ობლობა დაეუფლა მწარე!

ლელავს ჟამი... შვება არ ჩანს არსით...
ყველას გვშეამავს ეს საწუთო თარსი!
1993 წ.



3065 ხორცქმილი აციერა

დროო, ფიქრად მაქციე რა,
ცას გავყურებ — მზე სხივებით რთავს...
როგორც ჩიტი — მაქციერა,
შენთან ზოგჯერ ვიმკვდარუნებ თავს...

...

ვინც ხორცქმნილი აციერა, —
ვერ ვაშორებ მას იმედის თვალს.

1993 წ.

რაღა გვაძვს გასაყოფი?

აქეთ მე ვდგავარ, იქით — შენ,
ერთურთს გავყურებთ ცერად...
აჰანდე, ხმალი იშიშვლე,
გსურს გავხდე შენი წერა!

...

მაგრამ... მტრის გვიმზერს თოფი,
რაღა გვაქვს გასაყოფი?

1993 წ.

ჩატეხილია ხიდი...

ჩატეხილია ხიდი...
მოძმე მოძმის სისხლს ბოლმით წოვს...
ფლიდაზნაურთა რიგი
მიირთმევს თავის... ბოლლიწოს!

...

იუდა ბრაზობს, წყრება...
ყარს მედროვეთა წყება!

1993 წ.

ჩრდილში იდეპი დღემდე ისეძაც

ჩრდილში იდექი დღემდე ისეძაც
და ახლაც ისევ ჩრდილს ეფარები...
სინდის-ნამუსით
რა გელირსება?
მარტო სიკეთით ვის ეყვარები?

როცა გულლიად მართალს ემხრობი, —
ნერვები ძაბვით გადახურდება...
ჟამია ძარცვის
და თავხედობის,
დღეს უნდა იდგე, ალბათ, ქურდებთან!

დღეს უნდა გქონდეს ნდობა მკვლელების,
თუ გინდა ისევ რომ არ იწვალო, —
ახალ-ახალი
სავარძელები
რომ აღმართ-აღმართ გამოიცვალ!

აგერ მწერალი — შენი ნაცნობი —
დადგა იქ, სადაც დროც იყიდება;
მეორე ცდილობს
ლლიცინ-ჩარჩობით
რომ დაიმკვიდროს მგოსნის დიდება...

შენ კი... უჩუმრად ჩრდილს ეფარები,
ნათლის დარბაზიც ნისლით იგსება...
ასეთ დროს,
ნეტავ, ვის ეყვარები?
სინდის-ნამუსით რა გელირსება?

1993 წ.



ახლა მომბეზრდა...

ახლა მომბეზრდა წერაც, წიგნებიც...
 გვიან მოვედი, კარგო, ამ აზრზე, —
 თურმე ზღაპრებით თავს ვიმშვიდებდი,
 დღეს თვალში ვუმზერ ყოფნას ამაზრზენს!

დღემდე რაც ვნახე, რასაც ვამჩნევდი, —
 მან გამაშრო და...
 მზერა დაბინდა!..
 მორჩა!
 მივხურე სივრცის ფანჯრები!
 მეტის დანახვა,
 მორჩა! არ მინდა!

1993 წ.

ეტავ იმას...

უკეთურის ცელმა კრული
 ნება ბევრჯერ აასრულა...
 ეს ცხოვრება — ცრემლნაპკური —
 ხშირად უღვთოდ დათარსულა!

გაბასრულა ზოგის ნატვრა,
 სიყვარული გაბასრულა...
 ზოგი მარტოობით დათვრა,
 ცრემლის თოკით გაბანრულა!

გადაწნულა ნისლში ობლად,
 მწუხრის ფერში გადაწნულა...
 ნეტავ იმას, ვისი ყოფნაც
 ჯავრით არც კი გაკანრულა!

1993 წ.

ბაზრ მოლაშხია

აე ძმა კი არა, მტერი მოვიდა

გოჩა ჯიქიას ხსოვნას

დამძიმებულა ღამე გლოვითა
და ალიონიც გლოვით იწყება...
აქ ძმა კი არა, მტერი მოვიდა,
ნათელი სულის დასამინებლად!

რით განუგეშო, კუთხევ მშობელო,
უღვთოდ გაგნირეს, როგორც ურჯულო...
მეც შენთანა ვარ, განუშორებლად,
ჩემო ქალაქო, გადარუჯულო!

როგორ მაჟრუოლებ, ჰანგო მეგრულო, —
გულისგულიდან ამომკვნესარო!
ცრემლო — ლოყაზე დაღვენთებულო,
ცავ — გასისხლულო უფლის ზენარო!

აქ ჩემი სისხლით მიწა ირწყვება;
აქ ასვენია ჩემი ცხედარი...
მტკიცა ჭრილობა — დაუვიწყებლად, —
მერედა ვისგან, — ნათავსედარი!

ხვალ რით ვიცოცხლო, რით ვიამაყო,
ამ უკუნს რაღა გააბრნყინვალებს?..
ვაი, ვაჟკაცო, უიარაღოვ,
მკერდდაცხრილულო დედის წინარე!

დამძიმებულა ღამე გლოვითა
და ალიონიც გლოვით იწყება...
აქ ძმა კი არა, მტერი მოვიდა,
ნათელი სულის დასამინებლად!

1993 წ. გ. ზუგდიდი

მიითიბავს ღვიას ცელი...

მიითიბავს ღვიას ცელი...
შორით ლხენა-ლრაანცელი
მესმის, — დარღით ვნებულს!

მოკლულთ აქ ალვრიან ცრემლებს,
იქით რა აღრიანცელებს
იმ ხალხს — გაბრიყვებულს?!

1993 წ.

ლექსო, ნათელს ამოჰყვები...

ლექსო, ნათელს ამოჰყვები,
კაცს ენდობი, განა მგელს...
მას ვეწუკვი თავმოდრეკით, —
ვიხც სამყაროს განაგებს!
სულო, ალარ დამიძვირო
„თოლიგე“ და „ნანაგე“...
ყოფნა რაგინდ დამიმდიმ —
ლექსად ამოალაგე...
1993 წ.

უზოური განეყობილება...

გასწყდომია ქანცი... რული
ჩასდგომია გუგებს...
ოხრავს ოხრად განწირული,
ბოლმას ჩაიგუბებს...

დღესაც ცხოვრობს უხალისოდ,
ვერსად აგებს ბუდეს...
დუმს. არარა უხარის და
გულს ვერაფერს უდებს!

1993 წ.

საცლის ნაცვლად ვეფერები ნაცარს

სინანული და წუხილი არ ამცდა,
მშობლიური უცხოვდება არეც...
დედავ,
იქნებ დღეს საუბრობ მამასთან,
მე კი ობლად დავრჩი სოფლის გარეთ!

სამშობლოშიც დღეს სამშობლო არა მაქვს
და... აქ ვგავარ სხვა სივრციდან წვეულს...
გამოლეულს რა უშველის არაქათს?
მე არ ვიცი, რა ვიღონო წლეულს!

ჩემი ფიქრი დგას ბავშვობის ბილიკთან, —
ადრე ციკანს აქ ვეძახდი ქაცარს...
დავალ ახლა
დამდულრული ფიქრით და
ნაოდარზე ვეძებ ოდის ნაცარს!

ზოგმა გზა და თავის სარჩო მოძებნა,
ზოგი უცებ
დაემსგავსა ეჩის...
ყველაფერი გახუნდა თუ მოძველდა,
ჰყავს ცხოვრებაც
წუთისოფლის ღრეჩის!

სინანული და წუხილი არ ამცდა,
აჭრიალებს
დრო სივრცეთა კარებს...
ეს საწუთო რა უცრად გამკაცრდა,
რა ამაოდ
მე ველოდი დარებს!

ჩემი ფიქრი დგას ბავშვობის ბილიკთან
და ყურს ვუგდებ მოპეტელე ქაცარს...
ვწუხვარ ახლა
დამდულრული ფიქრით და
სახლის ნაცვლად ვეფერები ნაცარს.
1993 წ.

მთაზე ნისლები...

მთაზე ნისლები
დიან მისნური,
მჩხვლეტენ ისრები —
ქარისმიერი...
სული კვლავ დადის დიონისური
და ბრწყინვავს მნათი
ქალის იერით!

1993 წ.

კვლავ...

ხმიანი ქარი ხეებს თუ ხეხილს
ტოტებს მოუხრის, ტოტებს მიუხრის...
კვლავ იხმაურებს მხიბლავი ხმებით
ყველა ხევი და ყველა ჭიუხი...

კვლავ უხილავის უხრწნელი ხელი
მინდვრებს გადახრის ხვავთა სიუხვით...
იანცვებს ქარი სხივებზე ხემით
და იხმიანებს მთა და ჭიუხი.

1993 წ.



ბაზრ მოლაშენა

სხვა რა მექნება, ლექსების გარდა...

„ლექსების გარდა რა გამაჩნია“.
ტერენტი გრანელი
„ლექსები იყო მისი საგზალი“.
ტიციან ტაბიძე

მეც უთუმცაოდ მაზრობს, გულს მიყოფს,
გამძვინვარება ყინვის თუ ქართა...
მეც ყველაფერი დავთმე უსიტყვოდ, —
სამშობლოსა და ლექსების გარდა!

არც მე მავნებდა მეგრძნო, მენახა,
კეთილდღეობა, მსგავსადვე სხვათა, —
მაგრამ ყოველი დავთმე, გეთაყვა,
შვილებისა და ლექსების გარდა!

დღეს მერგო სევდა, გაუცხოვება,
გზაზე ვესწრები მერებს თუ ესხირს...
დავთმე სიმშვიდე, მსუყე ცხოვრება,
მაგრამ არ დავთმე ნათელი ლექსის!

დრო იფურცლება კალენდრის მსგავსად,
რაღაც უხორცო მომდგარა კართან...
მეც არაფერი არ მახსოვს არსად,
კაცობისა და ლექსების გარდა!

მეც ვხედავ ნათლად: — ეს დრო წავიდა!
რაღას გვაუწყებს სხვა დროთა ქარგა?..
ვერ ვითავისებ ეჩირსავითა...
სხვა რა მექნება, ლექსების გარდა!

მეც ხომ მაშფოთებს, მაზრობს, გულს მიყოფს,
გამძვინვარება კაცთა თუ ქართა...
დღემდე ყოველი დავთმე უსიტყვოდ,
შვილებისა და ლექსების გარდა!

1993 წ.

ხმას არ იღებ...

ხმას არ იღებ... იძირება გემი...
გველოდება ყველას ჩვენი რიგი...
რომ იძახდი: — „აფხაზეთი ჩემი“...
დღეს თქვი, როგორ გაგვიყიდეს იგი!
დუმხარ!

ვაი, რა ვაჟაცად გთვლიდი,
რა პოეტად — გამბედავად, წრფელად...
ზოგი ბოლმით გაცაგვიხდა ფლიდი,
ზოგს არ უნდა დღეს სიმართლის წერა!
ადვილია შორით სჯა და ცქერა,
როს დევნილებს სდით ჭიათურად ღვენთი...
პოეტს, მწერალს თუ ხელოვანს, მჯერა, —
სხვაზე მეტად პასუხს მოსთხოვს ღმერთი!
1993 წ.

ალბათ აღმოსავლეთში...

ალბათ აღმოსავლეთში ისმის წვიმის არია, —
დასავლეთში ქარია — უცნაური ფიონი...
არა, ყოფნა არ გახლავთ ასეთ დროში იოლი,
სიცხეში წევს რიონი... ირგვლივ ცხელი ქარია!
1993 წ.

თეთრი გეგაღე

მოვიდა ეს დღეც და ბალში ფეთქავს, —
სივრცეებიდან მორბოდა ღამით;
ააჟივჟივა კვირტები ხეთა,
ბალახს შეაშრა ციმციმა ნამი...
ყველგან მივა და კარებს შეაღებს,
თითქოს შორიდან ამისთვის უხმეს;
დადის სინათლით თეთრი მებაღე —
და ყველას უთბობს ფესვებს თუ მუხლებს!
1993 წ.

რა უთქმელად ენამები

რა უთქმელად ენამები,
მღელვარებით გითრთის თმებიც...
ერთად ვლიან ეს წამები, —
თანხმიერად, ვით რითმები!

ქარებიც და ნიავებიც
ხელს ერთმანეთს არ უშლიან...
მხოლოდ ადამიანების
ჯოგი
ძარცვა-ხმაურშია!

1993 წ.

მზე ჩამოიღეს თითქოს აღსავლით

მზე ჩამოიღეს თითქოს აღსავლით, —
შავი ფარდები დაკიდულია:
გაყიდულნი ვართ ახლა ძალლსავით,
დღეს საქართველო გაყიდულია!
ვიღაც უცხოთა ხელით გვამარცხებს...
ვაჰმე, ყუთები გაჩორენილია!
რა შეუძლიათ გულით მამაცებს...
დღეს საქართველო დაჩოქილია!
ახლა „წალები“ როკავს, ერთობა!
მნათობი სევდით გაკვირტულია....
რა აზეიმებთ, რა უღმიერთობა,
როცა ქვეყანა გაყიდულია!
გვერეკებიან უცხო ხროვამდის!
ნინ უდაბნოა, უკან — პიტალო...
დაყუდებულა უწყლოდ ხომალდი, —
წუხს უმწეო და უკაპიტანო!
მზე ჩამოიღეს თითქოს აღსავლით, —
შავი ფარდები დაკიდულია...
გაყიდულნი ვართ ახლა ძალლსავით,
დღეს საქართველო გაყიდულია!

1993 წ. 20 ოქტომბერი

გაურკვევლობა

დღემდე ვფიქრობდი, მქვია სახელი
და ეს სახელი ჩემი მეგონა!
თურმე ყყოფილვარ დაუნახველი
ან თვალზე ბინდი გადამეკონა!

გადამეკონა ცბიერ ქალსავით
და გამაბრუა მანკიერებით...
გაბანგული თუ ტყუილნასვამი
ნუთუ სხვის ფესვებს ვაფხვიერებდი?

ვინც ძმა მეგონა — მტერი ყოფილა,
ნუთუ ცბიერი — სანდოდ ჩავთვალე?
და... სინანულით გულგაყოფილმა
როგორ ვუშველო თვალებს — ჩამქრალებს?

თავი მეგონა შენი ერთგული,
ნუთუ ვყოფილვარ სხვისი დარაჯი?
გაძარცული და ნაცემ-გვემული,
ვარ ჩათრეული სისხლის დარანში!

ნუთუ დრო სივრცეს შავად მონისლავს?
ნუთუ ბურუსში ჩავიძირები?
დღეს ვინ ვარ! რა ვარ! ვისი გორისა?
ნუთუ დავკარგე მძლავრი ძირები?

იქნებ ვარ სულაც არაქაური?
არც ვიბრძოდი და არც თავს ვწირავდი?
იქნებ ყალბია ყველა ხმაური?
იქნებ, კოლხეთო, არც შენ ბრწყინავდი?

სულს ეჭვები და დარდი ამძიმებს...
აქ ვის დავენდო — გულით მგლოვარი?
ვინ მომაშორა მადლიან ძირებს? —
გაურკვევლობით ვარ უპოვარი!

1993 წ. 22 დეკემბერი

ბაზრ მოლაშენა

სარ დანგრეული ამ ძალადობით...

სარ დანგრეული ამ ძალადობით,
დაღუპულ იმედს დაკრძალავ როდის?
ყველა არხიდან სამსალა მოდის...
სარ, სულო, მსხვერპლი ამ ძალადობის!

გზისპირზე წვება ბინდი სნეული,
გაშლილა თოვლი, ვით ფარჩეული;
სალხი — სიმშვიდეს გადაჩვეული —
შინ არის, — ჩუმი და შიშნეული...

ქალაქს ანათებს ცეცხლი ტყვიების,
თითქოსდა ბრწყინვას მაღლა მთიები...
და მოძმე, როგორც გადამთიელი,
თოვლს აფერადებს სისხლის იებით!

სარ დათრგუნვილი ამ ძალადობით,
დაღუპულ იმედს დაკრძალავ როდის?
დღისით თუ ლამით სამსალა მოდის...
სარ, სულო, მსხვერპლი ამ ძალადობის!
1994 წ.

ისევ მოდისარ...

შენ მოდიოდი, მოგსდევდა ყეფა,
ძალებს თვალებში რისხვა უჩანდა...
უბადო დღეთა წყება და წყება
ისე მოგქონდა, როგორც ზურგჩანთა!

ყინვა იყო თუ ბორბალა ბუქი, —
შენ გიხურავდნენ ცხვირნინ დარბაზებს...
ვერ გადაიცვი მგელკაცის ქურქი,
ვერ ითაღლითე, ვერ იჯამბაზე!

ახლა გინდ დადექ და გინდა გასწი! —
ჩანან დროშები დაბლა დახრილი...
ამ გადასისხლულ მიზდორთა გასწვრივ,
ვერა! ვერ მოძოვს შენი ნახირი!

და... ისევ მოგსდევს უგვანი ყეფა,
ისევ მოდიხარ გზაზე ურჩადა...
კვლავ უყისმათო დღეების წყება
უხმოდ გკიდია, როგორც ზურგჩანთა!
1994 წ.

ვაი, პოეტს, ვინც შესძლო პოროტთან დაზავება!

კვლავ გვაჩვევენ მოთმენას, ჩანჩალს ან დაზარებას,
შავად გასინამდვილდა ოცნება და ზმანება...
ვაი, პოეტს, ვინც შესძლო ბოროტთან დაზავება!

ზოგი იქცა სიბნელედ, ზოგ-ზოგი — ვარსკვლავებად,
გადმომსკდარა სიავე ნიალვრად და ზვავებად...
ვაი, პოეტს, ვინც შესძლო ბოროტთან დაზავება!

ჩვენ ვიხილეთ რიურაჟის ბნელით ასადავება,
პატივცემულ გვამების გადაქცევა სვავებად...
ვაი, პოეტს, ვინც შესძლო ბოროტთან დაზავება!

ბოლმით შესძლეს (მტრის ხელით!) ყველაფრის ჩაფლავება,
მოსყიდულთა საქმენი ქცეულან საფლავებად...
ვაი, პოეტს, ვინც შესძლო ბოროტთან დაზავება!
1994 წ.

ოღონდ...

ნამოინთება უამი უცები,
გულს გადაივლის ერთობ, გნიასით...
ამ თახსირ დროში შხამით ვხუცდები
და მადევს ფერი მეთოვლიასი...

არა, არ ვამბობ, დმერთო, სამდურავს,
წელგაუშლელად თუმცა ვიცხოვრე; —
კვლავაც საწუთრომ მძაფრად მაბრუნოს,
ოღონდ არ აკლდეს სიტყვას სიცხოვლე!
1994 წ.

ქართული დაბა

თვალწინ ქართული ჩანს დაბა,
გზა-გზა მხვდებიან ბორცვები...
ახლა სხვა საქმე — ჯანდაბას,
იქ მივალ — დავილოცები!

დაღლას ვერა ვგრძნობ სრულიად,
შარაგზა ფეხქვეშ გავიგე...
სადაც ქართული სულია —
იქ მე სუყველა გამიგებს...

იქ გამიგებენ მეგრულსაც, —
ისე ქართული ჩანს დაბა...
მას მივუბოძებ მე გულსა,
სხვა საბოძეარი — ჯანდაბას!
1994 წ.



ზუგდიდისადმი
ოთარ ჭითანავას

გყავს უპოვრები და ეს გეტყობა,
აქვე მიირთმევს ნაზუქს მდიდარი...
შენ ხარ ზუგდიდი! — ესეც გეყოფა!
შენ არ იქნები ნაზუგდიდარი!

თუმც მტერი მორჭმით კვლავ გეგულება, —
მისთვისაც გითქვამს სიტყვა კაცური!
შენ იცი მტრობაც და ერთგულებაც,
შენ იცი ქიციც და ქიცმაცურიც!

კვლავ მამულს უნდა ედგე ბურჯივით,
ხარ მოყვასისგან დაფასებული...
შენ მუდამ შენი გქონდა ხურჯინი,
ხან ნაკლული და ხან ავსებული!

შენ არ ყოფილხარ ხელგაშვერილი,
შენ ვინ ჩაგაცვას ფლასი მათხოვრის?!
თუმც გამოგზრდია სევდა შვერივით, —
არ მიგატოვებს თვალი მაცხოვრის!

შენ გახსოვს წმინდა სისხლის ნაწვეთი,
გახსოვს თვისტომი მტრად მოსეული...
ეს დროა ბნელი ლამის ნაწყვეტი,
დრო მოვა — ნათლით გამორჩეული!

გყავს უპოვრები და ეს გეტყობა,
აქვე მიირთმევს ნაზუქს მდიდარი...
შენ ხარ ზუგდიდი! — ესეც გეყოფა!
შენ არ იქნები ნაზუგდიდარი!

1994 წ.



რას მოვესძარით...

გადავქანდები ამ ციცაბოდან, —
რასაც ვეძახით ყოფნას დღევანდელს...
ვიღამ მირჩიოს: კვლავ ვიცადო და
კვლავ აღმაფრენით ვენთო, ვღელავდე!

ჩამორღვევია სახლს სახურავი,
ჩამოდის წვიმა — ცრემლი ციერთა...
რა აქვს უკეთურს დასამდურავი?
რაიც უნდოდა, — განხორციელდა! —

მამულის ჭერი ჩამოქცეულა
(ვინ დგას კედელში ჩასატანებლად?!)...
რას მოვესწარით, სულო რჩეულო, —
ვნახეთ თვისტომთა გასატანება.

1994 წ.

ამ სიტყვებს შუა...

კვლავ მოლოდინი დამაქვს ტვირთივით,
ხან საიმედო, ხან დამსერავი...
სიტყვებს, მყოფადში ამოტვიფრულებს,
ხედავს გონება, — ცათა მზვერავი, —
ხან გამშიფრავი სივრცის ანბანთა,
ხან დამნახავი ჯერ არ მოსულის...
გონება — რამაც ეჭვი დაბადა,
გონება — ნათლით გარემოცული!
კვლავ მოლოდინით ვარ გატვრენილი,
და... ბევრი რამის მინდა დანახვა,
მაგრამ სიტყვები ცვივა მტვერივით,
იზილებიან მერე ტალახად...
იქნებ გადიქცნენ თიხის ფირფიტად
და შეინახონ დღეის განცდები, —
ეს ყოფნა როგორ გამოიფიტა
და იხედება ცისკენ დარცხვენით...
დრო მიდის.

ხანა სტუკაციონისა

მას ვერ ნახავ ჩათვლემილს,
როგორც ყოველთვის, გვამცნობს განაჩენს...
ამ სიტყვებს შუა სული ჩავფინე
და იქნებ იგი წმინდად გადარჩეს!

1994 წ.

ჯერ არ მინდა, ღმერთო, ძილი

ჯერ არ მინდა, ღმერთო, ძილი,
შორით ბრწყინავს ცისმშვილდი...
ეგერ ყოფის მეპოძირი, —
იდუმალი სიმშვიდით!

საით უნდა გავემგ ზავრო,
გზა ნათელი მანახე...
ეჰა, დროო აბეზარო,
რას მიმზადებ, რა მახეს?

1994 წ.

დამყურებს ცილან ცა — უვარსკვლავო

უბგერო ხმები
მესმის მაღლიდან,
ძილისპირულებს გალობს ბუნება...
ჩემი ვარსკვლავი
სადღაც გაფრინდა,
ის — სანატრელი — შორს მეგულება!

ცივია ყოფნა
კვლავ უარსავით,
როდის შეიცვლის ბედი გუნებას?
დამყურებს ციდან
ცა — უვარსკვლავო,
ძილისპირულებს კვნესის ბუნება!
1994 წ.

ალბათ სათლეპს ამინთებენ

ტარიელ ორჯონიკიძეს

ალბათ სანთლებს ამინთებენ,
ოდეს სამანს გაუცდები...
ანენილი ამინდებით
ამ ყოფნაში ვმარცხდები!

ბაცაცები რაინდობენ,
არ ინდობენ არავის...
თაღლითური ამინდებით
ეს ყოფნაა მზარავი!

ლექსო, კვლავ ხომ აინთები,
ხომ დაჩრდილავ მარგალიტს?
ხელოვნური ამინდებით
დაამძიმეს ცარგვალი!

პირჯვრის წერა, ლიტანია...
ნუგეშია ცის უბე...
სამსხვერპლოზე მიტანილო...
გულო — ცაში ისკუპე!

მტერშიც მოყვასს დაეძებდი...
მტლად ედები მოყვარეს...
გადათელეს გამხეცებით,
ვინც მონად ვერ მოხარეს!

ბაცაცები რაინდობენ,
არ ინდობენ არავის...
დაწყევლილი ამინდებით
ეს ყოფნაა მზარავი!

1994 წ.

რეპვილი

მეხი — მეხს,
ელვა ელვას პასუხობს,
ღრუბლებს გადმოსკდათ თქეში დუჟებად...
ახავაი!
მალე უნდო საწუთრო
გვეძგერება და გვემარყუჟება!

ახავაი!
არ ჩანს გზები სავალი,
თავს დაგვხარხარებს ყოვლის მლენავი...
გადათელილა
იასამანი,
გადამსხვრეულა ყველა ლერწამი!

გადაჩეჩქვილა მთათა ლაგიწი,
მერეხი ხერგავს
მინდვრებს, ღარტაფებს...
ერთი ხვედრი აქვთ უამთა უამის წინ: —
ბრძენებს, სულელებს,
მდიდრებს, ღატაკებს...

აქ კვლავ
მზაკვართა გამო ტირიან,
მართალსაც ცოდვა აქვს უნებურად...
ქართველს
თვისტომი გაუწირია
და მტრის სურვილიც აღსრულებულა!
1994 წ.



ბაზრ მოლაშენა

სანამ...

დილარ ივარდავას

შფოთავს ქალაქი — ეჭვით სწეული,
არ გვჯერა — სადმე თუა მინდობა....
გვზარავს სუყველას — თავსმოხვეული,
გადმონთხეული უამინდობა!

აქ დილას შიში ესაბამება,
დათარეშობენ ისევ მახვილით...
თუმცა მოხშირდა კვნესა, წამება,
მაინც არ გვეთქმის კისერწახრილი! —

სანამ ოცნებობ კაცი სხვაგვარად,
სანამ იგრძნობა ფეთქვა ღირსების,
სანამ, მოყვასო, გულგასახარად
შენ კვლავ შენ ხარ და... მეთავისები!
1994 წ.

ეს დღე სიეული...

ეს დღე სწეული — სვენებ-სვენებით
დასავალისას მიჰყვება ხაზებს;
გადავლო ველი, მკრთალი სერები...
გზადაგზა ტოვებს მიმწუხრის ხავსებს!

მერე... ცის გაღმა ჩუმად ჩაქრება...
ვაი, ზეიმობს ავთა ჩამდენი!
რამდენის გული დაიჩაგრება
და ვერ გააღწევს ლამეს რამდენი!
1994 წ.

იქ, მომავალში...

ამ წუთისოფლის უცნობ კართაგან
მხოლოდ ერთს ვეძებ — მისკენ მიმავალს...
ახლა ცხვრება მოჰვავს კართაგენს, —
თავის ნანგრევში სივრცეს მიმალავს!

ჭრიალებს კარი, რომელიც არ ჩანს,
მივალ ფათურით უცნობ კართაკენ...
იქ, მომავალში, რამე თუ დაგვრჩა?
დამარცხებულო ჩემო კართაგენ!

1994 წ.

აქა ამჩავი პოეტთა „მოშინაურებისა“

(პასუხად)

„გააუვნებლეს“ პოეტი ზოგი,
ზოგი პოეტი
მოშინაურდა!
ხამს პოეტს დროში შეეძლოს როქი,
პოეტს ამნაირ
დროში რა უნდა?!

ზოგ-ზოგი ძველ გზას ადვილად ტოვებს,
ზოგს პრემია თუ
გროში მაუნდა!
ფუი! ვაჟკაცს და, მით უფრო პოეტს,
ვინც ფრინველივით
მოშინაურდა!

1994 წ.

ბაზრ მოლაშენა

თითქოს ცა-მყარი ცოდვით იძლევა...

თითქოს ცა-მყარი ცოდვით იქცევა,
ტყდება მზის სხივიც, ტყდება, იმსხვრევა;
დაჭრილმა სანგარს გადააბოტა...
..... თითქოს ის ხე ვარ,
ჭურვმა გზასთან რომ დაანაფოტა!

და ვარ დაშლილი და დამსხვრეული...
ვაი, ქვეყანა არის სწეული, —
„ნაღდი შოუთი“ თვრება მავანი...
..... ჭერდაქცეული
გოდებს ხალხი და... დუმან მამანი!

1994 წ.

ცოთოლცვენაა ჩვას მამულში...

საწუთრო ესე
სატკივრებით მდალავს დღემუდამ,
მესმის წუხილი —
მზე უდროოდ დაღამებულთა!
მესმის ჩურჩული —
ჩრდილების თუ მკრთალი ლანდების...
ვინ იცის, სულო,
რა ფაცერში გაიბლანდები!
შევყურებ ცარგვალს,
ვით იდუმალს, როგორც ზენაარს...
ფოთოლცვენაა
ჩემს მამულში, ფოთოლცვენაა!

1994 წ.

თვალინი იელვებს დანა უცები

თვალინი იელვებს დანა უცები,—
სისხლი... კივილი... შიში... გინება...
ღრუბლის ძონძები და ნაკუნები
ცას ტრაურივით გაეფინება!

ჩვენს სიველურეს ვინ და რა უმზერს,—
ასე გულცივად, შეუჩერებლივ?..
სწრაფად ართმევენ სიტყვას მაუზერს
ავტომატები — ჩვეულ ჯერებით!

და... იძზარება სივრცე, ვით მინა...
დღევანდელ დღეზე ვინ ითავცემა?!
მეც ხომ სხვებივით დიდხანს ვითმინე,
მეც ხომ ვიხილე დიდი გაცემა!

ბინდს ექსოვება მრუმე ბინდები,
ახლა ბინდშია ეს გზა, ის ხედი...
კვლავ მოვითმინოთ, — თუ შევშინდებით,
ჩვენ ხომ მოთმენით დიდხანს ვისხედით!

და... ჩვენ მაგივრად ის — შეწირული,
ისევ, ხელახლა შეინირება...
და... წმინდა სისხლის წმინდა ბინული
დაედინება მინას წვიმებად!

და... კვლავ იელვებს დანა უცები,
ისევ ღალატი... სისხლი... გინება...
ღრუბლის ძონძები და ნაკუნები
ცას ტრაურივით გაეფინება!

1994 წ.

გაური მოლაშენა

ცერილი დეპისადეი

ნუნუს და თალიკოს

სისხლისფრად მოვიდა ახალი წელი,
ჰორიზონტს ედება ღრუბლების თებო...
არვისთან მივდივარ... არავის ველი...
ამ დროს თქვენ გიხსენებთ, ძვირფასო დებო!

თბილისი ყაჩალთა ბუნაგი გახდა,
დღეს ვინც არ ყაჩალობს — ვერ ასცდა შიმშილს...
დებო! დედაქალაქს ვერ იცნობთ ახლა,
აქ ზეობს სიცრუე... ღალატი... შიში...

დღეს ხომ საქართველო მორჩილად დათმეს,
ახლა საქართველოს სისხლძარღვი შრება!
მსურს გადავიხვენო აქედან სადმე,
მაგრამ... უსამშობლო სად ვპოვებ შვებას?

ყველაფრის ხალისი დაკარგა ხალხმა,
დღეს „ხალხის სახელით“ წიხლავენ მასვე...
ვაი, სასოების ყვავილი გახმა...
რა რწმენა დამარხეს... რა შხამი მასვეს!

სისხლისფრად მოვიდა ახალი წელი,
საწიერს ედება ნისლების თებო...
არვისთან მივდივარ... არავის ველი...
ამ დროს თქვენ გიხსენებთ, ძვირფასო დებო!
1994 წ.

ჩემო მეგრელო კალმისკაცებო!

„ვიცი, მოგავხართ ბრძენ ხოგაის მინდს,
ზვერავთ ბუნებას მზერამშიერი
და თუ ჩემი ხმის ეხოც გაისმის
ვარ თქვენი ჯიშის მე ნაშიერი“.
გაბრიელ ჯაბუშანური

(ლექსიდან: „მიძღვნა ხევსური მელექსეებისადმი“)

ჩარხი უკულმა, ვხედავ, შებრუნდა,
ეს ყოფა მამულს ვინ მოუტანა?
ყურში ჩამესმის ყველგან, დლემუდამ,
ჩვენი „ჩელა“ და „დიდოუ ნანა!“
ვდგავარ მდუმარე ... მოლზე ვეება
მწუხრის ჩრდილები ნათელს მიქრობენ...
რადგან ჩვენ გავჩნდით მოლექსებად —
ყველა სატკივარს ვანდობთ სტრიქონებს!
ჩემო მეგრელო კალმისკაცებო,
გულში მდულარეს დარდად ვიმარხავთ...
შვება, იმედი თუ გატაცება,
მომავლისათვის გადაგვინახავს!
დლეს გვტკივა ზურგი — ხმალჩანაგები...
ეს რა ჯავრშია სიტყვა რეული!
ეგრე, ეგრისის გაჩანაგებით —
დავალთ, დავდივართ, დარდმორეული!..
გაორებული მიკვნესის გული,
დრომ ეს წვალება მიძღვნა ნობათად...
მეც, ვით აბედზე მიკვესებული, —
ნაპერნკალი ვარ — დიდთა გრძნობათა!
ჩარხი უკულმა, ვხედავ, შებრუნდა,
ეს ყოფა მამულს ვინ მოუტანა?
ყურში ხმიანებს ყველგან, დლემუდამ,
ჩვენი „ჩელა“ და „დიდოუ ნანა!“

1994 წ.

ნაკვეთში

სოსო (ბადულ) მოლაშხიას

ნაირფერია ირგვლივ მიდამო,
არის ძრიალი — ხეთა გალობა
(სადღაც მდუმარე კლდეა პიტალო,
ურყევი, როგორც გარდუვალობა)!

ირგვლივ ჰაერი თითქოს ერბოა,
ხის ქვეშ ცურავენ ჩრდილთა ნავები;
ეგერ, რომ მოჩანს, ის ხომ ენდროა?
აგერ ყვავილი სანანავები!

გაფოთლილია ვაშლი, ატამი,
დაწურულია ღრუბლის ცურები...
თითქოს გამერალა ქოქი სატანის,
ახლოს ფეთქავენ სატაცურები...

ტოკავს, ირხევა მინდვრად კოფორჩილა,
ფერდობზე ყვავის ბალი, მოცხარი...
აქ ირგვლივეთმა დამიმორჩილა,
აქ სიმშვიდეა გასაოცარი!

1994 წ.

იარე!

კვლავ ეტოქები მედგრად შენ, იღბალს,
სივრცეს გაჰყურებ, როგორც აკვარელს...
დღეს თავის სახეს ვერვინ შენიღბავს,
ვერვინ დაფარავს მზაკვრულ ნაკვალევს!

დრო — გარდასული — ისევ გამოგყეფს
და შეგახსენებს — არსად წასულა...
იებმა თავი ისე ამოყვეს,
თითქოს ცხოვრება არც დათარსულა!

წვიმებმაც ისევ გადაიწვიმეს,
გადაიყივლეს ღამე მამლებმა...
დარდები გულზე გადაიწვინე,
იარე!
წამლით არ გეწამლება!

1994 წ.

ნამეგობრალი

ვინც სულისათვის ერთ დროს ხარობდა, —
იგი მორჩილი
გამხდარა ხორცის...
მოიმზირება მძორის ხაროდან
და ეშმაკეულს
ჩუმ-ჩუმად კოცნის!

რისი სული და რისი წარსული!
„გამარჯვებულთა“
ბაირალს არზევს...
ეშმას თათებით წახშირწასმული,
თვითონ ვერა ცნობს
საკუთარ სახეს...

მოჰყავს მანქანა — ცოდვის გორგალი,
კვალდაკვალ მოსდევს
მელეშე — ძერა!
გვერდით ჩაუვლის ნამეგობრალი
და გააყოლებს
წალვლიან მზერას!

1994 წ.

ბაზრ მოლაშენა

მტერს ძაბუნობით გულს ვერ გაუთბობ

მტერს ძაბუნობით გულს ვერ გაუთბობ,
არ მორჯულდება მხეცი ფერებით....
გსურს გადამთიელს მუდამ დაუთმო,
მე კი... ლიმილით მეცბიერები!
მტერთან მორჩილად ხარ მომჩოქარე,
მე სხეულს მაჭრი ნაწილ-ნაწილად...
რა დავაშავე, დროო მშფოთვარევ,
რომ ჩემმა სისხლმა ასე გამწირა?
1994 წ.

ჩემი ქვეყანა — ჩემი ქიანა

დრო დატვირთულა სისხლით, ცრემლებით,
ამოტრიალდა თითქოსდა მიწა...
ამ დღეებს როგორ გადაევლები;
ბნელა,
თითქოსდა მზე გადაიწვა!
ელავს,
მიმოჰქრის ეშმა რქიანად,
ფეხი აიდგეს მთათა ქანებმაც...
ჩემი ქვეყანა — ჩემი ქიანა —
ახლა საითკენ მიექანება?

1995 წ.

ახლა გულს სტკივა...

ახლა გულს სტკივა და უჭირს უფრო,
ვიდრე თქვენ ამას ამჩნევთ...
დავდივარ, როგორც უჭირისუფლო,
თავს მარტობას ვაჩვევ!

1995 წ.

დგახარ წარსულის აკროპოლისად...

დგახარ წარსულის აკროპოლისად...
აქ შრიალია მარტო მოლისა!

ამ გორაკიდან შენ იმზირები
და გამაგრებენ ძველი ძირები!

ნამყოს გამოჰყვა ფეთქვა ფესვების, —
ვერ დაგეხსნება! ვერ დაეხსნები!

კედელს ხალიჩა აკრავს მოლისა...
დგახარ წარსულის აკროპოლისად!

1995 წ.

როგორ იგასრება ქართებილი

როგორ იბასრება ქართეხილი,
როგორ ინავსება ბედი...
ჯობდა — ყოველივე არ მეხილა,
გული დამეხილა, დედი!

შენ უკვე მიღმეთი გეფარება,
იქიდან თუ ვჩანვარ ნისლში?
ეს დრო მზენაკლულად მეპარება,
ნინსვლას ვერაგულად მიშლის...

კვლავ უსმენს სიცრუეს მონის ყური,
კვლავ ძველი მასხარა მასხრობს...
ვით უცხო ქვეყნიდან მორიყული —
აქ ვერ ვცნობ უწინდელ ნაცნობს!

ნამი წამს ესკვნება მარჭვალივით,
ნუთი წუთს უკვერავს ბორკილს...
დროის სვლა ჩამესმის ღაჭალივით,
ზოგს ჟამი დაუდგა როკვის!

ბაზრ მოლაშხია

ზოგი უხანობით იცელება...
ვინ ხმარობს აკრძალულ ილეთს?
რამდენი კეთილი იცრემლება,
რამდენი ატყუებს მილეთს!

როგორ იბასრება ქარტეხილი,
როგორ ინავსება ბედი...
ქვეყანა დაჩოქილ - დაჩეხილი
როდის გაიხარებს, დედი?

1995 წ.

მე ვნახე ჩემი გარდაცვალება

მე ვნახე ჩემი გარდაცვალება,
ვნახე:
ვინ დუმდა, ვინ არ მიტირა,
ვინ თვალს ცრემლისთვის არ აწვალებდა,
ვინ იდგა მშვიდად, მიამიტურად;

ვინ ყველაფერი მიაპითურა
და მომაყარა
თიხა თითებით,
ვინ გულდაწყვეტით დიდხანს მიყურა,
ვინ წუხდა
ბედის გაბედითებით...

შორს მძიმდებოდა ბინდით ველობი,
ხმა არ ისმოდა სანაპიროდან...
ვისგან
ნაკლებად ცრემლებს ველოდი —
იდგა და მწარედ ის დამტიროდა!

1995 წ.

პოეტის ვერ ნახავ ახლა უდარდოს

პოეტის ვერ ნახავ ახლა უდარდოს,
ამ დროს ვინაა ჩუმი, უსევდო?..
გულმართალ პოეტს გზა დავუდაფნოთ
და ჭიალუებს ნუ მივუსევთო!

მოთამადენო ამ თახსირ დროში,
მოჭიკვიკენო უზნეობითა!
როს იხედებით გადავსილ გობში —
ლალობთ, ნებივრობთ — გულზე ობითა...

ის, — დაქცეული ქვეყნის მოზარე, —
მჭმუნვარედ ხვდება გულის მეგობარს...
მეფის პოეტებს — იქთიოზავრებს,
არ მოგწონთ მისი უიმედობა!

მისთვის საწუთრო გახდა უდაბნო,
უნუგეშობა მისი სახლია...
გულმართალ პოეტს გზა დავუდაფნოთ,
მომავლის დრონი მას ეძახიან!

1995 წ.

რასაც დღემდე ველაციცე...

ლმერთო, გამყავს დრო წვალებით,
ჩემი ყოფით, ოჯახითა...
გადმომხედე მოწყალებით,
დრო მალირსე მოძახილთა!

ვუმზერ უამთა ელვა-ციმციმს,
კუდიანი ცას მოება...
რასაც დღემდე ველაციცე,
გაქრა, როგორც სასოება!

1995 წ.

მოლზე მძინარე პავავი

რიურაჟივით ნორჩი გული
ფეთქავს უდარდელად,
ცა — იებით მოჩითული —
ადგას გულს ნათელად.

წევს მოლზე და ლარნაკივით
ირგვლივ რაღაც ბრწყინავს...
უხილავი აკვანივით
არწევს პაწაწინას.

1995 წ.

შენ რად მესვრი ტყვიას, სესე?

„ნეტავი რა დაგიშავე,
ქვას რომ მესვრი, ბიჭო სესე“.

შ. მლვიძელი

რაც შემეძლო — სითბო ვთესე,
ვიმუშაკე, სიტყვა ვლესე;
მოყვასის გულს ვეალერსე,
შენ კი რაღას მერჩი, სესე?

მე შევწირე თავი ლექსებს,
უძილობა დავიწესე;
გულცბიერი არ ვიმწყებსე,
შენ რას ამიხირდი, სესე?

შენ მუხთლობა აბიზნესე
(ბევრი ყინჩად დადის ესე)!
რა მზვაობრად აილესე,
შეიბრალე თავი, სესე!

რაც შემეძლო — სითბო ვთესე,
ვიმუშაკე, სიტყვა ვლესე;
მოყვასის გულს ვეალერსე,
შენ რად მესვრი ტყვიას, სესე?

1995 წ.

გაპეიდებია ნიავს ნიავი

გაპეიდებია ნიავს ნიავი —
ცელქი ბავშვები, უჩინარები...
თრთოლა, შრიალი თუ ლოლიავი...
დუმან მგზავრები — ქუჩით მარები!

მიპეონებია ფოთოლს ფოთოლი, —
შეყვარებულნი, როგორც ქალ-ვაჟი...
დგება ცარგვალზე ღრუბლის გოდოლი,
ჩანს ბუნდოვნება სივრცის ქარვაში!

ხევდახევ ნისლი მოიპარება,
როგორც მძინარე ქართა სიზმრები...
მიწა კვლავ ბინდით მოიფარება,
ვით საუკუნე — კატაკლიზმებით!

1995 წ.

ცხოვრება

როს მამალლებდა მნათი ოცნების, —
გზას ვინ ოხერი გამირთულებდა?
ცხოვრება ვზომე პატიოსნებით, —
თურმე ის ამით მაბითურებდა!

1995 წ.



ბაზრ მოლაშენა

რა დაავითებს ამას...

რუსლან ჯაკონიას

სუნი მომდგარა კეთრის:
მედროვე ბაძავს ლერწამს...
ბანდა მოასკდა ეგრისს,
ხოცავს,
ძარცვავს და ლენავს...

ბოლმა ბორჯალობს, ბორგავს...
ისმის გოდება ხალხის...
„რჩეული“ ურცხვად როკავს...
მოხშირებულა თალხი!

დრო დასდგომიათ მკვლელებს...
უაულმა ბრუნავს ჯარა...
ქვეყანა მოჰვავს ბნელეთს...
თვალი უბრნყინავს ჯალათს!

დედა მოკლულ შვილს ეკვრის,
კედელთან ხვრეტენ მამას...
ეგრისს,
მშობლიურ ეგრისს,
რა დაავიწყებს ამას!

1995 წ.



სიტყვები — გულზე მიმოხლილი...

სიტყვები —
გულზე მიმოხლილი —
სტრიქონდებიან სისხლის გაღებით...
ვინ მემუქრება, ვინ ოხერი,
რომ დამირბიოს ლექსთა ბაღები!

ჯერ კვლავ შრიალებს ვარჯოვანი
და მიხარია,
კარს რომ შევაღებ,
არვისგან არ ვარ ნაჯობნარი, —
ჩემს ბალში მხოლოდ მე ვარ მებაღე!

ჩემგან მოვლილი შიმალები
მხოლოდ
ერთადერთს მცნობენ პატრონად;
შევალ და შვებით შრიალებენ
და მამშვიდებენ, როცა მარტო ვარ!

აქა-იქ რეჯგვით მიმოხრილი,
ისევ ხარობენ ჩემი ბაღები...

სიტყვები —
გულზე მიმოხლილი —
სტრიქონდებიან სისხლის გაღებით!
1995 წ.



ჩემო შუგირო!

ჩემო ჭკვიანო წინაპარო,
ჩემო შუმერო!
შენს მემკვიდრესთან ზოგი ცრუობს,
ზოგი შულერობს...

მე მაინც მე ვარ! ჩემში ცოცხლობს
ჩემი ლურსმული!
ჩაედინება გულში ცრემლი,
როგორც რუსხმული!..
ლამის დავკარგე წარსული და...
ვარ გაბუსხული!..

ბნელ მიღმიეთში შენი მტრები
გაემურენო...
ჩემო საწყისო შორეულო,
ჩემო შუმერო!

მწყურვალე სივრცე შენი ხმებით
უცდის ავსებას...
შენი მემკვიდრე ფეხზე დგება,
არ ინავსება!..

ჩემო საწყისო შორეულო,
ჩემო შუმერო,
შავეთში შენი მოშურნენი
გაეშურენო!

1995 წ.



სულო!

ბედი კვლავაც შეგყრის რასა!
 დღემდე ბედს არ შეეპუე,
 სულო!
 ძლიერთ ამა ქვეყნისასა
 ვერაფრით ვერ შეეგუე,
 სულო!
 საითკენაც გაიხედავ —
 ხილულეთი ირაზება,
 სულო!
 აწმყო ბნელით ჩაიხერგა,
 ჩანს მერმისიც მირაჟებად,
 სულო!

1995 წ.

უცდა ზურგი შევაქციო

უნდა ზურგი შევაქციო
 ამ ცხოვრების გზას;
 სხვა დრო-უამში შევაღწიო,
 სხვას ჩამოვკრა ზარს!

რისი ლექსი — სულის ნუკვა, —
 უზნეობის დროს!
 მხოლოდ თავის თავი უყვარს
 ამ „რჩეულთა“ ბრბოს!

ზოგს — დაჩოქილს, ფურთხის მლოკველს,
 დაბრმავებულს — ზოგს!
 ლაქიური როკვით მროკველ
 მედროვეთა ჯოგს!

რისი გრძნობა ან სინდისი, —
 ამ ვერაგულ დროს!
 ხელზე სცხია ხალხის სისხლი
 „რჩეულების“ ბრბოს!

ბაზრ მოლაშხია

უნდა ზურგი შევაქციო
ამ ცხოვრების გზას;
სხვა დრო-უამში შევაღწიო,
სხვას ჩამოვკრა ზარს!

1995 წ.

დაიცარე, სახიერო! იურა და ჯამბულ წონერიებს

დაღვრემილა უხმო ხედი: —
გზა, ფერდობი, ხევი...
წინ ვიჩქარი, — უკმოხედვით, —
ელავს მოსახვევი!

გავიარე, გავეძ ურთა, —
ვხედავ უცხოს, სხვა ტომს...
ეს ქვეყანა გაველურდა, —
ვისგან? რისგან? რატომ?

მოჰყვა ზოგთა ნატვრას — „ურა!“
ვიღას უნდა — ჯიმა!
მოძმეც უტევს სატანურად
ჩვენს ჯიშსა თუ ჯილაგს!

წაგვიბილწეს სახლი, ერო!
მეჩეჩიზეა გემი!..
დაიცარე, სახიერო! —
აქ — კოლხური გენი!

1995 წ.

ედება ჟამთა ფეხებს ფეხები...

თვალწინ დაიწვა სხივი კენარი...
ან სულერთია: — ვინ ვისკენ არი!

არ ჩანს ნათება სხივთა შვეულთა,
ისმის უღონო ხმა დამშეულთა!

გაღმა მხარეზე დგას მაწვიერი...
გასანთლისფერდა თვალსაწიერი!

თავზე გვემსხვრევა ხმები მუქარით,
გვიდგას ცხოვრება გაუშუქარი!

ედება ჟამთა ფენებს ფენები...
ვაი! არა ჩანს დრო გათენების!

1995 წ.

მამის გოლება

სხივს შეიშრობს ცა ნაბური...
ვერ იხარებს ცალად გული,
შვილო!

მნარე ცრემლებდანაპკური,
ვარ ნაღველით დანაპური,
შვილო!

გელის მამა, მამაშენი,
სხვა რა გითხრა დანარჩენი,
შვილო!

იქ წავალ თუ აქ დავრჩები,
მხოლოდ შენით გადავრჩები,
შვილო!

1995 წ.

დარღვი არვინ მეცყვილება

დარღვი არვინ მეწყვილება,
მიხარის თუ მეწყინება,
ვინ დაგიდევს ამას?

წყვილიც ცალად მეცალება,
დრო უუმურად მეძალება,
დრო — ჭრილობად დამაქვს!

გულს ტკივილმა უკბინაო;
ვით დევნილს და უბინაოს,
რა მქონდა და რა მაქვს!

ალბათ დრტვინვით დაცმიწდები...
ჯერ კვლავ ვცოცხლობ, კვლავ ვირწევი,
მოჰვავს სივრცე ჰამაკს!

ბორჯი ჯიბრით წუხილს მათოვს,
დავალ, როგორც უყისმათო,
ვერ მივაგენ წამალს...

ფრთებდაშვებულს, ნალოდინარს,
ბოლოს, ალბათ, ქვა-ლოდი მაქვს,
ვინ წამართმევს ამას!

1995 წ.



ერთმარცვლოვანი ლექსეპი
(სავარჯიშო რვეულიდან)

* * *

წვიმს...	რომ
გულს	ცრის, —
სწყინს...	დრო
დუმს!	ჰქონის!

გზებს,	წვიმს...
სულს	გულს
მზე	სწყინს...
სურს!	დუმს!

1995 წ.

* * *

დგას,	მხეცს
ნუხს...	ჰგავს;
(ცა	ძეძვს
ქუხს!	რგავს!

შიშს	რას
გრძნობს...	გრძნობს? —
ჯიშს	ცას
თმობს!	თმობს!

1995 წ.

* * *

ეს	ტოტს
ხე	ხრის...
ხელს	თოვს,
მხვევს, —	ჰქონის!


1995 წ.

* * *

გულს	ის
მწვავს...	კვლავ
მძულს...	მზრდის...
მწამს...	მკლავს...

1995 წ.

ხანა სიჭარმაგისა



მზერა საწილს შენაცრებია

მზერა საწილს შენაცრებია,
უსიტყვოდ გოდებს ხმა შინაგანი...
დღეებს დღეებს ენაცვლებიან,
მომიზნებულა დრო, ვით ნაგანი!

ირგვლივ არა ჩანს მოყვასთაგანი...
ისმის მოწამე სულის კივილი!
დამნუხრებულა რჩმენის საგანი,
მიმოდის ხალხი არლეკინივით...
1996 წ.

სივრცეს ადევს ღამე — ლუქი

სივრცეს ადევს ღამე — ლუქი,
(დროს კვლავ ველით გათენების!)
დღეს მომრავლდა მამელუქი —
სულშეცვლილი ქართველები!
არა პორტას ან არაბის, —
ეშმას მიერ შეცვლილები;
დასდგომიან გზას ბარაბის,
უზნეობით შეშლილები!
უხვად თესენ სიძულვილსა,
გზაა ულვთოდ დაჭირხლული...
საუკუნის მიწურვისას
გოდებს ერი — დაწიხლული!
სივრცეს ადევს ღამე — ლუქი,
(დროს კვლავ ველით გათენების!)
მოგვიმრავლდა მამელუქი —
სულშეცვლილი ქართველები!

1996 წ.

ჩავათილია სუყველა კარი!

თითქოს ქვესკნელით ამოსკდა ქარი,
ამოსკდა — უცებ შემაჯანჯლარა...
ჩაკეტილია სუყველა კარი,
ჩამუქებულა ყველა ფანჯარა!
მედება ყელზე დრო-ჟამის რკალი,
ვიღაც ორმოში უხმოდ ჩამჯდარა...
ჩაკეტილია სუყველა კარი,
ჩამუქებულა ყველა ფანჯარა!..
თითქოს ცამ იძრო ათასი ხმალი, —
ელვა ელვაზე გადააჯვარა...
უნუგეშობა... მსუსხავი ქარი...
დახშული კარი... ბნელი ფანჯარა...
იყო დრო — მძაფრი, მხურვალე, ჩქარი,

ბაზრი მოლაშენა

მან დინჯი სისხლიც აამაჭარა...
ახლა... სიცივე და რკინის კარი,
ფარდები ღამის... ბნელი ფანჯარა!
მარტოსულობის მინთა კვარი,
დიან ღრუბლები კენტად ან ჯარად...
ჩაკეტილია სუყველა კარი,
ჩამუქებულა ყველა ფანჯარა!
თუ ხმისგამცემი აქ არვინ არი,
ამ ცისქვეშეთში ნეტა დამრჩა რა?!
ჩაკეტილია სუყველა კარი,
ჩამუქებულა ყველა ფანჯარა!

1996 წ.

3060 სხვას მოძღვრავდა...

ნუ ჩაუჯდები
მეფეს ნავში, — გვმოძღვრავდა იგი, —
ნუ გაფუჭდები პოეტი კაცი!
იდგა მლიქვნელთა,
პირმოთნეთა ჯოგი თუ რიგი, —
ქვემძრომის სულით! მედროვის განცდით!

გამოხდა დრო და...
ჟამს მწუხრისას იმ ნავში ჩახტა...
მისით ამაყნი
დაგვამდაბლა, დაგვტოვა სახტად!
ვინც სხვას მოძღვრავდა, —
იგი მეფის მსახური გახდა!

1996 წ.



შურიგე!

ვაი, ულვთოდ გადაგთელეს,
შურიგე!
კვლავ გთათხავენ, კვლავ გათრევენ,
შურიგე!
უცხო ხარო, ავი ხარო,
შურიგე!
ავის მთქმელმა არ იხაროს,
შურიგე!
დავალ დარდით გამოხრული,
შურიგე!
დალვრემილა ცა კოლხური,
შურიგე!

1996 წ.

დროს მიაპოპს ყოველს ნიგნი

თითქოს ვცხოვრობ უხმაუროდ, —
გარეგნულად მხოლოდ!
შიგნით — ხმები უცნაურობს,
შიგნით — შფოთვით ვცხოვრობ!

შიგნით — ჩემთა ფიქრთა შიგნით,
ზღვის ბორგვაა მძაფრი...
დროს მიაპოპს ყოფნის წიგნი —
სივრცეების აფრით!

1996 წ.



ცოდარ ცულეისპირს —

მისი წერილის „სულიერი თვითმკვლელობის“ გამო

მწამდი და მწამხარ ღვიძლი ძმასავით,
მოგდგამს და მოგდის სიტყვა ძალუმი...
შენ ხომ იხილე დიდი ვარსკვლავი,
მოძმეც — გამცემი, უღვთო, ძაბუნი...

ხან სხივნათელი ბნელშიც გინახავს,
ხან გაგიმართავს დროსთან კაფია;
შენ იცი, მამულს ასე ვინა ხრავს,
საიდან მოდის ქართველთყლაპია!

შენ ვინ გასწავლოს ავი და კარგი,
იცი, ვის როგორ მიესალამო...
იმ მართალ ტკივილს როგორ დაკარგავ,
იმ მართალ ტკივილს მიეც მალამო!

არ დაიშლება უცებ ის კირი,
რითაც იმედად ჩაგრულს ეგულვი...
ვინა თქვა — ნოდარ წულეისკირის
სიტყვა ბაგიდან ჩაბრუნებული!

ვინა თქვა — თითქოს ბითურს დარჩება
ბრძენის ნალვანი თუ ნაჯაფარი...
ისევ დაგყურებს ცით თუთარჩელა
და რას დაგაკლებს გულქვა ჩაფარი!

ხალხს, ვინც ტანჯვისგან გულგამშრალია,
კვლავ აქვს უნარი სითბოს შენახვის...
მოგკვნესის „ჩელა“ თუ „მაფშალია“,
გიხმობს „ლილე“ თუ „შენ ხარ ვენახი“...

არ დაიშლება უცებ ის კირი,
რითაც იმედად ჩაგრულს ეგულვი...
ვინა თქვა — ნოდარ წულეისკირის
სიტყვა ბაგიდან ჩაბრუნებული!

1996 წ.

ამპვეყნიურ სიჩუმეში...

უკვე აქ ვერ ვხედავ მშობელს,
უკვე აქ ვერ ვხედავ მამას...
წყენით ვუმზერ წუთისოფელს,
მატყუარა ფერთა თამაშს...

და როს ჟრუნი, მწვანე, მრეში,
შეეცვლება ღამით მამულს, —
ამქვეყნიურ სიჩუმეში
მიღმიერთა ვისმენ ხმაურს!

1996 წ.

სან...

სან თვითმკვლელობის განცდა მომიცავს,
სან მბუუტავ იმედს ჩავეჭიდები;
სან მწყალობელად მოჩანს შორი ცა,
სან ვფიქრობ: — მე აქ ვიღას ვჭირდები!

სან ცნობილ მტერშიც ვეძებ მეგობარს,
სან მეგობარშიც ჩაკვდა რაობა...
სან ეს ქვეყანა მე არ მეთმობა,
სან ვუმზერ მას, ვით არარაობას!

სან კი.... ელვებმა სივრცე მორკალეს,
სან ცით ჩამესმის წმინდა სახელი...
სან დაბრმავებულ თანამოკალმეს
ვხედავ უეცრად თვალებახელილს.

სან მომავლისას ვიგრძნობ სიცხოვლეს,
სან ჩუმად ხმება რწმენის ყანობი;
სან... ვაჰმე! რაა ასე სიცოცხლე,
რა არის ყოფნა ხან-და-ხანობით!

1996 წ.

დევილის ფიქრები

მომტირის ჩემი ფესვი თუ ძირი,
აქ კი ვიღაცებს ვეუცხოვები!
ხმაჩაწყვეტილი
უბგეროდ ვყვირი: —
ნუ, ნუ მაცხოვრებთ ველურ ცხოვრებით!

იქ, აფხაზეთში ვიცავდი მამულს...
დღეს, ნაჭრილობებეს, დაღლილს განცდებით,
როცა ბალლამი
მიფატრავს ამ გულს, —
ცერად მიმზერენ აქ — ვიღაცები!

როგორ მამასხრებს დრო უნაპირო,
უიარაღო ვჩივი თუ ვკვნესი...
— სადა ხარ, სადა, გოლუაფირო! —
სიზმარში მიხმობს ძირი თუ ფესვი...

ვინ გამიტარა ზღვარი ენგურთან?
ვინ ჩამომართვა ომში მახვილი?
ვინ არ ისმინა
აჯა გვემულთა?
ვის გამო არის დროშა დახრილი?

მეისტორიევ, მჯერა და ვიცი,
ხვალ-ზეგ სიმართლეს დაწერ ნამუსით...
მე მხოლოდ ახლა
მიჭირს თუ მიმძიმს,
მე ახლა მამულს ვეძებ მამულში!

1996 წ.



ჩემო შურიგე...

მეცხრამეტეში
დიდ პოეტებს შენ არ ახსოვდი, —
არც ერთი ლექსი
შენზე არც ერთს არ უწერია...
მეგრულთან ერთად
ხმაში ქართულ ბგერებს აქსოვდი.
დედას აკვანი
აქ ქვეყნისთვის დაურწევია!

ამ მეოცეში
კანტიკუნტად გინერეს ლექსი, —
ზოგმა — უგულოდ,
ზოგმა — ნრფელად,
ზოგიც დადუმდა...
დღეს გათელილო,
გაძარცულო, რა მნარედ კვნესი,
ნუთუ სამოთხე
სიყვარულის გაუდაბურდა?!

ჩემო შურიგე,
ჩემო ჯავრო — ჯერაც უთქმელო,
შენი ლადარი
გულისგულში — აგერ ანთია!
შენ მტერთა მიერ
ჯვარცმულო და ჭირდაუთვლელო,
საქართველოსთვის თავდადება არ გეპატია!

1996 წ.



ხედავს ყველა...

ხედავს ყველა,
როგორც ადრე ხედავდა, —
ეს ქვეყანა ერთგულთაა,
არა — ქვეგამხედვართა!

ერი არ გახლეჩილა,
კვლავ მთლიანი ერია,
მხოლოდ ლალატიანი
ბევრი გამოერია!

ერში როდის ჩათვლილა
ქვეყნის მაყივნებელი,
ქვეყნის დამაქცევარი,
ქვეყნის მაგინებელი!

ერი მუდამ ერთია —
ნამებულთა გულებით,
ერი — ერთგულებია,
არა — მოსყიდულები!

ერი არ გახლეჩილა,
კვლავ მთლიანი ერია;
მხოლოდ ლალატიანი
ბევრი გამოერია!

1996 წ.



ჯავრი

შერმადინ ქალდანს

სივრცე მძიმდება ჯანლის შემოსვლით,
დატენილია არე ლაღუმით...

საკუთარ ჯიგარს — ჯავრით შემოსილს,
გავეშებული მწარედ ჩავლმუი!

ჯავრის ჯავშანით შემოჯავშნული
მაკრავს გარემო — კუშტად დახშული!

დამშეულ თვალებს, ჩაქნეულ ხელებს

როგორ ვუშველო, რით ვენუგეშო...

ეს ცოდვა ქვასაც აამეტყველებს,
ვინ გაამტყუნებს რითმებს უგეშოს!

ლექსს ვწერ და, გული ყველაფერს იმცნევს,
უბერო ხმებით შევყმუი სივრცეს!

ქედდადრეკილად ვლიან მგზავრები,
თავისუფლება მათთვის მოჭორეს...

და, ჩვენი დროის იქთიოზავრები

თელავენ საწყლებს, როგორც ხოჭოებს...

თითქოს წუთები ცვივა, ვით ხრეში, —
ვზივარ უკარო ჯავრის ციხეში!

ხან ზეცა თრგუნავს დროს ცბიერების

და ანუგეშებს ამით მიწიერს,

ხან ამ უსახურ ყოფიერების

საჭე უპყრია თაღლითს, ბიწიერს...

და... ორ სკნელშუა, როგორც ობობა,
მქსელავს დღეის დღის დაუნდობლობა!

ჩამორღვეულა მთათა კალთები,

ქარი ნისლეულს ხევს ტიარებად...

ვის შეუძლია ახლა ქართველის

ყისმათის წალმა შეტრიალება?

ბოლო არ უჩანს ლირსის მოლოდინს...

ვცხოვრობთ მერმინდელ დღის სიმბოლოთი!

1997 წ.

ფკვიანი გარენარი

გვამასხრებს ვიღაცა მასხრის სითავხედით,
ზევით ზის ავკაცი, მკაცრად, “დიდებულად”...
— ჭკვიანო გარეწარო, იქ რით ახვედი?
(იგი პასუხისას არც დაფიქრებულა!)
— სითავხედით! სითავხედით! სითავხედით!
1996 წ.

ჩიმო სევდავ

როგორც ვული — ცაა დაბურული,
როგორც სივრცე — შემლვრეულა ფიქრი;
დუმს მწვერვალი —
ლრუბლით გამურული,
აჩხვერილა დროულ ხეთა რიგი...
ჩამოიფრენს სიო იშვიათად, —
შეუცნობლის სუნთქვა მესმის თითქოს...
ჩემო სევდავ,
ახლა იშვი ათად,
მენატრება სიხარულის სითბო!
1997 წ.

მზის სეივებს მოჰყავთ...

მზის სხივებს მოჰყავთ ეტლი ოქროვანი,
უჩანს წითლოვანი აღსავალს ლოყა;
მიწას ანათებს ციიაგთა თოვანი
და სივრცე ხმოვანი განთიადს მოჰყვა.

შეუბლალავი შრიალებს სიო და
ფეთქვას კორჩიოტა, ირთვება ბალი...
ვნახე: — მომირჩა რაც გულში მტკიოდა —
ცით ჩამოდიოდა ნათელი ქალი!
1997 წ.

ჩემი ცხოვრება ორ დროსთან დადის

ჩემი ცხოვრება ორ დროსთან დადის: —
ნამყო... მერმისი... სხვა დრო არა ჩანს...
მეც გავასრულე ორმოცდაათი
და, ვფიქრობ, ჩემი სული გადარჩა!

გამოვერიდე ლაფსა თუ ტალახს,
არ ვეთანაბრე ცბიერს თუ მლიქენელს...
მივყვები ასე საწუთროს ტალანს
და საწიერი ლურჯ ალამს მიქნევს.

1997 წ.

მეცის დუდუკზე...

პოეტს არ ძალუდს სხვათა მძლავრობა,
არ ეფერება არც ერთ მთავრობას!

მეცის დუდუკზე ვინც აქ გაიარს,
ნუ ცნობთ პოეტად... ის — ნაგავია!

1997 წ.

მიღი, ენავე...

ყოფნა იცვლება უეცრად, უცებ,
ნუ ემსგავსები მნირსა თუ ეულს...
მიღი, ეწაფე საყვარელ ტუჩებს,
მიღი, ეუფლე მთრთოლარე სხეულს!

თორემ უგვანი, უნდო დრო-ჟამი
გადაიყეფებს ავი ძალლივით...
დაჭენება იგი — თეთრი შროშანი,
ჩაქრება გული — განცდით დალლილი!
1997 წ.

ცლებო სიზაბუპისა!

ოქროს კოშკი მეც ვაგვ,
ვნახე ქროლა ბუქისა...
როგორ
შემომეფლანგეთ,
ნლებო
სიჭაბუკისა!

თუმცა ბევრი ვიწვალე, —
არ ასრულდა — რაც მსურდა...
ფეხი ვერ მოვიცვალე, —
ჟამი ისე გაცურდა!

შემართება რა იქნა?
ნუთუ არ ჩანს საშველი?
იგი —
კოშკი, დაინგრა,
ნამცეც-ნამცეც ნაშენი!

ვფიქრობ ჭალაროსანი —
დროის უგვან სოროში...
ალბათ
ხელარგოსანი
გავალ ასე, — ბოლოში...

ვუმზერ ამ დღეს, ვით ფანტელს,
ისმის სიტყვა ნუკვისა, —
საით მიმოიფანტეთ,
ნლებო სიჭაბუკისა!

1997 წ.



შენი ობჟალე

ისევ ანთია შენი ობჟალე,
(რაღას დააკლებს ახლა მწერი ხარს?)
გშალეს და მაინც ვერ ამოგშალეს, —
მარადისობის წიგნში წერიხარ!

1998 წ.

აგერ ობობა...

აგერ ობობა ისევ მობობლავს
და მოიქსელავს ოთახს ირიბად...
უნდა იცხოვრო კაცმა როგორლა,
ოდეს ყროლდება დრო თახსირითა?

1998 წ.

დგას კოლები...

ნისლი ხავსივით ედება ბექობს,
დრო იმეორებს შორეულ ექოს...
(დგას კოლხი — ბინდში ყვინთავს მამული...)
.....”ვაშემბრალენქო”, —
ისმის ვედრება მითაუამური!

1998 წ.



ზაფხულის დრო მიიღორა...

ზაფხულის დრო მიიწურა,
შემოდგომა მოდის...
ვაკვირდები ირგვლივ სურათს: —
ძლივს ირხევა ტოტი.

აიკრიფა გზით ფოშფოში,
არის თრთოლა ფერთა...
(დრო გადის და თითქოს დროში
მესმის დროის ფერება)!

ხმიანობა მიწყდა შუკის,
სუნთქვა უჭირს ბალახს,
ძლივს ეცემა მკრთალი შუქი
ზეკარს — გადასალახს...

მზეს სიმცხრალე ეპარება,
ეკარგება ღალა,
დასვენება ეჩქარება,
თითქოს დაიღალა!

თხა ბუჩქებთან იკინება,
კაცი ჩასდევს დალმართს...
რაც აქ არი... იქ იქნება, —
ჩამჩურჩულებს რაღაც!
1998 წ.



მზერით ცას ხარ მიჭედილი

„რაშო, მიწას მიჭედილო, გასჭერ, აიქროლე“!
გ. ლეონიძე

მზერით ცას ხარ მიჭედილი,
თრთის სხივების ხემი;
თმაქოჩორა ბიჭებივით
აქოჩრილან ხენი;
ძვალ-რბილი გაქვს დანაყული,
უამი გიღგას ცხელი,
ჩანს დიდგორთან აყალყული,
ცეცხლოვანი ცხენი!
ვაი, ვიღა მოგეჩველოს,
თვით ხარ შენი მტერი!
არაფერი მოგეჩვენოს; —
თავს გაყრია მტვერი;
შენვე გბანს და შენვე გრეცხავს
შენი სისხლის ჩქერი;
წაგნთებია გულზე ცეცხლად
წლები — ანაჩვერი!
შორს ვერ წახვალ ამ უნარით: —
თნევით, ფეხის თრევით:
რას მოიმკი საკუთარი
ძგალთა მსხვრევა-მტვრევით.
ცერად გიცქერს თული, ლენჩი,
ჭკვიანი თუ შტერი;
დროა, თუკი გული გერჩის,
მტერს უწოდო მტერი!
ფიქრით ცას ხარ მიჭედილი,
თრთის სხივების ხემი;
თმაქოჩორა ბიჭებივით
აქოჩრილან ხენი;
გარდასულში წანვიმ წვიმებს
სუნთქვა მოაქვთ ცხელი...
უდავითოდ დაჭიხვინებს
აქ დავითის ცხენი!

1998 წ.

ხელი ირხეოდა...

სულს უხუთავდა ღამე ხეობას,
მთვარესაც ბნელი გარს ეხვეოდა;
ქარი არხევდა ღამის კულისებს...
.....ხეც ირხეოდა —
გადაზნექილი ღრმა უფსკრულისკენ!
1998 წ.

ისევ მას ველი...

დროის ჯილდეში ფიქრი ხელაობს: —
მეც ვიყავ ბიჭი პირტიტველაო,
მეც მყავდა მამა, მყავდა მშობელი...
.....ვინ მიყელაო?
უცხოდ მომირთეს წუთისოფელი!

დაბლა ჩამოდის ზეცა წვეთებად...
რა ჩაიფიქრეს ნეტა ღმერთებმა?
ეს საუკუნე გადის ჰელომდის...
.....დრო იღვენთება,
ისევ მას ველი... რასაც ველოდი!
1998 წ.

დადის ცერპერი...

ის ოცდაორი... ის დეკემბერი...
როგორ დაკარგა მაშინ დღემ ფერი!
ახლაც ის უამი უონავს ბინდებად...
.....დადის ცერპერი
და მისთვის მწვანე შუქი ინთება!
1998 წ.

ცის მაღლით...

გამოზაფხულდა. აყვავდა მნათი,
მომითათუნა მზემ სხივის თათი;
თრთიან ფოთლები — მწვანე ჩიტები...
..... ახლა ცის მაღლით
თვით არყოფნასაც დავეჭიდები!
1998 წ.

მყრალად მიყუჩდა...

მყრალად მიყუჩდა ყველა მყივარი,
ვინც “ყოჩალობდა” რუსთველზე ლამით...
თუმცა მომრავლდა დღეს სატკივარი, —
იმა მყივართა არ ისმის ჩქამიც!
.....
მოდგმა ბარაბის! მოდგმა კაენის!
მტერთა დუღუზე მოცეკვავენი: —
ჩაცხრნენ,
ჩაჩუმდნენ, ჩაიბუნავეს...
თან ისინჯავენ ზურგზე უნაგრებს!

1998 წ.



დიპტიქი

I

სისხლისფერად ოდეს თოვდა,
ჩვენ გვათბობდა კოლხური ცა...
და კოლხეთი კოლხეთობდა, —
ამას გვითხრობს მომხდურიცა!
იყო დაბურული ვაზით,
ამო ჩრდილი ეკრა ხეთა...
მერე...ქვეყნის გულით, აზრით —
კახეთს უნდა ეკახეთა!
ჩანს მყოფადი კვლავ სართველო,
ზარი ცისა რეკავს მხნედა!
იქნებოდა საქართველო? —
კახეთს რომ არ ეკახეთა!
“ქართლ-კახეთი” ... იცის ბავშვმაც —
ჩვენთა გულთა გასახარად...
მაგრამ...ლამის სისხლი გაშრეს, —
მტერი გვიტევს დასამხარად!

II

კვლავ, კოლხეთო, იბრწყინვალე,
აგაცილებს ცა მოკვდომას...
ბედის ჩანგი იწკრიალებს, —
ოდეს შეძლებ წამოდგომას!
თუმც... ახლახან გძარცვეს, გთელეს...
კვლავ შენშია იგი — ნება...
როს მოყვასი გადღევრძელებს,
გამყიდველი იგინება!
დროს დაადებ ბოქლომს განა?
ფერეცვლებათ მინდორ-ხედებს...
კვლავაც მოვა იქროს ხანა
თუ კოლხეთი იკოლხეთებს!
შენ, აიავ, იბრწყინვალე,
აგარიდებს ცა მოკვდომას...
ბედის ჩანგი იწკრიალებს
და... კვლავ შეძლებ წამოდგომას!

1998 წ.

რეაქციები დოკუმენტი თიაშვილა

წევს ნალომარი — აჩრდილი ლომის,
(გულს ჩაიხვიეს დარდი ლეკვებმა...)
ეს უნდო ჟამი — სხვა ჭირის მდომი,
ნეტავი როდის გადირეკება?

ტკივილი...

ჯავრი...

აკვნესდა ლომი...

დადგნენ ქარები — შიმუნვარები...

— რას იზამს ხალხი — აბესალომი?

როს ჰყავს ცბიერი შინ მურმანები?

1998 წ.

იფხიზლე, იფხიზლე, ოდიშო!

ბოროტი ბოროტად ბოდიშობს,

სიავე სიკეთეს როდი შობს...

იფხიზლე, იფხიზლე, ოდიშო!

ხმა ისმა — ავქარი მოჰქრისო,

ზუგდიდში დრო რეკავს შფოთვისო,

მანქურთთა მხედრობა მოდისო...

იფხიზლე, იფხიზლე, ოდიშო!

ხომ ხედავ — რა ყოფამ მოგვისწრო,

ასპიტმა ლამის მზე მოგვიშთო...

იფხიზლე, იფხიზლე, ოდიშო!

ავაჟმე, ქვეყანას უჭირსო,

ათასი თახსირი ქუჩისო,

ვინც არის უჯიგრო, უჯიშო, —

დღეს მტრობენ საძვალეს ქუჯისო!..

ბოროტი ბოროტად ბოდიშობს,

სიავე სიკეთეს როდი შობს...

იფხიზლე, იფხიზლე, ოდიშო!

1998 წ. 29 დეკემბერი

გზისპირ დამდგარა...

სახე აქვს სევდით გადაწარლვნილი,
იგია ახლა ამ სოფლის სარკე...
გზისპირ დამდგარა გამხდარ-დაღლილი
და გადახრილი არყოფნისაკენ!

1998 წ.

რეკომენდაციები!!!

ვარსკვლავები ნათობენ, —
ეყო ზეცას იები...
როგორ გაგვიძატონდნენ —
რეკომენდაციები!
რეკომენდაციები!

აქეთ-იქით ჯებირი...
უონავს უამი ციების!
და... გვამხნევებს “ჩეფირი” —
რეკომენდაციების!
რეკომენდაციების!

როგორ გეუფლებიან,
დრო არ გრჩება ძიების...
რას არ გეუბნებიან
რეკომენდაციები!
რეკომენდაციები!

ყველას ყური მოყრუვდა,
ხმა არ გვესმის ციერის...
თითს გვიქნევენ მოყვრულად —
რეკომენდაციები!
რეკომენდაციები!

ხელში უნდა ვუყუროთ
თნევით, კუდის ქიცინით,
როდის, როგორც ფულუროს,
აგვავსებენ ისინი!

მადლი ვუთხრათ უფალსო,
გვყვნან სათნო ძიები...
გვსაწავლიან უფასოდ —
რეკომენდაციები!
რეკომენდაციები!

ვარსკვლავები ნათობენ, —
ეყო ზეცას იები...
როგორ გაგვიბატონდნენ —
რეკო-მენდა-ციები!
რეკო-მენდა-ციები!

1998 წ.

ტყუილების ველზე დაგასახლა

შენი წილი მასაც მიუარჩივე,
ხელმოჭერას ხელის გაშლა არჩიე;
გულწუწკობას ის ვერ გადააჩვიე...
გულდაწყვეტით გზას გასცერი ახლა!

ცრუპენტელას ცრუფიცილი ქაცვია,
გაგიჭირდა, ზურგი შემოგაქცია,
ძლიერდა მიხვდი, — თუ რა ხვითო კაცია...
ტყუილების ველზე დაგასახლა!

1998 წ.



ერთ დროს ჯეელი

ერთ დროს ჯეელი, ახლა ბორძიკით
მიაჩხარუნებს ჩონჩხესა თუ სხეულს...
ჩვენც დავწრიალებთ გზაზე! ბორჯი კი
არარად აგდებს მძლევარს თუ ძლეულს!
1998 წ.

გაფიზვინებულ ღრუპლებს

გაფიზვინებულ ღრუბლებს
ჩამოელვარათ ლილა...
თუ ბნელი დროის ზღურბლებს
ვერ გადმოჟონავს დილა, —

მაშინ დავრჩებით აქეთ
და იფუთფუთებს მატლი!
თქვენ კვლავ უდირსი აქეთ
და დაივიწყეთ მადლი!

1999 წ.



მე და ის

მე
ჩემი სიმართლით მიყვარხარ,
ის
თავის სიმართლით გართულა...
თქვი:
ორი სიმართლე ვინ ნახა
ან
ორი სიმართლე სად თქმულა?!
დღე
ჩადის — სივრცეში ნარწევი,
მზეს
ვხედავ ჭიაფრად მიწურვილს...
კვლავ
მხვდება — სიბნელით ნაწყენი —
ეს
ჩემი დროული მიწური.
ჩანს,
ვეღარ გავიგე ცხოვრების
გზა, —
თმენით ავლილი, ჩავლილი...
დრო
მსალტავს, დრო — მონატბორები,
ცის
სუნთქვა ლივლივებს ჭავლივით...
მე
ჩემი სიმართლით მიყვარხარ,
ის
თავის სიმართლით გართულა...
თქვი:
ორი სიმართლე ვინ ნახა
ან
ორი სიმართლე სად თქმულა?!

1999 წ.

გაისმა პივილი უცებ

გაისმა კივილი უცებ,
აიმღვრა მზიანი არე;
ლიმილი მიემსხვრათ ტუჩზე
ქუჩაში მომღიმარ ქალებს...
მანქანის დალენილ ფარებს
ესხურა წვეთები სისხლის
და... ჩაქრა მზიანი არე,
თვალებში ჩაგუბდა ნისლი!

1999 წ.

დადუმებულა ტყე, ვით სასახლე

დადუმებულა ტყე, ვით სასახლე,
ქარი თავდახრით დადგა იელთან...
შორს, ნაბოლარა სხივი ცახცახებს, —
დღის მიწურულზე — დასალიერთან,
ამღვრევს დასავალს ფერი ვეჟანი,
ქრება თანდათან სივრცე ხილული...
და, სინანულით ვხედავ, — ეს უამი
ხელით მისხლტება, როგორც ყინული.

1999 წ.

რა ვიცოდი...

I

ვთქვი: — გეტირა აქ ყოფა,
ახლა საით, მუმლო?
გაიშიფრა მარტყოფთან
შენი საიდუმლო!

II

აზრიალდნენ სხვა ზარები,
როს გამქონდა ლელო და...
რა ვიცოდი, ბაზალეთი
თბილისში რომ მელოდა!

2000 წ.

მე რაზა მიყვარს შეცნაირით და არა მისით...

ზურაბ ქაფიანიძეს

უამითი უამად
მიყვარს ხელში ჭიქის დაჭერა
და სადლეგრძელო
მიყვარს მისი, ვინც არის ღირსი...
თუმც სამეგრელო
შეგვიგინა ერთმა რაჭველმა,
მე რაჭა მიყვარს
შენნაირით და არა მისით!

არც იშვიათად,
მომხვედრია წყენა, ვით კოხი,
მითქვამს სათქმელი
გულწრფელობით და არა ქლესვით...
ვიტყვი ყოველთვის: —
ვინც ვერ იტანს ლაპარაკს კოლხის,
არ მწამს იმისი
არც კაცობის და არცა ლექსის.

თუ არის კაცი —
ქართველური ჯიშის თუ მოდგმის,
არ შეიძლება
არ ესმოდეს მეგრული მოთქმის,
იმ ტკივილების, —
უძველესის, მითაუამურის, —
ოდეს დაემხო
მხარგაშლილი, დიდი მამული!

და, იმის შემდეგ
ისმის მოთქმა გულის დამჭრელი,
მას იგებს ყველა —
ნაღდი კახი, სვანი, რაჭველი...
და, იმის შემდეგ

უძველესი ენა მეგრული —
ქართული ენის
სულით, სისხლით არის ერთგული!

უამითი უამად
მიყვარს ხელში ჭიქის დაჭერა
და სადღეგრძელო
მიყვარს მისი, ვინც არის ღირსი...
თუმც სამეგრელო
შეგვიგინა ერთმა რაჭველმა,
მე რაჭა მიყვარს
შენნაირით და არა მისით!

2000 წ.

მოვიდა დილა — ზეცის ქალცული

მოვიდა დილა — ზეცის ქალცული, —
ღამის ნატანჯი სულის მკურნალი...
გამოდის ვაჟი, ღვინით ნარწყულით
თავმტკიცანი და სახემსურვალი.

თვალები ბჟუტავს დანისლულ მზერით...
დგას ჯავრიანი... თბილი ქარია...
სუფრა... სიცილი... ტრიალი ჭერის...
აურიეს თუ თვითონ არია...

გულში ისარი ფეთქავს ეროსის, —
ხან მტანჯველი და ხან მათრობელი:
ამშვიდებს დილა — ცის ანგელოზი
და... ისმის მნათის საგალობელი.

2000 წ.



სულთამა აბესალომისა

ავზნიანობს დღრო, ეთერო,
გულზე მირტყამს წერაქვით...
როგორ უნდა მოგეფეროს
ის — მურმანი — ვერაგი!
სული ეშმას მიჰყიდა და
გულში ბოლმა ჩატოვა:
მომიწამლა, ვინც მიჰყვარდა,
მეც კი მომაჯადოვა!
დაგტოვებდი განა სნეულს —
წმინდა სულით მარტოსა?
ველარ ვძლიერებდა კეულს...
ვახ, მურმანის პატრონსა!
ვინც მეგონა ყმა ერთგული —
იგი ბილნი ყოფილა,
ტარტაროზთან შეკრულა და
ყოფნა დამათმობინა!
სული ეშმას მიჰყიდა და
გულში ბოლმა ჩატოვა;
მომიწამლა, ვინც მიჰყვარდა,
მეც კი მომაჯადოვა!

2000 წ.

გადის საცუთრო...

ატირდნენ ფეხქვეშ ნაწვიმი გზები,
გეკვრის ტალახი — მინა ცოდვილი...
გადის საწუთრო — მონასიზმრები,
მარადისობის ამოცოხნილი.

2000 წ.



მე მასეოვას ყველა!

ეს ბნელი ღამე მსგავსია კარვის,
ღამე ღამეა! დღისითაც ბნელა!
იქნება ახლა ვახსოვარ არვის,
სამაგიეროდ, მე მახსოვს ყველა: —

გამიტებია ვისთანაც პური,
ვისთვისაც მითქვამს ორიოდ სიტყვა...
დრო — ძველებური თუ ახლებური
არ მინდობს, —
ლახტებს ლაწანით მირტყამს!

აქ ბევრჯერ მზერა მომესო მტრული,
გადაეჩვია აქ ხალხი სიცილს;
აქ გუშინ რიურაჟს გაუსკდა გული —
ჩამოიბურა კალთები სივრცის...

ეს ბნელი ღამე მსგავსია კარვის,
ღამე ღამეა! დღისითაც ბნელა!
იქნება ახლა ვახსოვარ არვის,
სამაგიეროდ, მე მახსოვს ყველა!
2000 წ.

მაშინ ეს გული გაიყო ორად

როს სამეგრელოს
სიძულვილის ესროლეს ბომბი,
სამაფშალიო
როს მიუგდეს ყრანტალა ყორანს
და ტაშს უკრავდა
იმ სიგლახეს მწერალიც ზოგი, —
მაშინ ეს გული გაიყო ორად!

2001 წ.

თავის თავიდან ამოხტა კაცი,
აყვირდა მისი ძვლები თუ ჩონჩხი...
ამსხვერევდა ჭიქებს —
უაზროდ დაცლილს
და... მუშაობდა უამთასვლის ცოცხი!

2001 წ.

დასაზღვრული უსაზღვროება

მოზღვავებულა საკვნეს-საღრენი,
მოჰბეზრებია გულსაც დროება...
გაპმზერს გონება დაუსაზღვრელი —
ჩვენთვის დასაზღვრულ უსაზღვროებას.

მზერაგაუმტარ განცდის გალავანს
გადაევლება მუზა, დროებით...
მაშინ ხორცუქმნილი კაცი არა ვარ, —
თანამდევი ვარ უსაზღვროების!

მაშინ ყველგან და ყველაფერში ვარ,
მაშინ შენშიც ვარ, სულო, რჩეულო...
მაშინ დავფრინავ თვითონ მზეშიაც,
როგორც უხორცო ან უსხეულო!

მაგრამ... ძვირფასი ქრება წამი და...
ვუნამებივარ წამებს უნამლოდ...
და... დამეების ბნელ წაწნავითა
ჩამოეშვება იგი — უწყალო!

გავილევი და გავიწურები
და ჩამინავლებს გულსაც დროება...
მოიხილავენ მხოლოდ სულები
ჩვენთვის დასაზღვრულ უსაზღვროებას!

2001 წ.

3რეკავ ნარსულში...

ვრეკავ წარსულში... მესმის ხმაური...
(მომავლიდან კი — ჯერაც ზუმერი...)
ვრეკავ წარსულში, ხმაუცნაური
მპასუხობსა ჩემი მოძმე — შუმერი!

როს შორეთიდან მზერა მარდუქის
სივრცეს მისხივებს სილუსკუმეში,
მაშინ ცხადად ვგრძნობ: — სულო, მარდუქი,
ვით სამერმისო მზე თუ ნუგეში.

2001 წ.

მსჯავრდადებულებს ვგავართ ყველანი

ტყეში ცისკარმა გაიფაჩუნა —
დილის გაჩენას გადაჰყვა ღამე...
ფეთქავს ბალახი — მიწის სარჩული,
ასდის ნისლები მინდვრებს და ხრამებს...

კვლავ ისმის ოხვრა კლდეს მიჯაჭვულის,
რა შეუძლიათ მლოკავ გოშიებს...
ჩვენ თავზე გვადგას მკაცრი მსაჯული,
ბორგავს სამყარო სამყაროშივე!

მოხშირებულა შხამა, ნარშავი,
ქვეყნებს არყევენ უამთა რყევანი...
დავაშავეთ თუ არ დავაშავეთ, —
მსჯავრდადებულებს ვგავართ ყველანი!
2001 წ.

* მარდუქი — (მეგრ) მეზრდები.

შენ ხარ მომავალი...

— შენ ხარ მომავალი, სხვას ვისდა ველოდეთ?..
(დგას გზისკენ მზირალი ბრძენი იოანე...)
— მოვედ, სიხარულო, ყოველნი მღეროდენ,
ამ შენსა სამწყსოსა თვალნი მიმოავლენ.

და ხალხი, ეს ხალხი — ყურით უსმინარნი,
თვალით ვერ მხედველნი... გადაცდომილები...
მათ ახლა სჭირდებათ მადლი უფლისანი,
მოვედ, ყოვლისშემძლევ, იხსენ ცოდვილები!

2002 წ.

კოსმიურო!

კოსმიურო! შენი უხმო ხმაა,
რომ გვაფეხიზლებს უგონობით პყრობილთ...
იდუმალი შენი გულისთქმაა —
თუკი ვარჩევთ ანფასისგან პროფილს...

შენი ნებით მოწურვილა წვიმა,
ჩანს ვარსკვლავი — ანარეკლი ცეცხლის...
გაბმულია მარადიულ სიმად —
ეს კავშირი მიწისა და ზეცის!

კოსმიურო! შენ მაოცებ ახლაც,
ამოუხსნელს მოუსვენრად გიმზერ...
ხორციელის უძლურება დამხრავს —
გადამხობილს უჟამობის ქიმზე!

2002 წ.



3065 აქ ზარი დარისხეა!

მოგუდულა, მოხუთულა ქარის ხმა,
ის წასულა, ვინც აქ ზარი დარისხა!

სიხალისე დაჰკარგვია ხალისსაც...
იმ მთიდანაც ხმა არ ისმის ხარისა!

აქ სხვა არის, აქ სხვა არის და ის სხვა
ყელყელაობს, როცა რწმენა დაიმსხვრა!

ღვინოს ნაცვლად სამსალა ვინ დამისხა?
არ ჩანს იგი, ვინც აქ ზარი დარისხა!

2002 წ.

რისთვის...

რისთვის ვიმტვრიე თავი ამ სოფლად?
ვერვინ ჩათესავს სითბოს ქვაგულში!
ვით უეროვნო და უსამშობლო, —
ვცხოვრობ საწუთროს გამოქვაბულში!
2002 წ.

ამ შუაღამით...

არ ფეთქავს ახლა ლაყუჩიც ქარის,
მთვარეს სხივები ვარჯვში ჩაუბამს...
რაღაც უხორცო და უჩინარი,
ვგრძნობ, თითქოს ლამობს ჩემთან საუბარს.

გაყურსულია ხეების რიგი,
სივრცეებს არხევს უჟამო უამი;
მესაუბრება უსიტყვოდ იგი...
სულ სხვა კაცი ვარ ამ შუაღამით!
2002 წ.

დღეს სათოელს ხსოვნის ტაქარში ვათოებ

გელა ბერძენიშვილს

რა გითხრა, ძმაო, ასე უძლური
არ განმიცდია სიტყვა სათქმელი...
ყოფნა-არყოფნა — სევდის კუნძული —
ტკივილის სანთლად ჩამოსაქნელი...

ჩაბრუნებული სიტყვის ნახლეჩი
გულს ჩასობია რკიხის სოლივით...
უნდო ცხოვრებამ გხლართა მახეში, —
ვით უდაბნოში გადასროლილი...

რატომ ან რისთვის გაგწირა ბედმა?
ბედმა კი არა, იმ უბედობამ!
არა აქვს ბრალი, ეს უწყის ღმერთმა,
შენს მამობას თუ ირას დედობას!

დღეს სანთელს ხსოვნის ტაძარში ვანთებ,
მინდა ამოვთქვა სიტყვა გულიდან...
შენ არავისი არარა გმართებს
შენი კაცური სიყვარულითა!

ცაა ხან სისვი, ხან კიდევ — მრეში,
წამთა წვიმები გვეწვიმებიან...
საქართველოა ცოდვილთა ხელში
და უცოდველნი ენირებიან!

რა გითხრა, ძმაო, ასე უძლური
მე არ მქონია სიტყვა აროდეს...
ვარ უთქმელობით გულდასუსხული,
თითქოს დუმილი მართლა კმაროდეს!

მწარეა ყოფნა დაშლილ ტივივით,
ოდეს გრიგალი გვიახლოვდება...
საშინელია დედის ტკივილი, —
გულს ჩაგუბული მამის გოდება!

ბაზრ მოლაშეია


შენ გვერდით, ძმაო, დღეს გოდებს ბევრი,
ჩვენს ქვეყანაში მძიმე წლებია...
საქართველოში ტრიალებს კევრი
და გულმართლები ილენებიან!

ამ ყოფას როგორ გადაევლები
ან დღისით, ანდა უკუნ ლამეში?
ქვას გაალლობენ ნინოს ცრემლები, —
დაის ცრემლები — უმდუღარესი!

მისდევს გატანჯულ წამებს წამი და
ნედლი რტოები ისევ ხმებიან...
ეგერ, ბურუსში მოთქვამს მამიდა,
აქ — მეგობრები იმეხებიან!

ცაა ხან სისვი, ხან კიდევ — მრეში,
წამთა წვიმები გვეწვიმებიან...
საქართველოა ცოდვილთა ხელში
და უცოდველნი ენირებიან!

2002 წ.



აპივლდა სივრცე...

აკივლდა სივრცე... გრიგალი ატყდა...
ცას გაუვარდა ხელიდან კვარი...
სამყაროც დარჩა უეცრად სახტად —
საწამებელი აღმართეს ჯვარი!

გთელეს და გთათხეს, გადავიარეს, —
მაშინ შეცბუნდნენ თვითონ ჯუნგლებიც...
რა გვეშველება ადამიანებს,
ნუთუ არასდროს არ მოვრჯულდებით?

2002 წ.

დარ- ავდარის თვეა

დარ-ავდარის თვეა,
დარ-ავდარი, დარ-ავდარი, დარი...

მუქი სინათლეა,
თოვლგარეულ წეიმას არხევს ქარი!

ზის სარკმელთან ბიჭი,
მამის ნატვრა, მამის ალიკვალი...

შეშა ნელა იწვის
და ბუხრიდან მიიხვევა კვამლი.

დაღვრემილი დღეა,
თითქოს კვნესის უამგასული თარი...

დარ-ავდარის თვეა,
დარ-ავდარი, დარ-ავდარი, დარი!

2003 წ.

ამ გზაზე...

ამ გზაზე დიდხანს, დიდხანს ვიცდიდით,
დიდხანს გვესმოდა ხმები ლოდინის...
ზოგჯერ კვნესა და ზოგჯერ სიცილი,
ხანაც სივრცეში ხელის პოტინი...
ვიცდიდით დიდხანს, ველოდით დიდხანს,
არ კი ვიცოდით, თუ რას ველოდით...
ზემოთ ხმალივით ეკიდა კითხვა
და ჩვენ ვერაფრით თავს ვერ ვშველოდით!
გულში ვმალავდით გულის სატკივარს,
რადგან ერთმანეთს ხელს არ ვუწვდიდით...
ბოლოს გავიგეთ ნათლად, მარტივად: —
ყველა საკუთარ თავს რომ ვუცდიდით!

2003 წ.

წუთებს წუთები ემარჭვალება

წუთებს წუთები ემარჭვალება,
კვლავ გადაება ავდარს ავდარი
და გადასძახეს ჭალებს ჭალებმა: —
აღარ გვეშვება უნდო ზამთარი!

მინდვრად ქარები სუსხით შხუიან,
ყინჩი მამალი დედალს ეკვრება...
ცის შუაგული მოღუშულია,
დრო კი თავისას მიერეკება!

სწრაფად ეზრდებათ ღრუბლებს ეშვები,
ქვევით ქირქილებს გულქვა ქარონი...
ეგერ, ქალ-ვაჟნი, — მოცისქვეშენი,
უპოვრები თუ უსახლკარონი...

ნუთუ გულები კაცთა გაქვავდა?
თვითმკვლელს ვერავინ ეტყვის: — “მოიცა!”
ლამდება... ბოლო სხივიც ჩაქრა და
გარეშემონი ბინდმა მოიცვა!

2003 წ.

ექსპრესი

პატარა მუსიკოსს — ირმა გიგანს

ახლა შენს შუბლზე მერმისი ნათელობს,
ხარ მოფრენილი ანგელოსივით;
უმანკო თვალებით შენც უნდა ათენო
ღამე —
მუსიკით გარემოსილი...

პატარა თითებზე ჰყვავიან ჰანგები,
თითები ბგერებით დახუნძლულია...
ეს მხოლოდ
მადლია მაღალი განგების, —
ადამიანი აქ უძლურია.

ზოგი —
უსულგულო — ავობს და ავსულობს...
ავს შენთან
რა უნდა, პანია ასულო!

ამ მთის და
ამ ბარის თავს გადგას ნათელი,
შენც შენი
თითებით ახარე ქართველი...

მაგ თითებს ჩამოჰყავთ ციური ჰანგები,
თითები ბგერებით დახუნძლულია...
ეს მხოლოდ
მადლია მაღალი განგების, —
ადამიანი აქ უძლურია!

2003 წ.



გაუმაძღვრობა

ნაქურდ-ნაძარცვით აგო სასახლე,
ეცოტავება რაც აქვს, რაც არი...
ჩადის ყოველგვარ სიმამაძალლეს
კაცი — ტალახი გაუმაძღვრო!

2004 წ.

ჟამია წარსული...

უამმა წარსული
წყაროსავით ჩაიხვარჩალა...
ზოგს მიწა ათბობს,
ვიეთნისას ათბობს ცა კერას!
ახლა თითქოსდა
ეს სამყარო განზე დარჩა და
მე კი... ცალკე ვარ!

2004 წ.

დრო მოვა

დრო მოვა — დიდი შვებით ალვსილი,
ბედმორჭმულობის მარცვლებს დათესავს;
ცა —
მშობლიურად წიაღგახსნილი —
არ დაიშურებს ჩვენთვის ნათელსა.
2004 წ.



ლოდნარს ეხვევა ხვიფლი ნოტიო,

და წვეთავს ლეშხი — ნაცრემლი ფოთლის...
იმდენი ისმის ხმა თუ მოტივი
აქ, ამ ადგილას, ვერავინ მოთვლის.

ხანდისხან (ვამჩნევ) გადიფრენს ქორი,
ხან გვიმრიანში თვალს ვკიდებ ხვილარს...
ვერცხლისფერ წამთა ჩამოდის თქორი
და მაახლოებს უხილველ ხილვას.

2004 წ.

მიმოყანელობს წვიმა

მიმოყანელობს წვიმა
გახმოვანებულ ქარით,
უთქმელს არ ტოვებს წვრილმანს,
იცის მთისა და ბარის...
სარკმელთან ისმენს ცირა
ცისა და მიწის ამბავს...
კვლავ დაყანენალობს წვიმა
და წერს უცნაურ ანბანს...

2004 წ.

პირქარში

ბინდბუნდია თუ დგება რიურაუი,
იბუდებენ თუ
იღვიძებენ ჩიტები ჭრელი;
დღეა თუ ღამე — მე ვარ პირქარში,
ვერ მომელირსა სიმშვიდის ჭერი!

2004 წ.

პარალელური სამყაროები

ამოვარდნილნი ამ სამყაროდან
ვართ მგზავრნი სულ სხვა განზომილების...
თითქოს ეთერიც გასამყაროვდა,
ვართ ციურ მზერით გაზომილები!
ეჯახებიან ერთურთს დროები,
ლვითისშვილებს გვიკვირს ეს ულმერთობა!
პარალელური სამყაროები
ხედავენ ჩვენს ბეჭს თუ უბედობას...
ცოდვები ცოდვებს ცრიან ჟინულლივით,
ცოდვილი ცოდვით გვეპატიჟება...
ალბათ მომავალ დროთა ყიჟინი
გვეშვილება ან გვებადიშება...
ჯერ კა... ჩვენ ვხედავთ და ჩვენც გვხედავენ: —
სივრცე, ტყე - ველი, მთა, წყაროები...
ერთხელაც ვიგრძნობთ: — როგორ ფეთქავენ
პარალელური სამყაროები!

2004 წ.

შენ უწყი, ციერო, ზაურს რა მინდოდა...

კვლავ ნულარ გაგვწირავ საუამინდოდა!
დრო გაურკვევლობის თავს ადგას საწიერს...
არ ვიცი, იქ დავრჩი... თუ გამოვალნიე...
წვრილია ეს გზები, ვით შეშა საწალდე...
ამ გზებით როგორლა ვენიო საწალდელს!
მომავლის სახეს რად მიფარავ, ვუალო...
იმ ციხეს მეც უნდა გარშემო ვუარო!
იქნება გაიხსნას კარები თავადა, —
მზე მოდგეს ცის კიდეს — ცამყარის თამადა...

.....
შენ უწყი, ციერო, ზაურს რა მინდოდა...
კვლავ ნულარ გაგვწირავ საუამინდოდა!

2004 წ.

ჩემს შვილიშვილს ნიცოს

I

ამოცოცდა არყოფნიდან
ვარსკვლავი...
ბზობის დღეს ვინ მახარებდა
მასავით.

რა პანაწა და რტოსავით
ნამლევა;
ანგელოზი თავზე ადგას
მფარველად!

II

ღმერთის გვრიტო, მოფრენილო
ლვთის ნებით, —
შენ იბრნყინე სიცოცხლით და
ღირსებით:

იასავით ხარ პანაწა,
ნამლევა...
ანგელოზი თავზე გადგას
მფარველად!

2004 წ.



ღამდება

ღამდება. დრო შეიცვლება
ხვალ ან ზეგ, ანდა მაზეგა...
ამ ზეგნით ქარი შოშინა
გადაეხვევა სხვა ზეგანს...
კუთავს და კუთავს ნარჩიტა
წვრილ ტოტზე, როგორც ნარზედა...
თითო-ოროლა ქალ-კაცი
დაკანტიკუნტობს გზაზედა!
2005 წ.

სწრაფულა*

მინაწერი ჯიბო ჯიმერის “რჩეულზე”.

მინდა ვნახო მისი თუზის
სანახები, საწიერი...
ახლა მაგიდასთან თუ ზის —
ვერ მეწვევა მაწვიერი.

მასში ცოცხლად ჰგიეს “ია”,
სიტყვა მოსდგამს მაწიერი...
თუ დარდები მიესია —
გაუქარვებს ანი ერი!

2005 წ.



* სწრაფულა — ექსპრომტის შესატყვისად ჯ. ჯიმერის მიერ შემოლებული.

ემატება მუგუზალი მუგუზალს...

ემატება მუგუზალი მუგუზალს, —
კვლავ გუზგუზებს გულში გულის ხანძარი...
არ გჩვევია ლიქწობა და უკუსვლა,
გითქვამს იგი — ფიქრსა შიგან რაც არი!

გონს ამშვენებს შორეთს იქით ყურება,
თუმც საწუთრო იწენება ნისლებად...
არ გჩვევია მოხრა, მოქედურება,
შენთვის შენი სიმაღლეა — ლირსება!

სიჭაბუკის დრო - უამს ისევ ვინ აშლის?
გაბითურდა, რაც დრომ წმინდად აქსოვა...
ზიხარ ახლა უსინათლო ბინაში,
არვის ელი... ალბათ არც ვის ახსოვხარ!

ემატება მუგუზალი მუგუზალს, —
კვლავ გუზგუზებს გულში გულის ხანძარი...
არ გჩვევია ლიქწობა და უკუსვლა,
გითქვამს იგი — გულსა შიგან რაც არი!

2005 წ.

პვერცხი — სხვაგან...

ზვაობრობამ მოკრძალება ითაყვანა...
ეს საწუთრო იმარგლება, ვითა ყანა!
ზოგმა შენზე
ისიტყვა თუ იქაქანა,
კვერცხი — სხვაგან...
შენთან მხოლოდ იკაკანა!

2005 წ.

ჩოგი ურის სიმებს ცყვეტს მაჩოგი ურე

აწმყოში დავალ, როგორც წარსული,
ამათთვის მე ვარ — უკვე ყოფილი...
როგორც სტრიქონი გადახაზული,
ელის აღდგენას უარყოფილი!

ელის აღდგენას: — სინდის - ნამუსი,
მამულიშვილი, თავდადებული,
წმინდა ჰანგები — მზის სალამურში,
სხივი — გულებზე ხსნად გადებული...

ელის აღდგენას... მაგრამ ნუგეშად
ეს მოლოდინი განა იკმარებს?
ტკივილისფერად ცა იკუმშება
და სივრცე ცრემლებს ვეღარ იკავებს!

გზები გახსნათ ყეყეჩ-ორგულებს,
შენ რას გახდები, სულო, რჩეულო!
ჩონგურის სიმებს წყვეტს მეჩონგურე
ასე უტიფრად და უჩვეულოდ...

აწმყოში დავალ, როგორც წარსული,
ამათთვის მე ვარ — უკვე ყოფილი...
როგორც სტრიქონი გადახაზული,
დღეს ბევრი გახდა უარყოფილი!

2005 წ.

ღმართო, იხსენ!

ღმერთო, იხსენ! —
(დრომ იფეთქა!)
გულით ამოთხრობილი: —
ეს ქვეყანა —
კოლხ - იბერთა, —
საქართველოდ ხმობილი.

2005 წ.

იზრდება წარსული

იზრდება წარსული: —
წამობით, წუთობით, საათობით...
მცირდება მერმისი —
თავსატეხითა და გასართობით!

იცრება მყოფობა
საწუხ - საფიქრალით დალდასმული...
მცირდება მერმისი;
იზრდება,
იზრდება, იზრდება წარსული!

2005 წ.

ორი თვეა, რაც ალკოპოლს მოვაჟვი

ორი თვეა, რაც ალკოპოლს მოვეშვი
და ნელ-ნელა მოვდუნდი და მოვეშვი,
უხმოდ ვცხოვრობ ნაქებ სიმყუდროვეში...
ორი თვეა, რაც ალკოპოლს მოვეშვი!

ხელოვნური სიხალისე გამიქრა,
“ნახვამდისო”, — განცდამ თავი დამიკრა...
ძველი ცეცხლი, აღმაფრენა რა იქნა?
ორი თვეა, რაც ალკოპოლს მოვეშვი!

ბუნებრივი სიხალისე არა ჩანს,
თითქოს გულმა მთელი გრძნობა დახარჯა, —
ირგვლივეთი დარდ - მოწყენამ დაფარჩა...
ორი თვეა, რაც ალკოპოლს მოვეშვი!

2005 წ.



როგორც თითო გალოკილი

როგორც თითო გალოკილი
შუა — ცის და მიწის,
დროის სუსხით გაროკილი
ცხოვრობს ჩუმად, სიმწრით...
მდიდარიც და უქონელიც —
ხელს ზეცისკენ იწვდის;
წვავს გენია უქრობელი,
წვალობს, ითმენს, იცდის...

2005 წ.

ცამ მოიხსენა პირი

ცამ მოიხსენა პირი, ცა ჩამოდის ფეხად...
ცის სამყარო დილით შეარყია მეხმა!

დღე დაიწყო ასე, რას ველოდო ანი?
ახლა ვდგავარ გზაზე, ახლა გულსაც აწვიმს...
2005 წ.

ისე დგას წყალი...

ისე დგას წყალი, თითქოსდა სძინავს,
გასწვრივ შეირხა ფოთოლი წყავის, —
ის გაჟყვა
ახალნაღვიძარ ნიავს,
დაეცა წყალს და, შეაკრთო წყალი.
2006 წ.



შარმაგი პოეტის მცუხული ფიქრი

ჩემთვის აღარ მიზრუნია წამით,
არად მიჩნდა სასახლე თუ სორო...
მე შევწირე პოეზიას თავი,
ასე ახლა ორიოდ თუ ცხოვრობს!

მეც ვატარებ ამ საწუთოს დამდას,
მეც ვწურავდი თავგიდელა ნისლებს...
ახლა ჩავსდევ წუთისოფლის დაღმართს
და გაღმიდან უბგერო ხმებს ვისმენ.

იდუმალით მეც ვიყავი მთვრალი...
მაპატიეთ, შვილებო და ცოლო! —
მე შევწირე პოეზიას თავი,
ასე ალბათ ორიოდ თუ ცხოვრობს!

2005 წ.

მისთვის სამშობლოც ჩალა - გუჩია!

ჩალაში ახვევს, ჩალაში კერავს —
ყოველს და ყველას... უცქერის ცერად!

ცად მოვარდისფრო ღრუბლის ბუჩქია...
მისთვის გარემო ჩალა-ბუჩქია!

ეგერ ტყეები, აგერ მინდვრები —
გულის მეოხი, დასამკვიდრები....

ჩვენია: მქონეც და უქონელიც,
ნახშირიც, ცეცხლიც — ჩაუქრობელი!

ცაზე მოძრავი ღრუბლის ბუჩქია...
მისთვის სამშობლოც ჩალა- ბუჩქია!

არც აქაური ღვინო და ქალი, —
უცხოეთისკენ უჭირავს თვალი!
2006 წ.

თვით ავანაც...

თვით ავენაც ვეღარ შეძლებს, შენზე
უკადრისი რომ იკადროს ახლა...
კვლავ გულის ჯავრს დამეებში შეზელ,
კვლავ მიუშვერ მტერ-მოყვარის ლახვარს

გულს, —
მრავალჯერ ნატკიებს და ნაცრემლს,
ნამარტვილევს, ნაგვემსა და დაღლილს...
თვისტომებმაც არ დაგინდეს: — გძარცვეს!
არსად დაგრჩა თავშესაფრად სახლი!

და... ჯახირობ ცის და მიწის შუა,
სამკვიდრებლად გეწილხვედრა სივრცე...
მიმნდობელი ვინ არ მოგატყუა,
გული მაინც ნდობის მარცვლებს იმცვრევს.

დაკიდულხარ დროის ტოტზე თავქვე,
გატანჯული ილიმები ისევ...
და, გარშემო ხელებს უხმოდ აქნევ
და უცნაურ იგავ-ზღაპრებს ისმენ!

თვით ავენაც ვეღარ შეძლებს, შენზე
უკადრისი რომ იკადროს ახლა...
კვლავ გულის დარდს ლამეებში შეზელ
და მგელივით ჯავრ- ნაღველი დაგხრავს!
2006 წ.



მუდამ ეული

ხან სივრცის ფრთათა მოჩანს საკსავი,
ხან ისახება ნისლი აქლემად;
ხან დგახარ უბრად, დუმილნასვამი,—
თავს მაღავს სევდა, ვით სირაქლემა!

თვითონ ხალხშიაც ხარ განდგომილი,
ხარ ტაბლასთანაც გულდალეული...
აქ ბევრი ტიპი დგას კმაყოფილი
და ამით შენ ხარ მუდამ ეული!

2006 წ.

რამდენიც უნდა

რამდენიც უნდა
იწრიალო, იხვანცალო და
რამდენიც უნდა
ღვარო ოფლი ან ცხარე ცრემლი,
ეს დედამიწა
არის მხოლოდ ღმერთის წყალობა,
არ გაგაჩნია სხვა სარეცელი!

2006 წ.

ლაღად მიმოდიან

ლაღად მიმოდიან გოგო-ბიჭები,
ერთიმეორეს გულთამამად ეფერებიან...
... დღეს, ჩემეული
შემოდგომის საწიერიდან —
რა დარცხვენილად შემომლიმის
ჩემი მიამიტი გაზაფხული.

2006 წ.

ჩემ გარდა...

„ორი კაცია ჩემში: ერთი ლვთის დარად ილვწის,
მეორეს ის სხადს,
რაიც სოფელს, ეშმაკს და სიკვდილს“.

ანგელუს სილეზიუსი

„მე მომიტევეთ ვარ უმეცარი“.
გიორგი აპოლინერი

ჩემ გარდა ჩემში სხვა ვიღაც ცხოვრობს,
იმ სხვაში კიდევ სხვა ილანდება...
ვეღარ გავუგე თავი და ბოლო, —
ეს დღე — ხანმოკლე — ისე ლამდება!

ვერ დავალნიე ამ დროსაც თავი...
ღლიცინებს ჟამი უთავბოლობის!
მოუჭრელი მაქვს მოსართავი
და ფოთოლივით შევრჩი მოლოდინს...

იმ „სხვამ“ იფიქროს ანი რაც უნდა!
ვეცადე, მაინც ვარ უცოდნელი...
ჩემი ცხოვრება ჩემში დაცურდა —
ჩემი სიკეთით, განცდით, ცოდვებით!
2006 წ.



მონათესავი სულთა გალობა

არ შეიძლება არ ტიროდე
ცოცხალთა გამო!
გარდაცვლილებმა თავს უშველეს
დიდი ხანია!
...ელიზიუმში ჰყვავის ნათელი,
უსხეულონი ცეკვავენ ერთად
და იებივით იძლება ირგვლივ
მონათესავე სულთა გალობა.
2006 წ.

ქველი თახსირი

კვლავ ურცხვი მზერით
დაყინჩაობს ძველი თახსირი —
ადრე ვინც იყო
მოთვალთვალე მკაცრი გზირივით,
ინდაურივით აფხორილა,
ბიბილოები, როგორც დაჩხირი *
უბრწყინავს, —
ახლა რუსთაველზე დადის გმირივით!

.....
კვლავ ურცხვი მზერით
დაყინჩაობს ძველი თახსირი!
2006 წ.



* დაჩხირი — (მეგრ.) ცეცხლი.

3ზივარ ეზოში

დღე არის კამკამა, კოხტაობს ატამი,
ხბო სწავლობს ხის ტანზე რჩოლას.
მე ვზივარ ეზოში, კრიახებს ქათამი
და კრთება ბალახი ჩქოლა...

წასულან მშობლები... ბიძიაც, ბიცოლაც...
იქითკენ სხვაც ბევრი იხმეს...
ამ წუთისოფლისა ვინც რამე იცოდა,
წავიდა, ეწვია მიღმეთს...

ცა ნათლიერია, ვარდისფრობს ატამი,
ხბო სწავლობს ხის ტანზე რჩოლას;
კვლავ ვზივარ ეზოში, კაკანებს ქათამი
და კრთება ბალახი ჩქოლა...

2006 წ.

ძალადობა

ტახტზე მორჭმულად ზის ძალადობა!
დათრგუნვილია გულალალი,
ქვეყნის ერთგული, —
ჩამოთხოვილი საჭამადით საწყალობელი,
სირცხვილისა და სიმწრისაგან
პაგეჩაკვნეტილი...

2007 წ.



ზიქრთა ნაცვლები №2

ფიქრსა და ფიქრს შუა წევს სიცარიელე —
არაფერზე ნაფიქრალი ჟამი!

სხივი მიმოხტის
კალიასავით ტოტიდან ტოტზე —
სივრცე და უსივრცობა გამოვლილი;
კითხვის ნიშანივით თავკაუჭა
ეშვება ჩემ ნინ!

ჰერალდიკური მეხსიერება ჟამიუამ ანთებს
ისტორიის წამებულ ცაზე
ჩამქრალ ვარსკვლავთა ციურ მოლანდებებს...

თვალებიდან:
იმზირება ჩრდილუკარება სული,
ურიოშმ სული — ყვავილი მშვენიერებისა!
ამ საწუთროში მიღი-მოდიან
ყვავილებიანიცა და
გვიმრებივით უყვავილონიც!

ფიჩებივით მოტკაცუნე თითები —
ნაოჭების ფართხუნა ქსელებს ჭიმავენ...
ვერ დააძრუნებ დაუბრუნებელს!

კვლავ ჩამოიმდერებენ გიჟმაჟი გაზაფხულები,
მაგრამ... ვისთვის?

2007 წ.



ბაზრ მოლაშენა

საოცარია!
ამ ბინდპუნდში გამოკრთის რაღაც,
რა არის იგი?
ნუთუ არის
უხრძნელის თითი?

2007 წ.

მზე ჭურტლობს*

ველ-მინდორს, თვალნინ გადაშლილს,
ცვარ-ნამბა სახე მოჰბანა...
მზე ჭურტლობს, —
ლრუბლის კარავში
თამაშობს დამალობანას!

2007 წ.

კმაყოფილება

ისე ჩამიარა კ მ ა ყ ო ფ ი ლ ე ბ ა მ —
არც შემომხედა,
ალბათ, არც კი შევუნიშნივარ!

2007 წ.



* მზე ჭურტლობს — (რაჭ.) მზე ხშირად ლრუბელს ეფარება. (ქეგლ).

თითქოსდა...

ჯემალ შონიას, ლაშა გვასალიას

თითქოსდა ვიდგეთ ქვეყნის ნაპირთან,
გულიდან ჯავრი აღარ გვეშვება...
ახლა მურმანის ვთვრებით არყითა,
გარეთ კი წვიმა მოითქეშება!

2007წ.

სიცარიელის ჰურგელი

ცოტა ხნით ვიყავ საოცრებაში და მე იქიდან
დავბრუნდი ახლა და ვზივარ
ჩუმად სიცარიელის ცარიელ
ჭურჭელში – ამ ქვეყანაში!

ვინ მომიკითხავს, ალბათ ვერავინ! ყველას
აწუხებს
სიცარიელის მოურჩენელი მძაფრი
ტკივილი, ვითარცა დამღა
წუთისოფლისა!

საოცრებაში ვიყავ ცოტა ხნით! იქიდან უღვთოდ
გამოძევებულს – მარგუნეს მხოლოდ
სიცარიელის აღუვსებელი
ჭურჭელი ჭრელი!

2007წ.



არ შეიძლება რომ არ გტკიოდეს!

გახედავ სივრცეს, მოლალურს, მერცხალს...
რაგინდ უუმურად დრო გადიოდეს! —
არ შეიძლება ეს მიწა, ეს ცა,
რომ არ გტკიოდეს!

გახედავ ეგრისს, გახედავ კახეთს,
იმერს და ამერს... მზე ადიოდეს...
არ შეიძლება, თუ გულით ნახე,
რომ არ გტკიოდეს!

იქ აფხაზეთი უცხოსთან ითევს,
აქ სამაჩაბლო სანამ ჩიოდეს?
არ შეიძლება, თუ გული გიცემს,
რომ არ გტკიოდეს!

მოწვეთავს ციდან ნაუური ღრუბლის...
წმინდა მდინარე მუდამ დიოდეს!
უმბის სიწმინდე, ყაზბეგის შუბლი,
სიყვარულივით უნდა გტკიოდეს!

გახედავ სივრცეს, ტოროლას, მერცხალს...
რაგინდ უგულოდ დრო გადიოდეს!
არ შეიძლება ეს მიწა, ეს ცა,
რომ არ გტკიოდეს!

2007 წ.



თვალები გვირა...

გარინდებულა ჩრდილები მთების,
ჩრდილები კლდეთა და მწვერვალების...
ზამთარშიც ყინვის სიცივით ვთბები,
რადგან საყვარლად მდევენ თვალები!

თვალები გვირა — მინავლულ წელთა
მომირაჟებულ ფერში ხვეული...
ამ გულისგულში რა წმინდად წვეთავს
ის ღამეები — სოფლად რხეული!

ნაზო, ო, ნაზო... შენი სახელის
ხსენებას ჩემი სივრცეც განიცდის...
არ ვიცი, სად ხარ! საით წახვედი,
ხარ თუ აღარა, ისიც არ ვიცი!

რამდენი წელი მიეფშვნა კედელს,
ყოფნა-არყოფნის კედელს უჩინარს...
დღროის დანები მასაც კი კვეთენ,
რაც ხსოვნას ხსოვნამ გადაურჩინა!

თვალები გვირა — მინავლულ წელთა
მომირაჟებულ ფერში ხვეული...
ამ გულისგულში რა წმინდად წვეთავს
ის ღამეები — გადარხეული!

2007წ.



ცეტარი გაცცდა

თავის მომხედაფს უცდის ყამირიც,
ვაზის ღეროებს გლეხი მოკონავს...
სადღაც იზრდება ჩუმად ყვავილი,
გზაზე მსუბუქად მიდის გოგონა;

ყუჩად დამდგარა მოლზე ბოჩოლა,
ლანდი ლეკვივით ფეთქავს მდელოზე...
გულში ნეტარი განცდა მოჟონავს, —
თითქოს ბავშვობის ვისმენ შელოცვებს.
2007წ.

დრო აირეპლავს...

დრო აირეკლავს სიცოცხლეს შენსას,
მიღმური სივრცე გადახსნის ფარდას...
მას ალბათ
ცრემლად წასცდება კვნესა —
ვისაც აქ შენი ყოფნა უყვარდა!

აქაურ დროსთან მორჩები დავას,
ნუთისოფლიდან როს გახვალ გარეთ...
და, მკაცრად,
უკანმოუხედავად
გაიჯახუნებ საწუთროს კარებს!
2007წ.



თვალებაპარული ქალი

„სიცრუე ქვეყნის წესრიგად ქცეულა“.
ფრანც კაფკა

თბილისში დადის სასწორით ხელში —
თვალებაკრული ქალი...
დღეა ცრიატა... ნაზამთრალ ხეში
უკვე ჩამდგარა წყალი!

გაზაფხულს ისევ გვპირდება უამი,
თავის რიგით და წესით...
მიმოფრატუნიბს საწყალი ქალი,
არ ძალუძს, თორემ, ესმისა!

არის გულმძმედ ზაფხულ-ზამთარი...
თვალი აუკრეს ძალით!
გახდა ცხოვრება ისე წამხდარი,
ჭირს გამოხრული ძვალიც!

გულუკეთურთა ისმის ხარხარი,
დღეა მოწყენით, მკრთალი...
დადის სასწორით ხმელი, გამხდარი —
თვალებაკრული ქალი!

2007წ.

ერთურთის გვერდით...

ერთურთის გვერდით
ჩვენი მტრები მხარდამხარობენ...
ჩვენ კი... ქარცემულ ფოთლებსავით —
უამკარარევით —
რა ბეჩავურად ვშორივშორდებით!

2007წ.

აღჩნდა ვარსკვლავი

მიკოჭლაობენ საწიერზე დღე-ღამეები,
უამთსაბრუნავით კვლავ ბრუნავენ მყაცრი
ბორბლები...
კვლავ მოლოდინით მდუმარებენ
მთა-კლდე-ლრეები;
ჩანან ღრუბელთა ნაწყვეტები – ფრთები ორბების!
გარღვეულია ჰორიზონტი სიმაღლეებით...
ალჩნდა ვარსკვლავი, —
ნეტავ, რისი წინამორბედი?!
2007 წ.

იელვებს მახვილი ორპირი

იელვებს მახვილი ორპირი,
მახვილი – ყოველთა მხილების;
ვინც არის დღეის დღით ბრმობილი, —
იქნება თვალანახილები!

წრეხაზებს მოხაზავს კვერთხი და
ინათებს სიმართლე სხივნართი...
სანამდის გავსხლტები ქვეყნიდან,
მსურს გითხრა: — ყოველთვის მიყვარდი;

ყოველთვის შენს მხარეს ვიდექი,
მაშინაც, აქ რომ არ ვიყავი...
მზევ, — გეტყვი, — მწუხრისკენ მიდრეკილს, —
მე — აქაც და იქაც მიყვარდი...

იელვებს მახვილი ორპირი,
მახვილი – ყოველთა მხილების...
ვინც არის უღვთოსგან ბრმობილი,
იქნება თვალანახილები!

2007 წ.

ცის ყვავილნარში ცხადად ეძინა

ცის ყვავილნარში ცხადად ეძინა,
დაბლა ყვაოდა სუნთქვა ეკალთა...
სიმშვიდის ფერი გადაეფინა,
თუ იდუმალი გადაეკვართა?

სხივთა სათქმელი დილას მოჰქონდა,
მიწას ჯერ წმინდა სისხლი სტკიოდა...
გამოვლილიყო უკვე გოლგოთა
და მზე – ახალი – ამოდიოდა.

2007წ.

„გარჩენილი ვარ ქვებზე კალმახი“.
ტ. ტაბიძე

პლანეტის გრილი მეცემა ჩრდილი
და ფრინველივით სივრცე მიტაცებს,
მაგრამ... ქვებზე ვარ მეც გარჩენილი
და უადგილოდ დავრჩი მიწაზე!

არქაულ სხივთა მეხვევა წყება
და დროს ვეყრდნობი, როგორც ყავარჯენს.
ეს გული უფრო მომთმენი ხდება, —
ხვალ თუ ზეგ შენგან ელის განაჩენს!
2007წ.



დადის შორეთთან ახლოს...

დადის შორეთთან ახლოს მგზავრი – კოსმიურ გზის...
გადამწვანდება ახო ამოსასვლელი მზით!

ნელა გამოდის ღრუბლით ახალშობილი ცა, —
ლოყაზე სტკიგა ღრმული – ოზონისფერი წვა...

აფეთქებათა წყება კოსმოსს გაბზარავს კვლავ?
ვარსკვლავი ცრემლად სწყდება უსასრულობის რკალს!

გაჩენის დღიდან, მიწყივ, გულს გაორება ხრავს...
ისევ მოცოცავს მიწით ბალახის მწვანე ხმა!

2007წ.

1. მასთან

მის მკაცრსა და განზოგადებულ სახეზე
ერთი წერტილიც არაა თანაგრძნობისა;
მის შუბლზე: —
წვრილი, ზოგადი ხაზები
გულგრილობის ცივი ანარეკლია მხოლოდ...
რა დააპერებს,
რა მოკლავს ასეთს?
ანდა, საერთოდ, ცოცხლობს თუ არა?

2. შენთან...

...შენთან კი, შენთან
და შენ გარშემო
შენი მზერის ალფა-სხივები
ნაკვერჩხალივით ალვიძებენ მინავლულ ვნებას
და დადებითად მუხტავენ გულებს...
2007წ.

ჩვენ გვინახავს...

მინაწერი სოსო სიგუას წიგნზე - „ორფეოსი“.

ჩვენ გვინახავს
მოლაშქრენი - დროის უწყვეტ სვლაში, -
ქარიშხლებთან
მოლაშქრენი მშვილდ-ისრებით, ხმლებით...
მაშინ ჩვენ აქ
არ ვიყავით, იქ ვიყავით მაშინ,
იმ დროს სულ სხვა
ხალხი იყო, სულ სხვა სახით, მხრებით...

დასერილი
სხეულიდან წვიმას ხმობდა სისხლი,
სისხლი მუდამ
მეტყველებდა, მუდამ: ლხინშიც, ჭირშიც...
გვიფეთქავდა
მკერდში გული, შენახული მზისთვის....
კვლავ ბურჯალობს
უამუთვლელი მძღე გენი თუ ჯიში!

2007წ.



გედის ამოონევრა

ვერავინ მეტყვის: — ვინ ვარ!
ვერავინ მეტყვის: — რა ვარ!
გულს ალმოხდება გმინვა,
ტკივილს ვიუნჯებ მრავალს! —

ტკივილს, ვითარცა სულდგმულს,
მოკეთეს ანდა ვერაგს...
როგორც გასროლილ შურდულს, —
დროს მივადევნებ მზერას...

ვეტყვი ზოგიერთ ვინმეს: —
სახელი გერგო ბეთი...
გულს ალმომსკდარი გმინვა —
ამოოხვრაა ბედის!

2007წ.

რომ თქვა...

რომ თქვა ხმამაღლა: - „ძალიან მიჭირს!“ —
სიშიშვლესავით გესირცხვილება...
მრავალთაგანი ხარ შვილი მიწის,
ლამის ცა გიმზერს — ვერცხლისლილება!

2007წ.



დროის მთევნები

ცას შექარვული დროის მტევნები
უხმოდ, თანდათან დაიწურება...
გული – დრო-უამზე მინატევები —
ზოგჯერ უთქმელად დაიწყლულება!

ამ ლიანდაგებს – გასროლილ ისრებს —
მატარებელთა ანთებს გრიალი...
შენ დაეშვები ქვალოდზე ისევ —
ჯერ განუცდები განცდის სიალით...

დრო-უამს ვერარა ვერ მოუხერხე
თვალთუხილავის უხმო ძიებით...
ტანჯვის ხეს ფესვი ვერ მოუხერხე —
ვერ ამოაგდე მისი ძირები!

ყორანი კვლავაც გადიყრანტალებს,
კვლავაც ჩამოყრის ფოთლებს ქარსუსხი...
შენ ისევ შენი ჯვარი ატარე,
(იქ, ბოლომია ყოვლის პასუხი!)

შენ ისევ შენი თვალე სათვლელი,
დიდი ან მცირე აგე ტაძარი;
ისევ აანთე შენი სანთელი,
რაც შეგიძლია — ის მოასწარი!

მრავალგვარ განცდებს მინატევები
გულიც ხანდახან დაიწყლულება...
ცას დაკიდული დროის მტევნები
ისევ დროისგან დაიწურება!

2007წ.



სილაპვარდეში დგას სული

ვაჟა ხორნაულს

ხორცის გარსიდან გასული
სილაუვარდეში დგას სული,

დგას სულთა გარემოცვაში...
ნათლად ნათდება ლოცვაში;

თუმც უხმობს ეს ზღვა, მთა-ბარი, —
ზეცაა მისი საფარი!

უკვე არ ახსოვს: ხორცი მას
გარს ემოსა თუ ებურა...
სხივთა სხივები კოცნიან
ანგელოზებისებურად.

ხორცის გარსიდან გასული
სილაუვარდეში დგას სული.

2007წ.

მცვალე ცეცხლი

გადაიფხრინა საბური ღამის, —
გამოჩნდა დილის ფაფუქი ტერფი;
ფოთლის სახსარზე ათრთოლდა ნამი
და მკრთალი ნისლი ხილულეთს ერთვის...

ნაკადულის ხმით ხალისობს ხევი,
ცა სითბოს გვაწვდის ციური პეტვით;
დილა შემოდის სივრცის მორხევით
და მწვანე ცეცხლი დაცოცავს ტყეში.

2008წ.

სახოთვულეა ისევ ახსენა

მოსწყდება მზერა ცრემლისფერ ჩქერად,
სხივებს აანთებს სავსე სურებად...
შორი თვალების ღვივანი ცქერა
გულში მითივით ჩაეწურება....

ახსოვს: — საწუთრო ექცა მას ხსენად,
გაროკილია ის ხე — მმვენების...
ხანმოთეულმა ისევ ახსენა,
თუმცა რას შეცვლის მარტო ხსენებით!

2008წ.

მას სხვად ყოფნა არ შევძლო

გადაშუადლევებული
იყო (სიზმრად), მესმა რეკვა...
იგი ვნახე შეურვებით,
მას სიკვდილი (თურმე!) ერქვა!
იდგა განზე დალვრემილი,
არ უნდოდა გამოხედვა,
სხივი (ცელი!) ალერილი
კრთოდა, თრთოდა... გადმოხეთქა
ცის ჩქერალმა მძაფრი ხმებით...
ის კვლავ იდგა მარტოდ ხესთან
გულშეძრული თავის ხვედრით!

.....
ხალხით იყო სავსე ეზო —
წაჰეცევია ოჯახს ძელქვა....
მას სხვად ყოფნა არ შეეძლო,
არ შეეძლო ეს არ ექნა!

2008წ.

ლამა ხან მამშვიდებს... ლამე ხან მამშვიდებს...

ლამე ხან მამშვიდებს და ხანაც მაპრაზებს
და, როცა შემბურავს ბურუსი ზმანების: —
შორით ვარსკვლავები ირჩევა ცარგვალზე,
როგორც მაჩიტელას პანია ზარები!

2008წ.

ზმანება: — გალაკტიონი

თრთიან ყინვაში კორომის ხენი —
სამარტვილონი...
სივრცეში მოჰქონის გაშლილი ხელით
გალაკტიონი!
მკერდწაგდებული, წვერაჩეჩილი
ქარიან სუსხში...
ირგვლივ ფოთლები არის ჩეჩქივით
და, — გზნება სულში...
ისმის ცივი მზე — თვალაჩენილი —
საწიერიდან...

გველის სხვა განცდა გადარჩენისთვის —
ამიერიდან!

„ტყე ტაძარივით იყო მაღალი“...
ნისლი — კრაველი...

მარად ახალი, ისევ აქ არი —
ის, - რიმანელი!

თრთიან ქარსუსხში კორომის ხენი —
სამარტვილონი...

სივრცეში დგება გაშლილი ხელით
გალაკტიონი!

2008წ.

დღის მინურულს...

დღის მინურულს მოგაკითხეს სივრცის ფერებმა...
შესაფერი იყავ, მაგრამ ვინ გიფერებდა!

თუმცა გული ჩაგიკორტნეს, — არ ხარ უგულო,
შენ ღირსი ხარ, ცანათლიერს კვლავაც უყურო!

ხელჩაქნეულს ნურვინ გნახავს, ჩემო ჯიმაგე,
თავ-თავისი მისაგები ყველას მიაგე!

2008წ.

შეცვ ხომ მოკვდები, სიკვდილო

მე ვესარჩლები ამ მხეცებს,
ამ გვრიტებს, მერცხლებს, თოლიებს...
დრო მკაცრობს, როგორც ნამცეცებს,
მიწის შვილთ მიიყოლიებს...

მიღმიეთისკენ მიხრილო, —
(ათენ-ადამებს მლოცვარი...)
შენც ხომ მოკვდები, სიკვდილო,
თუ არვინ დარჩა ცოცხალი?

2008წ.

ტკივილი

უქმად ჩამქრალ დროს იხსენებს,
ოხვრანი ოხრად ხროვდება....
თვალებს
ნაართმევს სისველე,
თავს ჩახრის, ჩამოლონდება!

2008წ.

სიღიდან ცყალში გადალანდული

ხიდიდან წყალში გადალანდული
მწუხრად ქანაობს მისი სახება...
სივრცე – სხივებით გადაბლანდული –
მის ზრახვას მძაფრად გაეძრახება!

მას ირგვლივეთი აღარ ეშვება –
იქნებ როგორმე წასცდეს უარი...
მაგრამ... ის მაინც გადაეშვება,
უდღეურ დღეებს შეუგუარი!

2008 წ.

სტანსეპი

ფლემდე ცხოვრება შესწირე ვისაც —
ის კვლავ გიყურებს მცდელი თვალებით,
ჯერ კიდევ არ გთვლის ღიმილის ღირსად...
გადაილანდნენ სხვა მწვერვალები!

ელოლიავე გულისწვით რასაც —
შენგან შორსაა (თუმცა აქვეა!),
გაბრიყებული იმედის მსგავსად,
ირგვლივ მხოლოდა სილაქლაქეა!

ისევ უხინჯოდ განიცდი მის მზეს —
მაინც არ ლღვება მისგან ყინული;
ხან ქეშად, ხანაც მოწკურვით გიმზერს,
გცეცხლავს ცრემლები — გულსჩატირული!

წვალობ, წრიალებ საწუთროს ნარზე —
ვისი ნებით და ვისი გუნებით?
მიიწურება წვალება ხვალ-ზეგ,
მძაფრი მოთმენით და... ერთგულებით!

2008 წ.

ღრუბლის თეთრქულა კვიდობას

იზა ღვალაძეს

ღრუბლის თეთრქულა კვიდოებს
ცაზე უჩინი არხევდა...
წინაპართ სამემკვიდროებს
მზემ სამზეოდან დახედა:
ბოლში ფეთქავდა მთა-ველი —
მტერმა რომ მოითავხედა...
იელვა, ელვის სარტყელი
ცაზე გაიდო თავხედა.

2008წ.

ჩემი ფასკუნჯი

ჩემი ნებითი განდეგილობა —
სულის მოთმენით არის მომკილი...
— არც ლაჩრობაა და არც გმირობა! —
ეს საწუთროა, კვლავ რომ მომკივის!

ხან უდაბნოში მივბორიალობ,
ხან — ოაზისში, სივრცის მნატვრელი...
ამგვარად ვხვდები მწუხრს და იალონს
მე — ამ სამყაროს ციცქნა ნამტვრევი!

უსაზღვროებით ზოგჯერ დავმუნჯდი,
ხან დასაზღვრულსაც გადავაპიჯე...
მიმაფრენს ლექსი — ჩემი ფასკუნჯი —
და ეს საწუთრო უკან მომკივის!

ჩემი ნებითი განდეგილობა —
ხელ-ფეხს მიკრავდა, როგორც ბორკილი...
მატყვია ლექსი — ცხელი ჭრილობა —
და ეს საწუთრო უკან მომკივის!

2008წ.

რისთვისაც წუხდი...

კომპოზიტორ სერგო უვანიას

უდაბურ ყოფნას ვერ ეგუები,
პირნასებს რთავენ სამშვენისებით...
ბედაურებზე —
ბრტყელი კუები...
დრტვინავს ქვეყანა – სავსე ნისლებით!

მზიანი ზვარი გაუდაბურდა!
(ამნაირ დღისთვის წვეთს არ დაღვრიდი...)
კარი დახმეს და
გზები დაბურდეს,
ქუხს გაიძვერა! ბრძენობს თაღლითი!

ძლივს მოწეული ლპება ნაყოფი,
მტრის და თვისტომის არ ჩანს სხვაობა...
რისთვისაც წუხდი
და ამაყობდი —
უცებ გიქციეს არარაობად!

2008წ.

გაშემოდგომა...

თვალს და ხელს შუა გაშემოდგომდა,
ლამით უვლიან ბუქნას ზვინები...
ახლა არ ისმის გარშემო მტრობა,
ვლიან დღეები — შუქნალიმები.

ვფიქრობ, კაცი კაცს აღარ უმტყუნებს,
ისეთი პირი უჩანს საწუთოს...
წამოუწყია მაჭარს ბურტყუნი,
რომ მერე ბევრი წყვილი აკურთხოს.

2008წ.

ძველი შუამთა

ცისკიდეს შუქი ადგას წითელი,
ხე ფუმს ძირფესვებანატოკები...
აქ, წინადროებს – გადამწიფებულს —
ძლივს იკავებენ უამთა ტოტები.

ხეს მიჰყრდნობია ქარი გამხდარი,
ლელმა ირგვლივეთს უვლის ურუანტლად...
გადიგვაგვალებს მალე ზამთარი
და მხრებს აიყრის მწვანედ შუამთა!

2008წ.

ოდეს იშვებს ძვეყანა

ოდეს იშვებს ქვეყანა —
ქალი ქალად ქალდება,
შემოგლიმებს ნეტარად,
შემოგაფართქალდება;
მაშინ იშვებს სამყაროც —
დგება რბილი ტაროსი,
მიწა ხარობს, ცა ხარობს,
ისმის ფიქრი წყაროსი...
ქარს უხდება დავლური,
ჩერო სწრაფად ალდება...
მოვა ქალი ქალური —
შემოგაფართქალდება.
2008წ.



დიდ პოეტებს პატარები ჩაგრავენ

დიდ პოეტებს პატარები ჩაგრავენ
და ზინათით თვალებს უპრიალებენ....
ქარები კი ფურცლებს ხეზე აკრავენ,
მტკრიან სივრცეს ერთურთს უპრიალებენ...

ახლა დიდებს პატარები იგდებენ,
ამ პატარებს ყველაფერი გაუდით!
დიდ პოეტებს პატარები იკლებენ –
აწაპნავენ სახეებს და მიგნებებს...
მათი არის სახრავი და სალუტი!

დიდებს ურცხვად ართმევენ ან პარავენ,
საბრალო მათი სიპატარავე!
გულის ენით ვერას გააგებინებ,
ეჩობაზე ხელს ვერ ააღებინებ!

.....

მათ ცივ თვალებს სულის ყინვა აკმარე,
ლერთო,
შენი ძალ-ნებით და უწყებით...
ახლა დიდებს პატარები ჩაგრავენ!
ამ პატარებს
მკაცრად ვერც გაუწყრები!

2008წ.

ქაოფური ლექსი

ფიქრით დაოსდები და მისვლას ლამობ მიზანთან...
შორით, ქაოსებიდან მასა ამოიზარდა...
ვარვარებენ სივრცენი, თამთამებენ მთვარენი...
უსივრცობით გიცქერის შეუცნობლის თვალები!
მითაუამურ ფესვიდან იწურვიან წყარონი...
სამყაროებს ცეცხლითა ცვლიან სხვა სამყარონი...
ისევ ქაოსებიდან რაღაც ამოიზარდა...
ფიქრით დაოსებული მისვლას ლამობ მიზანთან!
2008წ.

თავის თავში განისვენებს მკვდარი

თავის თავის სამარეა იგი,
თავის თავში განისვენებს მკვდარი...
სივრცეს სძინავს.
უზრუნველი ბინდი
გზად ანთია ბინდისფერი კვარით.

თავის თავზე ცრემლებს იდენს მკვდარი
და მარტოობს თავის თავთან მშვიდი...
დარდ-წუხილი:

- ვეღარ მოგისწარი...
- ირონია:
- ვითომ მიშველიდი?!

თავის თავში დაიმარხა იგი,
თავის თავში რომ აენთოს ისევ...
დანარჩენი?

— ძველებურად მიდის...
განაჩენი?
— უსივრცობის სივრცე!

2008წ.

დეარესიული განცდა

...შეშინებული ზურგი და მკერდი
გრძნობენ სიმწვავეს დემონურ გზებით, —
ლოდინი:
— ტყვია ან დანა მკვეთრი!
და... განიცდიდნენ თავისას ძვლებიც!

შიშით მოერდვა ფიცხი სხეული
და ამღვრეული — უტეხი მზერა...
შემოჰვენებოდა გარს ცეცხლეული
და... ღლიცინებდა ყრუ ბედისწერა!
2008წ.

ბაზრ მოლაშენა

გზა

გზა —
მწვერვალიდან დასჯილსავით გადმოგდებული —
ყრუ ყვირილივით,
კისრისტეხით ჩამოსდევს დაღმართს;
ვით განწირული წარმართის ღრიალი —
ჩამოასკდება
ძილ-ღვიძილში მყვინთვარე ვაკეს.

2008 წ.

მაფორიაქებს...

მაფორიაქებს ლაჟვარდების უტყვიი სიშორე,
როცა ღრუბელი ეძალება ცას ან საწიერს...
შენ, წათლიერო, ახალ დღეებს უდირიშორე,
ქურუხა ფერი ფარდასავით კვლავ გადასწიე!

კვლავ მოუოხე დახშულ გულს და მტკივან ღიმილებს...
ვის უნდა ახლა გამხელილი განცდა-წამება?
მარტვილთა სულებს დრო ლურჯფერად მიალივლივებს
მარადისობის მშვიდ უბეში დასავანებლად.

2008 წ.

ლეირთის შედევრი

მოვარსკვლავური ზეცა —
ლმერთის მორიგი შედევრი...
მწვერვალზე
ლამე გადაიკეცვა
ზენა-ოსტატის ერთი შებერვით.
2008 წ.

შეით შეიცნობს შემიერს...

მთა ბურის
სამოსს წაიყრის,
მზით მოერთვება გულმკერდი...
ქარო,
აქამდე სად იყავ,
გუნდრუკს ვის მხარეს უკმევდი?

ხან ვის ერთგულობა,
ხან – ვისა,
ხან მსტოვარივით დაძვრები,
ხანაც ბეზღაობა, —
რომ ერთურთს
აგულნაკლულო და-ძმებიც...

ლმერთო,
შენ ძალგიძს, მოყვასებს
ბნელშავი გზად წარუხოცო,
შენით შეიცნობს შემიერს
ხორციელი და უხორცო!

2008წ.

გზა დაიღალა...

გზა დაიღალა ცხენთა ჯირითით,
დაშვრნენ მხედრები, დაცვდა ნალები...
ღვივან კერაზე ცეცხლის ქვირითი —
დაბრწკიალებენ ნაპერწკალები...

აზრად მოუვა ათასი რამე —
ჯავარი გულით ვინც აქ ოცნებობს...
ნაჯაფარივით ისვენებს მთვარე,
სივრცე მშვიდია, ვით სამლოცველო...
2008წ.

დროის ნაჭდევი

დროის ნაჭდევი
თუმც ამ გულზე დამჩნეულია,
მაინც ეს ფიქრი
ცის სამყაროს გაჩვეულია...

ხან უსახური
მესვეტება თვალწინ უტიფრად, —
შურით და ღვარძლით
საწიერი მიმოუტვიფრავს!

ხან წამეშლება
დროის ზღვარი, ზღვარი დღე-ღამის,
და, როგორც ხარი
დასაკლავი, სივრცეს შევბლავი!

ხან უჩვეულოდ
დამეღვრება მნათის ნათელი,
ხან ღრუბლის სევდა —
მღვრიე წვიმად ჩამონადენი.

ხან კი ვარსკვლავი
გამეშლება — უფლის ყვავილი,
ხან სიტყვის ყლორტი —
კოსმოსიდან გამოგზავნილი...

.....
დროის ნაჭდევი
თუმც ამ გულზეც დამჩნეულია,
მაინც ეს ფიქრი
ვრცელ საწიერს გაჩვეულია...

2008წ.

VADE MECUM – იარე ჩვეთან

განაღა ვგავარ მე ხელებშეკრულს,
კვლავ გიხმობ:

(მხიბლავს ფერები ფერთა!)

O, Vade mecum!

O, Vade mecum! —

იარე ჩემთან! იარე ჩემთან!

ისმენ ჩემს ქართულს თუ ისმენ მეგრულს, —

მომეფონება ჭავლები ჩერთა!

O, Vade mecum!

O, Vade mecum! —

იარე ჩემთან! იარე ჩემთან!

ზოგი იმედით შეჰყურებს მერკულს,

ზოგს აფროდიტე ულიმის ყველგან...

O, Vade mecum!

O, Vade mecum! —

იარე ჩემთან! იარე ჩემთან!

რა სევდა ზაფრავს მშობლიურ ენგურს,

იგრძნობ, თუ გული ტკივილით ფეთქავს...

O, Vade mecum!

O, Vade mecum! -

იარე ჩემთან! იარე ჩემთან!

2008წ.

თოვლი მოვიდა...

„სულ ერთი მუჭა იწვიმა“.

ლ. გახარია

თოვლი მოვიდა სულ ერთი მუჭა,
(იყო თოვლი და თითქოს არც იყო...)

ოდნავ დაეტყო სითეთრე ქუჩას

და ქალწულ თოვლთან სიო არშიყობს.

გზაზე არც ნელა, არც აჩქარებით

არ ჩანს არავინ, - არც ჩიტების წვრილი ნოტები....

თოვლის ფიფქების ციცქანა ზარებით

გათენებულა ხეთა ტოტები.

2008წ.

ცოტვის – ჩემს შვილიშვილს

განრიდებული
ზრდასრულთა ცოდვებს —
წევხარ პანია – წყნარი და დინჯი,
ვით ბრძენი
ანდა ცხოვრების მცოდნე —
ხარ ფიქრიანი... მომავლის ბიჭი!

ჯერ შენ არ იცი,
ვინ იყო ცოტნე
და უკვე ტვირთი აგკიდეთ, ბაბუ!
ყოველგვარ დროში, —
ჩვენს საწუთროში, —
გმირკაცი ცოტნე სჭირდება მამულს!
2009წ.

მშვიდის შუაით...

მწუხრი დამძიმდა, ვით ტყე წვიმებით,
ნისლი დააწვა დაღლილ ფოთლოვანს...
ჩათავებულა უამის წირვები,
ჩემს წილ სივრცეში მკაცრად მოთოვა!

რა ენაღვლებათ წიკო-მაკოებსა!
გული სკდომამდე არის მისული...
ჯერ მხოლო შენი მზერა მაკავებს —
მშვენების შუქით შემომისნული...
2009წ.



სავსე სიცარიელე!

რა ციური სიწმინდე ჩამდგარია იაში,
აშრიალებს უჩინი ნეკერჩელებს და იელებს...
იქით არის ჟივილი, ურიამული, გნიასი.
აქ პირისპირ მიყურებს ჩუმი სიცარიელე!

განა ასე მეგონა, ასეთ ყოფას ველოდი,
დრო (წასული!) ხსოვნაში ტკივილივით იელვებს...
ფერშეცვლილა გარემოც – მთიანი და ველობი,
დათრგუნვილად დამდგარა მკრთალი სიცარიელე!

დაიწენა, დაიმსხვრა ანძები თუ აფრები...
ვინ ატოლებს ურთიერთს მარტვილებს და მღიერებს?
ჩამქრალია სურვილი ანთების და გაფრენის...
ფრთებს ლოდივით აწვება მკაცრი სიცარიელე!

ჩვენი ავლა-დიდება მიეყიდა უცხოეთს,
აქ თუ მინა განიცდის, ზევით ცის ცა რიალებს!
ნაზუქებს და დედასპურს გადამთიელს უცხობენ...
გამკაცრებით მიყურებს მძაფრი სიცარიელე!

რა, მამულის ტრფიალი? – სირცხვილია, გაჩუმდი!
სახე – ჩვენი, სული კი რა უცხო აქვთ, ტიელებს...
შორს ვერ წავა ქვეყანა სხვისი ხელის ალჩუთი, —
თვალწინ უხმოდ აყვირდა ჩუმი სიცარიელე!

ცით ლურჯფერი სიწმინდე ჩამდგარია იაში,
აშრიალებს უჩინი ნეკერჩელებს და იელებს...
იქით არის ჟივილი, ურიამული, გნიასი,
აქ მიყურებს სიცივით სავსე სიცარიელე!

2009 წ.

გამოუწევდა მზა ღვინოსავით

გამოუწევდა მზე ღვინოსავით
და ჩაადევნა მზერა დაღმართებს...
ერთ დროს მეხვავე იყო მოსავლის,
არ ჩერდებოდა კაცი დაღლამდე!

ახლა ძლივს მიდის, თითქოს ფეხს ითრევს,
თითქოს ყოფიდან ვერ გაეტია...
რა დანანებით ხელს უქნევს მინდვრებს, —
თვალს მიფარებულ მზეს გაეტირა.

2009წ.

ნიკო სამადაშვილს

ფოსფორით ქვესკნელს ანთებდნენ მკვდრები.
თრთოდა ფერებით ცა მოქსოვილი...
შენ დაღდასმული დაგქონდა მკერდი
და გული — დარდის ამოძოვილი...

იყო გარემო — მკაცრი ჯებირი,
გზა — შენირულთა სისხლით ნალვარი...
გენთო, მხურვალე ვარსკვლავებივით,
„ლექსები, ტანზე გამონაყარი.“

2009წ.



ყვირის მკვდარი

საფლავიდან რეკავს ზარი,
ყვირის მკვდარი: —
მიშველეთო,
თუ ხართ ვინმე ახლოს მდგარი,
ღამეების მთენებარი!
მსურს ამოსვლა,
მიწა მაღევს უდებარი!
ხელი მინდა,
თქვენი ხელი — უებარი!

.....

საფლავიდან ყვირის მკვდარი!

2009 წ.

ანიდელი სუტენიორები

სიტყვამ იცვალა ადრესატი, ნაცვლად ძველისა!

.....

ანინდელი მორჯმული სუტენიორები —
უგონობით ძალმოსილნი
სავარძლებში ნებივრობენ...
ცინიკოსები!

.....

ხელისუფლება — უზნეო დიაცივით —
მათი სურვილის უსიტყველად შემსრულებელი —
ქანაობს უფესვო ხესავით
გულუბრყვილო ადამიანთა
მხრებზე ამოზრდილი!

2009 წ.

მოცხადზენება

I

არავინ უწყის: — რა მანუხებს ან როგორ ვცხოვრობ —
ბორგავს ქვეყანა, ვით სატუსალო...
რა დავუტოვო შთამომავლებს, რა ვუსახსოვრო...
როს მომადგება იგი, უსახო!

ნეკერჩხლის ფოთოლს, როგორც გზამკვლევს, დავიჭერ ხელში,
როს გავუყვები უცნობ მიღმიერთს...
ნინ შემომხვდება შისი ლანდი — სიკეთის ელჩი,
დამამშვიდებს და კვლავ გამიღიმებს.

იასამნისფერ კაბის შრიალს ვუცქერი თითქოს,
გაბუტულ ტუჩთა თრთოლა ჩამესმის...
მსურს მივეახლო, ხელშეხებით რაღაცა ვკითხო,
კვლავ გავაცოცხლო ძველი ალერსი!

გადაუვლია მის სახეზეც ცქრიალა ციმციმს,
ვხედავ ნაკეცებს — დროის ნაკვალევს...
მე — გაოგნებულს, მისი ჩუმი ნალველი მიმძიმს,
ვჭვრეტ ჩემს ოცნებას — ციურ აკვარელს...

უცნაურ ბურუსს შევერიე და შევეზავე,
და განიფინა მოცხადზმანება,
იქ ყოველივე — კეთილი და მონათესავე —
სულს ნათლითმოსილს დაემგვანება.

II

ახლა კი, ახლა, არც უხორცო, არც ხორციელი! —
მოცხადზმანებულ ქაოსში ვცურავ:
არც ნეკერჩხალი, ალარც მუხა, ალარც იელი...
უსივრცობაში მიხმობენ: — ზურაბ!

ჩატანებული ქაოსების ლავას მდუღარეს,
ვერთვი ამ ჩემი ბეჭებით, მხრებით...
კვლავ წინ დამიდგა მე ის ლანდი, და გაუხარელს
შემომეცხადა უხმოვნო ხმებით!

ჩამოიზნიქა ზეცის თაღი თითქოს წუთიერ —
სხეულრდვევადის გამოცდა სურდა!
რითაც დავიწყე, ღამეები რასაც ვუთიე, —
მასვე მივყავარ გზის დასასრულთან!

უგონო გონიო გონიერის სიცრცისა მჯერა,
დაუსაზღვრელის ნათელი მოდგა...
თავს ვუხრი კრძალვით გამოუთქმელს (სადაცა ჯერ არს!)
მე, შეცომილი ადამის მოდგმა!

2009წ.

306 მოგიონებს...

ვინ მოგიონებს, წრფელი განცდით ვის ეყვარები!
გენურვის გული დარდიან ვნებად...
ნაცრდება წლები, როგორც ცეცხლში ძველი ყავრები,
ტკივილი როდის დაგიამდება!

ერთ დროს დაცხრები, ვით გვალვაში სოფლის მდინარე,
და მინებდება ლელვა კალაპოტს...
ტროპიკულ ხვატშიც ანგელოზნი მოგიჩრდილავენ,
რომ სულეთს სულით ელაპარაკო.

2009წ.



ჩეამიც ჩაჩუადა...

ფერდობზე გზაა ცერად ჩაჭრილი,
ვიღაც ხელჯოხით ჩაილანდება;
როგორც ცხოვრების მკაცრი ნაჩრდილი –
მიდის... მიცოცავს... გზა ძლივს ჩქამდება...

.....

ჩამოიშალა ბნელი კარავი...
ჩქამიც ჩაჩუმდა... არ ჩანს არავინ...

2009წ.

უცყლოობით მოცყენილან

უცყლოობით მოცყენილან,
მოუამულან ხენარგები...
სწორფერო თუ ნანდაურო —
ვაი, როგორ მენატრები!

ოცნებები დასეტყვილი —
ცას ჰკიდია დღეს წყლულებად...
გული — მოძმის დასერილი,
ვაი, როგორ მენურება!

ველებს მოლი ესიზმრებათ
მოხასხასე სარჩულადო...
არ ხამს მასზე სიტყვაობა,
რაიც არის საჩუმათო!

2009წ.



სივრცეს აქროლებს დრო... სივრცეს აქროლებს დრო - უგემური,

გრიგალს ისხლიტავს კლდე - მყარად სხმული...
შორ მგზავრობიდან მობრუნებული
დაფერფლილ სხეულს დასცერის სული!

იხელთეს დრო და განირეს კაცი!
დგას უსხეულო, ვით უსახლკარო;
მაინც არ კიცხავს და ჰყვედრის არც ვის, —
მას ცის სამოსით მოსავს სამყარო.

2009 წ.

პრუნავენ ცლები...

გულახრჩოლებით გზას უყურებს და
წელში გამართვას ლამობს მოხრილი...
ბრუნავენ წლები — საუკუნეთა
სტომაქებიდან ამოცოხნილი!

2009 წ.

ხვიშტი!

ბოლოს და ბოლოს მეც გამოვფხიზლდი
ძველი ზმანებით,
გამოვფხიზლდი და... დაგვიანებით!

მიმოვიხედე,
საჩემნილო მინაზე სრულიად —
ნაწინაპრალი

ყოველივე მიტაცებულია!

.....

აპანდე, გულო, ჩვენც გამოვფხიზლდით!
— მერე რა?
— ხვიშტი!

2009 წ.

გეტყვი შენ — ვინაც მიგონებ ცერად!

I

გეტყვი შენ — ვინაც მიგონებ ცერად! –
დღეს ჩემი გჯერა თუ აღარ გჯერა,
თუნდაც:
ჩამთვალე გიუად ან შტერად!
მე ახლა კლდეზე ვკიდივარ ჩქერად
და ნაწილ-ზაწილ, ქუცმა-ქუცმად ვეშვები ქვევით,
კლდის კბილანებზე ვილენები და მერე ფრქვევით
ვიშლები ქაფად,
ვნანილდები,
ო, ისე სწრაფად.
რომ შენ ვერასდროს მიმიხვდები, ვით საჭიროა...
ეს გული მეაცრად
ისე მკაწრავს და ისე მძაფრავს,
ვით თვისტომისგან მოჰკერძილი გმინვა-ჭრილობა!

II

შენ, ჩემო სიყრმის სიყვარულო, მიყვარდი ისე, —
არ დავარღვიე სამანი და არ აგითვისე!
თუმც შენი მკერდი,
ასხლეტილი შენი სხეული
სულ სხვას ყვიროდა...
გთხოვ, აპატიო ჩემს სიჭაბუკეს
ის პლატონური გულუბრყვილობა!

III

გეტყვი შენ — ვინაც მიგონებ ცერად! –
დღეს გჯერა ჩემი თუ აღარ გჯერა,
თუნდაც:
ჩამთვალე გიუად ან შტერად!
მე ახლაც კლდეზე ვკიდივარ ჩქერად, —
ერთი მოკვდავი
დარხეული სივრცის ერთ ბგერად!

2009წ.

შემოდგომა

სმებს შემოდგომა ფოთლებად ისვრის,
ტყე-ტყე საშეძე ყრია მორებად...
ჟოლოსფრად წვეთავს ხეების სისხლი
მზის სიმცხრალეში და იტბორება...

ცეცხლივით ნელა ნელდება ტევრი,
ტანდამძიმებით კუთავს ფრინველი...
დას შემოდგომა – სავსე და მჭევრი –
ფერგამჭვირვალე და საჩინველი...

2009წ.

ხომ შეიძლება...

ხომ შეიძლება (თუმცა დაღლილი!),
ჩაუმუხლავად შენ გამო ვიდგე...
როდესაც ჩანხარ მკრთალად ახრილი, —
როგორ ვინთები, ვერ წარმოიდგენ!

ხომ შეიძლება ვენთო ალურად,
გონშეუშლელად მეც გავაფრინო;
მოვიდე შენთან — „ვირტუალურად“ —
და შენს ხელებზე მზე გავაფინო!

2009წ.

სადღაც...

სადღაც მიმელის ჩემი სანავე...
ყოფნა-არყოფნას კვლავ აქვთ ცილობა!
იქ, სად ღრუბელთა არის სავანე,
ნუხს მწვერვალების ცადაწვდილობა.

2009წ.

ცეტავ 30 ცოდე...

ძლივს ჩანს: — ხეების წვეროკინებზე
ფარტენასავით ნისლი ირთვება;
დილა ჩამორბის სივრცის კიბეზე,
ამოისუნთქეს სიო მინდვრებმა.

ძვირფასი თვლები ყრია მოლზე და
„ცვრიან ბალახზე“ თბილად ვსველდები...
დღეს, წარსულივით შორს ხარ როდესაც,
ნეტავ ვიცოდე, თუ გახსენდები?

2009 წ.

რცხვენა

გულსახიერი, მარად მოსავი, —
როდი გიმუხთლებს, როდი გიავებს...
რწმენა სიცხეშიც (მარაოსავით!)
შვება-სიგრილეს მოგინიავებს.

2009 წ.

რა უნდა აქ პირდს!

რა უნდა აქ ბინდს! — სერებზე ნადებს,
არ ეყო შარა, კორტოხი, ჭალა...
არვინ უმღერებს დღეს სერენადებს,
სუყველას იგი ცივგრძნობით მსჭვალავს!

რა უნდა აქ ბინდს! — მოხარბე თვალით,
ჩანაცრებული ცივ-ცივი ცქერით,
ის უკვე მოჰვავს გაცვეთილ თარიღს,
მაუწყებელი ჭენობის და ცვენის!

რა უნდა აქ ბინდს!

2009 წ.

ეპ, ჰორაციო...

„ბევრი რამ ხდება, ჰორაციო“...
შექსპირი

ეს გაზაფხულიც ჩაიფრენს მარდად,
ჩაიყვავილებს ბუნება ისევ...
მიარხევს უამი საწუთოს ფარდას,
ვით თეთრეულად გაფენილ ნისლებს...

კვლავ ეფოფრება მამალი დედალს,
ნინილებს ისევ დაისევს მოჭვა;
აქ ობლის კვერი კვლავ გვიან ცხვება,
ნაყვედრი ლუკმა გულს მნარედ მოწვავს...

ურუანტლად ისევ იფეთქებს გზნება,
თუმც გვავიწყებენ: — ჩვენ ვინც ვიყავით...
ეპ, ჰორაციო, ცუდი რამ ხდება,
მაგრამ ვინაა აქ განმკითხავი?

2009წ.

ძველი ჩიბუსი

ახლა არავის ახსოვს ბუხარი,
გააქვს თავისი დროს თუ ტაროსებს...
ძველი ჩიბუსი – ნაჩიბუხარი
ძევს მოწყენილად წაბლის თაროზე.
2009წ.



შენ გასაქანი ფრთასავით მოგჭრეს

ფერფლგადაკრული მიდრკება ღამე,
რომ ალიონზე
ნაკვერჩხალმა ისევ ინათოს...
გაათამამებს ზღვის სივრცე ღლავებს,
შენ კი რა გინდა
ისურვილო ანდა ინატრო?

შენ გასაქანი ფრთასავით მოგჭრეს,
გტკივა და ეძებ სულ სხვა გასაქანს...
დამპალა თოკიც!
(ესეც ბედი!) რას გინდა მორჩე?
ნუ ჩეარობ! ახალს ვინმე გასანთლავს....

ის შიშველ თავზე მოიყულფება,
ვინ გკითხავს: — რას გრძნობ, რა გელანდება...
ნაუარევი გრძნობის ხურვება
ჟამს მიწურვისას მოგენატრება!

2009წ.

თუმცა... იცი, მახსოვრეარ

იხვევიან
გულცივად წლები – ანაკონდები...
გეტყვი: —
გადამავიწყდი... გეტყვი: — არ მაგონდები...
თუმცა... იცი,
მახსოვრეარ, — ვნების ფოთლით მორთული...
მძაფრ სხოვნასთან
სად მოვა ეს დრო – ანამორფული!
2009წ.

დაბადებამდე სიკვდილს გადავრჩი

ქეთი აბდალაძეს

დაბადებამდე სიკვდილს გადავრჩი —
იმ იდუმალის ძალით და ნებით...
შორს, ლაჟვარდებით გადანაფარჩი
საუკუნეებს არხევენ მთები!

აქ კი... ბურუსი დადგა სიწყნარის: —
შენ გამიმხილე გაუმხელელი...
თითქოს გაისხნა უცებ ცის კარი,
თითქოს შეირხა შეურხეველიც...

სამჯერ დამინდო ცელალესილმა,
სამჯერ... მამშვიდებ თვალიდუმალი...
ცით ვარსკვლავეთმა უბე შეიხსნა —
მიღმა კამპაშებს მზე დაუვალი.

2009წ.

კაცმა სახე სინანულით ჩაიღამა,
დგას გზის პირად უმოძრაო მზერით...

მთის გადალმა ბოლო შუქი ჩაიღვარა,
ჩაიწურა მნათის ბოლო ჩქერი...

შეღამებამ სივრცე ხელში აიყვანა,
შორს კი ვიღაც სიყვარულზე მღერის.
2009წ.



როგორც სინათლე – სიპელის წრეში

ქაოსით მასა ამოზიდული
მოძრაობს წრეში დანაწევრებით...
რაღაც ზვიადი და მიმზიდველი
დგას დღე-ღამეთა შავ-თეთრ წვერებით.

მონაცვლეობენ სუსხი და ალხი,
ხან მშვიდობს ზეცა, ხან მკაცრად ელავს...
თანდათან უცხოდ ირჩევა ხალხი,
თანდათან ერთურთს შორდება ყველა!

ის, სულიერი, მოსწყდა ცის ფერებს,
მინასაც მოსწყდა და განზე დარჩა: —
ეუცხოვება მინდვრებს და სერებს,
ეუცხოვება სიმწვანის ფარჩას...

ვიღაც თუ რაღაც მის იღბალს მართავს,
მარტოსულს აკრთობს ცისპირი მრეში...
უცხოა სხვასთან და თავის თავთან,
როგორც სინათლე – სიბნელის წრეში.

2009 წ.

ზეანება № 9

მასულდიდგულებს სიტყვის მარილი...
გადადილავდა... მაღლა ლაღობს მზე...
შემომექამრა წელზე არილი
და გრძნეულივით შევდექ მაღლობზე.

იქ აღმაფრენის ელვამ იელვა,
ფიქრი საწიერს ალად მოება...
შემომათენა მზერა ციერმა
და... გააურჟოლა ამაოებას.

2009 წ.

არშემდგარი კაცი მოღის გზაზე

არშემდგარი კაცი მოღის გზაზე,
ემატება კაცუნების რიგს...
გაპმზერს სივრცეს, კაკლოვანს თუ ვაზებს,
ქეშად უცქერს ნაცნობსა თუ... იქსა!

არაფერი ეხარბება თითქოს,
მაგრამ გულში ყველაფერი სწყინს...
ის ვერ გასცემს სიყვარულს და სითბოს,
წკირი რაა, ვერ იმეტებს წკირს!

მას ამწუხრებს სიხარული სხვისი,
მის გულგვამში სუსხია და წვიმს;
თვალებიდან შურის ნაკადს ისვრის,
რაც კარგია, ყველაფერი სწყინს!

2009წ.

ღრუბელთა ესკადრილი

ფიქრში რომ ელავს: — ეს კადრებია
ჯერ არჩენილი ფერით ნაღები...
ცაზე ღრუბელთა ესკადრილია
მოექანება თავსხელაღებით!

გზადაგზა გვიშენს ტყვიისფერ წვეთებს,
თავს ვერ იცავენ უქუდოები...
გულხეთქვით გარბის მკვეხარა მეფე, —
დალებებია ქუთუთოები!

სადღაც გაიქცე — ეს ადვილია!
ძნელია გრძნობა შურისძიების...
ციდან ღრუბელთა ესკადრილია
სივრცეს კვლავ ცხრილავს მუქი ტყვიებით!

2009წ.

იმაღგაცრუება

ქალლმერთმა
სათნოებამ მიატოვა ქალაქი,
უიმისობას
აქ არვინ გრძნობს, არვინ უჩივის...
უცხო სიტყვები...
რეკლამები... და ლაპარაკი...
ფართიფურთობა...
შეხვედრები.. მზერა გულცივი...

თვალები – ბინდი...
ცრემლი ცერად დაცურებული...
გამოცლილია
შხამნარევი თასი ამურის...
ოცნება: —
ერთად აღმაფრენის – გაცრუებული...
დახრილი თავი და... სინანული!

2009წ.

მოიხედავან მთამოავლები

ჩამოსჩქეფს თქეში სივრცეთა ღარებს,
უხალისოა დრო, ვით ქელები...
დუღს ჯოჯონეთის ფსკერივით ღამე,
ქარ-ქარაშოტი, ჭექა, მერები...

დასეტყვილია ვენახი ცათა
და ვარსკვლავებიც – ცეცხლის თვალები...
შენ რაც იგემე, რაც განიცადე —
გახსოვს... რა გახსოვს გარდა წვალების?

თეთრი მორევის ზვირთში ავლებით
განიწმინდება ხორცი – საფარი....
მოიხედავენ შთამომავლები
და... ეს იქნება გულგასახარი!

2009წ.

იქ ვერ გვიშველის

როს ჩამოიცლის დრო მოსართველად —
მოგვესალტება უამთა ღობერი...*

იქ ვერ გვიშველის ვერც რუსთაველი,
ვერც დანტე, ვაუა და ვერც ფლობერი!

2009წ.

კაცი არაძაური

ტყისკენ გარბოდა ცელქი ბილიკი,
ნაირგვარობა ჩანდა ჩეროთა...
კაცი — ქარებზე დაყრდნობილი კი
ხორშაკვადავლილ ცას გასცექეროდა.

მან განიცადა ხილვით ღმერთი და...
ყოფნა — მსუსხავი უამ-ხაროებით...
იდგა,
ესმოდა ცისმილმეთიდან
ხმები — შორეულ სამყაროების...

დუმდა ზენური მზერით მზირველი,
არ ეკუთვნოდა აქაურობას...

კაცი —
ვეება ტანჯვის მზიდველი —
იდგა და მასში ზღვა ხმაურობდა!
2009წ.



* ღობერი — (მეგრ.) ღობე.

ცერილი მეგობრისადმი

რაულ ჩილაჩივას

„უჭირს კატულუსს, — კორნიფიციუს,
უჭირს შენს მოყვასს, — ჰერკულესს ვფიცავ!“

კატულუსი (ძვ.წ. 16.)

მიიღანდება ეს ყოფნა ფუჭი,
ლვანლი თუ გარჯა დღეს ჩირად არ ღირს,
მეგობარს შენსას იმდენი უჭირს —
ვერ აიტანდა ამდენს თვით ძალლიც!

შენ კარგად იცი, ლექსით არ ვჩარჩობ,
მეც მესმის ამა ცხოვრების ფარსი...
როს უზნეობა ქვეყანას ახრჩობს, —
თვით წმინდანებსაც არა აქვთ ფასი!

აქ ერთად არის „უიც“ და „ვაიც“ —
ყველაფერს ვიტან, ყველაფერს... მახლას!!
ბედნიერი ხარ დღეს იმით მაინც

რომ შენ ყოველდღე არ უსმენ ამ ხალხს! —

რომელიც ელის უცხოსგან შველას,
თანდათან კარგავს სამკვიდროს თვალწინ...
თვისტომის გარდა ენდობა ყველას,
თუმცა მრავალჯერ უჩვენეს ბრანი!

არ ეხატება გულზე თვით კოლხიც,
უცხო თესლს უფრო იგუებს იგი!

რამდენიც გინდა იყევე ოხვრით,

ქარავანი კი მიდის და მიდის!

რა რჩება ანი? მეც გავალ გაღმა,
ვინ შერჩენია საწუთოს გზაზე?
იმ სასოების ყვავილი გახმა,
ველოლიავე რომელსაც ასე!

მიიძურნება ეს ყოფნა ფუჭი,
ლვანლი თუ გარჯა დღეს ჩირად არ ღირს...

მეგობარს შენსას იმდენი უჭირს —

ვერ აიტანდა ამდენს თვით ძალლიც!

2010წ.

მოგონება

მახსუნდება გზა, მინდვრები,
ტყე – ბინდბუნდით ბურული;
ნარიმანდა კრამიტებით
ოდა გადახურული;
მახსოვს, ისლის ქოხიც მახსოვს
და მწეველი ბუხრებიც...
ორლობეში ქარი მასხრობს,
ყრია ხრეშის ბუგრები;
შუკა-შუკა შეძახილი
და ნახირის ბლავილი,
სახურავზე — მეხამრიდი,
გზისპირ – თეთრი ყვავილი...
როგორ მახსოვს სიყრმის ხანა, —
მეგობრები, ტოლები
და გოგონა სიფრიფანა —
ჩემ წინ ანათრთოლები,
დრო — ობლობის, — სიყმანვილის —
მამის ხელდაკლებული...
ნვიმა – ფიცრულს მინაწვიმი,
ქალ-ვაჟების კრებული...
მთლად უძველესს ვხედავ ჩეროს
და ჭაობებს ისლიანს...
ვდგავარ უხმოდ, ჩემ გარშემო
მოგონების ნისლია!

2010წ.



მეგობარი

ვის რა უთხრას, ვის? ვინ გაუგებს, რას?
თქმა არაფრის ღირს, რა ფასი აქვს თქმას?
ყველას თავის სჭირს, ვით უნამლოს სხვას?
რა უშველოს შვილს! ჯოჯოხეთი ხრავს...
გული უგავს ჩირს... ბნელს ჩაჰურებს ხრამს!

.....

მისდევს ველს და კლდეს, ნარვალებს და ხევს,
ფლატეებს თუ ღრეს... თუმც საწუთრო ღრენს,
მეგობარი დღეს მოუსხივებს ხელს,
უანგარო ხელს, უანგარო გულს,
რა შესჩივლოს სხვებს? სხვა სუყველა დუმს!

2010წ.

ისევ აქ არის აწმყო და
ნამყო კი, ნამყო შორს არი,
მუდამ კოსმოსი მაწყობდა
და არა ნაკოსმოსარი...
ნათქვამი სიტყვა მაცხრობდა,
მანთებდა სიტყვა უთქმელი;
ზოგი თუ ლექსით ჩარჩობდა,
ზოგმა ქნა საქმე უქნელი,
ზოგმა ლრმად გაიძასაკა,
ზოგმა კი ადრე დაგვტოვა...
გაყუჩებულა ვასაკა...
ხეზე სხვა თოვლმა დათოვა...
გადადიდგულდა დიდგულა,
დადიდგულობდა რომელიც,
რა საწყლად ჩამოყვინთულა –
ნიადაგ დაუდგრომელი!

2010წ.

30ლტუალურ სიცხადეში...

ქარია მლაშე... წინ ქანაობს უცხო ხეობა,
მილივლივებენ ზვირთებივით დროთა ჭავლები...
თავს ძლივს ვიმაგრებთ ერთმანეთზე ხელის ჩავლებით
და დასცინიან უფსკრულები ჩვენს უმწეობას!

რა ენაღვლებათ მედროვეებს, შულერს თუ ვერაგს,
გართობის ვნება მიასკდება სივრცეს ჩქერებად...
ვით ქალშიშველთა საშინელი მშვენიერება —
მომნუსხველია დაუმცხრალი ცთუნების მზერა!

აქ, ვირტუალურ სიცხადეში ყვინთავს სამყარო,
აცეტებულნი ლაუგარდისკენ არ ვიყურებით....
ღირსნი ვართ, **იმან** კინწისკვრით თუ ალიყურებით
ამ ოთახიდან გაგვაძევოს, სხვაგან გაგვყაროს!

ქარია მლაშე... წინ ქანაობს უცხო ხეობა,
მილივლივებენ ზვირთებივით დროთა ჭავლები...
თავს ძლივს ვიმაგრებთ ერთმანეთზე ხელის ჩავლებით,
და დასცინიან უფსკრულები ჩვენს უმწეობას!

2010წ.

ახლა რაღა გაასწორებს?

დღე და ღამე განუწყვეტლივ გულს სჭამს სკეფსისი...
ვისაც ძალუძს — იგი ხომ კრეფს, ვისაც არა — კრეფს ისიც!

გადადიან თავისუფლად მოუკრეფავში...
რაღა ყრია უდროო თუ დროულ ყეფაში? —

ქარავანი მიქარავნობს გზაზე, ნარვალზე...
ახლა რაღა გაასწორებს ასეთ ნავარ* გზებს?

2010წ.

* ნავარი — (მეგრ.) ტიალი, ოხერი.

სინაცხლი

შენკენ მომავალს ქეშად მსუსხავდა
გადაზაფრული გზა ნარვალებით...
უგვან დრო-ჟამსაც ხომ მონუსხავდა
ალლოიანი კაცის თვალები?

სად იყო ალლო ანდა მიხვედრა!
სად იყო ჭკუა ანდა გონება!
განცდა თუ გრძნობა არსად იხევდა
და ღამეს დილა მიაგორებდა!

გუგა მეწვოდა ღამენათევარს
და მაგიდაზე ნაკადი ლვინის
ცერად სერავდა სუფრის ნახევარს,
ვით გაწყვეტილი სიმლარი ლხინის...

დღეებს ხელგაშლით დიდხანს ვფლანგავდი,
თითქოს რაღაცას ამით ვიძენდი
და ამ ფლანგიდან სულ სხვა ფლანგამდი,
თითქოს სასმურით დროს ვალვიძებდი...

ამით შენამდე ვერ მოვალწიე,
მხოლოდ გორაკს თუ გორებს გამოვსცდი...
ქვა საჯილდაო ვეღარ ავწიე,
თვალს და ხელს შუა გადავსამოცდი!

ალბათ დამრჩება ტომი ოთხიოდ —
გულიდან ტანჯვით გამონაწური,
შვილიშვილებმა ხელი მოხვიონ
და თქვან: — ნაწერი არის კაცური!

მე არ მჩვევია ბნელოლრაშობა,
გულით ვარ კეთილს ნამსახურები...
სადაც დაიწყო ჩემი ბავშვობა,
იქ დამრჩა მხოლოდ ნაფეხურები!

2010.

შვილიშვილი, ანუ მოთა

მურმან ზაქარაიას

მარტოსულის
არ ყოფილა ეს საწუთო ან ეს ყოფა,
სიყვარული
სხივოსნდება მხოლოდ წყვილთა, მხოლოდ ორთა....
მარტოსულის
მკაცრი სული სულეთშიაც კივილს მორთავს...
თავის არსით
გიმეორებს შვილიშვილი, ანუ მოთა!
2010წ.

როგორ მინდა

როგორ მინდა,
როგორ მინდა, როგორ...
ვერ ვამბობ და...
მემძლავრება სივრცე...
სიტყვა უნდა კვლავაც მოვიზოგო...
სულისათვის
ხორცი უნდა მივცე!

2010წ.



გუბაზი

(ნაწყვეტი ლირიკული პოემიდან)

I

უანგისფერ ფოთოლს
ქარი არწევს ყვითელ გუბეზე,
ხობის სანახებს
ფიქრიანი გაჰმზერს გუბაზი.

გადახრილია
ღერო, ერთ დროს ანაწვერალი...
რას ფიქრობს და სჯის
ხვალინდელზე ბედის მნერალი?

ეს დედის ხმაა: —
„შვილო, ჩქარა, მოდი, მომისწარ“...
გულჯავრიანი
გადაჰყურებს მეფე ხობისწყალს.

აცოცებულა
დროულ კლდეზე ხავსი, მღიერი...
ნელა, თანდათან
ცრიატდება ცა სხივიერი.

II

მტერი მტერია!
ვინ უწყის რას იზამს ტიელი...
მტერი მტერია! —
სპარსია თუ ბიზანტიელი!

თუკი გიპყრობენ,
მაშინ რაა მათში სხვაობა...
იყავ მედეგი!
მებრძოლს შვენის გულუძრაობა!

მებრძოლი მარტო
შუბითა და მარტო ხმლით არი...
ჩვენი სამკვიდრო
არ გაგვიხდეს ნაკოლხიდარი!

ველარ წაბილწავს
ჩვენს ლირსებას, ხმალს და ფარს ნავსი,
აღარ გახდება
მოღალატე ლაზი ფარნასი!

ყველანი ერთად!
გვეყოჩება მტერი მუხთალი...
ეგრისელებო!
სიტყვა მყოფადს ბრძოლით უთხარით!

მტერი მტერია!
ვინ უწყის რას იზამს ტიელი...
მტერი მტერია! —
სპარსია თუ ბიზანტიელი!

III

უკანასკნელად იყო მისგან ცა – თვალაკრული,
თვალი მოავლო უკანასკნელად...
და მის საწიერს, უამთა ნამქრით გადანამქრული,
ცისა და მიწის უგანა სკნელმაც!

2010 წ.



სწრაფულა რიცოს კვარაცხელიას

ნალდო პოეტკაცო რინოს,
ამ ცხოვრებამ რაც იღრინოს, —
მაინც გაძლებ
ძელქვასავით,
დალევ კაცთან კაცი ღვინოს;
ტკივილებით
გულდაღლილო,
შენმა გულმაც გაიღიმოს!

2010წ.

მუსიკალური სიტყვა

სანამდის უნდა ვისმინო ძველი
ზღაპარი ანდა იგავ-არაკი....
მძიმედ ირხევა ტოტები სველი,
მოისმის ქარი, ვით ლაპარაკი....

მინდა ამქვეყნად სხივივით დამრჩეს
მფეთქავი სიტყვა — ბავშვივით წრფელი...
გულს კვლავ მოთმენას და გარჯას ვაჩვევ —
ასე გაცურდა ეს ერთი წელიც.

2010წ.



ქრის მასქური*

ქრის მასქური, მასქური,
ხამს მიუგდო მას ყური,
ის მოგითხრობს იდუმალს, —
არ სჭირდება დასტური.

ქრის მასქური ამო და
ხმა გულიდან ამოდნა,
ნაირფერობს კოლხეთი...
საღად მოსაღამოვდა.

2010წ.

სხვა ხიბლი ჰერნდა..

სხვა ხიბლი ჰერნდა შენს ეზოს მოვლილს,
შენც ყვავილივით შვენოდი არეს
და გაზაფხულის ფერადი თოვლი
ღია ბალიდან გაჰქონდათ ქარებს.

ეს შენ მშველოდი, უკეთ რომ მეგრძნო
თავი, გარემო, თვალსაწიერი...
დღეს სხვაგან ცხოვრობ და შენმა ეზომ
ჩემთვის დაკარგა შნო და იერი.

2010წ.



* მასქური — (მეგრ.) ნიავი.

მშვიდების გრძელება

რას დამაკლებს წლები,
თუ მშვენებას ვიგრძნობ...
სიჭაბუკის ხმებიც
გავიგონო ვინძლო,
შენი მზერა თბილი,
ტკბილი სიტყვა, ციცავ,
როგორც აღის-კბილი —
ავუამისგან მიცავს.

2010წ.

აქ შარშანდელი...

აქ შარშანდელი ფოთოლცვენის წრიალებს ლანდი...
უხილავ სხივზე ქანაობენ ძველი ლანდები...

.....
ხის ქვეშ ჩრდილები თამაშობენ და ტოტებს შორის
გამოსხლტებიან მზის სხივები ნიავის ჩქამზე
და კარკაცებენ ფოთლები ერთხმად.
ფეთქავენ ლალად და უზრუნველად...
ხასხასა ფოთლებს ასდით ახლა მწვანე სურნელი
და არ ანაღვლებთ შემოდგომის გარდუვალობა...

.....
აქ შარშანდელი ფოთოლცვენის წრიალებს ლანდი!

2010წ.



კაცი – მონასროლი

ცას ბადე ეკავა მთვარის მონაქსოვი,
ღრუბელთა შავ ზღვაში ელვის თევზს იჭერდა...
კაცი კი – უდროოდ განზე მონასროლი —
იდგა ჯავრიანი ბავშვობის ფიჭვებთან.

ღამით მოძილფხიზლე ქვეყანა კვნესოდა, —
რა გამოულევდა საკენესელ - სადარდელს?
მისი საწუხარი იქ ვიღას ესმოდა,
დუმილშიც კვნესოდა: — სადამდე? სადამდე?

კაცი კვლავ ფიჭვებთან იდგა, — მარტოსული,
ერთ დროს ამ ქვეყნისთვის თავის გამწირველი,
დღეს არარაობას ჩრდილად გამოსხმული
სამასხაროეთის სველდება წვიმებით!

მას გადაუარეს! ის ჩრდილად აქციეს!
ზეობენ, ღრეობენ ნაარაფრალები...
ვინც ჩრდილუკარება, ნამდვილი კაცია —
ყველას გაუმზადეს ხახა ნაპრალების!

გაშიშვლდა ქვეყანა! დგას სიცარიელე
და ყვირის სიშიშვლე ურცხვად და უხმებოდ,
ფრთები დაუშვიათ ნასიცხარ იელებს...
ვაი, სათნობას ძირ-ფესვი უხმება!

გარშემო უჩინრად იძვრიან ზვავები,
მძიმდება სივრცე და გზა ამონალებით...
საწიერს აყრუებს კიპკიპი სვავების,
ვერ ხედავს სახილველს მორჩილთა თვალები!

დახრილან თავები თუ თავის ქალები,
ჩაკლულა სული და დადიან ლეშები...
ვის უნდა ლექსები – ზღვა იდუმალების,
სერავენ მინას და ცას „ესემესები“.

ბაზრი მოლაშენა

ჩვენ ვსვამთ დაწაფებით საამო საწამლავს
და ჩვენზე ზრუნავენ კომპიუტერები...
ნუთუ გარდასულმა არარა გვასწავლა, —
გონიერთ მოძღვრავენ უგონოდ შტერები!

ცას ბადე ეკავა მთვარის მონაქსოვი,
ლრუბელთა შავ ზღვაში ელვის თევზს იჭერდა...
ისევ — უდრობით კაცი — მონასროლი,
დგას გულჯავრიანი ბავშვობის ფიჭვებთან!

2010წ.

შენი გულიდან სიყვარულის ხმა ისმინება

იქნება იგი! —
ყოვლისმხედმა რაიც ინება...
შენი გულიდან
სიყვარულის ხმა ისმინება!

გრძნობ ტალღასავით
დაუმცხრალი ჟამის დინებას...
წმინდა გულიდან
სიყვარულის ხმა ისმინება!

ვერ გაგიგია
შენში რა წუხს, რა ილიმება...
გულისგულიდან
სიყვარულის ხმა ისმინება!

.....

ვარ ფიქრიანი —
განცდილით თუ დღეს ნახულითა...
ნეტავ ისმოდეს
სიყვარული ყველას გულიდან!

2010წ.

ქვისფერ სიშორეს...

ქვისფერ სიშორეს მზერა ვაწვდინე, —
რაღაც მიმიხმობს მისკენ მიწიერს...
ჰაუ, რამდენი დრო გავაცდინე!
ჰაუ, უშენოდ რა არ ვიწვნიე!

2010წ.

რა დაგავიწყებს...

რა დაგავიწყებს იმ ყვავილობას,
იმ სამოთხისდარ ადგილ-სამყოფელს, —
სადაც ქალწულის ვაშლთა მეტრივობა
სიყვარულით რომ მოინაყოფე.

2010წ.

შენ ხარ და იქნები

შენ ხარ და იქნები ყოველთა მსაჯული,
ყველაფერს განაგებ... არ ვიცი სხვა მე...
ვდგავარ,
გეხვეწები ყელგამოქაჩული:
— ჩვენს ყოფას,
არეულს, — უშველე რამე!

2010წ.



მზე მაყვალოვანში ანთია

მზე მაყვალოვანში ანთია,
ციური ცეცხლი ციმციმებს...
ის არის – რაც გვინატრია,
ის მოგვხსნის ტანჯვის სიმძიმეს.
კიბე – აწვდილი ცათამდი —
ანგელოზებით ბრწყინვალებს...
მან იცის მტყუან-მართალი,
ვინ უკან და ვინ წინარე,
ვინ ვის ძრახავდა, აქებდა,
ვინ მტრობს ჩვენს მიწას მადლიანს...
ის გადარეკავს აქედან
ამალეკებს და მადიამს!
მზე მაყვალოვანში ანთია,
ციური ცეცხლი ციმციმებს...
ის არის – რაც გვინატრია,
ის მოგვხსნის ტანჯვის სიმძიმეს.

2010წ.

თანაფა*

სამყაროს
ველიდან ბნელშავი აბოჭა
მნათმა და
გამოჩნდა ცის სივრცე მჭვირვალე...
მან კაცთა
ძველცოდვა ყოფიდან ამოჭრა
და მორჩა!
აღსრულდა თანაფა... ბრწყინვალე!

2010წ.

* **თანაფა** — (მეგრ). აღდგომა; სიტყვასიტყვით: — თენება, გათენება, გადატ. უდიდესი სიხარული.

სიჭარუკეზე ვყვები

ხმასაც აქვს თავის ფერი,
ხმასაც აქვს თავის გემო;
ძვირფასო, როცა მღერი —
დავფრინავ ცათა ზემოთ.

დავცურავ ფერთა ფერში,
ხმები მასხია ფრთებად...
თავისით მოდის ლექსი,
გული მკერდიდან ხტება!

მძაფრი ტკივილიც ცხრება
აღმაფრენათა ფრენით...
ჩემში რაღა არ ხდება,
მანთებს შენი ხმის ფერი!

იმ ხმის გემოთი ვკვდები,
ის ხმა მაცოცხლებს ისევ...
სიჭაბუკეზე ვყვები,
იქნებ, შენც გულით ისმენ?

2010 წ.

სხვას ვისა აქვს შევეპრი ხმა

სხვას ვისა აქვს შენებ-რი ხმა
სხვას ვისა აქვს შენებ-რი თმა;
გამამხნევა დროის რიხმა...
— რას არ გათქმევინებს რითმა!

2010 წ.

საით თავიდე...

„ ჩრდილის აჩრდილია კაცი“
პინდარე (ძვ.წ. VI)

ქარს მოაქვს შორით მინდვრების ხმები:
— „ყველანი ერთ დროს იქნებით მკვდრები,

ჯერ წვალობთ, ხარობთ, იზრდებით, თბებით...
შრიალებს თქვენი სიზმრების თმები!

ყველაფერს უხმოდ ეჩვევით, ხმებით...
მოდით, მოგიხმობთ ეს ჩვენი ხმები!“

.....

ცა დუმს, — დამის და დილის არჩივი...
საით წავიდე — ჩრდილის აჩრდილი?

2010 წ.

გარინდებული ლანდი დგას ველად

გარინდებული ლანდი დგას ველად,
წყარო კი ხევში ჩაედინება;
უბინო ნისლი ეშვება ნელა
და ხეობაში ჩაეფინება...

ლოგინში თბილად გრუტუნებს ბავშვი,
დედას დაქანცულს ჩაეძინება...
ცის მეუფება სითეთრეს გაშლის
და ლმობიერად ჩაეცინება.

2010 წ.

დარდს ნუ ეჭმევი...

დარდს ნუ ეჭმევი,
ერევაო დარდი გოლიათს;
ტკივილს ტკივილი
აყუჩებსო... გამიგონია!

2010 წ.

ყველას მიუზღო სიკეთე

ყველას მიუზღო სიკეთე,
მას ყველა ეყოჩებოდა;
მღეროდა ციურ სიმღერებს,
მინა კი სულ სხვას რჩებოდა!

ახლა კი უცხო კაცივით
დგას და დასცქერის ჩემოდანს...
დრო იმზირება დაცინვით
მარადისობის ჩეროდან!

2010 წ.

დილით...

ორტვინს * მოცოცხავს, აკენჭავს,
დილის მზე ჩაეწურება.
ფოშფოშის ნაფლეთს აკენნლავს
და საქმეს დაეშურება!

2010 წ.

* ორტვინი – (მეგრ.) ბოსტანი.

ახალგაზრდები

ახალგაზრდები ადვილად წერენ
სიკვდილზე,
რადგან იგი შორს არი —
ასე ფიქრობენ
და ასე სჯერათ
და მოთიკინე მიმინოსავით
სივრცეს გაპირობენ თავმოწონებით...

თანატოლები, თანასწორები
ვლიან და ქრიან ყველგან წებისად;
ახლა იწყება განცდა ცხოვრების...
ჯერ არ ჩანს ლანდი შეღამებისა!

2010 წ.

მზერაჩაქრობილ ძველ სასახლეებს
ვერ შეაურულებს ნაცვარი დილის...
ცუდმედიდობით ფერმკვდარ სახეებს
არარსებობის აკოცებს ჩრდილი.

უგრძნობელია ზოგი გრძნობაშიც,
ზოგი წყალშიაც ვერ იკლავს წყურვილს...
დრო დაასვენებს უსივრცობაში
აქაურობით ნაგვემს და ურვილს!

და, ისევ... კაცი იმედს ეწვდება! —
ვერ მოიშლიან გულები ტრფიალს...
— რგოლითავის თავს ვერ დაეწევა
და მარადიულს ვერ შეწყვეტს ტრიალს!

2010 წ.

ლაცეი უგრძეობელობის

„საზარელია დადგომა
უგრძნობელობის გზაზედა“.
ვაჟა ფშაველა

თითქოსდა გული ამოგარიდეს,
თითქოს წაგართვეს განსჯის უნარი...
ახლა ყველაფერს მზერას არიდებ: —
საქებია თუ ხელალებით დასაწუნარი!

შენთვის ერთია: დროთა მდინარე —
(აღმა თუ დაღმა) საით იდინებს;
კაცი ბრძენი თუ მოსაწყინარე
ჩაიღიმებს თუ ჩაჟამებით ჩაიქვითინებს...

მოგყვება ლანდი უგრძნობელობის,
გზა-გზა გხვდებიან ცივი ლანდები;
მამულის ნაცვლად — უცხო ველობი,
ნისლი დაწნული
(ხმელ წიფელზე!), ვით გირლანდები!

არც სიბრალული, არც სიყვარული,
უგრძნობელობა მძლავრობს გარშემო;
ცარიელია თასი ამურის...
სიცარიელის სავსეობაც სადღაც არსებობს...

სურთ დაგავინწყონ გამჩენი ღმერთიც...
(ავაპმე, გულო, დადარჩამქრალო!)
რაიც აქ არის — არაა შენთვის,
აქ არსებული არარსობად უნდა ჩათვალო!

მოგყვება ლანდი უგრძნობელობის,
გზა-გზა გხვდებიან ცივი ლანდები...
მამულის ნაცვლად — უცხო ველობი,
ნისლი დაწნული (ხმელ წიფელზე!), ვით გირლანდები!

2011 წ.

სუსტია პასრი...

სუსტია პასრი,
ცა მგონია მიმოკანწრული,
სიცივისფერად
ვარსკვლავები კრთიან, ბრწყინავენ...
მოდი,
მომხედე,
მინდა შენი მშვიდი დასტური,
გამითბე სული —
ეჭვიანი, ყოვლის წინარე!

იმსხვრევა კოშკი,
აგებული ერთხელ, ყრმობაში...
ვერა ვიხილე
უარყოფის უარყოფაშიც!

2011 წ.

ისევ სტანდეპი

მუხა სხივებს მერქანსავით იხვევს,
ნასამხრალზე ნებივრობენ რკოები...
ფრიალოდან გადმომდგარი ციხე —
ირგვლივეთზე უფლობს განმარტობით.

ბილიკები მთის ნაოჭებს ჰგვანან,
(დროო, მთაში რა იდუმლად ჩქამდები!)
დაბლა რწყავენ მოწყურებულ ყანას,
მწუხრდება და ფათურობენ ლანდები.

გულს სიმხნევით სიყვარული არჩენს,
სითბოს გასცემს,
ვერ აცხუნებს მზე ოდეს...
რაც სიყვარულს მფარველობს და, არ ჩანს,
დაე, იგი ყველაფერში ზეობდეს!

2011 წ.

ზვარაკი

დიდ პატივშია ოდეს ქაჯობა —
სამოთხედ თვლიან უდაბურებას...
კაცმა თავის თავს როცა აჯობა,
მაშინ დაუწყეს უნდოდ ყურება!

დღისით ისმოდა ყეფა ღამეთა,
ხსოვნაში ეგდო ნაწყვეტი ჟამის...
კაცმა თავის თავს გადაამეტა
და განიტევა ყველასგან ამით!

გაოგნებულა ჩვენი პლანეტა...
(ახლა რას შეცვლის ეს ლაპარაკი!)
როცა კაცობას გადაამეტა —
ის მაშინ გახდა წვარაკი!

2011 წ.

კითხვა და ნატვრა

I

მოინაყოფე წელთა ნაყოფი —
ზოგი ფშუტე და ზოგი საღ-მთელი...
რა ეშველება შენს გულს გაყოფილს,
როდის ინათებს შენთვის ნათელი?

II

რასაც დღეს ვამბობ ან რასაც ვიტყვი,
ნეტავი ღირდეს რაიმედ შენთვის —
ისე, ვით ტოტზე მფეთქავი კვირტი
ან ყვავილები — მინდვრებს რომ ერთვის!

2011 წ.

თითებზე დათვლილები ვართ

თითებზე დათვლილები ვართ,
სხვა ფერად გარდვისახებით;
ჩვენ ვინ გვამყოფებს ნებივრად,
გვიჭერს არყოფნის სახვევი.

დღეს ჩირად არ ღირს სახელიც!
გვიღრებს სამყარო აშლილი...
არ ჩანს უმწეო ძახილი,
ვით ნაკვალევი წაშლილი!

2011 წ.

შეუვარეპული პიშის სიგლერა

საყვარელო,
შენი გული უნდა მანდო,
დამიჯერე,
არ ვარ ბიჭი უნდომანდო!

ფხიანი ვარ!
უგერგილო არ გეგონო,
მაშინ მიგრძნო,
მხურვალედ რომ დაგეკონო...

დავიხარჯოთ
გრძნობით, განა დარდუბალით, —
სანამ მოვა
შემოდგომა გარდუვალი!

2011 წ.

კოსმიურ გზებით...

„მე კი მიახლოვდება სამუდამო ქაოსი“.
ტერენტი გრანელი

არ მოგწყინდება შორი ცის სივრცე,
არ გემძიმება ლანდად სხეული...
კოსმიურ გზებით! მწვანე ნისლისკენ
მიდიხარ, ქაოსს ხელჩახვეული.

როცა სივრცეებს ხარ შეჩვეული —
ტანჯვის სურნელი ამოდ ამდება...
შორს, უსხეულოს სული გრძნეული
უსივრცობაში გადაქანდება!

უნელებელი განცდით გზნებული
არ ეპუები ყოფნას სრულებით,
ყრუ ლამეებით გაბეზრებული
ახალ მნათისკენ გაეშურები...

თუკი აანგრევს ჟამსუსხი კოსმოსს,
რა დაალაგებს იმას ხელახლა?
შენ მიჰკიოდი გზას უსხივოსნოს,
რათა არყოფნა გადაგელახა!

ბორგავს, ინთება შორი ცის სივრცე,
ელავს ბერებად ზეცა რხეული...
კოსმიურ გზებით! — მწვანე ნისლისკენ
ივლი — ქაოსთან ხელჩახვეული.

2011 წ.



კოსმოლოგიურს ვხედავ ლირიკას

(ესკიზი)

კოსმოლოგიურს ვხედავ ლირიკას,
როცა განვიცდი – ვხედავ კიდევაც...
არ ვიცი —
ვინ მძულს, ვიცი – ვინ მიყვარს.
სივრცე ცეცხლივით გულს მეკიდება!

სივრცე მათბობს და სივრცე გამყინავს,
სივრცეში ბრუნავს ყოფის წრენირი...
სივრციდან ვისმენ ძახილს – გამყივარს,
სივრცის მტილოვანს ვარ შეხვეწილი.

უსივრცობაშიც სივრცეს დავეძებ,
სივრცით ვნათლდები – სივრცის ნათლული...
მითაუამური ხმების ნამცეცებს
ვაგროვებ,
სივრცის ხმებში ჩაფლული...

კოსმოლოგიურს ვხედავ ლირიკას,
როცა განვიცდი – ვხედავ კიდევაც...
არ ვიცი —
ვინ მძულს, ვიცი – ვინ მიყვარს.
სივრცე ცეცხლივით გულს მეკიდება!

2011 წ.

ქუში დროება...

თრგუნავს ყველაფერს ქუში დროება. —
არავის ინდობს – მწარედ მბასრავი...
დაბადებამდელ უსივრცოებას
განვიცდი ზოგჯერ ზმანებასავით!

2011 წ.

ცხელი სიჩუანი

ცხელი სიჩუანი,
ცხელზე ცხელი... ჩახურებული...
მოვითვითოჯულე...
დრო წავიდა ჩახუმრებული...

შევრჩი ამ ყოფას
(ვირტუალურს!) მისი სურვილით ...
ვით უარყოფა,
განზე დავრჩი მარტოსულივით!

2011 წ.

მე მომეჩვენა

მე მომეჩვენა:
მეგობრებს შორის ვიდექი მარტო და მოწყენილი:
შორს ღამეები
ვიდოდნენ მწკრივად, გვერდით მზე იყო ამოწვერილი.
მზეში კი ღამეს
ხალიჩა ეგდო, ზედ პულრაობდნენ ცეცხლის ხარები...
მე მომეჩვენა:
აქაც და იქაც მიმოვდიოდი გულმდუღარებით.
მერე კი ხარის რქებზე
ვროკავდი, შენს სადღეგრძელოს ხარის რქით ვსვამდი...
მე მომეჩვენა:
რომ მიხაროდი, გეფერებოდი, მძულდი და მწამდი!

2011 წ.

ვარ მადლობელი!

გაზაფხულისთვის ვარ მადლობელი!
ირგვლივ ფერები საზეიმოა...
ნიავს სურნელი დამათრობელი
გულხელგაშლილად გზაზე მიმოაქვს.

2011 წ.

ასტრალურ ცვაში...

სიჩუმის მიღმა ხმები ირევა,
სიჩუმის აქეთ ჩვენ ვგავართ შეთქმულს ...
ცხელ გულზე გულის ოკულირება
ასტრალურ წვაში აანთებს ერთგულს!

2011წ.

ცუთუ კვლავ იქნება...

ზეცამ ვარსკვლავების მრეში ხმა გაკმინდა,
ნელ-ნელა დახუჭა მთვარე, —
როგორც მოსასხამი, სივრცეს გადაჰკიდა
ღრუბლით დატენილი ღამე!

მიწაზე ერთურთის პოვნა გაუჭირდათ,
ფშვინავდა წკვარამი კრული
და კითხვის ნიშანთა ეჭვის კაუჭიდან
ვერაფრით ჩამოხსნეს გული!

აირ-დაირია, ისევ აქაოსდა
სამყაროს სივრცე თუ ზეცა,
ნუთუ კვლავ იქხება იგი — გარდამოხსნა,
ის ერთხელ ჩვენთვის ჯვარს ეცვა!

2011წ.

იგი განირჩეს...

სინათლისფერი მისცა საწიერს,
მიწიერთათვის რას არ ეცადა...
არ შეისმინეს! —
იგი განირჩეს,
ვინც წუთისოფელს გამოეცხადა.

2011წ.

მსჯავრდადებული პატრიოტის მონოლოგი

საშა ზაქარაიას

აქ ვერ მივაგენ სამშობლოს ჩემსას,
თუმცადა ვითვლი ათასწლეულებს...
ვერ გავექცევი
აწმყოსა და გარდასულს ვერსად, —
საუკუნეებს —
სივრცეებში გადარწეულებს...

ხან ვით უფესვო,
დავბარბაცებ დღეთა საკანში,
ხან შინაურიც გამიუცხოვდა...
დღემდე ვერაფრით
ვერ მატარა ღმერთმა მხარგაშლით —
როს ჩემი ჯიში
პურს მთხოვნელსაც მადლით უცხობდა!

ვზივარ და ვფიქრობ,
სასჯელია იქნებ კოლხობაც?
არ ესმის მოძმეს,
რომ ვარ ჯიმა — ჯიმუ* მყოფობის...
ცხოვრებაა თუ რაღაც ოხრობა, —
კვლავ იმუქრება
მარტოობის უნაყოფობით!

შენს მტერს ვეკვეთე!
შენ კი ყოფნა გამიგისოსე
(შენს დამაქცევარს
არ შეერხეს თავზე ჭაღარაც!),
დავთმე ყოველი!
ნანა სკუას მადლით ვილოცე
და, იქნებ,
შენთვის სულერთია — ვარ თუ აღარა!

* ჯიმუ — (მეგრ.) მარილი.

ბაზრ მოლაშენა

დღეებს მივათრევ
ჯაჭვებივით, — თავის მარჭვლებით,
კვლავ ვუერთგულებ
იმას — დღემდე რასაც ვერთგულობ...
ჩემი სიცოცხლით
მისხალ-მისხალ დავიხარჯები, —
ჩემს შვილობაზე
არ გექნება სასაყვედურო!

2011 წ.

უსახურავო სახლივით ვდგავარ

უსახურავო სახლივით ვდგავარ,
კბილით მიჭირავს მყიფე კედლები...
დრო ვით გასულა, კვლავ ისე გავა —
უყვედრელიც და დანაყვედრებიც!

უბერავს ჟამთა მსუსხავი წვიმა,
გულმკერდს მიბასრავს წვეტი წვეთების;
ხან უკან ვდგავარ,
ზოგჯერ კი წინ ვარ,
ხან ვცხოვრობ უხმოდ, ხშირად — წყვეტებით!

ქარი და სიცხე,
თავსხმა და ყინვა —
უსახურავო სახლის თანმდევი...
თავშენირულთა მოისმის გმინვა...
მტრისა და მოყვრის არის ტანდემი!

ისმის დუმილი, ვით სამდურავი: —
(მთვარე გაკრულა ცაზე გროშივით...)
— მე ვარ ტაძარი — უსახურავო!
— მე ვარ ქვეყანა — საზღვრებმოშლილი!

2012 წ.

კოშმარი და კოშმარის შემდეგ

ხრჩოლავდა ღამე, იწვოდა ღამე,
ცვიოდა ვარსკვლავთა წყება;
გაეპო მთები ამომსკდარ ღვარებს,
ისმოდა გრიგალის ყეფა;

დაწენილ სივრცეს სდიოდა სისხლი,
სტკიოდა სამყაროს მკერდი...
დილით კი
თრთოდა ვარდისფერ ნისლში
ქვეყანა –
აღმდგარი მკვდრეთით!

2012წ.

გათენება

ოქროს ნამგლით
განთიადი ღამეს მკიდა,
მზემ სხივები
მთა-გორ-სერებს მიაყარა;
ახტა ვაშლი,
თავის ტოტზე დაეკიდა...
— გათენდაო, —
შაშვმა ტყე-ველს მიახარა.

2012წ.



სიღან კვირტმა შემომცინა

ხიდან კვირტმა შემომცინა,
— მოვედიო, — მახარა.

შორს მთამ,
შუქით შემოსილმა,
შემოიდნო ჭალარა.

გაზაფხულის ნედლი ფერი
ლუის,
მეღულუნება...
ვდგავარ, როგორც ნებიერი,
და წმინდა მაქვს გუნება.

გულმა თვითონ ისურვილა
შვებაც, გზნებაც, მოწყენაც...
ცით სხივები, ვით ცურიდან,
მიწამ ამოდ მოწველა.

ხიდან კვირტმა შემომცინა,
— მოვედიო, — მახარა...
შორს მთამ,
შუქით შემოსილმა,
შემოიდნო ჭალარა.

2012 წ.

ალალია იმისთვის...

გარჯით ძალი მოიცა, წელი მოიმაგრა...
ალალია იმისთვის – რაიც მოინაგრა.

2012წ.

მგზავრო, სული დალოცე

წყალში კვნესის კენარი
ქალი —
ლერწმად ქცეული;
სიყვარულისკენ არი,
ციურ ცვარით მცვრეული;

ჯადო ჰანგებს გამოსცემს
მისი სუსტი სხეული...
მგზავრო,
სული დალოცე —
მდევნელს თავდალნეული!

2012 წ.

და... პნელ ზღვარს გასცდა!

სიბნელის გავლით სინათლისაკენ
რემინისცენციული

გადმოსცდა ბაგეს ნამწყვდევი ოხვრა
ნათმენი კაცის,
ესვენა თვალში ცის მზერით მოღლა
და ფერი განცდის...
მას ხმობდა განძის ჯადო თუ ხიბლი —
საცთური კაცთა;
განაგდო შური, სიხარბე, ჯიბრი
და... ბნელ ზღვარს გასცდა.

2012 წ.

ცრემლსაც აქვს თავის ცრემლი

I

გული უშენოდ დაიჩრდილა,
დილა იყო თუ აისდილა...

ზოგმა ლიზლურად გაიცინა,
გულმა ლიზლობა აიცდინა,—

შურის შურობა აიცილა,
ცრემლმა ცრემლებში გაიბრნებინა...

.....

მზე ჩადის. მოდის დაისლამე...
ცრემლებიც ცრემლებს დაისხამენ!

II

ცრემლსაც აქვს თავის ცრემლი,
ცრემლებიც ცხარედ ტირიან...
ვერვინ გაიგებს, ვერვინ,
თუ ვის რა ჩაუკირია!

ვის რა ლადარი ლადრავს და
ალხობს მყოფობის საკირე...
ვის რა ბურუსი ჩადრავდა,
ვინ რა ცრემლებით ატირეს;

იმ ცრემლთა ცრემლიც ნათობს...
ღრიალა ისევ ღრიალობს,
დარდიც თავისას დარდობს,
ცრემლებიც ცრემლებს ღვრიანო!

სივრცეს აფიქრებს სივრცე,
ტყეს კი ასტკივდა ახო...
ჩუმ მარტოობას იმცვრევს
პოეტის სამოსახლო!

2012 წ.

ფოთლოვანები...

ფოთლოვანები დაშრიალებს
სიო —
ტყეში გახიზნული...
ფრინველებით კვლავ ურიალებს
სივრცე —
წვიმით გახვისნული.

2012წ.

დილის მნათივით იზრდება სული

დილის მნათივით იზრდება სული
და ნელა, ნელა მჭლევდება ხორცი...
იხსნება სივრცე — თვალისთვის ხშული
და ცა კამკამებს წმინდანთა ლოცვით.

ცა ისმენს უნუგეშოთა ნუკვას,
ტალავერს ერწყმის ფოთლები ვაზის...
დგას კაცი,
თავის მყოფობა უკვირს,
საიდან მოსდის ფიქრი თუ აზრი?

რაც უნდა, იმას გაიგებს როსმე?
იხილავს როსმე უხილველ ვარსკვლავს?
ბუნდად იხსენებს პირველქმნილ კოსმოსს,
როგორც ბავშვობის დაკარგულ სახლ-კარს!
2012წ.



სარჩევი

„აცელავს დილა ლამეულ ჩრდილებს”(ჯ. შონია)5

განყოფილებანი

1. ხანა სიზაპუთისა	15
2. ხანა სრულკაცობისა	213
3. ხანა სიზარმაგისა	500

ტექნიდაქტორი — ზ. ბერაძე, კორექტორი — ა. ბლაგიძე,
კომპუტრუნველყოფა — ზ. მოდებაძე, თ. ზაქარაია,
დიზაინი — ი. უშვერიძე

ფასი სახელშეკრულებო



გამომცემლობა „უნივერსალი”

თბილისი, 01 79, ი. ვავევაძის გამზ. 1, თ: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge



პატი ცხოვრობენ...

აქ დამინახავს მერთალი ფოშტოში,
ადრიან დილის თეთრი ბუერი...
აქაც ცხოვრობენ — ჩემს სამშობლოში
დონ კიხოტი თუ პანტაგრუელი.

აქ მოვუსმინე ცრუ ფიცი მჩაგვრელს,
აქაც მინახავს ქართა აფრობა;
აქაც ევნესოდა მარადი ჩანგით
პოეტი თავის მიუსაფრობას.

აქაც მღეროდნენ: — მზე აღმოხდების...
აქაც იღხინეს... აქაც იწვალეს...
სამოთხის მძებნელს გზა ჯოვეოხეთის
ბევრს უპოვია აქ, ამ მინაზეც...

ხშირად მინახავს ველად ფოშტოში,
ადრიან დილის თეთრი ბუერი...
აქაც ცხოვრობენ ჩემს სამშობლოში
დონ კიხოტი თუ პანტაგრუელი.

შვერ გოლგასი

ISBN 978-9941-17-475-0

